ავთანდილ (ზურაბ) ჩხაიძე

რაც უნდა მეთქვა

ავთანდილ (ზურაბ) ჩხაიძე

რაც უნდა მეთქვა

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი
2025

© ავთანდილ ჩხაიძე. რაც უნდა მეთქვა. 2025
© გამომცემლობა „მერიდიანი“. 2025
კომპიუტერული უზრუნველყოფა დავით გოგლიძის

ISBN 978-9941-34-647-7
ყველა უფლება დაცულია

შპს „გამომცემლობა მერიდიანი“
თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №84.
მობ.: 599 54 07 17
E-mail: meridiani777@gmail.com
www.meridiani-books.ge

წინათქმა

შინაგან საქმეთა ორგანოებში თითქმის სამი ათეული წელი ვიმუშავე. ჩვევად მქონდა და სამუშაო ბლოკნოტში ყოველდღიურ ჩანაწერებს ვაკეთებდი; ვინიშნავდი მნიშვნელოვან მოვლენებს, შეხვედრებს, საუბრებს, ხანდახან ამ ამბებს ჩემს კომენტარებსაც ვურთავდი. მაშინ არც მიფიქრია, რომ ეს ჩანაწერები, ჩვენი ქვეყნის ქარტეხილებით სავსე უახლესი ისტორიის ერთგვარი მატიანე აღმოჩნდებოდა, ჩემი თვალით დანახული მატიანე.

მემუარების წერა არასდროს მიფიქრია. ჯერ ერთი იგი უმადური საქმე მგონია, უამრავი ადამიანი შეიძლება გაანაწყენო და მეორეც, რაც არ უნდა ეცადო ყველაფერი ზუსტად გადმოსცე, მემუარები მაინც საკმაოდ სუბიექტური ჟანრია. მაგრამ, ჩვენ ისეთი მძიმე და ტრაგიკული 30 წელი გავიარეთ, იმდენი რამ მოხდა ამ არც თუ ისე დიდი დროის განმავლობაში, რომ განვლილი გზის ერთგვარი შეჯამება მაინც გადავწყვიტე.

ამ წიგნში საუბარია იმაზე, რაც ვნახე და განვიცადე, რა შევძელი და რით გამოვადექი ჩემს ქვეყანას. დღიურები კი დამეხმარა სიზუსტით აღმედგინა მოვლენები, რომელთა მონაწილე გავხდი ჩემი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს.

წიგნის დაწერის საბაბი კი ერთი ფაქტი გახდა.

2013 წლის 12 აპრილს თბილისში, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის ინიციატივით ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრის (1979-1986 წწ.) ბატონ გურამ გვეტაძის წიგნის, „გენერლის მოგონებათა ზარდახშა“, განხილვა გაიმართა, რომელშიც ცნობილი მეცნიერები, პრაქტიკოსები და შინაგან საქმეთა ორგანოების გამოცდილი მუშაკები მონაწილეობდნენ. საუბარი ქვეყანაში უკანასკნელ პერიოდში დამნაშავეობასთან ბრძოლის საკითხებს შეეხო. ითქვა გამოუსწორებელ შეცდომებზე და სისტემაში რეფორმების აუცილებლობაზე, რაშიც, საჭიროების შემთხვევაში, ჩვენც შეგვეძლო მონაწილეობა. საინტერესოდ ისაუბრეს ჩემმა კოლეგებმა და მეგობრებმა: ჯემალ გახოკიძემ, გივი ლობჟანიძემ, დემურ მიქაძემ, ჯემალ ჯანაშიამ, რომან შენგელიამ, ალექსანდრე კვაშილავამ, რობინზონ თუშურაშვილმა; განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო ბერი ილიას (ერისკაცობაში სანდრო კავსაძე) მონაწილეობა და გამოსვლა. გადაწყდა ჩვენი ხედვა სპეციალური მიმართვით გვეცნობებინა ქვეყნის პრემიერ-მინისტრისა და შინაგან საქმეთა მინისტრისათვის.

დისკუსიაში მეც მივიღე მონაწილეობა და ჩემი აზრი გამოვთქვი:

> „უკანასკნელ წლებში საზოგადოებაში ფართოდ ვრცელდებოდა მოსაზრება იმის შესახებ, რომ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, სამართალდამცავ

სტრუქტურებში სწორად გატარებული რეფორმების გამო, კრიმინოგენური სიტუაცია ქვეყანაში თითქოსდა მკვეთრად გაუმჯობესდა, მაგრამ პირდაპირ უნდა მოგახსენოთ, რომ ამ აზრის დამკვიდრებაც მხოლოდ და მხოლოდ წინა ხელისუფლების კარგი პიარტექნოლოგიების გამოყენებით გახდა შესაძლებელი და რეალობასთან საერთო არაფერი აქვს.

ამის ერთ-ერთ მტკიცებულებად დღეს აქ განხილვაზე წარმოდგენილი ბატონ გურამ გვეტაძის ნაშრომის ის თავიც გამოდგება, რომელშიც სამართალდამცავ ორგანოებში გასატარებელი რეფორმების შესახებ საკუთარი მოსაზრებებია გადმოცემული.

კრიმინოგენურ სიტუაციას ქვეყანაში უპირველესად შექმნილი ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება განსაზღვრავს.

აქედან გამომდინარე გასაგები ხდება საბჭოთა კავშირის დაშლისა და შემდგომ პერიოდში ქვეყანაში ხანგრძლივი დროის განმავლობაში გამეფებული ანარქიისა და კრიმინალური დაჯგუფებების აღზევების მიზეზებიც.

თავისუფლების გზაზე შემდგარ საქართველოში წარმოქმნილი შიდა დაპირისპირებები მალე გადაიზარდა სამხრეთ ოსეთის ომში, შემდგომ სამოქალაქო ომი დაიწყო და აფხაზეთის კონფლიქტი მოხდა. ქვეყანაში შეიქმნა უამრავი არაფორმალური შეიარაღებული ფორმირება. ქვეყანა კრიმინალურმა ბანდებმა იგდეს ხელთ და მათი ლიდერები სახელმწიფო სტრუქტურების ხელმძღვანელები გახდნენ. პარალელურად კი სრულიად მოიშალა და დაკნინდა სამართალდამცავი სტრუქტურები. ამ ურთულეს პერიოდში, მაშინ როდესაც ქვეყანას ბიუჯეტიც კი არ გააჩნდა, წარმოუდგენელი ძალისხმევისა და სისხლის ფასადაც კი მოხერხდა სტაბილიზაციის მიღწევა. 1996 წლისთვის უკვე რეალურად შეიქმნა ქვეყნის განვითარებისათვის სასურველი პირობები.

თუმცა, სიტუაცია მალე კვლავ დაიძაბა. რუსეთ-ჩეჩნეთის ომის გამო პანკისის ხეობაში ნამდვილი კრიმინალური ანკლავი ჩამოყალიბდა. ამას რაღა თქმა უნდა ხელისუფლების პოლიტიკურმა გადაწყვეტილებამაც შეუწყო ხელი. ხეობაში დაბანაკებულმა კბილებამდე შეიარაღებულმა დამნაშავეთა ბანდებმა აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აუტანელი მდგომარეობა შექმნეს. ნარკობიზნესი, ყაჩაღობა, მკვლელობა, ადამიანის გატაცება ფულის გამოძალვის მიზნით, ჩვენი ცხოვრების ყოველდღიურ რეალობად იქცა. ამას ემატებოდა ქვეყნის შიგნით მოქმედი დესტრუქციული ძალების მხრიდან მუდმივი დაძაბულობა (გადატრიალების მცდელობები, ტერაქტები და სხვ.), სრულიად მორღვეული პირობითი საზღვრები აფხაზეთთან და სამაჩაბლოსთან, შიდა პარტიული დაპირისპირებები და „ახალგაზრდა რეფორმატორების“ ხელისუფლებაში დაუყოვნებლივ, ვადამდელი არჩევნების გზით მოსვლის დაუოკებელი სურვილი.

ასეთ ვითარებაში 2000-2002 წლები დამნაშავეობის ხელახალი აღზევებით აღინიშნა. თუმცა 2000 წლის დეკემბრიდან სამართალდამცავი სტრუქტურების მიერ თითქმის ორი წლის განმავლობაში განხორციელებულმა ღონისძიებებმა ის შედეგი მოგვცა, რომ 2003 წლის დასაწყისში პრაქტიკუ-

ლად სიტუაცია უკეთესობისკენ კარდინალურად შეიცვალა. შეიქმნა მდგომარეობის კიდევ უფრო გაუმჯობესების საუკეთესო პირობები, მაგრამ 2003 წლის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ ამ მიღწევების ნაყოფი უკვე ახალმა „ვარდოსანმა“ ხელისუფლებამ მოიმკო და მაღალხარისხიანი პიარკამპანიის მეშვეობით ამ მიმართულებით მდგომარეობის გაუმჯობესება მთლიანად თავის დამსახურებად წარმოაჩინა.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამის პარალელურად განხორციელდა დადებითი პროექტებიც – პატრულის ჩამოყალიბება, პოლიციის შენობა-ნაგებობების გაუმჯობესება, ტრანსპორტითა და ტექნიკით აღჭურვა, პოლიციელთა შრომის ანაზღაურების გაზრდა.

მაგრამ ყოველივე ეს იმ არნახულ ბიუჯეტთან იყო დაკავშირებული, რომელიც წელიწადში 1 მილიარდს შეადგენდა. შედარებისთვის მოგახსენებთ, რომ 2000 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტი 50.0 მილიონამდე გახლდათ და სისტემა დაფინანსებას ვერ იღებდა.

სამართალდამცავ სტრუქტურებში განხორციელებულ ე. წ. რეფორმებს კი რეალურად მოჰყვა გამოუსწორებელი შედეგები. ჩამოყალიბდა „პოლიტიკური პოლიცია“, მივიღეთ გაუკუღმართებული სასამართლო სისტემა, უამრავი პოლიტიკური პატიმარი, ტანჯვა-წამების არნახული ფაქტები სასჯელაღსრულების სისტემაში, უფლებაჩამორთმეული, დაშინებული საზოგადოება, რომელსაც ტოტალურად და უკანონოდ უსმენდნენ, ქონების უკანონოდ ჩამორთმევის ფაქტები და სხვა.

ალბათ ისიც აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში შეიქმნა პროფესიონალი კადრების მწვავე დეფიციტი.

მიმაჩნია, რომ მდგომარეობის დაუყოვნებლივ გამოსწორების მიზნით უპირველესად საჭიროა ითქვას სრული სიმართლე და გამოცდილი სპეციალისტების მიერ მომზადდეს საზოგადოებისათვის სიკეთის მომტანი რეფორმების ღონისძიებათა გეგმა. უნდა განხორციელდეს შედეგზე ორიენტირებული რეფორმები, რომელიც სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე დაიგეგმება და იგი არ იქნება „რეფორმა რეფორმისათვის“.

ამისთვის კი საჭიროა ახალი ხელისუფლება გულისყურით მოეკიდოს ისეთი მაღალი რანგისა და უმწიკვლო რეპუტაციის მქონე პროფესიონალების მოსაზრებებს როგორიც ბატონი გურამი და თითოეული თქვენგანი ბრძანდებით“.

პრეზენტაციის შემდეგ, ვახშამზე, კიდევ ერთხელ მივულოცეთ ბატონ გურამს წიგნის გამოცემა. მან კი კოლეგიალურად გვირჩია, რომ თითოეულ ჩვენგანს, რადგან საკმაოდ დიდი გზა გვქონდა გამოვლილი შს ორგანოებში, დაგვეწერა და მომავლისთვის დაგვეტოვებინა ნანახი და განცდილი. აღმოჩნდა, რომ ამ მიმართულებით უკვე მუშაობდნენ ჯემალ გახოკიძე და ჯემალ ჯანაშია. მეც პირობა მივეცი, რომ მოკლე ხანში საზოგადოებას შევთავაზებდი ჩემს ხელთ არსებულ მასალებსა და დოკუმენტებს.

რაც შევძელი და აქ გადმოვეცი მხოლოდ ნაწილია იმისა, რაც ცხოვრებაში მინახავს და რისი უშუალო მონაწილეც ვყოფილვარ. ყველაფრის გახსენება შეუძლებელიცაა და სამსახურის სპეციფიკური ხასიათისა და სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებიდან გამომდინარე მიუღებელიც. თუმცა, ყველაფერი, რასაც წიგნში ვყვები, რეალურ ფაქტებზეა დამყარებული. ცალკეულ შემთხვევებში არ გამოვრიცხავ მცირეოდენ შეცდომებსა და უზუსტობებს, რის გამოც პატიებას გთხოვთ.

მოგონებებზე მუშაობის დროს უხვად გამოვიყენე სხვადასხვა ავტორის წიგნი, მედიაში თუ ინტერნეტსივრცეში გამოქვეყნებული პუბლიკაციები, პირადი არქივი და სხვა მასალა. მადლობა ყველას, ვინც მეხმარებოდა და ერთგვარად სტიმულს მაძლევდა კიდეც.

გზის დასაწყისი

დავიბადე 1953 წლის 8 თებერვალს, ქალაქ ოჩამჩირეში, დედის – ნორა შერვაშიძე-ჩაჩბას მამისეულ ოჯახში. თუმცა დაბადების მოწმობაში 14 თებერვალი და დაბადების ადგილად მახარაძის (ოზურგეთი) რაიონის სოფელი ბახვი ჩამიწერეს. ვფიქრობ, მამაჩემმა ვახტანგ ჩხაიძემ ეს შეგნებულად გააკეთა, რადგან უნდოდა სოფელ ბახვთან, გურიის ამ ერთ-ერთ ულამაზეს და ისტორიულ სოფელთან ყოფილიყო დაკავშირებული ჩემი ცხოვრება.

ასეც მოხდა. ბახვი ის ადგილია, რომელთანაც კავშირი არასდროს გამიწყვეტია. ახლაც ხშირად ვარ გურიაში და მამისეულ სახლში დიდ დროს ვატარებ. აქ ყველაზე მეტად მიყვარს ფიქრი წარსულზე, წინაპრებზე, იმ ადამიანებზე, რომლებმაც დიდი და ნათელი კვალი დატოვეს ჩემს ცხოვრებაში.

1999 წელს, პარლამენტის წევრად რომ მირჩევდნენ, ცნობილი მწერალი ჭაბუა ამირეჯიბი ერთ ტელეგადაცემას გამოეხმაურა, რაც ჩემთვის სასიამოვნო ფაქტი იყო. ბატონი ჭაბუა ამ წერილში ჩემს წინაპრებზე საუბრობს. ამაზე კარგად შეუძლებელია მოგიყვეთ ჩემი დიდი ბაბუას არტემ ჩხაიძის შესახებ, რომელიც ბახვში 1910 წელს დასახლდა, როცა ოქროსქედის მთავარანგელოზის ეკლესიის წინამძღვრად გადმოიყვანეს.

მინდა წერილის ფრაგმენტი აქ ერთგვარი სიამაყითაც შემოგთავაზოთ:

> „ჩემი, ბავშვობიდან მოყოლებული, ვიდრე გარდაცვალებამდე, უახლოესი მეგობარი, ნეტარხსენებული ბატონი ამირან მორჩილაძე დედით ჩხაიძე იყო. ქალბატონი ქეთევან ჩხაიძე, საქართველოს ერთ-ერთი უწარმოსადეგესი მანდილოსანი ზურაბის ბაბუის, ბატონ შალვა ჩხაიძის და, ანუ მისი პაპიდა გახლდათ. მაგრამ თავიდან დავყვეთ თემას, თუ ვინ იყვნენ ზურაბის წინაპრები მამის, ანუ ვახტანგის მხრიდან, როგორ იცხოვრეს და რა სამსახური გაუწიეს ქართველ ერს.
>
> ჩემს გონსაწიერზე ზურაბ ჩხაიძის გვარი იწყება აზნაურ შევარდენ ჩხაიძისგან, რომელსაც, არც მეტი, არც ნაკლები, თორმეტი ვაჟი ჰყავდა. მათგან ხუთმა ერისკაცობა აირჩია, ხოლო შვიდმა ასპარეზად ქრისტეს რჯულის მსახურება მიიჩნია და მაღალ სასულიერო წოდებასაც მიაღწია. ამ შენიშვნასთან ერთად ვაქვეყნებ ძველთაძველი, გახუნებული ჯგუფური ფოტოსურათის ასლს, რომელზეც შევარდენ ჩხაიძის ოჯახის თითქმის ყველა მღვდელმსახურია აღბეჭდილი, დარწმუნებული ვარ, ყოველ მათგანს მაღალმა ღმერთმა საუკუნო სასუფეველი და ნათელში ყოფნა არგუნა.
>
> სურათზე უკანა რიგში ფეხზე დგას შევარდენ ჩხაიძის უმცროსი ძე, ზურაბის ბაბუის მამა. საქართველოს მრავალ ეპარქიაში ნამსახური, კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატე ცინცაძის უახლოესი და უერთგულესი მეგობარი, გარდაცვალებამდე სასულიერო პირი – მამა არტემ ჩხაიძე, იგი მამაა იმ

შალვა ჩხაიძისა, რომელიც ზურაბის ბაბუა იყო. ბარემ აქვე ვთქვათ, რომ შალვა ჩხაიძე პირველად 1927 წელს იყო რეპრესირებული, ციმბირში შვიდი წელი მოიხადა, დაბრუნდა, 1937 წელს კვლავ დააპატიმრეს, 1941 წელს მოხვდა იმ პატიმართა რიცხვში, ვინც „გულაგმა“ უიმედო ავადმყოფობის გამო გაათავისუფლა, ბატონმა შალვამ ბახვამდე ჩამოაღწია და მალე განუტევა კიდეც ნაწამები სული.

ბატონი არტემ ჩხაიძე იმ დროს წმინდა მარიამის იტრიის ეკლესიის მღვდელი, 1939 წელს დააპატიმრეს, როგორც ბოლშევიკების დროს ყველა შემთხვევაში, ღმერთმა იცის, რისთვის. ჩემთვის ასევე უცნობია, ლენინმა და სტალინმა როდის ამოწყვიტეს ფოტოზე აღბეჭდილი ზურაბის წინაპრები – სასულიერო პირები და საიქიოს რომელმა მათგანმა გაასწრო ჩეკისტებს...

ადვილი წარმოსადგენია რწმენისა და ზნეობის მქადაგებელთა ამ კეთილშობილმა კოჰორტამ როგორი სამსახური გაუწია ჩვენს ეროვნულ თვითშეგნებასა და სიკეთის მყნობას ადამიანთა ფესვზე.

უადგილოდ არ მიმაჩნია, მოვიყვანო ორი ეპიზოდი. მამა არტემს ოთხმოცი წელი ორთაჭალის ციხეში შეუსრულდა, ქალბატონმა ქეთევან ჩხაიძემ, მისმა შვილმა, რაღაცნაირად მიაღწია ღრმად მოხუცებული კაცის, ეგრეთ წოდებულ, „აქტიროვკით“ გათავისუფლებას და წამოსაყვანად რომ მივიდა, იმჟამინდელი ციხის უფროსი (ვერულავა) ლამის გაეტირა მოხუცს, – სად მიდიხარ, რაღა მეშველებაო!.. საქმე ის არის, რომ მამა არტემ ჩხაიძემ თავისი სულიერი ღირსებების მეოხებით პატიმრების ისეთი სიყვარული და მოკრძალება დაიმსახურა, რომ ციხეში წესრიგი დამყარდა, ეს ძველი პატიმრებისგან თავად მაქვს გაგონილი, როცა მამა არტემის გათავისუფლებისა და მასთან გაცნობის შემდეგ, რაღაც ექვსიოდე თვეში ამირან მორჩილაძესთან ერთად იმავე ციხეში აღმოვჩნდი.

მეორე ეპიზოდი, ქალბატონმა ქეთევანმა, ციხიდან გამოყვანის შემდეგ, მამა არტემი მიხეილის საავადმყოფოში დააწვინა, მოხუცი თავისი დისწულის აკადემიკოს ვლადიმერ ჟღენტის თვალყურითა და მზრუნველობით იყო გარემოცული, დადგა გამოწერის დღე, ქალბატონი ქეთევანი წამოსაყვანად მივიდა. ექიმებმა უთხრეს, – ბატონი ვლადიმერი ბიძათქვენს არ გაგატანთ, აღარც საქმე ახსოვს, აღარც ჩვენ ვახსოვართ, მთელი დღე საწოლთან უზის და მის საუბრებს უსმენსო.

ბრძენი კაცი იყო მამა არტემი, საინტერესო მოსაუბრე და მეცხრამეტე, მეოცე საუკუნეების მრავალი საინტერესო მოვლენის მოწმე, მონაწილე. აკადემიკოს ვლადიმერ ჟღენტის ცნობისწადილი გასაკვირი არ არის, თავად მე დღემდე ვნანობ, რომ ჩემი მამა-პაპის მოგონებათა და ცოდნათა კიდობნით სრულად არ ვისარგებლე“.

არტემის ბიძა, არქიმანდრიტი გრიგოლი ჯრუჭის მონასტრის წინამძღვარი და წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის ეკონომი გახლდათ. როგორც ჩანს, ერთი ოჯახის წიაღში აღზრდილი პიროვნებები, გაბრიელ ეპისკოპოსის ხელდასხმით გახდნენ სასულიერო პირები. არტემიც ჯერ აცანასა და ოქ-

როსქედში მოღვაწეობდა. ფოტოზე ასახულ პირებს, რომელზეც საუბრობს ბატონი ჭაბუა, დიდი როლი აქვთ საქართველოს ეკლესიის ისტორიაში. ამ პიროვნებათა ღვაწლი და მათი შთამომავლები დიდხანს ვიკვლიე და თავი მოვუყარე წიგნში „ფესვები“, რომელიც 2014 წელს გამოვეცი და აქ აღარ განვმეორდები.

1970 წელს დავამთავრე ბახვის საშუალო სკოლა. ეს ისტორიული სასწავლებელია. 1872 წელს სკოლა საკუთარი სახსრებით დააარსა წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსმა (ქიქოძემ). იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი ბახვიდან გახლდათ და მშობლიურ სოფელს დიდ ყურადღებას აქცევდა. სკოლის პირველ მასწავლებლად, ქუთაისის სახალხო სკოლების გუბერნატორის ვიქტორ ტროიეს მეშვეობითა და უშუალო ჩარევის შედეგად, მეზობელი სოფელ ძიმითის სკოლის მასწავლებელი გიგო შარაშიძე დაინიშნა. გიგო შარაშიძე 1874 წლის 8 ნოემბერს წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსთან ერთად ეწვია ბახვს და შეუდგა საქმიანობას. მას შემდეგ 150 წელი გავიდა. გარდაცვალების შემდეგ გიგო შარაშიძე სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე მისივე გაშენებულ „გიგოს ბაღში“ დაკრძალეს. 1999-2000 წწ. გიგოს სამუდამო განსასვენებელი ჩემ მიერ იქნა კეთილმოწყობილი. სოფელი სათანადო პატივს მიაგებს მის ღვაწლს[1].

გასაბჭოების შემდეგ სკოლას სერგო ორჯონიკიძის სახელი მიანიჭეს, 1989 წლიდან კი გაბრიელ ეპისკოპოსის სახელს ატარებს. სკოლაში აღიზარდნენ ადამიანები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ისტორიას ამშვენებენ – მწერალი ნინო ნაკაშიძე, მხატვარი დიმიტრი შევარდნაძე, პირველი რესპუბლიკის დიპლომატი ხარიტონ შავიშვილი, მთარგმნელი და კრიტიკოსი, დამფუძნებელი კრების წევრი გერონტი ქიქოძე, მხატვარი, კარიკატურისტი შალვა ქიქოძე, ცნობილი საოპერო მომღერალი დავით ანდღულაძე, მოქანდაკე ნიკოლოზ კანდელაკი, მწერალი და მთარგმნელი ვახტანგ ჭელიძე და სხვები. გიგო შარაშიძისა და ნინო ქიქოძის შვილები ქრისტინე და დავით შარაშიძეები საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრები იყვნენ (1919-1921).

ამ დიდი ტრადიციების სკოლას პედაგოგთა შესანიშნავი თაობები ამშვენებდნენ, რომლებიც მეც მასწავლიდნენ და რაიონში და არა მარტო მახარაძეში იყვნენ ცნობილნი – შალვა თავართქილაძე, ბეჟან მდინარაძე, მანია ინწკირველი, ნუნუ ანდღულაძე, ნუნუ დუნდუა, ცაცი ქიქოძე, ლეილა ჭელიძე, შოთა ანდღულაძე, რეზო ნიკოლაიშვილი, ვალერიან ბაღიშვილი, სესილი ინწკირველი და სხვები.

---

[1] 2001 წელს ცნობილმა პედაგოგმა შალვა თავართქილაძემ წერილი გამომიგზავნა, რომელიც ჩემთან ინახება. ბატონი შალვა მთხოვდა გიგო შარაშიძის საფლავი მივარდნილი ადგილიდან, წინ, ცაცხვების ძირში გადაგვეტანა. მაშინ ამის გაკეთება ვერ შევძელით, სოფელში ერთიანი აზრი არ იყო. ამ მოსაზრებაზე იქნებ ბახვის მომავალმა თაობამ იფიქროს.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის სტუდენტი სკოლის დამთავრებისთანავე გავხდი. 1971 წელს ყამირი მიწების ასათვისებლად ჩრდილოეთ ყაზახეთში ვშრომობდით სტუდენტები. 1975 წელს კი ახალციხეში ორთვიანი სამხედრო შეკრება გავიარე და ლეიტენანტის წოდება მომანიჭეს.

1975 წელს, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, განაწილებით მუშაობა დავიწყე საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს შრომაგასწორების დაწესებულებათა სამმართველოში. სამმართველოს უფროსი შესანიშნავი პიროვნება, წარმოშობით ბახველი, პოლკოვნიკი გიორგი მახარაძე გახლდათ.

1977 წელს სექტემბერში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არასაუწყებო დაცვის სამმართველოში გავაგრძელე მუშაობა, საფინანსო-სარევიზიო განყოფილებაში. სამმართველოს იმჟამად პოლკოვნიკი გიორგი ხაზარაძე, ხოლო განყოფილებას ვიცე-პოლკოვნიკი ნუგზარ ამბარდნიშვილი ხელმძღვანელობდნენ.

1980 წლის გაზაფხულზე გადაწყდა, რომ მუშაობა სამინისტროს ცენტრალურ აპარატში გამეგრძელებინა. რადგან ეს თანამდებობა ოფიცრის წოდებას მოითხოვდა, როგორც წესი, ამ მიზნით სამედიცინო შემოწმებას გავდიოდი.

სრულიად შემთხვევით, სამედიცინო შემოწმების დროს, ახალგაზრდა მახარაძელი კაცი სოსო ქუთათელაძე გავიცანი. იგი მახარაძის მილიციის რაიგანყოფილების სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი ქვეგანყოფილების უფროსად ინიშნებოდა და სამედიცინო შემოწმებაც ამისთვის სჭირდებოდა. ჩიტაძის ქუჩის ბოლოში მდებარე პოლიკლინიკაში მთელი დღე გავატარეთ. დამშვიდობებისას სოსომ სამსახურში მასთან გადასვლა შემომთავაზა. წინადადება საკმაოდ მიმზიდველი იყო, მაგრამ ამ პრესტიჟულ დანაყოფში მოხვედრა არცთუ ადვილი გახლდათ. სიტუაციაში გარკვევის მიზნით მახარაძეში ჩავედი. როგორც აღმოჩნდა, აღნიშნულ დანაყოფში მართლაც იყო ორი ვაკანტური ადგილი. თანაკლასელმა ნუგზარ ნიკოლაიშვილმა დაჟინებით მთხოვა პარტიის მახარაძის რაიკომის მეორე მდივანი, ჩემი თანასოფლელი მაკარ ნიკოლაიშვილი გვენახა. მაკარმა გულისყურით მომისმინა და მითხრა, რომ ყოველი შემთხვევისთვის ავტობიოგრაფია დამეტოვებინა. რამდენიმე დღეში სამინისტროს კადრების სამმართველოში დამიბარეს და მითხრეს, რომ პარტიის მახარაძის რაიკომის შუამდგომლობით რაიონის სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი ქვეგანყოფილების უფროს ინსპექტორად დავინიშნე. როგორც გაირკვა, მაკარის შუამდგომლობამ რაიკომის პირველ მდივანთან დემურ დვალიშვილთან გაჭრა.

იმჟამად სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის რესპუბლიკურ სამმართველოს პოლკოვნიკი ჯემალ ვეფხვაძე ხელმძღვანელობდა. სულ მალე ქალაქ კაუნასში მილიციის უმაღლეს სკოლაში გამგზავნეს. ექვსთვიანი მომზადების სპეციალური კურსის გავლის შემდეგ მილიციის უფროსი ლეიტენანტის წოდებაც მომენიჭა. დაიწყო რთული, საქმეებით დატვირთული სამსახური, რომელსაც უძილო ღამეებიც ახლდა. მახარაძის მილიციის რაიგანყოფილებას ახლად დანიშნული უფროსი ჯემალ შარაძე ხელმძღვანელობდა, ქვეგანყოფილებას კი სოსო ქუთათელაძე.

მოკლე ხანში, კარგ ოპერატიულ მუშაკად ჩამოვყალიბდი, რაშიც საფინანსო-სარევიზიო სამსახურებში მუშაობისას შეძენილმა გამოცდილებამ შემიწყო ხელი. საერთოდ აღნიშნული სისტემა, როგორც ზემოთ აღვნიშნე, პრესტიჟულად ითვლებოდა და იქ მომუშავე ადამიანები, განსაკუთრებით კი საქმეში გარკვეული პროფესიონალები სერიოზული ავტორიტეტით სარგებლობდნენ.

შრომა არ მეზარებოდა და ვინაიდან ფინანსური დანაშაულის გახსნა ჩემთვის დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა, ხელმძღვანელობა სერიოზულ დავალებებს მანდობდა ხოლმე. ფაქტობრივად, რომ იტყვიან, ფრონტის წინა ხაზზე აღმოვჩნდი.

თანდათანობით, ჩემი საქმიანობიდან გამომდინარე, შეხება მომიხდა ისეთ სფეროებთან და დანაშაულთან, რომ მოქნილი პოლიტიკით მუშაობის აუცილებლობის წინაშე დავდექი. წინააღმდეგ შემთხვევაში დაპირისპირება რაიონის თუ რესპუბლიკის ყოვლისშემძლე თანამდებობის პირებთან გარდაუვალი იქნებოდა. სამინისტრო ითხოვდა დანაშაულის გამოვლენის მაჩვენებლის გაუმჯობესებას, მაგრამ სტატისტიკის გაუმჯობესების თანმდევი პროცესი იყო კონკრეტული ადამიანების და თანამდებობის პირების დაკავება, გასამართლება, განაწყენება და უამრავი ინტრიგა. ამ მხრივ განსაკუთრებით „ფათერაკიანი“ ვიყავი და ყველა ე. წ. „დიდ საქმეში“ ცენტრალური ადგილი მეკავა. ეს ხშირად განაწყენებული ჩინოსნების სამიზნედ მაქცევდა, მაგრამ გამოსავალს როგორღაც მაინც ვპოულობდი, რადგან ვცდილობდი, ობიექტური და სამართლიანი ვყოფილიყავი, რამდენადაც იმ სისტემაში შეიძლებოდა. ეს შემდგომში ჩემს ძირითად იმუნიტეტს წარმოადგენდა. თუმცა იყო შეცდომებიც.

1981 წელს, მახარაძის მილიციაში ჩემი დანიშვნიდან ძალიან მალე, პარტიის რაიკომის პირველი მდივანი დემურ დვალიშვილი ფინანსთა მინისტრად გადაიყვანეს. მახარაძის რაიკომის პირველი მდივანი რაიაღმასკომის თავმჯდომარე ოთარ თენეიშვილი გახდა. ცვლილებას გარკვეული საკადრო გადაადგილებები მოჰყვა, მათ შორის მილიციაში. 1983 წლის ივნისში ქვეგანყოფილების უფროსად დავინიშნე.

მახარაძე საბჭოთა ეპოქაში განვითარებული ეკონომიკითა და ცხოვრების მაღალი დონით გამორჩეული რაიონი იყო. შეიძლება ითქვას ერთგვარი ელიტური რაიონიც კი. რაიკომის პირველი მდივანი ცენტრალური კომიტეტის მიერ უმაღლესი იერარქიისთვის მნიშვნელოვან საკადრო რეზერვად ითვლებოდა. მართლაც, მახარაძის რაიკომის პირველი მდივნები, სხვადასხვა დროს, თბილისში დაწინაურებული იყვნენ უმაღლეს პარტიულ თანამდებობებზე ან მთავრობაში. თუმცა 1985 წელს მოვლენები სხვაგვარად განვითარდა.

საბჭოთა კავშირის სათავეში მიხეილ გორბაჩოვის მოსვლის და „პერესტროიკის“ ეპოქის დადგომის შემდეგ, მალევე საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ედუარდ შევარდნაძე მოსკოვში სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე დანიშნეს. საქართველოს კომუნისტთა ლიდერად მოსკოვმა „სხვას“ ჯუმბერ პატიაშვილი არჩია. მოარული ხმები ამბობდნენ, რომ ამ „სხვებს“ შორის სოლიკო ხაბეიშვილიც მოიაზრებოდა. ამ აზრის განმტკიცებას კიდევ უფრო მეტად შეუწყო ხელი მოვლენათა განვითარებამ.

ჯუმბერ პატიაშვილის დანიშვნისთანავე საგრძნობლად გააქტიურდა ბრძოლა ე.წ. „ნეგატიური მოვლენების“ წინააღმდეგ. „ნეგატიურ მოვლენებს“ იმ დროში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას ეძახდნენ. გენერალური პროკურატურა და შინაგან საქმეთა სამინისტრო მეთოდურად და გეგმაზომიერად შეუდგნენ დამნაშავეობასთან ბრძოლას ისეთ ტაბუდადებულ დარგებში, როგორებიც იყო მეღვინეობა, მეჩაიეობა, დამზადების სისტემა და სხვა. დანაშაულში მხილებულ იქნენ საწარმოთა ხელმძღვანელები, რომლებიც თანამონაწილეობაში ამხელდნენ რაიონულ პარტიულ ხელმძღვანელებს, ეს უკანასკნელნი კი კიდევ უფრო ზევით სდებდნენ ბრალს.

სამეურნეო დანაშაულში, განსაკუთრებით მიწერებსა და დატაცებაში თანამდებობის პირთა მხილება დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა, რადგან ასეთი სახის დანაშაული ცხოვრების ნორმად იყო ქცეული. სახელმწიფო გეგმები მიწერებითა და მაქინაციებით სრულდებოდა და დიდ გამარჯვებად ითვლებოდა. რესპუბლიკას, რაიონს, ქალაქს ამ გამარჯვებისთვის საკავშირო გარდამავალი წითელი დროშით აჯილდოებდნენ ან სხვა სამთავრობო ჯილდოებს გადასცემდნენ. დაუსჯელობის და ხელშეუხებლობის გარანტია ამ დარგებში დასაქმებულ პასუხისმგებელ პირებს უმაღლესი პარტიული ელიტისგან ჰქონდათ მიღებული, რადგან ამ საქმიანობას, ჯილდოების გარდა, თან მოჰქონდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან დატაცებული მილიონები. დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ეს მილიონები კი მეტ-ნაკლები რაოდენობით უბრალო კოლმეურნის ოჯახიდან დაწყებული უმაღლესი პარტიული ფუნქციონერების ჯიბეებში ხვდებოდა. შეიძლება ითქვას, რომ დანაშაულებრივ ჯაჭვში ჩაბმული იყო რესპუბლიკის მო-

სახლეობის უმრავლესობა, რაც თავისთავად განაპირობებდა კიდეც მოსახლეობის ცხოვრების შედარებით მაღალ დონეს.

როგორი იყო ეს სისტემა? მაგალითად: ჩაის ფაბრიკებში ტექნოლოგიური პროცესების დარღვევით გამოშვებული ე. წ. „აღურიცხავი პროდუქცია“ შემდგომში „გაპრავებას“ და ფულად ქცევას ექვემდებარებოდა. ერთ-ერთი ხერხი ასეთი იყო: საკოლმეურნეო ფართობებში მოკრეფილ ნედლეულში კოლმეურნეს სახელმწიფო 20-25 კაპიკს უხდიდა, ხოლო კერძო საკარმიდამო ნაკვეთიდან ჩაბარებულში თითქმის 1 მანეთს. ფაბრიკებში დამზადებული ეს „აღურიცხავი“ პროდუქცია ფორმდებოდა, როგორც კოლმეურნის საკარმიდამო ნაკვეთში მოკრეფილი. ფასთა სხვაობა ნაწილდებოდა კოლმეურნიდან დაწყებული იმ მაღალჩინოსნებზე, რომელთაც დარგთან და აღნიშნულ პროცესთან კავშირი ჰქონდათ. შედეგით ყველა კმაყოფილი იყო. ამ უხარისხო პროდუქციის დიდი ნაწილი უპრობლემოდ საღდებოდა უზარმაზარი იმპერიის შრომა-გასწორების დაწესებულებებში გამომწყვდეულ მილიონობით პატიმარსა და საბჭოთა არმიის მეომრებზე.

ცხოვრების ასეთი მანკიერი წესი მხოლოდ საქართველოსთვის არ იყო დამახასიათებელი. იგი 70-80-იანი წლების საბჭოთა რესპუბლიკების ცხოვრების ნორმა გახლდათ, განსაკუთრებით შუა აზიასა და ამიერკავკასიაში. საკმარისია გავიხსენოთ გახმაურებული სისხლის სამართლის საქმეები, რომლებიც „პერესტროიკის“ წლებში გამოძიებული იქნა გლდიანი-ივანოვისა და კალინიჩენკოს საგამოძიებო ჯგუფების მიერ.

დანაშაულებრივი სქემა სისტემის მიერ იყო მოფიქრებულიც და ნებადართულიც. თუმცა ოფიციალური ნებართვა არ არსებობდა და რეაგირება ყოველთვის შეეძლოთ, როცა ეს დასჭირდებოდათ[2]. ასე მოხდა 1985 წელს.

პატიაშვილმა, პირველ მდივნად არჩევიდან სულ მალე, თანამდებობიდან გაათავისუფლა კოლეგა – ცენტრალური კომიტეტის მდივანი სოლიკო ხაბეიშვილი და მალე დაიჭირა კიდეც. სახელისუფლებო კულუარებში ამბობდნენ, რომ მათ შორის დაპირისპირება შევარდნაძის საქართველოში მუშაობის დროს დაიწყო. პირველ მდივნად დანიშვნის შემდეგ კი პატიაშვილს ანგარიშსწორების საშუალება მიეცა. რთულია დღეს იმის თქმა, ვინ იყო ამ კონფლიქტში მართალი და მტყუანი. მაგრამ, ფაქტია, რომ ამ უკიდურეს დაპირისპირებას რამდენიმე რაიონში მორალური და ფსიქოლოგიური ვითარების უკიდურესი დაძაბვა მოჰყვა, რომ არაფერი ვთქვათ ადამიანების სისხლის სამართლებრივ დევნაზე, რამაც ბევრი თვითმკვლელობამდეც კი მიიყვანა.

---

[2] ამ საკითხს დაწვრილებით ეხება გურჯაანის რაიკომის ყოფილი პირველი მდივანი ბიჭიკო შინჯიაშვილი თავის ინტერვიუში, რომელიც დაიბეჭდა გაზ. „კვირის პალიტრა“. №2-6. 2007

კიდევ ერთ ფაქტორზე საუბრობდნენ კულუარებში. თითქოს ცენტრალური კომიტეტის მდივნის სოლიკო ხაბეიშვილის მხილების პროცესი კრემლის გარკვეული წრეებიდან იყო წახალისებული და პოლიტბიუროს წევრის ედუარდ შევარდნაძის კომპრომეტაციას ისახავდა მიზნად.

რესპუბლიკის პროკურატურამ და შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიზანში ამოიღეს ის რაიონები, რომელთა პირველი პირები ხაბეიშვილთან დაახლოებულ ადამიანებად მოიაზრებოდნენ. მათ შორის აღმოჩნდა მახარაძის რაიკომის პირველი მდივანი ოთარ თენეიშვილიც, თუმცა მას არც ჯუმბერ პატიაშვილთან ჰქონდა ცუდი ურთიერთობა. თენეიშვილი ხისტი ხასიათის ხელმძღვანელი იყო, აკლდა დიპლომატია, მოქნილობა ურთიერთობებში, მაგრამ საკმაოდ კარგი ავტორიტეტი ჰქონდა რესპუბლიკის ხელმძღვანელობასთან. შესაძლოა ამის გამო, სამართალდამცავი სტრუქტურების თანამდებობის პირებთან დამოკიდებულებებს დიდად არ უფრთხილდებოდა. განსაკუთრებული პრობლემები მას შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილესთან შოთა გორგოძესთან შეექმნა.

ჩემთვის ზუსტადაა ცნობილი, რომ პირველ მდივანს არაერთხელ მიანიშნეს, პირადადაც უთხრეს, რომ გორგოძესთან ურთიერთობის გაუმჯობესება აუცილებელი იყო. თუმცა, მის მიერ შემდგომ გადადგმულმა ნაბიჯებმა არსებული განხეთქილება ორ ხელმძღვანელს შორის კიდევ უფრო გააღრმავა. შოთა გორგოძის მოთმინების ფიალაში უკანასკნელი წვეთი მახარაძის მილიციის რაიონული განყოფილების უფროსის საკითხი იქცა. აღნიშნულ თანამდებობაზე დასანიშნად ძალასა და ენერგიას არ იშურებდა მახარაძის რაიონის სოფელ მთისპირის მკვიდრი, შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის მუშაკი გერმანე თალაკვაძე, რომელსაც კარგი ურთიერთობა ჰქონდა შოთა გორგოძესთან. ეს უკანასკნელიც ლობირებდა მას. ოთარ თენეიშვილი თბილისში ესაუბრა გორგოძეს. შეხვედრა „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა. პირველი მდივანი დაჰპირდა გორგოძეს, რომ თალაკვაძე უსათუოდ მიიღებდა მისგან მილიციის უფროსად დანიშვნისთვის საჭირო შუამდგომლობას. ასეთი რეკომენდაცია იმ დროს დადგენილი წესით პარტიის რაიკომს უნდა გაეცა. შეხვედრიდან რამდენიმე დღეში კი წარდგინება მახარაძის რაიკომმა აბაშის მილიციის უფროსს, ოზურგეთელ გიგა ჩიტიას მისცა და ეს უკანასკნელი დაინიშნა კიდევაც აღნიშნულ თანამდებობაზე. ეს იმდენად შეურაცხმყოფელი და დამამცირებელი აღმოჩნდა შოთა გორგოძისათვის, რომ პრაქტიკულად განსაზღვრა კიდეც თენეიშვილის და მასთან ერთად მახარაძის რაიონის ბედიც 1985 წლის მოვლენების დროს. ხაბეიშვილის საქმეში გორგოძემ, როგორც ჩანს, მახარაძის რაიონის და მისი პირველი ხელმძღვანელის ჩართვა განიზრახა და არც პატიაშვილი წასულა წინააღმდეგი. ცეკას პირველი მდივნისთვის მთავარი მიზანი ხაბეიშვილის დაკავება იყო, რაშიც გორგოძე მთავარ როლს ასრულებდა. თენეიშვილის ადგილზე კი შესაძლოა ნებისმიერი რაიონის პირვე-

ლი ხელმძღვანელი აღმოჩენილიყო, როგორც ეს უკვე ავხსენი ზემოთ, იმ დანაშაულებრივი სქემიდან გამომდინარე, რომელსაც მთელი სსრკ მოეცვა.

მინისტრის მოადგილე შოთა გორგოძე (იგი მალევე პატიაშვილმა შს მინისტრად დანიშნა) შინაგან საქმეთა სამინისტროს სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს კურირებდა. მისი მითითებით დაუყოვნებლივ დაიწყო ოპერატიულ ღონისძიებათა მომზადება, რომელიც მიზნად ისახავდა რაიონის იმ თანამდებობის პირთა მხილებას, ვინც დანაშაულებრივად იყო დაკავშირებული ოთარ თენეიშვილთან. ღონისძიებათა მიზანი იყო მათი მეშვეობით რაიკომის პირველ მდივანზე, ხოლო თენეიშვილიდან ხაბეიშვილზე გასვლა.

რაიონში მოულოდნელად განხორციელდა რამდენიმე მსხვილი ობიექტის დალუქვა. დაიწყო ფართომასშტაბიანი შემოწმებები. ცენტრალური აპარატის ხელმძღვანელი მუშაკები მახარაძეში დაბანაკდნენ. ჯგუფის ერთ-ერთი ამოცანა იყო ჩაის ფაბრიკების გაერთიანების გენერალური დირექტორის გოდერძი ბაბილოძის დანაშაულში მხილება და მისი მეშვეობით ოთარ თენეიშვილის დაკავება, თუ იგი გამოძიებას სასურველ ჩვენებას არ მისცემდა.

აღნიშნული ამოცანის შესრულება დიდ სირთულეს არ წარმოადგენდა. მაგრამ ხელმძღვანელობის მიზანი იყო, ყველაფერი განხორციელებულიყო ისე, რომ რაც შეიძლება ნაკლები ფაბრიკა, კოლმეურნეობა თუ საბჭოთა მეურნეობა შემოწმებულიყო, რადგან, როგორც ვთქვი, ეს ნიშნავდა, რომ ამ დანაშაულებრივ სქემაში მოჰყვებოდა მეჩაიით და პუნქტის გამგით დაწყებული კოლმეურნეობის თავმჯდომარით დამთავრებული უამრავი ადამიანი. მიზანი წარმატებით იქნა მიღწეული მხოლოდ სოფელ მახარაძის კოლმეურნეობის, მახარაძის №1 და ნასაკირალის ჩაის ფაბრიკების შემოწმებით. ამან სხვები იხსნა მოსალოდნელი უცილობელი პასუხისმგებლობისაგან.

მოქმედების გეგმა თბილისიდან მოვლინებულ ოპერატიული ჯგუფის ხელმძღვანელთან გენრი პატარაიასთან შეთანხმდა, რომელმაც ნდობა გამომიცხადა. მისი თანადგომა და დახმარება არც მომავალში მომკლებია, რისთვისაც დღემდე მადლიერი ვარ.

სახელმწიფო ქონების დატაცებასა და მექრთამეობაში მხილებული იქნენ სოფელ მახარაძის კოლმეურნეობის, ნასაკირალისა და №1 ჩაის ფაბრიკების პასუხისმგებელი პირები. თავის მხრივ მათ ბაბილოძე დაასახელეს, რადგან იგი ჩაის ფაბრიკების გაერთიანების ხელმძღვანელობასთან ერთად, №1 ჩაის ფაბრიკის დირექტორიც იყო. ხოლო ამ უკანასკნელმა ოთარ თენეიშვილზე მისცა ჩვენება. რაიკომის პირველ მდივანს შემდგომში სხვა მამხილებელნიც გამოუჩნდნენ. მათ შორის მილიციის უფროსი გიგა ჩიტია, რომელმაც დაკავების პირველსავე დღესვე აღიარა 80.000 მანეთის

ქრთამის მიცემის ფაქტი. სასჯელის მოხდის შემდეგ გიგას დიდხანს აღარ უცოცხლია.

უმძიმესი ბრალდებებით დაპატიმრებულმა ოთარ თენეიშვილმა, რომელსაც უშიშროების იზოლატორში ძიების დროს ეუბნებოდნენ, რომ სასჯელის უმაღლესი ზომა – სიკვდილით დასჯა შეეფარდებოდა, თავის მხრივაც „მონანიება“ არჩია და მექრთამეობაში ამხილა ცეკას მდივანი სოლიკო ხაბეიშვილი.

თენეიშვილის მხრიდან ხაბეიშვილზე ქრთამის გადაცემა, სასამართლომ ვერ დაადგინა და ხაბეიშვილს ეს ბრალდება მოეხსნა. „პერესტროიკის“ წლებში ჟურნალ „განთიადში“ გამოქვეყნდა სოლიკო ხაბეიშვილის ჩანაწერები, რომელშიც ვკითხულობთ: „რესპუბლიკის პროკურორმა რაზმაძემ საქართველოს კომპარტიის 27-ე ყრილობას უთხრა, რომ ხაბეიშვილმა 110.000 მანეთი აიღო ქრთამად პარტიის მახარაძის რაიკომის პირველი მდივნის თენეიშვილისაგან. სასამართლოზე გამოვლინდა, რომ თენეიშვილმა განცხადება დაწერა ერთი კვირის შემდეგ, რაც რაზმაძემ ყრილობას ამცნო ჩემი „დაცემის“ შესახებ. ჯერ კიდევ თავის სასამართლოზე აღიარა თენეიშვილმა, რომ გამოძიების დაწოლამ აიძულა ხელი დაედო ჩემთვის“.[3]

თუ ეს ასე იყო, კიდევ უფრო დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ არა ოთარ თენეიშვილის პოლიტიკური სიხისტე, მახარაძის რაიონი ნამდვილად ასცდებოდა უამრავ ოჯახურ უბედურებას.

აქ ალბათ საინტერესო იქნება იმჟამინდელი გენერალური პროკურორის ვახტანგ რაზმაძის მიერ 2005 წელს გამოქვეყნებული ვრცელი წერილი „თქმა მართლისა“[4] ვახსენოთ, რომლითაც ასე თუ ისე გარკვეული წარმოდგენა შეგექმნებათ იმ წლებში ქვეყანაში შექმნილ სიტუაციაზე.

წერილში ცალკეული ფაქტები ძირითადად სწორადაა გადმოცემული, მხედველობაში მაქვს მახარაძის რაიონთან დაკავშირებული ეპიზოდები. თუმცა პათოსი უკიდურესად ტენდენციური და სუბიექტურია. ავტორი დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ რესპუბლიკის პირველი პირიდან დაწყებული, თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა კორუფციის ჭაობში იყვნენ ჩაფლულნი და მხოლოდ ის და გენერალური პროკურატურა იყვნენ სამართლიანობისთვის მებრძოლი ფრთიანი ანგელოზები. ქვეყანაში მაშინ მიმდინარე ყველა უბედურების სათავედ იგი ედუარდ შევარდნაძეს მიიჩნევს და ამას გულმოდგინედ უმტკიცებს „ვარდების რევოლუციის“ გზით მოსულ ხელისუფლების ლიდერს მიხეილ სააკაშვილს, იმ იმედით, რომ მისი მოწყალება და კეთილგანწყობა შეინარჩუნოს. არადა რა დონეზე ყვაოდა კორუფცია და გამოძალვა მისი ხელმძღვანელობისას პროკურატურაში, ჩემზე უკეთ ალბათ კიდევ ბევრს ახსოვს.

---

[3] ჟურნ. „განთიადი“. 1990. №5

[4] ვახტანგ რაზმაძე. „თქმა მართლისა...“ თბ. 2005.

ამ კოშმარული ქარტეხილების შემდეგ, რაიონი ხანგრძლივ შოკში აღმოჩნდა. ცენტრალურმა კომიტეტმა დაუყოვნებლივ განახორციელა საკადრო ცვლილებები. რაიკომის პირველ მდივნად თამაზ კუნჭულია დაინიშნა, მილიციის უფროსად გერმანე თალაკვაძე.

მილიციის ახალი უფროსი ყოველნაირად ცდილობდა ჩემს მეორეხარისხოვან მიმართულებაზე გადაყვანას და ამით რაიონში ჩემი რეპუტაციის დაკნინებას. ასეთ პირობებში ძალზე რთული აღმოჩნდა მუშაობის გაგრძელება და გამოსავალზე ვფიქრობდი, როცა ერთ დღეს გასაუბრებაზე დამიბარა პარტიის რაიონული კომიტეტის პირველმა მდივანმა თამაზ კუნჭულიამ. ხანგრძლივი საუბრის შემდეგ პირველმა მდივანმა ადმინისტრაციული სამსახურის დარგში მილიციის რაიგანყოფილების უფროსის მოადგილის პოსტი შემომთავაზა. შემოთავაზებას დავთანხმდი და მისგან შინაგან საქმეთა სამინისტროში წარსადგენად შესაბამისი წერილობითი შუამდგომლობაც მივიღე. განყოფილებაში დაბრუნებისთანავე გერმანე თალაკვაძეს მოვუყევი რაიკომის მდივნისაგან მიღებული შემოთავაზების შესახებ და თბილისში წასვლაზე თანხმობა ვთხოვე. თალაკვაძემ შუამდგომლობა გამომართვა და მომილოცა კიდეც, თან მითხრა, რომ მეორე დღეს თავად მიდიოდა თბილისში და ამ მიმართვასაც თან წაიღებდა. რა თქმა უნდა დავთანხმდი.

ორი თუ სამი დღის შემდეგ თბილისიდან დაბრუნებულმა თალაკვაძემ თავისთან მიხმო და მისაყვედურა, ეს რა დღეში ჩამაგდე, მინისტრი შოთა გორგოძე აღშფოთდა, როგორ შეიძლება ეს დავუშვათო და კატეგორიული უარი მითხრაო. არც ისე მიამიტი ვიყავი ეს ამბავი ბოლომდე დამეჯერებინა და ერთ ძალიან ახლობელ ადამიანს ფაქტის გადამოწმება ვთხოვე. ორ დღეში მითხრეს, რომ მინისტრისთვის თალაკვაძეს მართლაც შეუტანია პარტიის რაიკომის შუამდგომლობა, მაგრამ უთხოვია ეს დანიშვნა არ დაეშვა. მინისტრიც წინააღმდეგი არ წასულა და უთქვამს საკუთარი შეხედულებისამებრ ემოქმედა.

ჩემთვის უკვე ყველაფერი ნათელი იყო. ასეთ გარემოში მუშაობის გაგრძელებას აზრი აღარ ჰქონდა და მივიღე გადაწყვეტილება რაიონიდან წამოსვლის შესახებ.

ამ გადაწყვეტილებით არცთუ აღფრთოვანებულმა თალაკვაძემ ჩემს განაწყენებულ გაშვებას არჩია მზრუნველი და გულშემატკივარი მეგობრისა და კოლეგის როლი გაეთამაშებინა და გარდაბნის მილიციის განყოფილებაში სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი ქვეგანყოფილების უფროსი ინსპექტორის თანამდებობაზე ჩემს დანიშვნაში განსაკუთრებით „იაქტიურა“.

•

მახარაძის რაიონში ექვსი წელი ვიმუშავე. ამ პერიოდში შევქმენი ოჯახი. 1983 წელს ცოლად შევირთე თბილისელი „იმერელი“ მარინა გაბრიჩიძე.

მარინა სურამში ისვენებდა ბიძასთან. მარიამობის დღესასწაულის წინა დღით ჩემი მოძველებული „ჟიგული“ მეგობარს მერაბ გოგატაძეს დავუტოვე და მისი ახალი შინდისფერი „ჟიგულით“ ჩავედი მარინასთან. მასთან შეხვედრა და სურამში გასეირნება, აფხაზეთში, ოჩამჩირეში დეიდაჩემთან ჩასვლით დასრულდა. მარინამ თბილისში, სახლში დარეკა და დაამშვიდა მშობლები – „გავთხოვდი, არ ინერვიულოთო“. საღამოს ძვირფასი სუფრა გაიშალა და მოლოცვები არ დაგვკლებია. დეიდაშვილმა რაჟდენ როდონაიამ ასე დამლოცა: „ზურაბ ბატონო, აფხაზეთი, სამეგრელო და გურია ხომ ჩვენი იყო და მადლობელი ვართ შენთან, იმერეთიც რომ შემოგვიმტკიცეო“.

რამდენიმე დღეში მახარაძეში დავბრუნდით და მალე საკმაოდ მასშტაბური ქორწილიც გადავიხადეთ, რაც იმ პერიოდში აკრძალული იყო და შესაძლოა ჩემთვის მძიმე შედეგებით დამთავრებულიყო. თუმცა რაიკომის ბიუროზე საკითხის განხილვას და სკკპ რიგებიდან გარიცხვას გადავრჩი.

კომპარტიის წევრად მახარაძის რაიკომის ბიურომ მიმიღო, რადგან თბილისიდან მახარაძეში რომ ჩავედი სამუშაოდ უკვე სკკპ წევრობის კანდიდატი გახლდით. ბიუროზე საკითხის განხილვისას პირველმა მდივანმა ოთარ თენეიშვილმა „ჩამჭრელი“ შეკითხვა დამისვა და მომთხოვა შემეფასებინა რა აზრის ვიყავი ჩემი ქვეგანყოფილების უფროსზე სოსო ქუთათელაძეზე. იმ წამს რაც გავიფიქრე ის იყო, რომ ჩემი კარიერა აქ მთავრდებოდა, მაგრამ პასუხი მგონი სწორად ჩამოვაყალიბე – „ჩემი სამსახურებრივი მდგომარეობა არ მაძლევს ხელმძღვანელის შეფასების საშუალებას მეთქი“. პასუხით აღფრთოვანება ვერავის შევნიშნე, მაგრამ გადამწყვეტი როლი რაიონის უშიშროების უფროსის ირაკლი კოპაძის სიტყვა აღმოჩნდა, რომელმაც მისაღებიაო განაცხადა და საკითხი დადებითად გადაწყდა.

ექვსი წლის განმავლობაში მახარაძეში უამრავი ადამიანი გავიცანი. ბევრი მეგობარი შევიძინე და ბევრსაც გული დავწყვიტე ჩემი წამოსვლით. შეიძლება ითქვას, რომ მახარაძელთა თანადგომისა და სიყვარულის დიდი მარაგი გამომყვა, რაც ჩემი პროფესიის ადამიანისთვის ნამდვილად არ იყო ადვილად მისაღწევი.

1987 წლის ახალ წელს თბილისში შევხვდით. იანვარში დავიწყე მუშაობა გარდაბნის რაიონში, მილიციის მაიორის ჩინით. იმავე წლის 30 აპრილს თამარი შეგვეძინა, ხუთი წლის შემდეგ კი მეორე ქალიშვილი – ქეთევანი.

დამოუკიდებლობის გამოცხადება და სამოქალაქო დაპირისპირება

გარდაბანი აზერბაიჯანული ეროვნების მოსახლეობით მჭიდროდ დასახლებული და სპეციფიკური რაიონია. ის ფაქტი, რომ იგი უშუალოდ დედაქალაქ თბილისს ესაზღვრება, ხოლო რუსთავი გეოგრაფიულად გარდაბნის რაიონის ტერიტორიითაა მთლიანად გარშემორტყმული, რთულს ხდიდა ოპერატიულ სიტუაციას. მახარაძიდან განსხვავებით აქ კიდევ უფრო მეტი სიფრთხილე და მოქნილი მუშაობა იყო საჭირო, რომ ჩემთვის სრულიად უცხო გარემოში დამნაშავეობასთან ბრძოლის პროცესში, რომელიმე კლანის ჩადებულ „ნაღმზე“ არ ავფეთქებულიყავი. რაიონის საწარმოდაწესებულებების მუშაობა მკაცრად კონტროლდებოდა პარტიული და სამართალდამცველი ორგანოების მიერ. უხვად იყო ე. წ. ხელშეუხებელი ზონები, სადაც ზედმეტი ყურადღების გამოჩენაც კი შეიძლება ჩემთვის მძიმე შედეგით დამთავრებულიყო. ამ ლაბირინთებში გარკვევა და „დანაღმულ ველზე“ სვლა გონების მაქსიმალურ დაძაბვას და დიდ ძალისხმევას მოითხოვდა. უშეცდომო არც მე გახლდით, შესაბამისად არც შარი მომკლებია და არც ნერვიულობა.

გარდაბანში გავიცანი ერთი დიდებული პიროვნება, ჩოხატაურელი კაცი, „საქსოფტექნიკის“ რაიონული საწარმოს დირექტორი ხუტა მამალაძე, შემდგომში პარლამენტის წვერი, სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე და დავმეგობრდით კიდეც. გარდაბანში სხვა საამაყო გურულებიც მუშაობდნენ – ჩოხატაურელი ბონდო დოლიძე, ლანჩხუთელი გურამ ფირცხალაიშვილი და ბახველი ნუგზარ ნაკაიძე.

1987 წლიდან საქართველოში ეროვნული მოძრაობის გააქტიურება ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას ციხიდან გამოსვლას უკავშირდება. მათი და სხვა „არაფორმალების ლიდერების“ (ასე მოიხსენიებდნენ მაშინ) ორგანიზებით იმართებოდა მასობრივი მიტინგები და აქციები. ეროვნული მოძრაობის ლიდერები, რომლებიც სარგებლობდნენ კომუნისტური ხელისუფლების შესუსტებული მდგომარეობით, არ ერიდებოდნენ კანონის ჩარჩოებიდან გასვლასაც კი. შეიქმნა არაფორმალური შეიარაღებული ფორმირებები. გახშირდა მილიციის თუ სხვა სახელისუფლებო დაწესებულებების ბლოკირების, იარაღისა და საბრძოლო მასალის გატაცების შემთხვევები.

გორბაჩოვის „პერესტროიკამ“ აკრძალულ თემებს ტაბუ მოხსნა. პრესაში დაიწყო კომუნისტური რეპრესიების, სხვა ტრაგიკული მოვლენების ამსახველი პუბლიკაციების ბეჭდვა. აზრის გამოთქმა აღარ იკრძალებოდა. ადმინისტრაციული ბერკეტებით მართვა შეუძლებელი გახდა. ამ მოვლენებმა, რომელიც ვეღარ მართა საბჭოთა ხელისუფლებამ, სიტუაცია ქაოსური

გახადა. პროცესებს ხელისუფლების ნაცვლად რეალურად ეროვნული მოძრაობის პარტიები და მათი რეგიონული დანაყოფები მართავდნენ.

ხელისუფლების მაღალი რანგის ჩინოვნიკები პრინციპული მოქმედების ნაცვლად ორმაგ თამაშს ეწეოდნენ. მათი აბსოლუტური უმრავლესობა ეროვნულ მოძრაობასთან კეთილგანწყობის შენარჩუნებაზე უფრო ზრუნავდა, ვიდრე თავისი კანონიერი უფლებამოსილების განხორციელებაზე. ეს გასაკვირიც არ იყო, არავინ იცოდა, მოვლენები როგორ განვითარდებოდა. ადამიანები საკუთარ მომავალზე ფიქრობდნენ. ქვეყანა ინერციით განაგრძობდა არსებობას. დაძაბულობამ პიკს 1989 წლის გაზაფხულზე მიაღწია, როცა აფხაზეთში, სოფელ ლიხნში გამართული კრების გამო[5] მასობრივი საპროტესტო აქციები დაიწყო თბილისში, რაც 9 აპრილის სისხლიანი დარბევით დასრულდა.

თბილისში საგანგებო მდგომარეობა და კომენდანტის საათი გამოცხადდა. შინაგან საქმეთა სამინისტროდან მიღებული ბრძანების შესაბამისად, გარდაბნიდან დედაქალაქში მიმავლინეს. თბილისის მილიციის სამმართველოში ორი ასეული შეიქმნა, რომელსაც კომენდანტის საათის პირობებში, სამხედრო ნაწილებთან ერთად უნდა ემოქმედა. ერთ-ერთი ასეულის ხელმძღვანელობა მე დამევალა.

იმ ღამეს ოპერატიული შემოვლისას ვნახე მკვდარი თბილისი. ქუჩები სავსე იყო კბილებამდე შეიარაღებული სამხედროებით, ჯავშანტექნიკით და მაწანწალა ძაღლებით. იდგა სულის შემძვრელი სიბნელე და სამარისებური სიჩუმე. მადლობა ღმერთს, რომ ეს კოშმარი მალე დასრულდა.

1990 წლის 28 ოქტომბრის მრავალპარტიულ არჩევნებში დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა საარჩევნო ბლოკმა „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“. უზენაესი საბჭოს პირველ სესიაზე ბლოკის ლიდერი ზვიად გამსახურდია უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს. 1990 წლის 22 ნოემბრიდან შინაგან საქმეთა მინისტრი დილარ ხაბულიანი გახდა. 1991 წლის იანვარში კი ცხინვალში საომარი მოქმედებები დაიწყო. საქართველოს მხრიდან მასში ძირითადად არაფორმალური შეიარაღებული ფორმირებები და შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფები ჩაებნენ. კოლეგებთან ერთად ამ ბრძოლებში რამდენიმე დღით მეც ვმონაწილეობდი.

გარდაბნის რაიგანყოფილების დანაყოფი დისლოცირებული იყო ცხინვალში, ყოფილი საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს შენობაში. ჩვენი იქ ყოფნის დროს ნაღმზე აფეთქდნენ და დაიღუპნენ გამომძიებლები თენგიზ ჭიპაშვილი და ედუარდ ქირია. დაიჭრნენ და სიკვდილს სასწაულებრივად გადაურჩნენ მერაბ დოლიძე, თემურ აბულაშვილი და პაატა

[5] 1989 წ. 18 მარტს გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნში გამართულ კრებაზე აფხაზებმა საქართველოდან გამოყოფა და პოლიტიკური და ეკონომიკური სუვერენიტეტი მოითხოვეს. წერილს ავტონომიური რესპუბლიკის პირველი პირებიც აწერდნენ ხელს.

ტაბატაძე. სნაიპერის ტყვიამ იმსხვერპლა ჩემი მეგობარი და კოლეგა ჯერ კიდევ მახარაძეში მუშაობის პერიოდიდან, სამტრედიის რაიგანყოფილების უფროსი ტარიელ კოპალეიშვილი.

შეტაკებები და სისხლისღვრა წელიწადზე მეტ ხანს გაგრძელდა და 1992 წლის ივლისში დასრულდა. საქმეში რუსეთის ე. წ. სამშვიდობო ძალები ჩაერთნენ. მოხდა მხარეთა დაშორიშორება და პრაქტიკულად ცხინვალის მხარე საქართველოს მოსწყდა.

ცხინვალიდან დაბრუნებული 1991 წლის თებერვალში გარდაბნის რაიონული განყოფილების სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის ქვეგანყოფილების უფროსად დავინიშნე. თუმცა საკუთრების დატაცების წინააღმდეგ საბრძოლველად ვისღა ეცალა. სიტუაცია დღითიდღე რთულდებოდა. შინაგან საქმეთა დანაყოფებში მომუშავე კომპარტიის წევრებმა მიღებული დირექტივის შესაბამისად უარი ვთქვით პარტიის წევრობაზე და ბილეთები ორგანიზებულად ჩავაბარეთ.

რაიონულ დანაყოფში, რომელსაც იმჟამად თბილისის „დინამოს“ ყოფილი ფეხბურთელი გურამ პეტრიაშვილი ხელმძღვანელობდა, მუშაობის გაგრძელების აზრს ვეღარ ვხედავდი; ვეღარ ვახდენდი ჩემი შესაძლებლობების რეალიზებას, თანაც თითქმის სრულიად მოვწყდი ოჯახს და ამიტომ გადაწყვეტილებაც მალევე მივიღე.

1991 წლის მაისში, საპრეზიდენტო არჩევნებში ზვიად გამსახურდიას გამარჯვებიდან რამდენიმე დღეში, სამინისტროს ცენტრალურ აპარატში დავინიშნე ეკონომიკურ დანაშაულთან და საბოტაჟთან მებრძოლი სამმართველოს უფროსი ოპერრწმუნებულის თანამდებობაზე. განყოფილებას ზურაბ ურუტაძე და კახა თარგამაძე ხელმძღვანელობდნენ, სამმართველოს კი ჯემალ ჯიქურაული. ზურასა და კახასთან ხანგრძლივი სამსახურებრივი და მეგობრული დამოკიდებულება მქონდა. ერთ წელიწადში ამავე განყოფილებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა უფროს ინსპექტორად დამაწინაურეს და ვიცე-პოლკოვნიკის ჩინიც მიბოძეს.

1991 წლის დეკემბერში, რუსთაველზე, მთავრობის სახლთან შეიარაღებული დაპირისპირება დაიწყო. რამდენიმედღიანი ბრძოლები ზვიად გამსახურდიას მთავრობის გაქცევითა და სახელმწიფო საბჭოს ხელისუფლებაში მოსვლით დასრულდა. არ ვიცი როგორ შეაფასებს ამ მოვლენებს ისტორია. ჩემთვის ეს იყო შეიარაღებული გზით სახელმწიფო გადატრიალების კლასიკური ნიმუში. მალე ქვეყანა სამოქალაქო დაპირისპირებასა და ანარქიაში გაეხვა.

მთავრობის სახლთან ომი მიმდინარეობდა, მაგრამ შესვლა ჯერ კიდევ იყო შესაძლებელი. კვირა დღე იყო. იმ დღეს სამინისტროში რატომღაც ჩემი სიმამრის „ВАЗ-2103“ ავტომანქანით მივედი. მინისტრის მოადგილემ გურამ ჩაჩიბაიამ მიხმო. გურამს ახლოს ვიცნობდი ჯერ კიდევ მახარაძის რაიონში მუშაობის პერიოდიდან. რამდენჯერმე ჩემთან სოფელშიც იყო

ნამყოფი. მცირე ურთიერთმოკითხვის შემდეგ დაინტერესდა, ავტომანქანით ვიყავი თუ არა. ჩემი პასუხის მოსმენის შემდეგ მითხრა რომ მთავრობის სახლში უნდა წავსულიყავით. ამ შემოთავაზებით, რა თქმა უნდა, დიდად ნასიამოვნები არ დავრჩენილვარ, მაგრამ უარს ხომ არ ვეტყოდი. იგი წინ ჩამიჯდა, ხოლო უკან ჩვენი კიდევ ორი თანამშრომელი, რომელთა ვინაობაც (ერთ-ერთი მგონი ჩემი თანაკურსელი სულიკო ასაშვილი იყო) აღარ მახსოვს. მთაწმინდის მხრიდან ჩიტაძის ქუჩით დავეშვი და მთავრობის სახლში მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის მხრიდან არსებული ალაყაფის კარიდან შევედით. ორმხრივი „გახურებული“ სროლა მიდიოდა. გურამი და ჩემი კოლეგები ავტომანქანიდან ჩამოვიდნენ, ხოლო მე იქვე მოედანზე მოვბრუნდი და ამ დროს დაიქუხა. დღესაც არ ვიცი რა ესროლეს ან რა მოხვდა სასახლის კედლებს, მაგრამ ისეთი საშინელი ხმა გამოსცა, გეგონებოდათ, ყველაფერი დაინგრაო. გურამი უკან შემობრუნდა მანქანაში და დაიყვირა „წავედითო“. მანქანა დავძარი და სასახლიდან გამოსვლისას თანმხლები ბიჭებიც ჩამიხტნენ მანქანაში. ისევ ჩიტაძეს ავუყევი. მანქანაში სიჩუმეა, არავინ არაფერს არ ამბობს. ასე ჩამოვედი მეტეხის ხიდთან და სიჩუმე გურამმა დაარღვია: „ხოხ, აქ რა ქნა და იქ რას იზამდა, ბიჭო“, ჩაილაპარაკა მეგრული აქცენტით.

ვიცინოდით, მაგრამ საქმე სულაც არ იყო სასაცილოდ. ნათელი იყო, რომ ქვეყანა დიდ სამოქალაქო დაპირისპირებას ველარ გადაურჩებოდა. ეს დაპირისპირება სახელმწიფო საბჭოსა და ზვიად გამსახურდიას მომხრეებს შორის შემდგომში განსაკუთრებით მწვავე ხასიათს ატარებდა თბილისსა და სამეგრელოს რეგიონებში. გახშირდა მშვიდობიანი აქციების დახვრეტა და დარბევა, იყო მსხვერპლი. უკიდურესად გართულდა კრიმინოგენური სიტუაცია. შეიარაღებული ბანდების თარეში, ძარცვა-ყაჩაღობა, ადამიანების გატაცება ყოველდღიური ცხოვრების წესად იქცა.

ამ ურთულეს სიტუაციაში სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილებით, 1992 წლის მარტში საქართველოში დაბრუნდა და სახელმწიფო საბჭოს სათავეში ჩაუდგა ედუარდ შევარდნაძე.

ბატონ ედუარდის საქართველოში ჩამოსაყვანად მოსკოვში სპეციალური თვითმფრინავი გაფრინდა. არ ვიცი ვინ გადაწყვიტა ან რატომ, მაგრამ ამ თვითმფრინავით თბილისიდან გავემგზავრეთ სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი შსს, უშიშროებისა და პროკურატურის 100-მდე თანამშრომელი. მათ რიცხვში მეც ვიყავი.

თვითმფრინავი მოსკოვის აეროდრომზე დაეშვა. მალე ტრაპზე ამობრძანდა ბატონი ედუარდი, მეუღლესთან და პირადი დაცვის თანამშრომლებთან ერთად, რომელთაც ცნობილი მოჭიდავე მიხეილ მამიაშვილი მოუძღოდა. თბილისში მშვიდობით დავბრუნდით, ისე რომ მოსკოვის მიწაზე ფეხიც არ დაგვიდგამს.

მდგომარეობა უფრო და უფრო რთულდებოდა. პრაქტიკულად დანარჩენ საქართველოს მოსწყდა სამეგრელო-აფხაზეთის რეგიონი, კიდევ უფრო

დამძიმდა კრიმინოგენური სიტუაცია. უმოწყალოდ იძარცვებოდა სურსათითა და სასიცოცხლოდ აუცილებელი ტვირთებით დასავლეთიდან (აფხაზეთი) მოძრავი ეშელონები, რომლებიც აზერბაიჯანისა და სომხეთის მიმართულებით მიემართებოდნენ. იზრდებოდა ქვეყნის დავალიანება მეზობელი რესპუბლიკების მიმართ, რომლებიც სამართლიანად გვთხოვდნენ წესრიგის აღდგენას.

ზედიზედ მოხდა სამეგრელოში მოლაპარაკების მიზნით ჩასული მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეების – სანდრო კავსაძის და გია ყარყარაშვილის გატაცება. 11 აგვისტოს კი ზუგდიდში ჩასული შინაგან საქმეთა მინისტრი რომან გვენცაძე და მისი თანმხლები პირები გაიტაცეს და აფხაზეთში გადაიყვანეს.

1992 წლის 14 აგვისტოს დილის 7 საათზე, სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილებით, კომუნიკაციების დაცვის, რკინიგზის მონაკვეთებზე ეშელონების ძარცვის აღკვეთის მოტივით, შინაგანი ჯარების კოლონამ აფხაზეთის საზღვარი გადაკვეთა. მათთან ერთად იმყოფებოდა თენგიზ კიტოვანის გვარდია და „მხედრიონი“. ენგურს გაღმა გადავიდა დავით ზეიკიძეც, თბილისის პოლიციის დანაყოფთან ერთად, შინაგან საქმეთა მინისტრის რომან გვენცაძის განთავისუფლების მოტივით.

პირველი შეტაკებები აფხაზ სეპარატისტებთან ოჩამჩირის რაიონის სოფელ ოხურეისთან და წითელ ხიდთან მოხდა, რითაც ძმათა მკვლელი ომი დაიწყო. ეს იყო 1989 წლის მარტში მიღებული ლიხნის დეკლარაციის ნაყოფი.

აფხაზ სეპარატისტთა მხარეს საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლებში მაშინვე ჩაერთო ჩრდილო კავკასია, შამილ ბასაევის დანაყოფები, ყუბანის და დნეპრისპირეთის კაზაკები და სხვა ფორმირებები, რაღა თქმა უნდა, რუსეთის ხელისუფლების ნებითა და მხარდაჭერით.

ხანგრძლივი და სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ 1993 წლის 27 ივლისს სოჭში ხელმოწერილი შეთანხმების შესაბამისად ცეცხლი შეწყვეტილ იქნა და ფაქტობრივად დაიწყო ქართული მხარის განიარაღება.

სექტემბრის ბოლოს აფხაზური დანაყოფების მოულოდნელი მასობრივი შეტევების შედეგად 27-ში სოხუმი დაეცა; 30-ში კი ისინი ენგურზე იდგნენ. ასე დავკარგეთ აფხაზეთი. მივიღეთ 300.000 ლტოლვილი და დეკემბერში საბოლოოდ დანგრევისა და სახელმწიფოებრიობის დაკარგვის შიშით, ჩვენ თვითონვე ვითხოვეთ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში (დსთ) შესვლა.

ძმათამკვლელ ომში მონაწილეობა არ მიმიღია. მხედველობაში მაქვს საომარი მოქმედებები. ვფიქრობ, რომ დედით აფხაზს (შერვაშიძე) და მამით ქართველს არანაირი უფლება არ გამაჩნდა ტყვია გამესროლა. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ორივე მხარეს პოლიტიკური ამბიციებით გონ-

ებადახშული ადამიანები იმეტებდნენ ერთმანეთს პირადი ინტერესებიდან გამომდინარე. მაშინაც და ახლაც მჯეროდა და დარწმუნებული ვარ, რომ ეს კონფლიქტი მსოფლიოში იმ დროს მიმდინარე ახალი წესრიგის დამკვიდრების კონტექსტში მოხდა. ეს არანაირად არ იყო არც აფხაზი და არც ქართველი ხალხის ნება. დაიწყო ლიხნის წერილით და 9 აპრილით, გაღრმავდა ცხინვალით და დასრულდა აფხაზეთით.

ვინ მოიგო ამ ყველაფრით? ვფიქრობ, რომ მოიგო დასავლეთმა, რომლის ინტერესებში იყო ჩვენი რუსეთთან სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირება, რაც მიღწეული იქნა წარმატებით.

საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ერთი ინტერვიუდან ფრაგმენტი მინდა მოვიყვანო. ჟურნალისტ თემურ ქორიძეს შევარდნაძემ იქვე სთხოვა, რომ ეს ინტერვიუ მისი გარდაცვალების შემდეგ გამოექვეყნებინა:

> **„ედუარდ შევარდნაძე:** მართალია, აფხაზეთის ომი წავაგეთ – ოდესმე ამაში დამნაშავე ავანტიურისტების ვინაობაც გაირკვევა – მაგრამ, რაც მთავარია, საქართველოს სახელმწიფოებრიობა, ქვეყნის განვითარების და მომავლის იმედი შევინარჩუნეთ.
>
> საქართველოს ხელისუფლებებს ყველა ეპოქაში, ასე ვთქვათ, ბეწვის ხიდზე სიარული უწევდა – ბიზანტია, ირანი, არაბთა სახალიფო, ოსმალეთი, რუსეთი, ჩრდილო-კავკასიური ტომები... გამონაკლისი არც გასული საუკუნის 90-იანი წლები ყოფილა. ჩვენ როგორმე ისე უნდა გაგვევლო დასავლეთის სამყაროსა და რუსეთს შორის გადებული ხიდი, რომ უფსკრულში არ გადავჩეხილიყავით. კი ბატონო, კარგია, როგორც უყვართ თქმა, – დასავლური ღირებულებებისადმი ჩვენი სწრაფვა, – მაგრამ რუსეთის ფაქტორის გაუთვალისწინებლობა დამღუპველია. ეს ყველამ იცის, ყველამ, მაგრამ რუსეთის გინება და გულზე მუშტების ბაგუნი უფრო მომგებიანია პოლიტიკაში თავის გამოსაჩენად. 1998 წლის ბოლომდე დასავლეთის ინტერესი და დახმარება საქართველოსადმი სიმბოლური იყო. ქვეყანაში ვითარების სტაბილიზაციის შემდეგ მათ საქართველოში აშკარად პროდასავლური და ამავე დროს ანტირუსული ძალა სჭირდებოდათ. ჩემი ხელისუფლებაში ყოფნა არც რუსეთს აწყობდა – კრემლს შევარდნაძე დღესაც საბჭოთა იმპერიის დამანგრევლად და მოსისხლე მტრად მიაჩნია. მე კი არ დავანგრიე, კაცო, მსოფლიო სოციალისტური სისტემა და საბჭოთა კავშირი, ისტორიამ დაანგრია. მე, უბრალოდ, ამ მოვლენებთან ახლოს აღმოვჩნდი და ხელი არ შემიშლია... რუსეთი ძალიან საშიში პარტნიორია. საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე, მე ორ ძალას შორის ლავირება ვცადე, რაც, ჩემი აზრით, საქართველოს რეალურ დამოუკიდებლობამდე მიგვიყვანდა. ეს არც ერთ მხარეს არ აწყობდა. ამიტომაც მომიშორეს. თანაც, ასაკი...“[6]

---

[6] თეიმურაზ ქორიძე. „დიდი მეორე“ – უკანასკნელი ქართველი მსოფლიო პოლიტიკაში! საუბარი ედუარდ შევარდნაძესთან. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. 1 ივლისი. 2015

ბანდიტური ეპოპეა გურიაში

90-იანების სამოქალაქო დაპირისპირების ეპოქაში განსაკუთრებულად რთული ვითარება შეიქმნა გურიის რეგიონში და ეს უპირველესად კრიმინოგენური სიტუაციის აფეთქებას უკავშირდებოდა. ათეულობით ბანდფორმირება ჩამოყალიბდა. მოსახლეობა სრულიად დაუცველი გახდა. დაუცველი იყვნენ სამართალდამცავი ორგანოს მუშაკებიც.

1993 წლის 11 ოქტომბერს შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე დაინიშნა მილიციის გენერალ-ლეიტენანტი შოთა კვირაია. ბატონ შოთას საკმაოდ კარგად ვიცნობდი 80-იანი წლებიდან, როდესაც იგი აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროდან თბილისში გადმოიყვანეს სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველოს უფროს ოპერრწმუნებულად. განვლილ ათ წელში მან მოასწრო მაღალ თანამდებობებზე ემუშავა სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატში და საქართველოში 1992 წელს დაბრუნდა, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის რანგში.

ქვეყანაში შექმნილი იყო უაღრესად რთული პოლიტიკური და კრიმინოგენური სიტუაცია. მოქმედებდა უამრავი კანონიერი თუ უკანონო შეიარაღებული ფორმირება და ე. წ. საძმოები, რომლებიც არნახული სისასტიკით ეწეოდნენ მოსახლეობის ძარცვასა და ყაჩაღობას, მკვლელობებსა და ადამიანის გატაცებებს ფულის გამოძალვის მიზნით. ამ ფორმირებათა აბსოლუტურ კონტროლს დაექვემდებარა საქართველოს ცალკეული რეგიონები და ეკონომიკის სფეროები. ურთულეს სიტუაციაში საქართველოს პოლიციამ საკუთარ თავში მაინც მოძებნა იმის ძალა, რომ გადაერჩინა თავისი რიგების ერთიანობა, ღირსეული საბრძოლო ტრადიციები, ავტორიტეტი და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოეცხადებინა აღზევებულ კრიმინალურ სამყაროსთან და მათ ლიდერებთან.

ამ მხრივ პირველი ნაბიჯი იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, 1993–1995 წწ. შოთა კვირაიას ხელმძღვანელობით განხორციელებული ფართომასშტაბიანი ოპერაციები, რომელსაც წმინდა ოპერატიულთან ერთად, უფრო მეტად ფსიქოლოგიური დატვირთვა ჰქონდა. მოსახლეობამ ირწმუნა, რომ პოლიციის სახით ქვეყანას უკვე ჰყავს ღირსეული ძალა, რომელიც მას დაიხსნის დამნაშავეთა სამყაროსგან; კრიმინალურმა სამყარომ კი დაინახა, რომ პოლიცია, რომელსაც გუშინ აბუჩად იგდებდა, დღეს თუ ხვალ მათ გავლენებს შეასუსტებდა.

„რაუნდების“ მომზადება და დაგეგმვა შს სამინისტროში სპეციალურად შექმნილი შტაბის მიერ სრულიად საიდუმლო ვითარებაში ხორციელდებოდა და ეყრდნობოდა თავმოყრილი ზღვა ოპერატიული მასალის მაღალპროფესიულად განხორციელებულ ანალიზს.

მკითხველისთვის ალბათ საინტერესო იქნებოდა „რაუნდების“ მომზადებისა და შედეგების გაცნობა. მაგრამ, ეს ზღვა მასალა დამერწმუნეთ, ცალკე საუბრის თემაა და მასზე უპრიანი იქნება ისაუბროს ამ ღონისძიებათა ერთ-ერთმა შემოქმედმა, თადარიგის პოლკოვნიკმა ბატონმა უშანგი მგელაძემ, თუკი ის, რა თქმა უნდა, ამას მოისურვებს.

ცალკეული ოპერატიული ღონისძიებები მძიმე კრიმინოგენურ სურათს ვერ ცვლიდა, მათ შორის გურიაში. ამ წლებში ოზურგეთში რამდენჯერმე შეიცვალა შს რაიგანყოფილების უფროსი. მოგვიანებით გურიის სამხარეო სამმართველო შეიქმნა, რომელსაც პოლკოვნიკი გენადი გიორგაძე ხელმძღვანელობდა.

1995 წლის 23 ნოემბერს, გიორგობის დღეს, შემზარავი ამბავი შევიტყვეთ – გენადი გიორგაძე გარდაიცვალა. გენოსთან ხანგრძლივი მეგობრობა მაკავშირებდა ჯერ კიდევ მახარაძის რაიონში ერთად მუშაობის პერიოდიდან. საშინლად განვიცადე მისი გარდაცვალება. გენადი სამინისტროს შენობიდან მხედრული პატივით გააცილეს.

ჩვენი საერთო მეგობრის, ჟურნალისტ ეთერ ქადეიშვილის წიგნში „კაცი ორი სახელით“, რომელიც გენადისადმი განუზომელი სიყვარულითაა მიძღვნილი, საქართველოს შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი, გენერალ-ლეიტენანტი კახა თარგამაძე იგონებს:

> „ჩვენ არ ვიყავით შემთხვევით ნაცნობები. ერთმანეთს ბავშვობაში შევხვდით. ურთიერთობა ახალგაზრდობაშიც გავაგრძელეთ და მერე სამსახურმაც დაგვაკავშირა ერთმანეთს. ამიტომ თამამად შემიძლია ვთქვა: ჩვენ მეგობრები ვიყავით!
>
> არასოდეს გვიმუშავია ერთ დანაყოფში, მაგრამ საერთო საქმეს ვემსახურებოდით. ვიცოდი, როგორი გზით იარა. ამიტომ, როცა გურიის რეგიონში პოლიციის სამმართველოს უფროსის კანდიდატურის შერჩევაზე ვმსჯელობდით, ერთ-ერთმა მე მივეცი რეკომენდაცია მას. მეტსაც გეტყვით – სამინისტროში ვაპირებდი საკმაოდ დიდ თანამდებობაზე მის გადმოყვანას, მაგრამ ჩვენზე ჩქარი აღმოჩნდა სიკვდილი!
>
> ურთულეს ვითარებაში ჩაიბარა გურიის მხარე. თითქმის არაფერი ფუნქციონირებდა. თარეშობდნენ და ბოგინობდნენ ყაჩაღთა ბანდები.
>
> იცოდა ძნელ საქმეს რომ შეეჭიდა, მაგრამ ღირსეულადაც გაართვა თავი.
>
> ძალიან ლამაზი თვისებების პიროვნება იყო. დიდ მოფერებას იმსახურებდა. მე არ შემხვედრია ვინმე მასზე აუგი კი არა, საყვედური ეთქვა.
>
> რაღაც სხვაგვარი დამოკიდებულება ჰქონდა ადამიანთა მიმართ. კოლეგების აღიარებაც იცოდა და დაფასებაც. არც უფროს-უმცროსობაში შეშლია რამე.
>
> რა დამავიწყებს ჩვენს ბოლო შეხვედრას. პრეზიდენტს ირჩევდა საქართველო. ქვეყნისთვის მთავარი წესრიგი და სიმშვიდე იყო.

მაშინ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის დეპარტამენტს ვხელმძღვანელობდი. მე და ჩემი მოადგილე ზურაბ ჩხაიძე გურიაში ჩავედით.

შევხვდი გენოს, ვიცოდი რომ ავადმყოფობდა (თვეების წინ, თათბირზე თითქმის ჩვენს თვალწინ მოკვდა), ჯანმრთელობა გამოვკითხე.

გაიცინა, – მაგასაც მალე მივხედავო!

ძალიან უხდებოდა სიცილი. თვალებში ნათელი ჩაუდგებოდა ხოლმე.

მუშაობის შედეგი თვალნათლივ იგრძნობოდა. არც ერთ რაიონში არ დარღვეულა წესრიგი. ყველგან ასწრებდა და ახერხებდა წასვლას.

ყველაფერი კარგად რომ დამთავრდა, ზურაბმა ბახვში, მამაპაპისეულ სახლში მიგვიპატიჟა. სუფრასთან ერთად ვისხედით მე და გენადი. საჭმელს თითქმის არ გაჰკარებია. საქართველოს სადღეგრძელო დიდი გრძნობით თქვა და დალია.

ადრე საოცარი ეშხით მიუჯდებოდა სუფრას. ვიგრძენი, უჭირდა. სად ჰქონდა ამდენი თავშეკავება?

ალბათ რაღაც ჩვენც დავაკელით. დიახ ასეა, მაგრამ რომ ამბობენ, ურემი რომ გადაბრუნდებაო...

არც მას უცდია გამოჯანმრთელების გზაზე დადგომა. მისთვის მთავარზე მთავარი სამსახური იყო!

ბახვში ჩვენი ამ შეხვედრიდან ოციოდე დღეში გარდაიცვალა.

ხშირად არის, გვყავს გვერდით საოცარი პიროვნება და ვერ ვამჩნევთ! გენადი არავის დარჩენია შეუმჩნეველი. ხშირად მაგალითად ვასახელებდით მის თვისებებს.

პატიოსნების ეტალონად მიიჩნევდნენ. მაგრამ მაინც სხვაგვარი დავინახეთ, როცა მის პატარა, ერთოთახიან ბინაში გამოსათხოვრად მივედით.

მართლაც როგორ პირობებში ცხოვრობდა, მაგრამ ცხოვრობდა ლამაზად, შინაარსიანად და შთამბეჭდავად! უსპეტაკესი, უპატიოსნესი! – ისმოდა მის შესახებ.

ამიტომაც მოუწყვეს საოცარი გაცილება. მიყვებოდა კატაფალკას ესკორტი. იყო ნელი სვლა სამინისტროდან საკმაოდ შორს, ძმათა სასაფლაოსკენ.

სინდისს და პატიოსნებას, ქართული პოლიციელის ღირსებას და ნამუსს სევდით მიჰყვებოდა საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოსულნი...

ეს იყო პროფესიონალი პოლიციელის, თავდადებული პიროვნების, უზადო კაცის ნამდვილი დაფასება.

საოცრად უპრეტენზიო იყო ამქვეყნად და დიდი პატივით გააცილეს სამუდამო სასუფეველში. ეს იმიტომ, რომ გენადი გიორგაძე იყო კაცი, რომელმაც იცოდა, სად უნდა მდგარიყო და სად იდგა!

მართლაც იშვიათია ასეთი ადამიანები!“.

გენადი გიორგაძის გარდაცვალების შემდეგ გურიის რეგიონში შექმნილი უმძიმესი კრიმინოგენური სიტუაცია კიდევ უფრო დაიძაბა. სამინისტროს ხელმძღვანელობამ, მხარეში პრეზიდენტის რწმუნებულთან მიხეილ ჭკუასელთან შეთანხმებით, მიიღო გადაწყვეტილება სამხარეო სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე პოლიციის პოლკოვნიკი ბორის ბახტაძე დაენიშნათ. ბახტაძე მაშინ იმერეთის რეგიონში მუშაობდა. ჩემთვის ეს გადაწყვეტილება მოგვიანებით გახდა ცნობილი. გულიც დამწყდა, რომ ამ მხარის კურატორს არც კი მკითხეს აზრი. მაგრამ წყენა არ გამომიხატავს და გადაწყვეტილებას შევეცადე გაგებით მოვკიდებოდი, მით უფრო ადგილობრივი კადრები პრაქტიკულად არც იძლეოდა არჩევანის საშუალებას. პოლიცია კადრებით სანახევროდ დასაკომპლექტებელი იყო და იქ მუშაობის სურვილსაც არავინ გამოხატავდა.

ბატონი ბორისი ენერგიულად შეუდგა მუშაობას და სამხარეო დანაყოფების საპასუხისმგებლო თანამდებობებზე კადრები ძირითადად იმერეთიდან გადმოიყვანა. უცნაური და უხერხული სიტუაცია შეიქმნა. მდგომარეობის გაუმჯობესების ნაცვლად გურიის სამმართველოს აპარატსა და მასზე დაქვემდებარებულ დანაყოფთა ხელმძღვანელებს შორის ურთიერთობა მკვეთრად დაიძაბა, განსაკუთრებით კი ოზურგეთის განყოფილების უფროსს ვიქტორ გობრონიძესა და ბორის ბახტაძის გუნდს შორის. იყო ურთიერთგადაბრალების და ხელმძღვანელობისადმი დაუმორჩილებლობის ფაქტები. ადგილობრივი პრესა აშკარად არ სწყალობდა სამხარეო სამმართველოს ხელმძღვანელობას და რატომღაც მათ მფარველად მე წარმომაჩენდა. სახეზე იყო კარგად დაგეგმილი მუშაობა პოლიციის რეგიონული ხელმძღვანელობის წინააღმდეგ, რომელიც არსებულ უფსკრულს კიდევ უფრო აღრმავებდა.

1996 წლის 11 ოქტომბერს, დაახლოებით 02 საათზე, ოზურგეთის რაიონის სოფელ ბაღდადში ავტომატური იარაღითა და ხელყუმბარებით შეიარაღებული ძებნილი გაგნიძის ჯგუფი თავს დაესხა ოზურგეთის შს რაიგანყოფილების ოპერატიულ ჯგუფს. ორმხრივი სროლის დროს მიღებული ჭრილობების შედეგად დაიღუპა პოლიციის სერჟანტი ნუგზარ შალიკავა, მსუბუქად დაიჭრნენ ოზურგეთის კრიმინალური პოლიციის უფროსი, პოლიციის მაიორი ოთარ წიტაიშვილი, კაპიტანი ვალერი ფიდანიანი, უმცროსი ლეიტენანტი ზაზა ზურაბიშვილი და კინოლოგი გოჩა ჩანქსელიანი.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით დაუყოვნებლივ მიმავლინეს რეგიონში. უნდა გავცნობოდი და შემესწავლა განვლილ 9 თვეში გაწეული საქმიანობა, მძიმე კატეგორიის გაუხსნელ საქმეებზე მუშაობის და მიმალვაში მყოფი ბოროტმოქმედების ძებნის მდგომარეობა. შექმნილი ვითარება მძიმე იყო და დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით, შევეცადე ობიექტურად ამესახა იგი მინისტრისათვის წარდგენილ პატაკში:

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს, პოლიციის
გენერალ-ლეიტენანტს ბატონ **კ. თარგამაძეს**

კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის,
ორგანიზებულ დანაშაულთან და კორუფციასთან ბრძოლის
მთავარი სამმართველოს უფროსის, პოლიციის პოლკოვნიკის **ა. ჩხაიძის**

პატაკი

მოგახსენებთ, რომ თქვენი განკარგულების თანახმად, მიმდინარე წლის 15-16 ოქტომბერს მივლინებით ვიმყოფებოდი გურიის რეგიონში. მივლინების მიზანს წარმოადგენდა მხარის პოლიციის ორგანოების მიერ განვლილ 9 თვეში გაწეული საქმიანობის შეჯამება, ამასთან ერთად მძიმე კატეგორიის გაუხსნელ სისხლის სამართლის საქმეებზე და მიმალვაში მყოფ ბოროტმოქმედთა ძებნის მიზნით მიმდინარე მუშაობის მოსმენა.

უპირველეს ყოვლისა სამხარეო სამმართველოს ხელმძღვანელობასთან შეხვედრისას დეტალურად განვიხილე 11 ოქტომბერს ოზურგეთის რაიონის სოფ. ბაღდადში მომხდარი ფაქტი, რომლის დროსაც ძებნილ ილია გაგნიძის ჯგუფთან შეტაკებისას დაიღუპა რაიგანყოფილების პოლიციელი ნუგზარ შალიკავა, მსუბუქად დაიჭრა კიდევ სამი თანამშრომელი, ხოლო ბოროტმოქმედთა ჯგუფმა მოახერხა მიმალვა.

შევისწავლე აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით სამხარეო სამმართველოში ჩატარებული სამსახურებრივი მოკვლევის მასალები და გავეცანი გაუხსნელ მკვლელობებზე და მძიმე დანაშაულებისათვის ძებნილ პირთა დაკავების მიზნით გაწეული მუშაობის შემოწმების მასალებს, რომლებიც შედგენილია სამხარეო სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსის მიერ.

შესწავლის შედეგებიდან გამომდინარე აღსანიშნავია, რომ ყველა ამ მიმართულებით განსაკუთრებით საგანგაშო მდგომარეობაა შექმნილი ოზურგეთის შს რაიგანყოფილებაში, სადაც ოპერატიული მუშაობა ფაქტობრივად ჩაშლილია და თვითდინებაზეა მიშვებული. განყოფილების ხელმძღვანელობა ამ მიმართულებით მდგომარეობის გამოსწორების მიზნით არავითარ ღონისძიებებს არ ატარებს. ოპერატიულ-სამძებრო და სამძებრო საქმეები ნაწარმოებია უკიდურესად უხარისხოდ, მოქმედი ბრძანებებისა და ნორმატიული აქტების მოთხოვნათა დარღვევით, ხშირად ფორმალურად, რაც განაპირობებს კიდევაც იმ ფაქტს, რომ უმძიმეს დანაშაულებზე ძებნილთა ჯგუფები ხანგრძლივი დროის განმავლობაში დაუსჯელად მოქმედებენ რაიონის ტერიტორიაზე, სისტემატურად ახორციელებენ შეიარაღებულ ყაჩაღურ თავდასხმებს და მოსახლეობა ტერორიზებული ჰყავთ.

კურიოზია, მაგრამ ფაქტია, რომ ძებნილ ი. გაგნიძეზე, რომელსაც უამრავი დანაშაული აქვს ჩადენილი, სამძებრო საქმე შეიქმნა 8 თვის დაგვიანებით. ამ პერიოდში მან შეირთო ცოლი, გადაიხადა ქორწილი და ფაქტობრივად არ ტოვებს საცხოვრებელ ტერიტორიას.

რაიგანყოფილების კრიმინალური პოლიციის უფროსს დაწერილი აქვს პატაკი სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ, სისხლის სამართლის სამძებროში ვაკანტურია უფროსისა და ორი უფროსი ინსპექტორის თანამდებობა. ხოლო ინსპექტორთა შემადგენლობა გამოუცდელია 1-2 წლის მუშაობის სტაჟითა და უმცროსი ლეიტენანტის ჩინით. საჭიროა დაოსტატებისა და პროფესიონალური დონის ამაღლების მიზნით მათთან სისტემატური მუშაობა, რაც არ წარმოებს და არც შეიძლება წარმოებდეს.

პრეზიდენტის რწმუნებულთან ჩატარებული 9 თვის შედეგების განხილვისას სამხარეო სამმართველოს ხელმძღვანელებმა პირდაპირ აღნიშნეს, რომ ოზურგეთის რაიგანყოფილება არ ემორჩილება სამხარეო სამმართველოს და რომ რაიგანყოფილებაში კრიმინალური პოლიცია არ არსებობს. რაიგანყოფილების უფროსი, პოლიციის პოლკოვნიკი ვ. გობრონიძე გამოცდილი მუშაკია და მისი დამსახურება არაერთხელ აღინიშნა, მაგრამ მოგახსენებთ, რომ იგი სწორად ვერ რეაგირებს ხელმძღვანელთა მითითებებზე, მტკივნეულად განიცდის სამართლიან კრიტიკას და ზედმეტად ამბიციურია. მას აღნიშნულ ნაკლოვანებებზე ჩემთან საუბრისას მიუთითეს, როგორც სამხარეო და რაიონული ადმინისტრაციის ხელმძღვანელებმა, ასევე პოლიციის სამხარეო სამმართველოს ყველა დანაყოფის ხელმძღვანელმა. ყოველივე ამან განაპირობა კიდევაც განყოფილებაში შექმნილი მოუთმენელი ატმოსფერო და ის ფაქტი, რომ სამმართველოს უფროსის ბრძანების მოთხოვნათა დარღვევით, ინფორმაციის გადაუმოწმებლად, ყოველგვარი ღონისძიების გეგმისა და თანამშრომელთა ინსტრუქტაჟის გარეშე, სოფ. ბაღდადში მის მიერ განხორციელებული ღონისძიება ტრაგიკულად დასრულდა.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ როგორც მან განაცხადა, გარდა ოფიციალური ოპერატიული მეურნეობისა მას გააჩნია სხვა მასალებიც. ჩემს მოთხოვნაზე, წარმოედგინა ასეთი მასალები, ვ. გობრონიძემ განაცხადა, რომ იგი ასეთ მასალებს უფრო მეტად კომპეტენტურ პირებს წარუდგენს. როგორც ჩემთვის ცნობილი გახდა, მან ვერანაირი სხვა მასალები ვერ წარუდგინა ვერც სამმართველოს ხელმძღვანელობას და ვერც პირადი შემადგენლობის ინსპექციას. პრეზიდენტის რწმუნებულთან, რაიონისა და ქალაქ ოზურგეთის ხელმძღვანელობასთან შეხვედრისას გამოთქმული მოსაზრებებიდან, სამხარეო სამმართველოს ხელმძღვანელობასთან და საზოგადოების წარმომადგენლებთან საუბრებიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიმაჩნია ოზურგეთის რაიგანყოფილებაში დაუყოვნებლივ გატარდეს კარდინალური საკადრო ცვლილებანი. ამასთან ერთად დაევალოს სამხარეო სამმართველოსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს სათანადო დანაყოფების ხელმძღვანელებს პრაქტიკული დახმარება აღმოუჩინონ განყოფილებას უმძიმესი მდგომარეობიდან გამოსვლის მიზნით.

ამასთან ერთად აღსანიშნავია ისიც, რომ ლანჩხუთისა და ჩოხატაურის რაიგანყოფილებებში სიტუაცია კარდინალურად გაუმჯობესდა, რაზედაც მიუთითებს კრიმინოგენური სიტუაციის საგრძნობი გაჯანსაღების ტენდენცია და აღნიშნულ დადებით ძვრებზე ხაზგასმით აღინიშნა მხარის რწმუნებულთან გამართულ თათბირზეც. აქვე აღინიშნა ლანჩხუთისა და ჩოხატაურის გამგებლების პოლიციის განყოფილებებისადმი აქტიური მხარდაჭერა და დახმარება, რასაც ვერ ვიტყვით ოზურგეთის რაიონზე, სადაც პოლიციელთა უმრავლესობას ადგილობრივი ბიუჯეტიდან ხელფასები მარტის თვიდან არ მიუღია, ხოლო ბოროტმოქმედებთან შეტაკებაში დაღუპულ ნ. შალიკავას ხელფასი მიღებული არ ჰქონია უკანასკნელი 16 თვის განმავლობაში.

მოგახსენებთ რა ყოველივე ზემოთ აღნიშნულს, გთხოვთ თქვენს შემდგომ მითითებას.

პოლიციის პოლკოვნიკი **ა. ჩხაიძე“**

მინისტრის გადაწყვეტილებით პოლიციის პოლკოვნიკი ვიქტორ გობრონიძე გადმოყვანილი იქნა თბილისის საბურთალოს რაიონის შს სამმართველოს უფროსად. ეს ვიქტორისთვის დაწინაურებას ნიშნავდა, ხოლო ოზურგეთის შს განყოფილების უფროსად 1996 წლის 25 ოქტომბერს დაინიშნა პოლიციის მაიორი ნესტორ მიქატაძე. ამ თანამდებობაზე მის დანიშვნას მე დავუჭირე მხარი.

ოზურგეთში გარკვეულმა ჯგუფებმა ეს „იმერეთის“ დაჯგუფების წარმატებად აღიქვეს, ამაში ბრალი დამდეს და ვიქტორის „მტრადაც“ მომნათლეს. ადგილობრივ მედიაში გამოქვეყნდა რამდენიმე გესლიანი პუბლიკაციაც. მათ შორის ერთ სტატიაში ოზურგეთის პოლიციის უფროსის მფარველადაც კი წარმომაჩინეს[7], რომელსაც შს სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის რეფერენტმა გოჩა ადიშვილმა უპასუხა.

მოკლე ნაწყვეტი ამ წერილიდან:

„გაზეთ „ალიას“ 1997 წლის 14-15 ივნისის №92 ნომრის საშუალებით გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს ოზურგეთის რაიონის პოლიციის უფროსს, პოლიციის მაიორს ნესტორ მიქატაძეს დიდი ჩინოსანი, შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარე, პოლიციის პოლკოვნიკი, ბატონი ზურაბ ჩხაიძე მფარველობსო. ამის თაობაზე ბატონმა ზურაბ ჩხაიძემ ჩვენთან საუბრისას განაცხადა: „მოგახსენებთ, რომ დავიბადე და გავიზარდე გურიაში, კერძოდ კი ოზურგეთის რაიონის სოფელ ბახვში. ამ თანამდებობაზე ყოფნისას წილად მხვდა პატივი, ვყოფილიყავი ჩემი მშობლიური კუთხის სამხარეო პოლიციის სამმართველოს კურატორი. მე ვმფარველობ ყველა იმ ღირსეულ და პატიოსან პოლიციელს, რომლებიც პირნათლად ასრულებენ სამსახურებრივ

[7] ნატო შათირიშვილი. „ალიბაბა“ პოლიციას არ მოუშორებია, ეს აბსურდია!“. გაზ. „ალია“. 14-15 ივნისი. 1997

მოვალეობას, განურჩევლად იმისა თუ რა თანამდებობის პირები არიან ისინი. ხოლო იმ თანამშრომლების მიმართ, რომლებიც თავიანთი უღირსი საქციელით ჩირქს სცხებენ პოლიციელის მუნდირს და 30 ვერცხლის საფასურად ეშმაკზე ჰყიდიან სულს, მუდამ სასტიკი და დაუნდობელი ვიქნები.

ცნობილია, რომ დამნაშავეობის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლისა და საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება პოლიციის მუშაკის პროფესიულ, საბრძოლო და ფიზიკურ მომზადებას, აგრეთვე ტექნიკურ აღჭურვილობას. პირადად ჩემი ინიციატივით და ბატონი კახა თარგამაძის აქტიური მხარდაჭერით შინაგან საქმეთა სამინისტრომ ოზურგეთის რაიონის პოლიციას ცოტა ხნის წინ გადასცა „Kenwood-ის“ და „Motorola-ს“ ფირმების იაპონური წარმოების 60 მიმღებ-გადამცემი რადიოსადგური, დიდი რაოდენობის საწვავი, „Макаров-ის“ სისტემის პისტოლეტები, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, საბრძოლო ვაზნები და სპეც-ტანსაცმელი. ასე, რომ წარსულს ჩაბარდა ის დრო, როდესაც პოლიცია თითქმის შიშველი ხელებით ებრძოდა დამნაშავეთა სამყაროს.

ჩემივე ინიციატივით, კადრების გაძლიერების მიზნით, შსს გენერალ გია გულუას სახელობის სპეციალური დანიშნულების რაზმის გამოცდილი და ომგამოვლილი 7 მებრძოლი დაინიშნა სისხლის სამართლის სამძებროს ოპერრწმუნებულად.

მიმდინარე წელს ოზურგეთის რაიონის პოლიციის თანამშრომლებს არ მიუღიათ 6 თვის კუთვნილი ხელფასი. მიუხედავად იმისა, რომ ისინი უკიდურეს გაჭირვებაში იმყოფებიან და თითქმის სიღატაკის ზღვარზე ცხოვრობენ, მაინც უანგაროდ ემსახურებიან ქვეყანაში მართლწესრიგის განმტკიცების საშვილიშვილო საქმეს. დამეთანხმებით, რომ ყოველივე ეს გმირობის ტოლფასია. აი, ამ პიროვნებებს ვმფარველობ და ყოველდღიურად ვზრუნავ მათზე. ამ ბრძოლაში მხარში გვიდგას სამხარეო და რაიონული ადმინისტრაცია. მაგრამ საზოგადოება მეტს მოითხოვს ჩვენგან, ჩვენც ვალდებული ვართ. აუცილებლობის შემთხვევაში სამინისტრო კვლავ ფიქრობს საკადრო და სხვა სახის ცვლილებებზე. სწორედ ასეთი უღალატო და მებრძოლი სულის მქონე, ენთუზიაზმითა და პატრიოტიზმის გრძნობით აღსავსე ვაჟკაცების წყალობით დავიბრუნებთ სამაჩაბლოს, აფხაზეთს და საქართველოში კანონის უზენაესობას დავამკვიდრებთ.

ზოგიერთი „სენსაციების“ მოყვარული ჟურნალისტის მისამართით მინდა ვთქვა: შინაგან საქმეთა სამინისტრო არის სისტემა, სადაც ძალზე აფასებენ ღვაწლსა და ამაგს კანონის, ქვეყნის, ერისა და ბერის წინაშე. ამიტომ ნუ ჩაერევით მის „შიდა სამზარეულოში“. თქვენ მიერ გავრცელებული დეზინფორმაციით, ჩვეული დემაგოგიით და ირონიით ნუ ჩაუკლავთ სხვას ბრძოლის ჟინს“.

ახლა ვინმეს შეიძლება გაეღიმოს რადიოსადგურების გადაცემის ფაქტს რომ ვახსენებთ. ეს მაშინ უდიდესი მიღწევა იყო და მოდით აქვე გავიხსენებ, როგორ დავადგით თავი ამ საქმეს.

იმჟამად გურიის რეგიონში მეჩაიეობის დარგში სერიოზულ ინვესტიციებს ახორციელებდა ცნობილი გერმანული ფირმა „მარტინ-ბაუერი“; ფირმის ქართველ ხელმძღვანელებთან კოკი ცეცხლაძესა და დავით დუმბაძესთან ახლო მეგობრული ურთიერთობები ჩამომიყალიბდა. ისინი ხშირად გამოთქვამდნენ საყვედურს რეგიონში შექმნილი კრიმინოგენური სიტუაციის გამო, რომელიც, რაღა თქმა უნდა, ხელს უშლიდა ბიზნესის განვითარებას. მე კი მუდმივად თავს ვიმართლებდი იმით, რომ ფაქტობრივად შიშველი ხელებით გვიხდებოდა ბრძოლა დამნაშავეთა სამყაროსთან. ერთხელ, ასეთი საუბრის დროს კონკრეტული წინადადება შემომთავაზეს – გერმანიაში, „მარტინ ბაუერის“ სათავო ოფისში ჩავსულიყავით, ადგილზე გავცნობოდი ხელმძღვანელებს და გვეცადა მათგან პოლიციისთვის დახმარების მიღება. დაბეჯითებითი თხოვნის შემდეგ მინისტრმა ნება დამრთო „შვებულების ხარჯზე“ რამდენიმე დღით გერმანიაში გავმგზავრებულიყავი. მასპინძლობას გვიწევდა ადოლფ ვედელი, რომელმაც შემახვედრა და პირადად გამაცნო 90 წელს გადაცილებული მარტინ ბაუერი, რომელიც საკმაოდ მხნედ გამოიყურებოდა. ერთ-ერთ შეხვედრაზე, როდესაც გურიაში შექმნილ მდგომარეობაზე ვსაუბრობდით, აღვნიშნე, რომ კარგი იქნებოდა თუ ბიზნესწრეები ხელს შეუწყობდნენ საქართველოში სამართალდამცავი სისტემის მატერიალური ბაზის განმტკიცებას, რაც ძალიან დაგვეხმარებოდა მათთვის სასურველი სტაბილიზაციის მიღწევაში. ადოლფი ყურადღებით მისმენდა და აღნიშნულ საკითხში თანამიგრძნობდა კიდეც. მალე საქართველოში დავბრუნდით და სიმართლე გითხრათ ამ თემას აღარც დავბრუნებივარ.

1997 წლის 5 მარტს ტელეფონით დამიკავშირდა დათო დუმბაძე და მაცნობა, რომ თბილისში იმყოფებოდა ადოლფ ვედელი, რომელსაც ჩემთან და შინაგან საქმეთა მინისტრთან შეხვედრის სურვილი ჰქონდა. შეხვედრა მეორე დღეს ბატონ კახა თარგამაძის სამუშაო კაბინეტში შედგა. მინისტრმა მოკლე ინფორმაცია მიაწოდა სტუმარს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე და არსებულ კრიმინოგენურ სიტუაციაზე. ადოლფმა მადლობა გადაუხადა ყურადღებისა და მხარდაჭერისათვის და გამოთქვა სურვილი, მხარის პოლიციისთვის საჭირო ტექნიკური საშუალებები შეეძინა.

მადლობაც კი არ გვქონდა ნათქვამი, რომ მან პიჯაკის ჯიბიდან ამოიღო გერმანული მარკების შეკვრა და მაგიდაზე დადო. ალბათ წარმოიდგენთ როგორი არაორდინალური სიტუაცია შეიქმნებოდა, მაგრამ ბატონი კახა არ დაიბნა, მადლობა მოახსენა სტუმარს და მას შემდეგ, რაც დააზუსტა რომ თანხა 50.000 გერმანულ მარკას შეადგენდა, გამოიძახა მატერიალურ-ტექნიკური დეპარტამენტის თავმჯდომარე, გენერალ-მაიორი ვასო დავითაია და დაავალა გურიის მხარის თანამედროვე კავშირგაბმულობის საშუალებებით სრულად აღჭურვის მიზნით შემოსავალში აეღო ფირმა „მარტინ ბაუერისგან“ შემოწირული 50.000 მარკა, თანაც ამდენივე დაემატებინა სამინისტროს ფონდებიდან.

მინისტრის დავალება უმოკლეს დროში შესრულდა. გურიის მხარე ერთ-ერთი პირველი აღიჭურვა „Motorola-ს“ ფირმის თანამედროვე კავშირგაბმულობის საშუალებებით, რამაც შემდგომში დიდად შეუწყო ხელი მხარეში კრიმინოგენური სიტუაციის გაჯანსაღებას.

●

რეგიონში შექმნილი უმძიმესი კრიმინოგენური სიტუაციის გამო შს დანაყოფები პრაქტიკულად პროფესიონალების გარეშე დარჩნენ. კადრების დეფიციტი მრავალი მიზეზით იყო გამოწვეული. პოლიციელი პრაქტიკულად უხელფასოდ მუშაობდა, არ ჰქონდა ფორმა, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობის საშუალებები და შეიარაღებაც კი. ბევრი იმათგან, ვინც დანაყოფის დასაყრდენს წარმოადგენდა, ბოროტმოქმედთა სამყაროსთან ბრძოლაში დაეცა. სახეზე იყო დაკნინებული, უხერხემლო და ბრძოლის უნარწართმეული პოლიციელთა დანაყოფი. საჭირო იყო იმედის გაღვივება და ახალი სისხლი – ადამიანები, რომლებიც თავიანთი მაგალითით ახალ სიცოცხლეს შთაბერავდნენ დაბეჩავებულ კოლეგებს.

ასეთ ვითარებაში ცნობილი პოპულარული მხატვრული ფილმის „შესანიშნავი შვიდეულის“ მაგალითზე, რეგიონში სამუშაოდ გია გულუას სახელობის სპეცდანიშნულების გამოცდილი მუშაკების გადაყვანა გადავწყვიტე. იდეა მინისტრთან შევათანხმე. მაშინვე ვიხმე დანაყოფის ხელმძღვანელი ლევან შონია და დავალება მივეცი ნებაყოფლობითი პრინციპით შეერჩია რამდენიმე მებრძოლი, რომლებიც გურიაში სამსახურის გაგრძელებაზე მზადყოფნას გამოთქვამდნენ.

1997 წლის 31 მაისს ბატონმა ლევანმა სამუშაო კაბინეტში 7 ახალგაზრდა მებრძოლი წარმომიდგინა: უფროსი ლეიტენანტი დავით ლობჟანიძე, უფროსი ლეიტენანტი ვისტონ ხიზანიშვილი, როინ კოჩალიძე, სულიკო ლომთათიძე, გიორგი შეყილაძე, გოჩა მესაბლიშვილი და ვეფხია ჩხაიძე. გასაუბრების შემდეგ დავრწმუნდი, რომ ისინი მზად იყვნენ ამოცანის შესასრულებლად. დახმარება და თანადგომა აღვუთქვი მათ და გზა დავულოცე.

მთელი პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ ეს „შესანიშნავი შვიდეული“ გურიაში კრიმინალურ სამყაროსთან ბრძოლაში ერთ-ერთი მძლავრი დასაყრდენი ძალა გახდა. მათ პირნათლად შეასრულეს მათზე დაკისრებული მოვალეობა და ბატონ ვიქტორ გობრონიძესთან და სხვა ხელმძღვანელებთან ერთად, მუდამ ბრძოლის წინა ხაზზე იმყოფებოდნენ.

დაუმსახურებელი კრიტიკის მიუხედავად, ბრძოლას გურიაში წესრიგის აღსადგენად მიზანმიმართულად ვაგრძელებდით. გვქონდა წარმატებები, მაგრამ პერიოდულად შეცდომებიც და ჩავარდნებიც იჩენდა თავს.

1997 წლის 4 ივლისს, ჩვენი დავალებით საფარქვეშ მოქმედი ახალგაზრდა მუშაკისგან შემოვიდა ინფორმაცია, რომ ქ. ოზურგეთში, ტელევი-

ზიის უკან მდებარე ერთ-ერთ საცხოვრებელ სახლში, თავს აფარებდნენ უმძიმესი დანაშაულებისთვის ძებნილი ნოდარ სვანიძე და მისი ბანდის რამდენიმე წევრი. სახლი მჭიდროდ დასახლებულ უბანში მდებარეობდა და საჭირო იყო განსაკუთრებული სიფრთხილით მოქმედება. 14.00 საათზე დამირეკა ოზურგეთის პოლიციის უფროსმა ნესტორ მიქატაძემ და მომახსენა, რომ სახლი აყვანილი იყო მეთვალყურეობის ქვეშ. სიტუაცია მაშინვე გავაცანი მინისტრს და ვთხოვე ნებართვა გავმგზავრებულიყავი ოზურგეთში, რათა პირადად ჩამეტარებინა ოპერაცია. მინისტრმა გურიაში სისხლის სამართლის სამძებროს მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე, პოლკოვნიკი დემურ ბაჯაძე გაგზავნა, რადგან იგი დასავლეთ საქართველოში იმყოფებოდა და ადგილზე უფრო ოპერატიულად ჩავიდოდა. იგი უფლებამოსილი იყო სამხარეო და რაიონული დანაყოფის ხელმძღვანელებთან შეთანხმებით პირადად ჩაეტარებინა ოპერაცია. საამისოდ მას ნება მიეცა გამოეყენებინა დასავლეთ საქართველოში დისლოცირებული სპეცდანიშნულების დანაყოფების პირადი შემადგენლობა.

ის ღამე ჩემს ერთ თანამშრომელთან ერთად, რომელიც მიმდინარე მოვლენების შესახებ საქმის კურსში იყო, სამუშაო კაბინეტში თეთრად გავათენე.

დილით მაცნობეს, რომ ბოროტმოქმედები „ალყიდან“ უმტკივნეულოდ გაუჩინარდნენ. ჩემს გაწბილებას საზღვარი არ ქონდა. ხელიდან გავუშვით უნიკალური შანსი, რითაც ბანდის წევრებს კიდევ ერთი წლით გავუხანგრძლივეთ მოქმედების პერიოდი.

ვინ იცის, რომ არა ასეთი ჩავარდნა, რამდენ ადამიანს დავიხსნიდით მათი მსახვრალი ხელისაგან და მათ შორის პოლიციელ გიორგი შეყილაძეს, რომელიც ამ ამბიდან ერთ თვეში მოკლეს.

1997 წლის 3 აგვისტოს ღამის ორ საათზე, სოფელ ქვედა ბახვთან ოპერატიულ ჯგუფს შეიარაღებული შეტაკება მოუხდა ნოდარ სვანიძის კრიმინალური ბანდის წევრებთან. შეტაკებისას ლიკვიდირებული იქნა ბანდიტი გიორგი კილაძე, ხოლო მძიმედ დაჭრილი ბანდის მეთაური ნოდარ სვანიძე მიიმალა. სამწუხაროდ, შეტაკების დროს გმირულად დაიღუპა შვიდეულის ერთ-ერთი წევრი გიორგი შეყილაძე. იგი სიკვდილის შემდეგ ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა.

ზედიზედ განცდილი მარცხის შემდეგ ოზურგეთში პოლიციის მიმართ მკვეთრად უარყოფითი საზოგადოებრივი აზრი ჩამოყალიბდა. შექმნილი სიტუაციის სწორი გაანალიზების შემდეგ გურიის სამხარეო პოლიციის სამმართველოს უფროსის თანამდებობიდან განთავისუფლდა პოლკოვნიკი მურმან ხომერიკი და დაინიშნა პოლკოვნიკი ვიქტორ გობრონიძე.

1997 წლის 19 აგვისტოს იგი მე პირადად წარვუდგინე ოზურგეთის საზოგადოებას.

ჩანაწერი დღიურიდან:

1997. 19 აგვისტო. „ალბათ ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ფერისცვალების დღეს გურიაში მივემგზავრები და სამხარეო სამმართველოს უფროსად ვიქტორ გობრონიძე დაინიშნა (ძალიან გაუხარდებოდა გენადის). დარწმუნებული ვარ გურიის ფერისცვალებაც და ამაღლებაც დაიწყო. გურიის პოლიცია იბრძვის დამნაშავეთა სამყაროს წინააღმდეგ ამ სიტყვების პირდაპირი გაგებით“.

ასე დაიწყო გურიაში ბოროტმოქმედებთან ბრძოლის ახალი, დამაგვირგვინებელი ეტაპი, რომელიც ერთი წლის შემდეგ 1998 წლის 5 აგვისტოს ბანდის მეთაურის ნოდარ სვანიძისა და მისი ერთ-ერთი უკანასკნელი წევრის ზაზა ქავთარაძის ლიკვიდაციით დასრულდა.

ამ რვაწლიანი კოშმარის ისტორია კარგადაა გადმოცემული სისხლის სამართლის სამძებროს 80 წლის საიუბილეოდ გამოცემულ წიგნში „ერთგულება, თავდადება, პროფესიონალიზმი“. რადგან წიგნი მცირე ტირაჟით დაიბეჭდა, იგი ხელმისაწვდომი არ არის ფართო მკითხველისთვის და ალბათ საინტერესო იქნება გურიასთან დაკავშირებული პერიპეტიები აქვე შემოგთავაზოთ:

●

„1998 წლის 6 აგვისტოს 00.30 წთ. ქალაქ ოზურგეთისა და სოფელ დვაბზუს საზღვართან წერტილი დაესვა გურიაში ყაჩაღური ბანდების თარეშის ექვსწლიან ისტორიას. პოლიციელებთან შეიარაღებული შეტაკებისას ლიკვიდირებულ იქნენ ბანდის მეთაური ნოდარ სვანიძე და ბანდის წევრი ზაზა ქავთარაძე. ნოდარ სვანიძეს 1993–1998 წწ. მის მიერ შექმნილი ოცდაათკაციანი ბანდის წევრებთან ერთად ჩადენილი ჰქონდა 150-ზე მეტი ყაჩაღობა და სხვა მძიმე დანაშაული, მათ შორის ოთხი პოლიციელის მკვლელობა.

90-იანი წლების დასაწყისში მთელ საქართველოში დასადგურებული კრიმინალური კოშმარი ყველაზე დიდხანს გურიაში გაგრძელდა. გურიის გარდა ქვეყნის არც ერთ რეგიონში აღარ იყო დარჩენილი ხანგრძლივი დროის მანძილზე მოქმედი მრავალ წევრიანი ბანდა. მიზეზთა ჯაჭვი ძალიან გრძელია: რაიონების პრეფექტების და გამგებლების ხშირ ცვლას ავტომატურად მოსდევდა პოლიციის უფროსების ცვლა, მარტო ოზურგეთის რაიონში 1990–1998 წწ. პოლიციის უფროსი 12-ჯერ შეიცვალა. ცალკეული პოლიტიკური ჯგუფების, შემდეგ კი სხვადასხვა ოფიციალური და არაოფიციალური შეიარაღებული ფორმირებების მხრიდან პოლიცია განიცდიდა მუდმივ ზეწოლას, ხდებოდა მისი განიარაღება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განადგურება. დაეცა პოლიციის მებრძოლი სული. გულგრილობას, ხშირ შემთხვევაში თან სდევდა საქმის ღალატი, ზოგიერთი სულმოკლე თანამშრომელი კრიმინალებთან ალიანსში შევიდა. ამან საბოლოოდ დასცა პოლიციის ავტორიტეტი და ნდობა. ამ და სხვა მიზეზებითაც მხარის პოლიცია დატოვა ასზე მეტმა თანამშრომელმა.

ნეგატიური როლი შეასრულა ამ მხარისათვის ტრადიციულმა „ფირალობის ინსტიტუტმაც“. დასუსტებული, განიარაღებული, სულიერად დაცემული პოლიციელების ფონზე ყაჩაღი და ბანდიტი უფრო მეტი სიმპათიით სარგებლობდა ხალხის ნაწილის, განსაკუთრებით, ახალგაზრდობის თვალში. სწორედ მათი რიგებიდან ივსებოდა ახალ-ახალი ბანდიტური ჯგუფები. განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდნენ ჟღერიას, ქორიძის, გაგნიძის, შარაშენიძის, ცეცხლაძის, ჩიტაძისა და მუჯირის, შემდეგ კი სვანიძის ბანდები. ძარცვა, ყაჩაღობა, ადამიანის გატაცება, გაუპატიურება, წამება, პიროვნების ღირსებათა შელახვა, აი, დანაშაულობათა ის არასრული ჩამონათვალი, რომელსაც თითქმის ყოველდღიური ხასიათი ჰქონდა გურიასა და მიმდებარე რაიონებში.

მიუხედავად იმისა, რომ გურიის პოლიცია ფაქტობრივად დაშლილი იყო, მის რიგებში კიდევ შემორჩნენ თანამშრომლები, რომლებიც საკუთარი სიცოცხლის ფასად მტკიცედ იდგნენ კრიმინალთა ურდოებშესეული მოსახლეობის სადარაჯოზე.

ოზურგეთის რაიონის პოლიციის განყოფილების უფროსი, პოლიციის პოლკოვნიკი იური სიორიძე ყოველთვის გამოირჩეოდა სიმამაცითა და პროფესიონალიზმით, როგორც სპორტულ ასპარეზზე, ისე კრიმინალებთან ბრძოლაში. მან გარს შემოიკრიბა ერთგული თანამშრომლები და მოკლე დროში რამდენიმე მძიმე დარტყმა მიაყენა აღზევებულ ბანდებს.

სწორედ აქედან დაიწყო სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირება კრიმინალურ სამყაროსთან. კრიმინალებთან შეტაკებაში დაიღუპა 21 თანამშრომელი და დაიჭრა 28.

1992 წლის 13 დეკემბერს ოზურგეთის ცენტრში შარაშენიძისა და ცეცხლაძის ბანდიტურ ჯგუფებთან შეიარაღებულ შეჯახებაში დაიღუპა სისხლის სამართლის სამძებროს ინსპექტორი ნუგზარ ტყემალაძე. იგი ცოტა ხნით ადრე ერთხელ უკვე იყო დაჭრილი ყაჩაღებისგან.

ორი კვირის შემდეგ, 1992 წლის დეკემბრის ბოლოს ოზურგეთისა და ქობულეთის რაიონების საზღვარზე ბანდიტებთან შეიარაღებულ შეტაკებაში გმირულად დაიღუპნენ ოზურგეთის პოლიციის უფროსი იური სიორიძე და უფროსი ინსპექტორი ნუკრი სეფერთელაძე, მძიმედ დაიჭრა 5 თანამშრომელი, მათ შორის, პოლიციის უფროსის მოადგილე ზურაბ გულბიანი, აგრეთვე გიორგი კუკულაძე და დავით გობრონიძე.

ერთი ბოროტმოქმედი – ანანიძე ადგილზე იქნა ლიკვიდირებული.

1993 წელს საშიშ ბოროტმოქმედთა დაკავებისას დაიღუპა სისხლის სამართლის სამძებროს უფროსი ავთო გობრონიძე.

გურიის მოსახლეობისა და პოლიციისათვის განსაკუთრებით მძიმე გამოდგა 1994 წელი. ამ წელს განზრახ მოკლეს 40 ადამიანი, მათ შორის პოლიციის 9 თანამშრომელი.

23 თებერვალს ღამით, სოფელ ცხემლისხიდთან ჩასაფრებულმა ჟღერიას ბანდიტური ჯგუფის წევრებმა ავტომატებით დაცხრილეს ოპერატიულ

შემოვლაზე გასული ოზურგეთელი პოლიციელები: შოთა სანიკიანი, სოსო ნიკოლაიშვილი, არკადი ხაბულიანი და ვანო ბორჩხაძე.

21 მაისს სოფელ მერიაში ჩიტაძისა და მუჯირის ბანდიტურ ჯგუფებთან შეიარაღებულ შეტაკებაში დაიღუპნენ ოზურგეთის პოლიციის თანამშრომლები შოთა თავდგირიძე და მაიზერ ჯანხოთელი.

კრიმინალები განსაკუთრებულ დაუნდობლობასა და სისასტიკეს იჩენდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროდან ადგილობრივი პოლიციის დასახმარებლად ჩასული თანამშრომლების მიმართ.

1994 წლის იანვარში ცეცხლაძისა და შარაშენიძის ბანდიტურ ჯგუფთან შეიარაღებულ შეტაკებისას მოკლეს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებროს უფროსი ინსპექტორი, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი ლუდვიგ აბრამიანი. მისმა თანამშრომლებმა ბანდიტებს არ შეარჩინეს დანაშაული. ბანდის მეთაურები იქვე იქნენ ლიკვიდირებულნი.

1994 წლის თებერვალში სოფელ ოზურგეთში ე. წ. „ფირალას“ ბანდიტური ჯგუფი თავს დაესხა შინაგან საქმეთა სამინისტროდან ჩასულ ოპერატიულ ჯგუფს. ბანდის უფროსმა ზაზა თედორაძემ, „ფირალამ“, ავტომატიდან მიჯრით სროლით მოკლა უფროსი ინსპექტორი თამაზ რუხაია. „ფირალამ“ ერთი წლით ადრე ოზურგეთში სასიკვდილოდ დაჭრა იქ მივლინებული რუსთავის პოლიციის თანამშრომელი.

„ფირალას“ ამჯერად უკვე აღარ შერჩა ავკაცობა. ოპერატიული ჯგუფის წევრებმა საპასუხო სროლით სიცოცხლეს გამოასალმეს თვითონ „ფირალა“ და ბანდიტური ჯგუფის კიდევ ორი წევრი: რამაზ კობალავა და თემურ ჭანიშვილი. იმავე წელს ოზურგეთი-ჩოხატაურის გზაზე ჟღერიას ბანდიტური ჯგუფის წევრები თავს დაესხნენ სამინისტროდან რეგიონში ჩასულ თანამშრომლებს და დაჭრეს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს უფროსი, პოლიციის პოლკოვნიკი რაულ შველიძე.

აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ გამოჯანმრთელების შემდეგ ბატონი რაული კვლავ დაბრუნდა გურიაში და დიდი წვლილი შეიტანა ყაჩაღური ჯგუფების განიარაღებაში.

რეგიონში შექმნილი ურთულესი კრიმინოგენური ვითარება, ბუნებრივია, ვერ დარჩებოდა საქართველოს ხელისუფლებისა და სამართალდამცავი ორგანოების გამორჩეული ყურადღების გარეშე.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ 1994-95 წწ. სამჯერ მოაწყო ფართო მასშტაბიანი ოპერაცია. დააკავეს ათობით ბოროტმოქმედი, ამოღებული იქნა დიდძალი სამხედრო ტექნიკა, ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა. მაგრამ ერთჯერადი ღონისძიებებით, როგორი ფართო მასშტაბიანიც უნდა ყოფილიყო იგი, ვერ მოხერხდა მობილური, კარგად ორგანიზებული ჯგუფების დაკავება. მითუმეტეს, როცა ზოგიერთი უღირსი თანამშრომლისა თუ სხვა პირის მიერ ეს ჯგუფები წინასწარ კარგად იყვნენ ინფორმირებული და გაფრთხილებული მომავალი ოპერაციის შესახებ.

შინაგან საქმეთა სამინისტრო დარწმუნდა, რომ აუცილებელი იყო ადგილობრივი პოლიციის, ერთგული, გამბედავი და პროფესიონალი ხელმძღვანელი ბირთვის შექმნა, დაშლილი და დემორალიზებული პირადი შემადგენლობის ხელახალი დაკომპლექტება, რომელიც სამინისტროდან მივლინებულ დამხმარე ძალებთან ერთად წარმართავდა გეგმაზომიერ, მიზანმიმართულ ბრძოლას კრიმინალურ სამყაროსთან.

1994 წლის ოქტომბრის ბოლოს პოლიციის პოლკოვნიკი გენადი გიორგაძე დაინიშნა შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო რწმუნებულად გურიის რეგიონში. მის სახელთან არის დაკავშირებული რეგიონში მოთარეშე ბანდიტურ დაჯგუფებასთან ბრძოლის ახალი ძალით გაჩაღება. შეიძლება თამამად ითქვას: გენადი გიორგაძე თავისი პროფესიონალური და ადამიანური თვისებებით ნათელი წარსული იყო არა მარტო გურიის, მთლიანად საქართველოს პოლიციის ისტორიაში. კრიმინოგენური თვალსაზრისით ყველაზე სავალალო და რთულ მდგომარეობაში მყოფ ოზურგეთის რაიონის პოლიციას სათავეში ჩაუყენეს პოლიციის პოლკოვნიკი ვიქტორ გობრონიძე. უკვე ორივეს ჰქონდა გამოვლილი მძიმე ბრძოლები საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის. როგორც მებრძოლმა და ოპერატიულმა მუშაკებმა, მრავალჯერ გამოიჩინეს თავი ბრძოლის ველზე და კრიმინალურ სამყაროსთან დაპირისპირებაშიც.

გენადი გორგაძესა და ვიქტორ გობრონიძესთან ერთად რეგიონში მიავლინეს გენერალი ელგუჯა ბუცხრიკიძე თავისი კარგად შეიარაღებული „სპეცნაზით“. დაიწყო უშეღავათო ბრძოლა.

ჟღერიას, გაგნიძის და სხვა ძლიერმა ჯგუფებმა ვეღარ გაუძლეს პოლიციის ამგვარ შემოტევას და დაიწყეს რღვევა. ბანდის მეთაურებმა მიატოვეს გურიაც და საქართველოც.

თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, ოზურგეთში სიმშვიდემ დაისადგურა, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე კვირით.

დეკემბრის შუა რიცხვებიდან ქალაქ ოზურგეთში განხორციელდა ოჯახებზე ყაჩაღური თავდასხმების მთელი სერიალი: ავტომატებით და ხელყუმბარებით შეიარაღებული ბანდიტური ჯგუფები თავს დაესხნენ და გაძარცვეს გაბედავას, გოგელიას, ელიზბარიანის, გოთუას, რუსეიშვილის ოჯახები. 1995 წლის იანვრიდან ყაჩაღებმა გადაინაცვლეს რაიონის სოფლებშიც. ცხემლისხიდში თავს დაესხნენ და გაძარცვეს ლომინაძეების ოჯახი, მაკვანეთში – ვასაძის, ლიხაურში – ურუშაძის, კვირიკეთში – კეჭაყმაძის ოჯახები. ოჯახებზე ყაჩაღური თავდასხმები მოხდა ჩოხატაურის რაიონის სოფლებშიც.

თვით ოზურგეთში კვლავ განმეორდა ყაჩაღური თავდასხმების სერიალი. 13 მარტს გაძარცვეს გერონტი მორჩილაძის და მისი ვაჟის ოჯახები. გაიტაცეს მათი კუთვნილი ავტომანქანა. სამი დღის შემდეგ ოზურგეთშივე ბანდიტები თავს დაესხნენ ლამარა ჟღენტის ოჯახს.

23 მარტს სოფელ ასკანაში ავტომატებითა და ხელყუმბარებით შეიარაღებული ბანდიტები თავს დაესხნენ ნიკო შევარდნაძის ოჯახს და დაუწყეს ძარცვა. ხმაურზე ახლობლების მისაშველებლად გამოვიდა მეზობლად მცხოვრები სიძე, 4 შვილის მამა სერგო ქოჩალიძე, რომელიც მძევლად აიყვანეს ბანდიტებმა. ისინი მძევლითა და ნაძარცვით მეზობლად მცხოვრებ ნიკო ქუთათელაძის ოჯახს მიადგნენ. იქ ჩაის ფული ეგულებოდათ. ქუთათელაძემ სანადირო თოფის გასროლით გაუწია წინააღმდეგობა ყაჩაღებს. ამის პასუხად ბანდიტებმა ავტომატის ცეცხლი გაუხსნეს მას და ხელყუმბარებიც მიაყოლეს. ერთ-ერთმა ხელყუმბარამ მძევლად აყვანილი სერგო ქოჩალიძის სიცოცხლე შეიწირა.

მთელი ამ ხნის განმავლობაში პოლიცია, რა თქმა უნდა, გულხელდაკრეფილი არ იჯდა. პირველ ხანებში ბანდა ჟღერიასა და გაგნიძის ჯგუფების ნარჩენები ეგონათ. მაგრამ მალე დარწმუნდნენ ამ ვერსიის სიმცდარეში. ძალიან გაჭირდა ბანდის წევრთა ნამდვილი ვინაობის დადგენა. იცოდნენ მხოლოდ ერთი, ბანდას სათავეში ედგა მაღალი, ტანწვრილი, გრძელხელებიანი ახალგაზრდა კაცი. ჰქონდათ თავისებური პაროლიც – „წავედით, ვასია“. ეს იყო და ეს.

1995 წლის 5 აპრილს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გურიაში განახორციელა რიგით მესამე ფართომასშტაბიანი ოპერაცია. პოლიციის მიერ მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე გაიჩხრიკა ნოდარ სვანიძის, თენგიზ ჩავლეიშვილის და ჯიმშერ სოროზანაშვილის ბინები. ამ უკანასკნელის ბინაში აღმოჩნდა მორჩილაძეების ოჯახიდან გატაცებული სანადირო თოფი, სვანიძის ბინიდან კი ამოიღეს შევარდნაძის ბინიდან გატაცებული „დუბლიონკა“, თენგიზ ჩავლეიშვილის ბინის ჩხრეკისას აღმოაჩინეს ნაყაჩაღარი ვიდეოაპარატურა და სხვა ნივთები. თვით სვანიძემ, ჩავლეიშვილმა და სოროზანაშვილმა, სამწუხაროდ, შეძლეს მიმალვა.

ეჭვმიტანილთა ოჯახებში აღმოჩენილი ჯგუფური ფოტოების მეშვეობით დადგინდა ბანდის სხვა წევრების ვინაობაც. დაიწყო მათი ინტენსიური ძებნა.

1995 წლის 2 დეკემბერს თბილისში მეტრო „პოლიტექნიკურთან“ დააკავეს ბანდის პირველი წევრი თენგიზ ჩავლეიშვილი, მეტსახელად „ჩოფჩოფა“. გამოძიებით, რომელსაც გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი ზაქრო წიკლაური აწარმოებდა, დადგინდა, რომ ჩავლეიშვილს მონაწილეობა ჰქონდა მიღებული 28 ოჯახზე ყაჩაღურ თავდასხმაში, ჩოხატაურის რაიონში ქ. ბათუმის მკვიდრის გოჩა ქერქაძის გატაცებასა და მისთვის 11 ათასი ამერიკული დოლარის გამოძალვაში. მას სასამართლომ 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

ბანდის წევრთა ძებნასა და დაკავებისათვის ყველაფერი გააკეთა შინაგან საქმეთა სამინისტრომ. მხარის პოლიცია აღიჭურვა ცეცხლსასროლი იარაღითა და მიეცა ათი ახალი ავტომანქანა. ფირმა „მარტინ ბაუერის“ მიერ საჩუქრად გადმოცემული 50 ათასი გერმანული მარკით და სამინისტროს

მიერ ამას დამატებული 10 ათასი ლარით შეძენილ იქნა კავშირის თანამედროვე სისტემა. ოპერატიული კავშირით „გადაიხურა“ მთელი რეგიონი.

ბანდის წევრთა ძებნა-დაკავება პირად კონტროლზე აიყვანა შინაგან საქმეთა მინისტრმა, პოლიციის გენერალ-ლეიტენანტმა კახა თარგამაძემ. რეგიონში ხანგრძლივი მივლინებით გაიგზავნა გია გულუას სახელობის სპეცდანიშნულების რაზმის 7 თანამშრომელი. პრაქტიკული დახმარებისათვის ადგილზე სისტემატურად იმყოფებოდნენ კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარე, პოლიციის გენერალ-მაიორი ზურაბ ჩხაიძე და სამინისტროს სხვა პასუხისმგებელი მუშაკები.

ამგვარი დახმარებით და თანადგომით ოზურგეთის პოლიცია თანდათან ძლიერდებოდა, იბრუნებდა მებრძოლ სულს, უშიშრად ებმებოდა კრიმინალებთან ბრძოლაში. მიმდინარეობდა მობილური მებრძოლი დანაყოფის ფორმირების ურთულესი და ხანგრძლივი პროცესი.

სვანიძის ჯგუფთან პირველი შეიარაღებული შეტაკება 1995 წლის 5 ივლისს მოუხდა პოლიციას – სოფელ დვაბზუში, პოლიციელთა მხრიდან სამნი იყვნენ: ოზურგეთის პოლიციის უფროსი ვიქტორ გობრონიძე, მისი მოადგილე, კრიმინალური პოლიციის უფროსი ოთარ წიტაიშვილი და მძღოლი პოლიციელი რამინ წულაძე.

ბანდიტთა მხარეს რიცხობრივი უპირატესობა იყო, ექვსნი იყვნენ: ნოდარ სვანიძე, თემურ მამალაძე, მეტსახელად „სკვინჩა“, თედო ჭანიშვილი, გოჩა ანთიძე, მეტსახელად „ცანგალა“ და დავით დარჩია.

პოლიციელთა წინადადება დაეყარათ იარაღი, ბანდიტებმა არაფრად ჩააგდეს, ცეცხლი გაუხსნეს და განადგურება მოუნდომეს.

რიცხობრივ უპირატესობას პოლიციელთა გამბედაობამ და საზრიანმა მოქმედებამ აჯობა, ბანდის ერთი წევრი – თემურ მამალაძე ადგილზე იქნა ლიკვიდირებული, ხუთმა კი მიატოვა „ბრძოლის ველი“ და მოახერხა მიმალვა. შემთხვევის ადგილიდან ამოიღეს ერთი ავტომატი და ერთი ხელყუმბარა.

გურიასა და საქართველოს სხვა რეგიონებში გრძელდებოდა ბანდის წევრთა ძებნა. თამაზ ჩავლეიშვილის თბილისში დაკავებიდან მეორე დღეს, 3 დეკემბერს სამტრედიაში დააკავეს სამტრედიის საგზაო პოლიციის ინსპექტორი ბადრი ცეცხლაძე. იმავე დღეს მონადირის ფორმაში გადაცმულმა პოლიციელებმა საქონლის ფერმაში დააკავეს ვითომ მწყემსი, ყოფილი პოლიციელი გიზო მეფარიშვილი. ამ, პოლიციის ფორმაში გამოწყობილმა ბოროტმოქმედებმა სვანიძის ბანდასთან ერთად მონაწილეობა მიიღეს თბილისი-ბათუმის გზატკეცილზე, „შეკვეთილთან“, თურქეთიდან მომავალ ავტობუსზე ყაჩაღურ თავდასხმასა და მგზავრების ძარცვაში. ამავე ჯგუფმა იმავე დღეს, იქვე, სამ მოქალაქეს გასტაცა მსუბუქი ავტომანქანა იარაღის მუქარით. მათვე დაუმტკიცდათ ორ ოჯახზე ყაჩაღურ თავდასხმაში მონაწილეობა. სასამართლომ ბადრი ცეცხლაძეს 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, გიზო მეფარიშვილს კი 11 წელი.

13 დეკემბერს შუაღამისას სოფელ ბაილეთში პოლიციის ოპერატიულმა ჯგუფმა დააკავა გზად მიმავალი კიდევ ერთი ბანდიტი კახა თედორაძე. მას ჩამოერთვა ერთი ავტომატი 4 მჭიდით, 3 ხელყუმბარა და ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარმტყორცნი „მუხა“.

გამოძიებით დადგინდა, რომ თევდორაძემ „სვანიძის ჯგუფის“ სხვა წევრებთან ერთად მონაწილეობა მიიღო 49 შეიარაღებულ ყაჩაღურ თავდასხმაში, სამი ადამიანის გატაცებასა და ფულის გამოძალვაში. სასამართლომ მას 15 წლის თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

მიუხედავად იმისა, რომ პოლიცია კვლავ სდევნიდა „სვანიძის ჯგუფს“ და დღითი დღე ანადგურებდა, იგი კვლავ განაგრძობდა ყაჩაღობასა და ადამიანის გატაცებას, ოღონდ, რაკი ოზურგეთის პოლიციასთან ვერაფერს გახდა, ლანჩხუთსა და ჩოხატაურში გადაინაცვლა.

1995 წლის 16 აგვისტოს ჩოხატაურის რაიონის სოფელ ხიდისთავში, ფულის გამოძალვის მიზნით გაიტაცეს ვახტანგ ქელბაქიანი.

ამასთან, უკვე იგრძნობოდა ძალთა სასწორის პოლიციის მხარეს გადახრა. 13 მაისს ოზურგეთში დააკავეს ბანდის კიდევ ერთი წევრი – პორფილე ჟვანია, მეტსახელად „ავღანა“. მას ორ ყაჩაღურ თავდასხმაში ედებოდა ბრალი და სასამართლომ 6 წლით პატიმრობა მიუსაჯა.

ლანჩხუთის რაიონის პოლიციის თანამშრომლებთან შეიარაღებულ შეტაკებაში ლიკვიდირებულ იქნა ბანდის წევრი ალექსანდრე ართილაყვა.

1996 წლის შემოდგომისათვის ბანდის მეთაური ნოდარ სვანიძე ფაქტობრივად მარტო დარჩა. თავის ძმასთან, მამუკა სვანიძესთან ერთად იგი იმალებოდა ჩოხატაურის რაიონის სოფელ შუბანში. შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობამ ჩათვალა, რომ ამ სიტუაციაში შესაძლებელი იყო ბანდის მარტოდ დარჩენილი მეთაურის დაყოლიება ნებაყოფლობით ჩაბარებოდა სამართალდამცავებს და ამით წერტილი დასმოდა სისხლისღვრას. ნოდარ სვანიძესთან მოსალაპარაკებლად გაიგზავნენ შს სამინისტროს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს უფროსი თამაზ დგებუაძე და განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა უფროსი ინსპექტორი ნოდარ დოლიძე. შედგა შეხვედრა. ბანდის მეთაურმა პრაქტიკულად მიიღო წაყენებული წინადადება, მოსაფიქრებლად ითხოვა კიდევ რამდენიმე დღე, მაგრამ ერთ-ერთი ძალისმიერი სტრუქტურის მიერ სწორედ იმ დღეებში სვანიძის ასაყვანად ნაჩქარევად განხორციელებული ოპერაციის „წყალობით“ ყველაფერი ჩაიშალა. სვანიძემ კვლავ მოახერხა მიმალვა. ამასობაში მას შეუერთდნენ სისასტიკით განთქმული გაგნიძის ჯგუფის ყოფილი წევრები ლევან ჟღენტი, გელა მინდაძე და ზაზა ქავთარაძე.

ამ ხალხს უკვე სისხლში ჰქონდათ ხელები გასვრილი და მოსალოდნელი იყო ვითარების სერიოზული გართულება.

მოვლენები მართლაც ტრაგიკულად განვითარდა. 1996 წლის 10 ოქტომბერს, ღამით, სოფელ ბაღდათში მოხდა სვანიძის ჯგუფისა და ოზურგე-

თის რაიონის პოლიციის ოპერატიული ჯგუფის შეიარაღებული შეტაკება. დაიღუპა 21 წლის პოლიციელი ნუგზარ შალიკავა, მძიმედ დაიჭრა ერთ-ერთი ბანდიტი გელა მინდაძე.

ამ პერიოდში სამხარეო სამმართველოსა და ოზურგეთის რაიონის პოლიციის ხელმძღვანელობის ურთიერთობა სხვადასხვა მიზეზით დაიძაბა, რის გამოც ვიქტორ გობრონიძე თბილისში გადაიყვანეს სამუშაოდ.

როგორც მოსალოდნელი იყო, სვანიძის ბანდამ კვლავ „თავი აიშვა“ და ჩოხატაურის რაიონის სოფლებიდან ოზურგეთის რაიონში გადმოინაცვლა. კვლავ ყაჩაღობა, ძარცვა, ადამიანის გატაცება. უფრო მეტიც – მათ დაიწყეს სამართალდამცავებზე ნადირობა.

1997 წლის 23 მაისს ოზურგეთი-ბათუმის გზაზე, სოფელ ჭანიეთთან სამტრედიაში მცხოვრებ ვლადიმერ გეგეშიძეს, რომელსაც საკუთარი ავტომანქანით ბათუმიდან მოჰყავდა 4 მგზავრი, თავს დაესხა „სვანიძის ბანდა“. მგზავრებს წაართვეს 2500 დოლარი, ავტომანქანა კი გაიტაცეს.

მეორე დღეს ბანდიტები გატაცებული ავტომანქანით სოფელ ძიმითის ცენტრში თავს დაესხნენ და ავტომატებით დაცხრილეს ოზურგეთის რაიონის პოლიციის სამძებროს ინსპექტორი რევაზ მალაყმაძე და ყოფილი პოლიციელი მამია ქართველიშვილი. პოლიციელების მკვლელობაში მონაწილეობდნენ ბანდის უფროსი ნოდარ სვანიძე, გიორგი კილაძე და ზაზა ქავთარაძე.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ მაშინვე განახორციელა შესაბამისი ღონისძიებები. ადგილზე გაიგზავნნენ ხელმძღვანელი ოპერატიული მუშაკები და გია გულუას სახელობის სპეცდანიშნულების რაზმის წევრთა ჯგუფი.

ამ პერიოდში ოზურგეთის პოლიციის უფროს ნესტორ მიქატაძის ხელმძღვანელობით განხორციელებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად ბანდის კიდევ ორი წევრი იქნა ლიკვიდირებული. სოფელ დვაბზუში პოლიციისა და ბანდიტების შეიარაღებული შეტაკებისას ლიკვიდირებული იქნა ბანდის წევრი ლევან ჟღენტი.

3 აგვისტოს ღამის 2 საათზე პოლიციის ოპერატიული ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ოზურგეთის რაიონის პოლიციის განყოფილების კრიმინალური პოლიციის უფროსი, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი აკაკი ნაკაიძე, სოფელ ქვედა ბახვთან პირისპირ შეება სვანიძის ჯგუფს. ლიკვიდირებულ იქნა ბანდის წევრი გიორგი კილაძე, მძიმედ დაჭრეს ბანდის მეთაური ნოდარ სვანიძე.

ამ შეტაკებაში, სამწუხაროდ, დაიღუპა ერთი პოლიციელი – გია გულუას სახელობის სპეცდანიშნულების რაზმის მებრძოლი გიორგი შეყილაძე.

იგი სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენით.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ 10 თვის შემდეგ, 1996 წლის 19 აგვისტოს პოლკოვნიკი ვიქტორ გობრონიძე კვლავ დააბრუნა სამუშაოდ გურიის რე-

გიონში, თანაც ოზურგეთის რაიონის პოლიციის უფროსად კი არა, სამხარეო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე.

ვიქტორ გობრონიძემ გურიაში ჩასვლისთანავე, პირად კონტროლზე აიყვანა სვანიძის ბანდის გაუვნებლებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი. ოზურგეთის პოლიციის სამხარეო პოლიციაში გადაიყვანა კრიმინალებთან ბრძოლაში თავგამოჩენილი რამდენიმე თანამშრომელი. ამ ბიჭებისა და გურიაში მივლინებული გულუას სახელობის სპეცდანიშნულების რაზმის მებრძოლებისაგან შეიქმნა კარგად ორგანიზებული, მობილური დამრტყმელი ძალა.

მაგრამ შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობა და თვითონ ვიქტორ გობრონიძეც, სრულიადაც არ ფიქრობდნენ სვანიძის ჯგუფის ნეიტრალიზაციას მხოლოდ და მხოლოდ ძალისმიერი მეთოდით, კარგად იცოდნენ, რომ ეს უსისხლოდ არ ჩაივლიდა.

აქცენტი გაკეთდა ბანდის მეთაურთან მოლაპარაკებაზე. იგი როგორმე უნდა დაეყოლიებინათ, რომ ნებაყოფლობით ჩაჰბარებოდა პოლიციას. სამართალდამცავები მას ჰპირდებოდნენ კანონით გათვალისწინებულ შეღავათებს, საპატიმროსა და კოლონიაში ყოფნის ნორმალურ პირობებს. ეს პროცესი მუდმივად მიდიოდა და შეხვედრებიც მრავალი იყო, მაგრამ უნაყოფო.

შუამავლების საშუალებით უკვე 3 ოქტომბერს ვიქტორ გობრონიძე შეხვდა ბანდის მეთაურს ნოდარ სვანიძეს. საუბარი საკმაოდ რთულად წარიმართა.

სანამ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტს დაამთავრებდა, ვიქტორ გობრონიძემ მანამდე კარგა ხნით ადრე, კარიერა პოლიციაში მძღოლი-პოლიციელის თანამდებობით დაიწყო. იგი მაშინდელ შინაგან საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილესთან, გენერალ ვარლამ შადურთან მუშაობდა. საყოველთაოდ ცნობილია შინაგან საქმეთა ორგანოების ამ თვალსაჩინო მოღვაწის დიდი გამბედაობა და ტყეში გასულ კრიმინალებთან მოლაპარაკების უნარი. მოლაპარაკება, როგორც წესი, უმეტეს შემთხვევაში, საშიში ბოროტმოქმედის ნებაყოფლობით ჩაბარებით მთავრდებოდა. ვიქტორ გობრონიძემ თავისი დიდი მასწავლებლისგან ბევრი შეითვისა.

ბანდის მეთაურისა და პოლიციის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსის პირველ შეხვედრას, როგორც მოსალოდნელი იყო, მაშინვე არ მოჰყოლია შედეგი. ბანდის მეთაური როგორც ადრე, მოსაფიქრებლად კვლავ დროს ითხოვდა და პირობასაც დებდა, გურიის რეგიონში აღარ ვიყაჩაღებთო. ერთ ხანობას მართლაც შეწყდა ყაჩაღობა. ზოგიერთმა ბოროტი ჭორიც ააგორა, პოლიციასა და ბანდიტებს შორის გარიგება მოხდა, ყაჩაღები ხალხს აღარ ძარცვავდნენ, პოლიცია ამაში ფულს უხდის ნოდარ სვანიძესო.

ყაჩაღთა მეთაური ეშმაკურად მოიქცა. შეიარაღებულ თავდასხმებს მართლაც აღარ აწყობდა, მაგრამ ამის სანაცვლოდ მრავალ მეწარმეს „შეაწერა“

ფული. უფრო მეტიც, გამოძალული ფულის მცირე ნაწილს „საქველმოქმედოდ“ იყენებდა. გაჭირვებულ ოჯახს ვინმე რომ გარდაეცვლებოდა, ფქვილსა და ფულს უგზავნიდა. ამით იგი იქმნიდა ხალხზე მზრუნველი „ფირალის“ იმიჯს. დაზარალებული მეწარმეები კი პირში წყალს იგუბებდნენ, ფულის გამოძალვის შესახებ არაფერს ეუბნებოდნენ პოლიციას.

იარაღსა და ძალადობას მიჩვეულ ყაჩაღს დიდხანს არ შეუძლია ჩრდილში ყოფნა, სამართალდამცავ ორგანოებთან „მშვიდობიანი თანაცხოვრება“.

1998 წლის 28 იანვარს სვანიძის ბანდის წევრებმა პოლიციის თანამშრომლის ავტომანქანა „Нива“ და ერთ-ერთი მოქალაქის მიკროავტობუსი გაიტაცეს. ეს უკვე თავხედური გამოწვევა იყო, პოლიციის ოპერატიული ჯგუფი, რომელსაც ვიქტორ გობრონიძე ედგა სათავეში, ღამის სამ საათზე სოფელ ცხემლისხიდთან დაეწია ყაჩაღებს. ყაჩაღებმა ცეცხლი გაუხსნეს პოლიციელს, მიატოვეს ნაყაჩაღარი ავტომანქანები და მიიმალნენ.

ორი თვის შემდეგ, 8 მარტს, შუაღამისას სოფელ ცხემლისხიდის ცენტრში სვანიძის ბანდის ერთ-ერთმა ყველაზე თავზეხელაღებულმა და დაუნდობელმა წევრმა გელა მინდაძემ ავტომატიდან ცეცხლი გაუხსნა პოლიციის ოპერატიულ ჯგუფს, მძიმედ დაჭრა მძღოლი-პოლიციელი რამინ წულაძე და უბნის ინსპექტორი კახა კუპრაძე. საპასუხო სროლით ბანდიტი ადგილზე იქნა ლიკვიდირებული. მას აღმოაჩნდა ავტომატი რვა მჭიდითა და 150 ვაზნით, 3 ხელყუმბარა.

შეიქმნა სისხლიანი დაპირისპირების ესკალაციისა და რეგიონში ვითარების დაძაბვის რეალური საფრთხე.

სვანიძის ბანდაში სულ რამდენიმე კაცილა იყო დარჩენილი, მაგრამ მაინც ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენდა. დაიწყო მოლაპარაკების ახალი სერია.

შუამავლების საშუალებით ბანდის მეთაურს კვლავ შეხვდნენ ვიქტორ გობრონიძე, პროკურატურის გამომძიებელი ზაქრო წიკლაური. სვანიძის ოჯახის წევრებს ესაუბრა შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარე, პოლიციის გენერალ-მაიორი ზურაბ ჩხაიძე. კვლავ ნებაყოფლობით ჩაბარების წინადადება და კანონით გათვალისწინებული შეღავათები.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ იმ დღეებში ტელევიზიითაც კი გააკეთა განცხადება, მოუწოდა ბანდიტებს ნებაყოფლობით ჩაბარებოდნენ მართლმსაჯულებას, ამასთან, კატეგორიულად გააფრთხილა, თუ ისინი შეიარაღებულ წინააღმდეგობას გაუწევენ პოლიციას და საფრთხეს შეუქმნიან მათ სიცოცხლეს, ადგილზე მოხდება მათი ლიკვიდაცია, როგორც ამას კანონიც ითვალისწინებს. ამ მიმართულებით რეგიონში ნაყოფიერად იმუშავა შსს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის რექტორმა, პროფესორმა მამია დარჩიამ, შინაგან საქმეთა სამინისტროს პრეს-ცენტრმა.

შეთავაზებულ წინადადებებზე ბანდის მეთაური კვლავ ჭოჭმანობდა. აშკარად იგრძნობოდა, რომ იგი დროს წელავდა, რაღაცის მოლოდინში იყო.

ასეთ ვითარებაში ერთადერთი გამოსავალი რჩებოდა: როგორმე უმსხვერ-პლოდ განხორციელებულიყო ბანდის წევრების აყვანა.

ყოველდღიური, მიზანმიმართული ოპერატიული მუშაობის წყალობით პოლიცია ადგენდა მათი გადაადგილებისა და შეხვედრის ადგილს. მაგრამ ეს არ იყო საკმარისი, ბანდიტების დაკავება უნდა მომხდარიყო დასახლებული პუნქტიდან მოშორებულ ადგილზე, რათა შეტაკების შემთხვევაში მოსახლეობიდან არავინ დაზარალებულიყო.

5 აგვისტოს, საღამოს 23.00 საათზე გურიის სამხარეო პოლიციაში შემოვიდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ნოდარ სვანიძე და მისი ბანდის წევრი ზაზა ქავთარაძე იმყოფებოდნენ ქალაქ ოზურგეთში, დავით აღმაშენებლის ქუჩაზე მდებარე ჩაის ფაბრიკის მიმდებარე ტერიტორიაზე.

შეიქმნა ოპერატიული ჯგუფი სამხარეო პოლიციის უფროსის ვიქტორ გობრონიძის მეთაურობით. პოლიციელები ქალაქის მჭიდროდ დასახლებულ უბანში ბანდიტებთან შეჯახებას მოერიდნენ. ქალაქის განაპირას, დაუსახლებელ ადგილზე, სოფელ დვაბზუს მისადგომებთან, გზატკეცილის ნაპირზე ჩაის პლანტაციებში ჩაუსაფრდნენ ბანდიტებს. ცოტა ხანში ისინიც გამოჩნდნენ. ბანდის მეთაურ სვანიძესა და პოლიციის უფროს გობრონიძეს სულ რაღაც 10-15 მეტრი აშორებდა ერთმანეთთან. ხეს ამოფარებულმა პოლიციის უფროსმა პროჟექტორი მიანათა სვანიძეს და უბრძანა: „დაყარეთ იარაღი, დაგვნებდი“.

ამის პასუხად სვანიძემ ავტომატის ჯერი მიუშვა გობრონიძის მიმართულებით, სამხარეო პოლიციის უფროსი მსუბუქად დაიჭრა. ყაჩაღმა 30-ვე ტყვია დაცალა და ავტომატში ახალი მჭიდის ჩადება დაიწყო, სწორედ ამ მომენტში უწია საპასუხო გასროლამ. ტყვიებით დაცხრილული ბანდიტი შარაგზაზე დაეცა. მეორემ – ზაზა ქავთარაძემ ერთი ხელყუმბარა ესროლა პოლიციელებს, მეორე ხელყუმბარაზე თვითონ აფეთქდა. შემთხვევის ადგილიდან ამოღებულია ორი ავტომატი 19 მჭიდითა და 534 გაუსროლელი ვაზნით, 5 ხელყუმბარა.

ამ ამბიდან მესამე დღეს შევხვდი ვიქტორ გობრონიძეს, დიდი სიხარული მაინცდამაინც ვერ შევამჩნიე:

„ძალიან გვინდოდა ნებით ჩაგვბარებოდნენ, რამდენჯერმე შევხვდი, ბოლო წუთს წინადადებაც მივეცი, მაგრამ არ ქნეს. ყველა კაცი ცოდოა სიკვდილისათვის. ისიც მაწუხებს, რომ პირადად სვანიძეს 150-ზე მეტი დანაშაული აქვს ჩადენილი, მისი სიკვდილის გამო ამ დანაშაულობათა დიდი ნაწილი გაუხსნელი დარჩება“, – თქვა ვიქტორ გობრონიძემ.

პრეზიდენტის ბრძანებულებით ვიქტორ გობრონიძე ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა. მედლით „მხედრული მამაცობისათვის“ დაჯილდოვდნენ პოლიციის უმცროსი ლეიტენანტი ავთანდილ გიორგაძე, პოლიციის რიგითი სამსონ თავდიშვილი და პოლიციის ზემდეგი რამინ წულაძე.

პრეზიდენტის რწმუნებული გურიის მხარეში კარლო გუჯაბიძე სამივე რაიონის გამგებელთან ერთად მივიდა სამხარეო პოლიციის სამმართველოში, მადლობა გადაუხადა მათ და გადასცა ფულადი ჯილდო.

მიღებული ფულით პოლიციელებმა, რომლებსაც უკვე სამი თვეა არ მიეღოთ ხელფასი, ჩოხატაურის რაიონის კოხნარის ინვალიდ ბავშვთა სკოლა-ინტერნატს ტელევიზორი უყიდეს.

შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით სამხარეო პოლიციის 17 თანამშრომელი წაახალისეს, ორ თანამშრომელს ვადაზე ადრე მიენიჭა მორიგი სპეციალური წოდება.

თითქმის რვა წელიწადის კოშმარულ ღამესავით გაწელილი ბანდიტური ეპოპეა დასრულდა“.

●

აქ არაფერია გადაჭარბებული და ზუსტად ასახავს ვითარებას, რომელიც გურიაში იყო შექმნილი.

ზემოთ აღნიშნული წიგნიდან ამ ვრცელი ნაწყვეტის გაცნობის შემდეგ მოდით მისი შექმნის ისტორიაც გავიხსენოთ.

1999 წლის მარტში საქართველოში რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს დელეგაცია ჩამოვიდა, მინისტრის, გენერალ-პოლკოვნიკ სერგეი სტეპაშინის ხელმძღვანელობით. მას თან ახლდნენ რუსეთის შს სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკები და კოლეგიის წევრები. ვიზიტის მიზანი იყო ორი ქვეყნის სამინისტროების ერთობლივი კოლეგიის ჩატარება და სათანადო გადაწყვეტილებების მიღება შემდგომში ორგანიზებულ დანაშაულთან და ტერორიზმთან ბრძოლის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით. კოლეგიამ საქმიან ვითარებაში ჩაიარა. გამომშვიდობებისას რუსეთის შს სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებროს მთავარი სამმართველოს უფროსმა, მილიციის გენერალ-ლეიტენანტმა ივან ხრაპოვმა საჩუქრად გადმომცა რუსეთის სისხლის სამართლის სამძებროს 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი წიგნი „Наша Служба. Уголовный Розыск“[8].

ნაშრომის გაცნობის შემდეგ გაჩნდა იდეა, რომ ასეთივე წიგნი გამოგვეცა 2001 წელს, საქართველოს სისხლის სამართლის სამძებროს 80 წლის საიუბილეოდ. მინისტრმა კახა თარგამაძემ მხარი დაუჭირა იდეას და მისი ბრძანებით შეიქმნა სარედაქციო კოლეგია შემდეგი შემადგენლობით: ვალერიან გოგოლაშვილი (საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი), მამია დარჩია (პროფესორი), მაია მოსიძე (ჟურნალისტი), ვახტანგ ოდიშვილი (სისხლის სამართლის სამძებროს ვეტერანი, პოლიციის პოლკოვნიკი), ვახტანგ ქარუმიძე (პროფესორი), ვახტანგ ჯაფარიძე (სისხლის სამართლის სამძებროს ვეტერანი, პოლიციის პოლკოვნიკი) და სამეცნიერო რედაქტორი, პროფესორი დავით გეგეშიძე. მთავარი რედაქტორის და კონსულტანტის ფუნქცია მე დამეკისრა. 645 გვერდიანი წიგნი – „ერთგულება,

[8] „ჩვენი სამსახური. სისხლის სამართლის სამძებრო“

თავდადება, პროფესიონალიზმი: 80 წელი კრიმინალებთან ბრძოლაში (სისხლის სამართლის სამძებრო)“ 2001 წელს ტექნიკური უნივერსიტეტის გამომცემლობამ დასტამბა და საკმაოდ მაღალი შეფასება დაიმსახურა.

გვქონდა სურვილი 2021 წელს საქართველოს შს სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებროს 100 წლის საიუბილეოდ გამოცემულიყო წიგნის განახლებული ვარიანტი უფრო დიდი ტირაჟით, რათა იგი ხელმისაწვდომი გამხდარიყო მკითხველთა ფართო წრისათვის. თუმცა სურვილი სურვილად დარჩა.

გახმაურებული საქმეები

1994 წელს დამნაშავეობამ კრიტიკულ ზღვარს მიაღწია. მნიშვნელოვნად გაიზარდა მკვლელობათა რაოდენობა, განსაკუთრებული სისასტიკითა და ცინიზმით ჩადენილი ტერორისტული აქტები. 1994 წლის 19 აპრილს, ნუცუბიძის პლატოზე, საკუთარ სახლთან ახლოს, მხეცურად მოკლეს შინაგან საქმეთ მინისტრის მოადგილე, გენერალი გია გულუა და მისი ორი თანამშრომელი.

ნოემბერში ბორჯომში საეჭვო ვითარებაში გაქრა „თეთრი არწივის“ ბაკურიანის დანაყოფის ხელმძღვანელები და მათთან მყოფი სამი ადამიანი, ხოლო 3 დეკემბერს საკუთარ სახლთან განსაკუთრებული სითავხედით, უამრავი მოწმის თვალწინ, ავტომანქანაში ჩაცხრილეს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი გია ჭანტურია და მისი მძღოლი, მძიმედ დაიჭრა ირინა სარიშვილი.

დღის წესრიგში დადგა სამართალდამცავი სტრუქტურების მუშაობის კარდინალური გარდაქმნის და სტრუქტურული რეფორმების აუცილებლობა.

1995 წლის იანვარში შს სამინისტროში ჩამოყალიბდა ორგანიზებული დანაშაულის, ბანდიტიზმის, რეკეტისა და ეკონომიკური დივერსიის წინააღმდეგ მებრძოლი დეპარტამენტი, რომლის ხელმძღვანელად კახა თარგამაძე დაინიშნა. რეგიონულ სამხარეო სამმართველოებშიც იმავდროულად შეიქმნა ანალოგიური დანაყოფები, რომლებშიც სამუშაოდ მოწვეული იქნენ სისტემაში მომუშავე მაღალი კვალიფიკაციისა და ავტორიტეტის მქონე თანამშრომლები. თავმჯდომარის მოადგილეებად დაინიშნენ თემურ მურღულია, თამაზ დგებუაძე და ზურაბ უროტაძე; სამმართველოების უფროსებად დავით კაჭკაჭიშვილი და უშანგი მგელაძე. ეკონომიკის სფეროში ორგანიზებულ დანაშაულთან მებრძოლი სამმართველოს ხელმძღვანელობა მე დამევალა.

დეპარტამენტში სწრაფი ტემპით დაიწყო ქვეყნის რაიონებიდან ოპერატიული ინფორმაციის შეკრება და გაანალიზება, რომელთა საფუძველზეც გაზაფხულიდანვე განხორციელდა ფართომასშტაბიანი მიზნობრივი ღონისძიებანი „მხედრიონისა“ თუ სხვა უკანონო შეიარაღებული ფორმირებების წინააღმდეგ.

დამნაშავეობასთან ბრძოლის ახალ ტალღას კრიმინალურმა წრეებმაც საპასუხო და სერიოზული წინააღმდეგობით უპასუხეს. 20 ივნისს დილით საკუთარი სახლიდან გამოსვლისას მოკლეს „შევარდნაძის ფონდის“ ხელმძღვანელი სოლიკო ხაბეიშვილი და მისი მძღოლი, ხოლო 29 აგვისტოს განხორციელდა ტერორისტული აქტი საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ, რომელიც აფეთქების შემდეგ მხოლოდ სასწაულად გადაურჩა სიკვდილს.

ბატონი უშაგი მგელაძე იხსენებს: „ტერორიზმი ფუნქციონალურად სახელმწიფო უშიშროების სამსახურის პრეროგატივაა, მაგრამ ქვეყანაში შექმნილი რთული სოციალურ-პოლიტიკური ვითარების და მძიმე კრიმინოგენური მდგომარეობის გამო ამ დეპარტამენტს, კერძოდ, ჩემდამი დაქვემდებარებულ სამმართველოს მოუხდა ამ მიმართულებით აქტიური მუშაობა, რადგან ყველაფერი „ბორჯომის საქმით“ დაიწყო, რომლის გახსნაზეც ჩვენ ვმუშაობდით“. ეს ეპიზოდი შემდგომში კარგად იქნა გამოყენებული პოპულარულ ტელესერიალში „ცხელი ძაღლი“.

რა მოხდა ბორჯომში?

1994 წლის 20 ნოემბერს ბორჯომის №2 ჩამოსასხმელი ქარხნის ოფისში ხუთი პიროვნება მივიდა: ბაკურიანის „თეთრი არწივის“ ხელმძღვანელი ივერი მაღრაძე, „თეთრი არწივის“ შტაბის უფროსი ედვარდ აკოფოვი, ახალციხის რეგიონული პროკურატურის გამომძიებელი ვახტანგ ციხიშვილი. მათთან ერთად იმყოფებოდა ორი ქალბატონი: ზაირა დარბიაშვილი კასპიდან და ნინო კანტიძე თბილისიდან. ხუთივე მათგანი გაურკვეველ ვითარებაში დაიკარგა[9].

გადიოდა დრო. ადგილობრივი პოლიცია, პროკურატურა, რომელიც აწარმოებდნენ გამოძიებას, აგროვებდნენ ინფორმაციებს, ნივთიერ მტკიცებულებებს, ერთდროულად ატარდებდნენ დაკითხვებს. ოფისის ხელმძღვანელობა აცხადებდა, რომ შეხვდნენ მისულებს, შედგა შეხვედრები, იყო სასმელიც, ერთმანეთის დალოცვაც, შემდეგ კი ივერი მაღრაძე და მისი თანმხლები პირები ჩასხდნენ მანქანაში და წავიდნენო. თუმცა საპირისპირო ინფორმაციებიც ვრცელდებოდა – „ბორჯომის“ ოფისის სტუმრები დახოცეს იმიტომ, რომ მათ ვერ გაიყვეს ბაკურიანსა და ბორჯომში გავლენის სფეროებიო. „თეთრი არწივი“ იმ დროს გვარდიაში შედიოდა. ადრე გვარდია მართავდა ბორჯომს და წესრიგიც ჰქონდათ, წარმოებაც უფრო უკეთესად მუშაობდა. შემდეგ მართვის სადავეები „მხედრიონმა“ აიღო ხელში. ამ უკანასკნელს კი ბორჯომში ჰქონდა მყარი პოზიციები. ინფორმაციის თანახმად მოკლულთა გვამები ოფისის სარდაფში ჩამარხეს. მეორე ვერსიით გვამები გადაყარეს გოდერძის უღელტეხილზე. ერთი სიტყვით იმდენად ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციები მოგროვდა, რომ მასში გარკვევა გაძნელდა. მაგრამ გამყარდა აზრი იმის შესახებ, რომ ეს ხუთი პიროვნება მოკლეს და მათი გვამები დამალეს.

ინფორმაციის დამატებით დამუშავება ძირითადად სოსო ალავიძის განყოფილებას მივანდეთ. მის განყოფილებაში შედიოდნენ ახალგაზრდა მუშაკე-

---

[9] მომზადებულია კრებულის „ერთგულება, თავდადება, პროფესიონალიზმი: 80 წელი კრიმინალებთან ბრძოლაში“ მიხედვით. თბ. 2001. გვ. 558-562

ბი: ალეკო ტაბატაძე, გია კაჭარავა, დავით ბედია; პარალელურად მუშაობდა მეორე ჯგუფი რევაზ ფოჩხუას ხელმძღვანელობით.

ივლისის დასაწყისში დადგინდა პიროვნება, რომელმაც №2 ქარხანაში გაიგონა სროლის ხმა. მსროლელთაგან ერთ-ერთი, დაჭრილი მიშა სამსონაშვილი საავადმყოფოში მიიყვანეს. შემოწმებით დადასტურდა სამსონაშვილის მკურნალობის ფაქტი. მოკლედ გამოჩნდა პიროვნება, რომელიც „ბორჯომის საქმის“ მონაწილე იყო. ერთდროულად გამოჩნდნენ ის პირებიც, რომლებსაც გარკვეული ინფორმაციის მოწოდება შეეძლოთ. მიშა სამსონიშვილის საავადმყოფოში წამყვანი აღმოჩნდა ბორჯომის №2 ჩამომსხმელი ქარხნის დირექტორის თამაზ კურტანიძის დაცვის უფროსი, მხედრიონის წევრი გია იობაშვილი.

მომწიფდა კურტანიძისა და იობაშვილის დაკავების საკითხი, მაგრამ საჭირო იყო სამხილები. აღმოჩნდა, რომ ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის სამსახურს თურქეთში 100 კუბური მეტრი ხე-ტყის უკანონოდ გატანის მცდელობის ფაქტზე ადიგენში დაეკავებინა ვინმე შავაძე. ტვირთს აცილებდა მხედრიონელი ბუცხრიკიძე. აღძრული იყო სისხლის სამართლის საქმე და გამოძიების პროცესში ისინი დანაშაულში მონაწილეობაში ამხელდნენ ძმებ კურტანიძეებს და აცხადებდნენ, რომ ხე-ტყე მათ ეკუთვნოდათ. როგორც მახსოვს გამოძიებას დავით ჯინჯოლავა აწარმოებდა. შავაძე და სახერხის დირექტორი დანაშაულში პირდაპირ ამხელდნენ ბორჯომის ქარხნის დირექტორს თამაზ კურტანიძეს. კონცერნის საქმიანობაში იკვეთებოდა სხვა სერიოზული ხასიათის ფინანსური დანაშაულებიც. გადაწყდა, რომ საქმესთან დაკავშირებით თამაზ კურტანიძე მოწვეული ყოფილიყო სამინისტროში, სადაც მოხდა მისი დაკავება. იგი ყველა ბრალდებას უარყოფდა, თუმცა ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციების სიზუსტემ თანამზრახველზე ეჭვი წარმოუქმნა მეორე დაკავებულ იობიშვილს და ამოიხსნა კიდევაც ბორჯომის საიდუმლო.

მხილებული პირების აყვანაში 120 თანამშრომელი მონაწილეობდა.

ოპერაცია დილის 5 საათზე დაიწყო. დაკავებულ იქნა 13 პიროვნება. ბორჯომის ქარხნის დირექტორი აღნიშნავდა, რომ მან ამაზრზენი სურათი ნახა. როგორც კი დახოცეს, გვამები ადგილზე დატოვეს. შემდეგ ზეწარში გახვეული გვამები ჩააწყვეს „УАЗ-ში“ და სოფელ დაბაში ბენზინის ცისტერნებში ჩაყარეს, მეორე დღეს კი იქ ჩააბეტონეს. ბორჯომის დანაშაულის მონაწილეთა ერთმა ნაწილმა გია ჭანტურიას, გია გულუას და სოლიკო ხაბეიშვილის მკვლელობაშიც მიიღო მონაწილეობა. გაირკვა ისიც, რომ ამ დაჯგუფების ნაწილი მონაწილეობდა 29 აგვისტოს პრეზიდენტზე განხორციელებულ ტერორისტულ აქტშიც.

მოვლენები ელვისებურად განვითარდა. დეპარტამენტის მუშაკების მიერ დაკავებული იქნენ უშიშროების მინისტრის მოადგილე (ყოფილი შინაგან

საქმეთა მინისტრი) თემურ ხაჩიშვილი, „მაშველთა კორპუსის“ ხელმძღვანელი გიგა გელაშვილი. უშიშროების მინისტრმა იგორ გიორგაძემ კი ვაზიანის სამხედრო ბაზიდან გაქცევით უშველა თავს. იმ დღეს, გაქცევამდე, გიორგაძე კბილებამდე შეიარაღებული სპეცრაზმის თანხლებით შევიდა სამინისტროში, საიდანაც გატანილ იქნა უამრავი ნივთმტკიცება. აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეებზე დაკავებული იყვნენ ასევე უშიშროების სამინისტროს და მაშველთა კორპუსის სხვა თანამშრომლებიც.

სასამართლომ ისინი დამნაშავედ ცნო: თემურ ხაჩიშვილს 15 წლით, გიგა გელაშვილს 13 წლით, გურამ პაპუაშვილს 10 წლით პატიმრობა მიესაჯათ. სასჯელის სხვადასხვა ზომა განესაზღვრათ სხვა დაკავებულებს.

●

1995 წლის 5 ნოემბერს საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა ედუარდ შევარდნაძემ, ხოლო 13 ნოემბრის ღამეს შინაგან საქმეთა მინისტრის შოთა კვირაიას მიერ, პირადად იქნა დაპატიმრებული ჯაბა იოსელიანი, რომელსაც სასამართლომ 11 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

ჯაბა იოსელიანთან ერთად დაკავებული იქნენ: იური გულიევი, ავთანდილ გოგოტიშვილი, გელა პაპუაშვილი, გურამ პაპუკაშვილი, გიორგი გოგიტიძე, მამუკა ბარბაქაძე, ლევან ზაქარეიშვილი, ნიკოლოზ კვეზერელი, ედუარდ ნასყიდაშვილი, გრიგოლ ბასიაშვილი. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, გამოძიებამ სხვა მნიშვნელოვანი საქმეებიც გახსნა. კერძოდ, 1994 წლის დასაწყისში მკვეთრად გამწვავდა ურთიერთდამოკიდებულება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სატრანსპორტო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსს გია გულუას და საქართველოში მოქმედ მაფიოზურ-კლანურ დაჯგუფებებს შორის. გია გულუა მათ საჯაროდ უცხადებდა დაუნდობელ ბრძოლას. აღნიშნული გარემოება საკმაოდ მოხერხებულად გამოიყენა სახელმწიფო უშიშროების სამსახურმა, რომელიც დანაშაულებრივ ალიანსში იმყოფებოდა „მაშველთა კორპუსთან“. ამ უკანასკნელის მიერ შემუშავებული გეგმის მიხედვით 1994 წლის 20 აპრილს თბილისში, საცხოვრებელი კორპუსის სიახლოვეს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე გია გულუა და მისი ორი თანმხლები პირი მოკლეს.

ამ საქმეში მხილებული იქნა 11 პირი, მათ შორის: ჯაბა იოსელიანი, თემურ ხაჩიშვილი, გიგა გელაშვილი, გოჩა თედიაშვილი, ნიკოლოზ გედევანიშვილი, ზურაბ ქარსელაძე, ნუგზარ პავლიაშვილი, თემურ ქურდიანი და სხვანი.

საქართველოში არსებული მაფიოზურ-კლანური და დანაშაულებრივი დაჯგუფებები აშკარად ებრძოდნენ სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისა და კანონიერების განმტკიცების კურსს. არ ღალატობდა რა თავის ეროვნულ

და პოლიტიკურ მრწამსს, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე გია ჭანტურია ღიად ამხელდა „მაშველთა კორპუსის – მხედრიონის“ და სახელმწიფო უშიშროების ხელმძღვანელი პირების დანაშაულებრივ ალიანსს და ბრძოლას უცხადებდა მათ. 1994 წლის 3 დეკემბერს თბილისში, საცხოვრებელ კორპუსთან მოკლეს გია ჭანტურია და მისი მძღოლი, მძიმედ დაიჭრა გია ჭანტურიას მეუღლე, პარლამენტის წევრი ირინა სარიშვილი.

ამ საქმეში მხილებული იქნა 11 პირი: ჯაბა იოსელიანი, იგორ გიორგაძე, თემურ ხაჩიშვილი, გიგა გელაშვილი, ზურაბ ჭელიძე, ზურაბ ხაჩიძე, გიორგი ძაგანია, გოჩა თედიაშვილი, გოჩა გელაშვილი, ლევან მაძღარაშვილი და თემურ ქურდიანი.

1995 წლის 20 ივნისს საცხოვრებელ ბინასთან მოკლეს ედუარდ შევარდნაძის „საქართველოს აღორძინებისა და დემოკრატიის ფონდის“ პრეზიდენტი სოლიკო ხაბეიშვილი და მისი მძღოლი.

ამ საქმეში მხილებული იქნა 9 პირი: ჯაბა იოსელიანი, იგორ გიორგაძე, თემურ ხაჩიშვილი, გიგა გელაშვილი, დავით სანიკიძე, გოჩა თედიაშვილი, გოჩა გელაშვილი, ჯუმბერ საყვარელიძე და თემურ ქურდიანი.

გამოძიების პროცესში დადგენილი იქნა, რომ 1995 წლის ივნის-აგვისტოში ტერორისტთა ჯგუფი ორჯერ შეეცადა სახელმწიფოს მეთაურის ლიკვიდაციას ე. წ. „ცოცხალი ბომბის“ გამოყენებით სოლიკო ხაბეიშვილის დაკრძალვასა და ფილარმონიაში, მოქალაქეთა კავშირის ყრილობაზე ყოფნის დროს.

ამ საქმეში მხილებული იქნა 7 პირი: იგორ გიორგაძე, თემურ ხაჩიშვილი, გიგა გელაშვილი, ნიკა კვეზერელი, პავლე ბუხრიკიძე, დავით ლურსმანაშვილი, გელა გელაშვილი.

ზემოაღნიშნული ტერორისტული აქტების ჩადენაში სულ მხილებული იქნა 31 პირი. მათ შორის: დაპატიმრებული იყო – 16, დაღუპული – 3, იძებნებოდა – 12.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ორგანიზებული დანაშაულის, ბანდიტიზმის, რეკეტის და ეკონომიკური დივერსიის წინააღმდეგ ბრძოლის ახლად შექმნილმა დეპარტამენტმა, მცირერიცხოვანი პირადი შემადგენლობის მაღალკვალიფიციური და თავდადებული შრომის შედეგად, დროის უმოკლეს მონაკვეთში შეძლო სრული გარდატეხის მოხდენა დამნაშავეობასთან ბრძოლის საქმეში. გახსნილი იქნა არაერთი უმძიმესი რეზონანსული დანაშაული. დაპატიმრებული იქნა არაერთი მაღალი თანამდებობის პირი, რომლებიც უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ ორგანიზებულ დანაშაულებრივ ჯგუფებს.

●

ტერორიზმისა და სახელმწიო გადატრიალების მცდელობები შემდგომშიც გაგრძელდა. მოვლენებს წინ გავუსწრებ და მოვყვები კიდევ ერთ ფაქტზე:

1999 წლის 11 მარტს სამინისტროში, ოპერატიული თათბირის შემდეგ ჩემთან მობრძანდა გენერალ-მაიორი გივი კვანტალიანი, რომელიც იმჟამად საგანგებო სიტუაციების სამსახურს ხელმძღვანელობდა. ბატონ გივის ჯერ კიდევ მახარაძის რაიონში მუშაობის პერიოდიდან ვიცნობდი. იმ დროს იგი შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე გახლდათ და მასთან საკმაოდ კარგი ურთიერთობა მქონდა. გულთბილი მოკითხვის შემდეგ ბატონმა გივიმ გამაცნო ერთი მეტად საყურადღებო და შემაშფოთებელი ინფორმაცია, რომლის მიხედვით საქართველოში მიმდინარეობდა გამალებული მზადება შეიარაღებული გზით სახელმწიფო გადატრიალებისა და ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად. დაგეგმილი იყო ქვეყნის პრეზიდენტისა და ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელთა ლიკვიდაცია. გადატრიალების მზადებას უშუალოდ ხელმძღვანელობდა იგორ გიორგაძე, რომელიც ამ მიზნით მასთან დაახლოებულ სანდო პირებს სათანადო ინსტრუქტაჟს უწევდა და ფინანსურადაც უზრუნველყოფდა. ძირითადად ისინი უშიშროების სამინისტროს ყოფილი სპეცდანიშნულების რაზმის „ალფას“ წევრები იყვნენ. ინფორმაცია შემოსული იქნა პიროვნებისგან, რომელსაც პირადად შეხვდა „ალფას“ ყოფილი ხელმძღვანელი თამაზ პაპუაშვილი, გააცნო გეგმა და შესთავაზა მონაწილეობა. ნდობის ასეთი მაღალი ფაქტორი გამოწვეული იყო პირადი ახლო ნაცნობობიდან გამომდინარე. ინფორმაცია იმდენად დამაჯერებელი იყო, რომ დაუყოვნებლივ რეაგირებას საჭიროებდა.

ბატონ გივისთან შემდგომი მოქმედებების შეთანხმების შემდეგ ინფორმაცია მოვახსენე მინისტრს. გადაწყდა შევხვედროდი ინფორმატორს, შეგვექმნა ოპერატიული საქმე და შევდგომოდით გადამოწმებას. საქმის კურსში ჩავაყენეთ უშიშროების საბჭოს მდივანი და სამთავრობო დაცვის ხელმძღვანელი.

საიდუმლო წესით შევარჩიე და შევქმენი რამდენიმეკაციანი ჯგუფი საჭირო ოპერატიულ ღონისძიებათა გასატარებლად. ღონისძიებების ხელმძღვანელობა და კონტროლი თავის თავზე აიღო უშუალოდ შს მინისტრმა, ბატონმა კახა თარგამაძემ.

ინფორმატორთან შეხვედრის შემდეგ დავრწმუნდით, რომ მოსალოდნელი საფრთხე რეალური იყო. ოპერატიული ჯგუფი მუშაობის სადღეღამისო რეჟიმზე გადავიყვანეთ. შევუდექით ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა კომპლექსურად განხორციელებას მტკიცებულებათა მოპოვებისა და დანაშაულის მზადებაში მონაწილეთა სრულად გამოვლენის მიზნით.

19 მარტს, ზუსტად ერთი კვირის თავზე, ჩვენთვის სამწუხაროდ და სრულიად მოულოდნელად გენერალი გივი კვანტალიანი გარდაიცვალა. 25-ში იგი უკანასკნელ გზაზე გავაცილეთ. შემდგომში, როდესაც ქვეყანას მოსალოდნელი უმძიმესი დანაშაული ავაცილეთ, ბატონ გივის ღვაწლი სახელმწიფო ჯილდოთი (სიკვდილის შემდეგ) იქნა აღნიშნული.

აპრილის დასაწყისისთვის დანაშაულის მზადებასთან დაკავშირებულ პირთა წრე საგრძნობლად გაიზარდა და ყოფილი სპეცდანიშნულების რაზმის წევრების გარდა, გამოიკვეთა ლოთი ქობალიას გვარდიელები, რადიკალი „ზვიადისტები“, თავდაცვის სამინისტროს მუშაკები, პოლიტიკოსები და რამდენიმე პარლამენტარიც კი. ამასთან ერთად გაიზარდა მათი მოქმედების არეალიც და იგი გასცდა ქვეყნის ფარგლებს. სამინისტროს მწირი ტექნიკური საშუალებებით თითქმის შეუძლებელი გახდა სრულყოფილი ღონისძიებების განხორციელება და ამან ჩვენი მოქმედების გაშიფვრის საშიშროება შექმნა. აღსანიშნავია, რომ ამ დროს დაფიქსირებული იქნა ჩვენთვის საინტერესო ობიექტების მიმართ უშიშროების სამინისტროს მხრიდან მაღალი ინტერესი და მიმდინარე სპეცღონისძიებებიც. ქვეყნის პრეზიდენტთან მინისტრის შეხვედრის შემდეგ გაირკვა, რომ ანალოგიური ცნობები სხვა წყაროებიდან გააჩნდათ უშიშროებისა და დაზვერვის სამსახურებსაც. გადაწყდა შემდგომში ერთობლივი შეთანხმებული მუშაობა. 20 აპრილს უშიშროების სამინისტროში ვახტანგ ქუთათელაძესთან სამუშაო შეხვედრაზე ჯამლეთ ბაბილაშვილის, კახა თარგამაძის, ავთანდილ იოსელიანისა და სულხან პაპაშვილის მონაწილეობით შეიქმნა უწყებათაშორისი ერთობლივი ჯგუფი, რომელიც მოქმედებდა დამტკიცებული გეგმის შესაბამისად.

ჯგუფში შევიდნენ ყველა უწყების წარმომადგენლები, მათ შორის: ნუგზარ ბაბუციძე, თემურ გრძელიძე, სიმონ ნოზაძე, ილია ნარიმანიძე, ზაზა მაზმიშვილი, შენგელი ფიცხელაური, მალხაზ სალაყაია, აჩიკო ხვედელიძე, შალვა ჟღენტი, დავით კეკუა, თქვენი მონა-მორჩილი და სხვები. დაიწყო ერთობლივი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებანი. ყველა ფიგურანტი შეძლებისდაგვარად აყვანილი იქნა კონტროლზე. ერთ-ერთი ევროპული ქვეყნის სპეცსამსახური, ტექნიკური საშუალებებით ინფორმაციის მოპოვებაში გვიწევდა დახმარებას არამარტო საქართველოს, არამედ რუსეთის, ბელარუსის და ზოგიერთი არაბული ქვეყნის ტერიტორიაზეც კი.

მუშაობის პროცესში განსაკუთრებით გასათვალისწინებელი იყო ის ფაქტი, რომ საქმეში გამავალი ფიგურანტების უმრავლესობას გავლილი ჰქონდა ოპერატიული მუშაობის სპეცსკოლა და კარგად იცნობდნენ ჩვენი მუშაობის ხერხებს და მეთოდებს. ამან ცალკეულ შემთხვევებში სერიოზული პრობლემები წარმოქმნა და შექმნა ჩვენი მხრიდან დაინტერესების გაშიფვრის შესაძლებლობა.

თითქმის ყოველდღიური მუშაობის შედეგების განხილვა და ახალი დავალებების გაცემა მიმდინარეობდა უშიშროების სამინისტროში. შემოწმებისა და განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ მოექცნენ ყოფილი „ალფასა“ და „ომეგას“, ომონის, გვარდიის, „მხედრიონის“, ქობალიას დანაყოფების, მედესანტეების თანამშრომლები და მათი კავშირები.

გააქტიურდა ეჭვმიტანილთა შეხვედრები მოსკოვში, მინსკსა და ბეირუთში, სადაც საქართველოდან გამოძახებულ თანამოაზრეებს ეძლეოდათ დეტალური ინსტრუქტაჟი და დავალებები. თბილისში დაიწყეს დაცვის სამსახურის საფარქვეშ ჯგუფების ჩამოყალიბება და კონსპირაციული ბინების დაფუძნება.

20 მაისს ვახტანგ ქუთათელაძესთან კვლავ შევიკრიბეთ. განხილული იქნა შეკრებილი მასალა. ნათელი შეიქნა, რომ სასურველია მეტი მტკიცებულებების შეკრება და ღონისძიებების გაგრძელება, მაგრამ ვინაიდან შესაძლო იყო სახელმწიფო გადატრიალების სხვა სათადარიგო გეგმის არსებობაც, რომელსაც ჩვენ არ ვიცნობდით, გადაწყდა რეალიზაციის დაუყოვნებლივ დაწყება. ჩაითვალა, რომ ეს, როგორც მინიმუმ, საკმარისი იქნებოდა მოსალოდნელი მძიმე შედეგების ასაცილებლად. შედგა კონკრეტული ღონისძიებების გეგმა. დაზუსტდა დასაკავებელი პირები და იმ პირთა ვინაობა, რომლებიც ამ პერიოდში მკაცრ მეთვალყურეობას და კონტროლს ექვემდებარებოდნენ.

22 მაისს ოპერატიული მასალების რეალიზაცია დაიწყო. დაკავებული იქნენ: თავდაცვის სამინისტროს სასწავლო ცენტრისა და ობიექტების მმართველობის უფროსი, გენერალ-მაიორი გუჯარ ყურაშვილი, 1995 წლის 29 აგვისტოს საქართველოს პრეზიდენტზე განხორციელებულ ტერორისტულ აქტში მონაწილეობისთვის მსჯავრდადებული, უშიშროების სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმის „ალფას“ უფროსის გელა პაპუაშვილის ძმა – უშიშროების ყოფილი პოლკოვნიკი თეიმურაზ პაპუაშვილი და კიდევ 10 პირი. მათი ბინების ჩხრეკისას ამოღებული იქნა ცეცხლსასროლი იარაღი და ასაფეთქებელი მოწყობილობები. განსაკუთრებით საყურადღებო აღმოჩნდა პაპუაშვილის საცხოვრებელი სახლის მიმდებარე დამხმარე სათავსოში აღმოჩენილი სამალავი, საიდანაც ამოღებული იქნა 2 ცალი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 7 ცალი პისტოლეტი (მათ შორის 4 „Макаров-ი“), კარაბინი, ხელყუმბარა, პისტოლეტისა და ავტომატის მაყუჩები.

დაკავებულებს წარედგინათ ბრალი და აყვანილი იქნენ წინასწარ პატიმრობაში.

ცეცხლსასროლ იარაღებზე ჩატარებული ბალისტიკური ექსპერტიზის შედეგად დადგინდა, რომ პაპუაშვილისგან ამოღებული მაყუჩიანი პისტოლეტი „Макаров-ის“ სისტემის იარაღი ის იარაღი იყო, რომლითაც 1995

წლის 20 ივნისს ქ. თბილისში, საცხოვრებელ სახლთან მოკლეს სოლიკო ხაბეიშვილი და მასთან ერთად მისი მძღოლი აკაკი დალაქიშვილი.

აღსანიშნავია რომ, ჯერ კიდევ 1995 წლის აგვისტოს ტერაქტის გამოძიებისას დადგენილი იყო, რომ 1995 წლის 13 ივნისს იგორ გიორგაძემ სამუშაო კაბინეტში თემურ ხაჩიშვილსა და გიგა გელაშვილს ხაბეიშვილის მოსაკლავად გადასცა ორი ცალი „Макаров-ის“ სისტემის პისტოლეტები მაყუჩებით.

იმავე დღეს ხაჩიშვილმა და გელაშვილმა, ლევან ბიდარეიშვილთან ერთად ქ. თბილისში აღნიშნული პისტოლეტები გადასცეს გოჩა გელაშვილს, მეტსახელად „კიტინას“ და გოჩა თედიაშვილს, მეტსახელად „სილიკას“. აღნიშნულმა პირებმა ბინაშივე მოახდინეს იარაღის საცდელი გასროლა.

20 ივნისს გოჩა თედიაშვილმა ექვსი გასროლით მოკლა სოლიკო ხაბეიშვილი, ხოლო გოჩა გელაშვილმა სამი გასროლით მძღოლი აკაკი დალაქიშვილი. მკვლელობის შემდეგ იარაღები ხაჩიშვილმა უკან მიუტანა იგორ გიორგაძეს.

ექსპერტიზამ დაადგინა, რომ ტაშკენტის ქუჩაზე მდებარე ზემოთ აღნიშნული ბინის იატაკიდან ამოღებული ტყვიის გულა და სულიკო ხაბეიშვილის გვამიდან ამოღებული ტყვიის გულა თეიმურაზ პაპუაშვილის ბინაში აღმოჩენილი პისტოლეტიდან იყო გასროლილი.

ახლა ცოტა უკან დავიხიოთ და გავიხსენოთ ინფორმაცია, რომელსაც ფლობდნენ სამართალდამცავები, მაგრამ მისი რეალიზაცია ვერ მოახერხეს. კერძოდ 1995 წლის 3 სექტემბერს საქართველოს გენერალურ პროკურატურაში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე უშიშროების სამსახურის თავმჯდომარის ყოფილი მოადგილის თემურ ხაჩიშვილის სამუშაო ოთახის გატეხისა და იქიდან გარკვეული ნივთების გატანის ფაქტზე.

საქმის აღძვრას საფუძვლად დაედო ის გარემოება, რომ 1995 წლის 2 სექტემბერს, დაახლოებით 22.00 საათზე, სახელმწიფო უშიშროების სამსახურის ცენტრალური აპარატის ადმინისტრაციულ შენობაში, გამოძიებით დაუდგენელმა პირებმა აივნის მხრიდან გატეხეს სამსახურის თავმჯდომარის ყოფილი მოადგილის თემურ ხაჩიშვილის სამუშაო ოთახში შესასვლელი კარის საკეტი, შეაღწიეს შიგნით და გაიტანეს გარკვეული ნივთები.

ეს ხდება 2 სექტემბერს ღამით, როდესაც ცნობილი გახდა ინფორმაცია თანამდებობიდან იგორ გიორგაძისა და თემურ ხაჩიშვილის გადაყენების შესახებ.

დაახლოებით 21 საათზე შენობაში მივიდა იგორ გიორგაძე, სრულ საბრძოლო მზადყოფნაში მყოფი „ალფას“ ოცდაათკაციანი ჯგუფის თანხლებით, დაიკავა შენობა და დაცვის ქვეშ აიყვანა თემურ ხაჩიშვილის კაბინეტიც. მალე იქვე მივიდა თემურ პაპუაშვილი და განაცხადა, რომ გასატანია პირადი ნივთები.

იგორ გიორგაძეს ახლდნენ: გელა პაპუაშვილი, დიმა ვარდიაშვილი, ზურაბ ბარამიძე, ბექა დოხნაძე, სოსო კაპანაძე და სხვები.

თემურ პაპუაშვილმა გაიტანა ყუთი და ანტენა, ხოლო რკინის თეთრი ფერის სეიფი ბარამიძემ და ელერდაშვილმა სხვებთან ერთად. ხაჩიშვილის ოთახს იცავდნენ დოხნაძე და ფანჯიკიძე, რომლის შესასვლელი კარები გატეხეს გულიევმა და პაპუაშვილმა. წაღებული ნივთები მიტანილი იქნა „ალფას“ ბაზაზე.

სავარაუდოდ, ასეთი წესით გაქრა იმჟამად სხვა ნივთმტკიცებებიც, რომელსაც გამოძიებამ მაშინ ვერ მიაკვლია. თუმცა მკვლელობის იარაღი თითქმის ოთხი წლის შემდეგ მაინც იქნა ნაპოვნი იმავე ადამიანთა წრეში.

საქმის სასამართლოში წარმართვამდე თ. პაპუაშვილი მეტად საეჭვო ვითარებაში მოულოდნელად გარდაიცვალა საპატიმროში. ხოლო დანარჩენი ბრალდებულების მიმართ საქმე 2001 წლის 8 ნოემბერს განიხილა სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ ერთი მოსამართლისა და ორი მსაჯულის მონაწილეობით. სასმართლომ გამოიტანა ნაწილობრივ გამამართლებელი განაჩენი და ისინი დამნაშავედ ცნო საქართველოს კონსტიტუციური წყობის ძალადობით შესაცვლელად მოწყობილ შეთქმულებაში. ფანჯიკიძე აგრეთვე ცნობილი იქნა დამნაშავედ იარაღის უკანონო ყიდვასა და გადაზიდვაში. სასამართლომ ფანჯიკიძეს, ყურაშვილსა და ქანთარიას სამ-სამი წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო იგორ გიორგაძეს ორი წლითა და ხუთი თვით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.

შემდგომში აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრებული იქნა ევრო სასამართლოში. 2009 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ევროსასამართლოს მიერ საქმეზე – „ფანჯიკიძე და სხვა საქართველოს წინააღმდეგ“ საქართველოს სახელმწიფო ცნობილი იქნა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის (სამართლიანი სასამართლოს უფლება) დარღვევაში.

ევროსასამართლომ მიიჩნია, რომ განმცხადებლების მიმართ დაირღვა მხოლოდ ევროკონვენციის მე-6 მუხლი – სამართლიანი სასამართლოს უფლება, რადგან მათი საქმის განხილვა მართლაც არ მოხდა კანონის საფუძველზე შექმნილი სასამართლოს მიერ. ევროსასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოში სახალხო მსაჯულთა ინსტიტუტი არ იყო კანონით გათვალისწინებული წესით შექმნილი, რადგან არ არსებობდა არა იურისტ მსაჯულთა მიერ სასამართლო ხელისუფლების ფუნქციის განმახორციელებელი სამართლებრივი რეგულირების ნორმა. ამიტომ ევრო სასამართლომ ჩათვალა, რომ სახალხო მსაჯულთა მიერ გამოტანილი ნებისმიერი გადაწყვეტილება არის უკანონო.

რატომ მოხდა ასეთი ლაფსუსი და გაუგებრობა საქართველოს სასამართლო ხელისუფლებაში, ამაზე ვერაფერს მოგახსენებთ და პასუხს ალბათ კომპეტენტური ორგანოებიდან უნდა ველოდოთ.

●

1995 წლის ნოემბრის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების შემდეგ პრეზიდენტმა შოთა კვირაია უშიშროების მინისტრად გადაიყვანა, შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე კი გენერალ-მაიორი კახა თარგამაძე დანიშნა.

ამას, დამნაშავეობასთან ბრძოლის კიდევ უფრო გაძლიერების მიზნით, სამინისტროს სისტემაში სერიოზული სტრუქტურული და საკადრო ცვლილებები მოჰყვა. ოპერატიული სამსახურების ბაზაზე შეიქნა კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი, რომლის ხელმძღვანელობა მე დამევალა. ამ უდიდეს პასუხისმგებლობას დაემატა გურიის რეგიონში დამნაშავეობასთან ბრძოლის მიმდინარეობის კურირება, რის შესახებაც გიამბეთ უკვე. ამ პერიოდში პოლიციის პოლკოვნიკის წოდებაც მომენიჭა.

მართალია გარდატეხა მიღწეული იყო, მაგრამ სიტუაცია კვლავაც უმძიმესი გახლდათ და პოლიციის დანაყოფები ფაქტობრივად მუშაობის 24 საათიან რეჟიმზე იყვნენ გადაყვანილნი.

1996 წლის პირველი კვარტლის შედეგებმა გვიჩვენა, რომ ქვეყანაში მძიმე დანაშაული განახევრდა, მკვლელობები შემცირდა 2,5-ჯერ, ძარცვა-ყაჩაღობა კი 3-ჯერ. არ აღნუსხულა ადამიანების გატაცების შემთხვევა. დაკავებული იქნა 668 ძებნილი, დანაშაულის გახსნის მაჩვენებელმა 80%-ს გადააჭარბა. გახსნილი იქნა წინა წლებში ჩადენილი 700-მდე დანაშაული და აქედან 41 მკვლელობა. სისტემიდან დავითხოვეთ 1900 თანამშრომელი, ხოლო 31 სისხლის სამართლის დანაშაულში იქნა მხილებული. 1996 წელს წინა წლებში ჩადენილი გატაცებებისათვის. დაკავებული იქნა გამტაცებელთა 52 ჯგუფი.

წლის ბოლოსთვის ეს მაჩვენებლები კიდევ უფრო შთამბეჭდავად გამოიყურებოდა. განსაკუთრებით კი გასულ წლებში ჩადენილი დანაშაულების სტატისტიკა. 1996 წელს 1734 ასეთი დანაშაული გაიხსნა, მათ შორის 108 მკვლელობა, 602 ყაჩაღობა. მოვლენებს წინ გავუსწრებ და აღვნიშნავ, რომ 1996-2000 წწ. გაიხსნა 1992-1995 წწ. ჩადენილი 3882 დანაშაული. მათ შორის 195 მკვლელობა და 996 ყაჩაღობა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელთა და წარჩინებულ მუშაკთა ღვაწლი მთავრობის მაღალი ჯილდოებით აღინიშნა. მათ შორის ჩემიც. საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 10 ნოემბრის ბრძანებულებით დამაჯილდოვეს ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით.

ალბათ საინტერესო იქნება სისხლის სამართლის რამდენიმე საქმის გახსენებაც:

სპეცრაზმ „ომეგას“ საქმე

1996 წლის 20-25 ოქტომბერს ოპერატიული მასალების რეალიზაციის შედეგად დაკავებული იქნა უშიშროების სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმის „ომეგას“ და „მხედრიონის“ წევრები. ერთ-ერთის ავტოფარეხიდან ამოღებული იქნა ჯგუფის გადამალული შეიარაღება: 12 ცალი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, სხვადასხვა სისტემის 5 პისტოლეტი, ერთი „Стечкин-ის“ სისტემის პისტოლეტი მაყუჩით, 14 ცალი ხელყუმბარა, 700 საბრძოლო ვაზნა, სნაიპერის შაშხანის ოპტიკური სამიზნე და ნიღბები. გამოძიების პროცესში სხვადასხვა ადგილებიდან დამატებით ამოღებული იქნა დიდძალი შეიარაღება და საბრძოლო მასალა.

სულ მხილებული იქნა 11 პირი, რომელთაგან 8 აყვანილი იქნა წინასწარ პატიმრობაში, ხოლო სამზე გამოცხადდა ძებნა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში 1996 წელს შემოსული ოპერატიული და სხვა სახის ინფორმაციათა ანალიზით ირკვეოდა, რომ ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ მოქმედ ყოფილი „მხედრიონისა“ და ხელისუფლებაზე განაწყენებულ პირთა დანაშაულებრივი ჯგუფები კვლავ ცდილობდნენ მოეწყოთ უმძიმეს დანაშაულებათა მთელი სერია, მათ შორის ტერორისტული აქტები ქვეყნის პრეზიდენტის და მასთან დაახლოებულ პირების მიმართ, რითაც სურდათ გამოეწვიათ ქვეყანაში ქაოსი და დესტაბილიზაცია.

შინაგან საქმეთა სამინისტრო თავისი კომპეტენციის ფარგლებში მაქსიმალურად ახორციელებდა საჭირო ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებს მოსალოდნელ დანაშაულთა აღკვეთისა და დამნაშავეთა დაკავების მიზნით.

1996 წლის სექტემბერში გაირკვა, რომ თბილისში მოქმედებდა კარგად შეიარაღებულ დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფი, რომელიც გარკვეული ძალების შეკვეთით ამზადებდა ტერორისტულ აქტებს. მათ მიერ ხდებოდა პრეზიდენტის გადაადგილების მარშრუტების შესწავლა და თავდასხმის გეგმის დაწვრილებითი დამუშავება. თავდასხმის ერთ-ერთ ვარიანტში გათვლილი იყო ოპტიკურ სამიზნიანი შაშხანის გამოყენება.

ინფორმაციის გადამოწმების პროცესში დადგენილი იქნა ჯგუფის ხუთი წევრი, რომლებსაც საქართველოს უშიშროების სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმის „ომეგას“ უფროსი ლეიტენანტი გოჩა ბოხუა ხელმძღვანელობდა. მას სპეციალური მომზადება აშშ-ში ჰქონდა გავლილი.

ოპერატიული მასალებით ირკვეოდა, რომ აღნიშნულ ჯგუფს სხვადასხვა პერიოდში ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე ჩადენილი ჰქონდა უმძიმესი დანაშაულები, კერძოდ მკვლელობები და ყაჩაღური თავდასხმები.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ დაკავებული იქნა გოჩა ბოხუა, რომლის ავტოფარეხიდან ამოღებული იქნა გადამალული შეიარაღება. მასთან ერთად დააკავეს რამდენიმე პირი. საქმე წარმოებაში მიიღო გენერალურმა პროკურატურამ. წინასწარი მოკვლევის სტადიაში გოჩა ბოხუამ აღიარა, რომ იარაღის ერთი ნაწილი გადამალული ჰქონდა სპეცდანიშნულების რაზმის „ომეგას“ ბაზაზე. ინფორმაცია ეცნობა უშიშროების სამინისტროს და ეთხოვა დახმარება აღნიშნული შეიარაღების ამოღებაში. ასევე სამინისტროს „ომეგას“ თანამშრომლების იოსებ გრძელიშვილისა და ზურაბ ბოცვაძის წარმოდგენაზეც მივმართეთ. ისინი მხილებული იყვნენ გოჩა ბოხუასთან დანაშაულებრივ კავშირში.

უშიშროების სამინისტროს მუშაკების მიერ „ომეგას“ ბაზიდან ამოღებულ იქნა ზემოაღნიშნული შეიარაღება, ყუმბარმტყორცნის გარდა. ხოლო იოსებ გრძელიშვილი და ზურაბ ბოცვაძე წარმოდგენილი იქნენ მხოლოდ 10 დღის შემდეგ, 5 ნოემბერს.

პატიმრობაში აყვანილ ზემოაღნიშნულ პირებთან შემდგომი ოპერატიული მუშაობით ცნობილი გახდა და ძიებით გამოირკვა შემდეგი:

1995 წლის 29 აგვისტოს საქართველოს პრეზიდენტზე მომხდარი ტერორისტული აქტის მცდელობის შემდეგ ჩვენ მიერ ამოღებული საბრძოლო იარაღები ჯაბა იოსელიანის მეზობელმა ვახტანგ ფირანიშვილმა, გოჩა ბოხუასთან ერთად გადამალა თავის საცხოვრებელ ბინაში. იარაღები ეკუთვნოდა ვასილ სუმბაძეს, ვახტანგ ფირანიშვილს და იმჟამად ძებნაში მყოფ ვლადიმერ კიკნაძეს, სპეცდანიშნულების რაზმის „ომეგას“ ყოფილ წევრს, უფროს ლეიტენანტს, რომელსაც სპეციალური მომზადება გავლილი ჰქონდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. მისი დაპატიმრების თაობაზე დროულად იქნა ინფორმირებული უშიშროების სამინისტროს ხელმძღვანელობა, მაგრამ ჩვენთვის უცნობი მიზეზებიდან გამომდინარე კიკნაძემ მოახერხა მიმალვა.

ამასთან ერთად გაირკვა, რომ ამ ჯგუფს სხვა აქტიური წევრებიც ჰყავდა.

უშიშროების სამინისტროსთან ერთად გატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად 1996 წლის 20-26 ნოემბერს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და თბილისის სამხედრო პროკურატურის მიერ დაკავებული იქნა რამდენიმე პირი. შეიარაღებული ბანდიტური დაჯგუფება იმართებოდა და სათანადო ფინანსურ და სხვა სახის დახმარებებს იღებდა ყოფილი უშიშროების მინისტრის, ძებნაში მყოფი იგორ გიორგაძის და ცალკეული ბიზნესმენებიდან, რომლებიც საქმიანობდნენ საზღვარგარეთ. ისინი რუსეთში ყოფნისას შეხ-

ვდნენ იგორ გიორგაძეს, მიიღეს მისგან სათანადო ინსტრუქტაჟი და დავალებები საქართველოში ტერორისტული აქტების მოწყობის შესახებ; ოდესაში შეხვდნენ საქართველოს ერთ-ერთი რაიონის უშიშროების განყოფილების ყოფილ უფროსს, რომელიც იმჟამად, ოპერატიული ინფორმაციის თანახმად, ტერორისტული ჯგუფის წევრებთან ახორციელებდა არალეგალურ კავშირს. საქართველოში დაბრუნების შემდეგ, ზემოთ აღნიშნული პირები შეუდგნენ ტერორისტული აქტის მზადებას, სახელმწიფოს პრეზიდენტისა და მისი ძმისშვილის ნუგზარ შევარდნაძის წინააღმდეგ. სწავლობდნენ მათი გადაადგილების მარშრუტებს, ახდენდნენ ფარულ ვიდეო გადაღებებს, ამზადებდნენ სათანადო შეიარაღებასა და სხვა. აღნიშნულ დანაშაულებრივ საქმიანობაში ჯგუფს აქტიურ დახმარებას უწევდა ბიზნესმენი რ. გ., რომელიც უცხოეთში იმყოფებოდა და მის ძებნა-დაპატიმრებაზე რესპუბლიკის პროკურატურის მიერ გაცემული იყო სანქცია.

ჯგუფის წევრებთან სხვადასხვა სახით დაკავშირებული იყვნენ და დახმარებას უწევდნენ ასევე: ფირმა შპს. „11-11-ის“ დირექტორი ნ.კ. და საგარეო საქმეთა სამინისტროს აფრიკის ქვეყნების სამმართველოს უფროსის მოადგილე ი.ფ., რომლებიც გამოძიების პროცესში დაკითხული იქნენ.

პატიმრობაში მყოფ პირებთან ოპერატიული მუშაობის პროცესში მიღებული ინფორმაციის რეალიზაციის საფუძველზე, გატარებული ღონისძიებების შედეგად ვ. კ.-ის აგარაკიდან, რომელიც მდებარეობს თეთრიწყაროს რაიონის სოფელ ასურეთში, მიწიდან ამოღებული იქნა დიდი რაოდენობის იარაღი, რომელიც აღნიშნულ ბანდიტურ ჯგუფს ეკუთვნოდა.

ოპერატიული მონაცემებით ჯგუფს პრეზიდენტზე შეიარაღებული თავდასხმა უნდა მოეწყო „თბილისობის“ დღესასწაულზე, რისთვისაც სანკტ-პერბურგში მცხოვრებ ზ. მ.-ს რუსეთიდან ჩამოტანილი ჰქონდა დიდძალი თანხა. უნდა მოწყობილიყო ხიდების, მეტროსა და სხვა სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტების აფეთქება. საახალწლო დღეებში ტერორისტები გეგმავდნენ სახელმწიფო გადატრიალების მოწყობას.

ამ დანაშაულების ჩადენისათვის მხილებული იქნა სულ 11 პირი, მათ შორის დაპატიმრებული იქნა 8, იძებნებოდა 3.

●

მინდა გავიხსენო ერთი ძალზე საინტერესო საქმეც, რომლის ანალოგი არც მანამდე გამეგო და არც შემდეგ მსმენია. 1996 წლის 4 ივლისს ახლობლის მეშვეობით დამიკავშირდა მოქალაქე, რომელმაც მაცნობა, რომ საცხოვრებელ ბინაში დაურეკა უცნობმა პიროვნებამ და უთხრა შეემოწმებინა საფოსტო ყუთი. მოქალაქემ ყუთში აღმოაჩინა მრავალი წლის წინ საბჭოთა კავშირის უშიშროების კომიტეტთან საიდუმლო თანამშრომლობის შესახებ დაწერილი მისი ხელწერილის და ანკეტის ასლი. ხელწერილი მიღებული ჰქონდა უშიშროების მაიორ კუზნეცოვს 1986 წლის 23 აპრილს.

ზარის ავტორი ამ სრულიად საიდუმლო დოკუმენტების განადგურებისთვის დიდძალ თანხას ითხოვდა.

მოქალაქე ადასტურებდა ხელწერილის იდენტობას, რომელიც საზღვარგარეთ სამსახურებრივ მივლინებაში გამგზავრების წინ ჩამოართვეს, თუმცა მას შემდეგ რაიმე სახის თანამშრომლობა აღარ გაგრძელებულა.

მინისტრ კახა თარგამაძესთან და მის მოადგილე თემურ მურღულიასთან ერთად დაგეგმილი ღონისძიების შედეგად რამდენიმე დღეში გამოძალვის ფაქტზე დავაკავეთ საქართველოს უშიშროების სამინისტროს ყოფილი ოფიცერი, რომლის საცხოვრებელი ბინიდან ჩვენი თანამოქალაქეების ასზე მეტი სხვა ანალოგიური ხელწერილი და ანკეტა ამოვიღეთ. დამნაშავე გასამართლებული იქნა და მიესაჯა სასჯელი. სასამართლო პროცესი, რა თქმა უნდა, გასაიდუმლოებულ (დახურულ) ვითარებაში წარიმართა.

„ლოტკინის საძმოს“ საქმე

1997 წელი კრიმინალურ სამყაროსთან ბრძოლის კიდევ უფრო გამწვავებით აღინიშნა. მაგონდება ამ პერიოდის რამდენიმე გახმაურებული საქმე. ერთ-ერთია ე. წ. „ლოტკინის საძმოს“ განეიტრალების ისტორია, რომელიც აღწერილი აქვს ბატონ ჯემალ გაბელიას:

> „ლოტკინის საძმოს“ უკავშირდება საზარელი მკვლელობები. ეს და სხვა საქმეები ჩემი კოლეგების დამსახურებაა, მე მათ თანავუგრძნობდი და გვერდით ვედექი, – მითხრა ზურაბ ჩხაიძემ[10].
>
> 1997 წლის 24 აგვისტოს, ღამის 4 საათზე, თბილისში, ბახმაროს ქუჩაზე, N12-ში მცხოვრებ პუჩკალიდისების ოჯახს თავს დაესხა 5 ნიღბიანი ბოროტმოქმედი, რომელთაგან ერთი პისტოლეტით იყო შეიარაღებული, 3 კი – ავტომატით. ბანდიტებს, როგორც შემდეგ გაირკვა, ერთ-ერთი თანამზრახველისაგან მიღებული ჰქონდათ ინფორმაცია, რომ ცოლ-ქმარი წინა დღეს საბერძნეთიდან დაბრუნდნენ და დოლარები ექნებათ ჩამოტანილიო.
>
> პირველ სართულზე, ერთ-ერთ ოთახში შესული ყაჩაღები მძინარე მამაკაცს დაადგნენ თავს. იარაღები მიაბჯინეს და ფული მოსთხოვეს. ბანდიტებს იგი ოჯახის უფროსი ეგონათ.
>
> – მე სად მაქვს ფული, ოჯახის მეზობელი ვარ, სახლი მქონდა ჩაბარებული და წუხელაც აქ დავრჩი. – უთხრა მათ შეშინებულმა მამაკაცმა, გვარად აბუაშვილმა.
>
> ყაჩაღები როცა დარწმუნდნენ, რომ აბუაშვილი ნამდვილად არ იყო ოჯახის უფროსი, ოთახში გამოკეტეს და გავიდნენ „საქმის გასაგრძელებლად“.

[10] ჯემალ გაბელია. „წლები და ადამიანები“. ბათ. 2009

ამით ისარგებლა აბუაშვილმა, ფანჯარა გამოაღო და დაიწყო ყვირილი, – გვიშველეთ ყაჩაღები დაგვესხნენო.

ყვირილზე მეზობლებთან ერთად მის დასახმარებლად სწრაფად გაიქცა მისი სიძე – სახელმწიფოს უშიშროების სამინისტროს თანამშრომელი ზაურ ტალახაძე. მან ტაბელური იარაღიდან რამდენჯერმე ისროლა ჰაერში იმ იმედით, რომ ყაჩაღები დაფრთხებოდნენ და ხელს აიღებდნენ ბოროტ განზრახვაზე. მაგრამ... ჭიშკართან მისულ ზაურ ტალახაძეს, იქვე ჩასაფრებულმა ერთ-ერთმა ყაჩაღმა, პისტოლეტიდან შვიდჯერ ესროლა. ზ. ტალახაძე ძირს დაეცა. გარშემო სისხლის გუბე იდგა. მასთან საშველად მიირბინა მისმა ცოლის დამ, მანანა აბუაშვილმა. წამოაწევინა თავი, კალთაში ჩაიდო და მოწმენდა დაუწყო. ამ დროს მათ და ასევე საშველად მისული ზაურ ტალახაძის მეუღლეს მარიამ აბუაშვილს, თავს დაადგა 3 ავტომატიანი ბანდიტი და ორი ქალბატონის თვალწინ, მიბჯენით, ავტომატით დაცხრილეს, შემდეგ კი დანებით დაჩეხეს ზაურ ტალახაძე.

ამის შემდეგ ბანდიტები მიიმალნენ.

იმავე დღეს, შინაგან საქმეთა სამინისტროში, კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის უფროსთან, პოლიციის გენერალ-მაიორ ზურაბ ჩხაიძესთან შედგა საგანგებო შეკრება, სადაც დაიგეგმა ამ დანაშაულის გახსნისა და ბოროტმოქმედთა დაკავების ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები... სამართალდამცველები უკვე მუშაობდნენ ერთ-ერთი კარგად ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის გამოვლენაზე. არ იყო გამორიცხული, უშიშროების თანამშრომლის მკვლელობაც სწორედ ამ ჯგუფის წევრებს ჩაედინათ.

კონკრეტული პირების დასადგენად საჭირო ოპერატიული ინფორმაციის მოპოვება დაეკისრა ორ ახალგაზრდა ოპერატიულ თანამშრომელს: განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორს კახა ჩინჩლაძესა და მის მეწყვილეს, ინსპექტორ გოდერძი ჩარქსელიანს. მიცემული დავალების შესრულებას მათ ერთგვარად უმსუბუქებდა ამ საქმეში ფრიად გამოცდილი ხელმძღვანელების – განყოფილების უფროსის ზაზა ფერაძისა და მისი მოადგილის გიორგი ლილუაშვილის მუდმივი თანადგომა. იმ ფაქტმა, რომ არა მარტო უშიშროების თანამშრომლის მკვლელობა, არამედ სხვა მრავალი დანაშაულიც ნაძალადევის რაიონში, კერძოდ, ლოტკინის დასახლების მიმდებარე ადგილებში მოხდა, ახალგაზრდა ოპერ-მუშაკებს აფიქრებინა, რომ დამნაშავეთა ჯგუფის წევრები სწორედ იქ უნდა ეძებნათ.

ახალგაზრდა მუშაკებმა, სხვადასხვა ოპერატიული „კომბინაციების“ ჩატარების შემდეგ, შეძლეს ფრიად ყურადსაღები ცნობების მიღება. მათ უკვე დაადგინეს ერთ-ერთი წევრის ვინაობა და ადგილსამყოფელი. მოგვიანებით კი – ბანდის სხვა, სავარაუდო წევრების ვინაობაც. მუდმივად თვალს ადევნებდნენ მათ გადაადგილებას, შეხვედრის ადგილებს. ყოველივე ამის შესახებ, როგორც წესი, ოპერატიულად აყენებდნენ საქმის კურსში ზურაბ ჩხაიძეს, რომელიც ასევე ოპერატიულად აძლევდა შესაბამის რჩევებსა და მითითებებს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სამსახურებს უკვე მყარი ნიადაგი ჰქონდათ მომზადებული საიმისოდ, რომ დაეწყოთ დამნაშავეთა აყვანა.

მათი ინფორმაციით ბანდის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ბონდო ბუცინაშვილი, თავის დეიდაშვილთან დაბადების დღეზე უნდა მისულიყო. ასეც მოხდა, წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით, ოპერატიულმა ჯგუფმა, ელვის სისწარფით, „სუფთად“, ყოველგვარი გართულების გარეშე შეიპყრო ბოროტმოქმედი.

რამდენიმე დღის შემდეგ, საკუთარ ბინაში შეიპყრეს ბანდის შექმნის ორგანიზატორი და ხელმძღვანელი კობა კობახიძე. ერთმანეთის მიყოლებით დააკავეს დანაშაულებრივი დაჯგუფების კიდევ ათიოდე წევრი.

ბანდიტური ჯგუფის დანარჩენი წევრების ძებნა-დაკავების საქმეში აქტიურად ჩაებნენ თბილისის შს მთავარი სამმართველოს ოპერატიული სამძებროს მუშაკები და ნაძალადევის რაიონის ერთ-ერთი განყოფილების უფროსის, მერაბ ბაღათურიას ძალისხმევით, დააკავეს ბანდის წევრები: სულხან ასლამაზაშვილი, ზვიად პაპიაშვილი, ნიკოლოზ ლატარია და ნიკოლოზ ჯიქია.

ეჭვმიტანილთა ძებნის პარალელურად, ინტენსიურად მიმდინარეობდა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები. შუქი ეფინებოდა ათობით ჩადენილ მძიმე დანაშაულს. იკვეთებოდა მათში მონაწილე ახალი პირების ვინაობა. ამ ღონისძიებებს მოჰყვა ბანდის სხვა წევრების – პაატა ცერცვაძის, რომან ფაღავასა და თეიმურაზ კოხრეიძის დაკავება.

სულ მართლმსაჯულებას გადაეცა ოცი ბოროტმოქმედი.

ბანდის ერთ-ერთი ხელმძღვანელი აბესალომ ზენაიშვილი, ერთხელ უკვე იჯდა ციხეში განზრახ მკვლელობისათვის, მაგრამ 1992 წლის თებერვალში, თბილისის ცნობილი მოვლენების შემდეგ გამოცხადებული ამნისტიით, გამოუშვეს პატიმრობიდან. მას სხვა მძიმე დანაშაულთან ერთად, ბრალად ედებოდა ზაურ ტალახაძის მკვლელობა.

პოლიცია კარგა ხანს ვერ აგნებდა მის კვალს, ვერც გურიაში, საიდანაც იგი იყო წარმოშობით და ვერც თბილისში. ოპერატიული ჯგუფის მიერ მიღებული ინფორმაციის თანახმად, აბესალომ ზენაიშვილი პერიოდულად ნახულობდა თავის ძმას, რომელიც ქ. თბილისში ერთ-ერთ მშენებლობაზე მუშაობდა.

ოპერატიული ჯგუფის წევრები დილიდანვე გაეშურნენ მშენებლობაზე. კახა ჩინჩალაძემ კოლეგები ავტომანქანიდან ცოტა მოშორებით, მოფარებულ ადგილზე დატოვა. თავად კი ვითომ შემთხვევით გამვლელმა, სამშენებლო მოედნისკენ გასწია. მიდიოდა აუჩქარებლად, თან ყურადღებით ათვალიერებდა იქაურობას.

მან ერთმანეთზე დაწყობილ სამშენებლო ბლოკებთან ახალგაზრდა მამაკაცი შენიშნა. შარვალი თასმებით ჰქონდა დამაგრებული. პროფესიო-

ნალის ოპერატიული განსჯის მექანიზმი მაშინვე ამუშავდა. ესე იგი, ეს კაცი უცხოა. თასმებით დამაგრებულ შარვალზე ქამარს აღარ ხმარობენ. მას კი, მაგრად შემოჭერილი ქამარი ერტყა. ალბათ იარაღის ჩასადებად. აუცილებელი იყო სწრაფი მოქმედება. მოულოდნელობის ეფექტი ხშირად გადამწყვეტია.

კახა ჩინჩალაძე მივიდა უცნობთან და პირდაპირ უთხრა:

– შენ ხარ აბესალომ ზენაიშვილი?

უცნობმა მაშინვე საქამრეზე იკრა ხელი და ხელსახოცში შეხვეული ნივთი დააძრო. კახამ ძიუდოს ილეთის გამოყენებით ძირს დასცა ბანდიტი. ოპერატიული ჯგუფის წევრებიც უმალ გაჩნდნენ მასთან. ზენაიშვილს აართვეს იარაღი, რომლის გამოყენებაც ვერ მოასწრო. (მოგვიანებით ექსპერტიზამ დაადგინა, რომ სწორედ ამ პისტოლეტით იყო მოკლული უშიშროების ოფიცერი ზაურ ტალახაძე).

იმ დროისათვის, ოპერატიულ სამსახურს და გამოძიებას უკვე დადგენილი ჰქონდა ბანდიტური ჯგუფის ისტორია, მისი კავშირები და ხელწერა, რომლის თანახმადაც. ე. წ. „ლანჩხუთელთა“ ბანდიტურ დაჯგუფებას ხელმძღვანელობდა კახა ორაგველიძე, ცნობილი სპორტსმენი და მოცეკვავე. თუმცა შემდეგ ლოტკინელები და ლანჩხუთელები ერთ ბანდად გაერთიანდნენ. ბანდას ჰყავდა „დამხმარე ძალები“ – ხალხი, რომელთანაც ინახავდნენ ნაყაჩაღარს.

დასაყაჩაღებელი ოჯახების „კანდიდატურებს“, პროფესიონალი „ნაკოლის“ მიმცემების გარდა, თვით ბანდის წევრები არჩევდნენ. ისინი არც ნათესავს ინდობდნენ, არც მეზობელს და ახლობელს.

ყველა ბანდიტს, როგორც წესი, გულზე ჩამოკიდებული ჰქონდა ჯვარი. ნაძარცვში მოხვედრილ ხატებსა და ჯვრებს, აუცილებლად სწირავდნენ ეკლესიას. გარეგნული მორწმუნეობის მიღმა, კი მათ მიერ დარღვეული იყო უფლის ყველა მცნება.

ბანდამ, სისასტიკითა და ცინიზმით აღსავსე, ათობით დანაშაული ჩაიდინა. მათ შორის განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა ნანა და ნუგზარ აბრამიშვილების მცირეწლოვანი შვილების თვალწინ ავტომატებით დაცხრილვა. ერთ-ერთ გახმაურებულ ბანდიტურ თავდასხმას კი თვით ბოროტმოქმედის სიცოცხლე შეეწირა. მათგან ამოიღეს 3 ცალი „АКС-ის“ სისტემის, 1 ცალი „АКСУ-ის“ ტიპის ავტომატური იარაღი.

ამით დაესვა წერტილი „ლოტკინის საძმოს“ სისხლიან ისტორიას.

ბაბილოძის საქმე

იმავე წიგნში აღწერილ კიდევ ერთ გახმაურებულ ფაქტზე მინდა გავამახვილო მკითხველის ყურადღება:

1998 წლის დასაწყისში, მეზობელ აზერბაიჯანში შეუდგნენ ავტო-მოტო ტრანსპორტზე საბჭოური სანომრე ნიშნების ეროვნული ნიშნებით შეცვლას. საგზაო პოლიციის ყაზახ-თაუზის სარეგისტრაციო განყოფილებაში მივიდა ადგილობრივი მცხოვრები ალიკ მამედოვი, რომელსაც საკუთარი ავტომობილის „ВАЗ-2107-ის“ ახალი საბუთების აღება სურდა. როდესაც ადგილობრივმა სარეგისტრაციო განყოფილებამ მანქანის რეკვიზიტები ინტერპოლის მეშვეობით გადაამოწმა, აღმოჩნდა, რომ ეს ავტომანქანა ნაყიდი ჰქონდა ქ. თბილისში, ბარნოვის №16-ში მცხოვრებ ჰამლეტ ბაბილოძეს. საქართველოს ინტერპოლიდან აზერბაიჯანელ კოლეგებს ასევე აცნობეს, რომ ავტომანქანის პატრონი 1992 წლის 3 დეკემბერს ამ ავტომობილით სახლიდან გავიდა და მას შემდეგ იგი აღარავის უნახავს.

გამოძიებაში მაშინვე ჩაერთნენ საქართველოს შსს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლისა და სისხლის სამართლის სამძებროს მთავარი სამმართველოს გამოცდილი პროფესიონალები: პირველი განყოფილების, განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა უფროსი ინსპექტორი, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი ივანე ბარამიძე, მეორე განყოფილების უფროსი ინსპექტორი, პოლიციის მაიორი თამაზ აბაზოვი და გარდაბნის რაიონის პოლიციის უფროსის მოადგილე, პოლიციის პოლკოვნიკი ჰამლეტ დაშდამიროვი.

აი, რა დადგინდა წინასწარი გამოძიებით: 1992 წლის 3 დეკემბერს, დილის 8 საათზე გარდაბნის ტრიკოტაჟის ფაბრიკის მაშინდელი დირექტორი ჰამლეტ ბაბილოძე საკუთარი ავტომანქანით, თავის თანამშრომელთან ზურა კაპანაძესთან ერთად წავიდა წითელ ხიდზე საწვავის შესაძენად, სადაც კაპანაძე დატოვა, ხოლო თვითონ გადაკვეთა საზღვარი და ამის შემდეგ იგი აღარავის უნახავს.

მოკვლეული მასალები 1998 წლის 24 თებერვალს მარნეულის რაიონის პოლიციას გადაეცა, სადაც ჰამლეტ ბაბილოძეზე გამოცხადდა ძებნა, როგორც უგზო-უკვლოდ დაკარგულზე. ძებნა ასევე გამოცხადდა ბაბილოძის კუთვნილ ავტომანქანაზე.

ოპერატიული ჯგუფი მიავლინეს აზერბაიჯანში, სადაც მათ აზერბაიჯანელ კოლეგებთან ერთად დაიწყეს ამ ბურუსით მოცული გაუჩინარების ისტორიის გარკვევა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბაბილოძის კუთვნილი ავტომანქანის უკანასკნელი მფლობელი ქ. მინგეჩაურის მკვიდრი ალიკ მამედოვი იყო. მისი განმარტებით და დოკუმენტაციითაც დადგინდა, რომ ალიკ მამედოვმა 1993 წლის თებერვალში ეს ავტომანქანა შეიძინა ყაზა-

ხეთში მცხოვრებ ჩინგიზ გურბანოვისაგან, რომელიც თითქმის არც ერთ შეკითხვას არ პასუხობდა, ან ამბობდა, რომ არ იცოდა, ან არ ახსოვდა. გაჩნდა ეჭვი, თვით გურბანოვი ხომ არ იყო ბაბილოძის გაუჩინარების უშუალო მიზეზი?

გურბანოვმა ბოლოს დაასახელა პიროვნება – ყაზახის შს განყოფილების რიგითი ვასილ ეუბოვი, რომელმაც 1973 წლის იანვარში შეიძინა ვითომდა სომხეთიდან მოპარული ავტომანქანა „ВАЗ-2107“ და შემდეგ ყალბი საბუთების შექმნისა და გამოყენების გზით მიჰყიდა ალიკ მამედოვს.

1998 წლის 15 მარტს ყაზახის რაიონის პროკურატურამ აღძრა სისხლის სამართლის საქმე აღნიშნულ პირთა მიმართ და გასცა ეუბოვის დაკავების სანქცია. ქართველმა და აზერბაიჯანელმა სამართალდამცველებმა ერთობლივად გატარებული ღონისძიებების შედეგად ეუბოვი დააკავეს და ყაზახის პოლიციის განყოფილებაში წარმოადგინეს. ეუბოვმა საკმაოდ აუღელვებლად მისცა ჩვენება გამომძიებელს: 1992 წლის 3 დეკემბერს, წითელი ხიდი-ყაზახის საავტომობილო გზის მე-15 კილომეტრზე მორიგეობდა, როგორც ყაზახის შს განყოფილების ე. წ. „ომონის“ მილიციელი, თანამშრომელთან, მამედ ჩასოევთან ერთად. მათ გაძარცვის მიზნით გააჩერეს ავტომობილი, რომელსაც ქართველი ახალგაზრდა მამაკაცი მართავდა. პოლიციის ფორმიანი ყაჩაღები თავიდან მსხვერპლის მოკვლას თურმე არ აპირებდნენ, მაგრამ ბაბილოძემ წინააღმდეგობა გასწია. ჩასოევმა ავტომატის ტყვია თავში დაახალა. მოკლული ბაბილოძე „ომონელებმა“ თავისივე მანქანის საბარგულში ჩადეს, შეიარეს ეუბოვთან სახლში, აიღეს ნიჩბები და წავიდნენ სომხეთის საზღვრის მიმართულებით, ტყეში გვამის დასამარხად. ეუბოვმა და ჩასოევმა, ბაბილოძეს გახადეს ტანსაცმელი და მხოლოდ საცვლების ამარა დამარხეს, ტანსაცმელი კი დაწვეს.

ეუბოვმა ავტომანქანა დროებით გადამალა განჯაში. მის შემდეგ გატაცებული ავტომანქანა ხელიდან ხელში გადადიოდა მანამ, სანამ მას პოლიციამ არ მიაგნო.

ბრალდებულმა ეუბოვმა გამოძიებას მიუთითა შემთხვევის ადგილი და გვამის ადგილსამყოფელი. გვამის პროზექტურაში გადატანის შემდეგ დაზარალებულის ახლობლებმა ჰამლეტ ბაბილოძე ამოიცნეს. სამედიცინო ექსპერტიზამ დაადგინა, რომ ცეცხლსასროლი იარაღი, რომლითაც დაზიანებული იყო ბაბილოძის თავის ქალა, ყაზახის შს განყოფილების შეიარაღებაში მყოფი ტაბელური ავტომატის იდენტური იყო.

ბაბილოძის ცხედარი საქართველოში გადმოასვენეს. მკვლელობაში მთავარი მოქმედი პირის, ჩასოევის ძებნისას გაირკვა, რომ იგი რუსეთში სხვა პირის მკვლელობის გამო იხდიდა სასჯელს.

მკვლელობა გაიხსნა. ოპერატიული ჯგუფი ხანგრძლივი მივლინების შემდეგ დაბრუნდა. მათ წინააღმდეგობაც ბევრი შეხვდათ, საქმე საკმა-

ოდ რთული იყო, მაგრამ თავიანთი საქმე ბოლომდე შეასრულეს... ამაში მათ დაეხმარნენ ქართველი და აზერბაიჯანელი კოლეგები: აზერბაიჯანის ინტერპოლის ეროვნული ბიუროს უფროსი ადლათ იბრაგიმოვი, მისი მოადგილე ალი უშაევი, საქართველოს ინტერპოლის ეროვნული ბიუროს უფროსის მოადგილე კახა ჭოველიძე, სექტორის უფროსი ზურაბ ტაბიძე, სექტორის ოპერატორ-ტექნიკოსი გიორგი ჭანტურია, ყაზახის შს განყოფილების უფროსი ხანბაბა გაჯიევი, საქართველოს შსს საინფორმაციო-საძიებო სისტემების ექსპლუატაციის ქვეგანყოფილების უფროსი ნესტან სიხარულიძე.

ბრძოლა ხელისუფლებისთვის

ედუარდ შევარდნაძის საქართველოში დაბრუნების პირველი წლები სამოქალაქო ომით, აფხაზეთის კონფლიქტით და მისი დაკარგვით, უმძიმესი ეკონომიკური და სოციალური პრობლემებით აღინიშნა. რა ხდებოდა კრიმინოგენური ვითარების მიმართულებით ამაზე ზემოთ მოგახსენეთ. პრეზიდენტის დიდმა ნებისყოფამ, რაც უპირველესად შინაური თუ გარეშე მტრების მოგერიებაში გამოიხატებოდა, შესაძლებელი გახადა საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღიარება მსოფლიოში. საქართველო გახდა გაეროს წევრი. დაიწყო მზადება მომავალი საპარლამენტო არჩევნებისთვის, რომელიც ახალი კონსტიტუციის მიხედვით უნდა ჩატარებულიყო.

არჩევნებისთვის ემზადებოდა თავად შევარდნაძე, რომელიც პრეზიდენტის პოსტზე აპირებდა კენჭისყრას და თან დასაყრდენი პოლიტიკური ძალა სჭირდებოდა. 1993 წელს ქვეყანაში ჩამოყალიბდა მემარცხენე-ცენტრისტული პარტია „საქართველოს მოქალაქეთა კავშირი“, რომელიც დააფუძნეს პარტიებმა: „თბილისის მოქალაქეები“, „ერთობა და კეთილდღეობა“ და „მწვანეები“. პარტიის თავმჯდომარე ედუარდ შევარდნაძე გახდა. შევარდნაძემ „მოქალაქეთა კავშირის“ გენერალური მდივნის პოსტი „მწვანეთა მოძრაობის“ ლიდერს, პარლამენტის წევრს ზურაბ ჟვანიას შესთავაზა.

1995 წლის არჩევნებზე „მოქალაქეთა კავშირი“ უმრავლესობით მოვიდა პარლამენტში. პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია გახდა. მისი გუნდის წევრებმა ჩაიბარეს საპარლამენტო კომიტეტების უმრავლესობა. ზურაბ ჟვანია საკმაოდ გავლენიანი პოლიტიკური ფიგურა გახდა, რომელსაც პრეზიდენტი ენდობოდა და უსმენდა. ამ მდგომარეობამ ჟვანიას საშუალება მისცა თავისი ერთგული ხალხი დაენიშნა აღმასრულებელი ხელისუფლების გარკვეულ სტრუქტურებში და სასამართლო ხელისუფლებაშიც კი. ამ მდგომარეობის გამო, ზურაბ ჟვანიას, საკმაოდ გონიერ და კარგ მენეჯერს, რეალურად გაუჩნდა სამომავლოდ ხელისუფლების პირველ პირად გახდომის ამბიცია.

ზურაბ ჟვანია, სერიოზული გავლენების მიუხედავად, ცდილობდა ერთგული კადრები ძალოვან სტრუქტურებშიც ჰყოლოდა, თუმცა ამის საშუალებას შევარდნაძე არ აძლევდა. ძალოვან სტრუქტურებს პრეზიდენტი უშიშროების საბჭოს მდივნის, ასევე გავლენიანი ნუგზარ საჯაიას საშუალებით აკონტროლებდა.

ეროსი კიწმარიშვილი, „რუსთავი 2-ის“ დამფუძნებელი, რომელიც კარგად იყო ჩახედული შევარდნაძის და შემდეგ სააკაშვილის ეპოქის სახელისუფლებო კულუარებში, იმდროინდელ ვითარებას ასე აღწერს:

„მეტნაკლებად ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენდა უშიშროების საბჭოს მდივანი ნუგზარ საჯაია, რომელიც შევარდნაძის დიდი ნდობით სარგებლობდა და კახა თარგამაძეს დიდად ემტერებოდა. შესაბამისად, ის ბადრი პატარკაციშვილის მტერიც იყო. ნუგზარ საჯაიას ჯგუფს წარმოადგენდნენ შევარდნაძის დაცვის უფროსი სულხან პაპაშვილი, გამინისტრებული კობა ნარჩემაშვილი, ვალერი ხაბურზანია, სულხან მოლაშვილი...

ამრიგად, ერთ მხარეს აღმოჩნდნენ ბადრი და მისი ჯგუფი, რომელიც მრავალ მეტასტაზს მოიცავდა და რომელსაც ურთიერთობა ჰქონდა ასლან აბაშიძესთანაც და შევარდნაძესთან; მეორე მხრივ – საჯაიას ჯგუფი; და, იყო ზურა ჟვანია, კვლავ შევარდნაძის მხარდამჭერი, პარლამენტის თავმჯდომარე და მისი ჯგუფის რამდენიმე მოთამაშე მინისტრები არიან: საakაშვილი იუსტიციის მინისტრია, მიშა მაჭავარიანი – შემოსავლების მინისტრი... ჩავთვალოთ, რომ სამი დაჯგუფებაა. ალბათ, მეტიც იყო, მაგრამ სამი – მკვეთრად გამოკვეთილი.

ამ დაჯგუფებებს შორის გააფთრებული ბრძოლა მიმდინარეობდა: მედიას მიმართავდნენ, ერთმანეთს ასუსტებდნენ, უპირატესობების მოსაპოვებლად იბრძოდნენ. პოლიტიკური თვალსაზრისით, ყველაზე სუსტი ჯგუფი საჯაიას ჰყავდა, ყველაზე ძლიერი და გამოცდილი კი – ჟვანიას. ბადრის ჯგუფი წინ სწრაფად მიიწევდა, თანდათან შევარდნაძეზე დაწოლა გააძლიერა და მასზე გავლენაც მოიპოვა. ამის ნათელი დადასტურება იყო „ბორჯომის“ თაობაზე შეთანხმება – ბადრიმ შევარდნაძის ოჯახისგან „ბორჯომის“ აქციები გამოისყიდა და ამით მის ოჯახს ფინანსური გარანტიები შეუქმნა“.[11]

ჟვანია განსაკუთრებით დაინტერესებული იყო შინაგან საქმეთა ორგანოებით. მას შემდეგ რაც შს სამინისტრომ მოახერხა ქვეყანაში სტაბილიზაციის მიღწევა და პრაქტიკულად აღკვეთა კრიმინალთა თარეში, ჟვანიასა და მისი გუნდის მიერ დაიწყო მიზანმიმართული კამპანია შს მინისტრის კომპრომეტაციის, მისი თანამდებობიდან ჩამოშორების და შემდგომში ამ თანამდებობაზე სასურველი კადრის დანიშვნის მიზნით. გავრცელებული ინფორმაციით, „მოქალაქეთა კავშირის“ ახალგაზრდულ გუნდში ამ პოსტზე გიორგი ბარამიძე ჰყავდათ მოაზრებული. ბარამიძე შემდგომში, საakაშვილის მთავრობაში გახდა კიდევაც შს მინისტრი და თავი მესტიაში აფრასიძეების ოჯახზე განხორციელებული სამხედრო ოპერაციით დაგვამახსოვრა.

კახა თარგამაძის წინააღმდეგ ბრძოლის მიზეზებს კარგად ხსნის პოლიტოლოგი გია ხუხაშვილი ახლახან გამოცემულ წიგნში:

„ყველა მმართველობით სისტემას ჰყავს საკუთარი საკვანძო ფიგურები, რომლებიც უზრუნველყოფენ ხელისუფლების კონსოლიდაციას და სტაბილურობას. როგორც წესი ეს ადამიანები საჯარო პოლიტიკური თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას არ იქცევენ, მაგრამ სისტემის შიგნით და სხვადასხვა გავლენის ჯგუფებში დიდი ავტორიტეტით სარგებლობენ.

ასეთი იმ წლებში გახლდათ ე.წ. „რკინის კაცი“, შს მინისტრი კახა თარგამაძე. შესაბამისად, იმისთვის, რომ დაგემარცხებინა ხელისუფლება, აუცილებელი იყო მისი ნეიტრალიზება, რის შედეგადაც სისტემაში აუცილებლად დაიწყებოდა რყევები და შეიქმნებოდა ცვლილებებისთვის საჭირო ნიადაგი.

ბევრს გახსოვთ, ალბათ, იმ დროს სააკაშვილის პერსონალური თავდასხმები კახა თარგამაძეზე, რითაც მზადდებოდა შესაბამისი ფონი გადამწყვეტი დარტყმისთვის, რომელიც უკვე პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ განახორციელა.

თარგამაძის ჩანაცვლებამ ბევრად უფრო სუსტი ფიგურით შექმნა სისტემური რყევების პირდაპირი საფუძველი, რამაც გადამწყვეტ მომენტში უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა პროცესების შემდგომ განვითარებაში“.[12]

ეს ფრაგმენტები იმიტომ მომყავს, რომ მკითხველს არ შეექმნას შთაბეჭდილება თითქოს ვაჭარბებ ან ვიცავ იმ გუნდს, რომლის წევრიც ვიყავი. ფაქტია, ვერავინ დასწამებს ვერც განსვენებულ ეროსი კიწმარიშვილს და ვერც გია ხუხაშვილს ტენდენციურობას კახა თარგამაძის სასარგებლოდ.

ბრძოლა შს მინისტრის პოსტისთვის ჯერ კიდევ 1997 წლის 21 თებერვალს დაიწყო, როცა პარლამენტის წევრმა, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ ირინა სარიშვილმა, საქართველოს პარლამენტში ბიუჯეტის პროექტის განხილვის დროს, კახა თარგამაძე ბენზინის ბიზნესთან უკანონო კავშირში დაადანაშაულა, თუმცა ვერანაირი მტკიცებულების წარმოდგენა ვერ შეძლო.

რამდენიმე თვეში, სახელმწიფო კანცელარიაში მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე, ირინა სარიშვილმა ერთ-ერთ პროვოკაციულ საგაზეთო პუბლიკაციაზე დაყრდნობით ყოვლად უსაფუძვლოდ განაცხადა, რომ შს სამინისტრომ თანამშრომელთა ხელფასები სპირტის ბიზნესში დაატრიალა. ქვეყანაში ფინანსური სიძნელეების შედეგად თვეობით გაუცემელი იყო ხელფასები, მათ შორის შს სისტემაში. ირინა სარიშვილის განცხადების მიზანი სამინისტროს თანამშრომელთა შორის უკმაყოფილების გამოწვევა და სისტემის შიგნიდან აფეთქება გახლდათ. თუმცა წარმოდგენილი ბრალდებები სპირტივით აორთქლდა.

„სენსაციური ბრალდებები“ შს სამინისტროს ხელმძღვანელების წინააღმდეგ არ სრულდებოდა. მორიგ ჯერზე სიგარეტის მაფიასთან კავშირზე ალაპარაკდნენ, თუმცა გენერალური პროკურატურის მიერ ჩატარებული შემოწმებით არც ერთი ბრალდება არ დადასტურდა. ამაზე ვრცლად ისაუბრა გენერალური პროკურორის მოადგილემ ანზორ ბალუაშვილმა ერთ-ერთ ინტერვიუში[13]:

---

[12] გია ხუხაშვილი. „კულისებს მიღმა. რა ღირს საქართველო?“. თბ.2023. გვ. 117-118

[13] ალეკო ასლანიშვილი. „ბრალდებები არ დადასტურდა, ბრალდებები გრძელდება...“

„პროკურატურას ხელთ ჰქონდა 259 აუდიოკასეტა და საზღვარგარეთის ქვეყნების ავტომანქანების სია ოთხ ფურცელზე, რომლებიც ქალბატონი ირინას დავალებით ეროვნულ დემოკრატიული პარტიის (ედპ) პოლიტიკურმა მდივანმა ირაკლი ქადაგიშვილმა წარადგინა საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატში 1997 წლის 16 აგვისტოს, როგორც სიგარეტისა და ბენზინის მაფიის მოთავეობაში კახა თარგამაძის მამხილებელი დოკუმენტები.

ქალბატონ ირინას უხვ ინტერვიუებში, განცხადებებსა და ამ მიმართებით შეკრებილ მასალებში შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობის და პირადად მინისტრის მიმართ, გამოიკვეთა შემდეგი კონკრეტული ბრალდებები: მინისტრი კახა თარგამაძე, ამავე სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარე ავთანდილ (ზურაბ) ჩხაიძე დანაშაულებრივად მფარველობენ საქართველოში სიგარეტის ბიზნესის მწარმოებელ ფირმა „ომეგას“ – იგივე აჭარის ინვალიდთა საზოგადოებას;

1996 წელს ქ. გორში დააკავეს „ომეგას“ კონტრაბანდული ტვირთი – სიგარეტი, მაგრამ ა. ჩხაიძემ და შინაგან საქმეთა მინისტრმა დამნაშავეები არ ამხილეს; შინაგან საქმეთა მინისტრი დანაშაულებრივად მფარველობს ბენზინის მაფიას; შს სამინისტროს თანამშრომლებისათვის განკუთვნილი ხელფასის თანხები სამინისტროს ხელმძღვანელობამ გამოიყენა სპირტის უკანონოდ შეძენისა და რეალიზაციისათვის.

– ბოლოს და ბოლოს რა დადგინდა?

– 1998 წლის ივნისში დამთავრდა 259 აუდიოკასეტის მოსმენა, მათში არაფერია მითითებული კახა თარგამაძის დანაშაულებრივი საქმიანობის ან სხვა კანონსაწინააღმდეგო მოქმედებების ჩადენის კონკრეტულ ფაქტზე. ისინი არ წარმოადგენს და არც შეიძლება ჩაითვალოს კ. თარგამაძის პიროვნების მაკომპრომეტირებელ დოკუმენტებად.

აუდიოკასეტების მოსმენით გაირკვა, რომ ირინა სარიშვილი-ჭანტურიას მიერ გავრცელებული ინფორმაციები იმის შესახებ, რომ მის მიერ დაუდგენელ ვითარებაში მოპოვებული 259 აუდიოკასეტაში დაფიქსირებული იყო საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის კახა თარგამაძის დანაშაულის დამადასტურებელი ფაქტები, სინამდვილეს არ შეესაბამება.

დადგინდა, რომ ირინა სარიშვილი-ჭანტურიასთვის გადაცემული სატელეფონო საუბრების ჩანაწერები (ქალბატონი ირინა აცხადებს, რომ ეს ჩანაწერები მას გადასცეს როგორც პარტიის თავმჯდომარეს და პარლამენტის წევრს) საქართველოს კონსტიტუციის და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის დარღვევით, უკანონო მეთოდებით არის ნაწარმოები და მოპოვებული.

გენერალური პროკურატურის დასკვნით, შინაგან საქმეთა მინისტრი მართალია, მაგრამ ედპ ლიდერს ამის გაგონებაც არ სურს. ინტერვიუ გენერალური პროკურორის მოადგილესთან ანზორ ბალუაშვილთან. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. 2 დეკემბერი. 1998

– კონკრეტულად რაში გამოიხატება ეს უკანონობა?

– საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად: „ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება, პირადი საქმიანობის ადგილი, პირადი ჩანაწერები, მიმოწერა, საუბარი სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებებით, აგრეთვე, ტექნიკური საშუალებებით მიღებული შეტყობინებანი, ხელშეუხებელია, აღნიშნული უფლებების შეზღუდვა დაიშვება სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშეც კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას“.

ასევე, 42-ე მუხლის მეშვიდე პუნქტით: „კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს იურიდიული ძალა არ აქვს“.

გარდა ამისა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლით სისხლის სამართლის წესით დასჯადია მიმოწერის, ტელეფონით ლაპარაკის, სატელეგრაფო შეტყობინებათა საიდუმლოების დარღვევა.

ქალბატონმა ირინამ უარი განაცხადა წარმოდგენილი საგნების მასზე გადამცემის ვინაობის, ასევე აუდიოკასეტებში დაფიქსირებული სატელეფონო საუბრების მწარმოებელ პირთა დასახელებაზე.

შემოწმებით გაირკვა, რომ წარმოდგენილი საგნები (აუდიოკასეტები), როგორც უკანონოდ ნაწარმოები და მოპოვებული რომელიმე კონკრეტული ფაქტის რეალობის დამადასტურებელ მტკიცებად, კანონის შესაბამისად, არ შეიძლებოდა ყოფილიყო მიღებული და გამოყენებული.

– ეგ გასაგებია, მაგრამ, ამ შემთხვევაში უფრო საინტერესო ხომ სხვაა – ამტკიცებენ ისინი კახა თარგამაძის უკანონო ქმედებებს?

– მათში კახა თარგამაძის მიერ უკანონო ქმედებათა ჩადენაზე არაფერია მითითებული.

ირინა სარიშვილი-ჭანტურიას განცხადებები კახა თარგამაძის მიერ სიგარეტის ბიზნესის მწარმოებელი ფირმა „ომეგას“ უკანონო მფარველობის შესახებ უსაფუძვლოა. იგი შემოწმებით არ დასტურდება.

– კვამლი უცეცხლოდ არ ჩნდება. ნუთუ ამდენი ლაპარაკი სიგარეტის ბიზნესთან შინაგან საქმეთა სამინისტროს კავშირზე აბსოლუტურად უსაფუძვლოა?

– მე იურისტი გახლავართ და სამართლებრივი ნორმებით ვმსჯელობ. „ამბობენ“, „ლაპარაკობენ“ – იურიდიული ტერმინები არ არის, ზოგიერთი, და მათ შორის პოლიტიკოსიც, ამ სიტყვებს მოიშველიებს ხოლმე. გამომძიებელი, პროკურორი და მოსამართლე ამ ფუფუნებას მოკლებულია. ისინი მხოლოდ ფაქტებზე და მათი ამომწურავი შემოწმების მასალებზე დაყრდნობით მსჯელობენ. ვიმეორებ: საქმეზე წინასწარი გამოძიების დროს არ ამოღებულა და გამოძიებას არ მოუპოვებია შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელი პირების რაიმე მამხილებელი მტკიცებულება მათი სიგარეტის ბიზნესთან უკანონო კავშირის შესახებ. პირიქით, თვით შინაგან საქმეთა მინისტრის და სხვა ხელმძღვანელების აქტიურმა მოქმედებამ გა-

ნაპირობა შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მხილება, რომლებმაც სხვებთან ერთად ჩაიდინეს ბანდიტიზმი და სხვა მძიმე დანაშაული სიგარეტის ბიზნესის სფეროში (ე. წ. „ომეგას საქმე“).

ამდენად, ქალბატონი ირინა სარიშვილი-ჭანტურიას განცხადებები იმის შესახებ, თითქოს წინასწარმა გამოძიებამ ფირმა „ელიზის“ თანამშრომლების მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისას ამოიღო და შემდგომ მოიპოვა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ მამხილებელი დოკუმენტები, არ შეესაბამება სინამდვილეს.

– არც ბენზინის უკანონო ბიზნესის საქმეშია რაიმე კვალი?

– ქალბატონმა ირინამ ნავთობპროდუქტების რეალიზაციისას შინაგან საქმეთა მინისტრის, სამინისტროს სხვა მუშაკების დანაშაულებრივ ქმედებებზე 1997 წლის 1 სექტემბერს განმარტა: „ბენზინის ბიზნესთან უკანონო კავშირებში მათი მხილების საფუძველს, უფრო სწორად მათი მოქმედების მართლზომიერებაზე ეჭვის საფუძველს, მაძლევს ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციები, რაზეც დაწვრილებით საქმის კვლევის პროცესში მოგახსენებთო“.

– მოგახსენათ?

– განმარტებით კი განმარტა, მაგრამ, მოპოვებულ ინფორმაციაზე ან კონკრეტულ ფაქტზე არ მიუთითა, არაერთგზის ვთხოვეთ, წარმოედგინა მასალები, თუკი ასეთი გააჩნდა, მაგრამ, უარი თქვა პროკურატურაში გამოცხადებასა და განმარტების მიცემაზე.

– ქალბატონმა ირინამ შარშან 24 ივლისს მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე გამოსვლისას განაცხადა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო არ გამოეხმაურა მის მიმართ წაყენებულ ბრალდებას, ხელფასის ფონდის სპირტის ბიზნესში დატრიალების თაობაზე...

– შევამოწმეთ. გამოირკვა, რომ, ასეთი რამ არ მომხდარა. საქართველოს კონტროლის პალატის, თავდაცვის, სამართალდამცავ ორგანოთა და დიპლომატიურ დაწესებულებათა კონტროლის დეპარტამენტმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სპეციალურად შეამოწმა 1997 წლის პირველ ნახევარში ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების, აგრეთვე, სპეცსახსრების მიზნობრივი ხარჯვა. დაადგინეს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ხელფასები და, საერთოდ, ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები არამიზნობრივად არ გაუხარჯავთ.

ამრიგად, გავრცელებული ინფორმაციები შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობის მიერ ხელფასის ფონდის უკანონოდ განკარგვის შესახებ, მოგონილია.

– ერთ-ერთი ბრალდება იყო კახა თარგამაძის უკანონო მფარველობით 1996-97 წწ. საბაჟო კონტროლის გაუვლელად, კონტრაბანდული გზით, საქართველოში სარეალიზაციოდ განსაკუთრებით დიდი ოდენობის უცხოური წარმოების სიგარეტის შემოზიდვა...

– ქალბატონი ირინას მიერ წარმოდგენილი ნუსხა ოთხ ფურცლად, სიგარეტის გამომგზავნის და მიმღების, ტრანსპორტის გამოსვლის თარიღის, მანქანის სახელმწიფო ნომრის, ყუთების რაოდენობის და წონის აღნიშვნით, შეამოწმა კომპეტენტურმა კომისიამ.

სპეციალისტების დასკვნით და შეკრებილი მასალებით გაირკვა, რომ ირინა სარიშვილ-ჭანტურიას მიერ წარმოდგენილ ნუსხაში მითითებული პროდუქცია საქართველოს საბაჟო საზღვარზე მიღებული და ტრანსპორტირებულია საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად. კახა თარგამაძის მიერ 157 ავტომანქანით სახელმწიფო საზღვარზე ფასეულობების გადმოზიდვასთან დაკავშირებულმა ინფორმაციამ ამ ნაწილშიც დადასტურება ვერ პოვა, იგი სინამდვილეს არ შეეფერება.

– იყო ბრალდება „სამეწარმეო საქმიანობის შესახებ“ კანონის დარღვევის შესახებაც!

– 1998 წლის 13 მარტს გენერალური პროკურორის სახელზე გამოგზავნილ მომართვაში ირინა სარიშვილი-ჭანტურიამ აღნიშნა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მართვის მოწმობების, სანომრე ნიშნების, ტექნიკური პასპორტების და საჯარიმო ქვითრების დამზადება-გაცემისას დაარღვიეს „სამეწარმეო საქმიანობის შესახებ“ კანონის მოთხოვნები, მისი აზრით, უნდა შემოწმებულიყო ამ ოპერაციათა ეკონომიკური მიზანშეწონილობა, ტენდერის პირობების კანონიერება, ასევე გარკვეულიყო, რატომ დაიწყო ავტომობილების სანომრე ნიშნების განახლებული შეცვლა 1997 წელს და რატომ შეწყდა 1993 წელს პრაქტიკულად დაწყებული იგივე პროცესი.

გენერალურმა პროკურატურამ შინაგან საქმეთა, ფინანსთა, იუსტიციის, ვაჭრობისა და საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტროებიდან, სხვა უწყებებიდან და დაწესებულებებიდან გამოითხოვა მასალები სატრანსპორტო საშუალებათა და ნომრიანი აგრეგატების ერთი მფლობელიდან მეორეზე რეგისტრაციის, სახელმწიფო სანომრე ნიშნების, ავტომანქანების მართვის მოწმობების, ტექნიკური პასპორტების, საჯარიმო ქვითრების დამზადებისა და გაცემის, კომპიუტერული ტექნიკის შეძენის, შემოტანის, საბაჟო ანაზღაურების და კონკურსის გამართვასთან დაკავშირებით.

ამავე საკითხთან დაკავშირებით გენერალური პროკურატურის თხოვნით, საქართველოს კონტროლის პალატის მიერ ჩატარებული რევიზიით, ამოღებული და გამოკვლეული დოკუმენტებით, ნორმატიული აქტებით, დასკვნებით, სხვადასხვა პირის განმარტებებით დადგინდა, რომ მართვის მოწმობების, სანომრე ნიშნების, ტექნიკური პასპორტების დამზადების ორგანიზებისას კანონის მოთხოვნები არ დარღვეულა. აღნიშნული საქმიანობით მიღწეული იქნა მნიშვნელოვანი ეკონომიკური ეფექტი, სახელმწიფომ მიიღო 10,2 მილიონი ლარის დამატებითი შემოსავალი.

ავტომანქანების სანომრე ნიშნების დამზადება დაიწყო 1993 წელს და ამჟამადაც გრძელდება. მტკიცება, თითქოს ავტომანქანების სანომრე ნიშნების დამზადება 1993 წელს შეწყდა და 1997 წელს განახლდა, მართალი არ არის.

კომპიუტერული ტექნიკის შეძენა-შემოტანის, გადასახადის გადახდის, კონკურსის გამართვის და ინვესტორი ფირმის გამარჯვებულად ცნობის გარემოებათა გამოკვლევით, მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა ჩადენა არ მომხდარა, „სამეწარმეო საქმიანობის“ და „პოლიციის შესახებ“ კანონთა მოთხოვნები არ დარღვეულა.

ამრიგად, გამოძიების დასკვნაში გაანალიზებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით, ირინა სარიშვილი-ჭანტურიას ინფორმაციებსა და განცხადებებში მითითებული კონკრეტული ფაქტები კახა თარგამაძის მიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენის შესახებ, არ დასტურდება, ისინი სინამდვილეს არ შეეფერება.

– თქვენ ბრძანებთ, რომ შემოწმებით ქალბატონი ირინას მიერ დასახელებული არცერთი ფაქტი არ დადასტურდა, ისინი ცილისმწამებლური და მონაჭორიაო. მაგრამ, როგორც ხედავთ, თქვენმა დასკვნამ მას აზრი ვერ შეუცვალა.

– როცა 1998 წლის 6 ოქტომბერს გენერალურმა პროკურატურამ ირინა სარიშვილი-ჭანტურიას აცნობა შემოწმების შედეგები და გაუგზავნა დასკვნა, იქვე განემარტა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი უფლებები. ავუხსენით, აგრეთვე, მის მიერ დაყენებულ საკითხებზე განმარტების მისაცემად გენერალურ პროკურატურაში მოსვლის აუცილებლობა, რადგანაც უამისოდ შეუძლებელია დადგინდეს ქალბატონმა ირინამ, მონაჭორი წინასწარი შეცნობით, განზრახ გაავრცელა, თუ იგი შეცდომაში შეიყვანა ცრუ ინფორმაციის მიმწოდებელმა.

– კანონით რა სხვაობაა ამ „თუ-ს“ წინა და ბოლო წინადადებას შორის?

– მონაჭორის განზრახ გავრცელება დასჯადი ქმედებაა, რადგან გადაუმოწმებელი ინფორმაციის საზოგადოებისთვის მიწოდება ახდენს ამა თუ იმ პირის დისკრედიტაციას, რასაც ხშირად უაღრესად მძიმე შედეგები შეიძლება მოჰყვეს, და ითვალისწინებს 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთას. თუ შეცდომაში შეყვანაა, ეს დასჯადი არ არის, საზოგადოებრივად დასაგმობი ქმედებაა.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-19 მუხლი ყველა ადამიანს უფლებას ანიჭებს დაუბრკოლებლად მოიპოვოს ინფორმაცია და გაავრცელოს იგი. ამასთან, ეს ნორმა კატეგორიულად კრძალავს სხვა პირთა პატივისა და ღირსების, მათი რეპუტაციის შემლახველი ცნობების გავრცელებას.

– სად გადის ზღვარი?

– სისხლის სამართლის თეორიაში დანაშაულის შემადგენლობის განსაზღვრისას უმნიშვნელოვანესი კომპონენტი დანაშაულის სუბიექტური მხარეა. მხოლოდ ის არის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის და ქმედების კვალიფიკაციის საფუძველი. სუბიექტური მხარის შინაარსი, როგორც წესი, ვლინდება ისეთი იურიდიული მახასიათებლებით, როგორიცაა ბრალი, მოტივი და მიზანი.

ამიტომაც აუცილებლად უნდა გარკვეულიყო თვით ქალბატონი ირინას ქმედების სამართლებრივი ასპექტები. ამისათვის გავუგზავნეთ შემოწმების შედეგების შესახებ დასკვნა და განვუმარტეთ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული მისი უფლებები პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით გასცნობოდა შეკრებილ მასალებს და მხოლოდ ამის შემდეგ ემსჯელათ ჩვენ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კანონიერებასა და დასაბუთებულობაზე.

მაგრამ, გენერალური პროკურატურის თხოვნა ქალბატონმა ირინამ ყურად არ იღო. ამასთან, იგი კვლავ დაჟინებით აგრძელებს შინაგან საქმეთა მინისტრის მიმართ იმ ინფორმაციის გავრცელებას, რომელიც დეტალურად შემოწმდა და არ დადასტურდა.

ირინა სარიშვილი-ჭანტურიას ასეთი ქცევა, ბუნებრივია, საზოგადოებაში ბადებს ეჭვს იმის შესახებ, რომ აღნიშნული აქციები გამიზნულია ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური პირობების ფონზე შინაგან საქმეთა სამინისტროს მრავალათასიანი კოლექტივის დისკრედიტაციის, დესტაბილიზაციის და ქაოსის გამოსაწვევად. ამის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროს პირადი შემადგენლობაც გამოთქვამს სამართლიან უკმაყოფილებას.

გენერალური პროკურატურა მზადაა პარლამენტს წარუდგინოს შემოწმების ყველა მასალა და მოპოვებული მტკიცებულებანი ირინა სარიშვილი-ჭანტურიას მიერ დასახელებული კონკრეტული ფაქტების მიუკერძოებლად შემოწმების და მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების დასასაბუთებლად.

ძნელია, ედავო ადამიანს, რომელიც შემოწმების მასალების ერთ ფურცელსაც არ გასცნობია (სხვათა შორის, ამ შემოწმების მასალები II ტომს მოიცავს. თითო ტომი 400-450 ფურცელია). ამასთან, ცივილიზებული საზოგადოებისთვის მიუღებელ ფორმებში საზოგადოებას აწვდის დაუსაბუთებელ ინფორმაციას.

– ქალბატონი ირინა თავის 30 ნოემბრის ინტერვიუში (გაზეთი „ახალი თაობა“) მიუთითებს თურქეთის, თურქმენეთის და საქართველოს საბაჟოებიდან მოპოვებულ რაღაც მასალებზე, რომლებითაც დასტურდება, რომ სიგარეტის უკანონო ბიზნესით საქართველოს ბიუჯეტს დააკლდა 60 მილიონი ლარი. ამასთან დაკავშირებით რას გვეტყოდით?

– დიახ, ინტერვიუში ქალბატონი ირინა მართლაც მიუთითებს რაღაც დოკუმენტებზე, მაგრამ კონტრაბანდის, გადასახადების დამალვის, საბაჟო გადასახადებისგან თავის არიდების, ბიუჯეტთან ანგარიშსწორების დროს უკანონო ქმედებების კონკრეტულ სხვა ფაქტებზე მასალა არ გადმოუცია.

როგორც წესი, ამ დარღვევების გამოვლენა შესაბამისად საბაჟო და საგადასახადო სამსახურების, კონტროლის პალატის პრეროგატივაა. პროკურატურა ამ საქმეთა მოკვლევისა და გამოძიების დაწყების შემდეგ კანონიერების დასაცავად მოქმედებს მისთვის მინიჭებულ უფლებათა ფარგლებში,

> რაც კარგად იცის ქალბატონმა ირინამ. მან და მისმა თანაგუნდელებმა მონაწილეობა მიიღეს იმ საკანონმდებლო აქტების შემუშავებაში, რომლებიც პროკურატურის ფუნქციებსა და უფლებამოსილების ფარგლებს არეგულირებს. მოქმედი კანონმდებლობით, პროკურატურა აღარ წარმოადგენს მაკონტროლებელ ორგანოს, დამოუკიდებლად არ ატარებს შემოწმებებს, ასევე მონაწილეობას აღარ იღებს სამოქალაქო სამართალწარმოებაში და, აქედან გამომდინარე, მიყენებული ზარალის ანაზღაურებისათვის სარჩელითაც ვერ მიმართავს სასამართლოს. პროკურატურა კანონით დადგენილი წესით სისხლის სამართლებრივ დევნას ახორციელებს კონკრეტული დანაშაულის ფაქტზე მიღებული ინფორმაციით. ასე ისურვეს და ასეა დღეს. ირინა სარიშვილი-ჭანტურიას მიერ დასახელებული კონკრეტული ფაქტები შემოწმდა და არ დადასტურდა.
>
> მე უაღრესად საშიშ სიმპტომებს ვხედავ, როცა საკანონმდებლო ხელისუფლების ფართოდ ცნობილი პიროვნება არად დაგიდევს სხვის პატივსა და ღირსებას და ქვეყანაში არსებული მძიმე პირობების ფონზე ცდილობს შექმნას ილუზია, აქაოდა, მაღალი თანამდებობის პირზე რამდენი მამხილებელი მასალა მოვიპოვე, მაგრამ, ამ „მშიშარა“, პროკურატურამ არაფერი გააკეთაო.
>
> ეს ყველაფერი ბლეფია. ქალბატონ ირინას მიერ დასახელებული კონკრეტული ფაქტების შემოწმებას მე ვხელმძღვანელობდი მხოლოდ კანონით და ჩემი სინდისით. არც შინაგან საქმეთა სამინისტრო, არც სხვა უწყება არ ფლობს ჩემი ქმედების მაკომპრომეტირებელ მასალებს. ვერც ვერავინ შემაშინებს და კანონიერების აღსრულებისას ვერანაირ ზემოქმედებას ჩემზე ვერ მოახდენს.
>
> მოქმედი კანონმდებლობის ძალით პროკურატურა ამჟამად მოკლებულია შესაძლებლობას ქალბატონ ირინას, როგორც დეპუტატის მიმართ, განახორციელოს საპროცესო ხასიათის ღონისძიებები. საზოგადოება კი დაიღალა საბოლოო გადაწყვეტილების მიღების ლოდინით. ამიტომ, პარლამენტის ხელმძღვანელობას ვთხოვეთ დახმარება, რაც უეჭველად შეგვიწყობს ხელს წერტილი დავუსვათ უსაფუძვლო ბრალდებებს. თორემ აღმასრულებელი ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირის ირგვლივ შექმნილი ასეთი დაძაბულობა, მისგან გამომდინარე მოსალოდნელი შედეგებით, საშიშია ქვეყნისთვისაც და საზოგადოებისთვისაც“.

მას შემდეგ რაც გენერალური პროკურორის მოადგილის ანზორ ბალუაშვილის ინტერვიუს და პროკურატურის პოზიციას გაეცანით, მოკლედ მინდა რამდენიმე სისხლის სამართლის საქმე გავიხსენო, რომლებიც ჩვენ მიერ იქნა გახსნილი და გამოვლენილი, რის შემდეგაც თქვენ ადვილად დარწმუნდებით, რომ აღნიშნულ ბიზნესებში პირადი ინტერესები არ არსებობდა. რეალურად ამ დანაშაულებრივ ჯგუფებს მფარველები სხვა უწყებებიდან ნამდვილად ჰყავდათ, რომლებსაც აქ ვერ დავასახელებ, თუნდაც უდანაშაულობის პრეზუმფციიდან გამომდინარე, რადგან დოკუმენტურად საკმარისი მტკიცებულებათა მოპოვება ვერ შევძელით.

1997 წლის 14 მარტს თბილისში, ორხევის დასახლებასთან ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული 5 დაუდგენელი პირი ყაჩაღურად თავს დაესხა ფირმა „ომეგას“ კუთვნილ 2 ავტომანქანას, საიდანაც გაიტაცეს ფირმის კუთვნილი 650.000 აშშ დოლარი და ავტომანქანების გამცილებლების, საბურთალოს რაიონის დაცვის განყოფილების პოლიციელების ზ. სიფრაშვილის და გ. ინაშვილის ტაბელური „Макаров-ის“ სისტემის პისტოლეტები. აღნიშნულზე თბილისის სამგორის რაიონის შინაგან საქმეთა სამმართველოში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე.

ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარ სამმართველოში მიღებული იქნა ოპერატიული ინფორმაცია აღნიშნული დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილ პირებზე. გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად 19 მარტს დაკავებული და მხილებული იქნენ: შს სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებროს მთავარი სამმართველოს უფროსი ინსპექტორი, პოლიციის კაპიტანი გივი დავითულიანი, ამავე მთავარი სამმართველოს ინსპექტორი, პოლიციის კაპიტანი ნუგზარ ხოსიტაშვილი, ქ. თბილისის შს მთავარი სამმართველოს ორგანიზებული დანაშაულისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა უფროსი ინსპექტორი, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი ზურაბ ნიორაძე, ქ. თბილისის გლდანის რაიონის ხანძარსაწინააღმდეგო პოლიციის თანამშრომელი გიორგი ხრიკული.

გატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად დადგენილი იქნა, რომ ზემოაღნიშნული დანაშაულის გარდა, დაკავებული ჯგუფის წევრები 1996 წლის 5 სექტემბერს ქარელის რაიონის სოფელ ერგნეთთან ფირმა „ომეგას“ კუთვნილ ავტომანქანას ყაჩაღურად დაესხნენ თავს, გაიტაცეს ფირმის კუთვნილი 300.000 აშშ დოლარი და გამცილებლის, დაცვის პოლიციელის მ. სეფაშვილის, ტაბელური „Макаров-ის“ სისტემის პისტოლეტი, რაზედაც ქარელის შს რაიგანყოფილებაში აღძრული იყო სისხლის სამართლის საქმე და ირიცხებოდა გაუხსნელად.

ფირმა „ომეგას“ მიმართ ყაჩაღურ თავდასხმასთან დაკავშირებით აღძრული ორივე სისხლის სამართლის საქმე 20 მარტს წარმოებაში მიიღო გენერალური პროკურორის საგამოძიებო აპარატმა.

დაკავებულებმა აღიარეს ჩადენილი დანაშაული და ამხილეს დანაშაულებრივი ჯგუფის სხვა წევრები: ფრიდონ დავითულიანი, ანატოლი კოროლი, გიორგი სვანიძე, გელა ბატატუნაშვილი, თამაზ ბატატუნაშვილი, გიორგი ქორქია, ზურაბ ცინცაძე, ირინა ტყემალაძე, ზვიად ტურიაშვილი, ტარიელ არველაძე, დავით კოშკაძე, ტარიელ ჭოხონელიძე.

ზემოაღნიშნული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები სატელეფონო საუბრების მოსმენების, ვიდეო-აუდიო ტექნიკური საშუალებების გამოყენებით აკონტროლებდნენ ფირმა „ომეგას“ კომერციულ საქმიანობას,

ფირმის კუთვნილი თანხის გადაადგილებას მისი დანაშაულებრივი გზით მითვისების მიზნით. მოკვლევის პროცესში გივი დავითულიანის, ნუგზარ ხოსიტაშვილის, ზურაბ ნიორაძის, გიორგი ხრიკულის, გიორგი ქორქიას საცხოვრებელი ბინებისა და პირადი ჩხრეკისას ამოღებული იქნა დიდძალი ცეცხლსასროლი იარაღი და ყაჩაღური გზით გატაცებული 724.000 აშშ დოლარი. გენერალურ პროკურორის სანქციით სიგარეტის ბიზნესით დაკავებულ კონკურენტ ფირმა „ელიზში“ ჩატარებული ჩხრეკის დროს ამოღებული იქნა თამაზ ელიზბარაშვილის კუთვნილი 2 ცალი ცეცხლსასროლი იარაღი, სატელეფონო საუბრების დამადასტურებელი კასეტები და ჩანაწერები, ვიდეო-აუდიო აპარატურა.

წინასწარი გამოძიების პროცესში გელა ბატატუნაშვილის, გიორგი ხრიკულის, ზურაბ ცინცაძის, ირინა ტყემალაძის ჩვენებების საფუძველზე გამოძიების მიერ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულ იქნა ფირმა „ელიზის“ პრეზიდენტი თამაზ ელიზბარაშვილი, რომელსაც წარედგინა ბრალი ზემოთაღნიშნული ყაჩაღობების ორგანიზაციისა და სატელეფონო საუბრების უკანონო მოსმენის მიზნით ქრთამის მიცემისათვის (თვეში 300 აშშ დოლარის ოდენობით).

ზემოაღნიშნული დანაშაულის ჩადენისათვის სულ დაკავებული იქნა 12 პირი, რომელთაგანაც ერთს – ირინა ტყემალაძეს შეეცვალა აღმკვეთი ღონისძიება, ხოლო ოთხი პირის, კერძოდ, ტრისტან ჭოხონელიძის, ზვიად ტურიაშვილის, ტარიელ არველაძის და დავით კოშკაძიეს მიმართ გამოცხადდა ძებნა. სასამართლომ ყველა ზემოხსენებული ბრალდებული დამნაშავედ ცნო და მათ სხვადასხვა ვადით მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა.

რაც შეეხება თამაზ ელიზბარაშვილს, მის მიმართ 1997 წლის 4 ივნისს ცალკე გამოყოფილ საქმეზე გენერალური პროკურატურა აგრძელებდა გამოძიებას და როგორ დასრულდა იგი, ჩემთვის დღემდე არაა ცნობილი.

მთელი ეს ისტორია კარგადაა გადმოცემული ცნობილი მწერლის როსტომ ჩხეიძის წიგნში „ორი გზა ან ბედი ქართული ბიზნესისა“[14] და დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია გაეცნოს.

სიგარეტის უკანონო ბიზნესის კიდევ ერთ, ცოტათი უფრო ადრინდელ სისხლის სამართლის დანაშაულსაც გავიხსენებ. ჩვენ მიერ კონტრაბანდაში მხილებული იქნა ფოთის საბაჟოს სამსახურის უფროსი, უშიშროების თადარიგის გენერალ-მაიორი იური კეშელავა, სხვა პირებთან ერთად. ფრაგმენტი საგაზეთო პუბლიკაციიდან[15]:

> „გუშინ მოსამართლე ბიბილაშვილმა განაჩენი გამოუტანა ფოთის საბაჟო სამსახურის უფროსს იური კეშელავასა და კონტრაბანდაში მხილებულ

[14] როსტომ ჩხეიძე. „ორი გზა ან ბედი ქართული ბიზნესისა: დეტექტიურიც და“. თბ. 1999
[15] ეკა ამაშუკელი. „ფოთის საბაჟოს უფროსს უზენაესმა განაჩენი გამოუტანა“. გაზ. „საქართველო“

გიორგი ანდღულაძეს. სასამართლო კოლეგიამ დადასტურებულად მიიჩნია, რომ 1995 წლის დასაწყისში ანდღულაძემ და დუბოვმა გადაწყვიტეს ერთობლივი კომერციული საქმიანობის დაწყება, რისთვისაც დაუკავშირდებოდნენ ბულგარეთისა და რუსეთის ფირმებს, რომლებიც სიგარეტით მოამარაგებდნენ მათ.

1995 წლის 26 მაისს მოსკოვში გაფორმდა ყალბი ხელშეკრულება შპს „დამოუკიდებელ სავაჭრო კავშირსა“ და ქ. ტვერის შპს „რონტანდენტტრაიდს“ შორის 21.450.000 აშშ დოლარის ღირებულების ბულგარული ტექნოლოგიით საქართველოში დამზადებულ 3.000 ტონა „ТУ-134“, „მტკვარი“, „ოპალი“, „როდოპი“, „ბტ“ და სხვა მარკის სიგარეტის მიწოდებაზე.

ანდღულაძე დაუკავშირდა ფოთის საბაჟო სამსახურის უფროსს კეშელავას და აღუთქვა, რომ თითოეული კონტეინერის შემოტანაში 600 დოლარს გადაუხდიდა. პირველ პარტიაში – 24 კონტეინერში კი 14. 400 დოლარს. კეშელავამ დაიბარა ფოთის ნავსადგურის გვერდით მდებარე წისქვილ-ქარხნის დირექტორი უშანგი გეგენავა და დაარწმუნა, რომ თამბაქოს ნედლეულის დამუშავება წისქვილქარხნის პირობებში შესაძლებელი იყო. საჭირო დაზგებს ფირმა შეიტანდა და წისქვილ-ქარხანას 5 000 დოლარს გადაურიცხავდა.

1996 წლის 12 აგვისტოს ფოთის პორტში თბომავალ „დენით“ შპს „დამოუკიდებელი სავაჭრო კავშირის“ სახელზე 4 კონტეინერით შევიდა 16 020 კილოგრამი ბულგარეთში დამზადებული მზა სიგარეტი. 1996 წლის 16 აგვისტოს ანდღულაძემ მოტყუებით მიიღო უცხოური ინვესტიციის შეფასების ყალბი მონაცემების შემცველი აქტი აუდიტორულ ფირმა „ბაკაშვილი და კომპანიისგან“.

1996 წლის 7 სექტემბერს შპს „დამოუკიდებელი სავაჭრო კავშირის“ სახელზე თბომავალ „დენით“ ფოთის პორტში შევიდა 20 კონტეინერი „ТУ-134“ „ოპალ“ და „როდოპი“ – სულ 80.000 კილოგრამი. მათ ეს ტვირთიც საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით გააფორმეს.

გეგენავას ქარხანაში კი ამასობაში უნდა დაწყებულიყო 96 ტონა თამბაქოს ნახევარფაბრიკატის დაფასოება, ყუთებში ჩაწყობა, სააქციზო მარკების დაკვრა და კონტეინერებში ჩაწყობა. მოულოდნელად გეგენავამ გაიგო, რომ სიგარეტის დაფასოება არ იყო საჭირო და კეშელავას მიმართა. მან განუმარტა, რომ სიგარეტი მზა იყო და არანაირ დაფასოებას არ საჭიროებდა. ამის მიუხედავად ქარხანა მიიღებდა 5.000 დოლარს. 1996 წლის ოქტომბერში ანდღულაძემ კეშელავას მისცა 10.000 დოლარი. დეკემბერში კი – 2.000, რის შემდეგაც მან უარი განაცხადა კონტრაბანდისტებისათვის მომავალშიც გაეწია დახმარება და პროტექცია გაუწია თავის ახლობელთან, ბათუმის საბაჟოში – რეზო შალიკაძესთან.

ანდღულაძე მოსკოვში დააკავეს და რამდენიმე ბრალდება წაუყენეს. დააკავეს კეშელავა, გეგენავა თავისი ბუღალტრითურთ.

> სასამართლო კოლეგიის გადაწყვეტილებით გიორგი ანდღულაძეს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 5 წლით. კეშელავას – 8 წლით. გეგენავასა და მის ბუღალტერს ლერი კაკულიას კი პირობითი სასჯელი დაეკისრათ“.

ასეთი ფაქტები უამრავი იყო, მაგრამ მკითხველს აღარ გადავღლი.

ფაქტები რომ ვერ მოიპოვა, სამართლიანობისათვის მებრძოლის შერყეული იმიჯის გამოსასწორებლად ირინა სარიშვილი არ ცხრებოდა. ამჯერად მან ეჭვქვეშ დააყენა შს სამინისტროს საქმიანობა, რომელიც დაკავშირებული იყო ავტომანქანების გაფორმებასთან, სახელმწიფო სანომრე ნიშნების, მართვის მოწმობების და ტექნიკური პასპორტების დამზადება-გაცემასთან. რეალურად ამ საქმიანობას კერძო სტრუქტურები „მთაწმინდა“, „გზა მშვიდობისა“ და სხვანი ეწეოდნენ და მილიონობით ლარის მოგებას ნახულობდნენ.

შს სამინისტრომ გააუქმა კერძო კომპანიებთან ხელშეკრულებები და ფუნქციები თავადვე დაიქვემდებარა, რითაც მოქალაქეთა მომსახურების ღირებულება 40%-ით გაიაფდა, ხოლო სახელმწიფო შემოსავლები 9 მილიონი ლარით გაიზარდა. თუ ადრე ამ საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები საშუამავლო ფირმებისა და კერძო პირების ხელში ხვდებოდა, საკითხის მოწესრიგების შემდეგ მას უკვე მთლიანად სახელმწიფო მოიხმარდა.

მარტივი გაანგარიშებით შს სამინისტროს კორუფციის გზები რომ არ გადაეკეტა, ამ სფეროში მოთარეშე მაფიოზების ხელში სულ ცოტა 15 მილიონი დოლარი აღმოჩნდებოდა. ამ მაფიოზებს შორის კი იყვნენ შს სამინისტროს განაწყენებული თანამშრომლები, რომლებიც ამ ცილისმწამებლური კამპანიის ინიციატორებად გვევლინებოდნენ.

ყველა ამ აბსურდულ ბრალდებებთან ერთად გავრცელდა მითები სამინისტროს შენობიდან ნაწამები პატიმრების გადმოგდებების შესახებ, თუმცა კონკრეტულ შემთხვევას ვერავინ ასახელებდა.

ამას წინათ ჟურნალისტმა ბონდო მძინარაშვილმა საკუთარ ფეისბუქ გვერდზე გამოაქვეყნა ვანო მერაბიშვილის მოადგილის, ლევან გვაზავას განცხადება – „როდესაც ნაციონალური მოძრაობა მოვიდა ხელისუფლებაში მაშინვე დაიწყო იმის გამოკვლევა, რამდენი პატიმარი გადმოყარეს შევარდნაძის დროს ფანჯრებიდან. გახსოვთ ალბათ ეს თემა სულ მუსირებდა – აი, დაკავებულებს შსს შენობიდან ყრიან და ა. შ. აღმოჩნდა, რომ სულ ორი შემთხვევა იყო, როდესაც მართლა გადმოვარდნას ჰქონდა ადგილი და იქ არაფერი, გარდა გაქცევის მცდელობისა, არ ყოფილა. ეს რომ ნახეს, გაჩუმდნენ და ხმა აღარავის ამოუღია“.

მე კი გამახსენდა ერთი ასეთი შემთხვევა. ირაკლი ოქრუაშვილის შს მინისტრობის დროს, მის სამუშაო კაბინეტში მიყვანილ მოქალაქე დავით ნარსიას კატეგორიულად სთხოვდნენ ცნობილი ჟურნალისტის მალხაზ გულაშვილისთვის ფულის გადაცემას, რათა ეს უკანასკნელი შემდგომ ქრთამის

აღებისთვის დაეკავებინათ. ნარსიამ ასეთ პროვოკაციაში მონაწილეობას ფანჯრიდან გადახტომით სიკვდილი არჩია, მაგრამ განგებამ იხსნა და მთელი საათის განმავლობაში ქვედა სართულის მოაჯირზე იყო ჩამოკიდებული, საიდანაც ძლივს ჩამოხსნეს. ამ გახმაურებული ინციდენტის შემდეგ მან ქვეყანა დიდი ხნით დატოვა. საქმე კი არავის გამოუძიებია.

ჟურნალისტმა და გამომცემელმა მალხაზ გულაშვილმა „Georgian Times" ვებ-გვერდზე გამოაქვეყნა ამ ფაქტის ამსახველი ვიდეომასალა.[16]

> „როცა მეგობარი შენთვის თავს სწირავს, ამაზე დიდი სიყვარული – მეგობრობა არ არსებობს. დათო ნარსია ის კაცია სწორედ, ვინც ირაკლი ოქრუაშვილის შინაგან საქმეთა მინისტრობისას, არჩია უღირსად მეგობრის დაჭერაში მონაწილეობას, მინისტრის მისაღები აივნიდან ძირს გადახტომა. მადლობა ღმერთს, რომ გადარჩა...
>
> ჩემი დაჭერა იყო დაგეგმილი და დათოს, როგორც ჩემს მეგობარს, ჩემთვის დანომრილი ფული უნდა მოეტანა, შემდგომში გამოძალვის მუხლით ჩემი დაჭერის მიზნით. ამ საქციელის გამო ცხოვრება გაუმწარეს. იძულებულ იყო ქვეყნიდან წასულიყო და სანამ რეჟიმი არ დამთავრდა საქართველოში ვერ ჩამოდიოდა. კაცი ხარ ძმაო, ეს ამბავი (კადრები) რამდენჯერმე ტელეკომპანია „იმედმა" გაუშვა, თუ როგორ ხტება შსს აივნიდან დათო ნარსია!"

●

როგორც უკვე აღვნიშნე ყველაფერი მიმართული იყო ჟვანიას გუნდის მხრიდან შს მინისტრის თანამდებობის ხელში ჩასაგდებად, რაც მისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის იყო, რადგან მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში სავარაუდოდ ჟვანია მონაწილეობას მიიღებდა და გამარჯვებისთვის ემზადებოდა. ირინა სარიშვილის დაპირისპირებაც კახა თარგამაძის წინააღმდეგ პროვოცირებული იყო. ამის მტკიცებულებად მოვიყვან ფრაგმენტს ირინა სარიშვილის ინტერვიუდან, სადაც მან თავისი საქციელი სახალხოდ მოინანია[17]:

> **„თქვენ „ასავალ-დასავალში" ერთხელ უკვე გამოთქვით სინანული, რომ თავის დროზე კახა თარგამაძეს დაუპირისპირდით და ვისგან მოდიოდა ეს ყველაფერი?**
>
> **ირინა სარიშვილი**: ძალიან ვნანობ, კახა თარგამაძეს რომ დავუპირისპირდი. უფლებას ვიტოვებ არ დავასახელო იმ ადამიანთა გვარები, ვისგანაც ეს კონფლიქტი მოდიოდა, რადგან არავისთვის არ არის ეს მნიშვნელოვანი. დაპირისპირების ინიცირება პარტიის შიგნით მოხდა. მე ხომ წელიწადში ორ-სამჯერ მიწყობდნენ გადატრიალებას და ერთ-ერთი ასეთი დაპირი-

---

[16] „დამიბარეს და მეგობრის ფარულ ჩაწერას მთხოვდნენ – როგორ ხტებოდა ირაკლი ოქრუაშვილის კაბინეტიდან ბიზნესმენი". www.geotimes.com.ge

[17] „რკინის კაცი" საქართველოს მოქალაქეობაზე უარს ამბობს". გაზ. „ასავალ დასავალი". 10-16 ოქტომბერი. 2005

> სპირების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ადამიანები, რომლებსაც თარგამაძეზე მასალები მოჰქონდათ ჩემთან და რომლებიც ფაქტობრივად, კონფლიქტის პროვოცირებას ახდენდნენ, „მოქალაქეთა კავშირის“ სამდივნოში ჟვანიასთან აღმოჩნდნენ. ამიტომ ეჭვიც აღარ მეპარება“.

აი, ასეთი გზით ჟვანიას საპარლამენტო ჯგუფი, მათთან ასოცირებული პოლიტიკური პარტიების, არასამთავრობო ორგანიზაციების და მედია-საშუალებების მეშვეობით („რუსთავი-2“, „60 წუთი“, „დარდუბალა“, გაზეთი „რეზონანსი“) 1997 წლიდან ეწეოდნენ ორკესტრირებულ კამპანიას და კახა თარგამაძის კომპრომეტაციას შს სამინისტროს ხელში ჩაგდების მიზნით.

შეკვეთილი სიუჟეტებით გამოირჩეოდა ტელეკომპანია „რუსთავი-2“. საგულდაგულოდ მომზადებულ რეპორტაჟებში რთული იყო გაგერჩიათ სიცრუე სიმართლისგან. იგი პრაქტიკულად ჟვანია-სააკაშვილის გუნდის სამსახურში მყოფ ძლიერ მედია საშუალებას წარმოადგენდა და ძალასა და ღონეს არ იშურებდა შევარდნაძისა და მისი მთავრობის მაღალჩინოსნების უკიდურესად უარყოფითი ფორმით წარმოსაჩენად, რითაც ქვეყანაში შევარდნაძის მთავრობის მიმართ ნეგატიურ საზოგადოებრივ აზრს ქმნიდა. მხოლოდ პროგრამა „60 წუთის“ და ანიმაციური სერიალის „დარდუბალას“ სიუჟეტების გახსენებაც საკმარისია ამის დასადასტურებლად.

ალბათ ბევრს გახსოვთ ერთი ყოვლად გაუგონარი და ამაზრზენი სიუჟეტი, რომელიც გამორჩეულად კეთილშობილი ინტელიგენტის, ყოფილი კულტურის მინისტრის ბატონი ვალერი ასათიანის მიმართ შეთითხნეს. მკითხველს ბოდიშს ვუხდი, რომ დეტალებზე ყურადღებას ვერ გავამახვილებ, რადგან ნორმალური ადამიანისთვის ამ ისტორიის სიღრმისეულად წარმოდგენამაც კი შესაძლოა მძიმე ფსიქოლოგიური სტრესი გამოიწვიოს.

საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ ჩატარებულმა ძიებამ დაადგინა ვალერი ასათიანის მიმართ წაყენებული ბრალდებების სრული უსაფუძვლობა და ეს დასკვნა გაიზიარა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ.

„60 წუთის“ ეთერში გასვლის შემდეგ ქართული ინტელიგენციის დიდმა ნაწილმა გადაცემის ავტორის აკაკი გოგიჩაიშვილის გადაცემა შეაფასა, როგორც მორალურ-ფსიქოლოგიური ტერორი არა მარტო ერთი პიროვნების, არამედ, საერთოდ, ჩვენი საზოგადოების წინააღმდეგ. ამის შესახებ საუბარი იყო უნივერსიტეტში, მწერალთა კავშირში და ჟურნალისტთა სახლში გამართულ შეხვედრებზე. 3 ივლისს თბილისის საოლქო სასამართლომ, სამაუწყებლო სასამართლომ სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2-ს“, ა. გოგიჩაიშვილს და ი. კერესელიძეს დააკისრა ვალერი ასათიანის საწინააღმდეგო ცრუ ბრალდებების საჯაროდ უარყოფა და მორალური ზიანის ასანაზღაურებლად 50.000 (ორმოცდაათი ათასი) ლარის გადახდა.

ჟურნალისტმა ბონდო მძინარაშვილმა იაგო ხვიჩიას სატელევიზიო გადაცემაში „საქართველოს დაბადება“, 2024 წლის მარტში თქვა „როცა ჟვანია გახდა პარლამენტის თავმჯდომარე, ეს იყო ჟურნალისტიკის გარყვნის ხუთი წელი. რაში გამოიხატება ეს? ფულში?!“.

ამ პროცესმა უდიდეს სიმაღლეს მიაღწია მიხეილ სააკაშვილის მმართველობის პერიოდში. ამ ე. წ. ჟურნალისტებზე სწორი წარმოდგენის შესაქმნელად ალბათ უპრიანი იქნება აქ ჟურნალისტ გიგლა გობეჩიას საინტერესო ინტერვიუს გაეცნოთ, რომელიც „საერთო გაზეთში“ გამოქვეყნდა. ჟურნალისტი ამბობს, რომ „ქართული ჟურნალისტიკა ნაცებისგან ჟურნალისტებად დანიშნულმა ადამიანებმა გააუპატიურეს და გაათახსირეს“[18]:

> „მთელი სახელმწიფო აპარატი, ჟვანიას მეთაურობით, მუშაობდა „რუსთავი-2-ზე“ – ამბობს ჟურნალისტი. მე კარგად მახსოვს ეს პერიოდი. ხომ ნახეთ, ვალერი ასათიანს რა გაუკეთეს. ხარება დღეს საშინელება მიახარეს ქრისტიანულ საზოგადოებას. ბატონმა ვალერიმ მოიგო ეს სასამართლო „ნაცების“ ზეობის პერიოდში, როცა მიშას ეგონა, ღმერთივით გავლა შეეძლო, იმდენად ბინძური საქმე გააკეთა მაშინ გოგიჩაიშვილმა, რომ „ნაცმოძრაობამაც“ ვერაფერი გააწყო და „რუსთავი-2“ 50. 000 ლარით დაჯარიმდა“.

ზურაბ ჟვანია განათლებული პიროვნება გახლდათ. ჰქონდა განსაკუთრებული ორატორული ნიჭი, იყო კარგი ორგანიზატორი და მმართველი. მას შეეძლო ადამიანებთან საქმიანი ურთიერთობების დამყარება, სწორი კომუნიკაცია და გულისხმიერად დახმარება. ამ თვისებების მეშვეობით ახლო და თბილი ურთიერთობები ჰქონდა ქართველი მეცნიერების, ხელოვნებისა და კულტურის წარმომადგენლებთან, რომელთაც უდიდესი გავლენა ჰქონდა დედაქალაქის და საერთოდ ქვეყნის შიგნით საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე. თავისი ერთგული ახალგაზრდა თანამოაზრეების მეშვეობით, პარტიის შიგნით მან მმართველი ბირთვი შექმნა. რეალურად ეს იყო „პარტია პარტიის შიგნით“, რომელიც ნებისმიერ მომენტში მზად იყო დამოუკიდებელ პოლიტიკურ ძალად გარდაქმნილიყო. იგი ძალზე ოსტატურად ახერხებდა ოპოზიციურ ფრაქციებთან გარიგებებს, რაც პრაქტიკულად საშუალებას აძლევდა საკუთარი შეხედულებებისამებრ ემართა საპარლამენტო პროცესები.

2000 წლის 9 აპრილის საპრეზიდენტო წინასაარჩევნო კამპანიას ზურაბ ჟვანია ხელმძღვანელობდა. შევარდნაძეს უნდოდა ამომრჩევლის რაც შეიძლება მაღალი მხარდაჭერა ჰქონოდა. მოულოდნელად არჩევნებში საკუთარი კანდიდატურა წამოაყენა ასლან აბაშიძემ. მან განაცხადა, რომ შევარდნაძეს აჭარაში საერთოდ არ შემოუშვებდა. დაძაბული ვითარება შეიქმნა. თუმცა ძალიან მალე, სრულიად მოულოდნელად აბაშიძემ კანდიდატურა მოხსნა. ვალერი გელბახიანი ამბობს, რომ აბაში-

[18] „გიგლა გობეჩია: ქართული ჟურნალისტიკა „ნაცებისგან“ ჟურნალისტებად დანიშნულმა ადამიანებმა გააუპატიურეს და გაათახსირეს“. ესაუბრა ირანდა კალანდაძე. „საერთო გაზეთი“. 8 ოქტომბერი. 2014

ძემ ეს გადაწყვეტილება თურქეთის პრეზიდენტის სულეიმან დემირელის თხოვნით მიიღო და მხოლოდ ამის შემდეგ დააყენა თავისი კანდიდატურა ჯუმბერ პატიაშვილმა[19].

რამდენად შეესაბამება ეს სინამდვილეს, ვერ გეტყვით, თუმცა არსებობს კიდევ ერთი ვერსია, რომ 10 მარტს მოსკოვში შედგა კონფიდენციალური შეხვედრა ჯერ კიდევ პრეზიდენტობის კანდიდატს ვლადიმირ პუტინსა და საქართველოდან უფლებამოსილებით აღჭურვილ პიროვნებას შორის, სადაც განხილული იქნა ქართული მხარის თხოვნა ასლან აბაშიძეზე ზეგავლენის მოხდენის შესახებ, ქვეყანაში დაძაბულობის მოსახსნელად. რუსულმა მხარემ თხოვნა შეასრულა. რამდენიმე დღეში ბათუმში ჩამოფრენილი სპეციალური თვითმფრინავით ასლან აბაშიძე ქალაქ ორიოლში ჩავიდა ეგორ სტროევთან შესახვედრად. სტროევი იმჟამად რუსეთის ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარის და იმავდროულად დსთ-ს საპარლამენტთაშორისო ასამბლეის საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობას იკავებდა. შეხვედრიდან დაბრუნებულმა ასლან აბაშიძემ კანდიდატურა მოხსნა.

სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა. შევარდნაძე აჭარაში ზარ-ზეიმით მიიღეს. 26 მარტს პუტინი კვლავ აირჩიეს რუსეთის პრეზიდენტად, ხოლო შევარდნაძე 9 აპრილს ხმათა რაოდენობის 79.04%-ით მეორე ვადით გახდა საქართველოს პრეზიდენტი. გაჩნდა რუსეთთან ურთიერთობების კეთილგონივრულად გაგრძელების შესაძლებლობა, მაგრამ დასავლეთის სპეცსამსახურებს და მათ საყრდენ ძალას საქართველოში არ ეძინათ. მათ ახალი ენერგიით დაიწყეს შეტევა საქართველოში ისეთი მოვლენების განვითარებისთვის, რომელიც ვითარების ესკალაციას მოახდენდა და შევარდნაძის გადადგომით და ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნებით დასრულდებოდა.

ზურაბ ჟვანიას ქვეყნის პრეზიდენტის პოსტის დასაკავებლად ორი გზა გააჩნდა: ერთი, არჩევნების გზით, შევარდნაძის საპრეზიდენტო ვადის გასვლის შემდეგ, 2005 წელს, რაც ნაკლებად დამაჯერებელი იყო. თანაც არავინ იცის ვის დაუჭერდა მხარს თავად შევარდნაძე და მეორე, თუკი მოხერხდებოდა პრეზიდენტისა და მთავრობის რაიმე მოტივით გადაყენება. ამ შემთხვევაში იგი როგორც პარლამენტის თავმჯდომარე, ავტომატურად ხდებოდა პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი. აქედან გამომდინარე მას ევალებოდა საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებაც და თუ გავითვალისწინებთ მის გავლენას მმართველ პოლიტიკურ ძალაზე, რეგიონებზე, იუსტიციის საბჭოსა და სასამართლო ხელისუფლებაზე, ცენტრალურ საარჩევნო კომისიასა და მედია საშუალებებზე, ამ იდეის განხორციელებას წინ ვერაფერი დაუდგებოდა. ზემოთ აღნიშნულ ფაქტორებთან ერთად ხაზგასასმელია მისი კარგი ურთიერთობები მსოფლიოს ლიდერი სახელმწიფოების პოლიტიკურ წრეებთან.

[19] გაზ. „ასავალ-დასავალი“. 30 აგვისტო. 2010

პრაქტიკულად ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ნიადაგი მომზადებული იყო. მაგრამ უპირობო გამარჯვებისთვის ძალოვან სტრუქტურებზე, განსაკუთრებით კი შს სამინისტროზე კონტროლი უნდა განხორციელებულიყო. მიუხედავად ჟვანიას არაერთი მცდელობისა, შს მინისტრის ამ „პოლიტიკურ თამაშებში“ ჩაბმა არაფრით არ მოხერხდა. ამიტომაც შს მინისტრის საწინააღმდეგოდ დაწყებულ ბრძოლაში, ჟვანიას გუნდმა ყველა ძალა და საშუალება ჩართო.

ჟვანიას და მის გუნდს ჰქონდათ ეჭვი, რომ შს მინისტრს კახა თარგამაძეს და სხვა სამართალდამცავ სტრუქტურებს შესაძლოა ხელი შეეშალათ მოვლენების მათთვის სასურველი სცენარით განვითარებისთვის. თარგამაძის მიმართ წამოწყებული შეტევაც მის კომპრომეტირებას და თავიანთი გავლენის ქვეშ მოქცევას ან საერთოდ თანამდებობიდან გადაყენებას ისახავდა მიზნად, რათა შემდგომში ამ უწყების სათავეში თავიანთი ერთგული თანაგუნდელი ან კიდევ უარეს შემთხვევაში, უფრო ლოიალური და სუსტი მინისტრი დაენიშნათ.

შევარდნაძე გრძნობდა შექმნილი სიტუაციის სირთულეს და არაფრით არ თმობდა ძალოვან სამინისტროებს. ჟვანია კი ხედავდა, რომ შევარდნაძის ნდობა არ შეიძლებოდა და მისთვის სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენდა მხოლოდ ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები. ეს კი მხოლოდ საერთო სახალხო მღელვარებისა და გამოსვლების გზით შეიძლებოდა მიღწეულიყო, რომელსაც პრეზიდენტისა და მთავრობის გადადგომა უნდა მოჰყოლოდა.

საპროტესტო ტალღის აზვირთებას უპირველესად უარყოფითი საზოგადოებრივი აზრის, შევარდნაძისა და მისი ერთგული ძალოვნებისადმი სიძულვილამდე მისული განწყობის შექმნა სჭირდებოდა. ეს პროცესი კი ჯერ კიდევ 1998 წლიდან ჰქონდათ დაწყებული. ამაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა მძიმე სოციალური ფონი, გაუცემელი ხელფასები და პენსიები. ეკონომიკური პრობლემები ქვეყანაში ბევრი იყო, მათ შორის მოუწესრიგებელი იყო შუქის და გაზის შეუფერხებელი, უგრაფიკოდ მიწოდების საკითხი, მაგრამ ბევრი რამ იმის გამოც არ წყდებოდა, რომ აღმასრულებელ ხელისუფლებაში „მოქალაქეთა კავშირის“ ახალგაზრდული ფრთის წევრები ბევრ საკვანძო თანამდებობაზე იყვნენ დანიშნულნი და ხშირ შემთხვევაში პრობლემებს ხელოვნურადაც ქმნიდნენ.

ამ პრობლემების შექმნასა და ქვეყნის არაეფექტურ მართვაში მთავარ დამნაშავედ კი საზოგადოებას შევარდნაძე და მისი „კორუმპირებული“ ძალოვნები უნდა მიეჩნიათ. ზემოთ ნახსენები მედია-საშუალებებითა და არასამთავრობო ორგანიზაციებით ეს გეგმა წარმატებით ხორციელდებოდა ზურაბ ჟვანიასა და მისი საპარლამენტო გუნდის მიერ.

საზოგადოების ძირითადი ნაწილი წამოეგო ამ სატყუარას და ირწმუნა, რომ ქვეყანაში შექმნილი გაუსაძლისი მდგომარეობა შევარდნაძის, თარგამაძის და მათი თანამოაზრეების დამსახურება იყო. ქვეყნის ხსნა და ამ კოშმარიდან გამოყვანა კი მხოლოდ ზურაბ ჟვანიას და მის ე. წ. „ახალგაზრდა რეფორმატორთა“ გუნდს შეეძლო.

ასე, რომ 1999 წლის საპარლამენტო და 2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, ნაცვლად იმისა, რომ მმართველ პარტიას ქვეყნის განვითარებისა და წინასაარჩევნო დაპირებების შესრულებაზე ეზრუნა, მისმა ლიდერებმა პოსტ-შევარდნაძისეულ ეპოქაში სახელისუფლებო ადგილების დაჯავშნისათვის გააჩაღეს ბრძოლა და ამ ბრძოლას სათავეში ზურაბ ჟვანია ჩაუდგა.

2000 წლის აპრილში, საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების შემდეგ, მთავრობის ახალი შემადგენლობის პარლამენტში დასამტკიცებლად წარდგენამდე, ჟვანიას ინიციატივით თბილისში ჯორჯ სოროსი ჩამოვიდა. იგი შეხვდა პრეზიდენტ შევარდნაძეს და კახა თარგამაძის საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარედ გადაყვანა სთხოვა.

როგორც სააკაშვილის გუნდის ერთ-ერთი გავლენიანი წევრი გივი თარგამაძე გაზეთ „კვირის პალიტრისთვის“ მიცემულ ინტერვიუში[20] აცხადებდა, დაახლოებით ასეთივე შინაარსის თხოვნით შევარდნაძეს თბილისში საიდუმლო ვიზიტით მყოფმა, აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორის ჯორჯ ტენეტის მოადგილემაც მიმართა.

ორივე შემთხვევაში პრეზიდენტი შეუვალი აღმოჩნდა.

შემდგომ იყო ჟვანიას მცდელობა დაეყოლიებინა შევარდნაძე კონსტიტუციის ცვლილებებზე, უნდა შექმნილიყო მინისტრთა კაბინეტი, სადაც ჟვანია პრემიერი გახდებოდა, ნიკო ლეკიშვილი – პარლამენტის თავმჯდომარე, კახა თარგამაძე – პირველი ვიცე-პრემიერი და ძალოვნების კურატორი, მაგრამ თარგამაძე ამაზე ვერ დაითანხმეს, რადგან იგი ვერ ხედავდა გარანტიებს, რომ რამდენიმე თვეში არ გაათავისუფლებდნენ.

ზურაბ ჟვანიას ლტოლვაზე აბსოლუტური ხელისუფლების მოსაპოვებლად მეტყველებს, მისი შეკვეთების ცნობილი გამხმოვანებლის, ჟურნალისტ ელისო ჩაფიძის ერთი პუბლიკაცია[21], რომელშიც ნათქვამია:

> „პრეზიდენტი შევარდნაძე ბოლო დღეებში განსაკუთრებით დაღლილი და გაღიზიანებულია. კულუარებში ბევრს ლაპარაკობენ იმაზე, რომ მას პარლამენტში გამოსვლის დროს ორივე ხელი უკანკალებდა. უკეთესად პრეზიდენტი არც ტრადიციულ ორშაბათის ბრიფინგზე გამოიყურებოდა. რო-

[20] გივი თარგამაძე: „ცერეუს მოთხოვნას – თანამდებობიდან გადაეყენებინა კახა თარგამაძე, შევარდნაძემ უარით უპასუხა!“ გაზ. „კვირის პალიტრა“. 20-26 აგვისტო. 2001

[21] ელისო ჩაფიძე. „ზურაბ ჟვანია პრემიერ-მინისტრი ხდება, ნიკო ლეკიშვილი – პარლამენტის თავმჯდომარე“. გაზ. „რეზონანსი“. 15 მაისი. 2001

გორც ჩანს, შევარდნაძე მძიმე გადაწყვეტილებების მიღებისაგან დაიღალა, ან გაცილებით სერიოზულ ცვლილებებს აპირებს მთავრობაში, ვიდრე დღეს ჩანს.

გუშინ საბოლოოდ გაირკვა, რომ პრეზიდენტი პარლამენტისაგან ერთ თვეში საკონსტიტუციო ცვლილებების დამტკიცებას, ხოლო თვე-ნახევარში მინისტრთა კაბინეტის დამტკიცებას მოითხოვს. თითქმის გადაწყვეტილად გამოცხადდა ისიც, რომ პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია, ხოლო პარლამენტის თავმჯდომარე ნიკო ლეკიშვილი გახდება. პრეზიდენტმა შევარდნაძემ ორშაბათს ბრიფინგზე არ დამალა, რომ ჟვანიასაგან უსიტყვოდ მორჩილებას ელოდება.

„თუ ბატონი ზურაბი იქნება, ჩვენ არაფერი გასაყოფი არ გვექნება. მან შესანიშნავად იცის, რა ფუნქციები აქვს პრეზიდენტს. თუ ისეთი კანდიდატურა იქნება, ვისთანაც გაუგებრობები მექნება და ვერ ვითანამშრომლებ, მე არ დავამტკიცებ და აი, ასე“, – ირონიული ღიმილით აცხადებს შევარდნაძე.

ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი, რის გამოც, „მოქალაქეთა კავშირს“ როგორც ჩანს, დასცხა, ძალოვანთა შესაძლო ყოფნა-არყოფნის საკითხია, მათი გულის „გასახარად“ და თარგამაძე ქუთათელაძე-თევზაძის დასამშვიდებლად ხმამაღლა გაცხადებული, რომ შევარდნაძე ჟვანიას ძალოვანთა თავებს არ დაუთმობს არც საიმპიჩმენტოდ, არც გადასაყენებლად და არც გასაკონტროლებლად. „ძალოვნების კონტროლი არის პრეზიდენტის პრეროგატივა. და ეს ასე დარჩება. შესაძლოა, მთავრობაში შეიცვალოს 30%, შესაძლოა 5%, შესაძლოა, არც არაფერი შეიცვალოს. დღევანდელი კორპუსი ძირითადად ახალი ხალხია, უმრავლესობა თავის მოვალეობას კარგად ასრულებს და მათ გაშვებას არ ვაპირებ. არა მგონია, ყველაფრის დანგრევა იყოს საჭირო. თანაც, ახალი სახეები დიდად ვერაფრით გვახარებენ“, – ამბობს პრეზიდენტი.

მართლაც, ნამდვილად რომ „ახალია“ კახა თარგამაძე – ის მხოლოდ შვიდი წელია, მინისტრის სავარძელში ზის, ვახტანგ ქუთათელაძე- 4 წელი, თევზაძე ასევე და ა. შ. თუ გავითვალისწინებთ, რომ შევარდნაძე საქართველოს სხვადასხვა ფორმით 30 წელია მართავს, მათ ჯერ კიდევ დიდი დრო აქვთ წინ და ვინ იცის, 30 წლის განმავლობაში შესაძლოა თარგამაძე, ქუთათელაძე და თევზაძეც მსოფლიო დონის პოლიტიკოსები გახდნენ, ერთ-ერთი ვერსიით, „მოქალაქეები“ პრეზიდენტის ინიციატივის გატანისას მაინც ეცდებიან, ივაჭრონ და სულ მცირე, იმას მაინც მიაღწიონ, რომ თარგამაძე ძალოვანთა ვიცე-პრემიერის სკამში ჩასვან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჟვანიას და მის გუნდს მომავალ არჩევნებში საკმაოდ დიდი საფრთხე ემუქრებათ. თარგამაძე ერთსა და იმავე ტალახში ორჯერ არ გაივლის და მომავალ არჩევნებში შესაძლოა, ედპ-ს უფრო ადვილად დაუჭიროს მხარი, ვიდრე „მოქალაქეებს“. ჩვენს ქვეყანაში რომ პოლიცია წყვეტს არჩევნების ბედს, ეს საყოველთაოდ აღიარებული ჭეშმარიტებაა.

შევარდნაძე დღევანდელ ეტაპზე ჟვანიას საკუთარ ადგილს ადვილად მიუჩენს, ძალოვანთა შეცვლას, სარწმუნო წყაროს ცნობით, ის არ აპირებს,

„შესაძლოა, პრემიერ-მინისტრმა მიიღოს გარკვეული ზომები ძალოვან სტრუქტურათა ნორმალური ფუნქციონირებისათვის, მაგრამ ეს მხოლოდ პრეზიდენტის დავალებით მოხდება. რაც შეეხება მოდელს, მე არ მაინტერესებს, მას რა ტიპისას უწოდებენ. დათმობები პრინციპულ საკითხებში არ იქნება. ცვლილებებს მივიღებთ დაახლოებით ისეთს, რაც მე წარვადგინე პარლამენტში“, – აცხადებს შევარდნაძე.

მართალია, წინ კიდევ თვე-ნახევარი და დიდი დებატებია, მაგრამ ნაკლებად მოსალოდნელია, რომ შევარდნაძემ, რომელიც რადიკალური ცვლილებებისათვის არ არის განწყობილი, რაიმე არსებითად შეცვალოს. ან რას შეცვლის პრემიერის პოსტზე ჟვანია, თუ მას რეალური ძალოვანი ბერკეტი არ ექნება ხელთ? ძველი შემადგენლობა თავისი მეთაურით ქვეყანას რა კარგადაც მართავს, ეს ყველას გვეტყობა. ასე რომ, საქართველოს მოსახლეობისათვის, ალბათ, დიდი ხნით ამოუხსნელ ამოცანად დარჩება, რა საჭიროა მოდელების და კონსტიტუციის ცვლა ორ წელიწადში ერთხელ, როცა ხელისუფლების ცვლა არჩევნების გზითაც კი აღარ ხერხდება?“

ასეთი მეთოდებით რამდენიმე უნაყოფო მცდელობის შემდეგ, ზურაბ ჟვანიას ჯგუფში შეიქმნა ხელისუფლებაში მოსვლის და პრეზიდენტის თანამდებობის ხელში ჩაგდების კიდევ უფრო შავბნელი გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა ქვეყანაში სისხლისმღვრელი პროვოკაციის მოწყობას, კერძოდ შეიარაღებული შეტაკებების ორგანიზებას მძიმე შედეგებით, რომელიც მთავრობის და პრეზიდენტის გადადგომით უნდა დასრულებულიყო. ამას მოჰყვებოდა ჟვანიას, როგორც პარლამენტის თავმჯდომარის მხრიდან პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის საკონსტიტუციო პროცედურის აღსრულება და რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები, მისი გამარჯვების ძალიან მაღალი შანსით.

პირველი ასეთი მცდელობა 1997 წლის ე. წ. „გალის მოვლენები“ გახლდათ. იყო სხვა უამრავი მომენტი. ცდილობდნენ შს სამინისტრო როგორმე წამოეგოთ პროვოკაციაზე პანკისში, როცა იქ რადიკალური ზომების გატარებას კატეგორიულად ითხოვდნენ.

ამას მოჰყვა მათ მიერ დაგეგმილი გილაევის რაზმის ხმაურიანი მარში კოდორში, თითქოსდა აფხაზეთის დასაბრუნებლად, რომელიც პირველი დღიდან ფართოდ იქნა რეკლამირებული, როგორც კახა თარგამაძის მიერ ორგანიზებული კამპანია. სინამდვილეში კი კოდორში აფხაზებთან და რუსეთთან კონფლიქტის გაჩაღება ჟვანიას ჩანაფიქრი იყო და ბოლოს 2001 წლის ნოემბრის „რუსთავი-2-ის“ ცნობილი ეპიზოდი, როდესაც კანონიერების სრული დაცვით მოქმედი უშიშროების სამინისტროს თანამშრომელთა მოქმედება გამოყენებული იქნა საზოგადოების მღელვარების პროვოცირებისთვის.

აუცილებლად უნდა ითქვას, რომ საპრეზიდენტო სავარძლისთვის მიმდინარე ამ ხანგრძლივ ინტრიგებში გართულ მხარეებს, თვალთახედვიდან აშკარად გამორჩათ ან არ მიიჩნიეს სათანადო ყურადღების ღირსად, 1995

წლიდან მათ მიერვე მოძიებული „მარგალიტი“ და პოლიტიკურ სივრცეში შემოყვანილი, ერთი „არასერიოზული კაცი“, ძალზე სერიოზული გეგ-მებით.

●

მიხეილ სააკაშვილის ბიოგრაფია და განვლილი გზა ყველასთვის კარგადაა ცნობილი და განმეორება აბსოლუტურად უადგილო იქნება. მე იგი გავიცანი 1995 წლის ზაფხულში. საქართველოს რადიოს პირველი არხის და „ამერი-კის ხმის“ ქართული რედაქციის მიერ ორგანიზებული იქნა რადიოხიდი თემაზე „კორუფცია, ტერორიზმი და მასთან ბრძოლის გზები“. გადაცემა-ში, რომელიც პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა, ვაშინგტონის სტუდიიდან მონაწილეობდნენ საქართველოს პარლამენტის წევრი ირინა სარიშვილი-ჭანტურია, პროფესორი დოდონა კიზირია, ბიზნესმენი გივი ზალდასტან-იშვილი და საქართველოს საელჩოს წარმომადგენელი მამუკა წერეთელი. თბილისის სტუდიიდან გადაცემა მიჰყავდა ჟურნალისტ დოდო შონავას. მონაწილეობდნენ საქართველოს პარლამენტის წევრი ნანა დევდარიანი, თქვენი მონა-მორჩილი და 28 წლის მიხეილ სააკაშვილი, სამართალმცოდ-ნის სტატუსით. ვინ წარმოიდგენდა მაშინ, რომ სულ რაღაც 8-9 წელი-წადში იგი საქართველოს პრეზიდენტად მოგვევლინებოდა.

იმავე წელს იგი მე-4 მოწვევის პარლამენტის წევრი გახდა საარჩევნო ბლოკიდან „მოქალაქეთა კავშირი“. დამერწმუნებით ალბათ, რომ ზურაბ ჟვანიას და ედუარდ შევარდნაძის თანხმობის გარეშე საარჩევნო სიაში ის ვერ მოხვდებოდა და ძნელად დასაჯერებელია მიეღწია უეცარი კარი-ერული წინსვლისთვის. რა მიიღო „მოქალაქეთა კავშირმა“, ზურაბ ჟვანიამ და ედუარდ შევარდნაძემ ქვეყანაში სააკაშვილის პოლიტიკურ სივრცეში შემოყვანით, ეს ყველასთვის ცნობილია.

ჟვანიას გუნდიდან დისტანცირება მიხეილ სააკაშვილმა 2000 წლიდან, უფრო ზუსტად კი შევარდნაძის პრეზიდენტობის ბოლო ვადით არჩევის შემდეგ დაი-წყო. მისი აქტიურობა კორუფციასთან და კორუმპირებულ ჩინოვნიკებთან მებრძოლი პოლიტიკოსის იმიჯის შესაქმნელად იყო მიმართული.

2000 წლის 12 ოქტომბერს სააკაშვილი იუსტიციის მინისტრად დაინიშნა. ამ პოსტზე დანიშვნის შემდეგ მან კიდევ უფრო თანმიმდევრულად დაიწყო მთავრობის წევრთა და სხვა მაღალჩინოსანთა კომპრომეტირება, ხოლო 2001 წლის 19 სექტემბერს იმ მოტივით, რომ ქვეყნის პრეზიდენტისგან თითქოსდა ვერ მიიღო სათანადო მხარდაჭერა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში, თანამდებობიდან დემონსტრაციულად გადადგა. სულ რაღაც ერთ თვეში კი კენჭი იყარა ვაკის საარჩევნო ოლქში, როგორც დამოუკიდე-ბელმა კანდიდატმა და კვლავ პარლამენტის წევრი გახდა. იმავე თვეში მისი ინიციატივით დაფუძნდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, რომელიც

გაემიჯნა ჟვანიას გუნდს და პოლიტიკურ ბრძოლაში დამოუიდებელი და შედარებით რადიკალური გზა აირჩია. მისი თანამოაზრეები გახდნენ ვანო მერაბიშვილი, კოტე კემულარია, ვლადიმერ ჭიპაშვილი, გივი თარგამაძე, გიორგი არველაძე, ირაკლი ოქრუაშვილი და სხვები. ამ ჯგუფს აშკარად თანაუგრძნობდა „თავისუფლების ინსტიტუტი“, მოძრაობა „კმარა“, რესპუბლიკური და კონსერვატიული პარტიები. მათ საქმიანობას წარმატებით უკეთებდნენ პიარს ცალკეული მედია-საშუალებები.

ნათელი იყო, რომ სააკაშვილმა აშკარად დაიწყო დამოუკიდებელი სვლა პოლიტიკურ ასპარეზზე, ზუსტად იმავე გეგმით, რასაც ზურაბ ჟვანია ახორციელებდა, ოღონდ ბევრად უფრო მძაფრი და პოპულისტური მეთოდებით.

უშუქობით, უგაზობით, უხელფასობით, უპენსიობით და სხვა ათასი სახის პრობლემით გაწამებული საზოგადოების საგრძნობ ნაწილში სააკაშვილისადმი სიმპათიები და ნდობის ხარისხი საგრძნობლად გაიზარდა. თუმცა უნდა ითქვას, რომ ხელისუფლება ამას სერიოზულად არც კი აღიქვამდა.

2001 წლის ნოემბრის მოვლენების შემდეგ ჟვანიას გადადგომის და მთავრობის, შეიძლება ითქვას, აშკარად სუსტი შემადგენლობის დამტკიცების შემდეგ ეს პროცესები კიდევ უფრო სწრაფი ტემპით განვითარდა.

შეიქმნა სიტუაცია, როდესაც „სტარტისთვის“ მებრძოლი ჟვანია-ბურჯანაძის და სააკაშვილის გუნდების საპირწონე გუნდი სახელისუფლებო მხარეს პრაქტიკულად ვერ ჩამოყალიბდა. ვერ მოიძებნა შესაფერისი ლიდერი, რომელიც ასეთი გუნდის ჩამოყალიბებას შეძლებდა, რადგან სამწუხაროდ ყველანი მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობდნენ და ერთმანეთის ატანა არ შეეძლოთ. შევარდნაძე კი ამ დროს უკვე აშკარად ვეღარ მართავდა პროცესებს და თითქოს ინტერესიც აღარ ჰქონდა. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ მან არანაირად არ იზრუნა იმაზე, ვის ხელში ტოვებდა ქვეყანას საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ.

ასეთ ვითარებაში პრეზიდენტ შევარდნაძის ზოგჯერ ნულოვანი რეაქციები პრობლემებზე და ხშირად გაუგებარი საკადრო გადაწყვეტილებები მთავრობის შიგნით ქმნიდა არაჯანსაღ ვითარებას და სერიოზული სირთულეების გადალახვა გვიხდებოდა კანონიერების აღსადგენად.

თუმცა მოდით, დავუბრუნდეთ მოვლენების ქრონოლოგიურ მსვლელობას და ალბათ საინტერესო იქნება მოგითხროთ თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის ისტორია, რომელშიც კარგად ჩანს როგორ ეუფლებოდნენ კრიმინალური დაჯგუფებები სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ ქონებას. ეს პროცესები წლობით გრძელდებოდა და ხშირად პოლიტიკური სპეკულაციისთვისაც იყო გამოყენებული.

„დინამო“

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ 1994 წლის 28 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „მეწარმეთა შესახებ“. კანონის თანახმად, საფეხბურთო კლუბ „დინამო თბილისს“ ხელახალი რეგისტრაცია უნდა გაევლო, რისთვისაც საჭირო იყო დამფუძნებელთა თანხმობა. 1995 წლის ბოლოს, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე დანიშნული კახა თარგამაძე, იმავდროულად ფიზკულტურულ-სპორტული კლუბ „დინამოს“ თავმჯდომარეც გახდა, რადგან შს სამინისტრო კლუბის ერთ-ერთი დამფუძნებელი იყო. ცვლილებები განხორციელდა საბჭოს შემადგენლობაშიც. ხელახალი რეგისტრაციის გასავლელად, როგორც ერთ-ერთი დამფუძნებლიდან, შპს საფეხბურთო კლუბის „დინამო თბილისის“ ხელმძღვანელობამ ნებართვა ითხოვა. მინისტრის დავალებით თანხმობის მიცემამდე საკითხი საფუძვლიანად იქნა შესწავლილი და გაირკვა რომ ადგილი ჰქონდა სერიოზულ დარღვევებს:

მიტაცებული და განიავებული იყო საზოგადოების ქონება. საფეხბურთო კლუბი „დინამო თბილისი“ რეგისტრაციის დღიდან, 1992 წლის 21 ოქტომბრიდან, ფორმალურად წარმოადგენდა იურიდიულ პირს, რადგან არ გააჩნდა საკუთარი ქონება, არ ჰქონდა საწესდებო კაპიტალის შევსების დამადასტურებელი დოკუმენტები, წილების განაწილებისას ხელოვნურად იყო შემცირებული ფიზკულტურულ-სპორტული კლუბის „დინამოს“ წილი, ხოლო სხვა დამფუძნებლების, მაგალითად, „ბერმუხა-92-ის“ და მოქალაქე მერაბ ჟორდანიას წილი უსაფუძვლოდ იყო გაზრდილი.

ამის გამო მათ ხელახალი რეგისტრაციისათვის თანხმობის მიცემაზე უარი ეთქვათ. 1996 წლის 1 ივლისიდან კლუბი ფაქტობრივად აღარ სარგებლობდა იურიდიული პირის სტატუსით. იმავდროულად დავიწყეთ „თბილისის დინამოს“ საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შესწავლა.

მკითხველისთვის რომ უფრო ნათელი იყოს ეს თემა, ცოტა რამ გავიხსენოთ ისტორიიდან:

1988 წლის 29 დეკემბრამდე თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდი არ წარმოადგენდა დამოუკიდებელ იურიდიულ პირს. მისი უზრუნველყოფა ფინანსებით, შტატებითა თუ სპორტული ბაზებით ხორციელდებოდა სპორტსაზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს მიერ და იმყოფებოდა მთლიანად მის ბალანსზე. საქართველოს სპორტის დეპარტამენტის რეკომენდაციის საფუძველზე, „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის 1988 წლის 29 დეკემბრის N57 დადგენილებით, თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის ბაზაზე შეიქმნა საფეხბურთო კლუბი „დინამო თბილისი“, სრული სამეურნეო ანგარიშითა და თვითდაფინანსებით. კლუბი ანგარიშვალდებული იყო „დინამოს“

რესპუბლიკური საბჭოს წინაშე. დადგენილების თანახმად საფეხბურთო კლუბს რესპუბლიკურმა საბჭომ გადასცა საფეხბურთო კლუბ „დინამო თბილისის“ შტატები, გუნდის შენახვაზე დაგეგმილი 1989 წლის შესანახი სახსრები, დიღმის სპორტული ბაზა, ბავშვთა და იუნიორთა სპორტული ბაზა და 1989 წელს გათვალისწინებული ამ ბაზების კაპიტალური რემონტისა და შენახვის სახსრები. ეს დაფინანსება, ყოფილი საბჭოთა კავშირის პერიოდში ფაქტობრივად ხორციელდებოდა სპორტსაზოგადოება „დინამოს“ საკუთრებაში (დაქვემდებარებაში) არსებული საწარმოების შემოსავლებიდან.

1991 წლიდან ცნობილი პროცესების გამო ამ საწარმოებმა შეწყვიტეს ფუნქციონირება და როგორც მთლიანად „დინამოს“ რესპუბლიკურ საბჭოს, ასევე მის დაფინანსებაზე მყოფ კლუბებს შეექმნათ უმწვავესი კრიზისი. ფაქტობრივად ისინი გაკოტრდნენ. აღნიშნული პრობლემიდან გამომდინარე 1992 წელს „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის 5 ივნისის №9 დადგენილებით მოხდა საფეხბურთო კლუბ „დინამო თბილისის“ რეორგანიზაცია – გაუქმდა ძველი და საფუძველი ჩაეყარა ახალ კლუბს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით, რომლის დებულების თანახმად საწესდებო კაპიტალი განისაზღვრა 30. 4 მილიონი მანეთი ანუ 60 ათასი აშშ დოლარით. აღნიშნული შპს დამფუძნებლები იყვნენ: სპორტსაზოგადოება „დინამო“, საქართველო-ბრიტანეთის ავიაკომპანია „ორბი“, საქართველო-საფრანგეთის ერთობლივი საწარმო „ბომბორა“ და სამრეწველო-სავაჭრო ფირმა „კავკასიონი“.

ორგანიზაციული პრობლემების გამო საზოგადოებას დიდხანს არ უარსებია და 1992 წლის 31 ოქტომბერს დიდუბის რაიონის გამგეობის მიერ რეგისტრაციაში იქნა გატარებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საფეხბურთო კლუბი თბილისის დინამო“, რომლის დებულებით საწესდებო კაპიტალის მთლიანი ოდენობა განისაზღვრა უკვე 5 მილიონი მანეთით. ამ დღიდან დაიწყო კიდევაც საფეხბურთო კლუბის უკანონოდ მიტაცების, კლუბის მართვაში კრიმინალთა მონაწილეობის და არნახული ფინანსური მაქინაციების ხანგრძლივი ისტორიაც.

ახლად რეგისტრირებული შპს დაფუძნებაში მონაწილეობდნენ:

– რესპუბლიკური ფიზკულტურულ-სპორტული კლუბი „დინამო“, რომელსაც საწესდებო კაპიტალში შეჰქონდა 1.598 ათასი მანეთის საბალანსო ღირებულებით დიღმის საფეხბურთო საწვრთნელი ბაზა და 97.880 მანეთად შეფასებული „ნორჩი დინამოელის“ საწვრთნელი ბაზა.

– ფირმა „ბერმუხა-92“ (მერაბ რატიანი), რომელსაც საწესდებო კაპიტალში უნდა შეეტანა 3.204 ათასი მანეთი (ფირმაში მასთან ერთად მოიაზრებოდნენ „მხედრიონის“ ცნობილი ლიდერები ზაზა ვეფხვაძე და გია სვანაძე).

– მოქალაქე მერაბ ჟორდანია, რომელსაც საწესდებო კაპიტალში უნდა შეეტანა 100 ათასი მანეთი.

რეალურად საწესდებო ფონდის შექმნაში თავისი მოვალეობა შეასრულა „დინამოს“ საბჭომ. ფირმა „ბერმუხა-92-ს“ და მერაბ ჟორდანიას თავიანთი ვალდებულებები არ განუხორციელებიათ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ ფაქტს, რომ შპს-ში აღრიცხვაზე იქნა დაყენებული კომპანია „ბერმუხა-92-ის“ მიერ შეძენილი ავტომანქანა „ГАЗ-31029“, რომელიც შეფასებული იყო 3 მილიონ მანეთად (შედარებისთვის გაიხსენეთ, რომ დიღმის საფეხბურთო ბაზა მხოლოდ 1.5 მილიონად იქნა შეფასებული).

მიუხედავად ამისა შპს-ში მოგების წილები განისაზღვრა აშკარად უსამართლოდ: „ბერმუხა-92“ – 80%, მერაბ ჟორდანია – 10% და ფიზკულტურულ-სპორტული კლუბი „დინამო“ – 10%. ფაქტობრივად საფეხბურთო კლუბის მართვა და სრული მფლობელობა უკანონოდ გადავიდა „ბერმუხა-92-ისა“ და მერაბ ჟორდანიას ხელში.

შპს რეგისტრაციაში გატარდა და შემდგომ ფუნქციონირებდა ისე, რომ არ განხორციელებულა:

– სპორტული ბაზის მიღება-ჩაბარება.

– ფეხბურთელთა გუნდის შეფასება და გადაცემა შპს-ზე (გუნდში ამ დროს ირიცხებოდნენ: გიორგი ქინქლაძე, ძმები არველაძეები, მურთაზ შელია, გიორგი ნემსაძე და სხვები). ფაქტობრივად შპს-ს არ გააჩნდა კანონიერი საფუძველი თავის საქმიანობაში გამოეყენებინა სპორტული ბაზები და ფეხბურთელთა გუნდი, შესაბამისად არ გააჩნდა სამოქალაქო სამართლით განსაზღვრული იურიდიული პირისთვის აუცილებელი ქონება.

ახლა ვნახოთ რა დადგინდა შემოწმებით:

სამართლებრივი დავის პროცესში 1997 წლის დეკემბერში შპს-ს დირექტორატის მიმართვის საფუძველზე დიდუბის რაიონის საგადასახადო ინსპექციის უფროსმა მ. ქევანიშვილმა უგულებელყო საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 9 ივნისის N193 განკარგულება „საწარმოთა რეგისტრაციის მდგომარეობის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“, არ დააყენა შპს-ს ლიკვიდაციის საკითხი და უკანონოდ მიანიჭა მას საიდენტიფიკაციო კოდი, რითაც ისარგებლა შპს-ს ხელმძღვანელობამ და სასამართლო რეგისტრაციის გარეშე გააგრძელა ფუნქციონირება.

შპს-ს საქმიანობის შესწავლისას გაირკვა, რომ „საფეხბურთო კლუბ „დინამო თბილისისთვის“ ხელშეწყობის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1995 წლის 21 ივნისის ბრძანებულების შესაბამისად საფეხბურთო კლუბი განთავისუფლებული იყო სამეურნეო-კომერციული საქმიანობით მიღებული შემოსავლების ყოველგვარი გადასახადებისაგან, იმ პირობით, რომ აღნიშნული თანხების აკუმულირება მოხდებოდა სპე-

ციალურად შექმნილ საპარტნიორო ფონდში მისი შემდგომი განკარგვის მიზნით. ასევე იყო განთავისუფლებული საპატრიარქო, ოპერის, რუსთაველის და მარჯანიშვილის თეატრები, შპს „დაბრუნება“.

არანაირი საპარტნიორო ფონდი არ შექმნილა. ხოლო კლუბის პრეზიდენტის, მერაბ ჟორდანიას, დირექტორატის წევრების: ვ. შალიკაშვილის, მ. რატიანის და მთავარი ბუღალტრის ნ. მამეიანის მხრიდან სამსახურებრივი მოვალეობის დანაშაულებრივი შესრულების შედეგად განსაკუთრებული ზიანი მიადგა სახელმწიფო ბიუჯეტს და ქართული ფეხბურთის ინტერესებს. კერძოდ, ბრძანებულების შესაბამისად საზღვარგარეთის ქვეყნებიდან საფეხბურთო კლუბ „დინამო თბილისის“ სახელით 215 შემთხვევაში შემოტანილი იქნა 17.7 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების საქონელი, რომლის რეალიზაციის შედეგად გადასახადების სახით ბიუჯეტის კუთვნილი 28 მილიონი ლარი ანუ დაახლოებით 20.0 მილიონი აშშ დოლარი უნდა მიეღო საპარტნიორო ფონდს და მოხმარებოდა ქართულ ფეხბურთს. ფაქტობრივად კი აღნიშნული თანხა ჩამოთვლილი პირების მიერ ყოველგვარი აღრიცხვისა და კონტროლის გარეშე განიავდა.

ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებისათვის მ. ჟორდანია, ვ. შალიკაშვილი. მ. რატიანი და ნ. მამეიანი სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისა და სამსახურებრივი სიყალბის ფაქტების გამო მიცემული იქნენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

სისხლის სამართლის საქმე 1998 წლის 16 ივლისს გადაიგზავნა ქ. თბილისის დიდუბის რაიონის სასამართლოში არსებითად განსახილველად.

1999 წლის 25 იანვარს დიდუბის რაიონის მოსამართლე მ. კოტრიკაძემ ოთხივე ბრალდებული გაამართლა, რასაც შედეგად მოჰყვა პროკურორის საკასაციო საჩივარი უზენაეს სასამართლოში.

1999 წლის 25 აგვისტოს უზენაეს სასამართლოს მიერ განხილული იქნა საჩივარი. დიდუბის რაიონის სასამართლოს განაჩენი მიჩნეული იქნა უკანონოდ და გაუქმდა, საქმე კი ხელახალი განხილვისთვის დაუბრუნდა იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას. ამ უკანასკნელმა კი დააბრუნა დამატებით გამოძიებაში. პროკურატურის პროტესტის საფუძველზე საქმე კვლავ დაუბრუნდა იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

1999 წლის 15 ნოემბერს შსს საგამოძიებო დეპარტამენტში აღიძრა მეორე სისხლის სამართლის საქმე შპს „საფეხბურთო კლუბ დინამო თბილისის“ დირექტორთა საბჭოს წევრების მიმართ, კრედიტის მოტყუებით მიღების და საზოგადოებრივი ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით გატაცების ფაქტზე.

კერძოდ, აღმოჩნდა, რომ საფეხბურთო კლუბის ხელმძღვანელობას – მ. რატიანსა და მ. ჟორდანიას „თიბისი ბანკიდან“ სამ შემთხვევაში სულ

მიღებული ჰქონდათ 400.000 აშშ დოლარის ოდენობით სესხი, რის სანაცვლოდ კლუბის ერთ-ერთი დამფუძნებლის, რესპუბლიკური ფიზკულტურულ-სპორტული კლუბ „დინამო-ს“ თანხმობის გარეშე დააგირავეს ამ უკანასკნელის საკუთრებაში არსებული ქონება, კერძოდ, დიღმის საფეხბურთო საწვრთნელი ბაზა და საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 1995 წლის 12 სექტემბრის №346 ბრძანების და მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 18 სექტემბრის №721 წერილის საფუძველზე შპს საფეხბურთო კლუბი „თბილისის დინამოსთვის“ გადაცემული სააქციო საზოგადოება „მზიურის“ აქციების 35% (101713 ცალი აქცია). სესხი მიღებული იქნა სააქციო საზოგადოება „მზიურში“ წარმოების განვითარების მოტივით.

1999 წლის 6 ივლისს ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს მიერ გამოტანილი იქნა ვალის გადახდის ბრძანება, რომლის თანახმადაც შპს საფეხბურთო კლუბ „თბილისის დინამოს“ „თიბისი ბანკის“ სასარგებლოდ დაეკისრა 202.952 აშშ დოლარის გადახდა. ბრძანების აღსრულება დაევალა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შესაბამის დეპარტამენტს, რომლის გადაწყვეტილებითაც დაინიშნა დიღმის საწვრთნელი ბაზის აუქციონის წესით გაყიდვა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ჩარევის შედეგად 1999 წლის 1 ოქტომბერს დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს განჩინებით შეჩერებული იქნა ბრძანების აღსრულება, სარჩელის საბოლოოდ განხილვამდე, ხოლო შემდგომ კი სასამართლომ უარი უთხრა „თიბისი ბანკს“ სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

გამოძიების პროცესში გაირკვა, რომ დიდუბის რაიონის საგადასახადო ინსპექციაში არ არსებობდა კლუბის პირადი საქმე და რომ 1996 წლიდან შპს საფეხბურთო კლუბი „თბილისის დინამო“ არ აბარებდა საგადასახადო ინსპექციაში ბალანსებს და არ აწარმოებდა არანაირ ანგარიშსწორებას სახელმწიფო ბიუჯეტთან.

2000 წლის 28 იანვარს შსს საგამოძიებო დეპარტამენტში საქართველოს გენერალური პროკურატურიდან გადმოგზავნილი იქნა სისხლის სამართლის საქმე, სააქციო საზოგადოება „მზიურიდან“ სხვისი ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით გატაცების ფაქტზე, სადაც სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ მერაბ რატიანი მუშაობდა. 2000 წლის 31 იანვარს, შს სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში ზემოთაღნიშნული ორი საქმე გაერთიანდა ერთ წარმოებად.

გამოძიების მიერ მოპოვებული იქნა შპს საფეხბურთო კლუბ თბილისის „დინამოსა“ და ვლადიკავკაზის საფეხბურთო კლუბ „ალანიას“ შორის გაფორმებული ორი სატრანსფერო კონტრაქტის ქსეროასლი, რომელიც ითვალისწინებდა ფეხბურთელ გიორგი დემეტრაძის გაყიდვას. ორივე კონტრაქტი დათარიღებული აღმოჩნდა 1998 წლის 2 ივლისით.

პირველი კონტრაქტის მიხედვით, რომელსაც ხელს აწერდა თბილისის „დინამო-ს“ მაშინდელი პრეზიდენტი მ. ჟორდანია, საფეხბურთო კლუბ „ალანიას“, თბილისის „დინამოსათვის“ 1998 წლის 1 ოქტომბრამდე უნდა გადაეხადა 320.000 აშშ დოლარი. აღნიშნული კონტრაქტის მე-6 პუნქტში მითითებული იყო, რომ გიორგი დემეტრაძის საფეხბურთო კლუბ „ალანიადან“ სხვა კლუბში გაყიდვის შემთხვევაში თბილისის „დინამოს“ უნდა მიეღო სატრანსფერო თანხის 50%. „ალანიას“ მხრიდან კონტრაქტზე ხელს აწერდა კლუბის დირექტორი ზ. ბითაროვი. გ. დემეტრაძე 1999 წელს საფეხბურთო კლუბ „ალანიადან“ გადავიდა კიევის „დინამოში“.

მეორე კონტრაქტს, რომელიც ასევე 1998 წლის 2 ივლისითაა დათარიღებული, ხელს აწერდა დინამო „თბილისის“ ვიცე-პრეზიდენტი მ. რატიანი. კონტრაქტში აღნიშნული იყო, რომ საფეხბურთო კლუბ „ალანიამ“ თბილისის „დინამოს“ გ. დემეტრაძეში უნდა გადაუხადოს 720.000 აშშ დოლარი. ამავე კონტრაქტის მე-6 პუნქტში აღნიშნულია, რომ თბილისის „დინამოს“ არ აქვს უფლება მოითხოვოს გ. დემეტრაძის სხვა კლუბში გადასვლიდან მიღებული სატრანსფერო თანხის წილი. საფეხბურთო კლუბ „ალანიას“ მხრიდან კონტრაქტს ხელს აწერდა კლუბის დირექტორი ზ. ბითაროვი.

საფეხბურთო კლუბ ვლადიკავკაზის „ალანიას“ შესრულებული აღმოაჩნდა ამ უკანასკნელი კონტრაქტის ყველა პირობა, კერძოდ მთლიანად გადაიხადა შპს საფეხბურთო კლუბ „დინამო თბილისის“ სასარგებლოდ 720.000 აშშ. დოლარი, საიდანაც საფეხბურთო კლუბ „დინამო თბილისის“ ვიცე-პრეზიდენტის მ. რატიანის მითითებით საფეხბურთო კლუბ ვლადიკავკაზის „ალანიამ“, 130.000 აშშ დოლარი გადმორიცხა ქ. თბილისში, „საქართველოს ბანკში“ სააქციო საზოგადოება „მზიურის“ ანგარიშზე, 70.000 აშშ დოლარი კლუბის ყოფილი პრეზიდენტის მ. ჟორდანიას მითითებით გადაირიცხა გერმანიაში ქ. ვისბადენში ვლადიმერ გუცაევის პირად ანგარიშზე, ხოლო დარჩენილი 420.000 აშშ დოლარი ანუ 562.800 ლარი მ. რატიანმა ხელზე მიიღო, არ შეიტანა საფეხბურთო კლუბ „დინამო თბილისის“ ბუღალტერიაში და მიითვისა, რითაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა საფეხბურთო კლუბ „დინამო თბილისს“.

აღსანიშნავია, რომ შპს საფეხბურთო კლუბ „თბილისის დინამოს“ ბუღალტერიის მონაცემებით საზღვარგარეთ კლუბს ანგარიში გახსნილი არ ჰქონდა.

ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებისათვის საფეხბურთო კლუბ „დინამო თბილისის“ პრეზიდენტი მ. რატიანი დაპატიმრებული და მიცემულ იქნა სისხლის სამართლის პასუხისგებაში ბრალდებულის სახით, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, დიდი ოდენობით სხვისი ქონების მითვისებისათვის.

გამოძიების პროცესში კლუბის ოფისში არ აღმოჩნდა არც ერთი სატრანსფერო კონტრაქტი, მათ შორის ფეხბურთელების ა. იაშვილის, ა. ცქიტიშვილის, ლ. კობიაშვილის, გ. ქინქლაძის, შ. არველაძის, ა. არველაძის, მ. შელიას, ზ. რევიშვილის, მ. ყაველაშვილის, გ. გახოკიძის, მ. აშვეთიას, რ. ალექსიძის, კ. კალაძის და კ. კიკნაძის, რომლებიც 1995-1999 წლებში გაიყიდნენ უცხოეთის საფეხბურთო კლუბებში.

გამოძიების მიერ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გაგზავნილი საერთაშორისო საგამოძიებო დავალების შესრულების შედეგად მოპოვებული იქნა იაშვილის, ცქიტიშვილისა და კობიაშვილის საფეხბურთო კლუბ „ფრაიბურგში“ გაყიდვის კონტრაქტის ასლები და დადგინდა, რომ ამ კონტრაქტებით გათვალისწინებული 1,1 მლნ. გერმანული მარკიდან 800 ათასი გერმანული მარკა ხელზე მიუღია მერაბ ჟორდანიას, ხოლო 300 000 მარკა ვინმე ერვინ კაზაკოვსკის.

არაერთი მცდელობის მიუხედავად გამოძიებამ სრულყოფილად ვერ შეძლო დაედგინა „დინამოს“ ფეხბურთელთა გაყიდვის შედეგად მიღებული თანხების სრული ოდენობა და ხარჯვის კანონიერება.

2000 წლის აგვისტოში, საგამოძიებო ჯგუფი მივლინებული იქნა ქ. კიევში, საიდანაც ამოღებული იქნა ფეხბურთელ კახა კალაძის სატრანსფერო კონტრაქტი, რომელშიც აღნიშნულია, რომ იგი კიევის „დინამოში“ გაყიდული იქნა 300.000 აშშ დოლარად, სხვა პირობები კონტრაქტში მითითებული არ იყო, ხოლო თანხა საფეხბურთო კლუბ „დინამო თბილისის“ ბუღალტერიის გვერდის ავლით გადარიცხული იქნა შვეიცარიაში, ჟენევაში განთავსებულ „ფინანს ბანკში“.

გამოძიების პროცესში სააქციო საზოგადოება „აგრომრეწვბანკიდან“ მოპოვებული იქნა კ. კალაძის სატრანსფერო კონტრაქტის მეორე ქსეროასლი, რომელშიც მითითებულია, რომ იგი თბილისის „დინამოდან“ კიევის „დინამოში“ გაყიდულია 300.000 აშშ დოლარად, ხოლო კონტრაქტის ერთ-ერთ პუნქტში უკვე აღნიშნულია, რომ კ. კალაძის კიევის „დინამოდან“ სხვა კლუბში გაყიდვის შემთხვევაში თბილისის „დინამოს“ ეკუთვნის სატრანსფერო თანხის 50%. საკითხში დეტალურად გარკვევის მიზნით 2001 წლის მარტში ქ. კიევში გაემგზავრა ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოება „დინამოს“ გამგეობის წევრთა ჯგუფი ჩემი ხელმძღვანელობით.

გაირკვა, რომ 1998 წლის 17 იანვარს ქ. კიევში, კლუბების იმჟამინდელი პრეზიდენტების გრიგორი სურკისისა და მერაბ ჟორდანიას მიერ ხელმოწერილი იქნა კახა კალაძის საფეხბურთო კლუბ „დინამო თბილისიდან“ საფეხბურთო კლუბ „დინამო კიევში“ გადასვლასთან დაკავშირებული კონტრაქტი. სატრანსფერო თანხა განისაზღვრა 300.000 აშშ დოლარის ოდენობით და 1998 წლის 27 იანვარს „დინამო კიევის“ ერთ-ერთი დამ-

ფუძნებელი ფირმის, შპს „ნიუპორტ მენეჯმენტის“ მიერ ჩარიცხული იქნა „დინამო თბილისის“ ანგარიშზე, ქ. ჟენევაში მდებარე „ფინანსბანკში“.

ამავე კონტრაქტით, იმ შემთხვევაში თუ „დინამო კიევი“ ფეხბურთელ კალაძის მონაწილეობით გავიდოდა უეფა-ს ჩემპიონთა ლიგის 1997/1998 წწ. სეზონის ნახევარფინალში, გათვალისწინებული იყო დამატებით „დინამო თბილისისთვის“ 100.000 აშშ დოლარის გადახდა, რაც არ მომხდარა, ვინაიდან „დინამო კიევი“ ნახევარფინალში ვერ მოხვდა.

1998/1999 წწ. სეზონში „უეფას“ ჩემპიონთა ლიგაში წარმატებული გამოსვლის შემდგომ „დინამო კიევის“ პრეზიდენტმა გ. სურკისმა და კლუბის საბჭომ ნებაყოფლობით გამოხატეს კეთილი ნება და „დინამო თბილისის“ პრეზიდენტის მ. ჟორდანიას თხოვნის საფუძველზე, უეფა-დან მიღებული ჰონორარებიდან 200.000 აშშ დოლარის ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაუწიეს „დინამო თბილისს“. თანხა მ. ჟორდანიას თხოვნის საფუძველზე გადაირიცხა ქ. ლონდონის „ბარკლაი ბანკში“.

არცერთი ზემოთაღნიშნული თანხა საფეხბურთო კლუბ „დინამო თბილისის“ ბუღალტერიაში არ აღრიცხულა.

ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოება „დინამოს“ წარმომადგენლების მიერ ასევე დადგინდა, რომ „დინამო კიევიდან“ კახა კალაძე „მილანში“ გაიყიდა 15 მილიონ გერმანულ მარკად ანუ დაახლოებით 7 მლნ. დოლარად, საიდანაც, „დინამო კიევის“ წარმომადგენელთა განმარტებით, სუფთა მოგებამ დაახლოებით 2 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. გაირკვა, რომ „დინამო კიევს“ კალაძის „მილანში“ გაყიდვასთან დაკავშირებით არანაირი საკონტრაქტო ვალდებულება არ გააჩნდა, ხოლო ზემოთ აღნიშნული კონტრაქტის ქსეროასლი, მოპოვებული „აგრომრეწვბანკში“, წარმოადგენდა ყალბ დოკუმენტს, რომელიც გამიზნული იყო გამოეყენებინათ ბანკიდან კრედიტის მისაღებად.

„დინამო კიევის“ ხელმძღვანელობამ ჩვენთან შეხვედრის შემდეგ კვლავ გამოხატა კეთილი ნება და მიიღო გადაწყვეტილება კალაძის „მილანში“ გაყიდვიდან მიღებული მოგების ნაწილით, კერძოდ, 400.000 აშშ დოლარით ფინანსური დახმარება გაეწია საფეხბურთო კლუბ „დინამო თბილისისთვის“. აღნიშნული თანხა გადმორიცხული იქნა თბილისში.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სხვადასხვა პერიოდში „თბილისის დინამოდან“ ვლადიკავკაზის „ალანიაში“ გაიყიდნენ ფეხბურთელები ლ. კობიაშვილი, გ. გახოკიძე, მ. შელია, მ. ყაველაშვილი, ზ. რევიშვილი.

აღნიშნულ ფეხბურთელებში ვლადიკავკაზის „ალანიამ“ „დინამო თბილისს“ გადაუხადა 700.000 აშშ დოლარზე მეტი. ეს თანხა საერთოდ არ აღმოჩნდა დაფიქსირებული კლუბის ბუღალტერიაში და გადარიცხული იყო შვეიცარიის ზემოაღნიშნულ ბანკში. დადგინდა, რომ საფეხბურთო კლუბ „დინამო

თბილისს“ სახელმწიფო ბიუჯეტთან ანგარიშსწორება არ უწარმოებია. ზემოთაღნიშნულის გამო 2000 წლის 16 ოქტომბერს მერაბ რატიანის ბრალდების საქმიდან ცალკე წარმოებად გამოიყო სისხლის სამართლის საქმე შპს საფეხბურთო კლუბ „თბილისის დინამოს“ ხელმძღვანელი პირების მიმართ განსაკუთრებით დიდი ოდენობით დასაბეგრი ობიექტების დამალვის ფაქტზე. მ. ჟორდანია შემდგომში დააპატიმრეს კიდეც, ხოლო საქმე მ. რატიანის მიმართ არსებითად განსახილველად წარიმართა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოში, სადაც ეს უკანასკნელი ერთ წარმოებად გაერთიანდა ზემოაღნიშნულ ე. წ. 28 მილიონის საქმესთან. 2000 წლის 27 დეკემბრის განაჩენით, ხსენებულმა სასამართლომ მ. რატიანს მიუსაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა პირობით, ხოლო ე. წ. 28 მილიონის ეპიზოდი კვლავ დააბრუნა დამატებით გამოძიებაში.

საფეხბურთო კლუბ „დინამო თბილისში“ შექმნილი მდგომარეობის და მიმდინარე პროცესების შესახებ სისტემატურად იყო ინფორმირებული ქვეყნის პრეზიდენტი და ხელისუფლება. 2000 წლის მარტში შინაგან საქმეთა მინისტრის მორიგი მოხსენების საფუძველზე, პრეზიდენტის დავალებით, სახელმწიფო მინისტრის გია არსენიშვილის ბრძანებით შეიქმნა საფეხბურთო კლუბ „თბილისის დინამოსა“ და ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის პრობლემების შემსწავლელი სამთავრობო კომისია, რომელსაც დაევალა საკითხების შესწავლა და წინადადებების შემუშავება.

კომისიამ შეისწავლა აღნიშნული საკითხები და სხვა გადაუდებელ ღონისძიებებთან ერთად მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ საფეხბურთო კლუბ „თბილისის დინამოს“ სასწრაფოდ გაევლო რეგისტრაცია. ამასთან, შესაძლებლობის ფარგლებში გადახედილი ყოფილიყო დამფუძნებელთა შემადგენლობისა და მათი წილობრივი მონაწილეობის საკითხი. შს სამინისტროს ეთხოვა საფეხბურთო კლუბთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების დაჩქარება.

ამავე საკითხებზე სპეციალურად იმსჯელა მთავრობის სხდომამ, მაგრამ სამწუხაროდ ვერ მოხერხდა საფეხბურთო კლუბის კრიზისიდან გამოყვანის გზების გამონახვა. სიტუაცია კიდევ უფრო რთულდებოდა. კლუბს დაუგროვდა 2 მილიონ ლარამდე ვალი და პრაქტიკულად მიტოვებული აღმოჩნდა მისი ე. წ. მფლობელებისგანაც კი. 2001 წლის 3 იანვარს „ფიფამ“ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სახელზე გამოგზავნა დისციპლინარული კომიტეტის გადაწყვეტილება, რომელიც იუწყებოდა, რომ თუ საფეხბურთო კლუბი „თბილისის დინამო“ ერთი თვის ვადაში არ უზრუნველყოფდა საფეხბურთო კლუბ „მრეტების“ დავალიანების 270.000 აშშ დოლარის მთლიანად გადახდას, გუნდს აეკრძალებოდა ნებისმიერი სახის ტურნირში მონაწილეობა ეროვნული ჩემპიონატის ჩათვლით.

შს მინისტრმა 2001 წლის 26 იანვარს კვლავ მიმართა საქართველოს პრეზიდენტს, სადაც დეტალურად იყო აღწერილი ის უკიდურესად მძიმე მდგო-

მარეობა, რომელშიც აღმოჩნდა საფეხბურთო კლუბი „დინამო თბილისი“. პრეზიდენტს ეცნობა, რომ შემოსული იყო კერძო პირთა რამდენიმე წინადადება კლუბის ვალების გასტუმრების და მისი შემდგომი საქმიანობის წარმართვის შესახებ, მაგრამ არცერთი მათგანი რეალობას არ შეესაბამებოდა. შს სამინისტრო საკითხს შემდეგნაირად აყენებდა: ვინაიდან გუნდი ტრადიციულად იყო სპორტსაზოგადოება „დინამოს“ დაქვემდებარებაში, მთელი მისი ქონება, საწვრთნელი ბაზები და თვით სახელი „დინამო“ წარმოადგენდა საზოგადოების საკუთრებას. გუნდი დაბრუნებოდა მის კანონიერ მფლობელს ფიზკულტურულ-სპორტულ კლუბ „დინამოს“და უშუალოდ პრეზიდენტის ჩარევით და პატრონაჟით გატარებულიყო გადაუდებელი ღონისძიებანი ქართული ფეხბურთის გადარჩენის, თბილისის „დინამოს“ აღორძინებისა და მის ირგვლივ სიტუაციის გაჯანსაღებისათვის.

საკითხის განხილვის მიზნით 2001 წლის 2 თებერვალს საქართველოს პრეზიდენტთან ჩატარდა თათბირი, რომელსაც ესწრებოდნენ სახელმწიფო მინისტრი გია არსენიშვილი, საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი ნუგზარ საჯაია, სამინისტროების, უწყებების, სახელმწიფო კანცელარიის ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი მუშაკები: კ. თარგამაძე, თ. ისაკაძე, პ. მამრაძე, ი. მანაგაძე, ზ. ნოღაიდელი, დ. ჯოჯუა; თათბირზე განხილული იქნა საფეხბურთო კლუბ თბილისის „დინამოში“ არსებული მდგომარეობა და მიიღო გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ხელმძღვანელობას (კ. თარგამაძე) დაევალა 12 თებერვლამდე უზრუნველეყო საფეხბურთო კლუბ „დინამოს“ საწარმოდ დაფუძნება და კლუბში არსებული ვალების გასტუმრება.

რადგან საფეხბურთო კლუბმა „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად არ გაიარა ხელახალი რეგისტრაცია და ფუნქციონირებდა უკანონოდ, ფიზკულტურულ-სპორტული კლუბის „დინამოს“ მიერ დაფუძნებული იქნა შპს საფეხბურთო კლუბი „დინამო თბილისი“ 100% წილით საწესდებო კაპიტალში. 2001 წლის 2 მარტს აღნიშნულმა შპს-მ რეგისტრაცია გაიარა კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოში. საზოგადოების დირექტორად დამტკიცდა რევაზ არველაძე.

2001 წლის 6 თებერვალს პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილი იქნა N42 ბრძანებულება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური შემოსავლების გამოყენების დროებითი წესის შესახებ.

აღნიშნული ბრძანებულების საფუძველზე შს სამინისტროს ნება მიეცა 2000 წლის 1 თებერვლიდან 2003 წლის 1 იანვრამდე ეტაპობრივი დაბრუნების პირობით სპეცშემოსავლების 60% ფინანსთა სამინისტროსთან ერთად დატკიცებული ხარჯთანუსხის საფუძველზე გამოეყენებინა საფეხბურთო კლუბ „დინამო თბილისის“ მიერ სხვადასხვა კრედიტორების მიმართ წარმოშობილი დავალიანების, აგრეთვე სხვა გადაუდებელი და აუცილებელი ხარჯების დასაფინანსებლად. აღნიშნული ბრძანებულება ვიზირებული

იქნა იუსტიციის, ფინანსთა, ეკონომიკის, შინაგან საქმეთა სამინისტროების მიერ, გაიარა იურიდიული ექსპერტიზა სახელმწიფო კანცელარიის შესაბამის სამსახურში და გამოცემული იქნა „ბიუჯეტისა და საბიუჯეტო უფლებამოსილებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.

აღსანიშნავია, რომ ბრძანებულების მოქმედების პერიოდში შინაგან საქმეთა მინისტრი პასუხისმგებლობას იღებდა გუნდში მიმდინარე პროცესებზე და საქართველოს ქონების მართვის სამინისტროსთან ერთად ისეთი ინვესტორის მოძიებაზე, რომლის რეალური წინადადებანი სრულ შესაბამისობაში იქნებოდა საზოგადოების ინტერესებთან.

ფიზკულტურულ-სპორტულ კლუბ „დინამოს“ ხელმძღვანელობის მუშაობა დაუყოვნებლივ წარიმართა გუნდში შექმნილი ფინანსური და სხვა სახის პრობლემების მოგვარებისა და ქართული ფეხბურთის ინტერესების შესაბამისი ინვესტორის მოძიების მიმართულებით.

2001 წლის 1 სექტემბრამდე ანუ თითქმის ექვსი თვის განმავლობაში საფეხბურთო კლუბის დავალიანებების დასაფარად (რომელიც აღრიცხული და დაფიქსირებული იყო ბუღალტერიაში) გახარჯული იქნა 6.6 მილიონი ლარი. მათ შორის „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური სახსრების გამოყენების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 6 თებერვლის ბრძანებულების საფუძველზე 3.022.775 ლარი.

ინვესტორთა ძიების პროცესში შემოსული იქნა წინადადებები კერძო პირ რ. არველაძისგან, ფირმა „კ.ს.ა. ლტდ-ს“ სახელით მოქალაქე ს. ხაბელოვისგან და კომპანია „HYDE PARK PROPERTIES LIMITED-დან“.

წინადადებათა შესწავლისა და განხილვის შემდეგ უპირატესობა მიენიჭა ამ უკანასკნელს, რომელმაც 2001 წლის 20 ივლისს წერილობით გამოთქვა სურვილი ინვესტირების თაობაზე.

გარკვეული მუშაობისა და მოლაპარაკებების შემდეგ მიღწეული შეთანხმების თანახმად შედგენილი იქნა ხელშეკრულების პროექტი შემდეგი პირობებით:

კომპანია ითხოვდა ფიზკულტურულ-სპორტული კლუბ „დინამოს“ თანხმობას საფეხბურთო კლუბ „დინამო თბილისის“ 90% წილის დათმობაზე, ხოლო 10% რჩებოდა ფიზკულტურულ-სპორტული კლუბის გამგეობის განკარგულებაში.

კომპანია იღებდა ვალდებულებას გუნდის განვითარებისათვის გაწეული ხარჯების 6,6 მილიონი ლარის დაუყოვნებლივ და უპირობო დაფარვაზე. ამასთან იგი დიღმის საწვრთნელ ბაზას იღებდა იჯარით ფიზკულტურულ-სპორტული კლუბ „დინამო“ გამგეობისგან, როგორც მისი მესაკუთრისგან, თვეში 10 ათას ლარად.

ამასთან ერთად საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში იგი იღებდა ვალდებულებას:

წილის შეძენისა და მასზე საკუთრების უფლების მოპოვების შემდეგ უზრუნველეყო ფინანსური სახსრების მოზიდვა, რაც აუცილებელია შპს „საფეხბურთო კლუბ დინამო-თბილისის“ წარმატებული ფუნქციონირებისათვის;

ყოველმხრივ შეუწყოს ხელი შპს „საფეხბურთო კლუბ დინამო თბილისის“ აღორძინებას და არ განახორციელოს არანაირი ისეთი ქმედება, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ მიმართული იქნება მისი სახელის, სპორტული ან სხვაგვარი რეპუტაციის შელახვისაკენ.

კომპანია ასევე კისრულობდა პასუხისმგებლობას, რომ მის მიერ აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში, სრული მოცულობით აენაზღაურებინა ზარალი.

მიჩნეული იქნა, რომ აღნიშნული კომპანიის მიერ შემოთავაზებული წინადადებები როგორც სახელმწიფო ინტერესებისათვის, ასევე საფეხბურთო კლუბ „დინამო თბილისის“ შემდგომი აღორძინება-განვითარებისათვის მომგებიანი იყო და ექვემდებარებოდა განხილვას.

2001 წლის 5 სექტემბერს საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტულ კლუბ „დინამოს“ საერთო კრებაზე განხილული იქნა საკითხი საფეხბურთო კლუბ თბილისის „დინამოს“ წილის 90%-ის გადაცემის შესახებ ზემოთ აღნიშნულ ინვესტორზე. გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

საქართველოს რესპუბლიკურ ფიზკულტურულ-სპორტული კლუბის „დინამოს“ ხელმძღვანელობის მიერ შპს „ბერმუხასთვის“ შპს საფეხბურთო კლუბ „თბილისის დინამოს“ ხელახალ რეგისტრაციაზე უარის თქმის შემდეგ შპს „ბერმუხა-92-ის“ დირექტორი მ. რატიანი და სხვა დაინტერესებული პირები შეეცადნენ სასამართლოს გზით დაეკანონებინათ შპს საფეხბურთო კლუბ „თბილისის დინამოზე“ თავიანთი უფლებები. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით 2001 წლიდან გაიმართა არაერთი სასამართლო პროცესი რაიონულ, საოლქო და უზენაესი სასამართლოს ინსტანციებში. 2002 წლის 5 ივლისს საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით შპს „ბერმუხა-92-ის“ ხელმძღვანელობას უარი ეთქვა შპს საფეხბურთო კლუბ „თბილისის დინამოს“ ხელახალ რეგისტრაციაზე, რითაც ფაქტობრივად კანონიერად იქნა მიჩნეული 2001 წლის 2 მარტს კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოში დაფუძნებისა და რეგისტრაციის პროცედურა.

უნდა აღინიშნოს, რომ საფეხბურთო კლუბ „დინამო თბილისის“ ყოფილი ხელმძღვანელობა გარკვეულწილად ხელს უშლიდა წინასწარ გამოძიებას, მათ გადამალეს ფეხბურთელების სატრანსფერო კონტრაქტები, შემოწმებისა და საფინანსო საქმიანობის რევიზიისათვის აუცილებელი დოკუ-

მენტაცია, განსაკუთრებით კი დაკავშირებული შვეიცარიაში არსებული საბანკო ანგარიშის შესახებ.

2000 წლის დეკემბერში შსს საგამოძიებო დეპარტამენტის მიერ ქ. ჟენევაში არსებულ „ფინანსბანკში“ საფეხბურთო კლუბ „დინამო თბილისის“ ანგარიშების გახსნის მიზნით, შვეიცარიის კონფედერაციის სამართალდამცავ ორგანოებთან გაიგზავნა საერთაშორისო საგამოძიებო დავალება.

დაახლოებით რვა თვის განმავლობაში, შვეიცარიის კონფედერაციის სამართალდამცავი ორგანოები თავს იკავებდნენ აღნიშნული საკითხის გადაწყვეტისაგან. მხოლოდ შს სამინისტროს დაჟინებული მოთხოვნის შედეგად შვეიცარიის სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნული ანგარიშების გახსნისა და ინფორმაციის მოწოდების თაობაზე.

ამავე პერიოდში შს სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის დავალებით საქართველოს შემოსავლების სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტიდან მოწვეული სპეციალისტების მიერ, შემოწმებული იქნა შპს საფეხბურთო კლუბ „დინამო თბილისის“ სახელმწიფო ბიუჯეტთან ანგარიშსწორების საკითხი. შემოწმება შეეხო 1996-2000 წლებს. შემოწმების აქტით შპს საფეხბურთო კლუბ „დინამო თბილისს“ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა 6.139.046 ლარის გადახდა.

2001 წლის ნოემბერში საქართველოში განვითარებული მოვლენების გამო საქართველოს ხელისუფლებაში სერიოზული ცვლილებები მოხდა. თანამდებობიდან გადადგა შს მინისტრი კახა თარგამაძე. საქმეზე შემდგომი გამოძიების პროცესი სამინისტროს ახალი ხელმძღვანელობის მიერ წარიმართა.

ჩვენს ხელთ არსებული ოპერატიული მონაცემებით ქ. ჟენევაში არსებულ „ფინანსბანკში“ გახსნილ „დინამო თბილისის“ საფეხბურთო კლუბის ანგარიშზე წარმოებულ ფინანსურ ოპერაციებზე წვდომის შემთხვევაში საზოგადოებისთვის ცნობილი გახდებოდა კლუბის მმართველთა დანაშაულებრივი საქმიანობა და ისიც კი, თუ როგორ დანაშაულებრივად იყენებდნენ აღნიშნულ ანგარიშს ევროპის სხვა კლუბები თავიანთი ფინანსური მაქინაციების მისაჩქმალად. თუმცა როგორი ბედი ეწია შვეიცარიიდან გამოთხოვილ დოკუმენტაციას, ჩემთვის უცნობია.

საზოგადოებისთვის საინტერესო იქნება გასაჯაროვდეს ზემოთ აღნიშნული სისხლის სამართლის საქმეები და ერთხელ და სამუდამოდ პასუხი გაეცეს კითხვებს თუ რატომ მოხდა მერაბ ჟორდანიას ორჯერ დაპატიმრება. კითხვები ბევრია, მაგრამ პასუხის გამცემი არავინაა.

არც ის იქნება უინტერესო, საზოგადოებამ იცოდეს, რა ბედი ეწია სპორტ-საზოგადოება „დინამოს“ მილიონობით ღირებულების ქონებას, სპორტულ

ბაზებსა და შენობა-ნაგებობებს „ვარდოსანთა“ მმართველობის პერიოდში. მაგალითისთვის დავასახელებდი სპორტკომპლექსებს თბილისში, ბაკურიანში, ფოთში და ა. შ.

აღნიშნულ თემას ვერ დავასრულებ ისე თუ არ გავიხსენე რა ხდებოდა და როგორი სიბინძურის ნიაღვარი ინთხეოდა შს სამინისტროს ხელმძღვანელთა მიმართ ჟვანია-სააკაშვილის გუნდის და მათგან მართული მედია-საშუალებების მხრიდან მთელი ამ ხნის განმავლობაში.

სიტუაციის აღქმისათვის საკმარისი იქნება ალბათ გავიხსენოთ გაზეთ „რეზონანსში“, მთავარი რედაქტორის მოადგილის ელისო ჩაფიძის მიერ (2001 წლის მარტში) გამოქვეყნებული პასკვილები, ზესენსაციური სათაურებით გაზეთის პირველ გვერდზე, განსაკუთრებული შრიფტით, რომლებიც უკიდურესად უარყოფით განწყობას უქმნიდა მკითხველს შს მინისტრისა და სხვა ხელმძღვანელთა მიმართ, მაშინ როდესაც პუბლიკაციებში მოყვანილი ფაქტები აბსოლუტურ სიცრუეს და მონაჭორს წარმოადგენდა, რაც შემდგომში მრავალგზის ჩატარებული შემოწმებებითაც დამტკიცდა. ან კიდევ როგორ ფიქრობთ, თუ პუბლიკაციები შს სამინისტროს 7 მაღალჩინოსნის მხრიდან ჩადენილი დანაშაულის შესახებ რეალობას წარმოადგენდა, ამას ხელიდან გაუშვებდნენ 9 წლის განმავლობაში ხელისუფლებაში მყოფი სააკაშვილ-მერაბიშვილ-ადეიშვილის უმაღლესი დონის „პროფესიონალები“?

მაგალითისთვის მხოლოდ ერთი სტატიის სათაურს მოვიტან და თქვენ დარწმუნდებით ჩემს სიმართლეში. გაზეთ „რეზონანსის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა ვრცელი „ჟურნალისტური გამოძიების“ მასალები.[22] როგორ დავისაკუთრეთ „დინამო“ და როგორ ვიჩუქეთ თითო მილიონი შვიდმა პოლიციელმა. შემდგომში ყველაფერი კარგად გამოჩნდა, მაგრამ ამ პასკვილებისთვის ვინ და რა საჩუქარს უკეთებდა ქალბატონ მეზღაპრეს, სამწუხაროდ, უცნობია.

აი ასეთი ჟურნალისტური გამოძიებები ტარდებოდა „რეზონანსის“, „რუსთავი-2-ის“ გადაცემა „60 წუთის“ და სხვა მედია-საშუალებების ე. წ. „ჟურნალისტების“ მიერ უარყოფითი საზოგადოებრივი აზრის და რევოლუციური განწყობების შესაქმნელად.

მოგვიანებით, უკვე წლების შემდეგ, ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა და ალბათ თქვენც გაგიკვირდებათ, რომ 2013 წლის ივლისში სტუდია „მონიტორის“ ხელმძღვანელმა (ტელეკომპანია „ობიექტივი“), შემდგომში პოლიტიკოსმა ირმა ინაიშვილმა „2012 წელს გაწეული საქმიანობისა და აქტიური მოქალაქეობრივი პოზიციისთვის ნაზი შამანაურის სახელობის ოქროს მედლით დააჯილდოვა ეს „ქოსატყუილა“ ე. წ. ჟურნალისტი, ხოლო

[22] ელისო ჩაფიძე. „დინამო“ – 7 პოლიციელის საკუთრება. ჟურნალისტური გამოძიება შევარდნაძის მიერ გაჩუქებულ კლუბ „დინამოსთან“ დაკავშირებით“. გაზ. „რეზონანსი“. 16 მარტი. 2001

შემდგომ იგი საარჩევნო ბლოკ „ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნებიდან“ ტყიბულის მაჟორიტარი დეპუტატი გახდა. საქართველოს მე-8 მოწვევის პარლამენტში. კადრების შერჩევაც ამას ჰქვია.

ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლა

მოდით, ახლა შევეხოთ ისეთი სახის დანაშაულთან ბრძოლის ამბებს, რომელიც ჩვენი ქვეყნის საფინანსო სისტემის მოშლას და ეკონომიკის ნგრევას განაპირობებდა. ასეთ კატეგორიას განეკუთვნება ქვეყანაში ყალბი უცხოური თუ ეროვნული ვალუტის გავრცელება. ამ მხრივ კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტმა 1996-99 წლებში იმდენად ნაყოფიერი მუშაობა გასწია, რომ ჩვენი გამოცდილების გასაზიარებლად ჩამოსული ამერიკელი და გერმანელი ექსპერტების გაოცებაც კი გამოიწვია. ასეთი მრავალი ფაქტის გახსენება შეიძლება, მაგრამ შევეხები მხოლოდ რამდენიმე მათგანს.

1999 წლის 15 თებერვალს თბილისში დავაკავეთ რეალიზატორთა ჯგუფი და 500.000 ყალბი აშშ დოლარი ამოვიღეთ. სულ რაღაც ორ კვირაში კი 990.000 აშშ დოლარის რეალიზაციისას სხვა ჯგუფი იქნა აყვანილი. ოპერატიული მასალების რეალიზაციის შედეგად 21 აპრილს გორში განხორციელებული მასშტაბური ღონისძიებების შედეგად კიდევ ერთი სერიოზული ჯგუფი იქნა დაპატიმრებული 500.000 აშშ ყალბი კუპიურებით.

ამ ეპიზოდებს რომ ვიხსენებ ხოლმე მუდამ გულიანად მეცინება. როცა მინისტრის კაბინეტში გაშლილ ამ 2 მილიონი ყალბი ამერიკული დოლარის კუპიურების ნახვით აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ უცხოელი ექსპერტები, ყალბი ფულის გავრცელების წინააღმდეგ მებრძოლი დანაყოფის უფროსმა, დიდებული იუმორის მქონე მერაბ ნეფარიძემ ჩამილაპარაკა, „ამათ რომ უყურებთ, ბატონო ზურა, ყველა ნაღდზე მუშაობს, მარტო ჩვენ ვმუშაობთ ყალბზეო!“

ჟურნალისტი ვალერიან გოგოლაშვილი სტატიაში „2 მილიონი ყალბი დოლარი“[23] წერდა:

> „თებერვალ-აპრილში შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა 2 მილიონზე მეტი ყალბი აშშ დოლარი ამოიღეს.
>
> ძნელი წარმოსადგენი არ არის, რა დარტყმას მიაყენებდა ყალბი ვალუტის ეს კოლოსალური მასა ჩვენი ქვეყნის ფინანსურ სისტემას, ეკონომიკასა და მოსახლეობას 2 მილიონი ყალბი ვალუტა ხომ 4. 5 მილიონი ლარია, რომელიც არაფრის მაქნის ქაღალდში უნდა გადახდილიყო. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ბევრი მოქალაქე შეფიქრიანებულია ლარის კურსის რყევით, ამიტომ ყიდულობს დოლარს და ინახავს მას „შავი დღისთვის“. პოლიციის ძალისხმევა რომ არა, ვინ იცის, რამდენ ადამიანს გაუთენდებოდა შავი დილა, როცა ხელში მტკიცე ვალუტის ნაცვლად მაკულატურა შერჩებოდა. რამდენ ოჯახს გადაეყრებოდა წყალში მთელი წლის გარჯა, როცა გაყიდული პირუტყვის ნაცვლად საფასურს ყალბი დოლარებით გადაუხდიდნენ.

---

[23] ვალერიან გოგოლაშვილი. „2 მილიონი ყალბი დოლარი“. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. 28 აპრილი. 1999

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მარტო მიმოქცევაში ფულის მასის გაზრდა გამოიწვევდა ბაზრის გაძვირებას და სხვა ნეგატიურ მოვლენებს.

15 თებერვალს შსს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის კორუფციასთან და ეკონომიკურ დამნაშავეობასთან ბრძოლის მთავარი სამმართველოსა და ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს თანამშრომლებმა თბილისში, ვარკეთილის მეტროსთან მდებარე ავტოგასამართ სადგურთან ყალბი აშშ დოლარების რეალიზაციის ფაქტზე დააკავეს ყალბი ვალუტის გამსაღებელთა ჯგუფი, რომელმაც საქართველოში სარეალიზაციოდ შემოიტანა 500.000 ყალბი აშშ დოლარი. საიდანაც 50.000 აშშ დოლარს რეალიზაცია გაუკეთეს 14 ათას ნამდვილ აშშ დოლარად. (სწორედ ამ მომენტში დააკავა ისინი პოლიციამ).

ჯგუფის ორგანიზატორის თამარ ბეკოევას საცხოვრებელი სახლიდან ჩხრეკისას ამოღებული იქნა სარეალიზაციოდ გამზადებული 450 000 ყალბი აშშ. დოლარი.

2 მარტს შსს კორუფციასთან და ეკონომიკურ დამნაშავეობასთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ოპერატიული ინფორმაციის რეალიზაციის საფუძველზე ყალბი 990 000 ათასი აშშ დოლარად რეალიზაციის ფაქტზე დააკავეს თბილისის მცხოვრები, ადრე ნასამართლევი ომარ გიორგის ძე სოხაძე და მისი შვილი ომარ ომარის ძე სოხაძე.

21 აპრილს შსს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის კორუფციასთან და ეკონომიკურ დამნაშავეობასთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლების მიერ ოპერატიული ინფორმაციის რეალიზაციის შედეგად გია გულუას სახელობის სპეცდანიშნულების რაზმის თანამშრომელთა მონაწილეობით ჩრდილოეთ კავკასიიდან შემოტანილი 490.000 აშშ დოლარის რეალიზაციის ფაქტზე ქალაქ გორში, კოსტავას ქუჩაზე სასტუმრო „ინტურისტის“ მიმდებარე ტერიტორიაზე მხილებული და დაკავებულნი იქნენ თბილისელები გიორგი გაგნიძე, თამაზ ბერიძე. რუსეთის ფედერაციის მოქალაქე, ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკის ქალაქ პროხლოდნიეს მცხოვრები, ზურაბ გოგოლაძე და ე. წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის შს სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმის სერჟანტი, ცხინვალის მცხოვრებ აღსარ კოზაევი. ყალბი 490 000 აშშ დოლარი მთლიანად ამოღებულია. ა. კოზაევს ჩამოერთვა პისტოლეტი „მაკაროვი“ ერთი მჭიდითა და 8 ვაზნით.

ყალბი ვალუტის ამოღების პირველი და მეორე ოპერაცია თბილისში განხორციელდა. ამ ოპერაციების შესრულების მაღალ ხარისხზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ კონტრაბანდულად შემოტანილი 1,5 მლნ. ყალბი ვალუტა მთლიანად უკანასკნელ დოლარამდე იქნა ამოღებული, თანაც მათი რეალიზაციის ფაქტზე, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩადენილი დანაშაულის ყველა ასპექტის გამომზეურებისა და სამართლებრივი შეფასებისათვის, და რაც მთავარია პროფესიონალების გააზრებულად და ოპერატიულად მოქმედების შედეგად დაკავებულ იქნა, ყალბი ვალუტის რეალიზატორთა ორივე ჯგუფის ყველა მონაწილე.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობა დარწმუნებული იყო, რომ ჩრდილოეთიდან ყალბი ვალუტის მოძალება ჩვენი ქვეყნის საფინანსო სისტემის მოშლისა და ეკონომიკის დანგრევისაკენ მიმართულ ტოტალურ დივერსიას წარმოადგენდა (კონტრაბანდულ ბენზინთან, დიზელის საწვავთან და სხვა პროდუქტებთან ერთად). ამიტომ სასწრაფოდ განხორციელდა სათანადო კონტრღონისძიებები, რომელთა დაკონკრეტებისაგან გასაგები მიზეზების გამო თავს ვიკავებთ.

2 მარტს თითქმის მილიონი ყალბი დოლარის ამოღების შემდეგ – შინაგან საქმეთა სამინისტროს ჰქონდა ინფორმაცია, რომ შემოსატანად მზადდებოდა ყალბი ვალუტის კიდევ ერთი დიდი პარტია.

კორუფციისა და ეკონომიკური დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებისთვის ისიც გახდა ცნობილი, რომ ორი ოპერაციის ჩავარდნის შემდეგ, ყალბი დოლარების პირველწყარო დიდ სიფრთხილეს იჩენდა, განსაკუთრებით შიშობდა მორიგი პარტიის თბილისში შემოტანას.

„პირველწყარომ“ გამოგზავნის მარშრუტიც შეცვლა პირველ ორ შემთხვევაში თუ ვლადიკავკაზის გამოვლით შემოიტანეს ყალბი ვალუტა, ამჯერად მას გვერდი აუარეს, ყალბი 490 000 დოლარი ჯერ ყაბარდო-ბალყარეთში გადაიტანეს, იქიდან კი ცხინვალში „გადმოისროლეს“ და დანარჩენი ოპერაციები ამ ქალაქიდან ხორციელდებოდა. ბოროტმოქმედთა ჯგუფმა გადაწყვიტა თბილისამდე არ ჩაეტანა ყალბი ვალუტა, გორში მოეხდინა მისი რეალიზაცია. სავარაუდო მყიდველებს საგანგებოდ არჩევდნენ. მერე დღედაღამ უთვალთვალებდნენ პოლიციას ხომ არ არის „შეკრულიო“, ყოველი შემთხვევისათვის შეიარაღებული დაცვაც აიყვანეს. სამხრეთ ოსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმის სერჟანტი აღსარ კოზაევი.

მკითხველს გვინდა ვაუწყოთ, რომ ბოროტმოქმედთა ორგანიზებულ ჯგუფს მთელი ერთი თვის განმავლობაში თავის მხრივ მუდმივად უთვალთვალებდნენ შსს სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის შესაბამისი სამსახურები, ხდებოდა მათი ყოველი ნაბიჯის ვიდეო და აუდიო დაფიქსირება. ამას, რა თქმა უნდა, ვერ ამჩნევდნენ ყალბი ვალუტის შემომტანები, თუმცა ძალიან ფრთხილობდნენ. მაგალითად, ისინი შეუთანხმდებოდნენ მყიდველებს, რომ ცხინვალიდან გორში 20 აპრილს გადმოიტანდნენ „საქონელს“ მაგრამ მყიდველები ამაოდ ელოდნენ დაპირებულ ყალბ ვალუტას. ამასობაში ვალუტის გამსაღებლები ჩუმად უთვალთვალებდნენ მათ. რაკი დარწმუნდნენ რომ მყიდველები სანდო ხალხი იყო და პოლიციაც „აზრზე არ იყო“, მეორე დღეს, 21 აპრილს მშვიდად დაიძრნენ ცხინვალიდან გორისაკენ. რას წარმოიდგენდნენ, რომ წინა დღეს მათ მიერ „უსაფრთხოების მიზნით“ განხორციელებული ოპერაცია, თავიდან ბოლომდე გაშიფრული ჰქონდათ შსს კორუფციისა და ეკონომიკური დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებს.

„ვაჭრობა“ გორის ცენტრში სასტუმრო „ინტურისტის“ გვერდით შედგა. მუშტრისათვის გადაცემული 490 000 ყალბი დოლარის საფასურად 250.000 ნამდვილი დოლარის მიღებისას. ისინი პოლიციელების ალყაში აღმოჩნდნენ.

აღსარ კოზაევმა პისტოლეტი იშიშვლა, მაგრამ, როგორც კი გულუას სახელობის სპეცდანიშნულების რაზმის ზორბა ბიჭებმა გამაფრთხილებელი სროლებით ავტომატები ააკაკანეს, კოზაევიცა და დანარჩენი სამი ბოროტმოქმედიც მორჩილად დანებდნენ სამართალდამცავებს.

ყალბი ვალუტის გამსაღებელთა გამოვლენისა და დაკავების ოპერაციას ხელმძღვანელობდა კორუფციისა და ეკონომიკური დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს უფროსი, პოლიციის პოლკოვნიკი კახა ბაკურაძე, რომელმაც ბევრჯერ გამოიჩინა თავი ექსტრემალურ სიტუაციაში საზრიანი და გაბედული მოქმედებით.

ისე როგორც ყალბი ვალუტის რეალიზაციის აღკვეთის წინა ორ ოპერაციაში, ერთხელ კიდევ გამოავლინეს მაღალი პროფესიონალიზმი კორუფციისა და ეკონომიკური დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილემ, პოლიციის პოლკოვნიკმა კობა კობიაშვილმა, ეკონომიკური დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს უფროსმა, პოლიციის პოლკოვნიკმა ფარვიზ ქირათელიძემ, მისმა მოადგილემ მერაბ მელუამ, განყოფილების უფროსმა მალხაზ ლიპარტიამ, მერაბ ქუთათელაძემ, უფროსმა ინსპექტორებმა მერაბ აბულაშვილმა, მერაბ ნეფარიძემ, გოგი ბაღდავაძემ, გოჩა ჭელიძემ, დიმიტრი კურტანიძემ, ემილ გაბელაიამ, ზაზა ლაზვიაშვილმა, ლადო სოსელიამ, სერგო გიორგაძემ...

ყალბი ვალუტის კონტრაბანდისა და რეალიზაციის გამოვლენის და აღკვეთის ღონისძიებათა საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებდა შს მინისტრი, პოლიციის გენერალ-ლეიტენანტი კახა თარგამაძე, მათ პრაქტიკულად შესრულებას კი – შსს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარე, პოლიციის გენერალ-მაიორი ავთანდილ ჩხაიძე.

რაც მთავარია, შინაგან საქმეთა სამინისტროში შეიქმნა კარგად ორგანიზებული, მობილური, სინქრონულად მოქმედი სისტემა, რომელიც საშუალებას იძლევა ჯერ კიდევ „ჩანაფიქრის სტადიაზე“ მოიპოვოს ინფორმაცია ყალბი ვალუტის ჩვენს ქვეყანაში შესაძლო შემოტანისა და რეალიზაციის შესახებ, დააგვირგვინოს იგი ორგანიზებული ჯგუფის დადგენითა და დაკავებით.

საქართველოს შს სამინისტროს ხელმძღვანელობამ ჩრდილოეთ კავკასიიდან ყალბი ვალუტის კონტრაბანდის საკითხი მწვავედ დააყენა საქართველოსა და რუსეთის შს სამინისტროების გაერთიანებული კოლეგიის სხდომაზე. შემუშავდა ამ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის კონკრეტული ღონისძიებები. თუმცა, როგორც გაირკვა, გასაგები მიზეზების გამო, თვით რუსეთის სამართალდამცავებს ძალიან უჭირდათ რეგიონში ყალბი ვალუტის დამამზადებლებთან ბრძოლა.

ამასთან, თვით შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელებს მიაჩნდათ, რომ ყალბი ვალუტის რეალიზაციისა და მისი ნეგატიური შედეგების აღ-

მოსაფხვრელად მარტო პოლიციის ძალისხმევა არ არის საკმარისი. კერძოდ, შს სამინისტრომ შესაბამისი სტრუქტურების წინაშე მრავალჯერ დააყენა საკითხი იმის თაობაზე, რომ უცხოურ ვალუტას ემოძრავა მხოლოდ ბანკების მეშვეობით, მსხვილ გარიგებებზე ანგარიშსწორება მომხდარიყო ამ დაწესებულებებში, ვალუტის გადაცვლა ეწარმოებინათ ბანკებს, ან მათ მიერ ლიცენზირებულ და სათანადოდ აღჭურვილ გადამცვლელ პუნქტებს, რადგან ყალბი ვალუტა ძირითადად ვრცელდებოდა უკონტროლო და აღუჭურველი გადამცვლელი პუნქტების მეშვეობით. გადამცვლელი პუნქტების პრობლემა ძირითადად გადაიჭრა, მაგრამ ბანკების მეშვეობით უცხოური ვალუტის მიმოქცევის პრობლემა კვლავ მწვავედ დგას.

სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყნისა და ხალხის წინააღმდეგ ეკონომიკური დივერსია მარტო ყალბი ვალუტის შემოტანით როდი შემოიფარგლება. სხვა ქვეყნებიდან, განსაკუთრებით რუსეთიდან ცხინვალის გამოვლით დიდი რაოდენობით შემოდის კონტრაბანდული, განუბაჟებელი ნავთობპროდუქტები, ფქვილი, უაქციზო სიგარეტი, რითაც დიდი ზარალი ადგება საქართველოს ბიუჯეტს, სერიოზულ დარტყმას აყენებს ადგილობრივ წარმოებას და ბიზნესს. შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა საბაჟო და საგადასახადო დეპარტამენტების თანამშრომლებთან ერთად განხორციელებული რეიდებითა და სხვა ოპერატიული პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელებით ასობით ამგვარი დანაშაული გამოავლინეს.

მაგალითად, 23 აპრილს შიდა ქართლის პოლიციის სამხარეო სამმართველოს კორუფციასთან და ეკონომიკურ დამნაშავეობასთან ბრძოლის განყოფილების თანამშრომლებმა კონტრაბანდაში ამხილეს ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკის სოფელ ბესლანში მცხოვრები ვილიამ ჯიოევი, რომელმაც საბაჟოს გვერდის ავლით შემოიტანა 175 ტონა ბენზინი. ჯიოევის მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე.

სამწუხაროა, რომ ჩვენი ქვეყნისა და ხალხის წინააღმდეგ მიმართულ ეკონომიკურ დივერსიას, უმეტეს შემთხვევაში, ხელს უწყობენ ჩვენივე მოქალაქეები. ამ დღეებში პოლიციამ ამხილა ათობით მოქალაქე, რომლებიც ეწეოდნენ რუსეთიდან, სომხეთიდან და ჯერჯერობით ჩვენს კონტროლს დაუქვემდებარებელი აფხაზეთიდან შემოტანილი უაქციზო სიგარეტის რეალიზაციას. ამ დღეებში ენგურის ხიდთან პოლიციამ დააკავა მოქალაქეები, რომლებსაც აფხაზეთიდან შემოჰქონდათ სხვა ქვეყნიდან შემოტანილი ათასობით კოლოფი უაქციზო სიგარეტი.

კონტრაბანდული და განუბაჟებელი პროდუქცია ხშირ შემთხვევაში გადაადგილდება სხვადასხვა მაკონტროლებელი სამსახურების უღირსი თანამშრომლების ხელშეწყობითაც.

ამ დღეებში შიდა ქართლის პოლიციის სამმართველოს კორუფციასთან და ეკონომიკურ დამნაშავეობასთან ბრძოლის განყოფილების თანამშრომლებმა ამხილეს აფხაზეთის რეგიონული საბაჟოს უფროსი ინსპექტორი ზაურ ბრეგვაძე, რომელმაც გორის რაიონის სოფელ ვარიანთან არსებულ საგუშაგოზე 1000 ლიტრი ბენზინისა და 600 ლიტრი დიზელის საწვავის განბა-

ჟების გარეშე გაშვებისათვის ქუთაისში მცხოვრებ ნუგზარ ბოჭორიშვილს ქრთამის სახით გამოართვა 30 ლარი.

ყალბი ვალუტის, კონტრაბანდული ბენზინის, დიზელის საწვავის, უაქციზო სიგარეტის შემოტანა და რეალიზაცია აუნაზღაურებელ ზარალს აყენებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკასა და მოსახლეობას. ამ ბოროტების აღმოფხვრაში სამართალდამცავებს თვით მოსახლეობა უნდა ამოუდგეს. მაშინ უფრო იოლი, და რაც მთავარია, შედეგიანი გახდება ეკონომიკურ დივერსიასთან ბრძოლა“.

მალე საქართველოში ჩამოვიდა ამერიკელ ექსპერტთა ჯგუფი. აშშ ხელისუფლება, როგორც წესი, სასწრაფოდ რეაგირებს რომელიმე ქვეყანაში ყალბი ამერიკული დოლარების დიდი რაოდენობით გამოჩენაზე და შესაბამის ღონისძიებებსაც ახორციელებს ყალბი ვალუტის დამზადების პირველ წყაროს დასადგენად. ამერიკა ძალიან უფრთხილდება საკუთარი ვალუტის სიმყარესა და პრესტიჟს.

ამერიკელი ექსპერტები იმავე დღეს შეხვდნენ შსს საგამოძიებო დეპარტამენტის საგამოძიებო ჯგუფის წევრებს, გაეცნენ გამოძიების მასალებს. დაადასტურეს, რომ ჩრდილოეთ კავკასიიდან საქართველოში შემოტანილი ყალბი აშშ დოლარების კუპიურები ნამდვილად მაღალ დონეზეა შესრულებული და მით უფრო საშიშია მათი გავრცელება.

ამერიკელმა სპეციალისტებმა გამოთქვეს მზადყოფნა, დაეხმარონ საქართველოს სამართალდამცავებს ყალბი ვალუტის პირველწყაროს დადგენაში“.

9 თებერვლის ტერაქტი

1998 წლის 8 თებერვალს 45 წელი შემისრულდა. მეგობრები დილიდან მილოცავდნენ. 12 საათზე ოპერატიულ თათბირზე შევიკრიბეთ. შემდგომ დღე ჩვეულებრივ სამუშაო რეჟიმში გაგრძელდა, მოგვიანებით კი, ახლობლებთან ერთად, დაბადების დღე აღვნიშნე. მეორე დღეს, სამსახურის შემდეგ, გვიან მძღოლმა სახლში დამტოვა. საკმაოდ ციოდა. პალტოს გახდა ვერც მოვასწარი, რომ მძღოლმა მანქანიდან დამირეკა და აღელვებულმა მითხრა რაციაში გადმოსცეს პრეზიდენტზე თავდასხმაო. მაშინვე უკან მივბრუნდი და პირდაპირ შემთხვევის ადგილზე მივედი.

რაც იქ ვნახე, ყველას კარგად მოგეხსენებათ, ამის ვიდეოკადრებიც არსებობს და დეტალურ აღწერას არ შევუდგები.

1998 წლის 9 თებერვალს 23 საათსა და 18 წუთზე თბილისში მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, სამასი არაგველის მემორიალთან, გორგასლის ქუჩაზე, ტერორისტთა ჯგუფმა საქართველოს პრეზიდენტზე ედუარდ შევარდნაძეზე, რომელიც სახელმწიფოს დაცვის ესკორტით კრწანისის რეზიდენციისკენ გადაადგილდებოდა, სამხედრო ოპერაციის გზით შეიარაღებული თავდასხმა განახორციელა.

თავდამსხმელთა მიერ გამოყენებული იქნა ყუმბარმტყორცნები, ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარები და ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი. შეტაკებისას დაიღუპა პრეზიდენტის დაცვის ორი თანამშრომელი და ერთი ტერორისტი. დაზიანდა და მწყობრიდან გამოვიდა პრეზიდენტის ესკორტის ყველა ავტომანქანა, ხოლო თვით პრეზიდენტი შემთხვევის ადგილიდან დაცვამ იქვე მდგომი მორიგე ავტოინსპექტორის სამსახურებრივი ავტომანქანით უვნებლად გადაიყვანა კრწანისის რეზიდენციაში.

ტერორისტული აქტის შესახებ მიღებული ინფორმაციის შემდეგ, სპეციალურ ღონისძიებათა გეგმის შესაბამისად, დაუყოვნებლივ გადაიკეტა ქალაქის შესასვლელ-გასასვლელები, დაცვის ქვეშ აყვანილი იქნა სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტები, ქუჩებში მოეწყო რეიდები, ყველა სამხარეო დანაყოფში გამოცხადდა განგაში.

საქართველოს პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და უშიშროების სამინისტროს მაღალკვალიფიციური მუშაკებისაგან დაუყოვნებლივ შეიქმნა საგამოძიებო-ოპერატიული ჯგუფი, მათ მიერ ჩატარებულ ყველა საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობდნენ მაღალკვალიფიციური ექსპერტები. ეფექტურად იქნა გამოყენებული სპეციალურად გაწვრთნილი ძაღლები.

ცხელ კვალზე გატარებული ღონისძიებების შედეგად შემთხვევის ადგილიდან ამოღებული იქნა 17 ცალი ყუმბარმტყორცნი ე. წ. „Муха“, მათ

შორის გაუსროლელი, 3 ავტომატი, 4 აუფეთქებელი ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარა, 2 „Motorola-ს“ ტიპის რადიოსადგური. იქვე ნაპოვნი იქნა ლიკვიდირებული ტერორისტის გვამი და პასპორტი. იგი აღმოჩნდა ეროვნებით ჩეჩენი ვისამედდინ ბავდინის ძე ჯანგალიევი.

ოპერატიულად განხორციელებულმა ღონისძიებებმა და ქალაქის ქუჩების კონტროლმა შედეგი გამოიღო. უკვე 10 თებერვლის დილით თბილისიდან გასვლის მცდელობისას დააკავეს ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული პიროვნება, ტერორისტულ აქტში მონაწილე ზურაბ ეჯიბია, 11 თებერვალს – ზაზა მარანელი და ბონდო თოდუა.

პრეზიდენტზე თავდასხმის მზადების ისტორია ასეთია: 1997 წელს სამეგრელოს რეგიონში ექს-პრეზიდენტის მომხრეთა ორგანიზებული ჯგუფი ჩამოყალიბდა, რომლის მეთაურმა გოჩა ესებუამ ხსენებულ დაჯგუფებაში გააერთიანა ზურაბ ეჯიბია, გენადი ქობალია, იური უბილავა, მურთაზ მალანია, ბონდო სიგუა, ნუგზარ ჩუხუა, ბონდო თოდუა, ვახტანგ იგივე რაჯი ხარებავა, ვეფხო დურგლიშვილი და საშა ზაქარაია. 8 მაისს ჯგუფის წევრები თბილისიდან ავტობუსით ჩავიდნენ ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიაში და ადგილობრივ ტერორისტთა ხელშეწყობით გროზნოდან 45 კილომეტრის დაშორებით, სოფელ არტურში არსებულ დასასვენებელ ბანაკში მოთავსდნენ, სადაც მათივე ხელშეწყობით დაახლოებით შვიდი თვის განმავლობაში გადიოდნენ შესაბამის მომზადებას. ტერორისტთა ჯგუფის წევრები გოჩა ესებუას ხელმძღვანელობით, რამდენიმე ჩეჩენ ტერორისტთან ერთად, 1998 წლის დეკემბრის დასაწყისში ნაწილ-ნაწილ შემოვიდნენ თბილისში და სხვადასხვა რაიონში დაბანაკდნენ.

საქართველოში შემოსულმა ჯგუფმა აქტიურად დაიწყო მზადება ტერორისტული აქტის ტექნიკური უზრუნველყოფისათვის. მოქალაქეებისაგან შეძენილი იქნა ორი ცალი „Жигули-ს“ მარკის ავტომანქანა და „Mercedes-ის“ ტიპის მიკროავტობუსი. ჩანაფიქრის შენიღბვისა და ტერორისტული აქტის განსახორციელებელი ადგილმდებარეობის (ტყე-პარკში ტერაქტის მოწყობის იდეა ეკუთვნოდა ზურაბ ეჯიბიას) შესწავლის მიზნით, მიკროავტობუსი იქნა გამოყენებული, რომელიც გორგასლის ქუჩისა და კრწანისი-ორთაჭალის მიმართულებაზე სამარშრუტო ტაქსად მოძრაობდა. ტერაქტის განხორციელებამდე 8-10 დღით ადრე, გოჩა ესებუას ნაწილ-ნაწილ გაჰყავდა მომავალი ტერაქტის მონაწილეები ტყე-პარკში, აცნობდა მათ დისლოკაციის ადგილსა და მოქმედების გეგმას.

1998 წლის 9 თებერვალს, გოჩა ესებუამ შემთხვევის ადგილას ზემოხსენებული სამი ავტომანქანით დაიწყო ავტომაგისტრალის მიმდებარე ტყე-პარკში ტერორისტების განლაგება. ოპერაციის მართვა რადიო კავშირით ხორციელდებოდა. პრეზიდენტის ესკორტის გადაადგილებაზე გოჩა ეს-

ებუას ინფორმაციას ბარათაშვილის აღმართზე მდგომი ზაზა მარანელი და ფელიქს გულუა აწვდიდნენ. სასტუმრო „შერატონ მეტეხის“ მიმდებარე ტერიტორიიდან შემთხვევის ადგილს ვიდეო კამერით გიზო მესხია იღებდა. ტერაქტის განხორციელების შემდეგ ტერორისტები შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

თავდასხმიდან მოკლე დროში დადგენილი იქნა თბილისის სხვადასხვა უბანში ტერორისტთა მიერ ნაქირავები ბინები. შემთხვევის ადგილის მიმდებარე ტერიტორიაზე აღმოჩენილი ერთ-ერთი ნაქირავები ბინიდან ამოღებულ იქნა რადიოსადგური „Motorola“ (4 ცალი დასამუხტი მოწყობილობით), ანტენა, საყოფაცხოვრებო ნივთები, ტერორისტთა მიერ გამოყენებული „Mercedes-ის“ ტიპის ავტობუსის სავარძლები. ხოლო მეორე ბინაში აღმოჩენილ იქნა სისხლის ლაქები, სამედიცინო დანიშნულების სისხლიანი ხელთათმანები, ხელყუმბარები და სხვა.

ბაბუშკინის ქუჩაზე, აღმოჩენილ „ВАЗ-2106-ის“ მარკის ავტომანქანიდან ამოღებული იქნა 5 ცალი ავტომატური იარაღი, საბრძოლო მასალა, რაციები, სამხედრო სპეცტანსაცმელი და საქმისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ჩანაწერები. ვარკეთილის მასივის ერთ-ერთ სადგომზე აღმოჩენილ „Mercedes-ის“ მარკის მიკროავტობუსიდან ამოღებული იქნა 11 ცალი ავტომატი თავისი მჭიდებით. მათ შორის (შემთხვევის ადგილიდან გატაცებული დაცვის მუშაკის 1 ავტომატი), ყუმბარმტყორცნი ხელყუმბარები „Муха“, რადიოსადგურები, სამხედრო სპეცტანსაცმელი და სხვა. ქუმსიაშვილის ქუჩაზე „Москвич-ის“ მარკის ფურგონიდან ამოღებულ იქნა 2 ცალი ავტომატი და 1 ცალი ყუმბარმტყორცნი „Муха“.

განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ შემთხვევის ადგილიდან მტკვრის მოპირდაპირე მხარეს, მეტეხის მიმდებარე ტერიტორიიდან ამოღებულ იქნა ვიდეო კამერა კასეტის გარეშე, რომლითაც ტერორისტები აწარმოებდნენ თავდასხმის ვიდეო გადაღებას. ვიდეო კასეტა კი, რომელზედაც ასახულია პრეზიდენტზე თავდასხმის დოკუმენტური კადრები, ერთ-ერთი ტერორისტის ახლო ნათესავის ბინიდან ამოვიღეთ.

უტყუარი მტკიცებულების წარდგენისა და ოდოროლოგიის მეთოდით, გაწვრთნილი ძაღლების მიერ ჩატარებული ექსპერტიზის შემდეგ, ეჭვმიტანილებმა აღიარეს ჩადენილი დანაშაული. დადგენილი იქნა ჯგუფის სხვა წევრებიც.

დაპატიმრებული იქნა ტერორისტული აქტის მზადება-განხორციელებაში მონაწილე 7 ეჭვმიტანილი პირი: ზურაბ გივის ძე ეჯიბია, ბონდო დაფენტის ძე თოდუა, ზაზა ჯემალის ძე მარანელი, გერონტი (გენადი) პლატონის ძე ქობალია, ფელიქს კაპიტონის ძე გულუა, ზაურ ვლადიმერის ძე გულუა (მეტსახელად „ყრუ“) და ზურაბ დავითის ძე ზარანდია.

ტერაქტში ეჭვმიტანილმა სხვა პირებმა: გოჩა ესებუამ, სერგო მესხიამ, იური უბილავამ, ნუგზარ ჩუხუამ, ვეფხო დუგლიშვილმა, ვახტანგ ხარებავამ, მურთაზ მალანიამ, საშა ზაქარაიამ, ბონდო სიგუამ, ბეჟან გავაზავამ, ტარიელ ბუკიამ მიმალვა შეძლეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ საქართველოს პრეზიდენტზე განხორციელებულ ტერორისტულ აქტში ჩეჩენი ეროვნების ტერორისტებიც მონაწილეობდნენ. მათ შორის: ვისამუდინ ბავდინის ძე ჯანგალიევი – ქალაქ ხასავიურტის მცხოვრები, დაიღუპა ტერაქტის ადგილას. სავარაუდოდ იგივე „მუსტაფა“.

ტერაქტში მონაწილე, მიმალვაში მყოფი ეჭვმიტანილი პირები სამეგრელოს რეგიონიდან იყვნენ, ექსპრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მომხრეები, უკანონო შეიარაღებული ფორმირების ყოფილი წევრები. მათი სამეგრელოს რეგიონში შესაძლო გამოჩენის, მოსალოდნელი გართულებებისა და დესტაბილიზაციის თავიდან აცილების მიზნით, რეგიონში მივლინებული იქნა შს სამინისტროს თანამშრომელთა ჯგუფი, რომლებიც ადგილობრივ სამართალდამცავებთან ერთად, ატარებდნენ ოპერატიულ ღონისძიებებს, თუმცა ისინი სამეგრელოში მაინც ჩავიდნენ.

ტერორისტული აქტიდან მეათე დღეს,1998 წლის 19 თებერვალს, გოჩა ესებუას ხელმძღვანელობით შეიარაღებული ჯგუფი ზურაბ შონიას, ჰამლეტ გულორდავას, ბეჟან გვაზავას და სხვათა შემადგენლობით თავს დაესხა ზუგდიდში განლაგებულ გაეროს მისიის სამხედრო დამკვირვებელთა შტაბ-ბინას, დაცხრილეს შტაბ-ბინის ეზოში გაჩერებული რამდენიმე ავტომანქანა და ოფისი, რის შემდეგაც მოახდინეს გაეროს მისიის სამხედრო დამკვირვებელთა ოთხი თანამშრომლის: ურუგვაელი კაპიტნების როლანდ გარსიას და ხულიო ნავასის, ჩეხი პოლკოვნიკის იაროსლავ კულიშევის, შვედი მაიორის მარტინ მოღმარდის გატაცება და მძევლად აყვანა ზუგდიდის რაიონის სოფელ ჯიხაშკარის სოფლის გამგებლის მეგონა მარღიას ოჯახში. მძევლებს იცავდა 20-მდე შეიარაღებული ტერორისტი.

გაეროს მისიის სამხედრო დამკვირვებელთა გატაცებასა და მათი მძევლად აყვანის დროს ტერორისტებს კვალდაკვალ დაედევნა შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომელთა შეიარაღებული ჯგუფები. მათ ალყაში მოაქციეს მეგონა მარღიას საცხოვრებელი სახლი. ზუგდიდში სასწრაფოდ ჩავიდნენ უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების ხელმძღვანელი მუშაკები, ოპერატიულ ჯგუფებთან და სპეცდანიშნულების რაზმებთან ერთად.

შეიქმნა სპეციალურ ღონისძიებათა შტაბი, რომლის წევრი მეც გახლდით.

20 თებერვალს უკვე ზუგდიდში ვიყავი. სამეგრელოს მთავარ სამმართველოს მაშინ ალეკო კუხალაშვილი ხელმძღვანელობდა. ანტიტერორისტულ ღონისძიებებს უშუალოდ უშიშროების მინისტრი, შტაბის ხელმძ-

ღვანელი, გენერალი ჯემალ გახოკიძე უძღვებოდა. ყველა ინფორმაცია მასთან იყრიდა თავს. გატარებული ღონისძიებების შედეგად დადგენილი იქნა გატაცებაში მონაწილე გოჩა ესებუა და მასთან ერთად 25 ეჭვმიტანილის ვინაობა.

გამტაცებელთა დაკავებისა და მძევლების გამოხსნის მიზნით ღონისძიებათა გეგმის რამდენიმე ვარიანტი იქნა შემუშავებული და განხილული. ბატონმა ჯემალმა შესაძლო მსხვერპლის და მოსალოდნელი გართულებების თავიდან აცილების მიზნით, მშვიდობიანი მოლაპარაკების გზა აირჩია. ამის შესახებ ის დაწვრილებით მოგვითხრობს თავის წიგნში „ბეწვის ხიდზე“.

შუამავლების მეშვეობით უშიშროების მინისტრი რამდენჯერმე პირადად შეხვდა შეიარაღებული ფორმირების ლიდერს გოჩა ესებუას. სახელმწიფო უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების მიერ ერთობლივად განხორციელებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, 25 თებერვალს განთავისუფლებული იქნა გოჩა ესებუას შეიარაღებული ჯგუფის მიერ ზუგდიდში, გაეროს სამხედრო დამკვირვებელთა მისიის მძევლად აყვანილი ოთხივე თანამშრომელი. შეიარაღებული ჯგუფიდან 13 წევრი ნებაყოფლობით ჩაბარდა სამართალდამცავ ორგანოებს და ჩააბარა მათ ხელთ არსებული დიდძალი ცეცხლსასროლი იარაღი და სხვა საბრძოლო მასალა. ტერორისტთა ჯგუფის წევრები გოჩა ესებუა და კიდევ ორი პირი 24 თებერვალს მიიმალნენ.

მე თბილისში დავბრუნდი, ხოლო შემდგომი ღონისძიებების ხელმძღვანელად შს სამინისტროდან სამეგრელოში მინისტრის მოადგილე, გენერალი თემურ მურღულია გაემგზავრა.

●

1998 წლის 17 მარტს რუსეთში, ქალაქ სმოლენსკში მთელი ამ „შურისძიების“ აქტის სულისჩამდგმელი და ერთ-ერთი ორგანიზატორი, საართველოს რესპუბლიკის ყოფილი ვიცე-პრემიერი და ფინანსთა მინისტრი, გურამ აბსანძე დააკავეს. აბსანძე იძებნებოდა ბანდიტიზმის, სამშობლოს ღალატის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დიდი ოდენობით დატაცების ბრალდებით.

გურამს სტუდენტობის წლებიდან ძალიან ახლოს ვიცნობდი და საერთო მეგობრებიც გვყავდა. ჩვენ ერთად ვმუშაობდით ყაზახეთში, ყამირზე, სტუდენტურ რაზმებში. შემდეგ წლებში ბევრი რამ გამეგო მასზე, ტყუილიც და მართალიც, მაგრამ ერთი რამ დანამდვილებით ვიცოდი – გამსახურდიას მთავრობის ქვეყნიდან განდევნის ღამეს იგი მძიმედ დაჭრეს და მხოლოდ შემთხვევით გადაურჩა დაღუპვას.

ზვიად გასახურდიას ხელისუფლების დამხობის შემდეგ, გურამი რუსეთში ცხოვრობდა. ჰქონდა საკმაოდ სოლიდური ბიზნესი და მიუხედავად იმისა, რომ ქართველი სამართალდამცავების მიერ იძებნებოდა, მისი დაკავება არავის უცდია. მხოლოდ 1998 წლის თებერვლის ტერაქტის შემდეგ შეგროვილი მასალების საფუძველზე გაჩნდა მისი, როგორც პრეზიდენტზე ტერორისტული აქტის ერთ-ერთი სულისჩამდგმელის დაუყოვნებლივ დაპატიმრების აუცილებლობა. როგორც ზემოთ აღვნიშნე ედუარდ შევარდნაძეზე ტერორისტული აქტი ხანგრძლივი დროის განმავლობაში მზადდებოდა რუსეთის ტერიტორიაზე. ტერორისტებმა სპეციალური მომზადება ჩეჩნეთში გაიარეს და შეუძლებელია ეს რუსეთის სპეცსამსახურებს გამოჰპაროდათ, მაგრამ ფაქტია, რომ მის აღსაკვეთად არავითარი ზომები არ მიუღიათ.

ჩვენდა გასაკვირად რუსეთის მხარე დაუყოვნებლივ გამოეხმაურა გურამ აბსანძის დაკავებისა და ექსტრადირების მოთხოვნას და მოკლე ხანში დააკავა კიდეც. ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ გურამს მშრალი შიმშილობა ჰქონდა გამოცხადებული, რაც ქვეყნის პოლიტიკურ წრეებში და საზოგადოებაში ზედმეტად არასასურველ დაძაბულობას ქმნიდა. საჭიროდ ჩავთვალე, რომ გამოძიების მშვიდ ვითარებაში წარმართვისა და საქმეებზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის მიზნით, დაძაბული ვითარება მომეხსნა.

შევხვდი მინისტრს და ვუამბე ჩემი და გურამის ურთიერთობის შესახებ. თან შევთავაზე, რომ მისი ექსტრადირება ჩემთვის მოენდო. ბატონი კახა დამეთანხმა, რომ სიტუაციის განეიტრალება, ეჭვმიტანილის დამშვიდება და მასთან გარკვეული ნდობის ფაქტორის მოპოვება საქმეს წაადგებოდა.

გადაწყდა ყველა ორგანიზაციული საკითხი და 19 მარტს დილით თბილისის აეროპორტიდან ჩარტერული რეისით გავფრინდით. თან მახლდნენ სამედიცინო სამსახურის ხელმძღვანელი გია აბესაძე, თავის ორ კოლეგასთან ერთად და დეპარტამენტის ოთხი ოპერმუშაკი. 13 საათსა და 50 წუთზე მოსკოვში, „ვნუკოვოს“ აეროპორტში დავეშვით, სადაც სხვა ოფიციალურ პირებთან ერთად დსთ-ს ქვეყნებში შს სამინისტროს წარმომადგენელი, გენერალ-მაიორი ერისტო (ამური) კვერნაძე და რუსეთის შს სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებროს ხელმძღვანელი, გენერალი ივან ხრაპოვი მელოდნენ. პატიმრის გადმოცემის ოფიციალური ნაწილი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განხორციელდა და 16 საათსა 00 წუთზე ჩვენ მოსკოვი დავტოვეთ. უნდა წარმოიდგინოთ გურამის უსაზღვრო გაკვირვება და დაბნეულობა, როდესაც ამ გარემოცვაში შემნიშნა.

ჩემი განკარგულებით მას მაშინვე მოხსნეს ხელბორკილები და ჩვენ ერთმანეთი გულთბილად მოვიკითხეთ. ბიჭებმა სახელდახელო სუფრა გაშალეს „წინასწარ“ შედგენილი მენიუს მიხედვით. გურამს შევთავაზე ერთად გვესადილა და თანაც ქართული კონიაკით აღგვენიშნა ჩვენი ასეთი

უჩვეულო გარემოში შეხვედრა. თავიდან მან მომიბოდიშა და მითხრა, რომ შიმშილობა ჰქონდა გამოცხადებული, მაგრამ ცოტათი წყენა რომ შემატყო და სიტუაცია საღად შეაფასა, მაგიდას შემოუჯდა. თბილისამდე გულახდილად ვიხსენებდით წარსულს და კონიაკს შევექცეოდით.

18 საათსა 25 წუთზე თბილისის აეროპორტში გურამ აბსანძე რეზო ფოჩხუას გადავაბარე და მინისტრს მოვახსენე, რომ „აბსანძემ შიმშილობა შეწყვიტა და მე-5 იზოლიტორშია დაბინავებული“.

შემდეგში გურამ აბსანძის სისხლის სამართლის საქმის გამოძიებაში მონაწილეობა არ მიმიღია. მაგრამ რამდენიმე შეხვედრა კიდევ მქონდა მასთან.

უზენაესი სასამართლოს განაჩენით გურამ აბსანძეს 17 წელი მიესაჯა. ხანგრძლივი ვადით პატიმრობა მიესაჯათ ასევე ტერაქტის სხვა მონაწილეებსაც. შემდგომ 2001 წლის 13 ნოემბერს უზენაესმა სასამართლომ გურამ აბსანძეს ყველა დანაშაული მოუხსნა და მხოლოდ სახელმწიფო სახსრების მიტაცებაში ცნო დამნაშავედ, რისთვისაც 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. შემდეგ იყო გურამისა და მისი თანამოაზრეების სკანდალური გაქცევა ე.წ. „რეზბალნიციდან“. როგორც გახსოვთ ისინი მალევე დააკავეს.

2002 წლის 19 აპრილს გურამ აბსანძე განთავისუფლდა პატიმრობიდან და მალე სააკაშვილის მთავრობაში სახელმწიფო მინისტრის თანამდებობაც ეკავა.

●

31 მარტს სოფ. ონარიაში შს სამინისტროს თანამშრომელთა მიერ დამნაშავეთა დაკავების სპეცოპერაციისას, ორმხრივი სროლის დროს ლიკვიდირებული იქნა პრეზიდენტზე განხორციელებული ტერაქტის შეიარაღებული ჯგუფის ხელმძღვანელი გოჩა ესებუა. დააკავეს მასთან ერთად მყოფი პაატა ზარქუა, კუდავა, თორდია და ნაკაშიძე.

1998 წლის 1 აპრილის რეგისტრირებულ

დანაშაულთა სადღეღამისო კრებსიდან:

„31 მარტს, შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროების თანამშრომლების მიერ მიღებული ინფორმაციის შედეგად, დადგენილი იქნა, რომ 9 და 19 თებერვლის ტერაქტების ერთ-ერთი ორგანიზატორი, ზუგდიდში, თავისუფლების ქ. №113-ში მცხოვრები, 1965 წ. დაბ. გოჩა სერგოს ძე ესებუა შეიარაღებულ პირთა ჯგუფთან ერთად, ამზადებდა თავდასხმას მნიშვნელოვან სახელმწიფო ობიექტებზე. გატარებული ოპერატიულ-სამძებრო

ღონისძიებების შედეგად, შს სამხარეო მთავარი სამმართველოსა და ზუგდიდის პოლიციის სამმართველოს თანამშრომლებმა, შს მინისტრის მოადგილის, პოლიციის გენერალ-მაიორის თემურ მურღულიას ხელმძღვანელობით, ალყა შემოარტყეს ზუგდიდის რაიონის სოფ. კოლხიდაში მცხოვრებ პარმენ ათანასეს ძე ნაკაშიძის საცხოვრებელ ბინას, სადაც აღნიშნული შეიარაღებული ჯგუფი იმყოფებოდა. მათ წინადადება მიეცათ დაეყარათ იარაღი და ჩაბარებოდნენ პოლიციას. მიუხედავად ამისა, მათ ავტომატური იარაღიდან ინტენსიური ცეცხლი გაუხსნეს პოლიციის თანამშრომლებს, რა დროსაც მსუბუქად დაიჭრა პოლიციელი. საპასუხო სროლის შედეგად ადგილზე ლიკვიდირებული იქნა ბანდის მეთაური გოჩა ესებუა, ხოლო მისი ჯგუფის წევრები რუბენ კუდავა, ზურაბ თორდია, პაატა ზარქუა, პარმენ ნაკაშიძე დაკავებულნი იქნენ, ხოლო ძებნილმა ბეჟან გვაზავამ მოახერხა მიმალვა. შემთხვევის ადგილიდან ამოღებულია 2 ავტომატი, 2 პისტოლეტი, 2 ყუმბარმტყორცნი, 3 ხელყუმბარა, ყუმბარმტყორცნის 3 ჭურვი და დიდი რაოდენობით ავტომატების ვაზნები.

გამოძიებას აწარმოებს სამხარეო პროკურატურა“.

ტრაგიკული მოვლენები ელვის სისწრაფით ვითარდებოდა.

5 აპრილს ესებუას დაკრძალვის პროცესს თავს დაესხა გია მესხია, მეტსახელად „კინგ-კონგი“, რომელმაც ღალატის მოტივით ადგილზევე მოკლა ზურაბ შონია, მეტსახელად „პუშკინა“. მესხიას დაკავების მცდელობისას მან გამოიყენა ხელყუმბარა, რასაც კიდევ ოთხი ადამიანის დაღუპვა და ექვსის დაჭრა მოჰყვა. თავდამსმხმელები კი შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

1998 წლის 5 აპრილს რეგისტრირებულ

დანაშაულთა სადღეღამისო კრებსიდან:

5 აპრილს, 17.30 წთ. რუსთაველისა და ლუქსემბურგის ქუჩების გადაკვეთაზე, 9 თებერვლის ტერაქტში და 19 თებერვალს გაეროს წარმომადგენლების გამტაცებელთა დაკავებისას დაღუპული გოჩა სერგოს ძე ესებუას დაკრძალვის პროცესიას თავს დაესა გაეროს წარმომადგენლების გატაცების თანამონაწილე, ექსპრეზიდენტის აქტიური მომხრე, გიორგი ლეოს ძე მესხია, რომელმაც „Макаров-ის“ სისტემის პისტოლეტიდან მოკლა აღნიშნული გატაცების თანამონაწილე, შემორიგებული ზურაბ შონია. სამგლოვიარო პროცესიაში მყოფი გატაცების სხვა თანამონაწილეები შეეცადნენ წაერთვათ იარაღი მესხიასათვის, მაგრამ მან ააფეთქა ხელყუმბარა „Ф-1“, რის შედეგადაც დაიღუპნენ: ნუგზარ მიქენაია და გურამ დოჩია. სხეულის დაზიანებები მიიღეს: დემურ ბერულავამ, ბადრი მაქაცარიამ, ზვიად კაკაჩიამ, ტარიელ ძაძამიამ, გოგიტა ესებუამ და ბესიკ გვილავამ. მესხია იმალება.

გამოძიებას აწარმოებს ზუგდიდის პროკურატურა“.

2004 წელს ხელისუფლებაში „ვარდოსნების“ მოსვლის შემდეგ, ეროვნული თანხმობის სახელმწიფო კომისიის გადაწყვეტილებით, ზვიად გამსახურდიას მომხრე მრავალი ძებნილი თუ პატიმრობაში მყოფი ადამიანი შემორიგებული და ამნისტირებული იქნა. მათ შორის გია მესხიაც და მისი თანამებრძოლებიც. ამ პროცესს მაშინ უკვე სახელმწიფო მინისტრის პოსტზე მყოფი გურამ აბსანძე ხელმძღვანელობდა.

5 მაისს შინაგან საქმეთა სამინისტროში 9 თებერვლის ტერორისტულ აქტთან დაკავშირებით კოლეგიის სხდომაზე ვიმსჯელეთ. ტერაქტი და შემდეგ განხორციელებული რამდენიმე უმძიმესი დანაშაული, რომელიც პრეზიდენტზე განხორციელებულ ტერაქტთან იყო კავშირში, შეფასდა, როგორც სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის წინააღმდეგ მიმართული, კარგად ორგანიზებული ტერორისტული აქტი, რომელსაც შესაძლოა მოჰყოლოდა ქვეყნის სახელმწიფოებრიობის ნგრევა.

კოლეგიაზე მივედით იმ დასკვნამდე, რომ ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებდა ზუგდიდისა და სამეგრელოს სამხარეო პოლიციის და უშიშროების სამსახურების მუშაობა. უარყოფითად შეფასდა ქალაქ თბილისის მთავარი სამმართველოს და შს სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მოქმედებაც 9 თებერვლამდე პერიოდში.

რამდენადაც სწორად მახსოვს კოლეგიის გადაწყვეტილებით თანამდებობიდან განთავისუფლდნენ: დემურ მიქაძე, ემზარ საბანაძე, ალეკო კუხალაშვილი და სხვა პასუხისმგებელი პირები. სასტიკი საყვედურები გამოეცხადათ: თემურ მურღულიას, სოსო ალავიძეს, უშანგი მგელაძეს, მიხეილ სალაძეს და თქვენ მონა-მორჩილს – ავთანდილ ჩხაიძეს. ეს იყო ჩემს პირად საქმეში პირველი და უკანასკნელი საყვედური, რომელიც მუშაობის დროს მივიღე.

სასჯელები დაედოთ თანამდებობის სხვა პირებსაც. თუმცა სასჯელს ვინ ამბობდა, ქვეყანა დიდ უბედურებას გადაურჩა!

წინ კი თურმე, ახალი სიურპრიზები გველოდა.

გალის მოვლენები

თებერვლის ტერაქტის და გოჩა ესებუას მოვლენებით გამოწვეული ამბები ჯერაც კარგად არ იყო ჩამცხრალი, რომ ქვეყანა ახალი, მეტად სერიოზული პრობლემის წინაშე აღმოჩნდა. აფხაზეთის დაკარგვის შემდეგ, ლტოლვილ მებრძოლთა და მოხალისეთა მიერ შეიქმნა ე. წ. პარტიზანული მოძრაობა. აღნიშნული ჯგუფები დამოუკიდებლად გეგმავდნენ საბრძოლო ოპერაციებს გალის, ტყვარჩელისა და ოჩამჩირის რაიონებში და ბრძოლას აგრძელებდნენ. ეს არაოფიციალური ფორმირებები, ხელისუფლებისაგან რამდენად კონტროლდებოდნენ და ვის მიერ, ვერაფერს მოგახსენებთ, ხოლო რუსი სამშვიდობოები არც კი ცდილობდნენ მათთვის ხელის შეშლას.

სიტუაციამ გარკვეულ პირთა ჯგუფს შეუქმნა ილუზია, რომ კარგად დაგეგმილი შეიარაღებული საბრძოლო მოქმედებით შესაძლებელი იყო ამ რაიონების უკან დაბრუნება. 1997 წლის აგვისტოდან დაიწყო ამ ჯგუფების განსაკუთრებული აქტიურობა, რომელმაც პიკს 1998 წლის მაისში მიაღწია.

პარტიზანული დანაყოფები გალში ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე შევიდნენ. არც აფხაზური შეიარაღებული ძალების და არც რუსი „სამშვიდობოებისგან“ წინაააღმდეგობა არ შეხვედრიათ. თუმცა მალე გაირკვა, რომ მათი დიდი ნაწილი მოწინააღმდეგის ალყაში იყო მოქცეული.

დაიწყო შეიარაღებული შეტაკებები.

ჩანაწერი დღიურიდან:

1998. 22 მაისი. 18.30 წთ. მატყობინებენ – „ბიჭები მაგრად იბრძვიან. სჭირდებათ ყუმბარმტყორცნის ჭურვები“.

1998. 23 მაისი. გალში ძალზე სერიოზული მდგომარეობა შეიქმნა. გავერიდებით – მოსახლეობის ბედის ანაბარა მიტოვება არ შეიძლება. ჩავერევით – მოხდება კონფლიქტის ესკალაცია, არადა აშკარაა, რომ ჩვენ ამისთვის მზად არ ვართ. ძალზე საეჭვოდ მოქმედებენ რუსი „სამშვიდობოები“. ისინი თავისუფლად უშვებენ შეიარაღებულთა გადაადგილებებს. აშკარაა, რომ აქ რაღაც დაგეგმილი პროვოკაციაა ჩვენს წინააღმდეგ. ამის დაშვება არ შეიძლება. უნდა ვეცადოთ სიტუაციის განმუხტვა. ეს უფრო ნაკლებად წამგებიანი იქნება ვიდრე მოსალოდნელი მძიმე შედეგი. პოლიტიკური პარტიები ამას პრეზიდენტის და მინისტრის საწინააღმდეგოდ გამოიყენებენ. ამაზე უკვე გააკეთეს განცხადებები ვ. გოგუაძემ და ი. სარიშვილმა – იხ. „დილის გაზეთი“ – 24.05.1998 წ.

15.00. გალში გართულებაა. მინისტრი გაფრინდა ზუგდიდში.

17.00. მოვიდა მიხო მორჩილაძე. ითხოვს სადღაც გავაფორმოთ 21 კაცით და წავა პარტიზანების დასახმარებლად. ამასთან ერთად უკიდურესად უარყოფით შეფასებას აძლევს პარტიზანული მოძრაობის არაპროფესიონალიზმსა და ტაქტიკას.

1998. 25 მაისი. ზუგდიდიდან დაბრუნდა მინისტრი.

ასეთ ვითარებაში უშიშროების საბჭოზე მიღებული იქნა გადაწყვეტილებები, პრეზიდენტმა გააკეთა განცხადება. თავდაცვის სამინისტრო პრაქტიკულად გაემიჯნა მოვლენებს და სიტუაციის განმუხტვის ღონისძიებანი უშიშროების სამინისტროსთან ერთად შს სამინისტროს დაევალა.

მებრძოლი პარტიზანების და მოსახლეობის მშვიდობიანად გამოყვანას მინიმალური დანაკარგებით ახორციელებდა უშიშროების სპეცდანიშნულების რაზმი, გია გულუას სახელობის სპეცდანიშნულების რაზმი და შინაგანი ჯარების ბრიგადა ჯონი ტომარაძის ხელმძღვანელობით. ადგილი ჰქონდა შეიარაღებულ შეტაკებას.

პრეზიდენტის დავალებით ვაჟა ლორთქიფანიძე, ირაკლი მენაღარიშვილი და კახა თარგამაძე გადაფრინდნენ ადლერში, სამშვიდობო ძალების სარდლობასთან და ვლადისლავ არძინბასთან შესახვედრად. შეხვედრაზე მიღებული იქნა ცეცხლის შეწყვეტის გადაწყვეტილება, თუმცა აფხაზეთთან და რუსეთთან ურთიერთობა უკიდურესად გამწვავდა. ქართულმა მხარემ ნახა საგრძნობი დანაკარგები. ქვეყანაში გალის რაიონიდან უკან გადმოვიდა იქ არალეგალურად დაბრუნებული 40.000 ლტოლვილი. გადაიწვა და განადგურდა ქართული სოფლები“.

უშიშროების ყოფილი მინისტრი ჯემალ გახოკიძე თავის წიგნში „ბეწვის ხიდზე“[24] წერს: „პარტიზანების შეტყუების, ხაფანგის დაგებისა და ამ სამხედრო ავანტიურის ავტორები ჩრდილში დარჩნენ. მაშინ ამ ავანტიურას ჰქონდა თავისი კონკრეტული მიზნებიც: ერთი მხრივ, საქართველოს მორიგ ეთნიკურ კონფლიქტში ჩათრევა მნიშვნელოვნად შელახავდა ხელისუფლების მიერ განხორციელებულ პოლიტიკურ კურსს... მეორე მხრივ, გათვალისწინებული იყო ლტოლვილთა ახალი ნაკადის გამოყენება ხელისუფლების წინააღმდეგ ნეგატიური ფონის შესაქმნელად“. აქ ფრთხილად, მაგრამ გასაგებად ყველაფერია ნათქვამი.

არ შეიძლება ბატონი ჯემალის ამ მოსაზრებას არ დაეთანხმო, რომელიც ძალზე მოზომილია, რადგან ყველაფერს ვერ იტყვი. თუმცა ნათქვამია, „ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასაო“, ჰოდა თუკი ის დრო მოვა, როცა თქმა აჯობებს, მაშინ გარწმუნებთ, რომ სათქმელიც ბევრია და მტკიცებულებანიც, რომელიც, რამდენადაც ვიცი, საკმაოდ შემორჩა.

დასასრულს მაინც მინდა პირდაპირ განვაცხადო, რომ ეს ავანტიურა დაგეგმეს იმ ადამიანებმა, რომლებიც განსაკუთრებულად იყვნენ დაინტერესებული პრეზიდენტისა და ძალოვანი მინისტრების ვადამდელი გადადგომით.

გონიერ მკითხველს ამ ადამიანების ჯგუფის ამოცნობა მჯერა, რომ არ გაუჭირდება.

---

[24] ჯემალ გახოკიძე. „ბეწვის ხიდზე“. თბ. 2013. გვ. 36

ჩანაწერი დღიურიდან:

1998. 27 მაისი „ქვეყანამ, რომ ომი მოიგოს, უნდა ჰქონდეს ძლიერი ეკონომიკა, უნდა ჰყავდეს ძლიერი ჯარი, უშიშროება, დაზვერვა, უნდა ჰქონდეს ფინანსები და რაც მთავარია, უნდა ჰყავდეს იდეურად საომრად განწყობილი ადამიანები.

ჩვენ არცერთი ეს ნიშანი არ გაგვაჩნია და ასეთ საქმეს ჯერ არ უნდა შევეჭიდოთ, ისიც დილეტანტების მეშვეობით“.

ელიავას ამბოხი

გალის მოვლენების შემდეგ ქვეყანაში ამ პროვოკაციით გამოწვეული რყევები კარგა ხანს გრძელდებოდა. განსაკუთრებით რთული სიტუაცია გვქონდა სამეგრელოს რეგიონში, სადაც მძიმე დანაშაულებზე ძებნილი პირების გარდა, თავს აფარებდნენ შეიარაღებული კრიმინალური ბანდები და ზვიად გამსახურდიას ერთგული მებრძოლები, რომლებიც კვლავაც შეიარაღებული წინააღმდეგობის გზით ფიქრობდნენ ხელისუფლებაში დაბრუნებას. მრავლად იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ოფიციალურად დაექვემდებარნენ თავდაცვის სამინისტროს, მაგრამ მაინც საშიშროებას წარმოადგენდნენ.

24 აგვისტოს ზუგდიდში აღმაშფოთებელი ფაქტი მოხდა. კუსტარული მოწყობილობით (სილეტრა), ააფეთქეს საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულის ადმინისტრაციული ოფისის მეორე ფლიგელი. დაიღუპა ერთი და მძიმედ დაიჭრა რვა მოქალაქე.

იმავე დღესვე ზუგდიდში უშიშროების სამინისტროს პირველ პირებთან და შს სამინისტროს მუშაკებთან ერთად ჩავედი.

მეორე დღეს ჩამოფრინდა სახელმწიფო მინისტრი ვაჟა ლორთქიფანიძეც. ოპერატიული შტაბის სხდომაზე მან გადმოგვცა პრეზიდენტის აღშფოთება და აღნიშნა, რომ ის მომხდარს უკიდურესად მძიმე შეფასებას აძლევდა. უშიშროების სამინისტრომ ტელევიზიით გაავრცელა ინფორმაცია დანაშაულის გახსნაში დახმარებისთვის 20.000 ლარის ოდენობის ჯილდოს დაწესების შესახებ. ჩვენ კი მთელ რეგიონში დავიწყეთ მასშტაბური ოპერატიულ-პროფილაქტიკური ღონისძიებანი. მე რამდენიმე დღეში თბილისში დავბრუნდი, ხოლო ზუგდიდში კვლავ შს მინისტრის მოადგილე თეიმურაზ მურღულია გაემგზავრა.

მდგომარეობა კიდევ უფრო რთულდებოდა. მინისტრთან სამეგრელოში შექმნილ სიტუაციას განვიხილავდით. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციებით ნათელი იყო, რომ საქართველოში თუ მის გარეთ მყოფი დესტრუქციული ძალები სერიოზული კონფლიქტისთვის ემზადებოდნენ. აქ ყურადღების მოდუნება არანაირად არ შეიძლებოდა და ამიტომაც სასწრაფოდ შეიქმნა სამეგრელო-გურიის რეგიონში გასატარებელ ღონისძიებათა გეგმა და ახალი შტაბი მინისტრის მოადგილის თემურ მურღულიას ხელმძღვანელობით. ბატონმა თემურმა ხანგრძლივი დროით სამეგრელოში დაიდო ბინა.

ღონისძიებები უშიშროების სამინისტროს ხელმძღვანელობასთან კოორდინირებულად მიმდინარეობდა. მომხდარი დანაშაულის გახსნა მათ პრეროგატივას წარმოადგენდა.

თემურ მურღულია ყოველდღიურად გვაწვდიდა ინფორმაციას მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით. 15 ოქტომბერს მისგან გავიგეთ, რომ აკაკი ელიავას შეხვედრა ჰქონდა ზვიად გამსახურდიას მხარდამჭერ რამდენიმე პირთან და მათ დაავალა 16 ოქტომბრის საღამოსთვის შეეკრიბათ თავიანთი თანამოაზრეები, გადაეკეტათ რიკოთის უღელტეხილზე გამავალი საავტომობილო და სარკინიგზო გზა და მოეთხოვათ პრეზიდენტის გადადგომა. ამასთან ერთად დაარწმუნა ისინი, რომ მილიცია და ჯარი მათ წინააღმდეგ არ იმოქმედებდნენ.

საღამოს აღნიშნული ინფორმაცია გავაცანი უშიშროების მინისტრს. მოსალოდნელი ბუნტის შესახებ ინფორმირებული იქნა ყველა სტრუქტურა და მათი ხელმძღვანელი.

19 ოქტომბერს, 02 საათზე, სენაკის ბრიგადიდან გამოვიდა დაახლოებით 10 ერთეული საბრძოლო მანქანა და შეიარაღებულ პირებთან ერთად სამტრედია-ხონის მიმართულებით დაიძრა.

რა მოხდა და როგორ განვითარდა ამბოხება ამაზე იმდენი დაიწერა და ითქვა, თქვენს ყურადღებას აღარ გადავღლი. თუმცა საჭიროდ მიმაჩნია კიდევ ერთი ამონაწერი გაგაცნოთ ჯემალ გახოკიძის ზემოხსენებული წიგნიდან:

> „ვფიქრობ, კიდევ ერთი რამ არის გასახსენებელი გალის ამბებთან დაკავშირებით. სერიოზული უკმაყოფილება გამოიწვია ამ ამბებმა პოლიტიკურ წრეებში, მოსახლეობაში. განსაკუთრებით ამწვავებდნენ სიტუაციას პარლამენტში. ძირითადად შეტევა მიჰქონდათ შს სამინისტროზე და მის ხელმძღვანელობაზე, რა თქმა უნდა, პირველ რიგში მინისტრ კახა თარგამაძეზე. მე არა ერთხელ დავიცავი ისინი პარლამენტში და უშიშროების საბჭოს სხდომაზე და მქონდა კიდეც საამისო არგუმენტები, რომელთა გამოყენებით ჩვენი ოპონენტები ნაწილობრივ განვაიარაღეთ. რაც შეეხება ჩემს არგუმენტებს, მათი გამჟღავნების დრო დღესაც არ დამდგარა.
>
> ბარემ იმასაც ვიტყვი, რომ ე. წ. ელიავას ამბოხის შემდეგ ანალოგიურად გამწვავდა ვითარება გარეთაც და შიგნითაც, ამ უაღრესად დაძაბულ ვითარებაში მთელი პასუხისმგებლობა მე ვიკისრე. საქმე ის გახლავთ, რომ 1998 წლის 19 ოქტომბერს ხელისუფლების წინააღმდეგ სამხედრო ამბოხი მოაწყო თავდაცვის სამინისტროს სენაკის ბრიგადამ, მისი ხელმძღვანელის ასმავას მეთაურობით. აკაკი ელიავამ მაშინ ფასადის როლი ითამაშა!“.[25]

ძირითადად ვეთანხმები ბატონ ჯემალს და აბსოლუტურად მესმის მისი გულისტკივილი. მაგრამ საქმე ისაა, რომ როგორც თვითონ ამბობს, ზოგიერთი არგუმენტების გამჟღავნების დრო დღესაც არ დამდგარა და ამიტომ მეც თავს შევიკავებ. ჩემზე მეტი კი ვფიქრობ, სხვასაც აქვს სათქმელი.

---

[25] ჯემალ გახოკიძე. „ბეწვის ხიდზე“. თბ. 2013. გვ. 37-38

ის კი მინდა ვთქვა, რომ არა პრეზიდენტის, უშიშროების საბჭოს და ძალოვანი სტრუქტურების ცალკეულ ხელმძღვანელთა ლოიალური და ლმობიერი დამოკიდებულება კონკრეტული კრიმინალური ელემენტებისა და აშკარად „მოთამაშე“ პოლიტიკოსებისადმი, ქვეყანაში სიტუაცია ბევრად უკეთესი იქნებოდა.

ელიავას ამბოხის გამო ჯემალ გახოკიძე დაკავებული თანამდებობიდან გადადგა!

ჟურნალისტი გიორგი უძილაური თავის პუბლიკაციაში „როგორ შეიძლება ქვეყანაში „ჯანყი“ მზადდებოდეს და უშიშროებამ კი არაფერი იცოდეს“,[26] წერდა:

> „გუშინ ბევრმა ოპოზიციონერმა ხელისუფლებას გადააბრალა „სენაკის ჯანყის“ მიზეზი და სწორადაც მოიქცა. 19 ოქტომბრის აქციამ გვაჩვენა, რომ საქართველო, როგორც სახელმწიფო ორგანიზმი, ფაქტობრივად, არ არსებობს. არაა საჭირო მომაბეზრებელი თავის მართლების მოსმენა თავდაცვის მინისტრისგან. თვით თევზაძეს არა აქვს შნო მართოს უწყება, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი სამინისტრო არ გახდებოდა დესტაბილიზაციის ბუდე.
>
> გახოკიძეს ურჩევნია, ან ზვიადისტი გახდეს, ან გაილახოს, თორემ საქართველოში მას მინისტრად აღარავინ ჩათვლის. როგორ შეიძლება, ქვეყანაში ჯანყი მზადდებოდეს და უშიშროების სამინისტრო გაგებაში არ იყოს. სამაგიეროდ, მშვენივრად დაიძვრინა თავი კახა თარგამაძემ, რომელიც თბილისში დარჩა წესრიგის შესანარჩუნებლად და კომენდანტის საათის შემოღების პროექტის საწერად. რამე რომ იყოს, პასუხისმგებელი თევზაძეა, შსს კი გადარჩება, თუმცა გახოკიძესთან ერთად თარგამაძეც უნდა ჩაჰბარებოდა ტყვედ აჯანყებულებს, ან ტყვედ თუ არა, შინაგანი ჯარები მაინც უნდა გაეყვანა ქუთაისის დასაცავად. შიდა პრობლემების მოგვარება შსს კომპეტენციაა.
>
> მოკლედ, ძალისმიერმა სტრუქტურებმა პასუხი უნდა აგონ. რაც შეეხება აჯანყებას, საეჭვოა, რომ მას სერიოზული სამხედრო კონფლიქტი მოჰყვეს. საქართველო გაიზარდა და ომობანას აღარ ითამაშებს, უნდათ ეს ზვიადისტებს თუ არა. თუმცა ზვიადისტებს თავისი გაჭირვება ეყოფათ, ისინი უმცირესობაში არიან, მაგრამ, როცა ხელისუფლება უშვებს შეცდომებს, ეს უკვე შეშფოთების ნიშანია. დღეს დილიდანვე პრეზიდენტმა და მმართველი პარტიის ლიდერებმა ისტერიკა ატეხეს – „სახელმწიფო გადატრიალებაა“, „რევოლუციაა“, მაგრამ პანიკა საჭირო არ იყო. ტერაქტებში გამოწრთობილი მოსახლეობა ძალიან გაგებით შეხვდა „სენაკის ჯანყს“, უფრო სწორად რომ ვთქვათ, გულგრილობას იჩენდა, რომ არა ისტერიკა – არიქა, დავიღუპეთო. რა მოხდა, მორიგი აურზაურია, ეს ხომ დღევანდელი საქართველოს ჩვეული ცხოვრება გახდა“.

---

[26] გიორგი უძილაური. „როგორ შეიძლება ქვეყანაში „ჯანყი“ მზადდებოდეს და უშიშროებამ კი არაფერი იცოდეს“. გაზ. „ახალი თაობა“. 20 ოქტომბერი. 1998

კიდევ ერთხელ მინდა აღვნიშნო, რომ მოსალოდნელი ჯანყის შესახებ ჩვენგან დროულად იყვნენ ინფორმირებულები უწყებები, მაგრამ მათგან ეს რატომღაც გათვალისწინებული არ იქნა.

შეხვედრები, შთაბეჭდილებები

საბერძნეთი

1998 წლის 1-2 ოქტომბერს საბერძნეთის კუნძულ კორფუზე, კერკურაში, შავი ზღვის აუზის ქვეყნების შინაგან საქმეთა მინისტერიალი იყო დაგეგმილი. თბილისიდან ათენში სექტემბრის ბოლოს გავფრინდით მინისტრის პირველი მოადგილე ჯიმი მიქელაძე (დელეგაციის ხელმძღვანელი), ინტერპოლის ხელმძღვანელი კოტე როგავა, საერთაშორისო ურთიერთობათა განყოფილების უფროსი დავით ღლონტი და მე, იმჟამად კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარე.

ისე მოხდა, რომ მინისტერიალის დაწყებამდე ერთი-ორი დღე თავისუფალი გვქონდა და ათონის მთაზე გამგზავრება გადავწყვიტეთ. კოტე როგავას ეს მარშრუტი წინასწარ ჰქონდა დაგეგმილი და საჩუქრებიც მომზადებული.

ათონის მთა ნახევარკუნძულია და ავტონომიურ თვითმმართველობას წარმოადგენს. იგი რამდენიმე ათეულ მონასტერს აერთიანებს, რომელშიც რამდენიმე ათასი ბერძენი, რუსი, სერბი, ბულგარელი და სხვა ეროვნების მართლმადიდებელი ბერი მოღვაწეობს. ჩვენს განსაკუთრებულ ინტერესს ათონის ივერთა მონასტრის და ივერიის ღვთისმშობლის ხატის მოლოცვა-მონახულება წარმოადგენდა. ათონის ივერთა მონასტერი 980-983 წლებში წმინდა იოანე მთაწმინდელისა და ღირსი მამა იოანე-თორნიკეს მიერ იქნა დაარსებული და უდიდესი როლი შეასრულა ქართული კულტურის და მწიგნობრობის განვითარებაში.

ჩვენდა სამწუხაროდ, ბერძნების განსაკუთრებული აქტიურობის შედეგად ივერთა მონასტერი მთლიანად მათ ხელში გადავიდა და იქ პრაქტიკულად ქართველი ბერები არც იმყოფებოდნენ.

უკანასკნელ წლებში, ჩვენდა სასიხარულოდ, ღვთის მადლით გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც დიდ ქართულ საქმეს ჩაუყარეს საფუძველი და მიუხედავად მრავალი წინააღმდეგობისა, ათონის მთაზე ააგეს და აამოქმედეს ქართული სავანე, რომელიც წმინდა ათანასე დიდის ლავრას ექვემდებარება და იურისდიქციით მსოფლიო საპატრიარქოს ეკუთვნის.

ყველა ღვთისმსახურისა და მორწმუნის ჩამოთვლას აქ ნამდვილად ვერ შევძლებ, ვინც ამ დიდებულ საქმეში მიიღო მონაწილეობა, მაგრამ არ შემიძლია განსაკუთრებული მადლიერებით არ მოვიხსენიო ათონის მთაზე მოღვაწე ბერი ილარიონი (ერისკაცობაში მაიზერ ლიპარტელიანი) და მისი ძმა, ცნობილი ქართველი ბიზნესმენი, საქართველოს პარლამენტის რამდენიმე მოწვევის წევრი გოგი ლიპარტელიანი.

დილით სალონიკში ჩასულებმა კატარღა ვიქირავეთ, რადგან ათონის მთაზე სახმელეთო გზით მისვლა არ შეიძლება და წმინდა მთისკენ ზღვით გავემართეთ. ნებართვები და მოგზაურობასთან დაკავშირებული სხვა საკითხები კოტეს ჰქონდა მოგვარებული.

ზღვა საკმაოდ აბოოქრებული შეგვხვდა. დაახლოებით ერთი საათის ცურვის შემდეგ ნაპირს მივადექით, მაგრამ ვაი იმ მისვლას. ბატონ ჯიმის გულისრევისგან პულსი ძლივს ესინჯებოდა, ხოლო მე ჯერ კიდევ აღვიქვამდი ამქვეყნიურ მშვენიერებას. კოტესა და დავითზე ამ მოგზაურობას არანაირად არ უმოქმედია. ასეთ მდგომარეობაში ვესტუმრეთ ივირონს. მასპინძლებს მაშინვე ვთხოვე, რომ დელეგაციის ხელმძღვანელისთვის მოსასვენებელი ოთახი გამოეყოთ, ძალიან მძიმე მდგომარეობაში იყო. ჩვენ მოვილოცეთ დიდებული ტაძარი, სანთლები ავანთეთ ივერიის ღვთისმშობლის ხატთან, მოვინახულეთ ტაძარში გამოფენილი ისტორიული ექსპონატები და სამახსოვრო საჩუქრები გადავეცით მასპინძლებს. შემდეგ იყო დიდებული ტრაპეზი და ფიქრი იმაზე თუ რა გველოდა უკანა გზაზე. საღამოთი დავემშვიდობეთ ჩვენს ძვირფას მასპინძლებს და სალონიკში, სასტუმროში დავბრუნდით. ჯიმი მიქელაძე ისეთ მძიმე მდგომარეობაში იყო რომ სამედიცინო დახმარებაც კი დასჭირდა. მას შემდეგ კატარღით, გემით და ასეთი სახის ტრანსპორტით აღარასოდეს მისარგებლია.

მეორე დღეს სალონიკიდან ათენში დავბრუნდით და მინისტერიალის სხვა მონაწილეებთან ერთად კუნძულზე გავემგზავრეთ. აეროპორტში რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრ სტეპაშინს ბატონი ჯიმი ასე გაეცნო: „Первый заместитель Министра внутренних дел Грузии князь Микеладзе“[27]. მივხვდით, რომ იგი ძველებურად ფორმაში იყო.

მინისტერიალი მშვიდ ვითარებაში ჩატარდა და 3 ოქტომბერს, ფათერაკების გარეშე, თბილისში დავბრუნდით.

საგამოძიებო სამსახური 35 წლისაა

1998 წლის 30 ოქტომბერი შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურისთვის საიუბილეო იყო. ჩვენს კოლეგებსა და თანამებრძოლებს დაარსებიდან 35 წელი შეუსრულდათ. დიდი ხნის განმავლობაში ემზადებოდნენ ისინი ამ თარიღის ღირსეულად აღსანიშნავად და შეძლეს კიდეც. შს სამინისტროს სააქტო დარბაზში შეკრებილმა შესანიშნავმა საზოგადოებამ სათანადოდ შეაფასა დარგის ამაგდარი პროფესიონალების მიერ გაწეული შრომა და პატივი მიაგო გარდაცვლილთა ხსოვნას. გამოვიდა შესანიშნავად გაფორმებული საიუბილეო ალბომი. სიტყვით გამოსვლის

[27] საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე, თავადი მიქელაძე

მსურველნი ბევრნი იყვნენ. ამიტომ საზოგადოება აღარ შემიწუხებია და ჩემი გამოსვლის ტექსტი გადავეცი პოლიციის გენერალ-მაიორ გურამ ქარქაშაძეს, უმაღლესი დონის პროფესიონალს და ბრწყინვალე მოქალაქეს:

შსს საგამოძიებო სამსახურის 35 წლის

საიუბილეო შეხვედრაზე წარმოსათქმელი სიტყვა

ქალბატონებო და ბატონებო! გულისტკივილით მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენს არეულ დროში ქართველებმა ბევრ სულიერ, გამორჩეულ ღირებულებათა შორის დავკარგეთ უმთავრესი-ერთმანეთისადმი კეთილგანწყობილი დამოკიდებულება. ახლობლის წარმატებით სიხარულს, ვაჟკაცურად შეხმიანებას, მხარში ამოდგომას თავი რომ დავანებოთ, თბილი სიტყვის გამეტებაც კი ამოიშალა საზოგადოებრივი ცნობიერებიდან. შურმა, ქილიკმა, სიკეთის დაუნახაობამ ლამის წალეკოს ქვეყანა.

ავბედითი სიბინძურის ტალღა პირველ რიგში დანგრევას უქადის ყველაფერ იმას, რაზედაც დგას ქვეყნის სიძლიერე, მშვიდობიანობა, წესრიგი და კანონიერება.

დამერწმუნეთ, რომ ამ კრიტიკულ მომენტში ქვეყნის სიძლიერის, წესრიგისა და კანონიერების სადარაჯოზე მდგომ შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკებს გულწრფელად გვსურს, ერთხელ კიდევ მივცეთ მაგალითი სხვებს – გავიხაროთ ჩვენი თანამებრძოლების წარმატებით, ნაყოფიერი მოღვაწეობით და გავიზიაროთ მათი სიხარული.

ამიტომაც, უპირველეს ყოვლისა, ნება მიბოძეთ კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომელთა სახელით დღევანდელ იუბილარებს, საგამოძიებო დეპარტამენტის მუშაკებს, ყველა იმ პირს, ვისაც გარკვეული პერიოდი უმოღვაწია ამ სამსახურში, მოგილოცოთ ეს საზეიმო დღე, გისურვოთ პირადი ბედნიერება და სამსახურებრივი წარმატებები.

35 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შეიქმნა და თუ შეიძლება ასე ითქვას, დაიბადა საგამოძიებო სამსახური. დაარსების დღიდან სამსახურის მუშაკები, შს სამინისტროს სხვა დანაყოფებთან ერთად, მტკიცედ დადგნენ კანონიერების სადარაჯოზე.

მე დღეს კრიმინალურ პოლიციას ანუ ოპერატიულ სამსახურებს წარმოვადგენ, რომელთა უპირველესი ამოცანაა დანაშაულის გამოვლენა, აღკვეთა და დროული გახსნა. დამერწმუნებით, რომ აღნიშნული ამოცანის გადაწყვეტა შეუძლებელი იქნებოდა შს სამინისტროს თუ სხვა სტრუქტურების დანაყოფებთან მჭიდრო კონტაქტის გარეშე. მაგრამ აქ განსაკუთრებულად გამორჩეული ადგილი გამოძიებას განეკუთვნება და უნდა ითქვას, რომ ოპერატიული სამსახურები მთელი ამ ხნის მანძილზე, ჭირშიც და ლხინშიც, გვერდით ედგნენ ჩვენს გამომძიებლებს. ასეთივე იყო მათი ჩვენდამი დამოკიდებულებაც.

გადიოდა დრო, იყო მრავალი უძილო ღამე. დანაშაულის გახსნით მიღებული ჭეშმარიტი სიხარული და ცალკეულ წარუმატებლობათა განცდაც. იყო ცხრა აპრილი და საზოგადოების, მთელი ქართველი ხალხის მიერ აშკარად გამოხატული უზომო სიყვარული, იყო ხელისუფლების სათავეში მოსვლის სურვილით აღვსილი კრიმინალ-პოლიტიკოსებისა თუ შეიარაღებული ფორმირებების მიერ პოლიციის დარბევისა და ლამის ხალხის მტრად გამოცხადების პერიოდიც, რომელსაც ერთად გავუძელით. ჩვენ ერთად ვიბრძოდით სამაჩაბლოში თუ აფხაზეთში, ოპერატიული და საგამოძიებო სამსახურების თანამშრომლებმა ერთად მიიტანეს თავიანთი სიცოცხლე სამშობლოს სამსხვერპლოზე, რომელთა ხსოვნა მარად გაჰყვება თითოეულ ჩვენგანს.

უნდა ითქვას, რომ ჩვენ ერთად გავუმკლავდით დამნაშავეთა სამყაროს არნახულ აღზევებას და საზოგადოების მხარდაჭერით კრიმინალური ქაოსის კოშმარიდან გამოვიყვანეთ ჩვენი ქვეყანა, მაგრამ სასურველიდან ჯერ კიდევ შორსა ვართ, გასაკეთებელი კიდევ ბევრია.

ისიც ჭეშმარიტებაა, რომ ამ ხნის მანძილზე მრავალჯერ ეცადნენ და გარკვეულმა ძალებმა დიდი მუშაობაც გასწიეს, რათა ჩვენი ძმობისათვის საძირკველი შეერყიათ. ხშირად ისმოდა ხმები საგამოძიებო სამსახურის ჩვენი ერთიანი ოჯახიდან გამოყოფის და დამოუკიდებელ სამსახურად ჩამოყალიბების შესახებ. „სეპარატიზმის“ ამ სენმა განსაკუთრებით უკანასკნელ პერიოდში იძალა და როგორც ჩანს დიდი დრო არ დარჩა იმ დღემდე, როცა ხელს დაგვიქნევთ და გაფრინდებით. უტყუარი ოპერატიული მონაცემებით ვიცით, რომ ამის მოსურნენი თქვენს რიგებშიც ცოტანი არ არიან, მაგრამ ასე უკანმოუხედავად წასვლა, როგორ იქნება?! ძველ მეგობრებს ხომ ასე არ ტოვებენ, ამიტომ ამ მართლაც სერიოზული საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტამდე იქნებ ერთხელ კიდევ სერიოზულად ჩავღრმავებოდით ამ პრობლემას, ერთად მოგვეაზრებინა როგორი ფორმით ან სახით აჯობებდა ქვეყნისათვის ეს განშორება. იქნებ იმ ერთი გახმაურებული ფილმის გმირისა არ იყოს „თუ კაი საქმეზე მიდიხართ, ჩვენც წაგვიყვანოთ ხალხო!“, იქნებ საგამოძიებო და ოპერატიული სამსახურის შერწყმამ შედეგი უკეთესი მოიტანოს. ქვეყანაში სამართლებრივი რეფორმის განხორციელებას ძალისხმევა ნამდვილად არ უნდა მოვაკლოთ. ეს დროის მოთხოვნაა. ამასთან ალბათ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველი რეფორმა ძველის მარტო უარყოფას, დაშლას კი არა, ძველის გაუმჯობესებას ან ახალი, უფრო უკეთესის შექმნას უნდა ისახავდეს მიზნად.

სწორედ ასეთი რეფორმის მომხრენი ვართ ჩვენ. პოპულიზმი და ფეხის ხმას აყოლა არანაკლებ საშიშია, ვიდრე კონსერვატიზმი, დაფიქრება ამ საკითხზე მართლაც საჭიროა, რომ შემდგომში სინანულით არ გვექნეს სათქმელი: „ძმაო, რა სჯობდა ძმობასა“.

ეს ყოველივე ნახევრად ხუმრობით, ახლა კი კიდევ ერთხელ ნება მიბოძეთ მოგილოცოთ დღევანდელი დღე და გისურვოთ ბედნიერება, წარმატება და სიხარული ოჯახებში, სამსახურსა და მთლიანად ჩვენს ქვეყანაში“.

თელიანი

1999 წლის 17 მარტს თბილისში საქმიანი ვიზიტით ავსტრიის კრიმინალური პოლიციის ხელმძღვანელი ემილ თელიანი და იმავე უწყების პასუხისმგებელი მუშაკი კარლ ლესიაკი ჩამობრძანდნენ. ვიზიტის მიზანი ქართველ კოლეგებთან კონტაქტების დამყარება, კრიმინალურ სამყაროსთან შემდგომი ბრძოლის საქმეში კოორდინაცია და ინფორმაციების გაცვლა იყო. ავსტრია და ევროპის ცალკეული ქვეყნები უკვე წუხდნენ და ფრთხილობდნენ ქართველი კრიმინალური ავტორიტეტების მათთან გახშირებული ვიზიტებისა და საცხოვრებლად დაფუძნების გამო. 18 მარტს დელეგაციას შეხვდა შს მინისტრი კახა თარგამაძე. გაფორმდა სათანადო დოკუმენტები.

ავსტრიელთა სტუმრობა, რუსეთის შს მინისტრის სერგეი სტეპაშინის ჩამოსვლას დაემთხვა. ამიტომ, ავსტრიელებს ძირითადად მასპინძლობას ნარკომანიასთან ბრძოლის ეროვნული ბიუროს ხელმძღვანელები უწევდნენ.

თავიდანვე ჩემი ყურადღება კოლეგის აშკარად ქართული ჟღერადობის გვარმა მიიპყრო. მაშინვე გადავწყვიტე სიურპრიზი მომეწყო და ერთი თავისუფალი დღე სტუმრისთვის კახეთში დავგეგმეთ. 19 მარტს დავით კაჭკაჭიშვილთან, გოჩა სისაურთან და ვახტანგ ელგანდაშვილთან ერთად, გეგმის შესაბამისად, სტუმრები კახეთში გაემგზავრნენ. მათ კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსი თამაზ თამაზაშვილი ელოდათ. ბარაქიანად თოვდა კახეთში და საქართველოს ულამაზესი მხარე კიდევ უფრო ლამაზი იყო. სტუმრებმა მოინახულეს მეფე ერეკლეს სასახლე, შუამთისა და ალავერდის ტაძრები და გეზი სოფელ თელიანისკენ აიღეს. ბატონი ემილი გაოცებას ვერ მალავდა, ჯერ სოფლის შესასვლელში ტრაფარეტზე თავისი გვარი რომ ამოიკითხა – „თელიანი," ხოლო შემდეგ თელიანის ღვინის ქარხანაში სტუმრობის დროს, რამდენიმე ბოთლი კახური ღვინო „თელიანი" რომ საჩუქრად გადასცეს.

საღამოს მათ მე და კოტე როგავაც შევუერთდით და კარგ ქართულ ოჯახში მამაპაპური სუფრაც გაიშალა. თამადობა თამაზმა ითავა. ანსამბლმა „წინანდალმა" შესანიშნავად შეასრულა კახური „ზამთარია" და ტრადიციული ლხინისთვის განგვაწყო ყველა.

ბატონი ემილი დიდებული მომლხენი გამოდგა. ქართულ მელოდიებს უმალ აუღო ალღო და მშვენიერი ბარიტონით გვეხმარებოდა კიდეც. თამაზმა სტუმრებს სამახსოვრო საჩუქრები გადასცა. უნდა გენახათ კახური ქუდებითა და თეთრი ნაბდებით დამშვენებული, ცალ ხელში ჯიხვის ყანწითა და მეორეში ხმლით აღჭურვილი ავსტრიელები, რომლებიც აღტაცებას ვერ ფარავდნენ. „წინანდლის" მიერ დიდებულად შესრულებული პოპურის შემდეგ, რომელიც ცნობილი „ალუბლებით" დასრულდა ბატონმა ემილიმ აღიარა, რომ იგი ქართველია, წარმოშობით თელიანიდან.

ამ დროს დაწყებული კონტაქტების შედეგად ევროპის ქვეყნებში ჩატარებული ანტიკრიმინალური ღონისძიებების შესახებ მალე გახდა ცნობილი ფართო საზოგადოებისათვის და მე აქ აღარ დავკონკრეტდები.

რუშაილოს ვიზიტი

1999 წლის 26 ივლისს შს მინისტრს კახა თარგამაძეს ტელეფონით ესაუბრა რუსეთის შს მინისტრი ვლადიმერ რუშაილო და სთხოვა, რომ თუ უხერხული არ იქნებოდა, სურდა მოსკოვს გასცლოდა და დაბადების დღე (28 ივლისი) არაოფიციალურ გარემოში, თბილისში აღენიშნა. ვლადიმირ ბორისის ძეს საკმაოდ ახლოს ვიცნობდით იმ პერიოდიდან, როდესაც რუსეთის შს მინისტრის მოადგილედ და იმავდროულად ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელის პოსტზე მუშაობდა. საკითხი კახა თარგამაძემ პრეზიდენტთან და ხელისუფლების პირველ პირებთან შეათანხმა და კოლეგა თბილისში მოიწვია. მაღალი რანგის სტუმრის ასეთი სახის ვიზიტი არაოფიციალურ ვითარებაში ადამიანური ურთიერთობების გაღრმავების საშუალებას იძლეოდა, რაც შემდგომში სახელმწიფო ინტერესებს უცილობლად წაადგებოდა და წაადგა კიდეც.

28 ივლისს ვლადიმირ ბორისის ძე, თანმხლებ პირებთან ერთად, ჩამოფრინდა თბილისში. იმავე დღეს იგი არაოფიციალურ ფორმატში შეხვდა ედუარდ შევარდნაძესა და საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს ილია II-ს. საღამოს რუშაილოს დაბადების დღის აღსანიშნავად სასტუმრო „მეტეხი პალასის“ დარბაზში საზეიმო სუფრა გაიშალა. ვლადიმირ ბორისის ძის გვერდით ისხდნენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია და მინისტრი კახა თარგამაძე. შეხვედრაზე იმყოფებოდნენ ვაჟა ლორთქიფანიძე, ნუგზარ საჯაია, სამართალდამცავი სტრუქტურების ხელმძღვანელები და ესტრადისა და სცენის ვარსკვლავები. სუფრა ჩვეული ფილიგრანული ოსტატობით მიჰყავდა ბატონ კოტე მახარაძეს, ქალბატონი სოფიკო ჭიაურელის მცირეოდენი „დახმარებით“. საღამო მართლაც დიდებული და დაუვიწყარი გამოვიდა. ბატონი კოტეს წარმოთქმულ დიდებულ სადღეგრძელოებსა და იუმორით გადმოცემულ სახალისო ისტორიებს, ნანი ბრეგვაძის, ეკა მამალაძის, თამრიკო ჭოხონელიძის და ანსამბლ „ქართული ხმების“ მიერ შესრულებული დაუვიწყარი მელოდიები ცვლიდა.

ერთ-ერთი მორიგი სადღეგრძელოს შემდეგ, „ქართული ხმების“ სოლისტმა გურამ თამაზაშვილმა პოპულარული სიმღერა „გაზაფხული შემოსულა, ლენ“ შეასრულა.

ვლადიმირ ბორისის ძე იმდენად მოიხიბლა მელოდიითა და შესრულების მაღალი დონით, რომ სოლისტის ვინაობა იკითხა:

„– Владимир Борисович, кстати, этот солист Майор Полиции[28]“, – ამაყად განუმარტა კოლეგას ბატონმა კახამ.

ამ დროს, როგორც ხდება ხოლმე, რომელიღაც არამკითხემ ხმამაღლა შეასწორა:

„– Подполковник Каха Мамиевич[29]“.

ამან გარკვეული უხერხულობა შექმნა თითქოს, მაგრამ სიტუაცია სტუმარმა განმუხტა:

„– Не волнуйтесь, Каха Мамиевич, хоть подполковник, но поет как полковник[30]“.

ამ სიტყვებს საყოველთაო მხიარულება მოჰყვა. სიმღერის დასრულების შემდეგ გურამი თავისთან მიიწვიეს მინისტრებმა, მადლობა გადაუხადეს და საზოგადოებას ამცნეს ორი მინისტრის გადაწყვეტილება – გურამ თამაზაშვილისთვის, ვადაზე ადრე, პოლკოვნიკის წოდების მინიჭების შესახებ. დასასრულს ვლადიმერ ბორისის ძემ განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას და ლხინის მონაწილე ქალბატონებს ვარდების თაიგული გადასცა.

ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ასეთი პირადი ურთიერთობები ხშირად უამრავი პრობლემების მარტივად გადაწყვეტის საშუალებას გვაძლევდა.

ბიშკეკის სამიტი

2000 წლის 4-9 სექტემბერს ვმონაწილეობდი „დსთ-ს“ ქვეყნების შინაგან საქმეთა მინისტრების საბჭოს მუშაობაში, როგორც საქართველოს შს სამინისტროს დელეგაციის ხელმძღვანელი. სამუშაო შეხვედრა ყირგიზეთში, ქალაქ ბიშკეკში ჩატარდა, უფრო ზუსტად კი ბიშკეკიდან 265 კმ. ყირგიზეთის საკურორტო ქალაქ ჩოლპონ-ატაში, რომელიც „ისიქ-ქოლი ტბის“ ჩრდილოეთ სანაპიროს ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს.

რაიმე განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხები საბჭოზე არ განხილულა. ძირითადად განვიხილეთ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის ერთობლივი ღონისძიებების გაუმჯობესების შესაძლებლობები. თუმცა საინტერესო იყო გასეირნება ადგილობრივ იპოდრომზე, სადაც დავესწარით დოღს ახალთექური ჯიშის ულამაზესი ცხენების მონაწილეობით. სადილი ყირგიზულ იურტაში, სომხეთის მინისტრის აიკ არუთინიანის და ჩემი ნა-

[28] ვლადიმერ ბორისის ძე, ეს სოლისტი, სხვათა შორის, პოლიციის მაიორია

[29] პოდპოლკოვნიკი, კახა მამიას ძევ

[30] არ ინერვიულოთ, კახა მამიას ძევ, მართალია პოდპოლკოვნიკია, მაგრამ მღერის როგორც პოლკოვნიკი

ციონალურ თამაშში „კიზ კუუმაი“ (დაეწიე ქალიშვილს) მონაწილეობით გაგრძელდა. თამაშის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ცხენზე ამხედრებულ გოგონას მისდევს მამაკაცი, რომელიც თუ დაეწევა კოცნის მას, შემდგომ პირიქით, მამაკაცი გარბის და თუ წამოეწია გოგონა მათრახით უჭრელებს ზურგს. სომხეთის მინისტრი აიკ არუთინიანი და მე ერთდროულად გამოვედევნეთ მხედარ ქალბატონს, მაგრამ ამბორსაც და მათრახსაც ორთავე გადავურჩით, თუმცა გული ამაზე არც ერთს არ დაგვწყვეტია და ნურც თქვენ იდარდებთ.

კიდევ ერთი განსაკუთრებით სასიამოვნო ეპიზოდი. მასპინძლებმა „ისიქ-ქოლის“ ულამაზეს ტბაზე გემით გასეირნება შემოგვთავაზეს. გემბანზე გაშლილ სუფრასთან ყაზახეთის მინისტრმა კაირბეკ სულეიმანოვმა მობილური ტელეფონით კახა თარგამაძესთან დაკავშირება მთხოვა. მაშინვე შევუსრულე თხოვნა და კაირბეკმა, შეკრებილ მინისტრებთან ერთად, ფეხზე ადგომით შესვა საქართველოს, ქართველი ხალხის და ბატონი კახას სადღეგრძელო.

კაირბეკმა მიამბო თავისი ქართველი თანაკურსელისა და მეგობრის რეზო კვარაცხელიას შესახებ, რომელთანაც კარგა ხანია აღარ ჰქონია ურთიერთობა და დაინტერესდა მისი ბედით.

თბილისში დაბრუნების შემდეგ დავადგინე, რომ ბატონ რეზოს, რომელიც აბაშაში ცხოვრობდა საგამოძიებო სტრუქტურებში სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობაზე უმუშავია და რამდენიმე თვის წინათ, ვიცე-პოლკოვნიკის ჩინით გასულა პენსიაზე. ძალიან მალე ბატონი რეზო თბილისში ჩამობრძანდა და მესტუმრა. მე მას თავისი მეგობრის კოორდინატები და კეთილი სურვილები გადავეცი. როგორც გავარკვიე რეზოს ქალიშვილს – ნინო კვარაცხელიას გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი დაემთავრებინა და მას რეკომენდაცია გავუწიეთ საგამოძიებო სამსახურში.

ბიშკეკიდან „ხელცარიელი“ არ დავბრუნებულვარ. ყირგიზეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის, მილიციის გენერალ-ლეიტენანტ ომურბეკ კუტუევის ბრძანებით „დსთ-ს“ ქვეყნების შინაგან საქმეთა სამინისტროებს შორის თანამშრომლობის განმტკიცების საქმეში შეტანილი წვლილისა და ორგანიზებულ დანაშაულთან და საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლაში პირადი მონაწილეობისათვის ჯილდოდ გადმომეცა „ნაგანის“ სისტემის რევოლვერი, რომელიც დღემდე არ გამისვრია.

თურქეთის შინაგან საქმეთა მინისტრის ვიზიტი

2000 წლის 21-23 სექტემბერს თბილისში სამუშაო ვიზიტით გვესტუმრა თურქეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს დელეგაცია, მინისტრის სადენტინ თანთანის ხელმძღვანელობით. მინისტრებმა ხელი მოაწერეს სამინისტროებს შორის ორმხრივი თანამშრომლობის დოკუმენტს.

თავისუფალ დროს სტუმარი დელეგაციის სხვა წევრებთან ერთად გვყავდა მუზეუმში ღია ცის ქვეშ, მცხეთაში, ჯვარსა და სვეტიცხოველში. თბილისში მუსლიმთა სალოცავში და შემდეგ კონიაკის ქარხანაში, სადაც გულთბილი მასპინძლობა გაგვიწია ელგუჯა ბუბუტეიშვილმა.

ამერიკის შეერთებულ შტატებში

2001 წლის აპრილში, ქვეყნის ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელთა საკმაოდ დიდ ჯგუფთან ერთად, ვიმყოფებოდი ამერიკის შეერთებულ შტატებში „კვალიფიკაციის ასამაღლებლად“. აშშ-ის ლუიზიანას სახელმწიფო უნივერსიტეტის კრიზისების მართვის ხელმძღვანელთა კურსი, სხვებთან ერთად, წარმატებით გავიარეთ პეტრე მამრაძემ, თემურ გრძელიძემ, ავთო იოსელიანმა, შოთა ასათიანმა, ედუარდ გენძეხაძემ, სერგო ძაგნიძემ, გია ბარამიძემ, ვალერი ხაბურძანიამ, გივი იუკურიძემ და რაღა თქმა უნდა მეც. ვერ გეტყვით რომელ მათგანს როგორ გამოადგა შემდგომში აშშ-ში მიღებული განათლება, მაგრამ ფაქტია რომ ზოგიერთი შემდგომში მეტ-ნაკლები მონდომებით აქტიურად იღწვოდა ქვეყანაში კრიზისული სიტუაციების შესაქმნელად და მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ წარმატებითაც.

მთელი ამ ხნის განმავლობაში ჩვენს ჯგუფთან ერთად იმყოფებოდა აშშ საელჩოს რეგიონული უსაფრთხოების მაშინდელი ხელმძღვანელი გრეგ ოლმსტედი, რომელსაც ახლოს ვიცნობდი და არაერთხელ შევხვედრივარ თბილისსა თუ პანკისში. გრეგმა კარგად იცოდა ქართული ტრადიციები და ყოველთვის კეთილგანწყობას იმსახურებდა. ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩემი ყოფნისას უნდა აღვნიშნო, რომ განსაკუთრებულად დამამახსოვრდა ის ღამაზი დღე, როდესაც გრეგმა მთელი ჯგუფი თავის აგარაკზე მიგვიპატიჟა. მასპინძლობა იყო გულითადი და მაქსიმალურად „ქართული“ – მწვადით მაყალზე. ამერიკაში ამას „ბარბექიუს“ ეძახიან. იმ დღეების გახსენება ყოველთვის სიამოვნებას მგვრის და მინდა ამისთვის კიდევ ერთხელ მადლობა გადავუხადო გრეგს. მოხარული ვიქნები თუ კი იგი პატივს დაგვდებს და საქართველოში გვესტუმრება.

ვაშინგტონში ოფიციალური ნაწილის დასრულების და სერტიფიკატების საზეიმოდ გადმოცემის შემდეგ ძირითადი ჯგუფი თბილისში გაემგზავრა, ხოლო მე, ედუარდ გენძეხაძემ, კოტე როგავამ და დავით ღლონტმა, რომელსაც განათლება ამერიკაში ჰქონდა მიღებული, ავტომანქანა ვიქირავეთ და ორიოდე დღით ნიუ-იორკში გავემგზავრეთ. ავტომანქანას დავითი მართავდა. გზაში ჩამეძინა და ნიუ-იორკში შესვლისას გამაღვიძეს. დაღამებულიყო უკვე და თვალი რომ გავახილე, სხვა სამყაროში აღმოვჩნდი. ამის აღწერა ჩემს შესაძლებლობას ნამდვილად აღემატება და უბრალოდ გეტყვით, რომ ასეთ ფანტასტიკურ გარემოში არც მანამდე და არც შემდეგ არასოდეს ვყოფილვარ.

ნიუ-იორკში ორი დღე დავრჩით და მაქსიმალურად შევეცადეთ ამ მეგა ქალაქის ღირსშესანიშნაობების დათვალიერებას. რაღა თქმა უნდა, მოვინახულეთ ცათამბჯენი ტყუპები და ერთ-ერთის მეასე სართულზე არაოფიციალური შეხვედრა გვქონდა გამოძიების ფედერალური ბიუროს ნიუ-იორკის დანაყოფის ხელმძღვანელებთან. დამშვიდობებისას მასპინძლებმა გვკითხეს, რას ვისურვებდით რომ გვენახა და რაში დაგვხმარებოდნენ. მე მორიდებით აღვნიშნე, რომ სიამოვნებით დავესწრებოდით საღამოს დაგეგმილ NBA-ს საკალათბურთო ჩემპიონატის მატჩს, რაზედაც ბოდიში მოგვიხადეს – ყველა ბილეთი გაყიდულიაო! გამეღიმა და შეწუხებული მასპინძლები დავამშვიდე: როდესაც თბილისში ჩამობრძანდებით, თქვენი სურვილის შემთხვევაში, საკალათბურთო შეხვედრაზე სპორტის სასახლეში თქვენს დასწრებას უბილეთობაც კი არ შეუშლის ხელს მეთქი. გულთბილად დავემშვიდობეთ კოლეგებს და მოვიპატიჟეთ კიდეც საქართველოში. მაშინ ვინ იფიქრებდა, რომ რამდენიმე თვეში, 11 სექტემბერს, ამ ცათამბჯენებზე ისეთი ტრაგედია დატრიალდებოდა, რომელიც ასობით ადამიანის სიცოცხლეს შეიწირავდა და ამ „ტყუპებს“ აღგვიდა პირისაგან მიწისა.

მეორე დღეს ღამით გამოვფრინდით. ერთი საათის შემდეგ მგზავრებს რაღაც მღელვარება შეეტყოთ. ეკიპაჟის მეთაურმა გვაცნობა, რომ ტექნიკური პრობლემების გამო უკან ვბრუნდებოდით და ავარიული დაჯდომა კვლავ ნიუ-იორკის აეროპორტში გვექნებოდა. ამ დროს როგორც ამიხსნეს ნერვული სისტემის დასაწყნარებლად საუკეთესო საშუალება კონიაკი ყოფილა და ჩვენც კარგი განწყობით მშვიდობიანად დავეშვით უკან.

ჩვენი ამ თავგადასავლებით რომ არ გადაგღალოთ, მოკლედ გეტყვით, რომ შემდგომ იყო ორი ლამაზი დღე ლონდონში, ავიაკომპანიის ხარჯზე.

ინტერპოლის კონფერენცია

2001 წლის 16-18 მაისს საქართველომ ინტერპოლის ევროპის 30-ე რეგიონულ კონფერენციას უმასპინძლა.

ინტერპოლი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შემდეგ ყველაზე მრავალრიცხოვანი ორგანიზაციაა. მასში გაწევრიანებულია მსოფლიოს 178 ქვეყანა. ინტერპოლი წარმოადგენს წამყვან საერთაშორისო ორგანიზაციას, რომელიც თავისი უნიკალური სტრუქტურის, სამართლებრივი ბაზისა და ტექნიკური აღჭურვილობის წყალობით, ახორციელებს საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობის ეფექტურ და რაციონალურ კოორდინირებას. ამავე დროს იგი პრაქტიკულ მონაწილეობას იღებს საერთაშორისო დანაშაულის თავიდან აცილებასა და პროფილაქტიკაში.

1993 წლის სექტემბერში ქ. არუბაში ჩატარებულ საერთაშორისო კრიმინალური პოლიციის 62-ე გენერალურ ასამბლეაზე საქართველო გაწევრიანდა ინტერპოლის საერთაშორისო ორგანიზაციაში. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 13 იანვრის დადგენილების საფუძველზე შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურაში შეიქმნა ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიურო.

1999 წლის მარტში იაპონიაში ოფიციალური ვიზიტის დროს საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძისა და ინტერპოლის პრეზიდენტის ტოშინორი კანემოტოს შეხვედრის დროს, საქართველოს პრეზიდენტმა გამოთქვა სურვილი საქართველოს მასპინძლობა გაეწია ინტერპოლის ფორუმისთვის.

2000 წლის მსოფლიო ასამბლეაზე გენერალურმა სამდივნომ ოფიციალურად დააყენა საქართველოს კანდიდატურა ევროპის კონფერენციის მასპინძელ ქვეყნად. საბოლოო გადაწყვეტილება, მაისში რეიკიავიკში გამართულ 29-ე კონფერენციაზე მიიღეს.

მსოფლიოს უმაღლესი დონის პოლიციელთა ასეთი მასშტაბური კონფერენცია ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში პირველად ჩატარდა. მინისტრის ბრძანებით საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელობა მე დამევალა და კომიტეტის წევრებთან: კოტე როგავასთან, ვასილ დავითაიასთან, ედუარდ გენძეხაძესთან, სოსო ალავიძესთან, რილანდ ლიპარტელიანთან, შაქრო წინწკალაძესთან, კობა კობიაშვილთან და დავით თოდუასთან ერთად შემუშავებული გეგმის შესაბამისად მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით ვემზადებოდით.

კონფერენციის მუშაობაში 24 ქვეყნისა და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელი მონაწილეობდა, მათ შორის ევროკავშირისა და გაეროს დამკვირვებლის სტატუსით – ამერიკის შეერთებული შტატები.

თბილისში ჩამობრძანდნენ ინტერპოლის პრეზიდენტი ჰესუს ესპირაგეს მირა, რომელიც იმავდროულად ესპანეთის შინაგან საქმეთა მინისტრი გახლდათ. ინტერპოლის გენერალური მდივანი რონალდ ნობელი, ინტერპოლის ვიცე-პრეზიდენტი, ინგლისის კრიმინალური დაზვერვის სამსახურის გენერალური დირექტორი ჯონ აბოტი, პოლონეთის შს მინისტრის მოადგილე ადამ რაპაცკი, უკრაინის შს მინისტრის პირველი მოადგილე მიკოლა ჟიგა, ევროპოლის დირექტორი იურგენ სტრობეკი და სხვა მაღალი რანგის სტუმარი.

16 მაისს კონფერენცია სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასის“ საკონფერენციო დარბაზში გაიხსნა. სტუმრებსა და მონაწილეებს სიტყვით მიმართა საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ, ინტერპოლის პრეზიდენტმა გესუს ესპირაგეს მირამ, საქართველოს შს მინისტრმა კახა თარგამაძემ. კონფერენციაზე განხილული იქნა შვიდი ძირითადი საკითხი – არალეგალური მიგრაცია, ფულის გათეთრების ახალი მიმართულებები ევროპაში, ნარკოტიკების უკანონო გადაზიდვები და სხვა.

თავისუფალ დროს სტუმრებისთვის მოეწყო ექსკურსიები თბილისისა და მცხეთის ისტორიულ ადგილებში, ხელოვნების ოსტატთა კონცერტი თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში.

16 მაისს მაღალი რანგის სტუმართა საპატივცემულოდ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის კახა თარგამაძის სახელით ოფიციალური სადილი გაიმართა რესტორან „არაგვში,“ 17 მაისს კი თბილისის მერის ბატონ ვანო ზოდელავას სახელით რესტორან „სარაჯიშვილში“. მეორე დღეს სასიამოვნო შთაბეჭდილებებით დატვირთული კონფერენციის მონაწილენი თბილისიდან გავაცილეთ.

ინტერპოლის ვიცე-პრეზიდენტს ბატონ ჯონ აბოტის თბილისში შეხვედრამდე ვიცნობდი. რამდენიმე თვით ადრე ლონდონში ყოფნისას მქონდა მასთან შეხვედრის ბედნიერება. თბილისიდან გამგზავრების წინ ჩვენს ქვეყანაში სტუმრობის კეთილად მოსაგონებლად სასტუმროს ნომერში სუვენირი – ქართული ხმალი გავუგზავნე. პასუხად მეორე დღეს მისი ბარათი გადმომცეს:

> „ბატონო ზურაბ,
>
> მინდა უღრმესი მადლობა გადაგიხადოთ საჩუქრისთვის, რომელიც თქვენ მისახსოვრეთ თბილისში მიმდინარე ინტერპოლის კონფერენციაზე ჩემი ყოფნის დროს.
>
> მინდა აგრეთვე გამოვხატო ჩემი გაოცება, როცა საჩუქარი მომართვეს სასტუმროს ნომერში დილით ადრე.
>
> კონფერენციამ ნამდვილად წარმატებულად ჩაიარა და თქვენი სტუმართმოყვარეობიდან გამომდინარე ახლა დიეტაზე ვარ.

ნება მიბოძეთ კიდევ ერთხელ მოგიხადოთ მადლობა და გისურვოთ თქვენ და თქვენს კოლეგებს წარმატება.

პატივისცემით, **ჯონ აბოტი“**

უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრის ვიზიტი

1999 წლის 15-16 აპრილს უკრაინისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროების დამნაშავეობასთან ბრძოლის ოქმზე ხელმოსაწერად თბილისში გვესტუმრა უკრაინის შს მინისტრი იური კრავჩენკო, რომელთანაც ახლო მეგობრული და კოლეგიალური დამოკიდებულება ჰქონდა ჩვენს მინისტრს კახა თარგამაძეს.

17 აპრილს ბაქო-სუფსის ტერმინალის საზეიმო გახსნის ცერემონიალი შედგა. საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე მასპინძლობდა აზერბაიჯანის პრეზიდენტს ჰეიდარ ალიევს, უკრაინის პრეზიდენტს ლეონიდ კუჩმას, აშშ და ევროგაერთიანების საგანგებო დელეგაციებს. იმ დღეს სუფსაში პირველი ტანკერი შეივსო კასპიის ზღვის აზერბაიჯანული ნავთობით და კურსი ევროპისკენ აიღო. ამ ისტორიულ მოვლენას აშშ პრეზიდენტი ბილ კლინტონი საგანგებო მიმართვით გამოეხმაურა. საქართველოს მიულოცეს სულეიმან დემირელმა, ტონი ბლერმა, ნურსულთან ნაზარბაევმა, ისლამ კარიმოვმა, ბულგარეთის, საბერძნეთის, რუმინეთის, მოლდოვის პრეზიდენტებმა. ბაქო-სუფსის ტერმინალის ამოქმედება „აბრეშუმის გზის“ იდეის განხორციელებაში პირველი ნაბიჯი იყო და ამაში საქართველოს შს სამინისტროს განსაკუთრებული წვლილი მიუძღოდა.

სამწუხაროდ, შემდგომში უკრაინაში მოვლენები იმდენად მწვავედ განვითარდა, რომ 2005 წლის 4 მარტს უკრაინის უკვე ყოფილმა შს მინისტრმა იური კრავჩენკომ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. რამდენადაც საკვირველად და უცნაურად არ უნდა მოგეჩვენოთ „თვითმკვლელობა“ ცეცხლსასროლი იარაღიდან თავში ორი გასროლით აღმოჩნდა ჩადენილი(?!), თვითმკვლელობის მოტივად კი პრეზიდენტ იუშენკოს პერიოდში ჟურნალისტ ღონღაძის მკვლელობასთან კავშირი დასახელდა. როგორი ტრაგიკული მოვლენები განვითარდა შემდგომ უკრაინაში და რა ხდება დღეს ეს ყველასთვის ცნობილია.

აქვე მინდა აღვნიშნო ის ფაქტი, რომ როგორც შს მინისტრს, ასევე თითოეულ ჩვენგანს ახლო და კოლეგიალური ურთიერთობა გაგვაჩნდა სხვადასხვა ქვეყნების შს სამინისტროების ხელმძღვანელებთან, რაც ხშირად გვეხმარებოდა დამნაშავეობასთან ეფექტურ ბრძოლაში.

ხშირად გვსტუმრობდნენ სომხეთის შინაგან საქმეთა მინისტრი, შემდგომში ქვეყნის პრეზიდენტი სერჟ სარქისიანი და მისი ადგილმონაცვლე გენე-

რალ-პოლკოვნიკი აიკ არუთინიანი, რომელმაც 2019 წელს ყოფილი პრეზიდენტის ქოჩარიანის მიმართ აღძრულ საქმესთან დაკავშირებით მოწმის სახით დაკითხვის შემდეგ, 64 წლის ასაკში სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია მომხდარი ტრაგიკული შემთხვევის ფაქტზე აღძრული იყო სისხლის სამართლის საქმე თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით.

რადგან ჩვენს მეზობელ ქვეყნებში ამ უკანასკნელ წლებში განვითარებული მოვლენების გამო, შინაგან საქმეთა ორგანოებში მომხდარ ტრაგიკულ შემთხვევებს შევეხეთ, არ შემიძლია არ გავიხსენო „ვარდოსანთა“ ზეობის ხანაში მომხდარი ორი უმძიმესი შემთხვევა. 2004 წლის 25 ნოემბერს დილით, საკუთარ საცხოვრებელ სახლში, ტაბელური იარაღით თავი მოიკლა უკეთილშობილესმა ადამიანმა, შს მინისტრის ყოფილმა მოადგილემ, გენერალ-ლეიტენანტმა გურამ ქარქაშაძემ, ხოლო 2007 წლის 25 ოქტომბერს ეჭვმიტანილად დაკავებულმა გენერალური ინსპექციის უფროსის მოადგილემ, გენერალ-მაიორმა დავით კეკუამ საკანში თავი ჩამოიხრჩო. არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ პირველ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა თვითმკვლელობამდე მიყვანას, მეორე შემთხვევაში კი მკვლელობას შურისძიების ნიადაგზე. სამწუხაროა, რომ არც ერთ ფაქტზე კვალიფიციური გამოძიება არავის უწარმოებია.

თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ უკანასკნელ წლეებში სხვადასხვა ბრალდებით დაკავებული იყო ჩვენი ქვეყნის შს ოთხი ყოფილი მინისტრი, თვალნათლივ დავინახავთ რა რთული პერიოდი გამოიარა ქვეყანამ.

აღარაფერს ვიტყვი იმაზე, თუ როგორ საეჭვო ვითარებაში დაიღუპნენ „ვარდების რევოლუციის“ სულისჩამდგმელები – პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია და ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის“ დამფუძნებელი ეროსი კიწმარიშვილი, პრეზიდენტობის კანდიდატი ბადრი პატარკაციშვილი, გურამ შარაძე და სხვანი. სასჯელს იხდის ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი. იძებნება ყოფილი გენერალური პროკურორი ზურაბ ადეიშვილი და ა.შ

ბოდიშს ვუხდი მკითხველს თემიდან გადახვევის გამო, მაგრამ ამ რეალობაზე მაინც უნდა მეთქვა, რათა სწორად აღვიქვათ, თუ რა ჯოჯოხეთი გამოვიარეთ.

შინაგან საქმეთა სამინისტროდან პარლამენტში

1999 წლის მაისის ბოლოს სახელმწიფო გადატრიალების მზადების ბრალდებით გამოაშკარავებული ჯგუფის განეიტრალების შედეგ, რამდენიმე თვე ძირითადად ამ საქმით ვიყავი დაკავებული. 9 ივლისს გამაოგნებელი ფაქტი მოხდა. კოდორის ხეობაში ვერტმფრენით ჩასული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წევრები, სრული შემადგენლობით, ადგილობრივი კრიმინალური ფორმირების წევრებმა გაიტაცეს. გატაცებულებს რამდენიმე საათი თავისუფლება აღუკვეთეს და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. განსაკუთრებული სისატიკით გაუსწორდნენ აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრს, გენერალ-მაიორ მამუკა ნაჭყებიას. კოდორში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული მაშინ ივერი ჭელიძე იყო (მასაც სხვადასხვა დროს რამდენჯერმე ესროლეს). უმძიმესი ტრავმებით დაბრუნებულ მამუკას ჯანმრთელობის აღსადგენად ხანგრძლივი მკურნალობა დასჭირდა. აღნიშნულ დანაშაულზე მაშინვე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, მაგრამ რამდენადაც გასაოცარი არ უნდა იყვეს, ცალკეულ გარემოებათა გამო დამნაშავენი არ დასჯილან.

აქვე ძალიან მოკლედ გავიხსენებ, რომ შს სამინისტროსა და გენერალურ პროკურატურაში წარმოებაში იყო რამდენიმე სისხლის სამართლის საქმე ვანო მერაბიშვილის („მიწის კადასტრის საქმე“), კოტე კემულარიას („ინვალიდთა ლიგის საქმე“), დავით ბეჟუაშვილის, პეტრე ცისკარიშვილის, ირაკლი ოქრუაშვილისა და გიორგი არველაძის მიმართ. თუმცა ხელისუფლების უმაღლესი ჩინოსნების აშკარად გაუბედავი მოქმედების გამო, ეს საქმეები რეაგირების გარეშე დარჩა. ალბათ, ასეთმა მიდგომამ გარკვეულწილად განაპირობა კიდევაც შემდგომში ქვეყანაში განვითარებული მოვლენები.

აგერ უკვე რამდენი წელია ამ საქმეებზე ჭეშმარიტება არ დადგენილა და სამართალი არ აღსრულებულა. დანაშაულის ასე მიჩქმალვა თავისთავად უმძიმესი დანაშაულია. დიდი დროა გასული, მაგრამ ობიექტური გამოძიება ამ საქმეებზე მაინც უნდა ჩატარდეს და საზოგადოებამ სიმართლე უნდა გაიგოს!

1999 წლის 10 ივლისს გურიაში სამართალდამცავების მიერ ნახევარი წლის მანძილზე გაწეული მუშაობა შევაჯამეთ. თათბირის შემდეგ მხარის გუბერნატორი კარლო გუჯაბიძე გულახდილად მესაუბრა, რომ მხარეში ძალზე რთული პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა იყო შექმნილი. ახლოვდებოდა საპარლამენტო არჩევნები, მმართველი პარტიის „მოქალაქეთა კავშირის“ რეიტინგი კი ძალზე დაბალი იყო. სერიოზული წინასაარჩევნო

კამპანია ჰქონდა დაწყებული ასლან აბაშიძის პარტიას „აღორძინება“-ს და რომ ოზურგეთში მაჟორიტარული წესით არჩევნებში დეპუტატობის კანდიდატად აპირებდნენ წარმოშობით ჩემი თანასოფლელის, ჩემი ოჯახის ახლო მეზობლის და მეგობრის, ცნობილი ბიზნესმენის ზვიად ცეცხლაძის წამოყენებას. ზვიადი უსაზღვროდ კეთილშობილი პიროვნება გახლდათ, დიდი მეცენატი, რომელსაც მთელ საქართველოში კარგად იცნობდნენ. რაღა თქმა უნდა უდიდეს პატივს სცემდნენ მშობლიურ რაიონშიც, სადაც უამრავი ადამიანი ემადლიერებოდა ჭირსა თუ ლხინში გამოჩენილი თანადგომისთვის. „აღორძინება“ სერიოზულ ფინანსებს ხარჯავდა. ზვიადს აქტიურად უჭერდნენ მხარს ცალკეული პოლიტიკური პარტიებიც.

მხარის გუბერნატორის განწყობა მეტად სკეპტიკური და უიმედო ჩანდა. ის პრაქტიკულად ვერ ხედავდა პიროვნებას, რომელიც შეძლებდა მომავალ არჩევნებში მმართველი პარტიის სახელით ღირსეული მეტოქეობა გაეწია ზვიად ცეცხლაძისთვის. ოზურგეთში არჩევნებში დამარცხება კი რეგიონში ასლან აბაშიძის გავლენის გაფართოებას და სხვა მრავალი არასასურველი პროცესის განვითარებას მოასწავებდა. საუბრის დასასრულს ბატონმა კარლომ ჩვეული იუმორით აღნიშნა, რომ არჩევნებში გამარჯვება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა გარანტირებული თუ მე გადავწყვეტდი ჩემი კანდიდატურის წამოყენებას. ვიგრძენი, რომ ეს შემთხვევით არ იყო ნათქვამი და რაღაც ხდებოდა. ისიც კარგად გავიაზრე, რომ როგორც ოზურგეთელს და დამნაშავეობასთან ბრძოლის ხაზით მხარის კურატორს, პასუხისმგებლობა აქ განვითარებულ მოვლენებზე არ ამცდებოდა. ამიტომ მოვლენების ასეთი წესით განვითარება შესაძლებლად ჩავთვალე და კარლოს ხუმრობითვე მივუგე: „ჩოლოქის საზღვარი ბერძნის წყაროზე რომ არ გადაიტანონ, ამისთვის ყველაფერს ვიღონებთ მეთქი“.

26 ივლისს ოზურგეთის მოქმედმა მაჟორიტარმა დეპუტატმა ზაზა სიორიძემ დამირეკა და მითხრა, რომ საკითხი გადაწყდა და არჩევნებში „მოქალაქეთა კავშირი“ ოზურგეთის კოლორიტ პიროვნებას რენო ურუშაძეს წამოაყენებდა. შვებით ამოვისუნთქე, მაგრამ რამდენიმე დღეში კახა თარგამაძემ პრეზიდენტთან საუბრის დეტალები გამაცნო. შევარდნაძეს კატეგორიულად დაუსვამს ჩემი კანდიდატურის ოზურგეთში წამოყენების საკითხი. უარის თქმისთვის საკმარისი არგუმენტები არ გამაჩნდა. თანაც კატეგორიულად არ ვეთანხმებოდი ასლან აბაშიძისა და „აღორძინების“ პოლიტიკურ შეხედულებებს, რაც რეალურად ხდებოდა აჭარაში ჩემთვის პრინციპულად მიუღებელი იყო. აქედან გამომდინარე წინადადება მისაღებად ჩავთვალე.

ჩემი ასეთი საქციელი ბევრმა ჩემი მეგობრის ზვიად ცეცხლაძის წინააღმდეგ გადადგმულ ნაბიჯად და ერთგვარ ღალატადაც კი ჩამითვალა. ვფიქრობ, რომ მე დავუპირისპირდი არა პიროვნებას და მეგობარს, არამედ „აღორძინების“ კურსს და „ასლანიზმის“, როგორც მოვლენის გა-

ფართოებას საქართველოში. ისიც კარგად ვიცოდი, რომ თვითონ ზვიადიც ცალკეულ გარემოებათა გამო, რომელზეც აქ არ შევჩერდები, ხშირად, იძულებით და თავისი ნების საწინააღმდეგოდაც იღებდა გადაწყვეტილებებს. თანაც ზვიადი „აღორძინების“ პარტიულ სიაშიც გამსვლელ ადგილს იკავებდა და მისი გადეპუტატება გარანტირებული იყო.

3 აგვისტოს შევხვდი პარლამენტის თავმჯდომარეს ზურაბ ჟვანიას. საბოლოოდ გადაწყდა, რომ მომავალ საპარლამენტო არჩევნებში ოზურგეთის რაიონიდან მონაწილეობას მივიღებდი მაჟორიტარული წესით „მოქალაქეთა კავშირის“ სახელით.

უკან დახევა ან დამარცხება სიკვდილის ტოლფასი იყო. თანაც გაჩნდა ერთგვარი სპორტული ჟინი და ინტერესი. როცა დეტალურად გავთვალე ჩემი და ზვიადის შესაძლებლობები, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ მისი ყველაზე სუსტი მხარე „აღორძინების“ სახელით არჩევნებში მონაწილეობა იქნებოდა. საზოგადოებას მის მიმართ სიმპათიები ჰქონდა, მაგრამ „აღორძინების“ მიმართ მოსახლეობაში უარყოფითი განწყობა იყო. არც „მოქალაქეთა კავშირი“ ეხატებოდათ გულზე, მაგრამ პრეზიდენტ შევარდნაძის ავტორიტეტი ჯერ კიდევ საკმარისად ძლიერი იყო. ასეთ ვითარებაში ჩემი გათვლებით ზვიადი 10-12 ათასი ხმის დაგროვებას შეძლებდა, ხოლო საჩემოდ 20-22 ათასს ვფიქრობდი. ახლა აქ არ შევუდგები იმ ფაქტორების ჩამოთვლას, რომლებიც ამ მოსაზრებებს მიმყარებდა. თუმცა ვიცოდი, რომ ამ მაჩვენებლის მისაღწევად დღედაღამ მუხლჩაუხრელი შრომა იქნებოდა საჭირო.

მიფიქრია იმაზეც, რომ არა როგორც პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს, არამედ დამოუკიდებელ კანდიდატებად რომ გვეყარა კენჭი მე და ზვიადს, ამ შემთხვევაში შეიძლება მცირე სხვაობით, წამეგო კიდეც. მაგრამ გარწმუნებთ, რომ ასეთ შემთხვევაში ჩვენი საარჩევნო დაპირისპირება უბრალოდ არც შედგებოდა.

5 აგვისტოს ოზურგეთის სახელმწიფო თეატრში შედგა „მოქალაქეთა კავშირისაგან“ გურიის რეგიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების წარდგენა. შეხვედრას უძღვებოდა მხარის გუბერნატორის პირველი მოადგილე ილია თავბერიძე. დეპუტატობის კანდიდატად დამასახელა ბატონმა ჯემალ ჭკუასელმა. ჩემს გამოსვლაში გულწრფელი მადლობა მოვახსენე ქვეყნის პრეზიდენტს, პარლამენტის თავმჯდომარეს, დამსწრე საზოგადოებას უდიდესი ნდობისათვის და ამასთან ერთად აღვნიშნე, რომ ძალასა და ღონეს არ დავიშურებდი ამ ნდობის გასამართლებლად. „მოქალაქეთა კავშირიდან“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებად წარდგენილი იქნენ: ჩოხატაურში დავით ჟღენტი და ლანჩხუთში თამაზ კუნჭულია (მახარაძის რაიკომის ყოფილი პირველი მდივანი, მანამდე იგივე პოსტი ეკავა ლანჩხუთში).

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ქვეყანაში ურთულესი სიტუაცია შეიქმნა. სამაჩაბლოს ომი, სახელმწიფო გადატრიალება, სამოქალაქო ომი, აფხაზეთის ომი და ასიათასობით ლტოლვილი, კრიმინალის აღზევება, ანარქია და ქაოსი. 1995 წლის 29 აგვისტოს ტერაქტი. მაგრამ საზოგადოების და სამართალდამცავთა თავდაუზოგავი შრომის შედეგად ერთგვარი სტაბილიზაცია მიღწეული იქნა და 1995 წელს ჩატარდა საპრეზიდენტო არჩევნები. 1996 წელს აცილებული იქნა მორიგი ტერაქტი, 1998 წელს კვლავ ტერაქტი, რომლის აცილება ვერ მოხერხდა, მაგრამ ცხელ კვალზე იქნა გახსნილი. იმავე წლის მაისში გალის კონფლიქტის ესკალაცია. კვლავ მსხვერპლი და ლტოლვილთა ახალი ტალღა, ოქტომბერში ელიავას შეიარაღებული გამოსვლა და დესტაბილიზაციის მცდელობა. 1999 წლის მაისში აღკვეთილი სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა.

ასეთ ურთულეს პირობებში მიმდინარეობდა ქვეყნის აღმშენებლობა. განხორციელდა სასამართლო რეფორმა, ჩატარდა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, საქართველო გახდა ევროსაბჭოს წევრი, დაიწყო „ტრასეკასა“ და „აბრეშუმის გზის“ გრანდიოზული პროექტები, ამოქმედდა სუფსის ტერმინალი, საქართველომ შეიძინა საერთაშორისო ფუნქცია.

საჭირო იყო მიღწეულის შენარჩუნება და განმტკიცება, რაც ბევრად იყო დამოკიდებული საპარლამენტო არჩევნების შედეგებზე. ამიტომ, თითოეული სადეპუტატო მანდატის მოპოვებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ყოველივე ამან განაპირობა კიდეც ჩემი საარჩევნო კამპანიაში ჩართვაც.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად 10 აგვისტოს პატაკით მივმართე შს მინისტრს კახა თარგამაძეს და ორგანიზებულ დანაშაულთან და კორუფციასთან ბრძოლის დეპარტამენტის თავმჯდომარის პოსტი ნებაყოფლობით დავტოვე:

> „როგორც თქვენთვის ცნობილია, მონაწილეობას ვიღებ მომავალ საპარლამენტო არჩევნებში და კენჭს ვიყრი როგორც მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ოზურგეთის რაიონის საარჩევნო ოლქიდან. აღნიშნულის გამო საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გთხოვთ მიიღოთ ჩემი გადადგომა და გამათავისუფლოთ დაკავებული თანამდებობიდან.
>
> დამერწმუნეთ, რომ ძალზე მძიმე იყო ჩემთვის ზემოთ აღნიშნული თხოვნის ქაღალდზე გადატანა, მაგრამ თქვენთვის ცნობილი მრავალი მიზეზის გამო, შექმნილმა რეალობამ ასე მოითხოვა.
>
> მადლობას გიხდით უდიდესი ღვაწლისთვის, რაც ჩემ მიმართ მიგიძღვით და ურთულეს სიტუაციებში თანადგომისთვის. მარად მიგულეთ თქვენი გუნდის წევრად, თანამოაზრედ და თანამებრძოლად.

გთხოვთ მომიტევოთ, რომ დავარღვიე პატაკით მომართვის მიღებული ფორმა.

გულწრფელი პატივისცემით.

ა. ჩხაიძე. 10.08.1999 წ.“

ბატონი კახას რეზოლუცია ასეთი შინაარსის იყო: „ბატონ კ. კობახიძეს. ჩემთვისაც ძალიან მძიმეა ამ გადაწყვეტილების მიღება, მაგრამ სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე იძულებული ვართ დავეთანხმო ბატონი ზურაბ ჩხაიძის თხოვნას“.

სამინისტროდან წასვლის დღეს გაზეთ „კრიმინალური ქრონიკის“ ფურცლებიდან მივმართე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობას და პირად შემადგენლობას:

„ძვირფასო კოლეგებო!

შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში თითქმის 24 წელი ვიმუშავე. 1975 წლის დეკემბერში პირდაპირ უნივერსიტეტის აუდიტორიიდან მოვედი ლეიტენანტის წოდებით და წავედი 1999 წლის 10 აგვისტოს, გენერალ-მაიორის ჩინით.

ეს პერიოდი მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრების უდიდეს ნაწილს მოიცავს და აღსავსეა, როგორც ბოროტებაზე მრავალგზის გამარჯვებით გამოწვეული სიხარულით, ასევე ამ ბრძოლებში უახლოესი მეგობრების დაკარგვით განცდილი უდიდესი მწუხარებითა და ტკივილებით.

ახლა კი, როცა არჩეულია მომავალი ცხოვრების ახალი გზა, და როცა უმძიმესი გამოცდის წინაშე ვდგავარ, მინდა გულწრფელი მადლობა ვუთხრა შინაგან საქმეთა მინისტრს, ბატონ კახა თარგამაძეს, კოლეგიის წევრებს, ყველას – ქალს თუ კაცს, ვეტერანს თუ ახალბედას, ვის გვერდითაც ამ უმკაცრეს წლებში მიხდებოდა დგომა და საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად ბრძოლა.

მინდა კიდევ ერთხელ გამოვხატო უდიდესი გულისტკივილი და ღირსეული პატივი მივაგო დამნაშავეთა წინააღმდეგ თუ ჩვენი სამშობლოს მტრებთან ბრძოლებში დაღუპული კოლეგების ნათელ ხსოვნას.

ბრძოლა კვლავ გრძელდება.

ბროლა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის;

ბრძოლა სამოქალაქო მშვიდობისა და საზოგადოებრივი წესრიგის დამკვიდრებისათვის;

ბრძოლა დემოკრატიისა და ქვეყნის სრული დამოუკიდებლობისათვის.

საქართველო ჯერ ისევ ურთულესი ამოცანების წინაშე დგას, რომელთა წარმატებით გადაჭრაში მნიშვნელოვანი სიტყვა უნდა თქვან შინაგან

საქმეთა ორგანოებმა, უკვე არაერთგზის რომ დაამტკიცეს ერთგულება სამშობლოსა და თავისი ხალხისადმი.

ახალ გამარჯვებებსა და კიდევ უფრო დიდ წარმატებებს ვუსურვებ შინაგან საქმეთა სამინისტროს მრავალათასიან კოლექტივს.

კვლავაც მიგულეთ თქვენს უახლოეს თანამებრძოლად და ერთგულ მეგობრად.

ზურაბ ჩხაიძე

13.08.1999 წ.“

P.S. მინდა ასევე განსაკუთრებული სიყვარული გამოვხატო გაზეთ „კრიმინალური ქრონიკის“ შემოქმედებითი კოლექტივისადმი, რომელთა ყურადღება და სითბოც არასოდეს მომკლებია. იმედი მაქვს, რომ თქვენი თანადგომითა და კეთილგანწყობით ცხოვრების ამ ახალ გამოცდასაც წარმატებით ჩავაბარებ“.

ჯერ კიდევ არ ვიყავი ოფიციალურად დასახელებული დეპუტატობის კანდიდატად, პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის მადლობის წერილი რომ მივიღე:

„ბატონ ავთანდილ (ზურაბ) ჩხაიძეს

დიდ მადლობას მოგახსენებთ საქართველოს ისტორიის ამ უმძიმეს და ურთულეს ეტაპზე სამშობლოსა და ერის წინაშე თავდადებისათვის, უმწიკვლო მხედრული სამსახურისა და მამულიშვილური ღვაწლისათვის.

დღეს, როდესაც ერს და მამულს, როგორც არასდროს, სჭირდება თავისუფლების, დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობის და სახელმწიფო საზღვრების, მამა-პაპის კურთხეული მიწა-წყლის დაცვა, თქვენ ვაჟკაცურად და მამაცურად დგახართ სამშობლოს სადარაჯოზე, თავგანწირვით ემსახურებით მისი სამხედრო ძლიერებისა და უშიშროების განმტკიცებას.

დიდი პატივია იყო საქართველოს ისტორიული, გმირული სამხედრო ტრადიციების ჭეშმარიტი მემკვიდრე და თავდადებული გამგრძელებელი. ახალი, ერთიანი, ეროვნული, დემოკრატიული არმიის საიმედო ჯარისკაცი, სამშობლოს დამცველი ერთგული რაინდი. თქვენ ეს საპატიო მისია დაგაკისრათ სამშობლომ, თქვენ კი საქმით დაამტკიცეთ, რომ ღირსი ხართ ამ დიდი პატივისა და მისიისა.

მე, როგორც საქართველოს სახელმწიფო მეთაური და შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი, გამოვთქვამ დიდ კმაყოფილებას, რამეთუ თქვენ გაამართლეთ სამშობლოსა და ხალხის ნდობა და მხედრული თავდადების მაგალითს უჩვენებთ თანამედროვეებსა და შთამომავლობას.

სულ მაღლა გეჭიროთ დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული თავისუფლების დროშა, როგორც ჩვენს სახელოვან წინაპრებს ვახტანგ გორგასლისა და დავით აღმაშენებლის დროშა და მახვილი ეჭირათ. დარწმუნებული ვარ, ის ერი და არმია არასოდეს არ დამარცხდება, რომელსაც თქვენისთანა ერთგული, თავდადებული და მამაცი მეომრები ჰყავს.

გისურვებთ პირადად თქვენ და თქვენს ოჯახს ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, ბედნიერებას, საქართველოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობის გმირულად დაცვას.

პატივისცემით

ედუარდ შევარდნაძე,

საქართველოს პრეზიდენტი, შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი“.

საარჩევნო მარათონში ჩემი სხვა კოლეგებიც ჩაებნენ: შს მინისტრის მოადგილე, გენერალ-მაიორი გია ჩეჩელაშვილი, პოლკოვნიკი ზურაბ მსხვილიძე, გენერალური პროკურორის პირველი მოადგილე რევაზ ყიფიანი, იუსტიციის მინისტრის მოადგილე როლანდ გილიგაშვილი, გენერალური პროკურორის ყოფილი მოადგილე ალექსანდრე შუშანაშვილი და სხვანი. მრავლად იყვნენ ყოფილი სამართალდამცველები „აღორძინების“ რიგებშიც.

13 აგვისტოს ოზურგეთში გადავედი და მთელი ენერგიით ჩავერთე წინასაარჩევნო კამპანიაში. „მოქალაქეთა კავშირის“ ოფისი სოფლის მეურნეობის სამმართველოს ძველ შენობაში იყო განლაგებული (შენობა შემდგომში დაიწვა და მის ადგილზე დღეს რეგიონის პოლიციის გამჭვირვალე შენობაა აღმართული).

იქვე პირველ სართულზე 10-12 კვადრატული მეტრი ფართობის ოთახი გამომიყვეს, სადაც მოქალაქის მიღება უხერხულიც კი იყო. მოკლე დროში გავეცანი რაიონში შექმნილ სიტუაციას და გულახდილად რომ გითხრათ, გვარიანად შევშინდი კიდეც. საპენსიო და სახელფასო დავალიანებები, წყლის მომარაგების პრობლემა, დანგრეული გზები, საშინელ მდგომარეობაში მყოფი სკოლის შენობები. რომელი ერთი ვახსენო. ყველა დახმარებას ითხოვდა.

„მოქალაქეთა კავშირის“ რეგიონულ შტაბს გუბერნატორის პირველი მოადგილე ილია თავბერიძე ჩაუდგა სათავეში, რომელიც საქმის ცოდნით და ორგანიზატორული თვისებებით გამოირჩეოდა. უნდა აღინიშნოს, რომ იგი „მოქალაქეთა კავშირის“ საარჩევნო სიის გამსვლელ ნაწილში იყო და გახდა კიდეც პარლამენტის წევრი. მასთან ერთად შევუდექი ერთობლივად შედგენილი გეგმის განხორციელებას. უპირველესად მაჟორიტარი კანდიდატის შტაბი შევქმენი, რომელსაც ჩემი უახლოესი მეგობრები ლადი

ჟღენტი და ავთანდილ ვაშალომიძე ჩაუდგნენ სათავეში. ნდობით აღჭურვილ პირებად თანადგომა გამომიცხადეს რაიონის დამსახურებულმა და ავტორიტეტულმა ადამიანებმა: მამია ლომაძემ, მაყვალა ჟღენტმა, ზაური ქობულაძემ, რენო ურუშაძემ, ვოვა ცანავამ, დათო ჩანტლაძემ, მზია ნინიძემ, ლელა იმედაშვილმა, შოთა მჟავიამ, ამირან ჩხაიძემ, გოგი ინწკირველმა, გურამ იობიშვილმა, ნოდარ ტაკიძემ, ომარ ჩხარტიშვილმა, გიგა ხარაბაძემ, ანზორ დუმბაძემ, მაგული კუტუბიძემ, ვაჟა ნიკოლაიშვილმა, ლილი გოლიაძემ, ვოვა კუნჭულიამ, ჯუმბერ დუნდუამ, მზია მეხუზლამ, თამაზ მახარაძემ, დათო იმედაშვილმა, ლევან სკამკოჩაიშვილმა, დავით ჟღენტმა, ომარი გეგიაძემ, გიგა ცხოიძემ, ნოდარ მდინარაძემ, ნოდარ თავართქილაძემ, ვიქტორ დოლიძემ, ბიჭიკო ხარაიშვილმა, მზია სამსონიამ, გიზო მიქაძემ, შოთა გოგიბერიძემ, ლევან ნინიძემ, ლელა თავართქილაძემ, კაკო შავიშვილმა, ბახვა გიორგაძემ, ბიძინა კუჭავამ, დათო სიხარულიძემ, ირინა ინარიძემ, რუსუდან მახარაძემ, ნანი ჩიხლაძემ და სხვებმა, რომელთა უსაზღვრო მადლიერი ვარ და მომიტევონ იმათ, თუკი ვინმე გამომრჩა. მუშაობის გრაფიკი დღე-ღამეში 15-16 საათს შეადგენდა. დილა იწყებოდა მოსახლეობის მიღებით და მათი პრობლემების მოსმენით. მაქსიმალურად ვცდილობდი მათი პრობლემების მოგვარებას. შემდეგ მქონდა შეხვედრები რაიონის სოფლებში, ქალაქის უბნებში, კოლექტივებში.

პარალელურად სხვა უამრავი წვრილმანი იჩენდა თავს, რომელსაც რა მოთვლის და რომლის გადაწყვეტის გარეშე სასურველი შედეგი არ დგება ხოლმე. ამ შეხვედრების ორგანიზებასა და პრობლემების გადაწყვეტაში უამრავი ადამიანი მიწევდა დახმარებას, რომელთა სრულად ჩამოთვლაც შეუძლებელია, მაგრამ რამდენიმე მაინც მინდა გამოვყო: გაიოზ კუჭავა, ეთერ ქადეიშვილი, გია ბოლქვაძე, შოთა თოხაძე, რეზო ჟღენტი, ავთო მახარაძე, ტარიელ გუჯაბიძე, რეზო ნიკოლაიშვილი, ენვერ ორაგველიძე, ვაჟა ჯინჭარაძე, თამაზ გობრონიძე, ამირან და ვალია გირკელიძეები, ომარ ჩხარტიშვილი, თამაზ ცერცვაძე, ჯულიეტა კილაძე, ლენა ქადეიშვილი, მერაბ ხაბეიშვილი, ოთარ გეგიაძე, დიანა ჭანუყვაძე, მამია კალანდარიშვილი, ავთო სურგულაძე, ვახტანგ ქარჩილაძე, დიმა კვერღელიძე, ბორის შეწირული, იზოლდა შათირიშვილი, რომან მარგალიტაძე, ნოდარ ნინიძე, ტრისტან ქადეიშვილი, რომან ცეცხლაძე, ზურაბ ხომერიკი, რუსუდან ჩხაიძე, ზურაბ მჟავანაძე, ჯუმბერ ყაზაიშვილი, ამირან არაშიძე, სოსო ქუთათელაძე, ვალოდია ბერიძე, რეზო სალუქვაძე, თემურ ჯახვა, თამაზი სალუქვაძე, ნოდარ სადრაძე, რობერტ მგელაძე, შალვა თავართქილაძე და სხვები.

აქტიურად მეხმარებოდნენ, კანონის ფარგლებში, ძველი თანამებრძოლები: კუსა კალანდაძე, ვაჟა ბაქანიძე, კაკო ნაკაიძე, ვიქტორ გობრონიძე, ნესტორ მიქატაძე, როლანდ სალუქვაძე, ეროდი გორდელაძე, შოთიკო მჟავანაძე, ამირან მამალაძე, მურმან იგმალა, როინ თოხაძე, თემურ ჩხარტიშ-

ვილი, გია მამაკაიშვილი, სოსო კილაძე, გია თავდუმაძე, ელგუჯა ჩავლეიშვილი, გია ჩხაიძე, ნოშრევან ცინარიძე, ლუკა კეჭაყმაძე, კოტე შავიშვილი, ზურა ჯიჯიეშვილი, ანტონ ჩხაიძე, ბუხუტი ნიჟარაძე და სხვები.

განსაკუთრებით უხერხული სიტუაცია იყო შექმნილი ჩემს სოფელში. დღედაღამ მუშაობდნენ ჩემი თანაკლასელები, პედაგოგების დიდი ნაწილი. ბევრის პოზიცია და ნეიტრალიტეტი აბსოლუტურად გასაგები იყო და ვცდილობდი ეს უხერხულობა თავად მომეხსნა ხოლმე.

განსაკუთრებული ძალისხმევითა და ოპერატიულობით გვეხმარებოდნენ რაიონის პრობლემების გადაწყვეტაში ფინანსთა სამინისტრო, გზების დეპარტამენტი (ბორის სარალიძე, კახა კვიციანი), შინაგან საქმეთა სამინისტრო, ვეტერინარიის დეპარტამენტი (გია ჯიქია), ჯანდაცვის სამინისტრო (ავთანდილ ჯორბენაძე, თემურ კალანდაძე), თბილისის „დინამოს“ ვეტერანები. ასევე იუზა ცარციძე, ვაჟა მეტრეველი, აკაკი ჩხაიძე, ანტონ ინგოროყვა, ვანო ჩხარტიშვილი, დავით დუმბაძე, კოკი ცეცხლაძე, თემური ჩხაიძე და სხვები.

ფასდაუდებელია იმ ჟურნალისტების საქმიანობა, რომლებიც აქტიურად თანამშრომლობდნენ ჩვენთან და ობიექტურად აშუქებდნენ წინასაარჩევნო პროცესებს ოზურგეთიდან. მადლობა მათ, ვინც პრესისა და ტელევიზიის საშუალებით ხელს უწყობდა სწორი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას.

უნდა ავღნიშნო ისიც რომ საარჩევნო კამპანიას არ ჩაუვლია დაძაბულობისა და სკანდალის გარეშე. შეიძლება ითქვას მას ისეთი მოვლენა დაუკავშირდა, რომელიც ერთი რაიონის ფარგლებს გასცდა და უმაღლეს სახელისუფლებო კულუარებში მნიშვნელოვანი რყევები გამოიწვია.

24 აგვისტოს ოზურგეთის სახელმწიფო თეატრში ჩემი ოპონენტის ზვიად ცეცხლაძის პომპეზური შეხვედრა შედგა რაიონის მოსახლეობასთან. ზვიადის მხარდასაჭერად ოზურგეთის თეატრში, ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად, „აღორძინების“ პარტიული ელიტა და საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი ადამიანები შეიკრიბნენ. აქ იყვნენ ბათუმისა და სხალთის მიტროპოლიტი მეუფე დიმიტრი, ყოფილი გენერალური პროკურორი ვახტანგ რაზმაძე, „სახალხო პარტიის“ ლიდერი მამუკა გიორგაძე, იურისტი ვალერი გელბახიანი, „სოციალისტური პარტიის“ ლიდერი ვახტანგ რჩეულიშვილი, ცნობილი ექიმი ვახტანგ ბოჭორიშვილი, კრიტიკოსი თამაზ წივწივაძე, საოპერო მომღერალი ალეკო ხომერიკი, მწერალი ლევან სანიკიძე, მომღერლები ნუკრი კაპანაძე, თემურ თათარაშვილი. მათგან ბევრი „აღორძინების“ სიით იყრიდა კენჭს. განსაკუთრებულ ყურადღებას იწვევდა ის ფაქტი, რომ სტუმართა შორის იმყოფებოდა „ედუარდ შევარდნაძის ფონდის“ თავმჯდომარე ნუგზარ ფოფხაძე.

შეხვედრას ჩემი და ზვიადის საერთო მეგობარი, ისტორიკოსი, ოზურგეთის მუზეუმის დირექტორი, ენვერ გოგუაძე უძღვებოდა. ასეთი ძლიერი

გუნდის მხარდაჭერამ საკმაოდ შთამბეჭდავი ეფექტი მოახდინა საზოგადოებაზე. შეხვედრაზე ნუგზარ ფოფხაძის ყოფნამ კი ჩვენს თანამოაზრეებში სერიოზული დაბნეულობა და გაუგებრობა წარმოშვა.

ბევრი რამ ამ ამბავში ჩემზეც აღარ იყო დამოკიდებული. საკითხი „მოქალაქეთა კავშირის“ რეგიონულმა შტაბმა დაუყოვნებლივ აცნობა ჯერ პარტიის გენერალურ მდივანს მიხეილ მაჭავარიანს, შემდეგ კი პარლამენტის თავმჯდომარეს ზურაბ ჟვანიას. მხარის გუბერნატორი სასწრაფოდ გამოიძახეს პრეზიდენტთან. საღამოს ამ მოვლენას ვრცელი სიუჟეტი მიუძღვნა „რუსთავი 2-ის“ საინფორმაციო პროგრამა „კურიერმა“.

მოკლედ, ამ შეხვედრას დიდი რეზონანსი მოყვა. ჩემი აზრით, აქ მარტო იმაში არ იყო საქმე „აღორძინების“ კანდიდატის შეხვედრას პრეზიდენტის ფონდის თავმჯდომარე რომ ესწრებოდა. შევარდნაძის კარზე, ვფიქრობ მისი ფონდის ხელმძღვანელი არცთუ მისაღები პერსონა იყო „რეფორმატორთა“ გუნდისთვის. ამიტომ, საკითხი პრეზიდენტთან კიდევ უფრო მძაფრად იქნა მიტანილი.

შედეგმაც არ დააყოვნა. ედუარდ შევარდნაძემ მეორე დღეს მთავრობის სხდომაზე საკმაოდ მკაცრი განცხადება გააკეთა და აღნიშნა, რომ დაუშვებლად მიაჩნია მის სახელთან დაკავშირებული ფონდის ან ფონდის რომელიმე ფილიალის გამოყენება პოლიტიკური, ამ შემთხვევაში, წინასაარჩევნო მიზნების მისაღწევად და წყვეტს ფონდთან ყოველგვარ ურთიერთობას.

> „საქინფორმის“ კითხვაზე, შესაძლებელია თუ არა დაკონკრეტება, ვინ ჰყავდა მხედველობაში ამ განცხადების დროს ედუარდ შევარდნაძეს და გულისხმობდა თუ არა ზვიად ცეცხლაძეს, რომელიც, როგორც ირკვევა, ედუარდ შევარდნაძის ფონდის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალის ხელმძღვანელი ყოფილა, ხოლო კენჭს იყრის, როგორც „აღორძინების“ მაჟორიტარი კანდიდატი ოზურგეთში, საქართველოს პრეზიდენტის პრესმდივანმა ვახტანგ აბაშიძემ განაცხადა: „ედუარდ შევარდნაძის ფონდი მისი დამფუძნებლებისა და დამაარსებლების მიერ გააზრებული იყო როგორც არაპოლიტიკური ორგანიზაცია, რომელსაც საქართველოში დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის პროცესებისათვის უნდა შეეწყო ხელი. ედუარდ შევარდნაძეს დაუშვებლად მიაჩნია მის სახელთან დაკავშირებული ფონდის ან ფონდის რომელიმე ფილიალის გამოყენება პოლიტიკური, ამ შემთხვევაში, წინასაარჩევნო მიზნების მისაღწევად და წყვეტს ფონდთან ყოველგვარ ურთიერთობას“[31].

რა თქმა უნდა, ამ ფაქტმა დიდი გავლენა იქონია უპირველესად იმ ამომრჩეველზე, რომლებიც თვლიდნენ, ხომ არ იყო ნუგზარ ფოფხაძის ოზურგეთში ჩამოსვლა პოლიტიკური თამაშის ნაწილი, რომელიც შევარდნაძეს ახასიათებდა. თუმცა, მისი გადაწყვეტილება შეუვალი იყო. ეს შემდეგში

[31] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“ . 28.08. 1999 წ.

მხარის გუბერნატორმა კარლო გუჯაბიძემაც მიამბო: ასეთი გაბრაზებული შევარდნაძე ცეკას მდივნობის შემდეგ არ მინახავსო.

საარჩევნო კამპანია ძალას იკრებდა. ჩემს მხარდასაჭერად ჩამოდიოდნენ ჩემი მეგობრები, მიცხადებდნენ თანადგომას და მეხმარებოდნენ ამომრჩეველთა მიერ დასმული საკითხების მოგვარებაში.

ბატონი ჭაბუა ამირეჯიბის ერთი მხარდასაჭერი წერილი წიგნის დასაწყისში გავიხსენე. დიდი ქართველი მწერალი მეორედაც შემეხმიანა და წერილობითი მიმართვა გამომიგზავნა:

> ბატონო ზურაბ!
>
> მოგეხსენებათ, ხმა არ მაქვს, ამდენად იძულებული ვარ ტელევიზიას ორიოდ სიტყვა წერილობით ვუთხრა.
>
> იმიტომ მიმაჩნია თქვენი კანდიდატურა ჩვენი სამოსახლოსთვის საჭიროდ და სასარგებლოდ, რომ თქვენ, რაც იცოცხლეთ და იღვაწეთ, მხოლოდ თქვენი ღირსეული წინაპრების ანდერძით იყო და არის.
>
> კიდევ იმიტომ მინდა პარლამენტის წევრი რომ იყოთ, რომ თქვენი უზარმაზარი ახალგაზრდული ენერგია და ღვთივბოძებული ნიჭი, ვიცი, ჩვენი სამშობლოს მომავალს დაამშვენებს.
>
> და კიდევ იმიტომ, რომ უანგარო მამულიშვილი ხართ და თქვენი პატიოსნება, დიახაც სჭირდება ჩვენს სამშობლოს, ამ რთულსა და პოლიტიკური ავანტიურიზმით აღსავსე საქართველოს.
>
> პატივისცემით,
>
> **ჭაბუა ამირეჯიბი.**
>
> 27.09.99“

ოზურგეთის (მაშინდელი მახარაძის) რაიონის მშრომელები ჯერ კიდევ 1938 წლიდან მეგობრობდნენ უკრაინის ხერსონის ოლქის გენიჩესკის რაიონის მშრომელებთან. განსაკუთრებით გამოირჩეოდა სოფელ შრომის კოლმეურნეობისა და გენიჩესკის რაიონის სოფელ როვნოეს კოლმეურნეობის ურთიერთობა, რომლის ხანგრძლივი და საინტერესო ისტორია კარგადაა გადმოცემული სოფელ შრომის კოლმეურნეობის ლეგენდარული თავმჯდომარის მიხაკო ორაგველიძის წიგნში „ძმობის ხიდი“.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ეს ურთიერთობაც მოიშალა, მაგრამ დარჩა ერთგვარი ნოსტალგია და ძველი მეგობრობის აღდგენის სურვილი. ნათქვამია „ნუ დაკარგავ ძველსა გზასა, ნურცა კარგსა მეგობარსაო“ და ჩვენც გადავწყვიტეთ მოგვეწვია გენიჩესკის დელეგაცია და სოფელ შრომას მათთან ერთად ვწვეოდით. ერთგვარი სიურპრიზისთვის ჯერ კიდევ აგვისტოს ბოლოს დავიწყეთ მზადება და კონტაქტიც დავამყარეთ. 19 სე-

ქტემბერს სტუმრების დასხვედრად სპეციალურად ჩავედით თბილისში მე და გურამ იობიშვილი. კიევიდან ჩამოფრენილ ექვსკაციან დელეგაციას რაიონის ერთ-ერთი ხელმძღვანელი მარია თეოდორის ასული კოროლი მეთაურობდა.

სტუმრებს ღამის თბილისი შემოვატარეთ და ქართული სამზარეულოც დავაგემოვნებინეთ. დილით კი ოზურგეთში გავემგზავრეთ, სადაც შესანიშნავი დახვედრა მოგვიწყო მხარის გუბერნატორმა კარლო გუჯაბიძემ და რაიონის გამგებელმა ვასილ ტუღუშმა. იყო საზეიმო შეხვედრა, წარსულის გახსენება და სამომავლო გეგმებზე აზრთა გაზიარება. გამოითქვა ლამაზი ტრადიციებისა და მეგობრული ურთიერთობების აღდგენა-განახლების სურვილი.

22 სექტემბერს ჩვენს უკრაინელ სტუმრებთან ერთად შრომაში გავემგზავრეთ. სოფლის ცენტრში და კულტურის სახლში უამრავ ხალხს მოეყარა თავი. შეხვედრა იმდენად საინტერესო და ემოციურად დატვირთული გამოდგა, რომ ამის ქაღალდზე გადმოტანა ჩემს ძალებს აღემატება.

საზოგადოებასთან შეხვედრისას გამომსვლელებმა გაიხსენეს მახარაძელ და გენიჩესკელ მშრომელთა მეგობრობის ისტორია და მისი ფუძემდებლები შრომის კოლმეურნეობის ლეგენდარული თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მიხაკო ორაგველიძე და როვნოეს კოლმეურნეობის თავმჯდომარე თეოდორ კლიმენკო. ვრცლად ისაუბრეს უკრაინასა და საქართველოში არსებულ ვითარებაზე, მოახლოებულ საპარლამენტო არჩევნებზე და სამომავლო გეგმებზე. შეხვედრა დიდი საზეიმო კონცერტით დასრულდა. უკრაინელმა სტუმრებმა ლეგენდარული მიხაკო ორაგველიძის საფლავზე გასვლა და ყვავილებით შემკობა ისურვეს. უცებ მასპინძლებს უხერხული დაბნეულობა შევამჩნიე და მიზეზი მოვიკითხე. როგორც აღმოჩნდა საფლავი არ იყო სათანადოდ მოწყობილი და ასეთ ვითარებაში სტუმრების მიყვანა უხერხულობას გამოიწვევდა. მასპინძლებმა სტუმრებს აუხსნეს, რომ წინადღით მოსულმა კოკისპირულმა წვიმამ და მეწყერმა სასაფლაოზე მისასვლელი გზა ისე დააზიანა, რომ ასვლას ვერ შეძლებდნენ, რაც გაზიარებული იქნა. ყველამ შვებით ამოვისუნთქეთ. სტუმრების გამგზავრების შემდეგ, დაუყოვნებლივ გამოვძებნეთ საჭირო სახსრები და ბატონი მიხაკოს საფლავი მოვაწესრიგეთ.

ოზურგეთისა და გენიჩესკის დელეგაციის ხელმძღვანელებმა ხელი მოაწერეს ორმხრივი ურთიერთობის აღდგენისა და თანამშრომლობის დოკუმენტს, წარმატება გვისურვეს და სამშობლოში გაემგზავრნენ.

ჩვენ დავუბრუნდით წინასაარჩევნო საქმიანობის ჩვეულ რიტმს. ყოველი შეხვედრა გამოირჩეოდა მოსახლეობის განსაკუთრებული აქტივობით. ხშირი იყო კრიტიკული და სამართლიანი შენიშვნებიც. განსაკუთრებით

დამამახსოვრდა სოფელ შემოქმედში შეხვედრის დროს აფხაზეთიდან ლტოლვილი გოგონას თეონა აშუბას ამაღელვებელი გამოსვლა. 14 ოქტომბერს დიდი ექვთიმე თაყაიშვილის მშობლიურ სოფელ ლიხაურს ვეწვიეთ. თავდაპირველად საშუალო სკოლის შენობაში დავესწარით საზეიმო ღონისძიებას, რომელიც მიეძღვნა ამ სოფლის უნიჭიერესი და უმშვენიერესი მკვიდრის, პოეტისა და პედაგოგის ქალბატონ მალვინა თოიძის 60 წლის იუბილეს. შემდგომ კი სოფლის კულტურის სახლში შეხვედრაზე შეკრებილი საზოგადოების თვალწინ გავერთიანდი ლიხაურის საკრედიტო კავშირში. აქვე გადაწყდა სოფლის ცენტრში დიდი ექვთიმე თაყაიშვილის მუზეუმის დაარსების საკითხიც.

წინასაარჩევნო პერიოდი რესპუბლიკაში დაძაბულად მიმდინარეობდა და როგორც აღმოჩნდა, ოზურგეთში კიდევ ერთი პრობლემა გველოდა. ცნობილი შეიქმნა, რომ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ არჩევნებიდან მოხსნა რამდენიმე კანდიდატი. მათ შორის ზვიად ცეცხლაძეც. ცენტრალური საარჩევნო კომისია მიზეზად წარდგენილი დოკუმენტების ხარვეზებით შევსებას ასახელებდა.

ეს ფაქტი პრაქტიკულად არჩევნების ჩემს სასარგებლოდ დამთავრების ტოლფასი იყო, მაგრამ უნდა დამერწმუნოთ, რომ ჩემთვის ძალიან საწყენი აღმოჩნდა. საარჩევნო ბატალიები უბრძოლველად მთავრდებოდა, რაც ქმნიდა ილუზიას თითქოს ჩვენ „არასპორტული“ მეთოდების გამოყენებით შევძელით გამარჯვება. მაღალმა ღმერთმა იცის იმის შესახებ, რომ მე ამის არანაირი სურვილი არ მქონდა, რადგან სასურველი გარდატეხა ამომრჩეველთა აზრისა, უკვე მიღწეული იყო. ამიტომ დღემდე გული მწყდება, რომ საზოგადოების ერთ ნაწილში მაინც დარჩა კითხვის ნიშნები.

შემდეგში პრესაში გავეცანი რამდენიმე პიროვნების მოსაზრებას, თითქოს ზვიად ცეცხლაძემ დოკუმენტებში არსებული ხარვეზები წინასწარ შეგნებულად გააკეთა, რათა ჩემთვის გზა გაეხსნა პარლამენტში. პირდაპირ უნდა განვაცხადო, რომ ამას რეალობასთან არაფერი აქვს საერთო და მხოლოდ მათი ფანტაზიის ნაყოფია.

უკვე არაფრის შეცვლა აღარ შემეძლო და წინასაარჩევნო მარათონი რეალური მეტოქის გარეშე გავაგრძელე, რაღა თქმა უნდა ნაკლები აზარტით. ვინმეს, რომ მოვლენების ასე განვითარება წინასწარ სცოდნოდა, ჩემი საპარლამენტო მანდატისათვის ბრძოლაში ჩაბმაც არანაირად აღარ იქნებოდა საჭირო.

21 ოქტომბერს რეგიონში ზურაბ ჟვანია ჩამოვიდა. იგი შეხვდა ოზურგეთის მე-2 საშუალო სკოლის პედკოლექტივს, ინტერვიუ მისცა „გურიის ტელევიზიას“; ადგილზე გაეცნო მდგომარეობას და საჭირო რჩევებიც მოგვცა.

წინასაარჩევნო პერიოდში ოზურგეთს ხშირად სტუმრობდნენ ჩემი მეგობრები, თბილისიდან, ქუთაისიდან, წალენჯიხიდან, ფოთიდან და სხვა რე-

გიონებიდან, რომლებიც აქტიურ აგიტაციას ეწეოდნენ ამომრჩევლებში. არ დარჩენილა რაიონის არცერთი სოფელი, სკოლა, სადაც პირადად არ მივსულვარ. შეხვედრები გვქონდა განათლების, ჯანდაცვის, მეცნიერების, ხელოვნებისა და კულტურის, სპორტის მუშაკებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ცალკეული დარგების მუშაკებთან.

სოფელ ნატანებში შეხვედრისას განსაკუთრებული მხარდაჭერა გამოგვიცხადა ლეგენდარულმა ბატონმა გივი წითლიძემ, რომლის გამოსვლა შემდეგ პრესაშიც გამოქვეყნდა:

„მჯერა მისი ვაჟკაცური სიტყვის

საბედნიეროდ, იმ მცირერიცხოვან ადამიანთა კატეგორიას ვეკუთვნი, რომლებმაც არაერთხელ განიცადეს დეპუტატობით გამოწვეული სიხარული და დიდი პასუხისმგებლობა. შთაგონებული მქონდა, დეპუტატი ხალხის მსახურიაო და მეც თავდაუზოგავად ვიღვწოდი ნდობის გამართლებისათვის. ჩემგან უხერხულია იმის შეფასება, თუ როგორ განვახორციელე ამომრჩეველთა განაწესი, მაგრამ ის ფაქტი, რომ არაერთხელ ვიყავი არჩეული, ბევრის მთქმელია.

წინა წლებში არჩევნების მოახლოება სიხარულს გვმატებდა, ზრდიდა ჩვენს პასუხისმგებლობას უკეთესი შედეგის მოსაპოვებლად, ახლა არამც თუ ვხარობთ, არამედ შიშის გრძნობაც კი გვეუფლება, ზოგიერთი პოლიტიკანის უპასუხისმგებლო განცხადებებს რომ ვისმენთ.

მე, ღრმად ვარ დარწმუნებული, საქართველოს მოქალაქეთა კავშირის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის ბატონ ზურაბ ჩხაიძის ინტელექტში, კაცთმოყვარეობაში. მჯერა, რომ იგი ღირსეული წარგზავნილი იქნება საქართველოს პარლამენტში. ახლა ნატანებელთა სახელით რამდენიმე საკითხზე მინდა შევაჩერო ბატონი ზურაბის ყურადღება. მჯერა, რომ ამ საკითხებსაც წარმატებით გაართმევს თავს ისე, როგორც ვარსკვლავების სწრაფი ტემპით მიღება მოაგვარა:

1. ახალი ძალით გააგრძელოს ბრძოლა კორუფციის წინააღმდეგ, აღკვეთოს სახალხო ქონების ჩალის ფასად გაყიდვა და საზღვარგარეთ გატანა.

2. კიდევ უფრო გააუმჯობესოს სამამულო ომის მონაწილეთა საყოფაცხოვრებო პირობები.

3. აუცილებლად უნდა აღდგეს შემფუთავი და საკონსერვო ქარხნების მუშაობა, მათ უნდა მიეცეთ მიღებული ნედლეულის გასაღების გარანტიები.

მოსახლეობა ამ ობიექტებს 20-22 სახის ნედლეულს აბარებდა, ანაზღაურებასაც დროულად იღებდა და გადასახადებსაც იხდიდა. ეს კი სახელმწიფოს საშუალებას აძლევდა შეუფერხებლად გაეცა ხელფასები, პენსიები და ჩაეტარებინა კულტ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობა.

ყველა ამომრჩეველს მოვუწოდებ, აირჩიონ ერთადერთი სწორი გზა – ძმობისა და მეგობრობის გზა. შევკრათ წრე ისე, როგორც კარგ „ფერხულსა“

და „ხორუმშია“ გადაბმული და საქართველო რაც შეიძლება მალე მივიყვანოთ იმ ტაძრამდე, რომელზეც იქნება წარწერილი – „ერთიანი, დემოკრატიული, დამოუკიდებელი და ეკონომიკურად ძლიერი საქართველო“.

გივი წითლიძე

ომის II ჯგუფის ინვალიდი, შრომის გმირი, დამწყები ფერმერი“

26 ოქტომბერს საარჩევნო კამპანიის შეჯამება გაიმართა. რეგიონს ეწვია ქვეყნის პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე. სახელმწიფო თეატრში გამართულ შეხვედრაზე მეც მომიხდა გამოსვლა:

თქვენო აღმატებულებავ, ბატონო პრეზიდენტო!

ძვირფასო სტუმრებო! ქალბატონებო და ბატონებო!

უპირველეს ყოვლისა, ბატონო ედუარდ, ნება მიბოძეთ გულწრფელი მადლობა გადაგიხადოთ პირადად თქვენ და „მოქალაქეთა კავშირის“ ხელმძღვანელობას უდიდესი ნდობისთვის!

საზოგადოებისთვის ცნობილია კარს მომდგარი 31 ოქტომბრის არჩევნების უდიდესი მნიშვნელობა. ამდენად ჩემთვის პატივია, აღნიშნულ არჩევნებში, ალბათ ერთ-ერთ ურთულეს უბანზე წარმოვადგენდე თქვენს თანამოაზრეთა და თანამებრძოლთა გუნდს, რომელმაც ოთხი წლის მანძილზე კრიმინალური ბანდების სათარეშოდ ქცეული საქართველო ევროსაბჭოს წევრ, სტაბილურ ქვეყნად აქცია.

ოთხი-ხუთი წლის წინათ, ძნელად თუ ვინმეს სჯეროდა საქართველოს პერსპექტივებისა. მით უფრო გურიასა და ოზურგეთში შექმნილი ურთულესი კრიმინოგენური სიტუაციის გამო.

პოლიცია განიარაღებული და დემორალიზებული, ხოლო საზოგადოება აბსოლუტურად დათრგუნული იყო, უკანასკნელ ოთხ წელში გატარებული ღონისძიებების, კადრების სწორად შერჩევის, მატერიალური ბაზის განმტკიცების შედეგად, გასული წლის აგვისტოში, შეიძლება ითქვას, რაიონსა და რეგიონში, დასრულდა ბრძოლა შეიარაღებულ ბანდფორმირებებთან. ამ ბრძოლას ჩვენი არაერთი თანამებრძოლის სიცოცხლე შეეწირა. შედარებისთვის უნდა ითქვას, რომ თუკი 1994 წელს რაიონში მკვლელობის 40 ფაქტი იყო რეგისტრირებული. 1998 წელს იგი 4-მდე შემცირდა.

გურიას დღეს ჰყავს გამორჩეულად მაღალი რანგის პროფესიონალებით დაკომპლექტებული, ტექნიკის თანამედროვე საშუალებებით აღჭურვილი, მობილური პოლიცია, რომელსაც საზოგადოება განსაკუთრებულად ენდობა და აფასებს. მათი საქმიანობა გასულ წელს მთავრობის მაღალი ჯილდოებით აღინიშნა.

დღეს შეიძლება ითქვას, რომ კრიმინოგენური თვალსაზრისით ოზურგეთი და მთლიანად გურია ერთ-ერთი ყველაზე სტაბილური რეგიონია საქართველოში.

მხარის და რაიონის ხელმძღვანელობა ამჟამად მთელ ძალისხმევას ახმარს ეკონომიკის გამოცოცხლებისა და სოციალური პრობლემების უმოკლეს დროში მოგვარების საკითხებს.

რაიონში ამ ორი თვის განმავლობაში მოვახერხეთ არსებული ცალკეული პრობლემების მთლიანად ან ნაწილობრივ მოგვარება, რაშიც არ შეიძლება მადლობა არ ვუთხრათ „გაერთიანებული ქართული ბანკის“, ფირმა „მარტინ ბაუერის“ ხელმძღვანელებს, რკინიგზის დეპარტამენტის თავმჯდომარეს, ბატონ დავით ონოფრიშვილს, ბატონ ვანო ჩხარტიშვილს, ზაზა სიორიძეს, რაღა თქმა უნდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობას და მრავალ სხვას.

მიუხედავად ამისა პრობლემები კვლავაც მრავლადაა. დიდია პენსიებისა და ხელფასების დავალიანება. მოსახლეობის დიდი ნაწილი ვერ ახერხებს მკურნალობისა და გადაუდებელი ოპერაციებისთვის საჭირო ანაზღაურების გადახდას, მედიკამენტების შეძენას, უსაშველოდ მომრავლებული საეჭვო რეპუტაციის მქონე უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის საფასურის გადახდას და სხვა.

განსაკუთრებული გულისტკივილით მინდა აღვნიშნო, რომ ცალკეულ სამინისტროებსა და უწყებებს ბევრი არაფერი გაუკეთებიათ თქვენი ცნობილი განკარგულების შესასრულებლად, რომელიც გურიის მხარის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დამატებით ღონისძიებებს მოიცავს.

პირდაპირ უნდა განვაცხადოთ, რომ ალბათ დროა, ამ უწყებათა ხელმძღვანელებმა გურია გაიხსენონ.

მინდა ხაზგასმით გამოვყო ორი საკითხი, რომლებზეც განსაკუთრებით ამახვილებდნენ ყურადღებას ოზურგეთელი ამომრჩევლები ჩემთან შეხვედრისას.

პირველი – ბატონო პრეზიდენტო! დღემდე არ დასრულდა სოფელ მერიაში არსებული სარაკეტო საწვავის „მელანჟისა“ და „სამინის“ გატანისა და გაუვნებლობის სამუშაოები. მისი დასრულებისთვის საჭიროა 50-80 ათასი ლარი, რომლის გამოყოფას დღემდე ვერ მივაღწიეთ, მიუხედავად თქვენი კატეგორიული მითითებისა. არადა საკითხისადმი ასეთმა დამოკიდებულებამ შეიძლება გამოუსწორებელ შედეგებამდე მიგვიყვანოს. იმედს გამოვთქვამ, რომ აღნიშნულ საკითხთან მიბრუნება აღარ დაგვჭირდება.

მეორე საკითხი დაკავშირებულია მოსახლეობის იმ ნაწილის თხოვნასთან, რომლებმაც სტიქიური უბედურების შედეგად (მიწისძვრა, მეწყრული პროცესები) მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი განიცადეს. მათი დიდი ნაწილი უსახლკაროდაა დარჩენილი. იქნებ სათანადო ორგანოები დაინტერესდნენ აღნიშნული საკითხით და ოზურგეთის რაიონს გაუზარდონ საკომპენსაციო თანხების მოცულობა.

ბატონო პრეზიდენტო!

გურულებს კარგად მოეხსენებათ, რომ სოფელი ერთ დღეში არ აშენდება, მით უფრო თითოეული ჩვენგანის ნაოცნებარი, ნაფიქრალი და ნანატრი

ახალი საქართველო. ამიტომაც რაიონის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა, მიუხედავად პრობლემების სიმრავლისა, მხარს უჭერს საქართველოს პრეზიდენტისა და მისი გუნდის მიერ აღებულ საგარეო და საშინაო კურსს. ამავე დროს გარკვეული მოთხოვნებიც აქვთ.

ისინი უპირველეს ყოვლისა ითხოვენ იმას, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონები სავალდებულო იყოს უკლებლივ ყველასთვის და რეალურად ხორციელდებოდეს ყველა დონეზე. ხალხი პირდაპირ მოითხოვს კანონის დიქტატურას და თავის მხრივ მზადაა უყოყმანოდ დაემორჩილოს, ყველა დროის დიქტატორთა შორის უკეთილშობილესს – მის უდიდებულესობას – კანონს!

ჩემთვის, როგორც პარლამენტის წევრობის კანდიდატისთვის, ამომრჩეველთა აზრი ფრიად საყურადღებო და ნიშანდობლივია. ამიტომაც გარწმუნებთ, რომ პარლამენტის წევრად არჩევის შემთხვევაში ყველაფერს გავაკეთებ, ამ მოთხოვნათა პრაქტიკულად რეალიზაციისათვის.

მუდამ მიგულეთ თქვენი თანამოაზრეებისა და თანამებრძოლთა დიდი არმიის ერთგულ ჯარისკაცად“.

პრეზიდენტმა თავის გამოსვლაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩემი კანდიდატურის შერჩევა მისი ნების გარეშე არ მომხდარა, რაც პირადად სთხოვა კახა თარგამაძეს, რომელიც გადადგომით იმუქრებოდაო.

შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა არსებულ პრობლემებზე, დაისახა მათი გადაწყვეტის გზები. დარბაზში მოწვეულმა საზოგადოებამ მოახლოებულ საპარლამენტო არჩევნებში მხარდაჭერა და თანადგომა კიდევ ერთხელ დაუდასტურა საქართველოს პრეზიდენტსა და მისი გუნდის წევრებს. დასასრულს აჟღერდა კომპოზიტორ ვაჟა აზარაშვილის მიერ ჩვენი თხოვნით შექმნილი „ოდა გურიას“ ეთერ კაკულიასა და ანსამბლ „რუსთავის“ შესრულებით.

28 ოქტომბერს საარჩევნო კამპანიის დამაგვირგვინებელი შეხვედრა ჩემი და ზვიადის მშობლიურ სოფელ ბახვში შედგა. შეხვედრას უამრავი ადამიანი დაესწრო. კულტურის სახლის დარბაზში წარმოდგენილ ჩემს თანასოფლელებს შორის იყვნენ როგორც ჩემი, ასევე ზვიადის მომხრეები, ერთმანეთის მეზობლები, მეგობრები, ოჯახის წევრები, პედაგოგები. ამაში გასაკვირიც არაფერი იყო. მთელი წინა საარჩევნო პერიოდის განმავლობაში ჩემსა და ზვიადს შორის ერთხელაც არ დარღვეულა ერთმანეთის განსაკუთრებული პატივისცემის პრინციპი. ძირითადად ასევე იქცეოდნენ მხარდამჭერებიც თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთი არამკითხეს უადგილო და უტაქტო გამოხტომას.

შეხვედრის დასასრულს დამსწრე საზოგადოებას ბოდიში მოვუხადე უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში, ჩვენი საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის გამო შექმნილი არაორდინალური სიტუაციის გამო. განსაკუთრებული სიყვარული დავუდასტურე ზვიადის მომხრეებს და იმედი

გამოვთქვი, რომ არჩევნების დამთავრებისთანავე ერთად გავაგრძელებდით ქვეყნის საკეთილდღეო საქმეების კეთებას.

არჩევნებმა მშვიდ ვითარებაში ჩაიარა.

შედეგები ასე გამოიყურებოდა: ხმა მომცა 35.352 ამომრჩეველმა, 78,16%-მა, ხოლო ჩემს ერთადერთ დარჩენილ მეტოქეს ბატონ ვახტანგ მამეიშვილს – 3823 ამომრჩეველმა, 8.44%-მა.

პარტიული სიებით არჩევნებში მოქალაქეთა კავშირმა მიიღო 27.979 ხმა, 61,86 %, აღორძინებამ – 5.965, 13.19%, ლეიბორისტებმა – 1114 ანუ 2.4%, ედპ – 2714, 6.0%, სახალხო პარტიამ – 1.865, 4.12%, მრეწველებმა – 1.022, 2.26%.

ამ მონაცემებით აშკარად ჩანს, რომ ზვიადის მონაწილეობის შემთხვევაშიც კი ჩემი მაჟორიტარული წესით არჩევნებში გამარჯვება გარდაუვალი იყო.

პარლამენტის დეპუტატები გავხდით ოზურგეთელები: „მოქალაქეთა კავშირიდან“ ილია თავბერიძე, ანტონ ინგოროყვა, ზაზა სიორიძე და მე. „მრეწველებიდან“ – გურამ შარაძე. „აღორძინების“ პარტიული სიით პარლამენტის წევრი გახდა ზვიად ცეცხლაძეც. II ტურში გამარჯვების შემდეგ შემოგვემატა თამაზ გიორგაძე.

●

სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელებას თავიდანვე დიდი ენთუზიაზმით და მონდომებით შევუდექი. მჯეროდა, რომ ბევრი სასიკეთო საქმის გაკეთება შემეძლო. თან მოსვენებას არ მაძლევდა იმ უკიდურესად შეჭირვებული ადამიანების გახსენება, რომლებიც მრავლად ვნახე წინასაარჩევნო პერიოდში. მათი რაოდენობა იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ ამის წარმოდგენაც კი არ შემეძლო. თავიდან ეს გარემოება ძალზე დამთრგუნველად მოქმედებდა, მაგრამ შემდეგ ნათელი გახდა, რომ ამ გლობალური პრობლემის გადაწყვეტას სახელმწიფო დონეზე სწორად მიღებული გადაწყვეტილებები და შემდგომში მათი ცხოვრებაში გატარება თუ უშველიდა მხოლოდ. მდგომარეობის კარდინალურად შესაცვლელად შემოსავლების სრულად მობილიზება, საშემოსავლო ბაზის გაზრდა, ბიზნესის წახალისება და ხელშეწყობა, ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის რეალურად განსაზღვრა, რაიონში წარმოებული პროდუქციის გასაღების ბაზრების მოპოვება და მოსახლეობის მაქსიმალურად დასაქმება იყო აუცილებელი.

რაიონში შექმნილი რეალური სურათის წარმოსაჩენად შემოგთავაზებთ 2000 წლის იანვარში რაიონის გამგეობის სხდომაზე ჩემ მიერ წარმოთქმული სიტყვის ტექსტს:

„ბატონებო და ქალბატონებო!

აგერ უკვე თითქმის სამი თვე გავიდა 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებიდან და მე დღეს პირველად მიწევს თქვენ წინაშე გამოსვლა როგორც რაიონის მაჟორიტარ დეპუტატს, ამიტომაც მიზანშეწონილად მიმაჩნია გავიხსენო ჩემი წინასაარჩევნო დაპირება, რომ ყველაფერს გავაკეთებდი მიღწეული წესრიგის შენარჩუნებისა და კიდევ უფრო განმტკიცებისათვის, რაიონის ეკონომიკის აღმავლობისა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. სააგიტაციო ბუკლეტში ვწერდი: „გპირდებით მხოლოდ იმას, რისი გაკეთების უნარი მაქვს და რისი შესრულების პირობები არსებობს. ბევრი დღეს არსებული პრობლემა დედაქალაქში უნდა გადაწყდეს, მაგრამ რა ვუთხარი იმ ოზურგეთელს, ვინც თბილისის თუ ბათუმის იმედად ხელებს ხელებზე დაიწყობს და დახმარებას დაელოდება.

თუ მოვინდომებთ, მთებს გადავაბრუნებთ. მით უფრო განუმეორებელი გურული ნიჭით, გაქანებითა და მასშტაბებით. გვაქვს უზარმაზარი რეზერვები და ძალები, რომელთა ამოქმედებაც 5-10 წელიწადში ოზურგეთს სახეს შეუცვლის და შევქმნით მაღალანაზღაურებად სამუშაო ადგილებს – ყველა ჩვენი პრობლემის გადაჭრის თავსაც და ბოლოსაც“.

მოგეხსენებათ ასეთი პროგრამის განხორციელებას უპირველესად რაიონში შექმნილი რეალური სიტუაციის ღრმად შესწავლა და ანალიზი სჭირდებოდა, ამიტომაც მთელი განვლილი პერიოდის მანძილზე მე მქონდა უამრავი შეხვედრა ჩვენი რაიონის მაცხოვრებლებთან, ხელმძღვანელებთან, სპეციალისტებთან და ბიზნესმენებთან. შეხვედრის ძირითადი მიზანი სრული ინფორმაციის მოპოვება და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება იყო, მივიღე უამრავი სასარგებლო კონსულტაცია. ეს პროცესი გრძელდება და მე იმედი მაქვს ჩვენ ერთად ვიპოვით შექმნილი მდგომარეობიდან გამოსასვლელ გზას.

რა მდგომარეობაა ამჟამად რაიონში?

თვეობით გაუცემელია ხელფასები და პენსიები, ვერ ხერხდება დამზადებული ჩაის პროდუქციის რეალიზაცია, რაიონის ბიუჯეტს არაფერს აძლევს ციტრუსისა და თხილის საკმაოდ სოლიდური მოსავალი იმიტომ, რომ ვერ გადაწყდა მისი რაიონში გადამუშავების საკითხი. ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების გეგმა ვერ შესრულდა და გარღვევამ ნახევარ მილიონს გადააჭარბა. საპენსიო ფონდს უკანასკნელ ორ წელში დააკლდა დაახლოებით 2 მილიონამდე ლარი.

ადგილობრივი ბიუჯეტის შეუსრულებლობის ორი მიზეზი შეიძლება არსებობდეს. კერძოდ, ან არ არსებობს ბაზა ან ცუდად იმუშავეს საგადასახადო, საფინანსო, მაკონტროლებელმა ორგანოებმა და გამგებლებმა.

მე პირადად ძირითად მიზეზად ჩამოთვლილი ორგანოების ცუდი მუშაობა მიმაჩნია და უპირველეს ყოვლისა მათ უნდა აგონ პასუხი იმ ადამიანების წინაშე, ვინც ხელფასსა და პენსიას ითხოვს ხელისუფლებიდან. მაგრამ ჩემდა სამწუხაროდ, მე ამ ადამიანთა უმრავლესობას ვერ შევამჩნიე, რომ მათ სურვილი აქვთ კრიტიკულად შეხედონ თავიანთ საქმიანობას.

მე კულტურის სფეროში არ მიმუშავია და საკმაოდ დამიგროვდა ინფორმაციები იმის შესახებ, რომ შექმნილი მდგომარეობა ერთგვარი სუბიექტური მიზეზებით არის განპირობებული. ისევე, როგორც მთლიანად ქვეყანაში, ძალზე მაღალია დამალული შემოსავლების ხვედრითი წილი. შემოედინება კონტრაბანდული პროდუქცია და ამით ყველა კმაყოფილია, გარდა უხელფასოდ და უპენსიოდ დარჩენილი მოსახლეობისა. ე. ი. პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ კორუფცია აქაც ისევე მძვინვარებს როგორც მთლიანად ქვეყანაში და ნურავინ დაიმშვიდებს თავს თითქოს ეს სენი ჩვენთან არ არის და მას აქ საფუძველი არა აქვსო. ქვეყნის პრეზიდენტმა თითოეულს მოგვიწოდა, რომ თუ ვერ შევძლებთ ამ სენის დამარცხებას, მაშინ ქართული სახელმწიფო არ შედგება. ჩვენ თვითონ დავასამარებთ ჩვენივე მომავალს. ამიტომ დროა რადიკალურად შევცვალოთ ჩვენი აზროვნება და ცხოვრების წესი.

ისმის კითხვა, როგორ აღმოვფხვრათ კორუფცია?

ამ სენის ბოლომდე დამარცხება ვერც ერთმა ქვეყანამ ვერ შეძლო, მაგრამ მისი დონის შემცირება ეს ჩვენთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია.

უპირველესი ნაბიჯი კორუფციის დონის შემცირებისათვის ეს მეცნიერულად დასაბუთებული, რეალური ბიუჯეტის შექმნაში და მის განუხრელად შესრულებაში მესახება.

ამისათვის საფინანსო განყოფილებამ, სხვა დაინტერესებულმა სამსახურებმა, უნდა ჩამოაყალიბონ ერთიანი გუნდი, რომელიც სრული ობიექტურობით განსაზღვრავს რეალურ საგადასახადო ბაზას და აქედან გამომდინარე რეალური შემოსავლების ოდენობას, მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება საუბარი რეალურ ხარჯებზე, ტრანსფერებზე და ა. შ. მთელი ეს მუშაობა კი აუცილებლად უნდა წარიმართოს სოფლის გამგებლებთან და საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად, რაიონის საკრებულოს სათანადო კომისიასთან მჭიდრო კონტაქტში.

უნდა ითქვას, რომ ამჟამად ამ მიმართებით სრული ქაოსია, ეკონომიკურ ბლოკს არ გააჩნია ელემენტარული აღრიცხვა და ასეთ პირობებში შეუძლებელია განსაზღვრო შემოსავლების ოდენობა, როგორც ჩანს, ასეთი სიტუაცია ხელს აძლევს ძალიან ბევრს და ეს დაუყოვნებლივ უნდა მოიშალოს.

დაინტერესებული სამსახურების მონაწილეობით დაუყოვნებლივ უნდა შეიქმნას კომპეტენტური კომისია, რომელიც განახორციელებს გადამხდელთა სრულ ინვენტარიზაციას. შემოსავლების ოდენობა უნდა გაითვალოთ თითოეული მათგანიდან სახელობით, ხოლო შემდგომ ამ შემოსავლების მობილიზაციის მიმდინარეობაზე უნდა დაწესდეს უმკაცრესი კონტროლი, თანამდებობის პირთა პერსონალური პასუხისმგებლობის გათვალისწინებით...

უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ სიტუაციაში სრულიად უსუსურად გამოიყურება საგადასახადო პოლიცია და სამართალდამცავი ორგანოები, რომელთაც აღურიცხავი ობიექტების, დამალული შემოსავლების, კონტრაბანდის და

მექრთამეობის ათეულობით სისხლის სამართლის დანაშაული უნდა გამოევლინათ, მაგრამ მათი ასეთი ინერტულობა პირდაპირ მიუთითებს რომ საქმე არა ინტერესთა კონფლიქტთან, არამედ ინტერესთა თანხვედრასთან გვაქვს და სიტუაცია რადიკალურად უნდა შეიცვალოს.

მე მიმაჩნია, რომ საგადასახადო სამსახურის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტის შემოსავლების გეგმის პროექტი აბსოლუტურად არ შეესაბამება რეალურს. (2.2 მლნ.-ის ნაცვლად 1.7 მლნ, ანუ 0.5 მლნ-ით ნაკლები) და მისი ასეთი სახით მიღება კორუფციის დაკანონებას ნიშნავს, ამასთან ერთად მიმაჩნია, რომ იმ გამგებელმა და საგადასახადო სამსახურის მუშაკებმა, რომლებმაც ჩააგდეს გასული წლის საგეგმო მაჩვენებლების შესრულება და განაპირობეს რაიონში შექმნილი მწვავე სოციალური ფონი, უმკაცრესად უნდა აგონ პასუხი; თვით თანამდებობიდან წასვლითაც კი, ეს აზრი განსაკუთრებით მაშინ განმიმტკიცდა, როდესაც ვნახე, რომ 2000 წლის შემოსავლების გეგმის პროექტი მის 0,5 მლნ. ლარით შემცირებას ითვალისწინებდა. მას შემდეგ, რაც სრულიად განვსაზღვრავთ ბიუჯეტს და შევუდგებით დღენიადაგ ზრუნვას მის შესასრულებლად, პარალელურად უნდა ვიფიქროთ რაიონის საგადასახადო ბაზის შემდგომი ზრდის, ახალი ინვესტიციების მოზიდვის და ბიზნესის ხელშეწყობისათვის.

ჩვენ მაქსიმალურად უნდა შევუწყოთ ხელი მეწარმეთა საქმიანობას, შევუქმნათ მათ ხელსაყრელი გარემო, დავეხმაროთ პროდუქციის რეალიზაციის ბაზრების ათვისებაში. უპირველესად კი უნდა ვეძებოთ ჩაისა და ციტრუსის რეალიზაციის გზები. ბოლო უნდა მოვუღოთ ასეთი საწარმოებიდან (ჩაის ფაბრიკებიდან) პროდუქციის რეალიზაციას თვითღირებულებაზე დაბალ ფასებში და იქ არსებულ ე. წ. „ორმაგ ბუღალტერიას“ აქ კი თავიანთ სიტყვას უნდა ამბობდნენ ოპერატიული სამსახურები.

ძალზე დამაიმედებელია ჩვენი რაიონის სინამდვილეში ფირმა „გულისტანის“ საქმიანობა. უმცირეს დროში ამ ადამიანებმა ასიათასობით დოლარი დააბანდეს და უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი წარმოება შექმნეს. მათთან საქმიანი შეხვედრისას მრავალი სასიკეთო პერსპექტივა წარმოჩინდა და ჩვენ შევეცდებით დავაჩქაროთ მათი რეალიზაცია, მაგრამ არ შეიძლება არ ვიფიქროთ მათი ინტერესების და ბიუჯეტის ინტერესების დაცვაზე. თუნდაც იმაზე, რომ აღვკვეთოთ რაიონში კონტრაბანდული ფქვილის შემოდინება. მე დღეს შეგნებულად არ ვასახელებ იმ ადამიანებს რომლებიც ამ დანაშაულში გარეულია, რადგან ოპერატიული ინფორმაცია არ მინდა მსჯელობის საფუძვლად გავხადო, მაგრამ მინდა ვირწმუნო, რომ ისინი სათანადო დასკვნებს გააკეთებენ და ქვეყნისა და ხალხის სამსახურში ჩადგებიან, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ვიცით როგორი გზით მოვახდინოთ ამ ინფორმაციათა რეალიზაცია, რომელიც ძალზე მძიმე შედეგებით დამთავრდება.

როგორც აღმოჩნდა, ცალკეული ფირმები აქტუალურად მუშაობენ ოზურგეთის რაიონის სანედლეულო ბაზარზე, სოლიდურ მოგებას იღებენ და ოზურგეთის რაიონისათვის არაფერს ქმნიან. მხედველობაში მაქვს ბიუჯეტი. რადგან ისინი ჩვენი ქვეყნის სხვა რეგიონებში არიან რეგისტრირებული.

ასეთ მოვლენას ჩვენ ვერ შევურიგდებით, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ამ ფირმათა საქმიანობა მოკლებულია რეალურს და უმეტესწილად ხელს უწყობს შემოსავლების დამალვას. სათანადო სამსახურებმა ეს უნდა გაითვალისწინონ და კანონის შესაბამისად აგრძნობინონ ამ ადამიანებს, რომ ოზურგეთიდან მიღებული კეთილდღეობა ოზურგეთელებმაც უნდა მიიღონ და მხოლოდ ბიუჯეტის მეშვეობით. აქ არ შეიძლება არ ვახსენოთ ის ფაქტი, რომ ოზურგეთის რაიონიდან შესყიდული ათასობით ტონა თხილის გატანა ისე მიმდინარეობს, რომ ჩვენი რაიონის ბიუჯეტს ერთი თეთრიც კი არ ემატება. ეს იმის გამო, რომ ოზურგეთში დღემდე ვერ მოხერხდა თხილის გადამამუშავებელი წარმოების ამოქმედება. არადა არსებობს რეალური და ძალზე პერსპექტიული პროექტები. ჩვენ ამ პროექტების ავტორებს უკვე შევხვდით და დავრწმუნდით ამ მიმართულებით არსებულ მართლაც ძალზე სერიოზულ რეზერვებში. ამჟამად ვმუშაობთ ამ პერსპექტივების ამოქმედების მიზნით. არის კიდევ რამდენიმე პერსპექტიული პროექტი, რომელზეც მეტად მაღალი რანგის პროფესიონალები მუშაობენ და შესაძლებელია ძალიან მოკლე დროში ამ მიმართულებით სერიოზული ძვრები დაიწყოს.

არ მინდა ვინმემ იფიქროს, რომ ეს მხოლოდ ჩემი ნააზრევია, პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ყოველივე, რაზედაც მოგახსენებთ, ერთობლივი ნაფიქრალია, ადამიანებისა, რომლებიც მოწადინებული არიან დროის მოკლე მონაკვეთში საგრძნობი ძვრები მოახდინონ რაიონის ეკონომიკაში. აქ, უპირველეს ყოვლისა, უნდა ვახსენო პრეზიდენტის რწმუნებული გურიის მხარეში ბატონი კარლო გუჯაბიძე, რომლის მიმართ განსაკუთრებული მადლიერება მინდა გამოვთქვა. თუ არა მისი აქტიური მხარდაჭერა და პირადი ინიციატივები, მე დღეს თავს ვერ მივცემდი უფლებას ასეთი ოპტიმიზმი გამომეხატა. მე მადლობელი ვარ მისი განსაკუთრებული მხარდაჭერისა საკადრო და სხვა უამრავ საკითხებში. დარწმუნებული ამ თანადგომის მნიშვნელობაში აღვნიშნავ, რომ სიტუაციის ახლებურად წარმართვისათვის საჭიროა თანამოაზრეების ერთიანი გუნდი, რომელიც დროულად უნდა ჩამოყალიბდეს. ამას ელოდება ჩვენგან საზოგადოება. იგი იმედით შემოგვცქერის და ჩვენ არა გვაქვს უფლება არ გავითვალისწინოთ ეს.

ორიოდ სიტყვით მინდა გაცნობოთ, რომ ზემოთ აღნიშნული პროექტების რეალიზაციის დაჩქარების მიზნით უახლოეს პერიოდში ჩვენ ვგეგმავთ ძალზე წარმომადგენლობითი დელეგაციის საქმიან ვიზიტს უკრაინაში და ოზურგეთელი წარმოშობის ბიზნესმენებსა და საქმიანი წრეების წარმომადგენლებთან შეხვედრას ოზურგეთში.

ანუ ვიწყებთ იმით, რაც დაგპირდით, კერძოდ, ყველა იმ ძალის გაერთიანებას და თავმოყრას, რომელთაც ხელეწიფებათ ოზურგეთის განახლება, ჩვენ უნდა გავერთიანდეთ, დავდგეთ პარტიულ და ვიწროპარტიულ ინტერესებზე მაღლა, რათა რაიონის განახლების გეგმა რეალობად იქცეს. მე მწამს მომავლის და მჯერა, რომ ურთიერთთანადგომით მიზანს მივაღწევთ“.

მართალია, ვცდილობდი ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემების გადაწყვეტაში თანამოაზრეთა მობილური გუნდის შეკვრას, მაგრამ ჩემდა სამწუხა-

როდ, უნდა ვაღიარო, როგორც ადგილზე, ასევე ცენტრში ამ თემებით დაინტერესებას არავინ გამოხატავდა.

ქვეყანას ფინანსურად უჭირდა. ბიუჯეტი ვერ სრულდებოდა. ხარჯვით ნაწილში კი ის რაიონები იყვნენ პრივილეგირებულნი, რომელთა მაჟორიტარები ზურაბ ჟვანიას გუნდის ინტერესებს ემსახურებოდნენ.

პარლამენტში უკვე დაწყებული იყო „უმრავლესობის მმართველი უმცირესობის“ ჩამოყალიბების პროცესი და აქტიურად მიმდინარეობდა ცალკეული დეპუტატების გადაბირება.

ჩანაწერი დღიურიდან:

2000. 30 მაისი. ფრაქციაში და უმრავლესობაში აიკრძალა დამოუკიდებელი აზროვნება და სავალდებულოა რამდენიმე კაცის აზრის მიღება.

ფრაქციას და უმრავლესობას საერთოდ არ ახსოვს და არ აწუხებს რეგიონები და რაიონები. ამაზე არავინ ფიქრობს.

ასეთი წესით მალე გადაიბირეს ჩემი ყოფილი კოლეგები მამუკა კობახიძე, ზურაბ მსხვილიძე და სხვანი, რომლებიც ძალ-ღონეს არ იშურებდნენ შს სამინისტროს ხელმძღვანელთა უარყოფითად წარმოსაჩენად, მაშინ როდესაც ცოტა ხნის წინ ისინი თავად იყვნენ პასუხისმგებელნი შინაგან საქმეთა სისტემაში მიმდინარე პროცესებზე. ზურაბ ჟვანიასა და მიხეილ სააკაშვილთან მათი ინიციატივით გამართული რამდენიმე უშედეგო შეხვედრა მეც მქონდა. შს ხელმძღვანელობის წინააღმდეგ ჩემი გამოსვლის საკითხი, პირდაპირი წესით არ დამდგარა, მაგრამ ჩემი ოპერატიულ სამსახურებში ხანგრძლივი მუშაობის გამოცდილებიდან გამომდინარე, ქვეტექსტი აბსოლუტურად ნათელი იყო. მათ მისაღებში კეთილდღეობის მძებნელთა რიგებს რომ არ შევუერთდი, პირველი „სპექტაკლი“ იმ დროს გახმაურებულ შავი ზღვის სანაოსნოს საქმესთან დაკავშირებით გათამაშდა. ფაქტზე ორი სისხლის სამართლის საქმე იყო აღძრული. რესპუბლიკის პროკურატურა უშედეგოდ ცდილობდა საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებას, რის საშუალებასაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ლიდერი ასლან აბაშიძე არ აძლევდათ. აჭარის სამართალდამცავებმა თვითონ აღძრეს დამოუკიდებლად საქმე და ამტკიცებდნენ რომ თვითონ გამოიძიებდნენ მას. მოკლედ, აბსურდული მდგომარეობა იყო შექმნილი, რომლის რეალურად გადაწყვეტის პერსპექტივა არ არსებობდა. ასეთ ვითარებაში პარლამენტში დაისვა საპარლამენტო საგამოძიებო კომისიის შექმნის საკითხი. კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე უმრავლესობამ ჩემი კანდიდატურა წარადგინა. სხდომას ზურაბ ჟვანია უძღვებოდა. ეს იყო მორიგი ფარსი.

„კოლეგებმა“ ასლან აბაშიძის „აღორძინებიდან“ – ვახტანგ რაზმაძემ, ვახტანგ რჩეულიშვილმა, ვალერი გელბახიანმა, ჯემალ გოგიტიძემ, გიორგი თარგამაძემ და სხვებმა კატეგორიულად მოითხოვეს, ჩემ გარდა წამოეყენებინათ ნებისმიერი სხვა კანდიდატი. წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრებოდნენ, რომ არ მიიღებდნენ მონაწილეობას კენჭისყრაში და შემდგომში კომისიის მუშაობაში. ცხარე კამათში მხარი დამიჭირეს გია ხევიაშვილმა, მიხეილ მაჭავარიანმა, კობა დავითაშვილმა, ბესიკ ლაგვილავამ, ვან ბაიბურთმა, გივი ლომინაძემ, გია ჩეჩელაშვილმა, ნიკო ლეკიშვილმა, ხათუნა ხოფერიამ, კობა ამირანაშვილმა, დათო საგანელიძემ, ალბერტ ინდუაშვილმა, ვასილ მაღლაფერიძემ და სხვებმა. „აღორძინებამ“ სხდომათა დარბაზი დატოვა. ედუარდ სურმანიძისა და მიხეილ სააკაშვილის წინადადებით კენჭისყრა გადაიდო საკითხის შესათანხმებლად, კანდიდატურის შეცვლის გარეშე.

შემდგომში ეს თემა მგონი აღარც განხილულა. აღნიშნული კომისია რომც შექმნილიყო, თავიდანვე „მკვდრადშობილი“ იქნებოდა.

ვფიქრობ, ეს ყველაფერი ცუდად გათამაშებული სპექტაკლი იყო ჩემი „კეთილგანწყობის“ მოსაპოვებლად. მავანი ალბათ ელოდა, რომ ამის შემდეგ ხვეწნა-მუდარითა და თხოვნით მივმართავდი, მაგრამ ჩემი პრინციპებიდან გამომდინარე ეს კატეგორიულად მიუღებელი იყო. დავრჩი უმრავლესობის წევრად, მაგრამ დამოუკიდებელი აზროვნების უფლებით.

9 აპრილის საპრეზიდენტო არჩევნებში ედუარდ შევარდნაძის დამაჯერებელი გამარჯვების შემდეგ ზურაბ ჟვანიას გუნდმა უკვე აქტიურად დაიწყო პრეზიდენტისგან დისტანცირება. შემდგომში ამ მოვლენას კარგი შეფასება მისცა თამაზ წივწივაძემ: „დიქტატურა მოდის საქართველოში! დიქტატურა – საპარლამენტო უმრავლესობის მმართველი უმცირესობის მხრიდან!“

შევარდნაძეს მთავრობის დამტკიცებისას ჩაუგდეს სოფლის მეურნეობის მინისტრის ბაკურ გულუას კანდიდატურა.

ჩანაწერი დღიურიდან:

2000. 24 მაისი. კენჭისყრაზე დგას ბაკურ გულუას სოფლის მეურნეობის მინისტრად დამტკიცების საკითხი

1. ხმა უნდა მივცე იმიტომ, რომ წარმოდგენილია პრეზიდენტის მიერ და მას აუცილებლად ჰქონდა ალბათ არგუმენტები. მე თავი მისი გუნდის წევრად მიმაჩნია.
2. ხმას ვერ მივცემ იმიტომ, რომ ქართულ მეჩაიეობაში შექმნილია კატასტროფული მდგომარეობა, განსაკუთრებით რეალიზაციის სფეროში და ამ მიმართულებით საჭიროა ქმედითი ღონისძიებანი, რაც გულუას მხრიდან არ იგრძნობა.
3. ეს რომ ჩავარდეს, წარმოადგენენ ალბათ მორიგ „თინეიჯერ“ კერპს. თავი შევიკავე!

ამ პერიოდში მოხდა ჩემი დაახლოება ფრაქცია „ახალ მემარჯვენეებ-თან“, რომლებიც აქტიურად უპირისპირდებოდნენ ჟვანია-სააკაშვილის გუნდს და ხშირად შევარდნაძესაც კი. ისინი „მოქალაქეთა კავშირის“ სიით შემოვიდნენ პარლამენტში და ძალიან მალევე ცალკე ფრაქცია ჩა-მოაყალიბეს.

ჩანაწერი დღიურიდან:

2000. 18 მაისი. რატომ მოვედი პარლამენტში? – მხარი დამეჭირა პრეზიდენ-ტის კურსისათვის! ამავე პრინციპით აღმოვჩნდი საპარლამენტო უმრავ-ლესობაშიც, რომელიც პრეზიდენტის ავტორიტეტის წყალობით მოვიდა პარლამენტში.

რა ხდება შემდეგ? – ადამიანები, რომლებიც თითქოს გუნდური პრინ-ციპის მომხრენი არიან, ფაქტობრივად წავიდნენ გუნდის „კაპიტნის“ წი-ნააღმდეგ და „სოლისტებად“ მოგვევლინნენ (შეაგროვეს 120 ხელმოწერა, გაილაშქრეს მინისტრების წინააღმდეგ, იყენებენ ზემოქმედების ამაზრზენ ფორმებს, როგორიცაა, შეკვეთილი წერილები მედიაში და სხვა). გამეფე-ბულია უმადურობა და პოპულიზმი, ქართველობა არ უნდათ, სარწმუნოება არ უნდათ. კაცობა უნდათ? ასეთ ვითარებაში ისმის კითხვა – ჩემი ფრაქ-ციაში ყოფნა მიზანშეწონილია?“

2000 წლის 13 ივნისს კენჭისყრაზე დაისვა უზენაესი სასამართლოს წევრების დ. ჩიტლოვისა და ჯ. ყიფიანის უფლებამოსილების მოხსნის საკითხი. პროცესი ე. წ. სასამართლოს რეფორმის ლოზუნგით მიმდინ-არეობდა. სინამდვილეში კი, როგორც ერთხელ აკადემიკოსმა ნაპოლეონ ქარქაშაძემ აღნიშნა, „სასამართლო რეფორმა იყო ადგილმონაცვლეობა და სხვა არაფერი, დასვეს თავიანთი ხალხი“.

უკვე ნათელი იყო, რომ პარლამენტში „უცხო სხეულად“ ვიქეცი. ოპოზი-ციაში ჩემი ადგილი არ იყო, „უმრავლესობის მმართველ უმცირესობაში“ კი არაფერი მესაქმებოდა. „ურჩი“ დეპუტატების რიგებში მოხვედრის გამო ველარც რაიონს ვშველოდი, განსაკუთრებით სატრანსფერო და საპენ-სიო პრობლემების გადაჭრაში. ცენტრალური ბიუჯეტიდან დოტაციებს მხოლოდ „მორჩილი“ მაჟორიტარები იღებდნენ. რაიონის მოსახლეობის სახელფასო და საპენსიო დავალიანებები იზრდებოდა. ამას თან დაერთო რაიონებისთვის 3.0 მლნ. ლარით ტრანსფერების შემცირების საკითხის განხილვა, რომლის კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავი. ჩემი პარლამენ-ტში ყოფნა უაზრობად იქცა.

2000 წლის 5 აპრილს, საპრეზიდენტო არჩევნების წინ, ამომრჩევლებთან შეხვედრის მიზნით გურიაში ედუარდ შევარდნაძე გვესტუმრა. 9 აპრილს კი იგი საქართველოს მოსახლეობამ მეორე ვადით აირჩია საქართველოს პრეზიდენტად. მალე პარლამენტმა მის მიერ წარმოდგენილი მთავრობის

ახალ შემადგენლობაში ბატონი კახა თარგამაძე მეორე ვადით დაამტკიცა შს მინისტრის თანამდებობაზე.

რამდენიმე თვეში ბატონი კახა თარგამაძე შემეხმიანა და შეხვედრა მთხოვა. მინისტრმა არგუმენტირებულად დამისაბუთა, რომ საჭირო იყო ჩემი დაბრუნება და მინისტრის პირველი მოადგილის თანამდებობა შემომთავაზა. აღნიშნული პოსტი იმჟამად ჯიმი მიქელაძეს ეკავა, რომელსაც ყველანი პატივს ვცემდით. კახამ ამიხსნა, რომ ბატონ ჯიმის საპენსიო ასაკი უახლოვდებოდა, ამიტომაც ახლავე სჯობდა მისთვის მისაღებ სამსახურში გადაყვანა, თორემ შემდეგ შეიძლება ეს ვეღარც მოხერხებულიყო. შევთანხმდით, რომ ამაზე პირადად იზრუნებდა. საფიქრალიც აღარაფერი იყო. მადლობა გადავუხადე და თანხმობაც განვუცხადე.

ასე დამთავრდა ჩემი სადეპუტატო „ოდისეა“. საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 29 ივლისის განკარგულებით ჯიმი მიქელაძე დაინიშნა საქართველოს მატერიალური რეზერვების სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარედ, ხოლო მე შინაგან საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილედ.

შემდგომში ბატონმა ჯიმიმ თავის მოგონებებში ყოველივე ეს რატომღაც მის წინააღმდეგ განხორციელებულ „შეთქმულებად“ წარმოაჩინა. ღმერთმა იცის, რომ ეს ასე არ იყო.

„ჩემი დაბრუნება უპირველეს ყოვლისა განაპირობა შინაგან საქმეთა მინისტრის ბატონ კახა თარგამაძის ინიციატივამ. მან შემომთავაზა და არგუმენტირებულად დამიმტკიცა შს სამინისტროში დაბრუნების საჭიროება. ფაქტობრივად ამან გადამაწყვეტინა შემოთავაზებულ წინადადებას დავთანხმებოდი. ამასთან, ბატონი კახა თარგამაძის ინიციატივას დაეთანხმა საქართველოს პრეზიდენტი“ – ვპასუხობდი ერთ-ერთი ჟურნალისტის კითხვას და ვსაუბრობდი შინაგან საქმეთა სისტემაში დაგეგმილ რეფორმებზე.

„ბოლო წლებში შინაგან საქმეთა სამინისტრო სისტემატურად განიცდის სტრუქტურული დახვეწისა და საკადრო ცვლილებების განახლების პროცესს. შს სამინისტროს ხელმძღვანელობა ცდილობს დღევანდელი მოთხოვნებიდან გამომდინარე ოპტიმალურად ქმედითუნარიანი მოდელი შექმნას, რის საფუძველზეც რეალურად მაქსიმალურ შედეგებზე ვიზრუნებთ, რა თქმა უნდა, თუ საჭირო დაფინანსებაც გვექნება. ამასთან, ვამზადებთ ნიადაგს მომავალში ღრმაშინაარსიანი რეფორმების ჩასატარებლად. რამდენიმე თვის წინ შინაგან საქმეთა მინისტრმა პარლამენტსა და საზოგადოებას გააცნო ჩასატარებელი რეფორმების გეგმა, რომელიც შეიძლება მთელი სპექტრით ამომწურავი არ იყოს. უკმარისობისა და არასრულყოფილების პრეტენზია არსებობდა და კვლავ იარსებებს. თბილისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს და დედაქალაქის შს რაიონული სამმართველების რეორგანიზაცია მიზნად ისახავს ხელმძღ-

ვანელი რგოლების შემცირებას, ბიუროკრატიულ მართვაზე უარის თქმას და აქცენტის გადატანას იმ რგოლებზე, რომლებიც უშუალოდ ქმნიან იმ პროდუქტს, რომელსაც საზოგადოებრივი წესრიგი ჰქვია“.

●

ჩემი დაბრუნება შს სისტემაში ოზურგეთში ბევრმა მტკივნეულად აღიქვა. რაიონში, გადაუჭარბებლად ვიტყვი, რომ ჰქონდათ ჩემი თანადგომის იმედი. თან ისიც საფიქრალი იყო, რომ ოზურგეთი კიდევ ერთი, ამჯერად ვადამდელი არჩევნების აუცილებლობის წინაშე დადგა. პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი თავიდან უნდა აერჩიათ.

არჩევნები 2001 წლის 24 ივნისს დაინიშნა.

უკვე შინაგან საქმეთა სამინისტროში ვმუშაობდი და შინაგანად გახარებული ვიყავი იმით, რომ მშობლიურ კოლექტივს ღირსეულად დავუბრუნდი, თან ყოველდღიური ინტრიგებით სავსე საპარლამენტო რეალობას მოვწყდი. თუმცა ვალად მაწვა ოზურგეთელ ამომრჩეველზე მიცემული დაპირებები. თავს რაღაცნაირად მათ წინაშე დამნაშავედ ვგრძნობდი და არ მასვენებდა ფიქრი იმაზე, ვინ იქნებოდა რაიონის შემდეგი მაჟორიტარი დეპუტატი. მასთან ერთად დაწყებული საქმეების წარმატებით განხორციელებას ვგეგმავდი. ამაზე ვწერდი კიდეც ჩემს მიმართვაში „ღია ბარათი ოზურგეთელ ამომრჩევლებს“, რომელიც პარლამენტიდან წასვლის შემდეგ დავბეჭდეთ და გავავრცელეთ.

ყველაფერი ერთმა სატელეფონო ზარმა გადაწყვიტა. პირველ სექტემბერს დამიკავშირდა ჩემი თანასოფლელი და ჩემთვის პატივსაცემი პიროვნება მაკარ ნიკოლაიშვილი და პირად საკითხზე მიღება მთხოვა. მაკარს უარს როგორ ვეტყოდი, იმდენი სიკეთე მახსოვდა მისგან. 20 წლის წინ მისი მხარდაჭერით გავაგრძელე ჩემი სამსახურებრივი კარიერა მახარაძეში. მაშინ იგი მახარაძის რაიკომის მეორე მდივანი გახლდათ.

სანამ მოვიდოდა, ფიქრებმა წამიღო. მაკარის წესიერება, ადამიანური მომხიბვლელობა და ავტორიტეტი საზოგადოებაში, იძლეოდა იმის საფუძველს, მისი პიროვნება განხილულიყო რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად. ასეთ შემთხვევაში მის მხარდამჭერთა რიგებში უეჭველად იქნებოდა ჩემი თანამოაზრეების დიდი ნაწილი. ხოლო მთელ ამ ძალას თუ მაკარის თანაკლასელისა და უახლოესი მეგობრის ზვიად ცეცხლაძის რესურსიც დაემატებოდა, ამ შემთხვევაში მისი გამარჯვება გარდაუვალი იქნებოდა.

ეს კი ყველაფერთან ერთად გარკვეულწილად იმ ბზარის გამთლიანებასაც შეუწყობდა ხელს, რომელიც ჩემი და ზვიადის მომხრეებს შორის გარკვეულწილად მაინც დარჩა. მალე მაკარიც მესტუმრა. ერთმანეთის თბილად მოკითხვის შემდეგ, იმ საკითხს შევეხეთ რაც თავად აწუხებდა.

პრობლემა იმდენად უმნიშვნელო იყო, რომ არ ღირს მოსაყოლად. ბოლოს მაკარის ვკითხე, რას იტყოდა თუ მის კანდიდატურას მხარს დავუჭერდით მაჟორიტარულ არჩევნებში. საკითხის ასეთ შემობრუნებას აშკარად არ ელოდა. დაიბნა კიდეც, რადგან ამ თემაზე ბუნებრივია, ნაფიქრიც არ ჰქონდა.

დაწვრილებით მოვუყევი ჩემი ნაფიქრი და ნააზრევი, სადაც რეალურად დავანახე, რა ძალები დავუჭერდით მხარს და ვუთხარი, რომ დაუყოვნებლივ ენახა ზვიად ცეცხლაძე, რომლისთვისაც გადაეცა ჩვენი საუბრის შესახებ. თუ ის თავისი ადამიანური რესურსებით მხარდაჭერას აღუთქვამდა, ამ შემთხვევაში მისი მაჟორიტარობის კანდიდატად წამოყენების საკითხი დადებითად გადაწყდებოდა.

დიდხანს ლოდინი არ დამჭირდა. 3 სექტემბერს მაკარ ნიკოლაიშვილმა დამირეკა და მითხრა, რომ ზვიადი სრულ მხარდაჭერას უცხადებდა.

შემდგომ მოვლენები ისე განვითარდა როგორც წარმოგვედგინა. 2001 წლის 19 ივნისს ჩვენს მშობლიურ სოფელ ბახვში ხალხმრავლობა იყო. სოფელი ხვდებოდა რაიონის ხელმძღვანელებსა და სტუმრებს. ჯერ „გიგოს ბაღში“ ღირსეული და ღვაწლმოსილი ადამიანის გიგო შარაშიძის მემორიალი გავხსენით, ხოლო შემდეგ სოფლის კლუბში გაიმართა ამომრჩეველთა შეხვედრა მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატთან მაკარ ნიკოლაიშვილთან. იმ დღეს კვლავ ერთი მიზნით შეიკრიბა დარბაზში ბახვის საზოგადოება, ჩემი და ზვიადის მეზობლები, მეგობრები და მხარდამჭერები.

არჩევნებში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებად დარეგისტრირდნენ: გულიკო ლომჯარია (ედპ), ირინა კოპალეიშვილი (სახალხო პარტია), მიხეილ გოგიტიშვილი (ტრადიციონალისტების კავშირი), რომელსაც მხარს უჭერდა შემდგომში სააკაშვილის ერთგული თანამოაზრე და პარლამენტის წევრი კოტე ბერიძე, დამოუკიდებელი კანდიდატები: მერაბ ნინუა და მაკარ ნიკოლაიშვილი. მაკარის მხარს უჭერდა „მოქალაქეთა კავშირი“ და ხელისუფლება.

პრესაში გამოქვეყნდა მაკარის მხარდამჭერთა პუბლიკაციები და ბიოგრაფია.

> **ანზორ ერქომაიშვილი**: „მაკარ ნიკოლაიშვილს კარგა ხანია ვიცნობ. ახალგაზრდობიდანვე ენერგიული, ნიჭიერი, პერსპექტიული კაცი იყო, დრომ დაადასტურა, რომ მისი ეს თვისებები ბევრი კარგი საქმის კეთებაში წაადგა. ჩვენ წლები გვაკავშირებს ერთმანეთთან, ვმეგობრობთ, ხშირად ვხვდებით. წესიერი კაცია, მშვიდი, წყნარი, კარგი ოჯახის პატრონი, ყოველთვის გამიხარდება მისი წარმატებები“.
>
> **გურამ შარაძე**: „გულგრილი ვერ დავრჩები ოზურგეთში 24 ივნისს დანიშნული მაჟორიტარი დეპუტატის არჩევნებისადმი. მით უფრო ზურაბ ჩხაიძის სახით ოზურგეთელებს ღირსეული კაცი ჰყავდათ და მინდა ასევე ღირსეულმა გაიმარჯვოს. ასეთად მიმაჩნია მაკარ ნიკოლაიშვილი. იგი

გავიცანი, როცა მშობლიურ რაიონში ჩამოვდიოდი, ბატონი მაკარი მაშინ რაიონის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო. განსაკუთრებით მხიბლავს მასში ადამიანური, პირადი ღირსებები, თავმდაბლობა, მოკრძალება. არ მეგულება ოზურგეთში მასზე უკმაყოფილო კაცი. ვფიქრობ, რომ მისი პიროვნული თვისებები, პროფესიონალიზმი და ზნეობრიობა აუცილებელია პარლამენტარისათვის“.

რუსუდან ბერიძე: „მაკარ ნიკოლაიშვილს ვიცნობ როგორც ღრმად განსწავლულ, განათლებულ, რაფინირებულ ინტელიგენტს. მსმენია, რომ უაღრესად საქმიანი პიროვნებაა. არჩევნების ბედს ოზურგეთელები თავად გადაწყვეტენ გამომდინარე იქიდან, ვინ უფრო კარგად დაიცავს მათ ინტერესებს. მაკარ ნიკოლაიშვილის ის თვისებები, რომლებიც ზევით აღვნიშნე, ჰაერივით აუცილებელია პარლამენტარისათვის“.

ზვიად ცეცხლაძე: „მე და მაკარი ბავშვობის მეგობრები ვართ. მთელი ცხოვრება ერთად მოვდივართ. იგი ბავშვობიდანვე გამორჩეული იყო თავისი ცხოვრების წესით, კულტურით, ზრდილობით. საშუალო სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა. ასევე წარჩინებით – ინსტიტუტი. სადაც კი უმუშავია, ყველგან კარგი, ნათელი კვალი დაუტოვებია. მასზე გაღიზიანებული და განაწყენებული კაცი არ მინახია. ყველას ძალიან უყვარს. ყველას გვერდით უდგას და მასაც ასევე უდგანან გვერდით.

დღეს მარტო ოზურგეთს კი არა, ქვეყანას უჭირს. მაკარ ნიკოლაიშვილს, ზვიად ცეცხლაძეს ან ზურაბ ჩხაიძეს რომ შეეძლოს ქვეყნის, გინდათ ოზურგეთის გადარჩენა, იცოცხლეთ, კარგია, მაგრამ ვიღაცას რაღაცის გაკეთება მაინც შეუძლია, თუნდაც მცირედის.

მაკარი ის ადამიანია. ვისაც, სხვებთან შედარებით, შეუძლია ოზურგეთისათვის დახმარება. იგი გააკეთებს ყველაფერს იმას, რაც პარლამენტის წევრმა საკუთარი რაიონისათვის, ხალხისათვის უნდა გააკეთოს.

თუ შეიძლება კაცს რაიმე ადამიანური თვისება გააჩნდეს. მაკარს აქვს ეს თვისებები. იგი მაღალი დონის მოქალაქეა, თავისი ქვეყნის და თავისი კუთხის! მას, როგორც კანდიდატს ოზურგეთი კარგად მიიღებს!“

საპარლამენტო არჩევნებში მაკარი ნიკოლაიშვილმა 17.000 ხმით გაიმარჯვა მოწინააღმდეგეზე, რომელმაც 9.000 ხმის მიღება შეძლო. მან სხვა მრავალ კარგ საქმესთან ერთად, მთელი თავისი შესაძლებლობებით გააგრძელა ჩემ მიერ დაწყებული პროექტი და აღადგინა მდინარე ნატანებიდან შვიდი სოფლის სარწყავი წყლით უზრუნველყოფის სისტემა. ეს სისტემა წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსმა საუკუნის წინათ განახორციელა. ძირითადი სამუშაოები სოფელ ვაკიჯვარში წარმოებდა და მალე წარმატებითაც დასრულდა.

ოზურგეთის თემას ვერ ამოვწურავ, მოსაგონებელი ბევრი მაქვს. მაგრამ ერთ საკითხს ვერ ავუვლი გვერდს, რომელიც წინასაარჩევნო პერიოდშიც მაწუხებდა და შემდგომაც.

●

2001 წელი და ახალი საუკუნე მეტად სასიამოვნო მოვლენით დაიწყო. პარლამენტის წევრს ილია თავბერიძეს დაებადა „ოზურგეთის გაზეთის“ სპეციალური ნომრის შექმნის იდეა, რომლის განხორციელებაც თანამოაზრეების მხარდაჭერით შეძლო. გაზეთი მოგვითხრობს მე-20 საუკუნეში ოზურგეთში განვითარებულ მოვლენებზე და ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში აუცილებლად განსახორციელებელ პროექტებზე. 47 გვერდიანი გამოცემა მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე დაისტამბა.

13 იანვარს ოზურგეთის მუზეუმთა გაერთიანების დარბაზში გაიმართა პროექტის „XX საუკუნის სახსოვარი – ოზურგეთის გაზეთის“ წარდგენა.

საზეიმო და გულთბილი საღამო გამოვიდა. მეც მომეცა შესაძლებლობა მადლიერების გამომხატველი სიტყვით მიმემართა საზოგადოებისთვის. გამოსვლაში ოზურგეთის საკათედრო ტაძრის გაჭიანურებული მშენებლობის თემას შევეხე და კიდევ ერთხელ შევეცადე ამ განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხის გაცოცხლებას:

„ნება მიბოძეთ მოგილოცოთ შობა-ახალი წლის დღესასწაული, ახალი საუკუნის, ახალი ათასწლეულის მობრძანება და რაღა თქმა უნდა დამდეგი კალანდა.

დღევანდელი დღე იმითაც არის გამორჩეული, რომ ჩვენ შევიკრიბეთ რათა ყველა ოზურგეთელსა და მათ გულშემატკივრებს მივულოცოთ „ოზურგეთის გაზეთის“ დაბადება. ჩვენი მილოცვა უპირველესად ეკუთვნის ამ დიდებული იდეის ავტორებს და ყველა იმ ადამიანს, რომლებმაც თავიანთი მოკრძალებული წვლილი შეიტანეს ამ ჩანაფიქრის განხორციელებაში.

ძალზე საინტერესო და ძიებით აღსავსე იყო გასული ერთი წელი ოზურგეთელთათვის. განხორციელდა სერიოზული საკადრო გადაადგილებანი, შენარჩუნებული იქნა სტაბილური კრიმინოგენური სიტუაცია, აქტიური ღონისძიებები დაიწყო საბიუჯეტო პრობლემების მოსაგვარებლად, კერძოდ არსებული რეზერვების მობილიზებისა და საგადასახადო ბაზის გაფართოებისათვის. ამ მხრივ გარკვეული დადებითი ძვრებიც აღინიშნა, თუმცა იყო ცალკეული წინასწარ გაუთვალისწინებელი და შეიძლება ითქვას, მოულოდნელი ჩავარდნებიც, რის გამოც შედეგები დაგეგმილთან შედარებით უფრო მოკრძალებულია (ჩავარდნა მეჩაიეობაში, პრივატიზაციის სფეროში და სხვა).

კარგად წარიმართა მუშაობა მსოფლიო ბანკის პროგრამებით მოქმედ საინვესტიციო ფონდებთან, რომლის შედეგიცაა ბახვის და შრომის განახლებული საშუალო სკოლების შენობები, ახალი ხიდი მდინარე სუფსაზე, რაიონის ცენტრალური საავადმყოფოს შენობის კაპიტალური გადახურვა და სხვა. ამ მიმართულებით მუშაობა კვლავაც გაგრძელდება.

ყოველ ღონეს ვხმარობთ მეჩაიეობის, მეციტრუსეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის დარგში ახალი ინვესტიციების მოზიდვის მიზნით. შეიძლება ითქვას, რომ ამ საკითხებში საკმაოდ იმედიანად ვართ.

ალბათ დამერწმუნებით, რომ უკანასკნელ პერიოდში ოზურგეთშიც, ისევე როგორც მთლიანად ჩვენს ქვეყანაში, განსაკუთრებით შესამჩნევია საზოგადოების მკვეთრი შემობრუნება სარწმუნოებისა და ქართული ეკლესიისაკენ. ამის დადასტურებაა ის ფაქტი, რომ ძალზე მოკლე პერიოდში შეკეთდა და აშენდა უამრავი ეკლესია და ტაძარი. მათ შორის ცხემლისხიდში, ვაკიჯვარში. შენდება და დასრულების სტადიაშია ასკანის, ბახვის, მაკვანეთის ტაძრები. ყველა ეს კეთილი საქმე ჩვენი მეგობრების და რაიონის გამოჩენილი ადამიანების ინიციატივითა და უშუალო მონაწილეობით კეთდება. მათ შორის მრავალი მათგანი დღეს ჩვენთან იმყოფება.

ჩვენი მიზანია ამ და სხვა მრავალ ადამიანთა შესაძლებლობების გაერთიანება კიდევ უფრო დიდი მიზნების მისაღწევად. ამიტომაც შეიქმნა საზოგადოება „ოზურგეთელი“, რომელიც ალბათ მიმდინარე წელს ამოქმედდება.

არის ძალზე ბევრი საინტერესო პროექტი და წინადადება, რომელიც სასწრაფოდ გადაწყვეტას მოითხოვს, მათ შორის რამდენიმე მათგანი „ოზურგეთის გაზეთმა“ გამოყო და წინ წამოსწია.

ძალიან მინდა, რომ ოზურგეთელებმა შევძლოთ გაერთიანებისა და მობილიზაციის მაგალითი მივცეთ სრულიად საქართველოს. ამისთვის ერთგვარი „სასინჯი ქვა“ შეიძლება გახდეს ასე გაჭიანურებული საკათედრო ტაძრის მშენებლობის იდეა, რომელმაც ერთ მუშტად უნდა შეჰკრას ყველა, ვისაც ოზურგეთის განსაკუთრებული სიყვარული აქვს.

ახალ საუკუნეს ახალი საქმეებით შევხვდეთ, კარგი იქნება თუ გაზეთის თითო ეგზემპლარს და მიმართვის სპეციალურ ტექსტს გაუგზავნით ოზურგეთელებსა და ჩვენს მეგობრებს.

ამის ორგანიზაცია საკმაოდ დიდ ძალისხმევას და ენერგიას მოითხოვს, ამიტომაც ამ კეთილშობილური საქმის ძირითადი სიმძიმე, ვფიქრობ სწორედ ახლად შექმნილმა საზოგადოება „ოზურგეთელმა“, რაიონის და მხარის ადმინისტრაციამ და მეუფემ უნდა იტვირთოს. ღრმად მწამს, რომ ჩვენ შევძლებთ ოზურგეთის საკათედრო ტაძრის აშენებას.

დასასრულს მინდა აღვნიშნო, რომ მე და ჩემი ოჯახის წევრები ტაძრის მშენებლობის ფონდს ვწირავთ ათას ლარს და ვთხოვთ საზოგადოებას, ვისაც როგორ შეუძლია იმ სახითა და იმ ფორმით მონაწილეობა მივიღოთ ამ კეთილშობილურ საქმეში“.

ოზურგეთს საკათედრო ტაძარი წლების განმავლობაში არ ჰქონდა. წირვა-ლოცვა ქალაქის ცენტრში, გურიელების ყოფილი სასახლის პირველ სართულზე ტარდებოდა, სადაც მაშინაც და დღესაც შემოქმედელი ეპისკოპოსის რეზიდენციაა.

1989 წლის მაისის დასაწყისში ოზურგეთს ეწვია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II. ქალაქის ცენტრში, სწორედ ეპისკოპოსის რეზიდენციის წინ, აკურთხეს ახალი ტაძ-

რის მშენებლობის ადგილი. მოგვიანებით ადგილი შეიცვალა და ამ მიზნით ჭადრების ბაღში გამავალი გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩა გადაიკეტა და საძირკველიც გაითხარა. საქართველოში დატრიალებულმა უმძიმესმა მოვლენებმა მშენებლობის განახლება დიდი ხნით გადადო.

ათი წლის შემდეგ, 1999 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ, მხარის რწმუნებულთან განიხილებოდა ის აქტუალური თემები, რომელიც უახლოეს მომავალში გადაწყვეტას საჭიროებდა და მათ შორის საკათედრო ტაძრის მშენებლობის განახლების საკითხიც დაისვა, რომელიც საკმაოდ სოლიდურ ხარჯებთან იყო დაკავშირებული.

მეუფე იოსებთან შეხვედრის შემდეგ მივიღეთ კურთხევა, რომ საქმე მკვდარი წერტილიდან დაგვეძრა, პირადი შემოწირულებებით და ღვთის ნებით, შემდგომში მადლიანი ხალხიც აუცილებლად გამოჩნდებოდა. „გაერთიანებული ქართული ბანკის“ ოზურგეთის ფილიალში გაიხსნა სპეციალური ანგარიში და პროცესიც დაიძრა.

ჩემს პოზიციას მეუფე იოსებიც გამოეხმაურა:

> „მე ვარ გზა და ჭეშმარიტება“, – ამბობს უფალი და ყოველი ადამიანი, რომელიც ეძიებს სიმართლეს, ნახულობს მას, ხოლო ბოროტის მაძიებელი კი ბოროტს. „ითხოვდეთ და მოგეცეს თქვენ, ეძიებდეთ და ჰპოვოთ“ და მადლობა ღმერთს, რომ გურიამ ბევრი სასიქადულო მამულიშვილი გაზარდა, რომელთაც თავისი შრომა ერის კეთილდღეობას შეალიეს. მე ვფიქრობ, რომ გურია თვით ერთ-ერთი დიდი მამის გაბრიელ ქიქოძის ლოცვითა და კურთხევით უბრუნდება დედა ეკლესიას, აერთიანებს და ამთლიანებს საქართველოს. იგი ალბათ განსაკუთრებით ლოცავს სოფელ ბახვს. ამ სოფლიდან ბევრი მეცნიერი, საერო თუ საზოგადო მოღვაწე ემსახურებოდა და ემსახურება დღესაც საქართველოს, რომელთაგან მინდა განსაკუთრებულად გამოვარჩიო ბატონი ზურაბ ჩხაიძე. ალბათ შემთხვევით არ არის ის, რომ მისი წინაპრები სასულიერო მოღვაწენი ყოფილან. იგი გავიცანი ოზურგეთის სასულიერო გიმნაზიაში და ამ დღიდან მისგან ბევრი კეთილი დახმარება მახსოვს მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ. ხოლო, რაც შეეხება ოზურგეთის საკათედრო ტაძრის მშენებლობას, იგი ერთ-ერთი შემომწირველი და ორგანიზატორია. ბოლო ორი თვის მანძილზე მისი ძალისხმევით მნიშვნელოვანი მოძრაობა დაიწყო ქ. ოზურგეთში შემოქმედის ეპარქიის საკათედრო ტაძრის მშენებლობის ფონდში თანხების მოსაზიდად. ბედნიერია ადამიანი, ვისაც უფალი ტაძრის მშენებლობას დაავალებს. ეს არის ღვთის დიდი სიყვარული მისდამი. ხოლო ამ ტაძრის მშენებლობა ოცდამეერთე საუკუნის დიდი შენაწირი. ცოდვათა მონანიების, ერისა და ეკლესიის დიდი გამარჯვება იქნება. ბატონი ზურაბის სახით მე მინდა დავლოცო სრულიად საქართველო, ვუსურვო, რომ ბევრი საკეთილდღეო მამულიშვილური საქმე აღესრულებინოს. ამინ!“.

ოზურგეთის საკათედრო ტაძრის მშენებლობისთვის ფულადი შესაწირი გაიღო მრავალმა ჩემმა ახლობელმა, მეგობარმა და კოლეგამ, შეიძლება

ვინმე გამომრჩეს, მაგრამ მათგან პატიებას ვითხოვ და რამდენიმეს მაინც ჩამოვთვლი: კარლო გუჯაბიძე, ილია თავბერიძე, ვიქტორ გობრონიძე, თენგიზ ტყეშელაშვილი, ვასილ ტუღუში, გია მამაკაიშვილი, ზაური ქობულაძე, ფატიმა სიორიძე, ბიძინა სალუქვაძე, ლევან ბარქაია, ვანო ვახტანგიშვილი, მარინა გაბრიჩიძე, ქეთევან ჩხაიძე, თამარ ჩხაიძე, თემურ ჩხაიძე, დავით ბერიშვილი, ვასილ დავითაია, ზურაბ ლორია, თენგიზ კიკვაძე, კოტე როგავა, გონერი ლოდია, ვაჟა თოიძე, რეზო გაგუა, ნოშრევან ცინარიძე, დათო ცინარიძე, თამაზ სულავა, რომან მეგრელიძე, ქეთინო მექვაბიშვილი, ბადრი ტრაპაიძე, ირაკლი განუგრავა, რეზო ჩხაიძე, ირაკლი ჩხაიძე, მევლუდ ჩხაიძე, ზურა ჩხაიძე (ასკანელი), ვასილ ჩიგოგიძე, სოსო ქარსელაძე, ბადრი ტუღუში, თამილა ტრაპაიძე, თემური მუხურაძე, თემური ჩუბინიძე, პაატა ლომთათიძე, პაპუნა ლომთათიძე, ზაალ მანჯგალაძე, მერაბ აბაშმაძე, ლადო აბაშმაძე, ირაკლი ნიკოლაიშვილი, პაატა ნიკოლაიშვილი, ნიკა ივანიშვილი, რეზო ფოჩხუა, მერაბ მელუა, ედუარდ შუბლაძე. ბევრი მათგანი დღეს სამუდამო განსასვენებელშია. უფალმა დაუმკვიდროს სასუფეველი. აქ იმიტომ მოვიხსენიე ყველანი, რომ შთამომავლობამ იცოდეს მათ შესახებ.

მაგრამ, ეს მხოლოდ ზღვაში წვეთი იყო. დასაწყისი კარგი გაგრძელებით 2003 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს დადგა. ოზურგეთიდან კენჭს იყრიდა ცნობილი ბიზნესმენი ვანო ჩხარტიშვილი, რომელმაც ხელი მოკიდა ამ საქმეს და დაასრულა კიდეც.

დღეს ოზურგეთის „ჭადრების ბაღს“ ამშვენებს ეს დიდებული საკათედრო ტაძარი. მადლობა ყველას, ვინც თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანა ამ დიდებული წამოწყების კეთილად გასრულებაში.

დაბრუნება შინაგან საქმეთა სამინისტროში

2000 წლის 31 ივლისს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის თანამდებობაზე მუშაობას შევუდექი.

ჩემთვის ახალი და უცხო აქ არაფერი იყო. სამინისტროს პირადი შემადგენლობაც კეთილგანწყობით შემხვდა. მინისტრის ბრძანებით კურირება უნდა გამეწია სატრანსპორტო პოლიციის, ინტერპოლის ეროვნული ბიუროს, დაცვის პოლიციის დეპარტამენტის, დედაქალაქის პოლიციის მთავარი სამმართველოს და გურიის პოლიციის სამხარეო სამმართველოს მუშაობისთვის. ამასთან ერთად დამევალა სამინისტროში მოქმედი კორუფციასთან ბრძოლის შტაბის ხელმძღვანელობა და საპარლამენტო მდივნის ფუნქციების შესრულება. ეს უკანასკნელი ფუნქცია, ალბათ, როგორც „სადეპუტატო“ გამოცდილების მქონეს.

ოპერატიულ სამსახურებს კახა ბაკურაძე კურირებდა, საგამოძიებო სამსახურს ახლად დანიშნული კობა ნარჩემაშვილი, კადრებს – ზურაბ ურუტაძე, ადმინისტრაციულ პოლიციას კი როლანდ ლიპარტელიანი. ყველა მათგანს კარგად ვიცნობდი, ისევე როგორც სამსახურებისა და რეგიონული დანაყოფების ხელმძღვანელებს.

ოპერატიული ვითარება ქვეყანაში ძალზე დაძაბული იყო. განსაკუთრებით რთული სიტუაცია იყო შექმნილი კახეთში და აქედან გამომდინარე თითქმის მთელ აღმოსავლეთ საქართველოში. რასაც პანკისის ხეობაში განლაგებული ჩრდილო კავკასიელ ბოევიკთა, არაბი ინსტრუქტორებისა და კრიმინალური ბანდების არსებობა განაპირობებდა. მძიმე სიტუაციას გვიქმნიდა ცხინვალის რეგიონი.

დასავლეთ საქართველოში კი მუდმივ დაძაბულობაში ვიყავით სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონსა და იმერეთის ცალკეულ რაიონებში.

მძიმე კრიმინოგენურ სიტუაციას თან ერთვოდა ქვეყანაში არსებული ეკონომიკური და ენერგეტიკული კრიზისი, რომელიც, როგორც შემდგომში აღმოჩნდა, ცალკეული პოლიტიკური ძალების გარეშე არ ხდებოდა.

მოვლენებზე უარყოფით გავლენას ახდენდა აჭარის რეგიონის ფაქტობრივად კონტროლ გარეშე ყოფნა და მისი ლიდერის ცენტრალურ ხელისუფლებასთან მკვეთრი დაპირისპირება.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ცალკეული პოლიტიკური ჯგუფების სამსახურში არცთუ უანგაროდ ჩამდგარი მედია საშუალებების მიზანმიმართული მუშაობა, საზოგადოების ფართო ფენებში უარყოფითი, ანტისახელისუფლებო მუხტის შესატანად და რევოლუციური სიტუაციის მოსამზადე-

ბლად. 2000–2001 წწ. შეიძლება ითქვას, ურთულესი პოლიტიკური ბატა-ლიებით აღინიშნა.

ახალ თანამდებობაზე დანიშვნის პირველივე დღეებიდან მომიხდა ისეთი ურთულესი საკითხის გადაწყვეტაში ჩართვა, როგორიც საფეხბურთო კლუბ „თბილისის დინამოს“ გახმაურებული ისტორია გახლდათ, რომელზეც ზე-მოთ გიამბეთ უკვე.

შექმნილი კრიმინოგენური სიტუაციის წარმოდგენის მიზნით, ამ პერიოდში მომხდარი რამდენიმე რეზონანსული დანაშაულის ჩამოთვლაც იკმარებს, რაც ქვეყნის პრეზიდენტისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღ-ვანელთა მიმართ მკვეთრად უარყოფითი აზრის ჩამოყალიბებას უქმნიდა საფუძველს. მით უფრო, როცა ქვეყნის გარედან მიზანმიმართულად უხვად დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციები და მედია-საშუალებები ძალასა და ღონეს არ იშურებდნენ პროცესების ტენდენციურად წარმოსა-ჩენად.

ყველასთვის ნათელი იყო, რომ ხელისუფლებისათვის ბრძოლა გადამწყვეტ ფაზაში შედიოდა.

პანკისის ანკლავი

არც კი ვიცი, ყველაფერი ეს თანმიმდევრულად როგორ უნდა გადმოგცეთ. ამიტომ, მკითხველს ბოდიშს ვუხდი, თუ გარკვეულწილად წინა ისტორიების გახსენებაც მოგვიწევს და ალბათ აუცილებელია, კახეთში და კერძოდ, პანკისში შექმნილი სიტუაციიდან დავიწყოთ.

1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ჩვენს მეზობელ ჩრდილოეთ კავკასიაში ურთულესი პროცესები განვითარდა. ჩეჩნეთმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა და რუსეთ-ჩეჩნეთის მწვავე კონფლიქტიც დაიწყო.

1994 წლის 20 ოქტომბერს რუსეთის ავიაციამ გროზნო დაბომბა, ხოლო იმავე წლის 11 დეკემბერს „კონსტიტუციური წესრიგის დამყარებისა და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების მოტივით“ რუსეთის შეიარაღებული ძალები ჩეჩნეთში შეიჭრნენ.

დაიწყო ხანგრძლივი სისხლისმღვრელი საომარი მოქმედებები, რომელთაც უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა და კიდევ უფრო მეტი ლტოლვილად აქცია.

ორ წელიწად ნახევრიანი ომი 1997 წლის 12 მაისს სამშვიდობო ხელშეკრულებით დასრულდა. თუმცა ჩეჩნეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის შეიარაღებული დაჯგუფებები იარაღს არ ყრიდნენ და პარტიზანულ ბრძოლებს აგრძელებდნენ. დასავლეთის ხელშეწყობით თანდათან დაიწყო ჩეჩნეთის ოპოზიციის რადიკალური ნაწილის ისლამიზაცია. გამოჩნდნენ არაბი ინსტრუქტორები. შეიქმნა ჩეჩნეთისა და დაღესტნის გაერთიანებისა და ისლამისტური სახელმწიფოს ჩამოყალიბების საშიშროება. გახშირდა ტერორისტული აქტები. კერძოდ, ბუინაკსკში, მოსკოვსა და ვოლგადონსკში. ჩრდილოკავკასიელთა ბრძოლას თანაუგრძნობდნენ და ფინანსურ თუ სხვა სახის დახმარებას უწევდნენ არაბული ქვეყნებიდან მივლინებული „ალქაიდას“ ემისრები. პროცესების ასეთ განვითარებას, როგორც აღვნიშნე, ხელს უწყობდა აშშ, თურქეთი და სხვა სახელმწიფოები. ძალაუნებურად მოვლენების ცენტრში საქართველოც მოექცა, როგორც ჩეჩნეთის მოსაზღვრე ქვეყანა და აქედან გამომდინარე ამ პროცესებში გარკვეულწილად საქართველოს სპეცსამსახურებიც აღმოჩნდნენ გარეული.

პანკისის ხეობა, დღევანდელი ახმეტის რაიონის ტერიტორიაზე, მდინარე ალაზნის ზემო დინების ხეობაში მდებარეობს. ხეობის სიგრძე დაახლოებით 34 კილომეტრია და შემოფარგლულია კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთი განშტოებებით, ზღვის დონიდან 950 მეტრ სიმაღლეზე. ხეობის ფერდობები ზღვის დონიდან 2200 მეტრ სიმაღლემდე შემოსილია ფოთლოვანი ტყით. ალაზნის მარჯვენა შენაკადის ბაწარის ხეობაში არის უთხოვრის ტყის სახელმწიფო ნაკრძალი.

ხეობის პირველი სოფელი მატანია, სადაც ძირითადად მთიელი ქართველები და მცირე რაოდენობით ოსები ცხოვრობენ. შემდეგი სოფლებია ბახლოვერი და ოსური ქორეთი. შემდეგ ფშაური საკობიანო, წინუბანი და ყვარელწყალი, რომლის შემდგომი, უკვე ალაზნის მარცხენა მხარეს, მდინარეზე არსებული ხიდის გავლის შემდეგ იწყება ე. წ. პანკისის ადმინისტრაციული ცენტრი, ქისტებით დასახლებული უდიდესი სოფელი დუისი. დუისიდან გზა მდინარე ალაზნის გასწვრივ განლაგებული ქისტებით დასახლებული სოფლების, ჯოყოლო, ბირკიანი, ჯიბახევისკენ მიემართება და ხადორის ხეობამდე აღწევს.

დუისის პარალელურად მთებში მდებარეობს ფშაური სოფელი კაკლიანი. ალაზნის მარჯვენა მხარეს უმეტესად ქისტებით დასახლებული სოფლებია: ქვემო ხალაწანი, შუა ხალაწანი, ზემო ხალაწანი და ომალო.

ქისტები, საქართველოსა და მის მოსაზღვრე ჩრდილო კავკასიაში მოსახლე ვაინახთა სახელწოდებაა და ჩაჩნურ-ინგუშური ენების ქისტურ დიალექტზე საუბრობენ. მათი ამ ადგილებში გადმოსახლება მე-17 საუკუნეში დაიწყო და მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში დასრულდა.

მათი სარწმუნოებაა – ისლამი. მოსახლეობაში დღემდე ფეხმოკიდებულია სისხლის აღება და შუა საუკუნეების ჩვეულებანი. ხეობის მოსახლეობა დაახლოებით 11.000 შეადგენს და მათ შორის 8.000 ქისტია, რომლებსაც მჭიდრო ნათესაური, სულიერი და კულტურული ურთიერთობები აქვს შენარჩუნებული ჩრდილოკავკასიელ ხალხებთან და განსაკუთრებით ჩეჩნებთან რუსეთ-საქართველოს შორის კავკასიონის ქედზე გამავალი სახელმწიფო საზღვარი ორივე მხრიდან კონტროლდებოდა საზღვრის დაცვის დანაყოფების მიერ, მაგრამ იქ არსებული უამრავი ბილიკითა და გადასასვლელით ერთი ტერიტორიიდან მეორეზე უკანონო გადასვლა მაინც შესაძლებელი გახლდათ. გამონაკლისს მხოლოდ ზამთრის დიდთოვლობის პერიოდი შეადგენდა.

სწორედ ამ გზით საომარი მოქმედებების დაწყებისთანავე მჭიდრო კონტაქტები დამყარდა ჩეჩენ მებრძოლებსა და პანკისელ ქისტებს შორის, რომლებიც მათ აქტიურ მხარდაჭერასა და თანადგომას უცხადებდნენ. მრავალი ქისტი იარაღით ხელში იბრძოდა ჩეჩნების მხარდამხარ, ხოლო იქიდან ლტოლვილი მოსახლეობა და დაჭრილი მებრძოლები პანკისში პოულობდნენ თავშესაფარს.

ამრიგად, ჯერ კიდევ რუსეთ-ჩეჩნეთის პირველი ომის შემდეგ პანკისის ხეობაში მომრავლდნენ საბრძოლო ნათლობა მიღებული ბოევიკები, არაბი თუ სხვა ჯურის ტერორისტები. ადამიანის გამტაცებლები, კრიმინალები თუ იარაღითა და ნარკოტიკებით მოვაჭრენი.

შექმნილი სიტუაციით უმალვე დაინტერესდნენ უცხოეთის სპეცსამსახურები და პანკისი მათი შეუპოვარი ბრძოლის პოლიგონად იქცა.

დასავლეთი, რომლის სტრატეგიულ ინტერესს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ახლა უკვე რუსეთის დაშლა-დაუძლურება წარმოადგენდა, აქტიურად იყენებდა „ალქაიდას“ ემისრებს, ვაჰაბიტური მოძრაობის ლიდერებს, ხელს უწყობდა არაბი ინსტრუქტორების, საველე მეთაურებისა და ბოევიკების ჩრდილო კავკასიაში გადასროლას, დიდძალი ფულადი რესურსებისა და იარაღის შეტანას. ამისთვის კი მაქსიმალურად იყო გამოყენებული პანკისზე გამავალი გზა. რუსული მხარე ფლობდა, რა სათანადო ინფორმაციას, კატეგორიულად მოითხოვდა პანკისის, როგორც ტერორიზმის ბუდის დაუყოვნებლივ მოშლას, რაც საქართველოს ფართომასშტაბიან საბრძოლო მოქმედებებში ჩათრევასა და საომარი ოპერაციების ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე გადმოტანას მოასწავებდა, ყველაზე მძიმე შედეგებით.

ქართველი სამართალდამცავი ორგანოების წინაშე ურთულესი ამოცანა დადგა. ხეობაში განლაგებულ კლანებთან ბრძოლა უნდა წარმართულიყო ისე, რომ მათ მოქმედებას არავითარ შემთხვევაში არ მოჰყოლოდა შეიარაღებული კონფლიქტი და ვითარების ესკალაცია. ჩვენც, რა თქმა უნდა, ვითვალისწინებდით წარსულის მწარე გამოცდილებას სამაჩაბლოსა და აფხაზეთში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით. ასეთ ვითარებაში პოლიციის ფრთხილმა და გარკვეულწილად გაუბედავმა მოქმედებამ კრიმინალური ჯგუფების ერთგვარი წახალისება და შეიძლება ითქვას გათავხედებაც კი გამოიწვია.

ნორმად იქცა ნარკოტიკებითა და იარაღით ვაჭრობა, ყაჩაღობა, ავტომანქანებისა და ადამიანების გატაცება ფულის გამოძალვის მიზნით.

დამნაშავეთა მოქმედების არეალი გასცდა კახეთს და თბილისის, მცხეთა-მთიანეთის, შიდა და ქვემო ქართლის რეგიონებიც მოიცვა.

ბოროტმოქმედთა ჯგუფი დანაშაულის ჩადენიდან დაახლოებით ორი საათის განმავლობაში თავს პანკისის არაკონტროლირებად ტერიტორიას აფარებდა და პრაქტიკულად ხელმიუწვდომელი ხდებოდა.

პანკისი ერთგვარ ანკლავად ჩამოყალიბდა. მთელი ამ პროცესების მიმდინარეობა რაღა თქმა უნდა, არ დარჩენილა შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიული თვალთახედვის მიღმა. ინფორმაციები თავს იყრიდა სამინისტროს ცენტრალურ აპარატში და რეგიონების დანაყოფების ხელმძღვანელებთან ერთად იგეგმებოდა სათანადო ოპერატიულ-პროფილაქტიკური ღონისძიებანი, რომელიც ითვალისწინებდა დამნაშავეთა დაკავებასა და განეიტრალებას პანკისის ხეობის გარეთ. პრაქტიკულად სამინისტროსა და რეგიონული დანაყოფების პირადი შემადგენლობა მუშაობის სადღეღამისო რეჟიმზე იყო გადასული.

მაშინ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის დეპარტამენტს ვხელმძღვანელობდი, რომელსაც უშუალოდ მინისტრი კახა თარგამაძე და მისი მოადგილე თემურ მურღულია კურირებდნენ.

1999 წლის 21 იანვარს საგარეჯოში ბავშვთა საავადმყოფოს მთავარი ექიმის ზურაბ პეტრიაშვილის გატაცების მიზნით შემოსულ ბოროტმოქმედთა ჯგუფსა და პოლიციის ოპერატიულ ჯგუფს შორის მომხდარი შეტაკებისას დაიღუპა პოლიციის ლეიტენანტი ზაზა ქურხული და ბოროტმოქმედი გ. სეხნიაშვილი.

ორმა ბოროტმოქმედმა შ. ჭიჭიაშვილმა და დ. აბრამიშვილმა მიმალვა მოახერხეს, ხოლო ერთ-ერთი ბოროტმოქმედი ი. დობაძაშვილი დაიჭრა და დაკავებული იქნა. შემთხვევის ადგილიდან ამოღებული იქნა ავტომანქანა „ВАЗ-2011“ გადაკეთებული სახელმწიფო ნომრებით. სამი ერთეული ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, ორი ცალი „Макаров-ის“ სისტემის და ერთი „ТТ-ს“ სისტემის პისტოლეტი, ხელყუმბარები, მჭიდები, დიდი რაოდენობის ვაზნებით, 2 რადიოგადამცემი, რუსულ ენაზე დაბეჭდილი ყურანი, ნიღბები და სხვა. საქმე წარმოებაში მიიღო პროკურატურამ. შეიქმნა საგამოძიებო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში გაერთიანდნენ მაღალკვალიფიციური მუშაკები. ექსპერტიზამ მალევე დაასკვნა, რომ შემთხვევის ადგილიდან ამოღებული იარაღები გამოყენებული იყო სხვადასხვა დროს ჩადენილ უმძიმეს დანაშაულებში. ბოლნისში, ახმეტაში, თელავსა და თბილისში.

ნათელი შეიქნა, რომ საქმე გვქონდა ძალზე ორგანიზებულ და მეტად საშიშ დამნაშავეთა ჯგუფთან, რომლის ნეიტრალიზება არც თუ ისე ადვილად მოხერხდებოდა.

15 ივნისს ხეობაში ოპერატიული შემოვლისას ავტომანქანაში ჩაცხრილეს პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი, შს თელავის განყოფილების საგამოძიებო დანაყოფის უფროსი ტარიელ არაბული და საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის თელავის სამსახურის უფროსი, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი თამაზ კახიანი. საპასუხო ცეცხლის შედეგად თავდამსხმელებიდან ადგილზე დაიღუპნენ გროზნოში მცხოვრები ალბერტ ხანგოშვილი და ბირკიანელი ალიკ ცათიაშვილი, დაჭრილი ახიად და რამაზ ხანგოშვილები კი შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

18 ივნისს თელავში გაიმართა საკოორდინაციო საბჭოს სხდომა, პანკისის ხეობაში შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით. საბჭოს მუშაობაში მონაწილეობდნენ გია არსენიშვილი, მედეა მეზვრიშვილი, ვალერი ხაბურზანია, ირაკლი დუღაშვილი, ზურაბ ხაჟალია, თამაზ თამაზაშვილი, მე და სხვა პასუხისმგებელი მუშაკები სხვადასხვა უწყებიდან.

საბჭოზე აღინიშნა, რომ ხეობაში გაჩნდნენ ვაჰაბიზმის მიმდევრები და შეიარაღებული ჯგუფები. გახშირდა მძიმე დანაშაულები, სათანადოდ არ კონტროლდებოდა საქართველო-რუსეთის საზღვარი და გადმოსასვლელი ბილიკები. ხეობაში გამოიზამთრა საველე მეთაურმა ოზდემიროვმა თავისი 70-მდე მებრძოლით. საზღვარზე გადმოდიოდა უკონტროლო ტვირთები.

მათ შორის ნარკოტიკი და იარაღი. საზღვრის დაცვის დეპარტამენტის შესაძლებლობები შორს იყო სასურველისგან, ხოლო შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროების ოპერატიული პოზიციები სუსტი გახლდათ. საბჭოზე მიღებული იქნა მთელი რიგი გადაწყვეტილებები მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, თუმცა აშკარად გამოჩნდა, რომ ამის მისაღწევად დიდი დრო და რესურსი იქნებოდა საჭირო. საბჭოს სხდომის შედეგებზე რაღა თქმა უნდა მოვახსენე შს მინისტრს და ოპერატიულ თათბირზე მიღებული იქნა შესაბამისი გადაწყვეტილებები. თათბირის ბოლოს ბატონმა მამია დარჩიამ მინისტრს შეახსენა, რომ 2001 წელს საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტს საიუბილეო 35 წელი უსრულდებაო, რაზეც მინისტრის პირველმა მოადგილემ ჯიმი მიქელაძემ შექმნილი სიტუაციის სირთულიდან გამომდინარე არაორაზროვნად იხუმრა: „ცოტაც მოვითმინოთ და იქნებ ორმოციც გადაგვეხადაო“. მართლაც და შექმნილი სიტუაცია ნამდვილად არ იძლეოდა დამშვიდებისა და საზეიმო განწყობის საფუძველს.

5 ივლისს დედოფლისწყაროში ცნობილი კრიმინალი მუსა ახმადოვი, სამ ჩეჩენთან და ერთ ქისტთან ერთად დააკავეს და ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი და „Макаров-ის“ სისტემის პისტოლეტი ამოიღეს, ხოლო რუსთავში ვინმე მარგოშვილი და დუიშვილი. დავიწყეთ კახეთსა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონში სპეციალურ ღონისძიებათა გეგმაზე მუშაობა, გენერალ-მაიორ თემურ მურღულიასთან გადაწყდა, რომ კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში შეგვექმნა პანკისის ხეობის, კახეთის, შიდა ქართლის და კახეთის რეგიონებზე მოპოვებული ინფორმაციების ბაზა და სათანადო დავალებები მიეცა ყველა დანაყოფებს.

9 ივლისს მევლუდ ჭიჭიაშვილის ჯგუფმა დუშეთის რაიონის სოფელ ჩინთიდან, აგარაკიდან, ფულის გამოძალვის მიზნით გაიტაცა მოსკოვში მცხოვრები ბიზნესმენის თენგიზ წიკლაურის მამა, მცხეთის რაიონის სოფელ ქანდაში მცხოვრები ფირუზ ხოშაბაევი. თუმცა ამ გატაცების შესახებ ჩვენთვის ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი.

ასეთ უკიდურესად რთულ კრიმინოგენურ სიტუაციაში 1999 წლის ბოლოს მომიხდა თანამდებობის დატოვება და კარს მომდგარ საპარლამენტო არჩევნების ბატალიებში ჩართვა. თითქმის ერთი წელი მოვწყდი დამნაშავეობასთან ბრძოლის ყოველდღიურ რეალობას. სიტუაცია კი ამ პერიოდში კიდევ უფრო რთულდებოდა.

როგორც შემდგომში ჩემთვის ცნობილი გახდა შ. ჭიჭიაშვილმა 19 ოქტომბერს თენგიზ წიკლაურს მამის განთავისუფლებაში 200.000 აშშ დოლარი გამოსძალა და ზედ ისიც დაურთო, რომ გატაცებულის შვილიშვილი ცოლად შეირთო.

ნოემბერში კი ჯგუფს რუსთავის კოლონიიდან გაქცეული კრიმინალები კოტე ციხისთავი და ხუსეინ შარაბიძე შეუერთდნენ. გაქცევა რუსთავის №1 შრო-

მა-გასწორების დაწესებულებიდან 30 მეტრიანი გვირაბით განხორციელდა და იუსტიციის მინისტრსა და მის ხელქვეითებს, რომლებიც მხოლოდ შს სამინისტროს კრიტიკით იყვნენ გადაღლილები, აშკარად ჩამოეძინათ.

2000 წლის 31 ივლისს, როგორც მოგეხსენებათ, „პოლიტიკური მივლინებიდან“ უკან დავბრუნდი და შს მინისტრის პირველ მოადგილედ შევუდექი მუშაობას. კრიმინალური პოლიციისა და კახეთის რეგიონის კურატორობა ჩემს ფუნქციებში არ შედიოდა, თუმცა მუდმივად მიმდინარე პროცესების საქმის კურსში ვიყავი.

4 აგვისტოს სამსახურებრივი მივლინებით გურიაში ვიმყოფებოდი, როდესაც შემატყობინეს პანკისის ხეობაში „წითელი ჯვრის“ საერთაშორისო კომიტეტის თანამშრომლების სოფია პროკოფიევას (საფრანგეთი), ნატაშა ზელინას (იტალია) და იური დარჩიევის (საქართველოს) გატაცების შესახებ. შემთხვევაზე ოპერატიულ მუშაკებთან ერთად მაშინვე გავიდნენ კრიმინალური პოლიციის კურატორი, მინისტრის მოადგილე კახა ბაკურაძე და კახეთის მთავარი სამმართველოს უფროსი თამაზ თამაზაშვილი.

რამდენიმედღიანი ღონისძიებების შედეგად გატაცებულები, ყოველგვარი გამოსასყიდის გარეშე განთავისუფლებული იქნენ. გავრცელდა ინფორმაცია, რომ გამტაცებლებთან, პროფესიონალ მკვლელ და გამტაცებელთან უვაის ახმადოვთან შუამავლობა ძებნილებმა, ვეფხია მარგოშვილმა და შოთა ჭიჭიაშვილმა გასწიეს, ამ უკანასკნელებზე ძებნის შეწყვეტის პირობით. ამ დეტალებით მაშინ არც დავინტერესებულვარ და დღემდე არავინ გამომიკითხავს.

რატომღაც მიმაჩნდა, რომ იმ საკითხებში ცხვირის ჩაყოფა, რომელიც ჩემს ფუნქციებში არ შედიოდა, არ იქნებოდა გამართლებული. ისიც მუდამ მახსოვდა, რომ ბევრის ცოდნა ადრე აბერებს.

26 აგვისტოს, ანტიტერორისტული კამპანიის დაწყების მოტივით ჩეჩნეთის ტერიტორიაზე კვლავ განახლდა მძაფრი საომარი მოქმედებები და კავკასიონის გადმოსასვლელებს ლტოლვილთა და ათასი ჯურის კრიმინალთა ახალი ტალღა მოაწყდა. ამან სიტუაცია ხეობაში და რაღა თქმა უნდა, მთლიანად ქვეყანაში უკიდურესად დაძაბა.

შემოდგომაზე რუსეთის შეიარაღებული ძალების მიერ განხორციელებულ მძლავრ შეტევით ოპერაციებს შედეგად მოსახლეობის და შეიარაღებული ფორმირებების ჩვენი საზღვრების მიმართულებით გამოდევნა მოჰყვა. რუსი სამხედროები მათ ერთგვარ კორიდორებსაც კი უხსნიდნენ ჩვენს ტერიტორიაზე გადმოსასვლელად. ცხადი შეიქნა, რომ მიზანს საბრძოლო მოქმედებების საქართველოში გადმოტანა შეადგენდა.

საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტი თავისი მწირი შესაძლებლობებით უძლური შეიქმნა შეეკავებინა განვითარებული პროცესები.

ოქტომბრის შუა რიცხვებში საქართველოს ტერიტორიაზე შემოვიდა სისხლისმღვრელ ბრძოლებს გამორიდებული ჩეჩენ მებრძოლთა კბილებამდე შეიარაღებული მრავალრიცხოვანი დაჯგუფება, ცნობილი საველე მეთაურის რუსლან გელაევის წინამძღოლობით.

აღნიშნული დაჯგუფება მაშინვე ბლოკირებული იქნა თავდაცვის სამინისტროსა და სხვა ძალოვანი უწყებების დანაყოფების მიერ. ოპერაციას ხელმძღვანელობდა შეიარაღებული ძალების გენშტაბის უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი ჯონი ფირცხალაიშვილი. მოსალოდნელი სისხლისღვრისა და შეიარაღებული კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით ხელისუფლებამ მოქმედების ფრთხილი და მშვიდობიანი გზის არჩევა ამჯობინა, რასაც რუსლან გელაევის მძლავრი დანაყოფის ხანგრძლივი დროით და მშვიდად გამოზამთრების პერსპექტივით პანკისის ხეობაში დაბანაკება მოჰყვა.

ინციდენტი მშვიდობიანი გზით მოგვარდა. პრაქტიკულად აცილებული იქნა შეიარაღებული კონფლიქტი, რაც რეალურად რუსეთის ინტერესებშიც შედიოდა და ჩვენი ჩეჩნეთის შეიარაღებულ ძალებთან საბრძოლო მდგომარეობაში ჩაბმის ტოლფასი იქნებოდა. სხვათა შორის ეს დასავლეთსაც აძლევდა ხელს რუსეთ-საქართველოს შორის არსებული ურთიერთობების კიდევ უფრო გასამწვავებლად.

ინციდენტი ავიცილეთ, თუმცა ერთი დიდი უბედურების ნაცვლად მივიღეთ მეორე არანაკლები პრობლემა. საქართველოს ტერიტორიაზე, პანკისის ხეობაში გაჩნდა უცხო ქვეყნის, სრულიად უკონტროლო შეიარაღებული ძალა. ამან კიდევ უფრო სერიოზული ბიძგი მისცა, ხეობაში კრიმინალური ბანდების თავგასულობას. ასეთები კი მრავლად იყვნენ. მევლუდ ჭიჭიაშვილის, ვეფხია მარგოშვილის, ძმები ახმადოვების, ხანგოშვილების და „ვაჰაბიტთა“ მრავალრიცხოვანი კრიმინალური დაჯგუფებების, გვერდით ხეობაში განლაგებული იყო რ. გელაევის 300-400 კაციანი მძლავრი დანაყოფი და „ალქაიდას“ სულიერი მამის ბინ ლადენის უახლოესი წარმომადგენელი ამჟეტი (იგივე აბუჰაფსი) ასამდე „მოჯაჰედით“.

ყოველივე ამას შედეგად მოჰყვა მძიმე დანაშაულის მკვეთრი ზრდა მთელ აღმოსავლეთ საქართველოში.

გაქცევა გვირაბით

2000 წლის 1 ოქტომბერს საქართველოში სკანდალური ინფორმაცია გავრცელდა. ორთაჭალის ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოდან გაყვანილი გვირაბით პატიმრობიდან გაიქცნენ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების ვიცე-პრემიერი და ფინანსთა მინისტრი გურამ აბსანძე, სამუდამო პატიმ-

რობა მისჯილი ვახტანგ (ლოთი) ქობალია და მათი თანამოაზრენი, სულ 12 ადამიანი.

ამ დროისთვის, 2000 წლის 1 იანვრიდან სასჯელაღსრულების სისტემის მართვა და მისი ორგანიზაციული ხელმძღვანელობა უკვე იუსტიციის სამინისტროს კომპეტენციას წარმოადგენდა და შს სამინისტრო პრაქტიკულად მოკლებული იყო აღნიშნულ დაწესებულებებში ოპერატიული ვითარების კონტროლის შესაძლებლობებს. მინისტრი ამ დროს (უკვე მეორეჯერ 1990–1992 წწ.) ჯონი ხეცურიანი გახლდათ. ამ „საუკუნის გაქცევამ“ პრაქტიკულად დასაბამი მისცა მიხეილ სააკაშვილს კარიერულ წინსვლაში. ათი დღის შემდეგ, 12 ოქტომბერს, იუსტიციის მინისტრის თანამდებობაზე პრეზიდენტმა სწორედ ის წარადგინა.

ქვეყანაში განგაში გამოცხადდა. შს სამინისტრო და ძალოვანი სტრუქტურები დაუყოვნებლივ ჩაერთნენ სამძებრო ღონისძიებებში, რომლებსაც უშუალოდ მინისტრი ხელმძღვანელობდა. არსებობდა იმის საშიშროება, რომ თუ ჯგუფი სამეგრელოში ჩააღწევდა, ამას შესაძლოა მეტად სერიოზული გართულებები მოჰყოლოდა. არადა გაქცეულთა ძირითადი შემადგენლობა პრეზიდენტზე 1998 წლის თებერვლის ტერაქტის მონაწილენი ან მხარდამჭერები იყვნენ: გურამ აბსანძე, ლოთი ქობალია, ფენიზ გულუა, ზურაბ ეჯიბია, ავთო დანელია, ხვიჩა ფირცხალავა, თეიმურაზ ბართია, რამინ კინწურაშვილი, ხვიჩა მანჩხავა, გიორგი ნებიერიძე, ჯერალად ძარია.

სამეგრელოში საგანგებო კონტროლისა და მოსალოდნელი ექსცესების აცილება და სპეციალურ ღონისძიებებზე პასუხისმგებლობა მე დამევალა. ზემოთ მოგითხრეთ გურამის რუსეთიდან ეტაპირების და ჩვენი ურთიერთობის ისტორია. 1998 წლის 18 აპრილის შემდეგ, როცა პატიმარს მე-5 იზოლატორში ვესტუმრე და დაბადების დღე მივულოცე, იგი აღარ მენახა და ახლა, ასეთ ვითარებაში, ალბათ მხოლოდ ბედის ირონია იქნებოდა ჩვენი სამეგრელოში შეხვედრა.

ვფლობდით ინფორმაციას, რომ ჯგუფი სამეგრელოსკენ მოძრაობდა ზემო იმერეთი-რაჭა-მარტვილის მარშრუტით და მათ კვალდაკვალ მიჰყვებოდა მინისტრის მოადგილე კახა ბაკურაძე.

12 ოქტომბერს რაჭაში, სოფელ ფუტიეთში განხორციელებული ღონისძიებების შედეგად დააკავეს ლოთი ქობალია, ზურაბ ეჯიბია, ხვიჩა ფირცხალავა და გურამ აბსანძე, რომელსაც ასე მოუთმენლად ველოდით სამეგრელოში. სხვებიც რამდენიმე დღეში იქნენ დაკავებულნი.

ამ გაქცევისა და დევნა-დაკავების დეტალებზე საუბარი ვფიქრობ არანაირ აუცილებლობას არ წარმოადგენს.

ესპანელი მოქალაქეების გატაცება

რამდენიმე დღეში კვლავ შოკის მომგვრელი ინფორმაცია მივიღეთ – აეროპორტის ტრასიდან ესპანელი მოქალაქეები გაიტაცეს. ცხელ კვალზე გატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად დადგენილი იქნა, რომ ესპანეთის მოქალაქეების, ალიხანდრო ტრიმიიოსა და ფარანცისკო როდრიგესის გატაცება ჩადენილია მიმალვაში მყოფი შოთა ჭიჭიაშვილისა და მისი დანაშაულებრივი ჯგუფის მიერ ფულის გამოძალვის მიზნით და გადამალული ჰყავდათ პანკისის ხეობაში. მალევე ესპანელი მძევლების ოჯახის წევრებთან სატელეფონო საუბრებიც დაფიქსირდა, რომელსაც სოფელ დუისში მცხოვრები ცნობილი საველე მეთაური და კრიმინალი უვაის ახმადოვი აწარმოებდა. იგი მძევალთა განთავისუფლებაში 5 მილიონ აშშ დოლარს ითხოვდა.

უვაის ახმადოვი, მეტსახელად „არღუნსკი“ და „ცალთვალა“ 1952 წელს დაიბადა ყაზახეთში. რამდენჯერმე ნასამართლევი, პროფესიონალი მკვლელი და ადამიანის გამტაცებელი, ფულის გამოძალვის მიზნით. რუსეთის გენერალურ პროკურატურას გააჩნდა მასალები მოქალაქეთა გატაცების რამდენიმე ათეულ ფაქტზე, რომელიც ჩადენილია მის მიერ. ბანდაში არიან მისივე ძმები: აბუ, რიზვანი, რამზანი, რუსლანი და აპტი. იგი ამ ვაჰაბიტურ ბანდფორმირებას ხელმძღვანელობდა, შემდეგ კი ხანგრძლივი დროის განმავლობაში იმყოფებოდა პანკისში და არაერთი მძიმე დანაშაული ჩაიდინა, ახმადოვები ცხრა ძმანი იყვნენ, ჰქონდათ ოჯახური ბიზნესი – „ადამიანთა გატაცება“, მასთან დაკავშირებული იყო ცნობილი, გიორგი დგებუაძე იგივე „მასტერა“, ვანო მერაბიშვილის მარჯვენა ხელი, რომელიც, როგორც გახმაურდა, უკვეთდა ბადრი პატარკაციშვილის ლიკვიდაციას. ეს უკვე შემდეგ იყო და ამ ისტორიაზე აქ აღარ შევჩერდებით.

ესპანელი ბიზნესმენების გატაცების სკანდალურ და რეზონანსულ საქმეს მაშინვე დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ცალკეული პოლიტიკური ძალები უმალ შეეცადნენ შს მინისტრის წინააღმდეგ საპროტესტო ტალღის აგორებას და ამ მიზნით გახშირდა პანკისში სამინისტროს წინააღმდეგ მაკომპრომეტირებელი მასალების მოსაპოვებლად ცალკეული მედია-საშუალებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა ფარული ვიზიტები. სარედაქციო დავალებით პანკისში მყოფი „რუსთავი-2-ის“ ჟურნალისტი ნანა ინწკირველი ჩეჩნებმა ავტომანქანის საბარგულში ჩაამწყვდიეს და გაიტაცეს. თუმცა რამდენადაც ჩემთვის ცნობილი გახდა, თამაზ თამაზაშვილის მყისიერი ჩარევის შედეგად, იგი მალევე იქნა გამოხსნილი.

ესპანელთა გატაცება იყო ის ბოლო წვეთი, რომელმაც აავსო მოთმინების ფიალა და დაუყოვნებლივ იქნა მიღებული გადაწყვეტილება პანკისის ხეობაში ფართომასშტაბიანი ოპერატიულ-პროფილაქტიკური ღონისძიებების გეგმის მომზადებისათვის. გეგმა ითვალისწინებდა შინაგანი ჯარების კონ-

ტინგენტით (სარდალი-გენერალი გიორგი შერვაშიძე) ხეობის შესასვლელ-გამოსასვლელების სრულად გაკონტროლებას ბლოკპოსტებით და შს სამინისტროსა და უშიშროების სამინისტროს ოპერატიული სამსახურების მიერ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში კრიმინალური დაჯგუფებების განეიტრალებას შეიარაღებული დაპირისპირებისა და კონფლიქტის გარეშე.

ამ ხანგრძლივი და მასშტაბური ღონისძიების პროცესში შინაგანი ჯარების როლსა და წვლილზე ობიექტურად და კარგად აქვს გადმოცემული პოლკოვნიკ ლექსო მიქავას თავის წიგნში „ხოროჯოს საიდუმლოება“ (გზა პანკისის უსისხლო ოპერაციისკენ)“. მთელი ამ ხნის განმავლობაში ჟვანია-სააკაშვილის დაჯგუფებები ყველანაირად ცდილობდნენ სამართალდამცველი ორგანოების დისკრედიტაციას და ამ ფონზე მათ პროვოცირებას პანკისში შეიარაღებული კონფლიქტის მოსახდენად, რათა სისხლისმღვრელი არეულობები მთავრობისა და პრეზიდენტის ვადამდე გადაყენებისა და მათი ხელისუფლებაში მოსვლის საფუძვლად გამოეყენებინათ.

2000 წლის 8 დეკემბრის დილით შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების კონტინგენტი გენერალ გიორგი შერვაშიძის ხელმძღვანელობით კახეთში შევიდა. ბლოკპოსტებით გადაიკეტა პანკისის ხეობის შესასვლელ-გამოსასვლელი გზები.

შინაგანი ჯარის ამოცანა ხეობის ბლოკირება იყო. უშიშროების სამინისტრო და დაზვერვის დეპარტამენტი ჩეჩენი მებრძოლების უსისხლოდ და მშვიდობიანი გზით ქვეყნიდან გაყვანაზე მუშაობდნენ, ხოლო ჩვენი ოპერატიული სამსახურები კრიმინალური ბანდების დაკავების, განიარაღებისა და ნეიტრალიზების მიმართულებით.

ასეთ ვითარებაში დასრულდა 2000 წელი. იწყებოდა ახალი საუკუნე. თუმცა აქ 31 დეკემბრის ერთი „უკანასკნელი აკორდიც“ აუცილებლად უნდა გავიხსენო.

ინციდენტი ფინანსთა მინისტრთან

შს მინისტრის პირველი მოადგილის თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ საკურატოროდ სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური უზრუნველყოფის დეპარტამენტიც ჩამაბარეს. დეპარტამენტს ჩემი მეგობარი, უმაღლესი რანგის პროფესიონალი, გენერალ-მაიორი ვასილ დავითაია ხელმძღვანელობდა. მას საქმე იმდენად იდეალურად მიჰყავდა, რომ ჩემის მხრიდან ჩარევა არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენდა. თუმცა შევეცადე დაფინანსებაში წარმოქმნილი პრობლემების მოგვარებაში ჩემი წვლილი შემეტანა. რამდენჯერმე შევხვდი და ვესაუბრე ფი-

ნანსთა მინისტრს ზურაბ ნოღაიდელს, რომელსაც საკმაოდ ახლოს ვიცნობდი ჯერ კიდევ საპარლამენტო არჩევნებიდან. სამინისტრო, რომელსაც ისედაც მწირი ბიუჯეტი ჰქონდა, კუთვნილ დაფინანსებასაც ვერ იღებდა და პირადი შემადგენლობის ხელფასების რამდენიმეთვიანი დავალიანება ჰქონდა. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში სამინისტროს ხელმძღვანელთა კორუმპირებულობაზე გაჩაღებული აღვირახსნილი პიარკამპანია სამინისტროს თანამშრომელთა შორის უნდობლობას და უიმედობას აჩენდა. მიმდინარეობდა პოლიციის მუშაკთა გეგმური ფსიქოლოგიური ტერორი ხელმძღვანელობისადმი დაუმორჩილებლობის მიზნით. ეს მინისტრის პოსტის ხელში ჩასაგდებად მოქმედი ძალების მიერ შედგენილი გეგმის მხოლოდ ერთი მიმართულება იყო.

მიუხედავად არაერთი შეპირებისა ფინანსთა მინისტრი ჩვენდამი დამოკიდებულებას არ ცვლიდა. არადა უხელფასო, ნახევრად მშიერ-მწყურვალი და ოჯახებს მოწყვეტილი შინაგანი ჯარის თუ პოლიციის მუშაკები ენთუზიაზმის ხარჯზე აგრძელებდნენ თავიანთი მოვალეობის შესრულებას პანკისის ხეობასა თუ სხვა ცხელ წერტილებში.

მოახლოვდა ახალი წელი, მაგრამ შს სამინისტროს მუშაკებზე დაპირებული თუნდაც ერთი თვის ხელფასის გაცემას მაინც ვერ ვახერხებდით. ნოღაიდელი შეუვალი იყო: „რესურსები არ გაგვაჩნია!“. დავალიანება კი 4.160.000 ლარს შეადგენდა.

31 დეკემბერს ისეთი მძიმე განწყობა დამეუფლა, რომ თანამშრომელთა თვალებში შეხედვაც მრცხვენოდა. შემოსული ინფორმაციით უტყუარად ვიცოდით, რომ ჩვენ გარდა, ყველა უწყება დაფინანსდა და რესურსიც საკმაოდ იყო. აშკარა იყო საბოტაჟს გვიწყობდნენ, რომ პირადი შემადგენლობა აბუნტებულიყო.

მინისტრი პირადად ჩაერთო პრობლემის მოგვარებაში და მისი თხოვნით ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ირაკლი მანაგაძის სამუშაო კაბინეტში შევიკრიბეთ ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოადგილეები, ფინანსთა მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი, რამდენიმე თანამშრომელთან ერთად, კახა თარგამაძე, ვასილ დავითაია და მე. საუბარს შს მინისტრი წარმართავდა და რთული სიტუაციის განმუხტვის მიზნით ერთი თვის ხელფასის დაუყოვნებლივ გადმორიცხვას ითხოვდა. ნოღაიდელი კატეგორიულად ამტკიცებდა, რომ არანაირი საჭირო რესურსი საამისოდ არ გააჩნდა. აშკარა იყო უტიფრად ტყუოდა. ბატონ კახას შევამჩნიე, რომ ნერვები ღალატობდა და საუბარში ჩავერთე. დამსწრე საზოგადოებას ავუხსენი, რომ თუნდაც პანკისში საბრძოლო ვითარებაში მყოფი შინაგანი ჯარის ოჯახების საახალწლოდ ლუკმაპურის გარეშე დატოვება მათ მიმართ ღალატის ტოლფასი იქნებოდა, რასაც შესაძლებელია მათი მხრიდან საპროტესტო რეაქცია მოჰყოლოდა. ნოღაიდელმა ცინიკურად ჩაიღიმა და ჩემ მიერ ნახსენები შინაგანი ჯარის პირადი შემადგენლობა ისეთი სიტყვებით მოიხსენია,

რომელსაც აქ ვერ გავიმეორებ. იმ წუთს ჩემთვის ღირსების გარდა აღარაფერი არსებობდა და ყველაფერი თავისდაუნებურად მოხდა. როგორც შემდგომში გავიგე „თავხედი მინისტრი“ კარგა ხანს მოსწყდა რეალობას.

მანაგაძის კაბინეტი მაშინვე დავტოვე და უკიდურესად აღელვებული სამსახურში დავბრუნდი. იქვე შევადგინე პატაკი მინისტრის სახელზე, თხოვნით, გადადგომის შესახებ და მის სამუშაო მაგიდაზე დავტოვე.

რამდენიმე საათში გახარებულმა ვასო დავითაიამ მაცნობა, რომ სამინისტროს ანგარიშზე 3 მილიონი ლარი იქნა ჩარიცხული. გვიან მინისტრიც მესაუბრა და კატეგორიულად მომთხოვა სამინისტროში მისვლა. ახალი წლის დადგომა მასთან კაბინეტში მივულოცეთ ერთმანეთს. პატაკი კი, რომელიც უკან დამიბრუნეს, ჩემს პირად არქივს შემორჩა რეზოლუციის გარეშე:

„საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს,
პოლიციის გენერალ-ლეიტენანტს

კახა თარგამაძეს

პატაკი

მოგახსენებთ, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაფინანსებაში შექმნილია უკიდურესად კრიტიკული მდგომარეობა. პოლიცია ასეთ პირობებში დასახული ამოცანების შესრულებას ვერ შეძლებს.

ყოველივე ეს გამოწვეულია ქვეყანაში შექმნილი ფინანსური და ეკონომიკური კრიზისით, რაშიც განსაკუთრებული „დამსახურება“ მიუძღვით საქართველოს ფინანსთა მინისტრსა და სხვა მის ე. წ. „თანაგუნდელების“ წრეს, რომელთაც სრული არაკომპეტენტურობის გარდა გამოიჩინეს ტენდენციურობა, როდესაც სეკვესტრირებული ბიუჯეტის შესაბამისად დაფინანსების პირობებში გამონახეს საშუალება ყველა უწყების მეტ-ნაკლებად დასაფინანსებლად, ხოლო შინაგან საქმეთა სამინისტრო დეკემბრის თვეში საერთოდ დაუფინანსებელი დატოვეს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ბატონმა ნოღაიდელმა ყოველივე ეს განახორციელა უკიდურესად ცინიკური ფორმით.

მიმაჩნია, რომ ასეთ პირობებში მუშაობის გაგრძელებას არავითარი აზრი არა აქვს, რადგანაც შესაძლებელია ყველაფერი ძალიან მძიმე შედეგებით დამთავრდეს.

ვგრძნობ რა, განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას ქვეყნის, პრეზიდენტისა და თქვენს წინაშე, გაცნობებთ ზემოთ აღნიშნულს და გთხოვთ მიიღოთ ჩემი დაკავებული თანამდებობიდან გადადგომა.

საქართველოს შს მინისტრის პირველი მოადგილე, პოლიციის გენერალ-მაიორი **ავთანდილ ჩხაიძე**. 31.12.2000 წ.“

მას შემდეგ მეოთხედმა საუკუნემ განვლო. ამ ინციდენტიდან თითქმის 13 წლის შემდეგ, კახა თარგამაძესა და პეტრე ჩხეიძესთან ერთად, დიდი ხელოვანის, ოთარ მეღვინეთუხუცესის უკანასკნელ გზაზე გასაცილებლად

მარჯანიშვილის თეატრში ვიმყოფებოდით, როცა ეზოში სრულიად მოულოდნელად ზურაბ ნოღაიდელს გადავაწყდით. კახა გულთბილად მიესალმა მას და საუბარი გაუბა. მე კი თითქოს არც შემემჩნიოს გვერდი ვაქციე. „თქვენ კიდევ არ შერიგებულხართო?“ – გაიცინა კახამ და მთხოვა მივსალმებოდი. ხელი ისე ჩამოვართვით ერთმანეთისთვის არც კი შეგვიხედავს.

არადა ზურა ნამდვილად არ აღმოჩნდა ბოროტი და გულღვარძლიანი კაცი, თორემ შემდგომ, იმ ავადმოსაგონარ წლებში როცა სააკაშვილის მთავრობის პრემიერ-მინისტრი იყო, სურვილის შემთხვევაში ნამდვილად შეეძლო ჩემთვის მრავალი უსიამოვნება შეემთხვია. გაუჭირდებოდათ თუ რა?!

ნათელია, და დანამდვილებით ვიცი, რომ იგი ჟვანიას დავალებას ასრულებდა, თანაც პირნათლად!

ასე დასრულდა ჩემთვის მე-20 საუკუნე და დაიწყო ოცდამეერთე!

●

გაზაფხულმა ახალი პრობლემები შექმნა და მდგომარეობაც კიდევ უფრო დამძიმდა.

2001 წლის 8 მაისს პარლამენტარი პეტრე ცისკარიშვილი გაიტაცეს თავის შეყვარებულთან, ანი სურმავასთან ერთად.

როგორც კი ეს ინფორმაცია გავრცელდა, ჟვანია-სააკაშვილის ფრთამ მაშინვე ისტერიული პროპაგანდა წამოიწყო შს სამინისტროს წინააღმდეგ და ულტიმატუმი წამოაყენა, თუ უახლოეს 2-3 დღეში დანაშაული არ გაიხსნებოდა და დეპუტატი უვნებლად არ დაბრუნდებოდა, პროცესები შეიძლებოდა უმართავი გამხდარიყო, დეტალები იმისა, თუ როგორ მოხდა მისი გამოხსნა ჩემთვის უცნობია, თუმცა ფაქტია, რომ შინაგან საქმეთა მინისტრისა და ოპერატიული სამსახურების მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად გამტაცებლები დადგენილი იქნა და 13 მაისს ორივე გაათავისუფლეს. მთელი ამ ხნის განმავლობაში და შემდგომაც ხანგრძლივი დროით მივლინებით ვიმყოფებოდი ქ. ფოთში სხვა ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელებთან ერთად და იქ მიმდინარე „ნატოს“ წვრთნების მაღალ დონეზე ჩატარებისთვის წესრიგის უზრუნველყოფა მევალებოდა. შემდგომში, როგორც მკითხველს მოეხსენება დადგენილი იქნა, რომ პანკისელი შოთა ჭიჭიაშვილის შეიარაღებული ჯგუფის წევრები მ. ღუზარაული, ზ. მიქაძე, ნ. შარაბიძე, კ. ციხისთავი ამზადებენ თბილისიდან ებრაელი რაბინის გატაცებას, რისთვისაც სჭირდებოდათ ავტომანქანა. კუს ტბის მიდამოებში ისინი მანქანის გატაცების მიზნით ღამის 23.00 სთ. მიადგნენ ავტომანქანას, რომელშიც აღმოჩნდა პეტრე ცისკარიშვილი და ანა სურმავა. ცისკარიშვილმა მათ წინააღმდეგობა გაუწია, რის შემდეგაც მის ქუჩაში დატოვებას ბოროტმოქმედებმა გატაცება არჩიეს. ამ დანაშაულიდან ძა-

ლიან მალე გატაცების ერთ-ერთი მონაწილე კ. ციხისთავი დაკავებული და ორთაჭალის იზოლატორში იქნა მოთავსებული. სასჯელაღსრულების ადგილები იმჟამად იუსტიციის სამინისტროს ექვემდებარებოდა და მინისტრი მ. სააკაშვილი გახლდათ. ისარგებლეს რა თავიანთი სამსახურებრივი მდგომარეობით, შუაღამისას ორთაჭალის ციხეში კ. ციხისთავს „სტუმრად“ ეწვივნენ მ. სააკაშვილის მოადგილეები ოქრუაშვილი და არველაძე, ცისკარიშვილთან ერთად. გამოაყვანინეს ის საკნიდან და სიკვდილის პირამდე სცემეს, ისე რომ ექსპერტიზამ მრავლობითი დაჟეჟილობები და მოტეხილობები დაადგინა. რაოდენ საკვირველიც არ უნდა იყოს აღნიშნული დანაშაული პროკურატურამ დაუსჯელი დატოვა „მტკიცებულებათა უქონლობის“ მოტივით, როგორც ჩანს, ასეთი იყო ნება ხელისუფალთა!

ალბათ დამემოწმებით, რომ როცა ასეთი ფაქტები დაუსჯელი რჩება, შემდგომ ბევრად უარესსაც უნდა ელოდო და ასეც მოხდა!

თუმცა დავუბრუნდეთ მოვლენების მსვლელობას. პეტრე ცისკარიშვილის გატაცებით გამოწვეული ვნებათა ღელვა ჯერ კიდევ არ იყო დამცხრალი და მე ისევ ფოთში ვიმყოფებოდი, როდესაც შევიტყვეთ, რომ 24 მაისს ქ. თბილისში ცნობილი ქართველი ფეხბურთელის კახი კალაძის ძმა ლევანი გაიტაცეს, ფულის გამოძალვის მიზნით. ამ დანაშაულის გასახსნელად გატარებული ღონისძიებების შესახებ, დაწვრილებით რომ მოგიყვეთ, ალბათ მთელი ერთი ტომი არ ეყოფა, განსაკუთრებით 19 აგვისტოს შემდეგ, როცა ამ საკითხებზე მუშაობა დამევალა. გულწრფელად გეტყვით, რომ ძალასა და ღონეს არ ვიშურებდით დანაშაულის გასახსნელად და ლევანის დასახსნელად. შემოდიოდა უამრავი ინფორმაცია, რომელთა გადამოწმების შედეგად არა ერთი და ორი საშიში დანაშაულებრივი ჯგუფი გავანეიტრალეთ, მაგრამ კალაძის გამტაცებელთა კვალზე ვერ გავედით.

როგორც შემდგომში, 5 წლის შემდეგ (ახალი ხელისუფლების დროს) დადგინდა დანაშაული ჩაიდინეს ამისულაშვილმა, დ. ასათიანმა, ლ. ცინცაძემ და თ. გაგნიძემ, რომლებიც საზღვარგარეთის ქვეყნებიდან იქნენ ექსტრადირებული და შესაბამისი სასჯელებიც მიესაჯათ. დადგენილი იქნა, რომ გატაცებიდან დაახლოებით თვე ნახევარში ანუ 14 ივნისს ვაზისუბნის ტერიტორიაზე მდებარე ხევში იგი მოკლეს და გვამი იქვე დატოვეს.

ლევანის ცხედარი მალევე იქნა ნაპოვნი, მაგრამ ხაზგასმით ვიტყვი, რომ ქართველი სამართალდამცავებისა და ჩემი კოლეგების სამარცხვინოდ, ისე დაკრძალეს მუხათგვერდის სასაფლაოზე როგორც ამოუცნობი გვამი.

უფალმა განსაჯოს ისინი, ვისი უსულგულო დამოკიდებულებითაც მოხდა ეს უკიდურესად აღმაშფოთებელი დანაშაულებრივი ფაქტი. სხვათა შორის შემოსულ ინფორმაციებში, რომელზეც ზემოთ აღვნიშნე, იყო ისეთებიც რომელიც გვაცნობდა, რომ ლევანი ცოცხალი აღარ იყო. თუმცა ამის არანაირი მტკიცებულება არ გაგვაჩნდა და მითუმეტეს ცხედარი.

25 მაისს ქვეყანას ახალი საშიშროება დაემუქრა. თავდაცვის სამინისტროს მუხროვანის ბრიგადაში, თითქოსდა საყოფაცხოვრებო პრობლემების გამო, ამბოხი დაიწყო, რომელსაც პოლკოვნიკები კობა ოთანაძე და გია კრიალაშვილი ედგნენ სათავეში[32].

მღელვარება და საშიშროება იმავე დღეს იქნა განეიტრალებული. სამხედრო ნაწილში ჯერ ირაკლი ბათიაშვილი და გია ყარყარაშვილი მივიდა. მოგვიანებით მუხროვანის სამხედრო ნაწილში ჩავიდა პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე. მოლაპარაკებების შედეგად ინციდენტი ამოიწურა.

პოლკოვნიკი გია კრიალაშვილი უკრაინაში გააგზავნეს სასწავლებლად, ხოლო პოლკოვნიკი კობა ოთანაძე დაზვერვის დეპარტამენტში გადაიყვანეს.

შემდგომში №1 ტერორისტად აღიარებული შოთა ჭიჭიაშვილი გაზეთ „ყველა სიახლესთან“ მიცემულ ინტერვიუში ამბობდა, რომ „2001 წელს მუხროვანის ბაზა შვიდ პირთან ერთად უსისხლოდ და უმსხვერპლოდ ავიღე და კობა ოთანაძესა და გია კრიალაშვილს ჩავაბარე. ისინი ვაჟკაცი და პატრიოტი ქართველები იყვნენ. მათთან მოვილაპარაკეთ, რომ ნორმალური არჩევნები ჩაგვეტარებინა, რათა სათავეში ეროვნული ხელისუფლება მოსულიყო. შევარდნაძემ ოთანაძესა და კრიალაშვილთან მოილაპარაკა, თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტი 10-20 მილიონით გაუზარდა, ჯოხი კი ჭიჭიაშვილზე გადატყდა, მე გამოვედი ქვეყნის მტერი“.

კრიალაშვილისა და ოთანაძის ჭიჭიაშვილთან ურთიერთობა ჩვენს სამსახურებს მხედველობიდან არ გამოჰპარვიათ, მაგრამ შოთას ასეთი აქტიური როლი მუხროვანის ამბოხში რატომ დარჩა უყურადღებოდ, თუ ეს მართლაც ასე იყო, ახლაც მაოცებს. თუმცა, შესაძლოა ჭიჭიაშვილი აჭარბებს, ისე როგორც სჩვეოდა ხოლმე.

2001 წლის 27 მაისს „რუსთავი-2-ის“ ეთერში გადაცემა „60 წუთის“ მორიგი პასკვილი გავიდა. გადაცემაში საუბარი მუხროვანის მეურნეობაზე იყო. ამ ე.წ. ჟურნალისტურ გამოძიებაში ნათქვამი იყო, თითქოს მუხროვანში ყველაფერი დაშლილია, შინაგანი ჯარი შიმშილობს, რომ საფინანსო დეპარტამენტის თავმჯდომარეს გახსნილი აქვს საკუთარი პურის საცხობი და პურს 25 თეთრის ნაცვლად 40 თეთრად ყიდის. გადაცემაში მიწვეულნი იყვნენ „ყოვლისმცოდნე“ ელისო ჩაფიძე, მურთაზ ჩიქობავა, მუხროვანის მეურნეობის ყოფილი დირექტორი სამხარაული და სხვები.

---

[32] ეს ის ოთანაძე და კრიალაშვილია, რომელთა გვამებს ითხოვდა შსმინისტრი ვანო მერაბიშვილი 2009 წლის მაისში, მუხროვანის შემდგომი ამბოხის დროს. ამ მოვლენებს კრიალაშვილი შეეწირა, ოთანაძე სასწაულებრივად გადარჩა.

4 ივნისს მედიის წარმომადგენლები მოვიწვიე და განვუცხადე, რომ გადაცემა მომზადებულია იუსტიციის მინისტრის მიხეილ სააკაშვილის და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის გიორგი არველაძის დაკვეთით, რომელთაც აღნიშნული მეურნეობის მითვისება სურთ და რომ გადაცემაში მოყვანილი ფაქტები სიცრუეა და სიმართლეს არ შეესაბამება. საფუძვლიანი ეჭვი გვქონდა, რომ აღნიშნული მეურნეობის იუსტიციის სამინისტროსთვის გადაცემა მისი განადგურების ტოლფასი იქნებოდა. ეს არც ჟურნალისტებისთვის დამიმალავს. შს სამინისტროს მიმართ წაყენებულ ამ და კიდევ სხვა ბრალდებებზე ცნობილი ჟურნალისტი თეიმურაზ ქორიძე სტატიაში „ალი ბაბა და მისი შვიდი პოლიციელი“[33] წერდა:

> „თარგამაძეს მუხროვანის კოლონია გაუუქმებია და მუხროვანის მეურნეობა გაუჩანაგებია. ეს არის მტკნარი სიცრუე. მუხროვანის მეურნეობის ტერიტორიაზე მართლაც იყო პატიმრების ე. წ. „ჩასახლება“. ეს ტერიტორია სხვადასხვა დროს სხვადასხვა უწყებას ეკუთვნოდა. 1996 წლისათვის მუხროვანი მართლაც გაპარტახებული და მიწასთან გასწორებული იყო. ძალიან გთხოვთ, ნუ მკითხავთ, რატომო. „ჩასახლებაში“ სულ 25 პატიმარი ირიცხებოდა. ყურადღება მიაქციეთ, კი არ ცხოვრობდა, ირიცხებოდა, ხოლო სინამდვილეში სად იყო, არავინ იცის. ასე რომ, საგარეჯოს კოლონიას, ფაქტობრივად, 25 პატიმრის პირადი საქმე გადაეცა, ხოლო თვითონ პატიმრებზე ძებნა გამოცხადდა. მეურნეობის კუთვნილი 2348 ჰექტარი სახნავ-სათესი მიწებიდან 1991-1995 წლებში მოსახლეობას გადაეცა 1017 ჰექტარი. გაიძარცვა და დაინგრა მსხვილფეხა პირუტყვისა და მეღორეობის ფერმები, საქონელი დაიტაცეს და რაც დარჩა, მოუვლელობით დაიღუპა“.
>
> შპს აგროფირმა „მუხროვანი“ შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი სახელმწიფო მეურნეობის, შემდგომში სახაზინო საწარმო „მუხროვანის“ ბაზაზე „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად შეიქმნა. მისი დამფუძნებელი საქართველოს ქონების მართვის სამინისტრო იყო, ხოლო მართვის ფუნქციები დელეგირებული იყო შინაგან საქმეთა სამინისტროზე.
>
> აგროფირმის პროფილი მარცვლეულის, ძირითადად, ხორბლის წარმოება გახლდათ. მოწეული მოსავალი ხმარდებოდა შინაგანი ჯარის პირადი შემადგენლობის პურით უზრუნველყოფას.
>
> 1996-2000 წლებში შს სამინისტროს სისტემას მიეწოდა 5.677 ტონა ხორბალი, მათ შორის, 838 ტონა ფქვილის სახით; 9.6 ტონა ღორის, 35.5 ტონა საქონლის, 6.8 ტონა ცხვრის, 4.8 ტონა ქათმის ხორცი, 3.0 ტონა ახალი თევზი, 263 ტონამდე სხვადასხვა ასორტიმენტის ბოსტნეული, გაიზარდა ცხვრის სულადობა 650-მდე, 30 ათასამდე ლიფსიტით დათევზიანებულია ტბორები 15 ჰექტარზე, საიდანაც 10-15 ტონამდე სასაქონლო თევზი უნდა ყოფილიყო წარმოებული.

---

[33] თეიმურაზ ქორიძე. „ალი ბაბა და მისი შვიდი პოლიციელი“. გაზ. „დრონი“. 1 აპრილი. 2021

სახნავი ფართობი 43.3%-ით შემცირდა, თუმცა მარცვლეულის წარმოება 1996-2000 წლებში, წინა წლებთან შედარებით 84.4%-ით გაიზარდა, საჰექტარო შემოსავალი – 36.5%-ით, რეალიზაციის მოცულობა – 182.9%-ით, საშუალო წლიური შემოსავალი – 290.7 ათასი ლარით.

1996-2000 წლებში, საშუალოდ ერთ წელიწადში, ბიუჯეტსა და მასთან გათანაბრებულ ფონდებში გადასახადების შეტანა 1995 წელთან შედარებით გაიზარდა 11-ჯერ. სულ გადახდილი იქნა 599.3 ათასი ლარი, საშუალოდ წელიწადში – 119.3 ათასი ლარი.

2000 წელს 1995 წელთან შედარებით ერთი მუშაკის საშუალო წლიური შემოსავალი (ნატურალური შემოსავლის ჩათვლით) 8-ჯერ გაიზარდა.

კაცმა რომ თქვას, „მუხროვანი“ გადაარჩინა შინაგან საქმეთა სამინისტრომ, როცა ბევრი სხვა მსგავსი პროფილის მეურნეობა გარდაბნის რაიონში საერთოდ აღიგავა პირისაგან მიწისა. თავად გახლდით ამ მეურნეობაში და ყველაფერი საკუთარი თვალით ვნახე.

2001 წლის 4 ივნისს შს სამინისტროში გამართულ პრესკონფერენციაზე ჩემ მიერ წარმოთქმული სიტყვის ფრაგმენტები „მართალ გაზეთში“ გამოქვეყნდა:

„მე, აქ, გამოვხატავ არა მარტო ჩემს, არამედ მთელი შინაგან საქმეთა სამინისტროს აზრს. გუშინდელმა გადაცემამ (მხედველობაში მაქვს „რუსთავი 2-ის“ გადაცემა „60 წუთი“) არ მოგვცა იმის საშუალება, რომ გულგრილი დავრჩენილიყავით და საზოგადოებისათვის არ გვეთქვა ჩვენი აზრი. მიმაჩნია, რომ გუშინდელი გადაცემით საზოგადოებამ იხილა და მოისმინა, როგორ ანგრევს და აჩანაგებს შინაგან საქმეთა სამინისტრო მის კუთვნილებაში არსებულ ქონებას.

დანგრევის პირას არის თურმე მისული შინაგანი ჯარი და ერთ დროს თითით საჩვენებელი მუხროვანის მეურნეობა. თურმე როგორ ცდილობს შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობა ამ მეურნეობის პრივატიზაციას და ხელში ჩაგდებას.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ეს იყო მორიგი ავანტიურისტული პასკვილი. ამ სპექტაკლის ავტორები ცდილობენ საზოგადოება კიდევ ერთხელ შეიყვანონ შეცდომაში. გადაცემაში საზოგადოებამ იხილა ცნობილი ადამიანების თანავარსკვლავედი: აკაკი გოგიჩაიშვილი, მიხეილ სააკაშვილი, არველაძე (სახელი არ დამამახსოვრდა, ვუნდერკინდ არველაძის, რადგან ეს პატარა ბიჭუნა თურმე იმდენად კარგად ყოფილა გარკვეული ყველა სიტუაციაში, დრო ხომ არ დადგა მისი კანდიდატურა დაგვეყენებინა პრემიერ-მინისტრის პოსტზე?)

ამ სპექტაკლის დადგმაში მონაწილეობა მიიღეს ელისო ჩაფიძემ, მურთაზ ჩიქობავამ, მუხროვანის მეურნეობის ყოფილმა დირექტორმა სამხარაულმა (რომლის დირექტორობის დროს დაინგრა და დასამარდა ეს მეურნეობა) და სხვებმა. პირდაპირ უნდა ვთქვა, რომ ძალიან გაკვირვებული ვართ ამ გუნდის წარმომადგენელთა ერთსულოვნებით, საიდან შეხვდნენ, როდის

გახდნენ თანამოაზრეები, ეს ალბათ ცალკე, დამოუკიდებელი თემაა. თუ თქვენ დაგაინტერესებთ, ჩვენ შეგვიძლია, თავის დროზე, მოგაწოდოთ ინ-ფორმაციები ამის შესახებ.

ისიც უნდა ითქვას, რომ ადამიანთა გარკვეულმა წრემ (მხედველობაში მყ-ავს ახალგაზრდა თაობა, რომლებმაც ბიუჯეტის ხარჯზე შეძენილი „კო-კა-კოლას“ გახსნის და წრუპვის მეტი ქვეყანაზე არაფერი იციან) ყველას ჭკუის სწავლება დაიწყო და დარიგება ყველა სფეროში.

მაინც რა იყო გუშინდელი სპექტაკლის მიზეზი?

90-იანი წლების დასაწყისში მუხროვანის მეურნეობას ხელმძღვანელობ-და ვინმე ანზორ სამხარაული. პირდაპირ ვაცხადებ, რომ ამ პიროვნების ხელმძღვანელობის დროს დაინგრა და საბოლოოდ გაჩანაგდა მეურნეობის კუთვნილი მატერიალური ქონება.

70-იან წლებში ეს მეურნეობა გამოეყო სართიჭალის მეურნეობას და ცალ-კე ჩამოყალიბდა.

1972 წელს შეიქმნა კოლონია-ჩასახლება. ამ კოლონიაში მიმაგრებული, მს-ჯავრდადებული პირები დასაქმებული იქნენ მეურნეობაში. მოხდა მეურ-ნეობისა და კოლონია-ჩასახლების გაერთიანება და გამთლიანება. ორთავე ერთობლივად შინაგან საქმეთა სამინისტროს ექვემდებარებოდა.

1990 წელს მუხროვანის მეურნეობა გამოეყო კოლონიას და როგორც და-მოუკიდებელი იურიდიული ერთეული, უშუალოდ დაექვემდებარა შს სამინ-ისტროს. 1993 წელს ის, როგორც დამოუკიდებელი იურიდიული ერთეული, გაუქმდა და პირდაპირ დაექვემდებარა შსს საფინანსო-სამეურნეო მთავარ სამმართველოს.

1995 წლის დეკემბერში შს მინისტრად კახა თარგამაძე დაინიშნა, რომელსაც ეს მეურნეობა უკვე გაჩანაგებული დახვდა. ამის დამადასტურებლად თქვენ შეგიძლია ნახოთ ნებისმიერი დოკუმენტი, მათ შორის გარდაბნის რაიონის გამგებლის წერილი, რომელიც შს მინისტრს სთხოვდა გადაეწყვი-ტათ მეურნეობის შს სამინისტროს დაქვემდებარებაში ყოფნის საკითხი, რადგან მეურნეობა ფაქტობრივად უკვე გაჩანაგებული იყო და არავითარი პერსპექტივა არ გააჩნდა. სამინისტროს კოლეგიაზე გადაწყვეტილი იქნა, რომ მუხროვანის მეურნეობა შეგვენარჩუნებინა, რათა შს სამინისტროსა და დანაყოფებს ჰქონოდათ გარკვეული მატერიალური ბაზა.

მოგეხსენებათ, რომ მაშინ სამინისტროს შემადგენლობაში იყო პენიტენ-ციური სისტემა, უზარმაზარი შინაგანი ჯარი და სამინისტროს თანამ-შრომელთა მრავალათასიანი კოლექტივი. ეს ცალკე თემაა და ამაზე აქ მოწვეული პირები ისაუბრებენ.

გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, შს სამინისტროს ძალისხმევით და უზარმაზარი შრომის შედეგად მეურნეობა ისევ ფეხზე დადგა. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მუხროვანის მეურნეობა ერთადერთი მეურნეობაა ქვეყანაში, რომელიც მოგებაზე მუშაობს; დოტაციას არ იღებს სახელმწი-ფოსგან, იხდის გადასახადებს სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტში.

ვიღაც-ვიღაცებს გაახსენდათ, რომ შეიძლება ხელი მოითბონ და ამ ვიღაცებში არის სამხარაულიც. მან მოსახლეობის გარკვეულ წრეში დაიწყო აგიტაცია, რომ თუ მეურნეობა იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადავიდოდა, მაშინ ის მეურნეობის დირექტორად დაინიშნებოდა. აქედან გამომდინარე მოსახლეობას გარკვეულ, მაღალ გასამრჯელოს შეჰპირდა. ამით ისინი შეცდომაში შეიყვანა, რამდენიმე პირს განცხადება დააწერინა კიდეც. შემდეგ ეს განცხადება სამხარაულმა პირადად მიაწოდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელს, რის შემდეგაც განცხადება მოხვდა მიხეილ სააკაშვილთან. შეიქმნა შესანიშნავი სიტუაცია, რომ კიდევ ერთხელ გაესვარათ შსს ხელმძღვანელობა და ხელში ჩაეგდოთ აღნიშნული მეურნეობა. სწორედ ამ დროს იწყება ელისო ჩაფიძის საქვეყნოდ ცნობილი ე. წ. ჟურნალისტური გამოძიება „რეზონანსის“ ფურცლებზე. ამავე პერიოდში სხვადასხვა უწყებასა და სამინისტროში შედის საჩივრები და განცხადებები.

ბატონი მიშა სააკაშვილი საქართველოს პრეზიდენტს პირადად სწერს წერილს, რომელშიც ცდილობს შეცდომაში შეიყვანოს პრეზიდენტი, რომ მეურნეობა იუსტიციის სამინისტროსა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ერთ-ერთი ნაწილია და მეურნეობის კვლავ უკან დაბრუნებას თხოულობს. ბატონმა პრეზიდენტმა განცხადებას დაადო რეზოლუცია, რომ საკითხი ურთიერთშეთანხმებით გადაწყვეტილიყო. საკითხი დღემდე არ არის გადაწყვეტილი.

მუხროვანის მეურნეობა არის 100%-ით სახელმწიფო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. ე. ი. მთელი იქ არსებული ქონება სახელმწიფოს საკუთრებაა. მეურნეობის ხელმძღვანელები დანიშნულნი არიან ქონების მართვის სამინისტროს მიერ, შს სამინისტროს წარდგინებით.

ყოველწლიური ბალანსი ქონების მართვის სამინისტროს ბარდება. როგორც წესდებაშია აღნიშნული, მეურნეობის ქონების გასხვისება ან პრივატიზება შსს თანხმობის გარეშე არ შეიძლება. იუსტიციის სამინისტროს არაერთგზის უცდია შსს ყოფილი შენობა-ნაგებობების დასაკუთრება.

80-იანი წლების შუა პერიოდში მუხროვანის მეურნეობას სახელმწიფო ყოველწლიურად 4 მლნ. მანეთით აფინანსებდა. დღეს კი მუხროვანი საქართველოში სოფლის მეურნეობის წარმატებული მეურნეობაა, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან ერთი თეთრითაც არ ფინანსდება. როგორც გუშინდელ გადაცემაში ვნახეთ, სწორედ ამიტომაც მოინდომა იუსტიციის სამინისტრომ მდიდარი მეურნეობის თავის სისტემაში დაქვემდებარება. მათი ნატვრაა, ეს რომ ჩვენ გვქონდეს, ამით ხომ პენიტენციურ სისტემას გამოვკვებავდითო. ამიტომაც ის, რაც 1995-96 წწ. დაინგრა შსს დღევანდელი ხელმძღვანელობისთვის უნდოდათ მიეწერათ. ამას მიაბეს ყველა ის პრობლემა, რაც არსებობს ქვეყანასა და ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში. თითქოს შიმშილობა არა მარტო თავდაცვის სამინისტროს, არამედ შინაგან ჯარშიც არსებობს და მზადდება ბუნტის ახალი კერა. „60 წუთი“ ამ „სპექტაკლით“ ცდილობს საზოგადოება დაარწმუნოს, რომ ქვეყნის ყველა უბედურების სათავე და საფუძველი შს სამინისტრო და მისი ხელმძღვანელობაა.

ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენ რამდენჯერმე მივმართეთ ამ გადაცემის მესვეურებს, ჩვენთან მობრძანებულიყვნენ, მიეღოთ საჭირო ინფორმაცია და დოკუმენტები, მათ შორის კონტროლის პალატის და გენერალური პროკურატურის მიერ ჩატარებული შემოწმების დოკუმენტები, სადაც ხაზგასმითაა ნაჩვენები, რომ აქ არანაირ დარღვევას, მათ შორის კრიმინალურს, ადგილი არ ჰქონია. მაგრამ, როდესაც ადამიანებს არ სურთ რეალური სურათის დანახვა და მათი მიზანი დადებითი მოვლენების მუქ ფერებში წარმოჩენაა, ასეთ ხალხთან საუბარსა და თანამშრომლობას, ვფიქრობ, აზრი არა აქვს“.

ეს იყო საქმის რეალური ვითარება. მაშინ აგროფირმა „მუხროვანი“ კახა თარგამაძის და ჩვენი მტკიცე პოზიციის გამო, გადაურჩა ამ ბანდიტებს. მაგრამ მალე ქვეყანაში მოვლენები ისე განვითარდა, რომ ეს ყაჩაღები ხელისუფლებაში მობრძანდნენ და ქვეყნის ბატონ-პატრონი გახდნენ.

ჰოდა, ახლა ვნახოთ რა ბედი ეწია აგროფირმას, რომელიც 2005 წლამდე ჯერ კიდევ სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენდა და შს სამინისტროს ბალანსზე ირიცხებოდა. შინაგან საქმეთა მინისტრის ვანო მერაბიშვილის ზეგავლენითა და მოთხოვნით გადაწყდა მეურნეობის პრივატიზება.

აგროფირმის აუქციონზე შესყიდვა ბიზნესმენ გოჩა ძასოხოვს „დაევალა“ და მანაც 2005 წლის 15 აპრილს 295.000 აშშ დოლარად შეისყიდა იგი, თავისი ფირმა „ვორლდვაიდ თრეიდინგის“ სახელით.

რვა თვის შემდეგ, 2005 წლის 15 დეკემბერს ძასოხოვმა „აღმოაჩინა“, რომ აგროფირმა „მუხროვანისადმი“ ინტერესი გაუნელდა და 2000 ლარის საწესდებო კაპიტალით, გორში დაფუძნებულ ფირმა „ლემისე კომპანის“ 2004 წლის 2 დეკემბერს მიჰყიდა 645.000 აშშ დოლარად. საინტერესოა ის ფაქტი, რომ აღნიშნული ფირმის სულის ჩამდგმელები იყვნენ, წარმოშობით ახალციხელი, ვანო მერაბიშვილის დეიდაშვილი თუ თანაკლასელი ლუხუმ კაპანაძე (რუსეთის მოქალაქე, მცხოვრები ქ. ტიუმენში) და მისი მეგობარი ბიზნესმენი, ისევ ტიუმენში მცხოვრები სერგო კაკალაშვილი, რომლის „შედევრ“ ლექსებსაც აღფრთოვანებით უკითხავდა პარლამენტის მაღალი ტრიბუნიდან საზოგადოებას პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი.

ცხრა თვის შემდეგ, ისე რომ არანაირი ინვესტიცია არ განუხორციელებიათ, „ლესიმე კომპანის“ მესვეურებმა თავის „შემქმნელ“ შს მინისტრ ვანო მერაბიშვილთან შეთანხმებით აგროფირმა „მუხროვანი“ 16.171.803 აშშ დოლარად მიყიდეს არაბ შეიხთან დაახლოებულ არაბ „ინვესტორებს“. სუფთა მოგებამ 15.323.303 აშშ დოლარი შეადგინა.

როგორ და ვისზე განაწილდა ქართული მიწების გაყიდვიდან და ქართული სოფლის მეურნეობის უკანასკნელი მომგებიანი საწარმოს დანგრევიდან მიღებული მილიონები, ამის ანგარიში თქვენთვის მომინდვია.

არ იქნება უინტერესო ისიც, რომ ზემოთ აღნიშნული ბიზნესმენი, საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი გოჩა ძასოხოვი, 2008 წელს

იძულებული გახადეს საქართველოდან რუსეთში გაქცეულიყო. 2010 წელს კი „სამართლიანი“ სასამართლოს ძალით 9 მლნ. ლარის ქონება ჩამოართვეს. უნდა აღინიშნოს რომ სააპელაციო სასამართლომ, 2019 წლის 20 ივნისის განაჩენით იგი უდანაშაულოდ ცნო.

რა ბედი ეწია ამ და სხვა მრავალი ასეთი ხასიათის თაღლითური სქემების „დიდოსტატებს“, თქვენი დაინტერესების შემთხვევაში, შეგიძლიათ მოიძიოთ ინტერნეტში, სადაც მასალები უხვადაა წარმოდგენილი. მათ შორის საინტერესოა სტუდია „მონიტორის“ ჟურნალისტური გამოძიება „მინისტრის მეგობარი“ და პოლ რიმალის ნაშრომი „ვის ეკუთვნოდა საქართველო 2003-2012 წლებში“.

●

12 ივლისს თელავის რაიონის სოფელ ლალისყურის მიმდებარე ტერიტორიიდან სამთავრობო დაცვის თანამშრომელი მამუკა არაბული გაიტაცეს. ამას მოსახლეობიდან საპასუხო ქმედება მოჰყვა – ლუკა რამაზაშვილმა, თანამოაზრეებთან ერთად, შვიდი ქისტი აიყვანა მძევლად. გადაიკეტა გზები და სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა. პანკისელი კრიმინალებისგან გამწარებული მოსახლეობის ერთი ნაწილი ლუკა რამაზაშვილს დაუდგა გვერდით და პანკისში შეიარაღებული შეჭრა დღის წესრიგში დადგა. ორივე მხარემ შეიარაღებული შეტაკებისთვის დაიწყო მზადება. მაშინვე გამოცოცხლდა ქვეყანაში სისხლიან არეულობაზე მეოცნებე ძალები, რომლებიც მუდმივად მღვრიე წყალში თევზის დაჭერას ცდილობდნენ. გაჩნდა შანსი მოვლენები ისე განვითარებულიყო, რომელსაც მთავრობა და პრეზიდენტი გადაჰყვებოდნენ, რაც ვადადმდელი არჩევნების დანიშვნას გამოიწვევდა.

15 ივლისს თელავში ჩავიდნენ შს მინისტრი კახა თარგამაძე, უშიშროების მინისტრის მოადგილე თემურ გრძელიძე, შინაგანი ჯარების სარდალი გია შერვაშიძე. გატარებული ღონისძიებების შედეგად ორთავე მხარემ მძევლები გაათავისუფლა. თუმცა ლუკა რამაზაშვილის რაზმის წევრები დაშლას არ ფიქრობდნენ. მათთან აქტიურ ურთიერთობას აგრძელებდნენ ოპოზიციის წარმომადგენლები და ბიზნესმენები.

რამაზაშვილთან სტუმრობდნენ ჟვანია-სააკაშვილის ფრთის გამოჩენილი აქტივისტები გია ბარამიძე, კობა დავითაშვილი, ზვიად ძიძიგური და სხვები. გარკვეული ძალები ცდილობდნენ შეექმნათ „მხედრიონის“ მსგავსი ფორმირება. სტუმრებმა მასპინძლებს საჩუქრად 70 კომპლექტი ფორმა ჩაუტანეს. ვახშამზე იყო შს მინისტრის ძაგება. გამოითქვა მოსაზრება სახალხო ლაშქრის შექმნის და აქტიური მოქმედებების დაწყების შესახებ. შეხვედრაში მონაწილეობდა სამეგრელოდან ჩამოსული ბადრი ზარანდია და სხვები.

რეაქციული ძალების მცდელობის მიუხედავად, ძალოვანი სტრუქტურების და ხელისუფლების წარმომადგენელთა რამდენიმედღიანი მუხლჩაუხრელი შრომის შედეგად მღელვარება ჩაცხრა. როგორც აღვნიშნე, მძევლები ორთავე მხარემ გაათავისუფლა. თუმცა აშკარა გახდა რომ მდგომარეობა კრიტიკულ ზღვართან ახლოს იყო და რადიკალურ ნაბიჯებს საჭიროებდა.

იმ დღეს სამცხე-ჯავახეთში მომიხდა გამგზავრება, სადაც სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე პოლკოვნიკი მირიან თავხელიძე წარვადგინე; გავიხსენეთ მისი შესანიშნავი წინამორბედი და ჩვენი კოლეგა, პოლკოვნიკი სოსო სხვიტარიძე, რომელიც მოულოდნელად ინფარქტით გარდაიცვალა და ყველას ძალიან დაგვწყვიტა გული.

კახეთიდან დაბრუნებულმა შს მინისტრმა, მის ხელთ არსებული ინფორმაციებიდან გამომდინარე, მხარის პოლიციის მთავარ სამმართველოში საკადრო ცვლილებები გადაწყვიტა. მხარის გუბერნატორთან ბიძინა სონღულაშვილთან და კოლეგიის წევრებთან დათათბირების შემდეგ გადაწყდა პოლიციის გენერალ-მაიორი თამაზ თამაზაშვილი თბილისში გადმოგვეყვანა, შედარებით უფრო უსაფრთხო თანამდებობაზე, რადგან მასზე ხეობის კრიმინალურ სამყაროს ფაქტობრივად ნადირობა ჰქონდა გამოცხადებული და შეიძლებოდა ყველაფერი მძიმე შედეგით დასრულებულიყო.

მხარის პოლიციის უფროსის თანამდებობაზე გადავწყვიტეთ ყოფილი პროკურორის – ზურაბ ტუშურის დანიშვნა. იგი თავისი ნებით იყო გადასული სამოქალაქო სამსახურში და ძალიან კარგი ავტორიტეტით სარგებლობდა, როგორც მოსახლეობაში, ისე ყოფილ კოლეგებშიც. მის დაყოლიებას საკმაოდ დრო და ენერგია დასჭირდა, მაგრამ მხარის გუბერნატორის – ბიძინა სონღულაშვილის დიდი მონდომების შედეგად, საკითხი დადებითად გადაწყდა. მოადგილეებად ახალ უფროსს გამოცდილი პროფესიონალები შევურჩიეთ ცენტრალური აპარატიდან, კრიმინალური პოლიციის დარგში – პოლკოვნიკი მენზერ ბერუკაშვილი და ადმინისტრაციული პოლიციის დარგში, მრავალ ქარცეცხლგამოვლილი „ძველი ავღანელი“, პოლკოვნიკი გურამ ჯანიაშვილი. თელავის პოლიციის უფროსად თემურ ანჯაფარიძე და ახმეტის პოლიციის უფროსად გოჩა ნაზღაიძე დაინიშნენ. ეს უკანასკნელი თვითონ ზურაბის წარდგინებით დაინიშნა. იშვიათად შემხვედრია ასეთი გაბედული და უშიშარი ადამიანი. მისი ღვაწლი პანკისის ანკლავზე გამარჯვებაში ძალზე დიდი იყო და დღესაც გაოცებას ვერ ვმალავ, როდესაც მაგონდება მის თავს დატრიალებული შემდგომი ისტორია (იგი 2005 წელს დააკავეს როგორც ბანდიტური ჯგუფის ხელმძღვანელი და რამდენიმე ადამიანის მკვლელობებისთვის სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს). ჩემთვის ცნობილი გახდა ერთ-ერთ ვერსია, რომ თითქოს მან შური იძია და სისხლი აიღო თავისი ძმის მკვლელობისთვის, მაგრამ ჭეშმარიტება მხოლოდ მან იცის.

მოვლენები ყველა მიმართულებით ელვისებურად განვითარდა. თითქოს კახეთში შექმნილი ფეთქებადსაშიში სიტუაცია არ იყო საკმარისი ქვეყ-

ანაში დესტაბილიზაციისთვის, ძველ სატკივარს ყოველდღიურად ახალი ემატებოდა.

გიორგი სანაიას საქმე

26 ივლისს კიდევ ერთი ტრაგიკული მოვლენის შესახებ გახდა ცნობილი, რომლის გამოყენება ბევრმა საკუთარი პოლიტიკური მიზნებისთვის სცადა.

საკუთარ საცხოვრებელ ბინაში, ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობით გარდაცვლილი იპოვეს ტელეკომპანი „რუსთავი-2-ის“ პოპულარული ჟურნალისტი და წამყვანი გიორგი სანაია.

რა რეზონანსი მოჰყვა ამ საზარელ ფაქტს ქვეყანაში, ამის აღწერა და გადმოცემა ჩემს ძალებს ნამდვილად აღემატება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობას თავს დაატყდა მედია საშუალებების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და დაინტერესებული პოლიტიკური ძალების ქარიშხალი. განსაკუთრებით კვლავ ზურაბ ჟვანიას ფრთა, მასთან დაკავშირებული არასამთავრობოები და მედია აქტიურობდა.

აღნიშნულ დანაშაულს ისინი პოლიტიკურ მკვლელობად წარმოაჩენდნენ, მიმართულს დემოკრატიისა და თავისუფალი სიტყვის წინააღმდეგ. მოთხოვნა პოლიტიკური მკვლელობის შემკვეთთა და შემსრულებელთა დაუყოვნებლივ მხილება და დაკავება გახლდათ!

მომხდარი დანაშაულის პირველივე წუთებიდან, აღნიშნული პოლიტიკური წრეებიდან და მათ მიერ მართული მედია-საშუალებებიდან აქტიურად დაიწყო საზოგადოებრივი აზრის ფორმირება, თითქოსდა ადგილი ჰქონდა პოპულარული ჟურნალისტის შეკვეთილ მკვლელობას. ამასთან ერთად ხაზს უსვამდნენ, რომ მკვლელობის მოტივი სამართალდამცავი ორგანოების მამხილებელი რაღაც ვიდეოკასეტა შეიძლება ყოფილიყო, რომელიც თითქოსდა სანაიას გააჩნდა. განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდნენ არასამთავრობო ორგანიზაციები და პარლამენტის წევრი ელენე თევდორაძე; იგი ამტკიცებდა, თითქოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნების ნარკობიზნესში მონაწილეობის ამსახველი მამხილებელი ვიდეოკასეტა გააჩნდა სანაიას და მისი მკვლელობა მამხილებელი მასალების დაუფლების მიზნით განახორციელეს შს სამინისტროს დაკვეთით.

ეს იყო თითიდან გამოწოვილი ბინძური ბრალდება, საზოგადოების თვალში თარგამაძისა და მისი უწყების დისკრედიტაციის მიზნით, რაც ჟვანიასა და მისი გუნდის ინტერესებიდან მომდინარეობდა. ყოველივე ეს დრომ და მოვლენების განვითარებამ უტყუარად დაადასტურა.

ელენე თევდორაძემ აგერ უკვე 25 წლის შემდეგაც კი ვერ მოახერხა ამ კასეტის წარდგენა და სინდისის ქენჯნასაც კი არ გრძნობს იმ უნამუსო საქციელისთვის რაც ჩაიდინა. არადა რას წარმოადგენდა, რაც ბუნებაში არარსებობდა.

ისევ ეროსი კიწმარიშვილის დაუსრულებელი მოგონებებიდან მოვიხმობ ფრაგმენტს:

> „ჩემთვის გიორგი სანაიას მკვლელობა დღემდე ბურუსით მოცული საკითხია. მისი მკვლელობა უცნაურად დაემთხვა იმ დღეს, როცა მე ტელევიზიის გაყიდვასთან დაკავშირებით, ხელშეკრულება უნდა გამეფორმებინა. ბუნებრივია, მაშინვე გავიფიქრე, რომ სანაია ამ ხელშეკრულების ჩასაშლელად მოკლეს. დანარჩენი სულ ბოდვითი თეორიები იყო; მათ შორის, ელენე თევდორაძე აქტიურად ავრცელებდა ზღაპარს, თითქოსდა სანაიას რაღაც ექსკლუზიური ვიდეომასალა ჩაუვარდა ხელში, რის გამოც ის მოკლეს.
>
> საქმე ის არის, რომ სანაია არ იყო იმ ტიპის ჟურნალისტი, რომელსაც შეიძლებოდა რაიმე ექსკლუზიური „ბომბა“ მასალა მოეპოვებინა. მას სტუდიიდან ტელედებატები მიჰყავდა და მის მოვალეობაში არც შედიოდა ასეთი ტიპის მასალის მოძიება. მით უმეტეს, სანაია არასოდეს ყოფილა რაიმე რეპორტაჟის მოსამზადებლად პანკისის ხეობაში, სადაც ვითომდა მას ეს კასეტა გადასცეს“.[34]

უმძიმეს დანაშაულს მოჰყვა ხალხმრავალი გამოსვლები და მიტინგები პრეზიდენტისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელთა გადადგომის მოთხოვნით. ქვეყანაში შექმნილი ასეთი აუტანელი მდგომარეობის გამო საზოგადოების გარკვეული ნაწილი პასუხს უპირველესად მათგან ითხოვდა.

დანაშაულის გახსნისა და დამნაშავეთა დაკავების მიზნით გატარებულ ოპერატიული სამძებრო ღონისძიებების პროცესში თავიდანვე წარმოიშვა რამდენიმე ვერსია, თუმცა დანაშაულის პოლიტიკური მოტივი თითქმის უსაფუძვლო ჩანდა.

მკითხველი ალბათ დამერწმუნება, რომ თუ იმ კონკრეტულ სიტუაციაში ვინმე ნამდვილად იყო დაინტერესებული ამ დანაშაულის სწრაფად გახსნით, ეს უპირველესად შინაგან საქმეთა სამინისტრო იყო. დედაქალაქისა თუ ცენტრალური აპარატის თანამშრომლები თავდაუზოგავად შრომობდნენ.

ამ საქმის გახსნის ისტორიას აღარ მოვყვები, რადგან ამის ვერანაირ აუცილებლობას ვერ ვხედავ. ფაქტი კი ის არის, რომ 26 ივლისს მომხდარი მკვლელობის რეალური სურათი დეკემბრის თვეში ბოლომდე გაირკვა. და-

---

[34] ეროსი კიწმარიშვილი: „სად დამახლიდნენ ტყვიას და სად მიპოვნიდნენ მკვდარს...“ 15 დეკემბერი, 2021. ეროსი კიწმარიშვილის დაუსრულებელი მოგონებები გამოქვეყნდა საინფორმაციო-ანალიტიკურ პორტალზე For.ge

დასტურდა, რომ მკვლელობა მოხდა საყოფაცხოვრებო ნიადაგზე, მას არ ჰქონდა არანაირი პოლიტიკური მოტივი და არ არსებობდნენ არანაირი შემკვეთნი. მკვლელი აღმოჩნდა 1970 წელს დაბადებული გრიგოლ გრიგოლის ძე ხურცილავა, მეტსახელად „გრიცკო“, დაცვის პოლიციის პოლიციელი. მკვლელობის იარაღი მისი ტაბელური პისტოლეტი იყო, რაც დადასტურდა ბალისტიკური ექსპერტიზითაც და ჩადენილი დანაშაულისთვის 2003 წლის 9 ივლისის განაჩენით მას 13 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. ამ ტრაგიკული მოვლენის შემდეგ ამდენი წელი გავიდა და განაჩენის სისწორეში ეჭვი ვერც ერთმა შემდგომმა ხელისუფლებამ ვერ შეიტანა, მიუხედავად ამის დიდი სურვილისა და მონდომებისა. თუმცა ამ საქმის გახსნამდე ჯერ კიდევ ურთულესი 5 თვე იყო გასავლელი და არავინ იცოდა, წინ რა გველოდა.

გიორგი სანაიას მკვლელობის დროს შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის თანამდებობა მეჭირა, მაგრამ კრიმინალურ პოლიციას არ ვკურირებდი. სულ მალე მომხდარი საკადრო გადაადგილების შემდეგ, მინისტრის გადაწყვეტილებით ყველა ოპერატიული სამსახურის კურირება დამევალა და ამ დღიდან შეიძლება ითქვას ყველაფრის კურსში გახლდით.

კიდევ ერთხელ მინდა განვაცხადო, რომ გიორგი სანაიას მკვლელობა არ იყო პოლიტიკური ნიშნით ჩადენილი დანაშაული, თუმცა იგი მაქსიმალურად იქნა გამოყენებული პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად ე.წ. ჟვანია-საკაშვილის გუნდის მიერ.

მოდით აქ დავასრულოთ, რადგან როგორც ზემოთ აღვნიშნე, განაჩენით ყველაფერი ნათქვამია და სხვა სიმართლე არ არსებობს!

ვითომ აფხაზეთის დასაბრუნებლად – გილაევის რაზმი კოდორში

მკითხველს ემახსოვრება, რომ 2000 წლის 8 დეკემბერს უშიშროების საბჭოზე დამტკიცებული სპეციალური გეგმის შესაბამისად, საქართველოს სამართალდამცავი სტრუქტურები აქტიურად მოქმედებდნენ პანკისის ხეობის ჩრდილო კავკასიელი მებრძოლებისა და კრიმინალური ბანდებისაგან გასათავისუფლებლად. უშიშროების სამინისტროსა და დაზვერვის დეპარტამენტის ამოცანას ხეობიდან ჩეჩენი მებრძოლების უსისხლოდ გაყვანა წარმოადგენდა. შინაგანი ჯარი ხეობის ბლოკირებას ახდენდა, ხოლო ოპერატიული სამსახურები კრიმინალური ბანდების დაკავების, განიარაღებისა და ნეიტრალიზების მიმართულებით მუშაობდნენ. ჩეჩენი მებრძოლები ეტაპობრივად ტოვებდნენ ხეობას, ან სამშობლოში ან კიდევ მეზობელ ქვეყნებში გადადიოდნენ.

იქ მყოფი ცნობილი საველე მეთაური რუსლან გილაევიც ფიქრობდა როგორ გასცლოდა საქართველოს თავის კბილებამდე შეიარაღებული თავზეხელაღებული მებრძოლებით, როდესაც საქართველოს ძალოვანი სტრუქტურების გავლენიანი მაღალჩინოსნებიდან მას ჩრდილოკავკასიაში სვანეთიდან გადასვლაში დახმარება შესთავაზეს. მანაც როგორც ჩანს, ჩეჩნეთსა და დაღესტანში გადასვლას, სადაც საზღვრები მკაცრად კონტროლდებოდა, ყაბარდო-ბალყარეთში ამ მარშრუტით გადასვლა ამჯობინა. გილაევიდან თანხმობის მიღების შემდეგ იმავე ძალების „მსტოვრებმა“ ხეობაში საბრძოლო დავალებით მყოფი შინაგანი ჯარის ტყიბულის ბატალიონის აფხაზეთიდან ლტოლვილი მებრძოლების მცირე ნაწილი დაარწმუნეს, რომ ხელისუფლებასთან შეთანხმებით მომზადებული იყო კოდორის ხეობიდან ჩეჩნების დახმარებით სოხუმის აღებისა და აფხაზეთის დაბრუნების გეგმა.

ჰოდა, დიდი პროვოკაციაც მომზადდა!

მთელი ამ ავანტიურის იდეა იმაში მდგომარეობდა, რომ კოდორის ხეობაში გილაევის ე. წ. „ტერორისტების“ გამოჩენას და აფხაზეთთან საომარი მოქმედებების განახლებას რუსეთის შეიარაღებული ძალების მხრიდან საპასუხო სამხედრო ოპერაციები, ქართველთა და ჩეჩენთა დაღვრილი სისხლი და ხეობის უცილობელი დაკარგვა მოჰყვებოდა.

სცენარის ასეთი სახით განვითარება კი მასშტაბური სახალხო მღელვარების, პრეზიდენტისა და მთავრობის გადადგომის და ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების რეალურ გარანტიებს შექმნიდა.

ამასთან ერთად უკიდურესად და ხანგრძლივი დროით გააუარესებდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებს.

სად დაიგეგმა ეს ყველაფერი და ვის ინტერესებში შედიოდა მკითხველისთვის რთულად ამოსახსნელი არა მგონია იყოს. მოვლენებს გავუსწრებ და აქვე აღვნიშნავ, რომ როგორც შემდგომში გაირკვა, საქმის კურსში იყვნენ ზურაბ ჟვანია, დავით თევზაძე და პრეზიდენტი შევარდნაძეც.

იმას ნამდვილად ვერ გეტყვით ამ ტრაგიკული სპექტაკლის დადგმაში ვინ შეგნებულად მონაწილეობდა და ვინ სამშობლოს სიყვარულით გულანთებული, მაგრამ ფაქტია, რომ იგი განხორციელდა, თუმცა მადლობა ღმერთს, რომ არა სცენარის ავტორთა ჩანაფიქრის შესაბამისად.

რაღა ბევრი გავაგრძელო, 2001 წლის 29 ივლისს ტელეფონით დამიკავშირდა სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსი ელგუჯა ჯამბურია და აღელვებულმა მაუწყა, რომ ზუგდიდი-ჯვრის მიმართულებით მდებარე სოფელ ჩხორიას ტყეში სამი ავტომანქანით გამოჩნდნენ შინაგანი ჯარის ტყიბულის ბატალიონის მებრძოლები ვინმე გერვასი ჯოლოგუასთან ერთად და 100-მდე ჩეჩენი შეიარაღებული მებრძოლი. მათთან ერთად უნდა იმყოფებოდეს ცნობილი ჩეჩენი საველე მეთაური რუსლან გილაევი. ჯამბურია მინისტრის მითითებას ითხოვდა შემდგომი მოქმედების თაობაზე. კახა თარგამაძეს მაშინვე გავაცანი მოწოდებული ინფორმაცია. მინისტრი დაუყოვნებლივ დაუკავშირდა ელგუჯა ჯამბურიას და დაწვრილებით გამოჰკითხა დეტალები. შემდეგ ჩემი თანდასწრებით ესაუბრა ვახტანგ ქუთათელაძესა და ავთო იოსელიანს. ჩვენდა გასაკვირად, არც ერთი მათგანი მოვლენების შესახებ ინფორმირებული არ იყვნენ. მინისტრი, რომელიც უკიდურესად აღელვებული იყო მომხდარი ფაქტით, ტელეფონით ესაუბრა ედუარდ შევარდნაძეს. მინისტრის პრეზიდენტთან საუბარმა შოკში ჩამაგდო. ინფორმაცია, რომელიც მინისტრმა შევარდნაძისგან მიიღო, ადასტურებდა, როგორ ხაფანგს უგებდნენ თავად პრეზიდენტს და რაც მთავარია, სახელმწიფოს უსაფრთხოებას. მჯერა დადგება დრო და ბატონი კახა ამის შესახებ ისაუბრებს.

მალე მინისტრის სამუშაო კაბინეტში მობრძანდნენ ვახტანგ ქუთათელაძე და ავთო იოსელიანი. გაირკვა, რომ რუსლან გილაევის 400-მდე მებრძოლი, შინაგანი ჯარების ტყიბულის ბატალიონის 20-მდე მებრძოლი, რომლებიც პანკისის ხეობის ბლოკ-პოსტებზე იყვნენ განლაგებული, „თეთრი ლეგიონის“, „მონადირის“ და „ტყის ძმების“ რამდენიმე მებრძოლთან ერთად, კოდორის ხეობაში მიემართებოდნენ, თითქოსდა აფხაზეთის ბრძოლით დასაბრუნებლად. მთელი ამ მასკარადის და ავანტიურის საქმის კურსში იყვნენ და მონაწილეობდნენ ხელისუფლების ცალკეული მაღალჩინოსნები. თუმცა მათი დადგენა გამოძიების პრეროგატივაა და იქნებ ეს დროც დადგეს.

ნათელი გახდა, რომ ჩაფიქრებული იყო მზაკვრული გეგმა: რუსეთ-საქართველოს ახალი საომარი კონფლიქტის შედეგად კოდორის ხეობის ჩაბარება, გილაევის მებრძოლთა განადგურება. ეს მოვლენები ისეთ შედეგებს

გამოიწვევდა, კახა თარგამაძის და პრეზიდენტის გადადგომა გარდაუვალი გახდებოდა. დაინიშნებოდა ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები.

ასეთი შეიარაღებული ძალის გადაადგილება შეუმჩნეველი ვის დარჩებოდა, მითუმეტეს რუსეთის სპეცსამსახურებს, მაგრამ სკანდალისა და პოლიტიკური ტემპერატურის ასაწევად მიღებული მითითების შესაბამისად, განგაში პირველად „რუსთავი-2-მა“ ატეხა. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა უმალ გაავრცელეს შეიარაღებული ფორმირების გადაადგილების კადრები, სადაც გამოკვეთილად აჩვენებდნენ შინაგანი ჯარების კუთვნილ ავტომანქანებს და ავრცელებდნენ ინფორმაციას, თითქოს შინაგან საქმეთა მინისტრმა პარლამენტთან და ხელისუფლებასთან შეთანხმების გარეშე კოდორის მიმართულებით გადაიყვანა რუსლან გილაევის ფორმირება და შინაგანი ჯარის მებრძოლები, რომლებიც სოხუმზე იერიშსა და აფხაზეთის დაბრუნებას გეგმავენ და რომ ამ გზით თარგამაძეს ჩაფიქრებული აქვს საქართველოს პრეზიდენტობა. თუმცა იქვე ხაზს უსვამდნენ, რომ ეს უცილობლად გამოიწვევდა საომარი მოქმედებების ესკალაციას, მსხვერპლსა და კოდორის ხეობის დაკარგვას, რაზედაც მთელი პასუხისმგებლობა შს მინისტრსა და პრეზიდენტს დაეკისრებოდა.

ასე, რომ ავანტიურის ფინალი საქართველოსთვის წინასწარ იყო გათვლილი, რასაც მინისტრის და პრეზიდენტის გადადგომა და ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები უნდა მოჰყოლოდა.

გეგმის ავტორები პირველივე დღესვე გაირკვა, როდესაც პრეზიდენტმა შს მინისტრთან დაუფარავად „მოინანია“ დაშვებული შეცდომები. მაგრამ შევარდნაძეს იმ დროს სკანდალი აღარ სჭირდებოდა, რუსეთის პრეზიდენტი კი მის ზარებს არ პასუხობდა.

იმჟამად მოსკოვში მყოფი სახელმწიფო მინისტრი გია არსენიშვილიც ვერაფერს გახდა. მისმა კოლეგამ კასიანენკომ მოკლედ აუხსნა, რომ საკითხი მის კომპეტენციას სცილდებოდა. შევარდნაძე მიხვდა, გილაევის საქართველოდან გაყვანის ამ გეგმით იგი სკანდალში გახვიეს, რაც უმძიმესი შედეგებით შეიძლებოდა დამთავრებულიყო. სასწრაფო წესით შეკრებილ უშიშროების საბჭოზე გადაწყდა, რუსეთთან მოსალოდნელი საომარი მოქმედებების თავიდან ასაცილებლად და მდგომარეობის განმუხტვის მიზნით შს მინისტრი მოსკოვს გამგზავრებულიყო. ამ დროს კი ჟვანია-სააკაშვილის გუნდის მიერ ორგანიზებული გამოხტომები თარგამაძის წინააღმდეგ პიკს აღწევდა. გასაოცარი მონდომებითა და თანმიმდევრობით გამოირჩეოდა „რუსთავი-2“, გაზეთი „რეზონანსი“ და სხვა მედია-საშუალებები, რომლებიც ქვეყანაში შექმნილი კრიტიკული სიტუაციების შემოქმედად და ასე ვთქვათ „ბოროტების სათავედ“ კახა თარგამაძეს წარმოაჩენდნენ. ასე იქმნებოდა საზოგადოებრივი აზრი „მაფიოზი“ შინაგან საქმეთა მინისტრის და მისი გუნდის შესახებ.

რეალობა კი სულ სხვა იყო!

კერძოდ, ის, რომ გილაევის მებრძოლთა საქართველოში შემოსვლა და დაბანაკება საზღვრის დაცვის დეპარტამენტის უსუსურობას მოჰყვა. შემდგომ კი თავდაცვის სამინისტროს უმოქმედობითა და ხელისუფლების მიერ მიღებული პოლიტიკური გადაწყვეტილებით, არ გაემწვავებინათ ურთიერთობა ჩეჩნეთთან. აქ ე. წ. „სტრატეგიული პარტნიორების“ ნებაც უნდა გავითვალისწინოთ და მივხვდებით „პანკისის ანკლავის“ წარმოშობისა და კრიმინოგენური აფეთქების ნამდვილ მიზეზებს.

ბატონი კახა კი კოდორში აგიზგიზებული ხანძრის ჩასაქრობად მოსკოვს გაემგზავრა. მოსკოვში გამართული შეხვედრების შესახებ, გრიზლოვთან, რუშაილოსთან და ბოლოს პრეზიდენტ პუტინთან ალბათ უპრიანი იქნება თავად მან ისაუბროს თუ კი ამის სურვილი ექნება. იმის თქმა კი ნამდვილად შემიძლია, რომ შედეგები ხელშესახები იყო. რუსეთის მხარე დარწმუნდა მიმდინარე მოვლენების ნამდვილ მიზნებში და პრეზიდენტებს შორის სატელეფონო საუბარიც შედგა. ორივე მხარე შეთანხმდა სიტუაციის განმუხტვის მიზნით გადასადგმელ ნაბიჯებზე და უფრო მეტიც, ორი ქვეყნის ურთიერთობათა რადიკალურად გასაუმჯობესებლად ჩარჩო ხელშეკრულების მომზადების აუცილებლობაზე. ხაზი გაესვა ხელშეკრულებაში აფხაზეთის პრობლემის მოგვარების საკითხების უპირატესობას და ყოველივე ამის შესახებ მოსკოვში გაცხადდა კიდეც სპეციალურ ბრიფინგზე.

მდგომარეობის ასეთმა შემობრუნებამ ჟვანია-სააკაშვილის გუნდში გააჩინა აზრი, რომ თარგამაძის მიერ მიღწეული ჩარჩო ხელშეკრულებით თუ რუსეთთან პრობლემების მოგვარება დაიწყებოდა, ეს პრაქტიკულად მას დიდ პოპულარობას მოუტანდა და მის საპრეზიდენტო შანსებსაც გაზრდიდა. ეს კი არანაირად არ შედიოდა მათ გეგმებში. დაუყოვნებლივ გაჩაღდა მორიგი კამპანია – „არ გვინდა თარგამაძის დაბრუნებული აფხაზეთი!“

მოსკოვიდან დაბრუნებულ მინისტრს ახალი ლოზუნგით წამოწყებული საპროტესტო ტალღა დაახვედრეს. ამ პოლიტიკურ ძალთა წინააღმდეგობა იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ „ჩარჩო ხელშეკრულების“ იდეა დიდი ხნით გვერდზე გადაიდო და შემდგომში საერთოდ დაიმარხა კიდეც.

ამ პერიოდში კოდორის ხეობაში აფხაზურ ძალებსა და იქ შესულ ფორმირებებს შორის მომხდარი შეტაკებების დროს ორივე მხარეს იყო მსხვერპლი. თუმცა მდგომარეობა მალევე ჩაცხრა. ჩეჩენ მებრძოლთა დანაყოფი იმავე ძალებმა დააბრუნა უკან, პანკისში, ვინც მეგზურობა გაუწია კოდორში. ამას კი ხანგრძლივი დრო დასჭირდა.

●

13 აგვისტოს გაზეთ „ქრონიკაში“ ჩინოვნიკთა ქონებრივი მდგომარეობის შესახებ ინტერვიუ გამოქვეყნდა პარლამენტის წევრ გოჩა ჯოჯუასთან. პუბლიკაცია გულისამრევ და პროვოკაციულ განცხადებებს შეიცავდა და აშკარა იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლექტივში სერიოზულ განხეთქილებას ისახავდნენ მიზნად. უნდა ვაღიარო, რომ ძლიერი რყევები ამ პუბლიკაციამ მართლაც გამოიწვია.

19 აგვისტოს თბილისის ქალაქის პოლიციის უფროსის თანამდებობა დატოვა პოლიციის გენერალ-მაიორმა, სოსო ალავიძემ და აღნიშნულ პოსტზე მინისტრის მოადგილე, პოლიციის გენერალ-მაიორი ვლადიმერ (კახა) ბაკურაძე დაინიშნა.

ამ ცვლილებამ მე ის „ბედნიერება“ მომიტანა, რომ შედარებით „წყნარი“ ცხოვრება დასრულდა და მინისტრის ბრძანებით ყველაზე რთული და ცხელი მიმართულების – კრიმინალური პოლიციისა და ყველა ოპერატიული დანაყოფის კურირება დამეკისრა.

23 აგვისტოს ღამით დედაქალაქის პოლიციამ გამოიხსნა ჯერ კიდევ 7 ივნისს გატაცებული ლიბანის მოქალაქე შერბილ ბეშარ იუნი. თუმცა გამტაცებლები ვერ დააკავეს.

ომალოს ოპერაცია

ახალი ფუნქციებიდან გამომდინარე დაუყოვნებლივ შევუდექი სამსახურების ხელმძღვანელებთან ერთად სიტუაციის შესწავლას. ურთულესი ვითარება კვლავ რჩებოდა კახეთის რეგიონსა და პანკისში. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებდა და მეც უმთავრეს დროს ამ საკითხებს ვუთმობდი.

ფართო მასშტაბიანი ოპერატიულ-პროფილაქტიკური ღონისძიებები ხეობასა და რეგიონში წესრიგის დასამყარებლად თითქმის ცხრა თვის დაწყებული იყო. ხეობა გადაკეტილი ჰქონდა შინაგანი ჯარის კონტინგენტს, ოპერატიული კავშირების ჩამოყალიბებაც დაწყებული იყო. მაგრამ ჯერ კიდევ სიტუაციას სრულად ვერ ვფლობდით. დროის დიდ ნაწილს კახეთში ვატარებდი. ყოველდღიურად შინაგანი ჯარის სარდლობასთან, უშიშროების სამინისტროსა და რეგიონის პოლიციის ხელმძღვანელებთან ერთად ვმართავდით სამუშაო შეხვედრებს.

ღონისძიებების სწორად დაგეგმვისა და ერთმანეთთან კოორდინაციის მიზნით თითქმის ყოველდღიური კონტაქტი მქონდა თემურ გრძელიძესთან, ლევან კენჭაძესთან, გიორგი შერვაშიძესთან, ზურაბ ტუშურთან, მენზერ ბერუკაშვილთან და სხვებთან.

4 ოქტომბერს, დილით 8 საათსა და 10 წუთზე, სოფელ გამარჯვების მიმდებარე საავტომობილო ტრასიდან გატაცებული იქნა მოქალაქე ფარიზ ხალილოვი. გატაცებისას გამოყენებული იქნა იარაღი, რომელიც როგორც ექსპერტიზამ დაადგინა, კასპში ადრე ჩადენილ თამარაშვილის მკვლელობაში ფიგურირებდა. გატაცების ოთხივე მონაწილე ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით იყვნენ შეიარაღებულნი, ერთი პოლიციის ფორმით, სამი მათგანი კი კამუფლაჟებში ჩაცმული. შუამთის საგუშაგოს ნიშანს ავტომანქანა შეეჩერებინა, ისინი არ დაემორჩილნენ და პოლიციელებს ცეცხლი გაუხსნეს. საპასუხო ცეცხლით ავტომანქანა დაზიანდა, მაგრამ ბოროტმოქმედებმა გაქცევა მაინც შეძლეს. მალე ავტომანქანა ნაპოვნი იქნა სოფელ ფიჩხოვანთან, რომელშიც სისხლის გუბეები იდგა და უხვად იყო გასროლილი მასრები.

დადგენილი იქნა, რომ გამტაცებლებმა ფეხით დაახლოებით 500 მეტრი, იარეს ქედზე, სადაც მათ შინდისფერი ავტომანქანა „ნივით“ ელოდა ვეფხია მარგოშვილი, რომელმაც ისინი ხეობაში აიყვანა. როგორც ირკვეოდა გატაცებული ხალილოვი მძიმედ იყო დაჭრილი. ამ დროს შემოვიდა ინფორმაცია, რომ ვეფხია მარგოშვილის მეუღლე ლიდია სალტაევა ცდილობდა მოსკოვში გამგზავრებას. გატარებული ღონისძიების შედეგად იგი დაკავებული იქნა თბილისის აეროპორტში. ქალს თან აღმოაჩნდა ჩანაწერები ჩეჩნებისა და არაბი ბოევიკების პანკისში ყოფნასთან დაკავშირებით. მარ-

გოშვილი ამ ფაქტმა მწყობრიდან გამოიყვანა და ჩემი „კეთილმოსურნეების“ მიერ, მისთვის „რუსთავი-2-ის“ „სულგრძელად“ დათმობილ პირდაპირ ეთერში მთელი საქართველოს და ქართველი ხალხის უკიდურესად შეურაცხმყოფელი განცხადებები გააკეთა. იგი შეიარაღებული გამოსვლითა და სისხლისღვრით იმუქრებოდა.

ჩვენი პოზიცია იყო შეუვალი. მოვითხოვდით მათ სრულ განიარაღებას და ყველა მძევლის დაუყოვნებლივ, უპირობო გათავისუფლებას.

კოდორის ხეობაში ჩაშლილი ავანტიურის შემდეგ ამ პროვოკაციის სულის ჩამდგმელებმა, როგორც კი იგრძნეს, რომ სიმძიმის ცენტრის გადმოტანა პანკისში შეიძლებოდა, მაშინვე მთელი ძალებით და შესაძლებლობებით აქეთ გადმოერთნენ, რათა როგორმე აქ მოეხდინათ შს სამინისტროს დანაყოფების შეიარაღებულ კონფლიქტში ჩათრევა.

ამის საშიშროება კი ნამდვილად არსებობდა. ხეობაში ამ დროს 500-მდე კბილებამდე შეიარაღებული ჩეჩენი, არაბი და ჩრდილოკავკასიელი მებრძოლი, ვაჰაბიტები, კრიმინალური და უმძიმეს დანაშაულებში ეჭვმიტანილი ძებნილები იმყოფებოდნენ. ჩვენი ძალები კი დაახლოებით 2000 თანამშრომლით შემოიფარგლებოდა, რომელთა მობილიზება საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან მოვახერხეთ.

ხეობაში აშკარად იგრძნეს, რომ უკან დახევას არ ვაპირებდით. ამან სიტუაცია ჩვენს სასარგებლოდ შეცვალა. გაჩნდა შიდა დაპირისპირება, დაიწყო ყოველდღიური კონტაქტები და მოლაპარაკებები, რომელშიც ხეობის მთელი მოსახლეობა ჩაერთო. ისინი უკვე აშკარად უპირისპირდებოდნენ კრიმინალებს, რომელთა მიზეზითაც შესაძლოა საომარი მოქმედებებიც კი დაწყებულიყო და ეს არც მათთვის იყო სიკეთის მომტანი.

ვეფხია მარგოშვილს ცოლის ძმებიც კი დაუპირისპირდნენ ჩეჩნეთიდან, რის გამოც მან გამოსავლის ძებნა დაიწყო. მოლაპარაკების მიზნით ჩვენი ერთ-ერთი ოპერატიული მუშაკი 13 ოქტომბერს მას პირადად შეხვდა კიდეც, სადაც ჩვენთვის საინტერესო ბევრი ინფორმაციაც მოგვაწოდა მძევლების და მათი უსისხლოდ გადმოცემის შესაძლებლობებზე, მაგრამ ჩვენგან მოთხოვნა კატეგორიული იყო: „მძევლების დაუყოვნებლივი და უპირობოდ განთავისუფლება!“

პრაქტიკულად პირველად ამ ხნის განმავლობაში დავიწყეთ აქტიური და აგრესიული ღონისძიებები ყველა საშუალებების და რესურსების გამოყენებით, მძევლის გამოსახსნელად და გამტაცებელთა დასაკავებლად. ამის მხატვრული და სხვა ფორმით გადმოცემა აქ შეუძლებელია და ალბათ არც არის საჭირო, მაგრამ აღსანიშნავია ის, რომ ყველა მოქმედება ტარდებოდა განსაკუთრებული სიფრთხილით, რათა ფართო-მასშტაბიანი შეიარაღებული კონფლიქტი არ გამოგვეწვია. კრიმინალებმა პირველად იგრძნეს, რომ არაფრის დათმობას აღარ ვაპირებდით, ჩვენი სიძლიერე ხეობის მო-

სახლეობამაც იგრძნო და იმატა საინტერესო ინფორმაციებმა. თბილისში დააკავეს შოთა ჭიჭიაშვილის ბანდის აქტიური წევრი გაბროშვილი, რომელიც ბერძენი დიპლომატის და საგარეჯოში პოლიციის თანამშრომლის მკვლელობების მონაწილე გახლდათ, მისგან ყუმბარმტყორცნი და საბრძოლო მასალა იქნა ამოღებული.

დილის ოპერატიულ თათბირზე მიღებული ინფორმაციების გაანალიზებით აშკარად გამოჩნდა, რომ ხეობაში შექმნილ ვითარებას სრულყოფილად ვფლობდით. უპირატესობა აშკარად ჩვენს მხარეს იყო და შემდგომი ღონისძიებების თანმიმდევრულად და სწორად განხორციელება გვჭირდებოდა მხოლოდ.

როგორც ანალიზმა გვიჩვენა, იმჟამად ხეობას თავს აფარებდა 60-მდე ძებნილი, 400-მდე ჩეჩენი, არაბი და ჩრდილო კავკასიელი მებრძოლი, 50-მდე ადგილობრივი ვაჰაბიტი და 100-მდე კრიმინალი. გადაწყდა, რომ მცირე ოპერატიული ჯგუფებით გვეცადა ხეობაში შეღწევა, ჩვენთვის ცნობილი კრიმინალების დაკავება ან ნეიტრალიზება. შევთანხმდით რამდენიმე ბლოკპოსტის კიდევ უფრო სიღრმეში გადანაცვლებაზე, რათა საჭიროების შემთხვევაში მასშტაბური სამხედრო ოპერაციისათვისაც ვყოფილიყავით მზად.

შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე შს მინისტრს გავაცანი ჩვენი მოსაზრებანი. ხეობაში ამჟამად მოქმედი კრიმინალური ბანდებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებდა შოთა ჭიჭიაშვილის და ვეფხია მარგოშვილის ჯგუფები, რომელთა მოქმედების არეალი სწვდებოდა შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, თბილისის, ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონს, ფაქტობრივად, მთელ აღმოსავლეთ საქართველოს. ამ ჯგუფების კისერზე იყო უამრავი მკვლელობა, ადამიანების გატაცება ფულის გამოძალვის მიზნით, სჩადიოდნენ სხვა მძიმე დანაშაულებს. ხეობაში ჩამოყალიბებული ჰყავთ უკანონო შეიარაღებული ფორმირებები, რომლებსაც მრავალი ძებნილი აფარებდა თავს.

ამ ძალების თავისუფალი მოქმედების შესაკავებლად (ტრანსპორტით მოძრაობა, შესვლა-გამოსვლა) მიზანშეწონილად მიგვაჩნდა ოთხი მოქმედი ბლოკპოსტის დაკონსერვება და ახლის ამოქმედება სოფელ დუისთან, რაც წინასწარ უნდა შეთანხმებულიყო ჩეჩენ მებრძოლთა ხელმძღვანელობასთან, შესაძლო გართულების თავიდან ასაცილებლად. ხოლო უშიშროების სამინისტროსა და შს სამინისტროს ოპერატიული სამსახურების მეშვეობით პარალელურად უნდა განხორციელებულიყო ოპერატიული კომბინაციები ლიდერების დაკავების ან წინააღმდეგობის შემთხვევაში ლიკვიდაციის მიზნით.

„გატარებულ ღონისძიებებს თან უნდა ახლდეს ფართო ახსნა-განმარტებითი და სააგიტაციო მუშაობა ხელისუფლების მხრიდან მოსახლეობასთან შეხვედრების თუ მედია-საშუალებებით ინფორმირების გზით. რის შემ-

დეგაც შესაძლებელი გახდება ეტაპობრივად ცალკეული სოფლების დამუშავება და მოულოდნელი ღონისძიებების განხორციელება“ – ვწერდი მინისტრისთვის გაგზავნილ წერილში.

კახა თარგამაძემ მთლიანად გაიზიარა ჩვენი მოსაზრებები და უშიშროების მინისტრთან ვახტანგ ქუთათელაძესთან და გენერალურ პროკურორ გია მეფარიშვილთან შეთანხმების შემდეგ, დავალება მოგვცა მოგვემზადებინა სოფელ ომალოში კონკრეტული ლოკალური ღონისძიების ჩატარების გეგმა, ვეფხია მარგოშვილის დასაკავებლად.

ასეთი გაბედული ნაბიჯების გადადგმაში ხელს გვიწყობდა და ჩვენს წისქვილზე ასხამდა წყალს მსოფლიოში უკანასკნელ დღეებში განვითარებული მოვლენებიც – 11 სექტემბერს ამერიკის შეერთებულ შტატებში, შემდეგ კი ავღანეთში მომხდარი ტერორისტული აქტები, რის გამოც ხეობაში მყოფ ჩრდილოკავკასიელ მებრძოლებსა და არაბ ემისრებს აშკარად მოაკლდათ ყურადღება. მათ მიმართ დამოკიდებულება რადიკალურად შეიცვალა და ისინი ერთგვარად „პატრონის“ გარეშე დარჩნენ. ამან ისინი იძულებული გახადა დაეწყოთ ფიქრი საკუთარ მომავალზე, რომ როგორმე გაეღწიათ ამ ჩაკეტილი ხეობიდან.

ჩვენ კი ხეობა კიდევ უფრო მჭიდროდ ჩავკეტეთ და ომალოში ჩასატარებელი ლოკალური ღონისძიების შემდგომ, მოსალოდნელი გართულების აღკვეთის მიზნით, რესპუბლიკის დანაყოფებიდან დამატებით 2000 საბრძოლო მზადყოფნაში მყოფი თანამშრომლის ჩართვა გადავწყვიტეთ. ამ ძალის რეგიონში შემოსვლა და განლაგება სპეციალური გეგმით უნდა მომხდარიყო, რაც შეუმჩნეველი არ დარჩებოდა ხეობის კრიმინალურ სამყაროს და გარკვეულ ფსიქოლოგიურ შოკს გამოიწვევდა მათში.

ხეობიდან ყოველდღიურად ზღვა ოპერატიული მასალა შემოდიოდა, რაც მეტი ენერგიით გვავსებდა თითოეულ ჩვენგანს.

განსაკუთრებით საინტერესო იყო ის, რომ ხეობაში კრიმინალურ დაჯგუფებებს შორის, თავი იჩინა უნდობლობამ და უთანხმოებამ, რასაც გარკვეულწილად ხელსაც ვუწყობდით და ვაღვივებდით კიდეც.

მარგოშვილის დაკავებული მეუღლე წინასწარ პატიმრობაში იქნა აყვანილი და მასზე სამთვიანი სანქცია გაიცა, რამაც იგი აშკარად წყობიდან გამოიყვანა და შეცდომას შეცდომაზე უშვებდა.

12 ოქტომბრისთვის სრული მზადყოფნა გვქონდა ომალოში სპეცოპერაციის დასაწყებად, მისი დაკავების მიზნით.

გია გულუას სახელობის და უშიშროების სამინისტროს სპეციალური დანიშნულების რაზმიდან შეირჩა 15 მებრძოლი, რომელთა საბრძოლო დავალების შესასრულებლად მზადებას უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ ლ. შონია და შ. ჯანაშვილი, შეირჩნენ მეგზურებიც.

ხეობაში სიტუაცია სერიოზულად დაიძაბა. ჩეჩნებმა, რომლებსაც აშკარა დისკომფორტი შეექმნათ, მკაცრად დააყენეს მძევლების გათავისუფლების საკითხი (ხალილოვი და ესპანელები), თუმცა უშედეგოდ. ამის პარალელურად კი ტელევიზიით და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობდა, აღვირახსნილი კამპანია შინაგან საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგ. განსაკუთრებით აქტიურობდა „რუსთავი-2“ და ელენე თევდორაძე, რომელიც ბრალს გვდებდა ანკლავის შექმნაში, ადამიანთა გატაცებების ორგანიზებაში, ნარკობიზნესში, სალტაევას გატაცებასა და ადამიანის უფლებების დარღვევაში. მუქარები წამოვიდა ჩემი და ჩემი ოჯახის წევრების მისამართითაც.

ამ დროს კი პანკისში მოვლენები ჩვენთვის ხელსაყრელად ვითარდებოდა. განსაკუთრებით აქტიურად მუშაობდნენ თემურ გრძელიძე და ზურაბ ტუშური. ომალოს ღონისძიება გადაწყდა 15-ში ჩაგვეტარებინა. გეგმა დაამტკიცა კახა თარგამაძემ და ვახტანგ ქუთათელაძემ. დარჩენილი მქონდა მხოლოდ გენერალური პროკურორის ხელმოწერა და ღონისძიების თარიღის კიდევ ერთხელ შეთანხმება. ამ მიზნით, 10 ოქტომბერს თბილისში დავბრუნდი დეტალების მინისტრთან შესათანხმებლად.

ომალოში ჩასატარებელი სპეცოპერაციის გეგმა კი ასეთი იყო:

საიდუმლო
ეგზ. №1

ვამტკიცებ

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი,

პოლიციის გენერალ-ლეიტენანტი

კ. თარგამაძე

ხელმოწერილია

15 ოქტომბერი 2001 წ.

ვამტკიცებ

საქართველოს სახელმწიფო უშიშროების

მინისტრი, გენერალ-ლეიტენანტი

ვ. ქუთათელაძე

ხელმოწერილია

15 ოქტომბერი 2001 წ.

ვეთანხმები

საქართველოს გენერალური პროკურორი

გ. მეფარიშვილი

ხელმოუწერელია

ოქტომბერი 2001 წ.

გეგმა

ახმეტის რაიონის პანკისის ხეობის სოფელ ომალოში ლოკალური ოპერატიული ღონისძიებების ჩატარების შესახებ

ამიერკავკასიაში და მთლიანად საქართველოში ბოლო წლებში განვითარებული მოვლენების გამო ქვეყნის მთელ რიგ რეგიონებში და განსაკუთრებით ახმეტის რაიონის პანკისის ხეობის სოფლებში; დუისში, ჯოყოლოში, ომალოში, ხალაწანში, წინუბანში, ბირკიანში, დუმასტურში და სხვა, მნიშვნელოვნად დაიძაბა საერთო ეთნიკური და კრიმინოგენური ვითარება. შექმნილი სირთულეების ფონზე აშკარად გააქტიურდნენ ადგილობრივი დანაშაულებრივი დაჯგუფებები, რომლებიც ჩადიან სხვადასხვა სახის განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულებს. ნიშანდობლივია, რომ ხეობაში ჩამოყალიბებული ორგანიზებული ბანდიტური დაჯგუფებების დანაშაულებრივი ქმედების არეალი თანდათან ფართოვდება და ახმეტის რაიონის გარდა, თითქმის მთლიანად მოიცვა აღმოსავლეთ საქართველოს მთელი რიგი რეგიონები და ქვეყნის დედაქალაქიც კი, სადაც არაერთი თავდასხმა, გამოძალვის მიზნით ადამიანთა გატაცება და სხვა ამგვარი დანაშაულია ჩადენილი. ერთ-ერთი

ასეთი ორგანიზებული ბანდიტური დაჯგუფების ხელმძღვანელია ქისტი ეროვნების მოქალაქე სოფელ ომალოში მცხოვრები ვეფხვია ჩოფანაშვილი-მარგოშვილი, რომელსაც თავის გარშემო შემოკრებილი ჰყავს ადგილობრივი და ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული, სხვადასხვა დანაშაულებისათვის ძებნილი 15-20 დამნაშავე პირი.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია 2001 წლის ოქტომბერს – საათიდან – საათამდე ვ. ჩოფანაშვილი-მარგოშვილის ბანდიტური დაჯგუფების დაკავება განიარაღების მიზნით სოფელ ომალოში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გ. გულუს სახელობის სპეციალური დანიშნულების სამსახურმა და უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრის სწრაფი რეაგირების შენაერთმა ჩაატარონ სპეციალური ლოკალური ოპერატიული ღონისძიება, რის გამოც:

1. შსს გენერალ გ. გულუას სახელობის პოლიციის სპეცდანიშნულების სამსახურმა და უშიშროების სამინისტროს უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრის სწრაფი რეაგირების შენაერთმა შესაბამისად შეიმუშაონ სპეციალური ღონისძიების გეგმა, საამისოდ შეარჩიონ ერთობლივი 15 კაციანი ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს ვ. ჩოფანაშვილი-მარგოშვილის ბანდიტური დაჯგუფების წევრთა დაკავებას და განიარაღებას.

   შემსრ: ლ. შონია, შ. ჯანაშვილი

2. უშიშროების სამინისტროს ოპერატიულმა სამსახურმა ოპერაციის ჩატარების წინ უზრუნველყოს ადგილის და მიმდებარე ტერიტორიის შესახებ არსებული ინფორმაციის დამუშავება და მისი სპეცჯგუფისათვის გადაცემა.

   შემსრ: ლ. კენჭაძე

3. კახეთის შს მთავარმა სამმართველომ გამოყოს ოპერატიული თანამშრომლები, რომლებიც შს სამინისტროს სპეცსამსახურის ჯგუფს გაუწევენ მეგზურობას და სათანადო დახმარებას ოპერაციის ჩატარების დროს.

   შემსრ: ზ. ტუშური

4. შს სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური უზრუნველყოფის დეპარტამენტმა და უშიშროების სამინისტროს ზურგის სამსახურმა, სპეციალური განაცხადების საფუძველზე განახორციელონ ღონისძიებაში ჩართული ძალების და საშუალებების საწვავ-საცხები მასალებით, შესაბამისი ტიპის ავტომანქანებით და ოპერაციისათვის საჭირო სხვა დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფა.

   შემსრ: ვ. დავითაია.

5. შს სამინისტროს სს სამძებროს მთავარმა სამმართველომ და უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტულმა ცენტრმა სპეცსამსახურების ჯგუფს მიაწოდონ იმ ძებნილ, დამნაშავე და სხვა ოპერატიულად საინტერესო პირთა სიები და ფოტოსურათები, რომლებიც ოპერატიული და ოფიციალური ინფორმაციების საფუძველზე იმყოფებიან პანკისის ხეობაში.

შემსრ: რ. ფოჩხუა, ლ. კენჭაძე

6. ქ. თელავში შს სამინისტროს მიერ გამოყოფილი იქნას შინაგანი ჯარების 1 ვერტმფრენი, თელავის აეროპორტში განთავსებით, ოპერაციის მონაწილეთა შესაძლო დესანტირების და სხვა სპეციალური დავალებების შესრულების მიზნით.

   შემსრ: გ. შერვაშიძე

7. შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროს კავშირგაბმულობის სამსახურებმა უზრუნველყონ ღონისძიებაში ჩართული სპეცსამსახურების ერთობლივი ჯგუფი. შესაბამისი კავშირგაბმულობის საშუალებებით.

   შემსრ: მ. ლიპარტელიანი

8. შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის მთავარმა სამმართველომ უზრუნველყოს, ღონისძიებაში ჩართული სპეცსამსახურების ერთობლივი ჯგუფის განკარგულებაში შესაბამისი სამედიცინო ეკიპაჟის გადაცემა.

   შემსრ: გ. აბესაძე

9. ხსენებული გეგმის შესრულების კოორდინაცია და კონტროლი დაევალოთ შს მინისტრის მოადგილეს პოლიციის გენერალ-მაიორს თ. შოშიაშვილს და უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრის უფროსს, გენერალ-მაიორს ლ. კენჭაძეს.

საქართველოს შს მინისტრის პირველი

მოადგილე, პოლიციის გენერალ-მაიორი

ა. ჩხაიძე

ხელმოწერილია

საქართველოს სახელმწიფო უშიშროების

მინისტრის პირველი მოადგილე, გენერალ-მაიორი

თ. გრძელიძე

ხელმოწერილია

აქვე ვაქვეყნებ ფართომასშტაბიანი ღონისძიების გეგმასაც:

საიდუმლო

ეგზ. №1

ვამტკიცებ
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი,
პოლიციის გენერალ-ლეიტენანტი
კ. თარგამაძე

ხელმოწერილია

15 ოქტომბერი 2001 წ.

ვამტკიცებ
საქართველოს სახელმწიფო უშიშროების
მინისტრი, გენერალ-ლეიტენანტი
ვ. ქუთათელაძე

ხელმოწერილია

15 ოქტომბერი 2001 წ.

ვეთანხმები
საქართველოს გენერალური პროკურორი
გ. მეფარიშვილი

ხელმოუწერელია

ოქტომბერი 2001 წ.

გეგმა

ახმეტის რაიონის პანკისის ხეობაში ფართომასშტაბიანი ოპერატიულ-პროფილაქტიკური ღონისძიების ჩატარების შესახებ

ამიერკავკასიაში და მთლიანად საქართველოში ბოლო წლებში განვითარებული მოვლენების გამო ქვეყნის რიგ რეგიონებში და განსაკუთრებით ახმეტის რაიონის პანკისის ხეობის სოფლებში; დუისში, ჯოყოლოში, ხალაწანში, წინუბანში, ბირკიანში, დუმასტურში და სხვა, მნიშვნელოვნად დაიძაბა საერთო ეთნიკური და კრიმინოგენური ვითარება. შექმნილი სირთულეების ფონზე აშკარად გააქტიურდნენ ადგილობრივი დანაშაულებრივი დაჯგუფებები, რომლებიც სჩადიან სხვადასხვა სახის განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულს. ნიშანდობლივია, რომ ხეობაში ჩამოყალიბებული ორგანიზებული ბანდიტური დაჯგუფებების დანაშაულებრივი ქმედების არეალი თანდათან ფართოვდება და ახმეტის რაიონის გარდა თითქმის მთლიანად მოიცვა აღმოსავლეთ საქართველოს მთელი რიგი რეგიონები და ქვეყნის დედაქალაქიც კი, სადაც არაერთი თავდასხმა,

გამოძალვის მიზნით ადამიანთა გატაცება და სხვა ამგვარი დანაშაულია ჩადენილი. უფრო მეტიც, პანკისის ხეობაში ზემოხსენებულ და სხვა გარემოებათა გამო არაერთი სისხლის სამართლის დამნაშავე აფარებს თავს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე 2001 წლის – საათიდან – საათამდე საქართველოს შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროს ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების ძალებით ახმეტის რაიონის პანკისის ხეობის სოფლებში; დუისში, ომალოში, ხალაწანში, წინუბანში, ბირკიანში, ჯოყოლოში და დუმასტურში ჩატარდეს ფართომასშტაბიანი ოპერატიულ-პროფილაქტიკური ღონისძიება კოდური დასახელებით: -

ღონისძიების ჩატარების სამართლებრივი საფუძვლები, მისი აუცილებლობა და მნიშვნელობა

რეგიონში, რომელშიც ტარდება ფართომასშტაბიანი ოპერატიულ-პროფილაქტიკური ღონისძიება, ხასიათდება მეტად მნიშვნელოვანი გარემოებით. აქ თავმოყრილია ეთნიკურად, ეროვნულად და სარწმუნოებრივად ურთიერთგანსხვავებული მოსახლეობა. აშკარად გამოხატულია საქართველოს მთიანეთისათვის დამახასიათებელი წარსულის ტრადიციული ასპექტები. დომინირებს საგვარეულო დაჯგუფებების, ურთიერთთანადგომისა და სხვა ამგვარი პრინციპები.

ხეობაში ვითარების დაძაბვის პარალელურად სამართალდამცავი ორგანოების მიერ წარმოებული ღონისძიებების შედეგად აქ მცხოვრებ 60-ზე მეტი პირის მიმართ მოძიებულია სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის სამხილი. ნიშანდობლივია, რომ ზემოხსენებული კონტინგენტის მიერ ჩადენილი დანაშაულის დიდი უმეტესობა მოდის თვით ხეობაში მცხოვრებ მოქალაქეთა მიმართ, რის გამოც ადგილობრივი მოსახლეობა სამართლიანად გამოთქვამს უკმაყოფილებას შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურების მიმართ არასათანადო რეაგირების გამო.

გარდა აღნიშნულისა, უშუალოდ პანკისის ხეობაში განთავსებულია ჩრდილო კავკასიის საომარი ზონიდან შემოხიზნული მოსახლეობის უმეტესობა, რომლებიც არანაკლები საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ რუსულ მასმედიაში გაჩაღებული პროპაგანდის გამო, თითქოს – „საქართველოს ზემოხსენებული რეგიონი გადაიქცა ბანდიტთა და ტერორისტთა თავშესაფრად~. ხსენებულ გარემოებათა გამო, ხეობა მოექცა თანამედროვე მსოფლიოს ყურადღების ცენტრში, რის გამოც არაა გამორიცხული სამართალდამცავი ორგანოების უმოქმედობამ გარეშე ძალების გააქტიურება გამოიწვიოს, რასაც ქვეყნისა და თვით ამ რეგიონში მცხოვრებთა მიმართ გამოუსწორებელი შედეგები მოჰყვება.

აღნიშნულის გათვალისწინებით სადღეისო ეტაპზე ღონისძიება მიმართულია მხოლოდ და მხოლოდ ადგილობრივი კრიმინალური დაჯგუფებების მხილება-დაკავებისაკენ და მას არავითარი კავშირი არა აქვს ხეობაში დროებით ჩრდილო კავკასიიდან შემოსულ მოსახლეობასთან, საომარი მოქმედებების ზონიდან შემოხიზნულ ლტოლვილებთან და ა. შ. უფრო მეტიც, ხეობაში საქართველოს სახელისუფლებო და სამართალდამცავთა საქმი-

ანობის გაუმჯობესება ადგილობრივი და დროებით შემოსახლებული მოსახლეობის უსაფრთხოების მყარ გარანტიებს შექმნის.

ოპერატიულ-პროფილაქტიკური ღონისძიების ძირითადი ამოცანებია:

– შეიარაღებული ბანდიტური დაჯგუფებების წევრთა განიარაღება და დაკავება;

– სხვადასხვა დანაშაულის ჩადენისათვის ძებნილ და საპატიმრო ადგილებიდან გაქცეულ პირთა დადგენა-დაკავება;

– ბოლო პერიოდში რეგიონში ჩადენილ მძიმე დანაშაულებათა გახსნა, დამნაშავე პირთა დადგენა-დაკავება;

– ნარკობიზნესში ჩართული პირების დანაშაულებრივი საქმიანობის მხილება და მათი დაკავება, ნარკოტიკული ნივთიერებების უკანონო ბრუნვიდან ამოღება;

– მოსახლეობის უკანონო მფლობელობაში არსებული ცეცხლსასროლი იარაღის ამოღება;

– გატაცებული ავტოტრანსპორტის, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული სხვა მატერიალურ ფასეულობათა გამოვლენა და ამოღება;

– ადგილობრივი პოლიციის ორგანოების პირადი შემადგენლობის ბრძოლისუნარიანობის ამაღლება, მათი ოპერატიული და პროფილაქტიკური პოზიციების განმტკიცება, არსებული ინფორმაციების და მასალების რეალიზაცია;

ღონისძიების მართვა

1. ფართომასშტაბიანი ოპერატიულ-პროფილაქტიკური ღონისძიების მართვის მიზნით შეიქმნას დროებითი შტაბი შემდეგი შემადგენლობით:

– პოლიციის გენერალ-მაიორი ა. ჩხაიძე – შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე – დროებითი შტაბის უფროსი

– გენერალ-მაიორი თ. გრძელიძე – უშიშროების მინისტრის მოადგილე – დროებითი შტაბის უფროსის მოადგილე

– პოლიციის გენერალ-მაიორი რ. ფოჩხუა – შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებროს მთავარი სამმართველოს უფროსი – დროებითი შტაბის წევრი

– გენერალ-მაიორი ლ. კენჭაძე – უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრის უფროსი – დროებითი შტაბის წევრი

– პოლიციის პოლკოვნიკი უ. მგელაძე – შინაგან საქმეთა სამინისტროს შტაბის უფროსის მოადგილე – დროებითი შტაბის წევრი

– პოლიციის პოლკოვნიკი ზ. ტუშური – კახეთის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს უფროსი – დროებითი შტაბის წევრი

2. ღონისძიების მართვის დროებითი შტაბი განლაგდეს უშუალოდ პანკისის ხეობაში საველე ნორმატივების და წესების შესაბამისად.

2.1. დროებითი შტაბის ამოცანებია:

2.1.1. ღონისძიების დაგეგმვა და მისი მართვის სისტემების დამუშავება;

2.1.2. ღონისძიებაში ჩართული ძალების და საშუალებების კოორდინაცია, პრაქტიკული მართვა, მსვლელობის კონტროლი და შესაბამისი სამართლებრივი რეაგირების უზრუნველყოფა;

2.1.3. ღონისძიების შედეგების შეჯამება და შესაბამისი უწყებების ხელმძღვანელებზე მოხსენება სათანადო დოკუმენტების წარდგენით.

ღონისძიებაში ჩართული ძალები

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატიდან:

– სისხლის სამართლის სამძებრო მთავარი სამმართველო – 60 კაცი;

– ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ მებრძოლი ეროვნული ბიურო – 20 კაცი;

– საგანგებო სიტუაციების დეპარტამენტი – 50 კაცი;

– გ. გულუას სახელობის სპეცდანიშნულების სამსახური – 180 კაცი;

– შინაგანი ჯარი – 300 კაცი;

– დაცვის დეპარტამენტი – 3000 კაცი;

– სატრანსპორტო პოლიციის დეპარტამენტი – 150 კაცი;

– საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველო – 50 კაცი;

2. აფხაზეთის შს სამინისტრო – 50 კაცი;

3. ქ. თბილისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველო – 150 კაცი (მ/შ 60 სპეცდანიშნულების სამსახურიდან);

4. სამხარეო შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოებიდან:

– კახეთის – 250 კაცი;

– იმერეთის – 60 კაცი;

– სამეგრელო-ზემო სვანეთის – 60 კაცი;

– შიდა ქართლის – 60 კაცი;

– ქვემო ქართლის – 60 კაცი;

– გურიის – 20 კაცი;

– რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთის – 20 კაცი;

– მცხეთა-მთიანეთის – 20 კაცი.

სულ 1860 კაცი.

ფართომასშტაბიანი ოპერატიულ-პროფილაქტიკური ღონისძიების ჩატარების სექტორები

ღონისძიების ჩატარების ზონა დაიყო 3 სექტორად. ცნობად იქნას მიღებული, რომ სექტორის ხელმძღვანელები სპეცკონტინგენტის ობიექტების შესახებ შესაბამის დოკუმენტებს მიიღებენ უშუალოდ კახეთის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს უფროსისაგან.

№1 სექტორი: სოფლები – დუისი და ჯოყოლო.

ობიექტების რაოდენობა – 18,

მათ შორის შოთა ჭიჭიაშვილის დაჯგუფება.

სექტორის ხელმძღვანელი პოლიციის გენერალ-მაიორი რ. ფოჩხუა – შს სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებრო მთავარი სამმართველოს უფროსი.

სექტორის ხელმძღვანელის მოადგილე პოლიციის პოლკოვნიკი მ. ბერუკაშვილი – კახეთის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე.

სექტორის ძალები:

– შსს სსს მთავარი სამმართველო – 30 კაცი;

– შსს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ მებრძოლი ეროვნული ბიურო – 10 კაცი;

– აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო – 50 კაცი;

– სატრანსპორტო პოლიციის დეპარტამენტის – 50 კაცი;

– დაცვის პოლიციის დეპარტამენტი – 150 კაცი;

– ქ. თბილისის შს მთავარი სამმართველო – 70 კაცი;

– იმერეთის სამხარეო შს მთავარი სამმართველო – 60 კაცი;

– სამეგრელო-ზ/სვანეთის სამხარეო შს მთავარი სამმართველო – 60 კაცი;

– გურიის სამხარეო შს მთავარი სამმართველო – 20 კაცი;

– შიდა ქართლის სამხარეო შს მთავარი სამმართველო – 60 კაცი;

– მცხეთა-მთიანეთის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს – 20 კაცი;

– საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს სპეცდანიშნულების დანაყოფი – 40 კაცი;

– კახეთის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს – 100 კაცი.

№2 სექტორი: სოფელი – ბირკიანი.

ობიექტების რაოდენობა – 4.

სექტორის ხელმძღვანელი: პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი ა. ტაბატაძე – შს სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებროს მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე.

სექტორის ძალები:

– შსს სსს მთავარი სამმართველო – 10 კაცი;

– შსს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ მებრძოლი ეროვნული ბიურო – 5 კაცი;

– სატრანსპორტო პოლიციის დეპარტამენტის – 50 კაცი;

– დაცვის პოლიციის დეპარტამენტი – 50 კაცი;

– დაცვის პოლიციის დეპარტამენტი – 50 კაცი;

– ქ. თბილისის შს მთავარი სამმართველო – 30 კაცი;

– რაჭა-ლეჩხუმი – ქ/სვანეთის სამხარეო შს სამმართველო – 20 კაცი;

– ქვემო ქართლის სამხარეო შს მთავარი სამმართველო – 60 კაცი;

– კახეთის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს – 50 კაცი.

სულ 265 კაცი.

N3 სექტორი: სოფელი – ომალო.

5 დამოუკიდებელი ობიექტი,

ვეფხია მარგოშვილის 8–10 კაციანი დაჯგუფება.

სექტორის ხელმძღვანელი: პოლიციის პოლკოვნიკი ნ. ღამბაშიძე – შ ს სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებროს მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე.

სექტორის ძალები:

– შსს სსს მთავარი სამმართველო – 10 კაცი;

– შსს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ მებრძოლი ეროვნული ბიურო – 5 კაცი;

– სატრანსპორტო პოლიციის დეპარტამენტის – 50 კაცი;

– დაცვის პოლიციის დეპარტამენტი – 100 კაცი;

– ქ. თბილისის შს მთავარი სამმართველო – 50 კაცი;

– კახეთის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს – 50 კაცი.

სულ 265 კაცი.

ფართომასშტაბიანი ოპერაციის ირგვლივ მდებარე ტერიტორიის ბლოკირება

გეგმის დანართის შესაბამისად შს სამინისტროს შინაგანი ჯარის (გ. შერვაშიძე), გ. გულუას სახელობის სპეციალური დანიშნულების სამსახურის (ლ. შონია) და სხვა სამსახურების მიერ, ოპერაციის დაწყების წინ ახმეტის რაიონის პანკისის ხეობა მთლიანად ექცევა ბლოკში.

ბლოკირების ძალები:

– შს სამინისტროს შინაგანი ჯარი – 300 კაცი (პასუხისმგებელი გ. შონია);

– შს სამინისტროს გ. გულუას სახელობის სპეციალური დანიშნულების სამსახურის – 180 კაცი (პასუხისმგებელი ლ. შონია);

– შს სამინისტროს საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველო – 50 კაცი;

– კახეთის სამხარეო შს მთავარი სამმართველო – 50 კაცი;

სულ 580 კაცი.

შტაბის საფილტრაციო ოპერატიული რეაგირების ჯგუფი

ღონისძიების მსვლელობისას დაკავებულ და დაპატიმრებულ, აგრეთვე ვინაობის დადგენის, ან ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევთა გამო წარმოდგენილ და სხვა პირთა რეგისტრაციის, შესაბამისი დოკუმენტების გაფორმებისა და შემდგომი სამართლებრივი რეაგირების მიზნით ახმეტის შს რაიონულ განყოფილებაში შეიქმნა დროებითი შტაბის საფილტრაციო ოპერატიული ჯგუფი.

ჯგუფის ხელმძღვანელი: პოლიციის პოლკოვნიკი დ. ბაჯაძე – შსს სსს მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე.

ძალები:

შსს სსს მთავარი სამმართველო – 10 კაცი;

– კახეთის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს – 5 კაცი;

– ახმეტის შს რაიგანყოფილების სსს ქვეგანყოფილების 5 კაცი.

სულ 20 კაცი.

ღონისძიების უზრუნველყოფა

1. ყველა დანაყოფის ხელმძღვანელმა:

1.1. უზრუნველყოს ღონისძიებაში ჩართული პირადი შემადგენლობა 4 დღის კვებით, მთის ზონის პირობებისათვის შესაბამისი ფორმის ტანსაცელით, ავტომატური და პისტოლეტური იარაღებით, რაციებით, საკმარისი ოდენობის საბრძოლო საჭურვლით, ღამის განათების ფანრებით და ა. შ.

1.2. კახეთის შს მთავარმა სამმართველომ (ზ. ტუშური) ღონისძიებაში ჩართული თითოეული დანაყოფი და ჯგუფი უზრუნველყოს სამართლებრივი რეაგირების ობიექტთა (სპეცკონტინგენტის) შესაბამისად გაფორმებული სპეციალური დოკუმენტაციით და სხვა აუცილებელი ინფორმაციებით.

1.3. შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარის ხელმძღვანელობამ (სარდალი გ. შერვაშიძე) ღონისძიების დროებითი შტაბის ხელმძღვანელობის განკარგულების მიღებისთანავე უზრუნველყოს 2 ვერტმფრენის თბილისიდან თელავის აეროდრომზე განთავსება და მათი მეშვეობით საჭიროებისამებრ ოპერაციის მონაწილეთა დესანტირება პანკისის ხეობაში.

1.4. მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური უზრუნველყოფის დეპარტამენტმა (ვ. დავითაია), დროებითი შტაბის განაცხადის საფუძველზე განახორციელოს ღონისძიებაში ჩართული ძალების და საშუალებების საწვავსაცხები მასალებით უზრუნველყოფა.

2. ცნობად იქნეს მიღებული, რომ:

2.1. შინაგან საქმეთა სამინისტროს, გენერალური პროკურატურის და უშიშროების სამინისტროს მიერ, შესრულებული სამუშაოს მოცულობის მიხედვით, შესაბამისად გამოიყოფა საგამოძიებო ჯგუფები და ექსპერტები.

2.2. ღონისძიების მართვის ოპერატიულობის მიზნით შინაგან საქმეთა სამინისტროს კავშირგაბმულობის სამმართველო (მ. ლიპარტელიანი) შესაბამისი სქემის მიხედვით უზრუნველყოფს ჯგუფებსა და დანაყოფებს შორის სათანადო კავშირს.

2.3. ღონისძიების საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრი (ზ. ხელაია) განახორციელებს პრესით და ტელევიზიით გაშუქებას.

2.4. ღონისძიების მონაწილეთა და სპეცკონტინგენტის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯანდაცვის მთავარი სამმართველო (გ. აბესაძე) გამოყოფს შესაბამის მედპერსონალს და მიავლენს ღონისძიების მართვის დროებითი შტაბის განკარგულებაში.

3. ფართომასშტაბიან ოპერატიულ-პროფილაქტიკური ღონისძიების მსვლელობისას კანონიერების უზრუნველყოფის მიზნით შინაგან საქმეთა სამინისტროს პირადი შემადგენლობის გენერალურმა ინსპექციამ (ნ. გაბრიჩიძე) გამოყოს შესაბამისი სპეციალისტები, რომლებიც თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში განახორციელებენ კონტროლს და დარღვევების შემთხვევაში უზრუნველყოფენ სათანადო სამართლებრივ რეაგირებას.

ღონისძიების შედეგების შეჯამება

1. ფართომასშტაბიანი ოპერატიულ-პროფილაქტიკური ღონისძიების მსვლელობის მთელ პერიოდში დროებითი შტაბი ახორციელებს შედეგების შეჯამებას და ახსენებს შესაბამის ინსტანციებს.

საქართველოს შს მინისტრის პირველი

მოადგილე, პოლიციის გენერალ-მაიორი

ა. ჩხაიძე

ხელმოწერილია

საქართველოს სახელმწიფო უშიშროების

მინისტრის პირველი მოადგილე, გენერალ-მაიორი

თ. გრძელიძე

ხელმოწერილია

14 ოქტომბერს რეზო ფოჩხუას აშკარა გადაღლილობისა და დაძაბულობისაგან ჯანმრთელობამ უმტყუნა და გულის შეტევა განუვითარდა, რომ არა თენგიზ შოშიაშვილის დროული დახმარება ვინ იცის იქნებ შედეგიც მძიმე ყოფილიყო.

რადგან გენპროკურორთან შეხვედრა არ მოხერხდა, 17 ოქტომბერს ისევ თბილისში ვიმყოფებოდი. მინისტრს კაბინეტში შინაგანი ჯარების სარდალი გია შერვაშიძე და კოდორის ხეობიდან დაბრუნებული შინაგანი ჯარების ტყიბულის ბატალიონის იქ თვითნებურად მყოფი ორი ოფიცერი „აღსარებას“ აბარებდა და გულახდილად უყვებოდა, როგორ მოხდა მათი პანკისიდან გილაევის მებრძოლებთან ერთად კოდორში გადასვლა. ამ დროს კახეთიდან ზურაბ ტუშური დამიკავშირდა„ვეფხია მარგოშვილი ტუალეტში აფეთქდა და დაიღუპაო“, მაშინვე მინისტრს დავუკავშირდი. მისთვის უკვე თენგიზ შოშიაშვილს მოეხსენებინა.

გავეცით განკარგულება ბლოკპოსტების გაძლიერების შესახებ. როგორც ჩანდა გავლენის სფეროების გადანაწილების გამო ჩამოვარდნილი უთანხმოება კრიმინალთა შორის ანგარიშსწორებაში გადაიზარდა. ამ სიტუაციას კი სათანადოდ გამოყენება სჭირდებოდა. ამიტომ შესაბამისი დავალებები მივეცით ოპერატიულ მუშაკებს. ვესაუბრე თემურ გრძელიძეს და თენგიზ შოშიაშვილს.

ომალოს სპეცღონისძიება დღის წესრიგიდან მოიხსნა! ვინ იცის, ჩვენ რომ დაგვცლოდა ვეფხია დღესაც ცოცხალი ყოფილიყო!

შევუდექით მუშაობას და მივაღწიეთ, რომ ჩრდილო კავკასიელებმა და ადგილობრივმა მოსახლეობამ გადმოგვცენ ძებნილი კრიმინალები. ამის საფუძველი კი უკვე ნამდვილად არსებობდა. ვითარება იმდენად არეული იყო, რომ ვინ ვის მტრობდა რთული გასარკვევი დარჩა. 21 ოქტომბერს ადგილი ჰქონდა არაბი ემისრის, ამჟეტის გატაცების მცდელობას. ეჭვი ჭიჭიაშვილზეც მიიტანეს.

პოლიტიკური ძალები, ძირითადად ჟვანია-სააკაშვილი-კიწმარიშვილის თანამოაზრეები, მარგოშვილის აფეთქებაში ბრალს სამართალდამცავებს გვდებდნენ, მაშინ როდესაც ამ დანაშაულის ჩადენის მსურველი ხეობაში მრავლად იყო. თუნდაც გატაცებული და გაუბედურებული ადამიანების ოჯახის წევრები, ახლობლები ან კრიმინალები, რომლებსაც მარგოშვილის „აღზევებამ“ უკიდურესად შეუზღუდა მოქმედების არეალი, კონკურენტი „ნარკობარიგები“ და სხვები. ერთი სიტყვით კონკურენტები.

სიტუაციის ასეთ ტრაგიკულ განვითარებას განსაკუთრებულად შეუწყვეს ხელი ქვეყანაში არეულობაზე მეოცნებე მედია-საშუალებებმა „რუსთავი-2-ის“ წინამძღოლობით, თამარ ლომიშვილის ნაირმა ვაი-ჟურნალისტებმა და ელენე თევდორაძის, გია ბარამიძის, პეტრე ცისკარიშვილის, კობა დავითაშვილის ნაირმა ვაი-პოლიტიკოსებმა.

ისინი ყოველნაირად ხელს უწყობდნენ მარგოშვილისგან, ხელისუფლების წინააღმდეგ „ამხედრებული“ პოლიტიკური მოწინააღმდეგის შექმნასა და ჩამოყალიბებას, რომელიც თითქოს ხეობის მოსახლეობის უმრავლესობის აზრს გამოხატავდა.

ასეთ ვითარებაში ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე ნერვებმა აშკარად მიღალატა და აღელვებულმა ხმამაღლა განვაცხადე ჩემი თანამდებობიდან შესაძლო წასვლის შესახებ, რადგან შექმნილი არანორმალური გარემო მუშაობის საშუალებას აღარ იძლეოდა. „ჩვენც ჩვეულებრივი ადამიანები ვართ და არა რკინისანი, რომ ასეთ ზეწოლას გავუძლოთ“ – ასეთი იყო ჩემი განცხადება.

ჩემს ამ პოზიციას მაშინვე ემოციურად გამოეხმაურა მინისტრი კახა თარგამაძე და პრესკონფერენციის მონაწილეებს რიხიანად განუცხადა – „მე ვარ რკინის და ამიტომ არც ჩხაიძეს მივცემ გადადგომის უფლებას და ამ ბრძოლასაც გამარჯვებით დავასრულებთო“.

ჟურნალისტებსაც მეტი რა უნდოდათ. იმ წუთიდან ბატონი კახა „რკინის კაცად“ მოინათლა და დღემდე ეს მეტსახელი არავის დავიწყებია.

პრესკონფერენციის შემდეგ მინისტრთან ერთად ესპანეთის საგარეო საქმეთა მდივანს რამონ დე მიგელს შევხვდით, რომელსაც დეტალურად გავაცანით ჩვენს ხელთ არსებული ყველა ინფორმაცია მათ მიერ გატაცებული მოქალაქეების გამოსახსნელად მიმდინარე ღონისძიებების შესახებ. სტუმარმა ნდობა გამოგვიცხადა და იმედი გამოთქვა, რომ სწორ გამოსავალს ვიპოვიდით.

საღამოს, მინისტრის დავალებით, „რუსთავი-2-ის“ პირდაპირ ეთერში ჟურნალისტ ეკა ხოფერიასთან ინტერვიუ მქონდა. დაუმსახურებელი ცილისწამებისა და ჩვენ მიმართ წამოწყებული ისტერიის გამო ძალიან მძიმე განწყობაზე ვიყავი. არც ინტერვიუს არანაირი სურვილი არ გამაჩნდა, რადგან წინასწარ ვიცოდი, რომ იგი აშკარად ტენდენციური იქნებოდა, მაგრამ სხვა არჩევანი არ მქონდა. ინტერვიუ მართლაც დაძაბული აღმოჩნდა. ჟურნალისტის მხრიდან კითხვები ისეთი კუთხით დაისვა რომ თავის მართლების პოზიციაში უნდა ჩავმდგარიყავი. ჩემგან როგორც „ბრალდებულისგან“, მოითხოვდნენ მორჩილად ამეღო პასუხისმგებლობა გიორგი სანაიას მკვლელობაზე, კოდორის „ავანტიურაზე“, პანკისის ხეობაში განვითარებულ პროცესებზე და სხვა თანმდევ მოვლენებზე. ყველაფერმა ამან, როგორც იტყვიან წონასწორობა კიდევ ერთხელ დამაკარგვინა და პირველად ჩემს პრაქტიკაში თავს უფლება მივეცი მეთქვა იმაზე მეტი, რაც ჩემგან დასაშვებად მიმაჩნდა, თანაც ძალზე მძიმე ტონით. ჩემს განცხადებებს რამდენიმე წინასწარ „ჩასაფრებული“ და კარგად ორგანიზებული მაყურებლის სატელეფონო ზარი მოჰყვა. სამწუხაროდ, როგორც ოპერატიული სამსახურის ხელმძღვანელს, ჩემი სამსახურებრივი მდგომარეობა არ მაძლევდა

უფლებას საზოგადოებისთვის ყველა ამ მოვლენის ირგვლივ ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაცია გამესაჯაროებინა, რის გამოც ძალზე „უმწეო“ მდგომარეობაში ვიმყოფებოდი. მაყურებლის თვალში ეს ქმნიდა არაპროფესიონალიზმისა და არაკომპეტენტურობის წარმოდგენას, რაც ჟურნალისტს და დაინტერესებულ მხარეს თავიდანვე მომგებიან პოზიციაში ამყოფებდა. ამიტომაც დღემდე კატეგორიულად წინააღმდეგი ვარ ოპერატიული სამსახურების მხრიდან მედია-საშუალებებთან ასეთი სახით ურთიერთობისა. მედიასთან კომუნიკაცია მხოლოდ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურების მეშვეობით უნდა ხორციელდებოდეს.

აქ ერთ საკითხსაც შევეხები. აღნიშნულ გადაცემაში „რუსთავი-2-ის“ საქმიანობის შესახებ გარკვეული ეჭვები გამოვთქვი და აღვნიშნე, რომ რიგი საკითხების გარკვევა მალე მოგვიწევდა. მხედველობაში მქონდა მოქალაქე ვ. შ.-ის განცხადება, „რუსთავი-2-ში“ დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ, რომელიც დედაქალაქის პოლიციის მთავარი სამმართველოს თანამშრომელს დ.კ.-შვილს გადაეცა მოკვლევისათვის. შემდგომში „რუსთავი-2-ში“ განვითარებული მოვლენებისას ჩემი აღნიშნული გამონათქვამი მიიჩნიეს იმის დასტურად, რომ შს სამინისტროს ხელმძღვანელობა თითქოს წინასწარვე ინფორმირებული იყო უშიშროების სამინისტროსა და გენერალური პროკურატურის მიერ აღძრული სისხლის სამართლის საქმის შესახებ. თუმცა რა როგორ იყო რეალურად, ამაზე უკვე მოგახსენეთ.

გვიან საღამოს პანკისში, კოდორის ხეობაში გილაევთან ერთად მყოფი, ოთხი დაღუპული ქისტი: ქავთარაშვილი, გაურგაშვილი, აჭიშვილი და არაბულის მკვლელობის მონაწილე ქუშანაშვილი ჩამოასვენეს. კოდორში მყოფი ჩრდილოკავკასიელი მებრძოლები კი ეტაპობრივად გამოჰყავდა თავდაცვის სამინისტროს, მესტია-ლენტეხის გავლით. ახმეტაში დააკავეს რუსლან მარგოშვილი. მარგოშვილებისა და ხანგოშვილების გვარებს შორის განვითარებულ კონფლიქტს სროლები და ორი ადამიანის დაჭრა მოჰყვა.

„რუსთავი 2–ის“ ამბები და კახა თარგამაძის გადადგომა

30 ოქტომბერს, 14 საათსა და 50 წუთზე დამირეკა უშიშროების მინისტრმა ვახტანგ ქუთათელაძემ და წესრიგის დამყარების თვალსაზრისით დახმარება მთხოვა.

უშიშროების სამინისტროს მუშაკები მოსამართლის (სხვათა შორის ჩემი თანასოფლელი თეიმურაზ ანდღულაძის) სანქციით, სავსებით კანონიერად აღძრული სისხლის სამართლის საქმიდან გამომდინარე, შევიდნენ „რუსთავი-2-ში“ და შემოწმების დაწყებას გეგმავდნენ. ამას „რუსთავი 2-ის“ ოფისიდან მაღალ დონეზე შესრულებული და პირდაპირ ეთერში განხორციელებული პროვოკაცია მოჰყვა. შემდგომში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ღონისძიების შესახებ საგადასახადო სამსახურიდან წინასწარ იყო ცნობილი ჟვანიასა და კიწმარიშვილისთვის და შესაბამისად დაიგეგმა მათი შემდგომი ქმედებებიც.

ადგილზე მივიდა ქალაქის მთავარი სამმართველოს უფროსი კახა ბაკურაძე. სიტუაციაში გარკვევის შემდეგ მან დამიდასტურა, რომ უშიშროების თანამშრომლები სასამართლოს ბრძანებით, სავსებით კანონიერად ცდილობდნენ „რუსთავი-2-ის“ ოფისში შესვლასა და საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებას, რასაც სერიოზული წინააღმდეგობა შეხვდა ეროსი კიწმარიშვილის და ტელევიზიის თანამშრომელთა მხრიდან. პირდაპირ ეთერით გადაცემულ კადრებსა და მოწოდებას რომ საზოგადოებას დაეცვა ქვეყანაში სიტყვის თავისუფლება, სერიოზული საპროტესტო ტალღა მოჰყვა.

ამ „სატყუარას“ საზოგადოებისა და სტუდენტობის საგრძნობი ნაწილი წამოეგო. შეიკრიბა ჟვანია-სააკაშვილის თანამოაზრე პოლიტიკოსები, არასამთავრობო ორგანიზაციები, მედიის წარმომადგენლები და მდგომარეობა კონტროლს აღარ ექვემდებარებოდა. მოგვიანებით შეკრებილებმა რუსთაველზე გადაინაცვლეს. განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდნენ ჟვანია-სააკაშვილის თანაგუნდელი პარლამენტარები. ხალხი ქუჩაში გამოვიდა და პარლამენტის შენობასთან მძლავრი საპროტესტო აქციადაიწყო.

ამ მოვლენებზე უამრავი თქმულა და დაწერილა, ამიტომ ზედმეტად არ ჩავუღრმავდები. თუმცა დაინტერესებულ მკითხველს ვურჩევ აუცილებლად წაიკითხონ 2002 წელს მცირე ტირაჟით გამოცემული გია ლომაძის „ენითხუროები“, „ლიტერატურული საქართველოსა“ და „მართალი გაზეთის“ ერთობლივი ჟურნალისტური გამოძიების მასალები – „ოთხი დღე რომელმაც შეძრა საქართველო“. სანამ მოვლენათა მსვლელობაზე თხრო-

ბას გავაგრძელებ მინდა გაგაცნოთ წიგნის ერთი ნაწილი, რომელიც ასეა დასათაურებული:

„ნადირობა თარგამაძეზე!

2001 წლის ოქტომბერ-ნოემბრის მოვლენებზე დაკვირვებისას ერთი უცნაური ფაქტი იკვეთება: ჟვანია-სააკაშვილის გუნდის მიერ მთავარი იერიში მიტანილია შს მინისტრ კახა თარგამაძეზე. ამაში გასაკვირი არაფერი იქნებოდა, რომ არა ერთი გარემოება – კახა თარგამაძეს არანაირი მონაწილეობა არ მიუღია „რუსთავი-2-თან“ დაკავშირებულ ამბებში. მიუხედავად ამისა, ჟვანია-სააკაშვილის გუნდი დაჟინებით ცდილობდა თარგამაძის „მიწებებას“ ამ მოვლენებთან, მისი სახელი მაინც გამუდმებით ისმოდა, როგორც მომიტინგეთა, ასევე ამ მიტინგების ორგანიზატორთა მხრიდან, ისინი კატეგორიულად მოითხოვდნენ თარგამაძის გადადგომას, მიუხედავად იმისა, რომ არც მას და არც მის უწყებას მოცემულ შემთხვევაში ბრალი არაფერში მიუძღოდათ.

რა იყო ეს? ძველ, ურჩ ოპონენტთან ანგარიშსწორების სურვილი, რის საშუალებასაც შექმნილი სიტუაცია იძლეოდა თუ კიდევ სხვა რამ?

ერთი შეხედვით მართლაც ისე ჩანდა, რომ ჟვანია-სააკაშვილის გუნდს ძველი წყენის გამო შურისძიების გრძნობა ამოძრავებდათ და შექმნილი მომენტით სარგებლობდნენ, რომ ეს უხერხული და ჯიუტი მოწინააღმდეგე საბოლოოდ დაემარცხებინათ, მაგრამ ეს იყო მხოლოდ ზერელე შთაბეჭდილების ნაყოფი, სინამდვილეში ამ უკომპრომისო დაპირისპირების მიზეზი უფრო ღრმა და შორის მიმავალი მიზნებით იყო განპირობებული.

შექმნილი მდგომარეობის არსში რომ გავერკვეთ, აუცილებელია საგნებს და მოვლენებს თავისი ნამდვილი სახელი დავარქვათ და შევთანხმდეთ, რომ სიტყვის თავისუფლების, თავისუფალი მედიის, დემოკრატიული პრინციპების დაცვის საბაბით აგორებული ინციდენტი ჟვანია-სააკაშვილმა შესანიშნავად გამოიყენა თავისი პოლიტიკური ამბიციებისათვის ხელსაყრელი ფონის შესაქმნელად (არსებობს, როგორც ზემოთ აღვნიშნე საფუძვლიანი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ჟვანია-კიწმარიშვილმა წინდაწინ იცოდნენ უშიშროების სამინისტროს მოსალოდნელი შემოწმების შესახებ და საფუძვლიანად მოემზადნენ ამ ფაქტით პროვოცირებისათვის). ეს ამბიციები კი ძალზე მასშტაბური გახლდათ და მხოლოდ მთელი ძალაუფლების ხელში ჩაგდებით შეიძლებოდა დაკმაყოფილებულიყო.

ჟვანია-სააკაშვილის გუნდის მთავარი ამოცანა პრეზიდენტ შევარდნაძის გადაყენება იყო, რის შემდეგაც, პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ავტომატურად ხდებოდა ზურაბ ჟვანია, მაგრამ მისი „პრეზიდენტობა“ კონსტიტუციის მიხედვით მხოლოდ 45 დღე შეიძლებოდა გაგრძელებულიყო, რის შემდეგაც ინიშნებოდა საპრეზიდენტო არჩევნები და აირჩეოდა ახალი პრეზიდენტი.

მაგრამ აქ იყო ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რის გამოც შევარდნაძის ჩამოგდება და ორმოცდახუთი დღით პოლიტიკური თეატრის მთავარ რე-

ჟისორად მოვლენილ ჟვანიას შეიძლებოდა მთელი ეს ძალისხმევა წყალში ჩაჰყროდა და ძალაუფლების კვარცხლბეკზე ის კი არა, სულ სხვა აღმოჩენილიყო. ეს „სხვა“ ჟვანია-სააკაშვილის პროგნოზით შეიძლებოდა ყოფილიყო თარგამაძე... (ან სხვა, ვისაც შსს და თარგამაძე მხარს დაუჭერდა).

საქმე ის არის, რომ კონსტიტუციის მიხედვით, პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს უფლება არა აქვს საკადრო ცვლილებები განახორციელოს, ანუ ჟვანია მიუხედავად იმისა, რომ იგი თვენახევრით დაიკავებდა პრეზიდენტის სავარძელს, ვერც თარგამაძეს მოიშორებდა თავიდან და ვერც სხვა მისთვის არასასურველ მაღალჩინოსნებს.

ჟვანია-სააკაშვილის გუნდს და მის გარემოცვას კარგად ესმოდა, რომ თარგამაძე, რომლის ხელშიც იყო ერთ-ერთი ყველაზე მობილიზებული ძალოვანი სტრუქტურა, ყველაფერს იღონებდა, რომ ჟვანია-სააკაშვილის ოცნებებისთვის ფრთები შეეკვეცა. მოვლენათა შესაძლო განვითარების ანალიზს ჟვანია-სააკაშვილის გუნდი მიჰყავდა ერთ დრამატულ დასკვნამდე: შევარდნაძის გადაყენება სულაც არ იძლეოდა გამარჯვების გარანტიას, თუ თარგამაძე იმ ორმოცდახუთი დღის განმავლობაში კვლავ შს მინისტრი იქნებოდა.

საფრთხე გაცილებით საშიშ ხასიათს იღებდა, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ გენერალური პროკურორის პოსტზე რჩებოდა გია მეფარიშვილი, რომელიც მიუხედავად ჟვანია-სააკაშვილის გუნდის არაერთგზის მცდელობისა, ვერა და ვერ დაუპირისპირეს თარგამაძეს და რომელმაც არაერთხელ გამოხატა თავისი უარყოფითი დამოკიდებულება ზემოხსენებული გუნდის საქმიანობისადმი. იმასაც თუ დავუმატებთ, რომ ჟვანია-სააკაშვილის გუნდს სერიოზული ეჭვი ჰქონდა, რომ მეფარიშვილის სეიფში ინახებოდა მათი კანონსაწინააღმდეგო ქმედებების დამადასტურებელი მრავალი სამხილი, რომლებიც ნებისმიერ დროს შეიძლებოდა მოქმედებაში მოსულიყო, საქმე კატასტროფულ ხასიათს იღებდა და ძალაუფლების მწვერვალების დაუოკებელი ჟინით შეპყრობილნი შეიძლებოდა იმ ორმოცდახუთი დღის განმავლობაში სულ სხვაგან, ფრიად უხერხულ და არაკომფორტულ გარემოში აღმოჩენილიყვნენ...

ამიტომ, მოვლენათა ამგვარი განვითარების თავიდან ასაცილებლად აუცილებელი იყო არამარტო შევარდნაძის დამხობა, არამედ თარგამაძის და მეფარიშვილის მოშორება. მთავარი ამ ორიდან მაინც თარგამაძის გაუვნებლება იყო, მაგრამ როგორ და რანაირად უნდა მომხდარიყო ეს?

შევარდნაძე, რომელიც ასე თუ ისე უმტკივნეულოდ შეეგუა ქუთათელაძის გადადგომას, თარგამაძის დათმობას არ აპირებდა. მან პირდაპირ განაცხადა, რომ თუ თარგამაძე და მეფარიშვილი გადადგებოდნენ, მაშინ გადადგებოდა თვითონაც. ასე, რომ ცხადი გახდა: თარგამაძის თავს ასე ადვილად ვერ დაათმობინებდნენ შევარდნაძეს. საჭირო იყო ისეთი არგუმენტის შექმნა, რომლის გაბათილებას და გამართლებას შევარდნაძე ვერ მოახერხებდა და ბოლოს და ბოლოს იძულებული გახდებოდა თარგამაძე გაეწირა.

ეს არგუმენტიც მოიძებნა... დიდი ხნის ბჭობის შემდეგ მიღებული იქნა გადაწყვეტილება – უნდა დაიღვაროს სისხლი და ეს სისხლი თარგამაძეს

უნდა დაედოს ცოდვად? აი ეს იყო ის ერთადერთი „არგუმენტი“, რის მიფუჩეჩებას და გაბათილებას ფაქტის წინაშე დამდგარი შევარდნაძე ვერ შეძლებდა. ვერ შეძლებდა თუნდაც იმიტომ, რომ მომხდარის გამო აღშფოთებული ათიათასობით ადამიანის ნებას, სამაგალითოდ დასჯილიყო „დამნაშავე“, შევარდნაძე წინ ვერ აღუდგებოდა.

როგორ უნდა შესრულებულიყო ეს ტექნიკურად, ამის გამოცდილება ზოგიერთ მათგანს უკვე ჰქონდა წინა ხელისუფლების დამხობისას. მთავარი იყო მომხდარიყო დაჯახება ეგზალტირებულ მასასა და პოლიციას შორის. ჩანაფიქრის სისრულეში მოსაყვანად თუნდაც ძალზე ხანმოკლე, წამიერი დაჯახებაც კმაროდა. ამ დროს მოხდებოდა ის, რასაც აუცილებლად მოჰყვებოდა ძალაუფლებისკენ მიმავალ გზაზე ცუდად გაჩხირული თარგამაძის მოშორება და ნანატრი ოცნების აღსრულება.

დაჯახებისას თუნდაც ერთი ტყვია ან ავად მოქნეული დანა აღასრულებდა იმას, რისი გაკეთებაც ამ გუნდმა წლების განმავლობაში ვერ შეძლო ათასგვარი ინტრიგებით, პროვოკაციებით, შანტაჟით, სიცრუითა და ფარისევლობით.

სისხლი უნდა დაღვრილიყო, ხოლო სინამდვილეში ვინ დაღვარა ეს სისხლი, ამის გარკვევას ამ არეულობასა და ალიაქოთში ვერავინ შეძლებდა – მთავარი დამნაშავე უკვე მოძებნილი იყო. ანუ შინაგან საქმეთა მინისტრი უპირველესად და შემდგომ მთავრობა და პრეზიდენტი, რომლებმაც თავიანთი სკამების შენარჩუნება ამჯობინეს უდანაშაულო ადამიანთა სიცოცხლეს“!

●

შუადღისას შექმნილი სიტუაციის გამო უშიშროების მინისტრი ვახტანგ ქუთათელაძე თანამდებობიდან გადადგა, მაგრამ მომიტინგეებმა ახლა მთავრობის და პრეზიდენტის გადადგომა მოითხოვეს. 23 საათზე ედუარდ შევარდნაძემ ტელევიზიით გააკეთა განცხადება, რომ თუ კი დადგებოდა შს მინისტრის კახა თარგამაძის და გენერალური პროკურორის გია მეფარიშვილის გადადგომის საკითხი, მაშინ პირადად მისი გადადგომის საკითხიც განხილულიყო.

მეორე დღეს, 1 ნოემბერს, მრავალათასიანი მიტინგის ფონზე გაიმართა პარლამენტის საგანგებო სესია, რომელსაც რა თქმა უნდა, მთავრობის წევრებიც ესწრებოდნენ. მათ შორის კახა თარგამაძეც და მასთან ერთად მეც, როგორც სამინისტროს საპარლამენტო მდივანი.

წინა დღით ედუარდ შევარდნაძის გამოსვლისა და მისი პოზიციის მკვეთრად დაფიქსირების შემდეგ, ზურაბ ჟვანია დარწმუნებული იყო, რომ კახა თარგამაძე თანამდებობას არაფრით არ დათმობდა და მას შემდეგ, რაც მასთან შეთანხმებული მოქმედების მიღწევაზე ყველა იმედი ამოეწურა (ასეთ მცდელობებს ჰქონდა ადგილი) იგი ერთგვარ ავანტიურაზე წავიდა. მან პარლამენტის ტრიბუნიდან მიმართა საზოგადოებას და მომიტინგეებს,

რომ ქვეყნის გადასარჩენად მზად იყო გადამდგარიყო თანამდებობიდან თუ შესაბამისად ჯერ კახა თარგამაძე გადადგებოდა შს მინისტრის პოსტიდან.

გათვლა ძალზე მარტივი იყო!

თარგამაძე უარს იტყოდა გადადგომაზე, რითაც ჟვანია პარლამენტის თავმჯდომარის პოსტს ინარჩუნებდა. ამას კი აუცილებლად მოჰყვებოდა მომიტინგეთა შორის ჩანერგილი პროვოკატორების მხრიდან ორგანიზებული შეტაკებები და სისხლის ღვრა, რაზეც მთელი პასუხისმგებლობა თარგამაძესა და შევარდნაძეს დააწვებოდათ. ასეთი უკიდურესი დაძაბულობის ფონზე კი, რაღა თქმა უნდა, მათი გადადგომაც რეალური იყო, რასაც ხალხისთვის თავდადებული „რაინდის“ გვირგვინით შემკობილი ზურაბ ჟვანიას პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლად აღიარებაც ავტომატურად მოჰყვებოდა. შემდეგ კი უმაღლესი სახელისუფლებო ტახტიც ერთი ხელის გაწვდენაზე იყო.

ჩვენ ვფლობდით ინფორმაციას, რომ პოლიციის ფორმიან პროვოკატორს უნდა დაეჭრა მომიტინგე, რასაც უმართავი პროცესები მოჰყვებოდა. კახა თარგამაძე არჩევანის წინაშე იდგა: ან უარი უნდა ეთქვა გადადგომაზე და ამით სამუდამოდ ჩაწერილიყო ისტორიაში, როგორც პიროვნება, რომელმაც თანამდებობის შესანარჩუნებლად ქართველთა სისხლი დაღვარა, ან ღირსეულად გადამდგარიყო, რითაც აუცილებლად განმუხტავდა შექმნილ კრიზისს, თამაშგარე მდგომარეობაში დატოვებდა ჟვანიას და პრეზიდენტს შანსს მისცემდა განეხორციელებინა ქვეყნის საკეთილდღეო რადიკალური ცვლილებები.

14 საათსა და 30 წუთზე ჟვანიამ გამოაცხადა თანამდებობიდან გადადგომის შესახებ, რომელიც ძალაში ავტომატურად შევიდოდა თარგამაძის გადადგომის შემთხვევაში. შევარდნაძე ტელეფონით რამდენჯერმე ესაუბრა მინისტრს და მოსთხოვა უარი ეთქვა გადადგომაზე, მაგრამ ბატონმა კახამ მიმაჩნია, რომ ერთადერთი სწორი და ღირსეული გადაწყვეტილება მიიღო. 15 საათსა და 30 წუთზე შინაგან საქმეთა მინისტრმა საპარლამენტო ტრიბუნიდან საზოგადოებას განუცხადა, რომ „არც ერთი ადამიანის სისხლის ერთი წვეთიც არ მიღირს ამ თანამდებობის შესანარჩუნებლადო“ და გადადგა!

ჟვანიას გეგმა ჩავარდა!

იმ წუთიდან ზურაბ ჟვანია პარლამენტის რიგით წევრად იქცა. გადადგა გენერალური პროკურორი. პრეზიდენტმა მთავრობა დაითხოვა.

მდგომარეობა განიმუხტა და პრეზიდენტს მიეცა საშუალება მიეღო ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი გადაწყვეტილებები, მთლიანად განთავისუფლებულიყო არასასურველი ძალებისგან, ახლიდან შეერჩია სა-

სურველი პარლამენტის თავმჯდომარე და მთავრობის წევრები. აი, აქ კი შევარდნაძემ, ჩემი აზრით, გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვა. პარლამენტის მართვა კვლავ ჟვანიას გუნდს დაუტოვა ხელში, მასვე დამატებით გადასცა საკვანძო თანამდებობები მთავრობაში და შედარებით სუსტი, ე.წ. „საჯაიას კადრებით“ დააკომპლექტა ძალოვანი სტრუქტურები, რომლებიც თვითონ ოცნებობდნენ საპრეზიდენტო სავარძელზე და კანდიდატებსაც კი განიხილავდნენ ლადო ჭანტურიას და სულხან მოლაშვილის სახით.

შემდგომში განვითარებულმა მოვლენებმა გვიჩვენა, რომ სწორედ ამ გადაწყვეტილებებმა მოუმზადა საფუძველი 2003 წლის „ვარდების რევოლუციას“.

ჩანაწერი დღიურიდან:

2001. 2 ნოემბერი. ეს იყო გარკვეული პოლიტიკური წრეების მიერ პროვოცირებული აქცია, თითქოსდა სიტყვისა და მედიის თავისუფლების დაცვის ლოზუნგით, რაც გადაზარდეს ქუჩის აქციებსა და არასანქცირებულ მიტინგებში, მთავრობისა და პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნებში. ფაქტობრივად ქუჩის აქციების გზით შეეცადნენ ხელისუფლების შეცვლას.

დესტრუქციული ძალები ყველანაირად ცდილობდნენ მიეღწიათ პრეზიდენტის გადადგომისთვისაც. სააკაშვილ-ბარამიძის ტანდემი მომიტინგეებს მუხლებზე დაჩოქილი სთხოვდა აქციების გაგრძელებას და ჰპირდებოდნენ, რომ მიაღწევდნენ პარლამენტის რიგგარეშე სესიაზე საკონსტიტუციო ცვლილებების გზით პრეზიდენტის ინსტიტუტის გაუქმებას. აქციაზე გამოჩნდნენ ირაკლი წერეთელი, ჯაბა იოსელიანი, თენგიზ კიტოვანი, ირინა სარიშვილი, ზვიად გამსახურდიას მომხრეები, სიგუას დაცვის წევრები.

განსაკუთრებით აქტიურობდნენ ძველი გვარდიელები და „მხედრიონელები“. გახშირდა მათი ფარული შეხვედრები პოლიტიკურ ფიგურებთან. შეიქმნა პროვოკაციების საშიშროება, რომელიც შესაძლო იყო გადაზრდილიყო უმართავ პროცესებში. ასეთ უმძიმეს სიტუაციაში მომიხდა შს მინისტრის მოვალეობის შესრულება მთელი ორი კვირის განმავლობაში.

ის, რაც იმ დღეებში თბილისში, და საერთოდ ქვეყანაში ხდებოდა, რა თქმა უნდა, მხედველობიდან არ გამოგვრჩენია და შეძლებისდაგვარად ვაკონტროლებდით უშიშროების სამინისტროსთან ერთად. მუდმივი კავშირი მქონდა უშიშროების მინისტრის მოვალეობის შემსრულებელთან ნუგზარ ბაბუციძესთან. თითქმის ყოველდღიურად მიკავშირდებოდნენ პრეზიდენტი შევარდნაძე და უშიშროების საბჭოს მდივანი ნუგზარ საჯაია. მუდმივი კონტაქტი მქონდა ქალაქის მერთან ვანო ზოდელავასა და ვიცე-სპიკერთან გიგი წერეთელთან.

დესტრუქციული ძალები მიხვდნენ, რომ პროცესების კიდევ უფრო გამწვავება, პრეზიდენტის გადადგომის მოტივით, პრაქტიკულად ვეღარ განხორციელდებოდა. პოლიტიკურმა პარტიებმა და ლიდერებმა მომავალზე

დაიწყეს ფიქრი. ჩასატარებელი იყო პარლამენტის თავმჯდომარის არჩევნები, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, თავისუფალი იყო მინისტრთა კაბინეტის სავარძლები და ქუჩაში ყოფნას სახელისუფლებო ინტრიგებში ჩართვა ამჯობინეს.

23 წლის შემდეგ პირველი რასაც ვფიქრობ, ისაა, რომ 2001 წლის მოვლენები სერიოზული რეპეტიცია გამოდგა 2003 წლის ე.წ. „ვარდების რევოლუციისთვის". როგორც ჩანს, პროცესები მაინც ამ სცენარით განვითარდებოდა, რადგან ედუარდ შევარდნაძე აღარ იყო ის შევარდნაძე, რომელიც ყოველთვის გამოირჩეოდა უკომპრომისობით და უსაზღვრო ენერგიით. წლებმა მაინც თავისი ქნა და იგი თითქოს უკვე დინებას მიჰყვებოდა. მის გუნდში მომრავლდნენ ე. წ. „მოთამაშეები", რომლებიც გარანტირებულ მომავალ კეთილდღეობაზე უფრო ფიქრობდნენ. მისი სერიოზული დასაყრდენი იყო კახა თარგამაძე და ისიც ხელიდან გამოაცალეს. 2010 წელს „ასავალ-დასავლისთვის" მიცემულ ინტერვიუში შევარდნაძე ამბობდა:

> „კახა თარგამაძეზე უფრო მნიშვნელოვანი სოროსის ფაქტორი იყო. ფული, ფული, ფული! ფულის გარეშე არც ერთი რევოლუცია არ მომხდარა. ვინც უნდა ყოფილიყო, ფული მაინც თავისას იზამდა. ბოლოს და ბოლოს კახა თარგამაძეს მოკლავდნენ და რევოლუცია მაინც მოხდებოდა!"

როგორი თამაშები მიმდინარეობდა უკანასკნელ წლებში ედუარდ შევარდნაძის მთავრობის წევრების მხრიდან ამის აღწერას აქ ვერ შევუდგები. ბევრი ინფორმაცია მაქვს, მხოლოდ ხელი არ მიმიწვდება მათ დოკუმენტურ დასაბუთებაზე. საილუსტრაციოდ დიტო ჩუბინიძის ერთი პუბლიკაციის გაცნობას გირჩევთ, რომელიც 2010 წლის 24 მაისს გამოქვეყნდა გაზეთ „კვირის ქრონიკაში". გასაიდუმლოებული შეხვედრის ფარული აუდიო ჩანაწერის სტენოგრამიდან გაიგებთ, როგორ იყოფდნენ ხელისუფლებას „ვარდების რევოლუციის" წინ მიხეილ სააკაშვილი და სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე.

შევარდნაძე, პოსტიდან წასვლის შემდეგ, საკმაოდ გულნატკენი იყო და ამას არც მალავდა. ჟურნალისტ თეიმურაზ ქორიძესთან ინტერვიუში იგი ამბობდა:

> „2003 წლის ბოლოსთვის უკვე ყველაფერი გადაწყვეტილი და, ერთ-ორი გამონაკლისის გარდა, უკვე ყველა გადაბირებული იყო. ხელისუფლების წარმომადგენლებიც. ერთი კახა თარგამაძე, შინაგან საქმეთა მინისტრი, რჩებოდა ჩემს თანამოაზრედ და ისიც ჟვანიას კატეგორიული მოთხოვნით, იძულებული გახდა გადამდგარიყო... ძალიან მწყდება გული, ბევრ ადამიანზე მწყდება გული, აი, ღალატს რომ არ ველოდი, იმ ადამიანებზე"...[35]

---

[35] თეიმურაზ ქორიძე. „დიდი მეორე" – უკანასკნელი ქართველი მსოფლიო პოლიტიკაში! საუბარი ედუარდ შევარდნაძესთან. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა". 1 ივლისი. 2015

რომელ ერთგულებაზე შეიძლება ყოფილიყო საუბარი, როცა პრეზიდენტს, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, ერთ-ერთი პირველი განუდგნენ გულუას სპეცდანიშნულების რაზმის, თბილისის პოლიციის, შინაგანი ჯარის მნიშვნელოვანი ნაწილი, ხოლო თავდაცვის სამინისტრომ კატეგორიული უარი განაცხადა ქვეყნის შიდა საქმეებში ჩარევაზე. ამიტომაც ვერ განხორციელდა საგანგებო მდგომარეობა, რომელიც ჯერ გამოაცხადა პრეზიდენტმა, ხოლო შემდეგ „ჰუმანური გრძნობებიდან“ გამომდინარე გააუქმა.

ძალოვან სტრუქტურებში რომ პრობლემები იყო, ამის საიულუსტრაციოდ კიდევ ერთ ფაქტს მოვიყვან: ტელეკომპანია „პირველის“ ეთერში ინგა გრიგოლიასთან ინტერვიუში, ირაკლი ოქრუაშვილი, რომელსაც სააკაშვილის მთავრობაში სხვადასხვა დროს გენერალური პროკურორის, თავდაცვის და ეკონომიკის მინისტრების პოსტი ეკავა, გულახდილად აცხადებდა, რომ „სახელისუფლებო ბერკეტები მე არ მჭირდებოდა. მე ვიყავი „ნაციონალური მოძრაობის“ ფინანსების მომგროვებელი“. მისი განცხადებით „შევარდნაძის ერთ-ერთი ძალოვანი მინისტრისაგან 2003 წლის აპრილში 600.000 აშშ დოლარი მაქვს წამოღებული. მქონდა გარკვეული სახის ურთიერთობები, გვარებს არ ვიტყვი. იმიტომ ვახსენე ერთ-ერთი ძალოვანი მინისტრი, რომ დღემდე კარგი ურთიერთობა მაქვს და არ მინდა, მისი გვარი ვთქვა. შევარდნაძის მინისტრები მაფინანსებდნენ, რომ შემდეგ მათ საფრთხე არ შექმნოდათ. დღესაც მშვენივრად არიან. ასე ხდებოდა და მომავალშიც ასე იქნება“ – თქვა ოქრუაშვილმა.

აქ ალბათ გვარის დასახელებაც არაა საჭირო, იმდენად ნათელია ყველაფერი და ასეთი „ერთგული“ მინისტრებით გარშემორტყმულ შევარდნაძეს ბედმა გაუღიმა, რომ ჩაუშესკუს ბედი არ გაიზიარა.

7 ნოემბრის დღის ბოლოსთვის მომიტინგეები დაიშალნენ და პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება დაიწყო. პირადი შემადგენლობის ძირითადი ნაწილი მუშაობის ჩვეულებრივ რეჟიმზე გადავიყვანე. გაძლიერებულ მზადყოფნაზე დავტოვე მხოლოდ შინაგანი ჯარი და დავით გულუას სახელობის სპეცდანიშნულების რაზმი.

●

ნოემბრის მოვლენების შემდეგ თითქოს ენერგიისაგან სრულიად დაცლილი დავდიოდი სამსახურში. მუშაობის გაგრძელების არანაირი სურვილი აღარ გამაჩნდა. სერიოზულად ვფიქრობდი სისტემიდან წასვლაზე.

ერთ საღამოსაც თანაშემწემ მაცნობა, რომ ჩემთან შეხვედრას ითხოვდა ქალბატონი გიული ნიგურიანი. გამახსენდა, რომ წინა დღით მესაუბრა ტელეფონით და შეხვედრაზე შეთანხმებული ვიყავით.

ქალბატონმა გიული ნიგურიანმა მიამბო, რომ იგი არის საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი და ჩვენი ქვეყნის დიდი მამულიშვილის, წმინდა ექვთიმე თაყაიშვილის შთამომავალი. აღელვებული ჩანდა, განიცდიდა ქვეყანაში შექმნილ მძიმე მდგომარეობას. როგორც მითხრა, გუშინ ვერ მოვისვენე და მთაწმინდაზე წმინდა ექვთიმეს საფლავი მოვინახულეო. მთაწმინდიდან დაბრუნებულმა კი გადავწყვიტე ოზურგეთში ექვთიმეს მუზეუმ-ნაკრძალის შექმნის საქმეში შეტანილი წვლილისთვის თქვენთვის პირადად მადლობა მეთქვაო.

საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის 1998 წლის 17 აპრილის განკარგულებით ოზურგეთში დაფუძნდა ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის გურიის მხარის მუზეუმ-ნაკრძალი. გურიის მხარის ადმინისტრაციისა და ოზურგეთის რაიონული გამგეობის ძალისხმევით მუზეუმ-ნაკრძალისთვის ქალაქის ძველ უბანში (შემოქმედელი ეპისკოპოსის რეზიდენციის გვერდით) გამოიყო ძველი შენობა, რომელიც სათანადო რეკონსტრუქციასა და კეთილმოწყობას საჭიროებდა.

ჩემთვის ეს ფაქტი 1999 წლის აგვისტოსა თუ სექტემბერში გახდა ცნობილი, როდესაც საპარლამენტო არჩევნებში კენჭს ვიყრიდი ოზურგეთის საარჩევნო ოლქში, როგორც მაჟორიტარობის კანდიდატი.

მხარის გუბერნატორ კარლო გუჯაბიძესთან, მის მოადგილე ილია თავბერიძესა და რაიონის გამგებელ ვასილ ტუღუშთან მოთათბირების შემდეგ გადავწყვიტეთ, რომ ეს კეთილშობილური წამოწყება ბოლომდე მიგვეყვანა. ჩემი შესაძლებლობებით აქტიურად ჩავერთე ამ საკითხის მოგვარებაში. საქმე დაიძრა და სულ მალე კეთილად გასრულდა კიდეც.

მუზეუმ-ნაკრძალის კეთილმოწყობილმა შენობამ, რომლის წინ მოქანდაკე ვასილ მჟავანაძის შექმნილი ექვთიმე ღვთისკაცის ბარელიეფი დგას, დაამშვენა ქალაქის ეს უბანი.

არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე იგი საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ გახსნა. აი, რისთვის მიხდიდა მადლობას ქალბატონი გიული. დამშვიდობებისას მან მითხრა, რომ მადლიერების ნიშნად სურდა საჩუქრად გადმოეცა მის საკუთრებაში შემორჩენილი დიდი წინაპრის ფილიგრამა! ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა და ქალბატონ გიულის გულწრფელ თხოვნაზე უარი ვერ ვუთხარი. იმ დღიდან წმინდანის ფილიგრამა ჩემს ოჯახში ინახება, როგორც რელიკვია.

დიდხანს ვფიქრობდი შემდგომ, წმინდა ღვთისკაცის ფილიგრამა მუზეუმისთვის გადამეცა, მაგრამ ვერ შეველიე (ალბათ ამის დროც დადგება). მუზეუმისთვის გადაცემას ალბათ ქალბატონი გიულიც შეძლებდა, მაგრამ მან ასე არჩია რატომღაც და მისი სამუდამოდ მადლიერი ვარ.

ძვირფას ნივთთან ერთად ქალბატონმა გიულიმ წერილიც დამიტოვა:

„ბატონო **ზურაბ**!

დიდი პატივისცემით მინდა გამოვხატო ჩემი გულწრფელი მადლობა იმ საქმისათვის, რომელიც თქვენ გამოიჩინეთ საუკუნე ნახევრის წინ ლიხაურში დაბადებული ექვთიმე თაყაიშვილის მიმართ. მეოთხე თაობის წარმომადგენელმა პრეზიდენტის მერე, თუ ვინმე გამოიჩენდა საუკუნის ლეგენდის მიმართ ასეთ დიდ ყურადღებას, ისიც ამ თაობაში წარმოუდგენელი იყო ჩემთვის, მის უკვდავ სახელს მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობისათვის იყენებდნენ და იყენებენ. თქვენმა ზნეობამ გამაოცა. მე ხომ თქვენთვის უცნობი ადამიანი ვარ. მისი ზეციური და ღვთიური ძალა იყოს თქვენი ოჯახის მფარველი. ორადორი პირადი ნივთი ნინო პოლტარაცკაიას, რომელიც მუზეუმისათვის არ ჩაუბარებია და დატოვა ოჯახში, ღმერთის ძალამ და მათმა განგებამ ორ ადამიანს აკუთვნა.

ექვთიმე თაყაიშვილი იყო მთელი ქართველი ერის ცივილიზაციის სწორუპოვარი უანგარო მკვლევარი, მეცნიერი ზეგარდმო ნიჭით დაჯილდოებული. მან ცხოვრება ქართველი ერის ბედის სამსახურში წამების გვირგვინით ატარა ნინო პოლტარაცკაიას გვერდით. ნინომ პარიზის კონსერვატორია ოქროს მედლით დაამთავრა, მთელი მისი ცხოვრება და ქონება შესწირა „იფიმ სემიონიჩს“ (ასე ვეძახდი).

ემიგრაციიდან დაბრუნებულ ექვთიმეს უანგარო სამსახური გაუწიეს პოლტარაცკებმა და ნიჟარაძეებმა.

შინა პატიმრობის დროს მას არავინ ეკარებოდა, გარდა ქვისლის ივანე ნიჟარაძის და ანნა პოლტარაცკაიას (ნინოს და) ოჯახისა. ბევრჯერ ბებიას და ბაბუას დავალებით შიკრიკის როლის შესრულება მეც მიწევდა. დამარიგებდნენ ვაშლოვანის 6 ნომერში ეზოდან როგორ უნდა ავსულიყავი და სადილი მიმეტანა. პასუხიც უნდა გადმომეცა. ერთ მშვენიერ დღეს, როცა სადილი გამატანეს, „იფიმ სემიონიჩი“ იჯდა დაბალ სავარძელში, კახური ქუდი თავზე ეხურა, მწვანე ხალათი ეცვა, ზედ ადეალა ჰქონდა მოხურული, წინ შავი ოთხკუთხედი ნავთქურა ედგა, სახე საოცრად ნაღვლიანი ჰქონდა, თვალები ცრემლიანი. ცოლის ძმა საშა (ალექსანდრე) კუთხეში იჯდა, წიგნს კითხულობდა, თავი არ აუწევია, მერე, როგორც გავიგე სამსახურიდან დაუთხოვიათ. იურისტი იყო, ადვოკატად მუშაობდა. ლიდია, საშას მეუღლე, ექვთიმეს და ნინოს შვილობილი, დაპატიმრებული იყო. მე მას ვკითხე, რას დამაბარებთ? ტუჩებზე თითი მიიდო, საკმაოდ დაბალი ხმით მითხრა – „ენკავედე“ ... რა თქმა უნდა, ჩემთვის ეს სიტყვა მაშინ გაუგებარი იყო...

ამ წამების მაყურებელს თავი მოვალედ მიმაჩნია, როგორც ნათესავს კი არა, რიგით ქართველს ვემსახურო მათ სულს.

იყავით ბედნიერი და მისი ღვთიური ძალა არ მოგკლებოდეთ.

პატივისცემით, **გიული ნიგურიანი.**

P.S. ბატონო **ზურაბ**,

ექვთიმე თაყაიშვილის ღვთიური ძალა არ მოგკლებოდეთ. მთელი გულწრფელობით მინდა თქვენი კუთვნილება იყოს ეს ნივთი. გუშინ მთაწმინდაზე ვიყავი. ეტყობა მისმა ძალამ მიკარნახა. **გიული**".

●

16 ნოემბერს საღამოთი მოვახერხე და მცხეთაში, ელგუჯა ბუბუტეიშვილის ცნობილ დარბაზში შერვაშიძეების გვარის შეხვედრაზე ჩავედი. პრეზიდენტის სამდივნოდან დამიკავშირდა ქალბატონი ცისანა ჩიხლაძე და შემდეგ ბატონი ედუარდ შევარდნაძე მესაუბრა. პრეზიდენტმა მოკლედ გამომკითხა საერთო მდგომარეობა და ბოლოს დაინტერესდა გულნატკენი ხომ არ ვიყავი კობა ნარჩემაშვილის მინისტრის თანამდებობაზე წარდგენის გამო. პრეზიდენტს მადლობა გადავუხადე სამინისტროს პირადი შემადგენლობის სახელით ასეთი არჩევანისთვის. გულწრფელად ვამბობ, რომ მაშინ ასეთი გადაწყვეტილება აბსოლუტურად სწორად და იდეალურად მიმაჩნდა. უფრო მეტიც, ვცდილობდი კიდევაც მინისტრის თანამდებობაზე კობას დანიშვნისთვის ყველანაირად ხელი შემეწყო და ამაში დამეთანხმებიან ჩემი მეგობრები, რომლებთანაც მაშინ კონტაქტები მქონდა პარლამენტში თუ პარლამენტს გარეთ.

ამ ვითარებაში თურმე კიდევ ერთი ახალი სკანდალი გველოდა. 19 ნოემბერს კუს ტბაზე სცემეს პარლამენტარი გოჩა ჯოჯუა. „არამიანცის" საავადმყოფოში დეპუტატი სხეულის დაზიანებით გადაიყვანეს და საქმეც ამ მუხლით აღიძრა. მეორე დღეს იმჟამად დაკავებული თანამდებობიდან გადადგა სოსო ალავიძე.

ინციდენტი დეპუტატ გოჩა ჯოჯუას პროვოკაციულმა ინტერვიუმ წარმოშვა, რომელიც გაზეთ „ალიაში" გამოქვეყნდა. დეპუტატი წერდა, თითქოს შს სამინისტროს მაღალჩინოსნების უკანონოდ შეძენილი ქონების დადგენასა და გამოვლინებაში ზურაბ ჟვანიასა და მას დახმარება და თანამშრომლობა სოსო ალავიძემ შესთავაზა. ვინც სოსოს იცნობს, ის კარგად მიხვდება, რა რეაქცია მოჰყვებოდა ამ განცხადებას და მოხდა ის, რაც მოხდა. მომხდარის ანალიზსა და მტყუან-მართლის ძიებას ნამდვილად არ ვაპირებ, მაგრამ აღვნიშნავ იმას, რომ ამ შემთხვევამ შს სამინისტროს ხელმძღვანელობაში კიდევ ერთი სერიოზული ბზარი გააჩინა და როგორც ჩანს, ამით დაინტერესებულ გარკვეულ ძალებს ასეც ჰქონდათ ჩაფიქრებული.

მოვლენები კი მძაფრად ვითარდებოდა პანკისში.

ხადორის ჰესისკენ მიმავალ გზაზე ააფეთქეს პატარა ხიდი. ხეობაში დაიწყო კიდევ ერთი დაპირისპირება ხადორის მშენებელი ჩინელების დაცვასთან დაკავშირებით, რაც ფინანსურ ინტერესებთან იყო დაკავშირებული.

თბილისში განვითარებული მოვლენების გამო, რაღა თქმა უნდა, პანკისისთვის ველარ ვიცლიდი, თუმცა იქ უკვე სიტუაციას კარგად აკონტროლებდნენ უშიშროება, შინაგანი ჯარი და ზურაბ ტუშური.

21-ში პარლამენტში კენჭისყრა შედგა და თავდაცვის მინისტრად დაამტკიცეს დავით თევზაძე, იუსტიციის მინისტრად – როლანდ გილიგაშვილი, უშიშროების მინისტრად – ვალერი ხაბურძანია, შს მინისტრად – კობა ნარჩემაშვილი.

მეორე დილით სამინისტროში გამართულ კოლეგიის სხდომას უშიშროების საბჭოს მდივანმა ნუგზარ საჯაიამ ნარჩემაშვილი მინისტრის რანგში წარუდგინა.

ახალი მინისტრის დანიშვნას შესაბამისი საკადრო ცვლილებებიც მოჰყვა. დავრჩი მხოლოდ მე, იგივე ფუნქციონალური მოვალეობებით. პრიორიტეტული მაინც პანკისი იყო, მინისტრის ახალ მოადგილეებად დაინიშნნენ ზურაბ ხაჟალია, შოთა ასათიანი და დავით თოდუა. სამივე მათგანს ძალიან ახლოს ვიცნობდი.

●

მაგრამ, მოდით აქ ჯერ ერთ გახმაურებულ საქმეს გავიხსენებ, რომელიც იმ დროს გაიხსნა, როცა მინისტრის მოვალეობას ვასრულებდი.

1999 წელს ქალაქ რუსთავში არასრულწლოვანი გოგონების მკვლელობის რამდენიმე ფაქტი დაფიქსირდა. ხელწერა მიუთითებდა, რომ მკვლელი აშკარად მანიაკური თვისებების მატარებელი იყო. დანაშაულები ცხელ კვალზე არ გაიხსნა. მედია-საშუალებები და საზოგადოება შეშფოთებას გამოხატავდნენ, რომ მეტად საშიში ბოროტმოქმედი დაუსჯელად მოქმედებდა. მას „რუსთაველი მანიაკი“ შეარქვეს.

აღნიშნულ საქმეებზე, როგორც ეჭვმიტანილი, დაკავებული ჰყავდათ ერთი პიროვნება პ.ს. მაგრამ მისთვის ბრალი არ წაუყენებიათ.

13 ნოემბერს ტელეფონით დამიკავშირდა სამეგრელოს-ზემო სვანეთის პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსი ელგუჯა ჯამბურია და მაცნობა, რომ მარტვილის რაიონში დააკავეს წარსულში ორჯერ ნასამართლევი რუსთაველი ფრიდონ პირტახია. გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი რომ იგი „რუსთაველი მანიაკი“ უნდა იყოსო. სამეგრელოში დაუყოვნებლივ მივავლინეთ მაღალი კვალიფიკაციის მქონე მუშაკები გენერალური პროკურატურიდან და სამინისტროს აპარატიდან.

რამდენიმე დღეში სამეგრელოდან რეზო ფოჩხუამ მომახსენა, რომ პირტახია არა მარტო რუსთავის დანაშაულებს, არამედ რუსეთის ტერიტორიაზე ჩადენილ მკვლელობებსაც აღიარებსო. გადაწყდა მისი სასწრაფოდ ეტაპირება. იმავე დღეს წერილით მივმართე სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მაშინდელ ხელმძღვანელებს, რომ მათთან ეტაპირებული იქნე-

ბოდა განსაკუთრებით საშიში ბოროტმოქმედი. ვითხოვდი მის საიმედოდ განთავსებას და დახმარებას ოპერატიული თვალსაზრისით.

17 ნოემბერს ნუგზარ ღამბაშიძემ მაცნობა, რომ ფრიდონ პირტახიამ, ორთაჭალის საგამოძიებო იზოლატორში ღამით თავი მოიკლა.

უსაზღვროდ განწბილებული და გულნატკენი დავრჩი! იუსტიციის სამინისტროსთვის „ჩვენი ჭირი ღობეს ჩხირი“ აღმოჩნდა.

გთავაზობთ ჟურნალისტ თამარ აბსავას საგაზეთო პუბლიკაციას აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით:[36]

რუსთაველმა მანიაკმა თავი მოიკლა

მეხუთე საპყრობილეში 17 ნოემბერს, გამთენიისას, წინა ღამეს მარტვილიდან ეტაპირებულმა პატიმარმა ფრიდონ პირტახიამ თავი მოიკლა. ყოველ შემთხვევაში, ამგვარი შეფასება მისცეს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებითი დეპარტამენტის ხელმძღვანელებმა 17 ნოემბრის დილას საპყრობილეში მომხდარ ფაქტს. ფრიდონ პირტახია წინა ღამეს, დაახლოებით 22 საათისთვის, გადმოიყვანეს თბილისში მარტვილის წინასწარი დაკავების იზოლატორიდან. მას მცირეწლოვან ბავშვზე ძალადობა ედება ბრალად. როგორც სამართალდამცავებს მოვლენების შემდგომმა განვითარებამ უჩვენა, პირტახიას სახელი უკავშირდება რუსთავში მომხდარ სერიულ მკვლელობებს, როცა მანიაკად მონათლული მამაკაცის მსხვერპლი გახდა რამდენიმე არასრულწლოვანი გოგონა.

12 ნოემბერს შს სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებროს მთავარი სამმართველოს, გენერალური პროკურატურის, სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს, მარტვილის შს განყოფილებისა და რუსთავის შს სამმართველოს თანამშრომლებმა ოპერატიული ინფორმაციის რეალიზების საფუძველზე გატარებული ერთობლივი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შედეგად მარტვილში დანაშაულის ჩადენის ფაქტზე დააკავეს განსაკუთრებით საშიში ბოროტმოქმედი, რამდენჯერმე ნასამართლევი, მათ შორის მკვლელობისთვის, გაგრიდან იძულებით გადაადგილებული პირი, რუსთავში მე-9 მიკრორაიონის მე-2 კორპუსში მცხოვრები, 1964 წელს დაბადებული ფრიდონ ამირანის ძე პირტახია.

მან მარტვილის ამავე რაიონის სოფელ ნალეფსაოსკენ მიმავალი და-ძმა მუქარით გაიყვანა ტყის მასივისკენ, მკვლელობისა და გაუპატიურების განზრახვით მათ ერთი საათი აღუკვეთა თავისუფლება. დანაშაულზე მარტვილის პროკურატურამ აღძრა სისხლის სამართლის საქმე.

გამოძიებამ აჩვენა, რომ ფრიდონ პირტახიას ადრეც ჰქონდა ჩადენილი მსგავსი ტიპის უმძიმესი დანაშაული, კერძოდ:

მარტვილში 2001 წლის 6 აპრილს მან სიცოცხლისთვის საშიში ძალადობის მუქარით, მოკვლისა და გაუპატიურების მიზნით მიტოვებულ შენობაში

[36] გაზ. „ახალი თაობა“. 18 ნოემბერი. 2001 წ.

შეიყვანა არასრულწლოვანი გოგონა. ბოროტმოქმედმა განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანა, მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, აღიძრა საქმე, რომელიც დღემდე გაუხსნელად ითვლებოდა.

რუსთავში 1999 წლის 13 აგვისტოს მოკლა არასრულწლოვანი 1985 წელს დაბადებული ნანა ბრეგვაძე. მისი გვამი გადამალა „აზოტის“ საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ მშენებარე შენობის სარდაფში.

1999 წლის 18 ოქტომბერს გააუპატიურა და შემდეგ მოკლა პირველი კურსის სტუდენტი, რუსთაველი ხათუნა მანაშვილი, გვამი რკინიგზის სადგურის სატვირთო-საკონტეინერო ეზოს ტერიტორიაზე მდებარე ლითონის ყუთში ჩააგდო. მისგან გაიტაცა ოქროს სამკაულები, რომელიც მიჰყიდა თავისსავე მეზობელს, ვინმე რუსუდან ვიჩიბერიძე-კიკალიშვილს. ნივთმტკიცება ამოღებულია.

2000 წლის 2 ივლისს გარდაბნის რაიონში ზოოვეტინსტიტუტის ტერიტორიაზე მდებარე მიტოვებულ ტერიტორიაზე მდებარე საინკუბატორო საამქროს სპეციალურ საცავში გააუპატიურა და შემდგომ მოკლა ტყიბულის ზონის სოფელ სანირეში მცხოვრები მე-4 კურსის სტუდენტი სოფიო კუბლაშვილი.

2000 წლის 29 მაისს რუსთავში მშენებარე საავადმყოფოს შენობის მეორე სართულზე გააუპატიურა და შემდგომ დანით მოკლა გორელი, დროებით რუსთავში მცხოვრები მარინა გრიდნევა.

2000 წლის 29 ივლისს რუსთავში, მე-18 მიკრორაიონის ტერიტორიაზე მოკლა ქარელის რაიონის სოფელ ბებნისში მცხოვრები მარინა იმერლიშვილი. გვამი დააგდო იქვე მინდორში მდებარე სანაგვესთან.

2000 წლის 15 ივლისს რუსთავში, მე-20 მიკრორაიონის მე-7 კორპუსში თავის ბინაში დანით მოკლა მზია ხურციშვილი.

გამოძიებას აწარმოებს გენერალური პროკურატურა. გრძელდება ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებები პირტახიას მიერ ჩადენილი სხვა დანაშაულების გამოსავლენად, ნივთმტკიცებების ნაწილი ამოღებულია.

მოკლულების დათვალიერება სამართალდამცავებს აძლევს იმის თქმის უფლებას, რომ ხელწერა ერთნაირია.

მზია ხუციშვილს მიყენებული აქვს სასიკვდილო დაზიანება ბასრი საგნით. ერთი ჭრილობა ყელის არეში, ამასთან, ყელის არეში მოჭერილი ჰქონდა მისივე აზღუდის ბრეტელები. მზია ხუციშვილი, როგორც გამოძიებამ დაადგინა ეწეოდა ამორალურ ცხოვრებას, სვამდა, შეეძლო სქესობრივი კავშირი დაემყარებინა პირველივე შემხვედრ პირთან. დადგინდა, რომ მან მკვლელობის ღამეს მიიღო სპირტიანი სასმელი. 15 ივნისს ანუ სამი დღის შემდეგ იგი საკუთარ ბინაში მოკლული იპოვეს.

მკვლელობის ღამეს ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდა, მეორე მსხვერპლი მარინა გრიდნევაც, ისიც მსუბუქი ყოფაქცევის ქალი იყო. მას აღენიშ-

ნებოდა ნაჭდევები ყელის არეში, მარცხენა ძუძუს ქვეშ ჭრილობა წვრილი შემავალი ხვრელით. გარდაცვლილს მკერდზე ეგდო ერთლარიანი კუპიურა.

ბავშვებსაც ძალადობის ნიშნები ეტყობათ. ისინიც, სხვა მსხვერპლთა მსგავსად, მოგუდეს.

რუსთაველ მანიაკზე ლეგენდები შეიქმნა, თავდაპირველად ჩადენილ ბოროტმოქმედებებში, ეჭვმიტანილად პაატა სხირტლაძე დასახელდა, რაც გამოძიებამ ვერ დაამტკიცა. ამის შემდეგ ბევრი რამ მიჩუმდა. 12 ნოემბერს კი მარტვილში აკავებენ მამაკაცს. სამართალდამცავებმა მსგავსება მანიაკის ფოტორობოტსა და დაკავებულ პირს შორის მაშინვე აღმოაჩინეს. მკვლელობათა რეალური შემსრულებელი დაკავებული არ იყო. დღეს სამართალდამცავები თვლიან, რომ პირტახიას სახით ნამდვილი დამნაშავე აიყვანეს, თუმცა საქმის ბოლომდე გარკვევა ვერ მოხერხდა, ამ უკანასკნელის მხრიდან თვითმკვლელობის განხორციელების გამო. არც ის არ არის გამორიცხული, გამოძიებამ ბევრი რამ ისევ ვერ დაამტკიცოს, თუმცა მათი განმარტებები დღე ამის თქმის საშუალებას არ იძლევა და რამდენიმე თვის შემდეგ ახალი მანიაკის დაკავების შესახებ შესაძლოა ეუწყოს საზოგადოებას. ყოველ შემთხვევაში, დღეს პროკურორებს შინაგანი რწმენით აბსოლუტურად დამტკიცებულად შეუძლიათ განაცხადონ, რომ რუსთაველი მანიაკი ნამდვილად დაიჭირეს და რომ ფრიდონ პირტახიას კისერზეა იმ არასრულწლოვანების სიცოცხლე, რომელთა გვამები ერთმანეთის მიყოლებით აღმოაჩინეს რუსთავში. ფრიდონ პირტახიამ კი მარტვილში სამართალდამცავებისთვის არაერთხელ ნათქვამი მუქარა თბილისში, მეხუთე იზოლატორში შეასრულა და სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. მას თურმე ბოლო დროს კოშმარები აწუხებდა.

ელგუჯა ჯამბურია (სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეოს მთავარი სამმართველოს უფროსი):

– დაბა მარტვილში არასრულწლოვანი გოგონა მუქარით გაიტყუა უცნობმა მამაკაცმა. ამ შემთხვევაში მას ხელი შეუშალა უცნობმა მანდილოსანმა, რომელმაც კივილი მორთო, მამაკაცი გაიქცა. ამ შემთხვევის შემდეგ სამართალდამცავები ეძებდნენ მას. მუშაობა დავიწყეთ. ვიკვლევდით ჩვენთვის საინტერესო პირებს, მაგრამ უშედეგოდ. როგორც ჩვენთვის შემდეგ გახდა ცნობილი, ეჭვმიტანილმა მარტვილი დატოვა. 11 ნოემბერს დაფიქსირდა ანალოგიური ფაქტი. და-ძმას, რომლებიც სკოლიდან გამოვიდნენ, წინ გადაეღობა უცნობი მამაკაცი და ჰკითხა, როდის გავიდოდა ავტობუსი ერთ-ერთი სოფლის მიმართულებით. შემდეგ ბავშვები მიაცილა სახლამდე, დაინტერესდა მათი ვინაობით, ორივეს გადახვია ხელი. სახლიდან გამოსვლამდე უცნობი ბავშვებს ელოდებოდა, შემდეგ ისინი იძულებით წაიყვანა ტყის მასივისკენ და იქ ჰყავდა დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში. მამაკაცს შემთხვევით ფეხი დაუსხლტა, ბავშვებმა ამით ისარგებლეს და გაიქცნენ, იქვე მდებარე ოჯახს შეაფარეს თავი, ეზოში შესვლისას მათ ძაღლი გამოუქანდათ, გოგონამ გაიხადა ქურთუკი და ძაღლს გადაუგდო, დროის ამ მონაკვეთში და-ძმამ სახლში შეაღწიეს, მეორე დღესვე ბავშვები დავკითხეთ. ხელჩასაჭიდი ის იყო, რომ მათ დააფიქსირეს, მამაკაცს ოთხი

თითი აკლდა ერთ ხელზე. ეჭვმიტანილი კატეგორიულ უარზე იყო თავიდან, მაგრამ როცა მას ბავშვები დავუპირისპირეთ, აღიარება მოგვცა. მან თავიდან ორივე ფაქტი აღიარა ანუ ის, რაც მარტვილში მოხდა. შევისწავლეთ მისი პიროვნება, პირტახია დაბადებულია გაგრაში, ქურდობისათვის გაასამართლეს, სასჯელს იხდიდა რუსეთში, პირობით გაათავისუფლეს, შემდეგ რუსეთშივე ჩაიდინა მკვლელობა, მსხვერპლი ქალია. 1998 წელს იგი სასჯელის მოხდის შემდეგ ჩამოდის საქართველოში. რუსთავში შეიძინა ბინა, მეუღლესთან იგი ფაქტიურად გაშორებული იყო, დაკითხვის პროცესში მან აღიარა რუსთავში ჩადენილი ორი მკვლელობა, მანაშვილისა და ბრეგვაძის მკვლელობა. მას ახსოვს ყველა დეტალი, საიდან წამოიყვანა მსხვერპლი, როგორ წამოიყვანა, რა ეცვა მას. საბოლოოდ მან აღიარა 6 მკვლელობა. ყველა მსხვერპლი ქალია, 5 გააუპატიურა, ერთთან განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანა. გვთხოვდა, საკანში მარტო დაგვეტოვებინა, ამბობდა, რომ თავს მოიკლავდა. მისივე განმარტებით, როცა ფხიზელია, ნორმალურია, მაგრამ სიმთვრალეში სისხლი სწყურია და ასეთ რაღაცეებს აკეთებდა. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ როცა და-ძმა ტყეში წაიყვანა, ძმას ეუბნებოდა, შენს დას მოვკლავ და მის სისხლს დაგალევინებო. იმ დღეს პირტახია ნასვამი იყო. დადგენილია ისიც, თუ სად დალია. ნივთმტკიცება ამოღებულია. აცხადებს, რომ ორ შემთხვევაში მსხვერპლის მოხსნა ბეჭედი, საყურეები, ძეწკვი და მიჰყიდა მეზობელს.

ნუგზარ კანდელაკი (რუსთავის პროკურორის თანაშემწე):

– პირტახიას მონაწილეობა დანაშაულებაში მტკიცდება იმითაც, რომ იგი მიუთითებდა ისეთ დეტალებზე, რომლებიც, გამოძიების გარდა, არ შეიძლებოდა სხვას სცოდნოდა: ამინდი, ტერიტორიის აღწერილობა, სადაც შემთხვევა მოხდა, მიუხედავად იმისა, რომ მან რუსთავის ქუჩები არც იცის. ხუციშვილის მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით როცა ვესაუბრეთ, თქვა, რომ მოკლულის ბინაში ჭამეს, ჩამოთვალა პროდუქტი. ის ზუსტად ემთხვევა ბინაში აღმოჩენილს. ლორის რამდენიმე შემწვარი ნაჭერი, კიტრი და ნამცხვარი. ბინიდან მოხსნა ორი ნათურა, მიზეზად კი ის დაასახელა, რომ ბინაში შესულს უცებვე არ დაენახა მოკლული. მერე ბინა დაკეტა და წამოვიდა. დეტალურად ახსოვს მსხვერპლის ჩაცმულობა. ერთ-ერთი მოკლულის ცხედართან ვნახეთ ჯვრის ყუნწი და შავი თოკი, რომლითაც ყელზე ჯვარი ეკიდა. როგორც პირტახიამ განგვიმარტა, მას სიბნელეში ჯვარი ძვირფასი ლითონის ეგონა და იმიტომ ააგლიჯა. შემდეგ კი რომელიღაც შენობასთან დააგდო, რადგან ჯვარი პლასტმასის აღმოჩნდა.

რუსთავში თურმე ადრეც ეძებდნენ ოთხი თითის არმქონე მამაკაცს, რომელიც ერთ-ერთი სკოლის ეზოში მოსწავლე გოგონას გამოეკიდა. კედელზე გადასვლისას გოგონამ თავი დააღწია მოძალადეს. მშველელი ამ დროს უცნობი მამაკაცის უთითობა აღმოჩნდა.

დანაშაულებს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერთნაირი ხელწერა ახასიათებთ. სამართალდამცავთა განმარტებით, ყველგან ფიგურირებს ძალადობა ყელის მიდამოში მავთულით, თოკით, ქამრით თუ სხვა მსგავსი საშუალებით.

სექტანტურ მოძრაობაში ჩართვა პირტახიამ თურმე სასტიკად უარყო. ასეთი ინფორმაცია მას შემდეგ გავრცელდა, რაც ერთ-ერთი გვამის აღმოჩენისას ბნელი სარდაფის კედელზე სანთლის ნამწვავები ნახეს.

კანდელაკის განმარტებით, პირტახიას ეს განცხადება დასაჯერებელია, რადგან კაცი, რომელიც მკვლელობებს, გაუპატიურებას აღიარებს, არ შეიძლება სანთლის ანთების ისტორიას კატეგორიულად უარყოფდეს. როგორც ირკვევა, პირტახიას დანაშაული ჩაუდენია არა მხოლოდ არაფხიზელ მდგომარეობაში. საუბრის პროცესში მას სიგიჟის ნიშნები არ ეტყობა. დაკითხვისას თურმე ნერვიულობდა და ხშირად იმეორებდა, რომ არ არის სიცოცხლის ღირსი, პოლიციელებს სთხოვდა მოეკლათ იგი. განიცდიდა იმას, რომ სამეგრელოში, კერძოდ კი მარტვილში, ცოლოურში დაემართა მსგავსი რამ.

ფრიდონ პირტახიას 14 წლის ქალიშვილი ჰყავს, იგი დედასთან ცხოვრობს.

არის კიდევ ერთი დეტალი, რომელმაც სამართალდამცავები საბოლოოდ დაარწმუნა, რომ პირტახია ნამდვილად ის არის, ვისაც ეძებდნენ, ანუ იგი რუსთაველ მანიაკად მონათლული პიროვნებაა.

– როცა ვეძებდით ამ პიროვნებას, ვსწავლობდით ყველას, თითქმის ყველა მამაკაცს, ვინც კი გოგოს დალაპარაკებია, იყო ერთი შემთხვევა, სკოლა-ინტერნატის მოსწავლე, აზერბაიჯანელ გოგონას უცნობმა მამაკაცმა მოკვლის მუქარით სთხოვა, გაჰყოლოდა. გოგონა საკმაოდ თამამი იყო და მთვრალს მიახალა – შენ რა, საქმე არა გაქვს?! დაკითხვის დროს პირტახიამ თავისთავად აღიარა მისი დამარცხების ეს მომენტი, როდესაც გოგონას ამ გულუბრყვილო, თამამმა სიტყვებმა მას ღიმილი მოჰგვარა და იქაურობას გაშორდა. თავად აზერბაიჯანელმა გოგონამაც თავის დროზე ასეთი რამ განუცხადა სამართალდამცავებს, უცნობმა მისი სიტყვები მოისმინა, ჩაიცინა და გაუჩინარდა.

როგორც სასჯელაღსრულებითი დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ნუგზარ ღამბაშიძემ განგვიმარტა, პატიმარ ფრიდონ პირტახიას ეტაპირება 16 ნოემბერს, საღამოს 10 საათისთვის განხორციელდა. სათანადო შემოწმების შემდეგ იგი საკანში მოათავსეს, მაგრამ რადგან მძიმე დანაშაულში იყო ეჭვმიტანილი, ერთგვარი თავის დაზღვევის მიზნით, პირტახია იმ საკანში მოათავსეს, სადაც სხვა პატიმრებიც იყვნენ, რომ ამ უკანასკნელს განცალკევების შემთხვევაში თავისთვის არაფერი აეტეხა, თუმცა მოსახდენი მაინც მოხდა. დილით, დაახლოებით 8 საათისათვის, საკანში პირტახიასთან ერთად მყოფი 7 პატიმარი ხრიალმა გამოაღვიძა. ფრიდონ პირტახიას საწოლის ქვემოთ მწოლიარე განსასჯელმა კი სისველე იგრძნო. ფრიდონ პირტახიას მარცხენა ხელის იდაყვთან ვენები ერთჯერადი სამართებლის ნამსხვრევით გადაესერა. პირტახიას გადაყვანა ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში ვერ მოხერხდა, იგი გზაში სისხლისგან დაიცალა და გარდაიცვალა. მომხდართან დაკავშირებით მიმდინარეობს მოკვლევა. ღამბაშიძის განმარტებით, ერთჯერადი სამართებლის არსებობა საკანში დაშვებულია, მიუხედავად იმისა, რომ იგი საშიშ ნივთს წარმოადგენს. ერთადერთი, რაც

პირტახიასთვის დამახასიათებელი აღმოჩნდა, აფორიაქებული მდგომარეობა იყო. დაიკითხა შვიდივე პატიმარი, ფრიდონ პირტახიას ცხედარი ამჟამად ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოს პროზექტურაში ასვენია“.

ისევ პანკისი

ოქტომბერ-ნოემბრის მოვლენების შემდეგ კვლავ პანკისის ხეობას დავუბრუნდი. დაწყებული ღონისძიებები, თბილისში დატრიალებული პროცესების მიუხედავად, წუთითაც არ შეჩერებულა. ოცდაოთხსაათიან რეჟიმში მუშაობდა უშიშროების სამინისტრო, შინაგანი ჯარი და შს სამინისტროს ოპერატიული სამსახურები. სიტუაციას კარგად მართავდა ზურაბ ტუშური.

26 ნოემბერს ხეობაში მოკლეს ვეფხია მარგოშვილის ბანდის აქტიური წევრი, მკვლელობისთვის ძებნილი კოჭლოშვილი.

29-ში კი გატაცებული ბერებიდან სამი გაათავისუფლეს. დაიტოვეს მხოლოდ მამა ბასილი.

ხეობაში კვლავ მძიმე ვითარება რჩებოდა, მრავლად იყვნენ ადგილობრივი ვაჰაბიტები და სხვადასხვა ჯურის კრიმინალები. თქვენ წარმოიდგინეთ იქ იაპონელიც კი აღმოჩნდა – კოსუკე ცინუოკა, რომლის გამოყვანა ავთო იოსელიანმა მოახერხა.

8 დეკემბერს კი უშიშროების მუშაკებმა პანკისიდან გამოიყვანეს გატაცებული ესპანელი მოქალაქეები. ხოსე ანტონიო ტრიმანი და ფრანცისკო როდრიგეს კაბალა.

2002 წელი სერიოზული წარმატებებით დავიწყეთ. ინიციატივა აშკარად ჩვენს მხარეს იყო. ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ „კრიმინალები“ ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ჩვენთან თანამშრომლობაში და მოპოვებული ზღვა მასალა საშუალებას გვაძლევდა ოპერატიული მუშაობის ხერხებისა და მეთოდების გაბედულად გამოყენებისა. შედეგებიც სახეზე იყო. კრიმინალებს ან ვაკავებდით ან წინააღმდეგობის გაწევისას ვანეიტრალებდით. ხშირ შემთხვევაში კი ისინი თვითონ ახდენდნენ ერთმანეთის ლიკვიდაციას. ყველა ასეთ შემთხვევაზე დეტალურად საუბარი ალბათ უადგილო იქნება და არც ვაპირებ. აღვნიშნავ მხოლოდ იმას, რომ ამ დროისთვის ხეობა ოპერატიული თვალსაზრისით მთლიანად გვქონდა გადახურული და სიტუაციას საფუძვლიანად ვფლობდით. მე ან კახეთში ვიმყოფებოდი ან თბილისში და უწყვეტი კავშირი მქონდა ზურაბ ტუშურთან, მენზერ ბერუკაშვილთან და გია შერვაშიძესთან ჩვენს ნომერ პირველ ამოცანას მაინც ჭიჭიაშვილის დაკავება წარმოადგენდა, ის კი შეცდომას არ უშვებდა. გაჩნდა ინფორმაცია, რომ მან ხეობა დატოვა და ქვეყნიდან გავიდა. თუმცა ამის დადასტურება არ გვქონდა. ამის პარალელურად ყველანაირად ხელს ვუწყობდით უშიშროების თანამშრომლებს, ვალერი ხაბურძანიასა და ირაკლი ალასანიას ხელმძღვანელობით, არაბი ემისრების დაკავება-განეიტრალების საქმეში. რაც აშშ სპეცსამსახურების განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენდა.

მათ შორის უპირველესად ტერორისტულ ორგანიზაცია „ალქაიდასთან“ დაკავშირებული ლიდერები.

●

2001 წლის 11 სექტემბერს კაბინეტში ვიმყოფებოდი, როდესაც ჩემი ყურადღება ტელევიზიის დიქტორის აღელვებულმა ხმამ და ეკრანზე მიმდინარე უჩვეულო მოვლენებმა მიიქცია. მიმდინარეობდა აშშ-ში მომხდარი ტრაგიკული მოვლენების ტრანსლაცია, რის მსგავსი არც მენახა და წარმოდგენაც კი გამიჭირდებოდა. როგორც გაირკვა, ვაჰაბიტური ორგანიზაცია „ალქაიდას“ ცხრამეტმა ისლამისტმა ტერორისტმა აშშ-ს ტერიტორიაზე ერთდროულად შეიპყრო ოთხი კომერციული თვითმფრინავი. ორი მათგანი გამიზნულად შეეჯახა ნიუ-იორკის მსოფლიო სავაჭრო ცენტრის ორ ას ათსართულიან ცათამბჯენს ე. წ. „ტყუპებს“, რის შედეგადაც დაიღუპა ყველა მგზავრი და უამრავი ადამიანი. ორივე შენობა რამდენიმე საათში მთლიანად ჩამოიქცა.

მესამე თვითმფრინავი შეაჯახეს პენტაგონის შენობას ვაშინგტონში, ხოლო მეოთხე ჩამოვარდა პენსილვანიის შტატში და როგორც ცნობილია ყველა მგზავრი დაიღუპა.

აშშ-ს მთავრობის მიერ გამოტანილი დასკვნის შედეგად გაცხადდა, რომ ტერორისტული აქტები დაგეგმა ტერორისტული დაჯგუფების – „ალქაიდას“ დამფუძნებელმა, ეთნიკურად იემენელმა ოსამა ბინ მუჰამედ ბინ ავად ბინ ლადენმა და განახორციელეს ამავე დაჯგუფების ტერორისტებმა (2011 წლის 2 მაისს, თითქმის 10 წლის შემდეგ, აშშ-ს სპეცდანიშნულების მებრძოლებმა იგი პაკისტანში, საცხოვრებელ რეზიდენციაში მოკლეს).

ტერორისტულ აქტებს 115 ქვეყნის 2977 მოქალაქე შეეწირა 19 ტერორისტის ჩათვლით. აქედან თვითმფრინავის 264 მგზავრი. ნიუ-იორკში 2606, პენტაგონში 125, პირველ ცათამბჯენში 1355, მეორეში 630, მაშველი 411, მეხანძრე 341, ექიმი 2, ნიუ-იორკის პოლიციის 23 ოფიცერი, 37 პორტის თანამშრომელი და 200 ადამიანი, რომლებიც სიცოცხლის გადარჩენის უკანასკნელი იმედით თავისი ნებით გადმოხტა ცათამბჯენიდან.

ცნობისთვის „ალქაიდა“ ისლამის ვაჰაბიტური მიმართულების მქონე ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ულტრარადიკალური საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომელიც 1988 წელს, ავღანეთში ომის დაწყებისას, საბჭოთა ჯარების ავღანეთის ტერიტორიიდან გაყვანის შემდეგ შეიქმნა, აშშ-სა და სხვა სუპერსახელმწიფოთა რეჟიმების ჩამოგდების და „ისლამური ხალიფატის“ შექმნის მიზნით. შორს რომ არ წავიდეთ და ძირითად თემას არ ავცდეთ, დავუბრუნდეთ ისევ პანკისის ხეობას, სადაც როგორც აღვნიშნე ზემოთ, 11 სექტემბრის მოვლენებმა ისეთი სიტუაცია შექმნა, რომ რუსეთისა და აშშ-ს მიერ ტერორისტებად აღიარებულ ჩრდილოეთ კავკასიელ

მებრძოლებსა და ვაჰაბიტებს აღარ დაედგომებოდათ. ამის გამო ისინი ცდილობდნენ, რაც შეიძლება სწრაფად გასცლოდნენ ხეობას და საქართველოს.

გადაწყდა, რომ ამაში გარკვეულწილად ხელიც შეგვეწყო და პროცესი უშიშროების სამინისტროს კონტროლქვეშ განხორციელებულიყო. რა თქმა უნდა ისინი ამის პარალელურად მათი ინტერესის სფეროში შემავალი პირების დაკავებაზე მუშაობდნენ. ჩვენ კი ხელსაყრელ პირობებს ვუქმნიდით მათ და ვაგრძელებდით ძებნილი კრიმინალების და ბანდიტური დაჯგუფებების წინააღმდეგ დაგეგმილ ღონისძიებებს.

ეს ყველაფერი საშუალებას იძლეოდა კიდევ უფრო შეგვევიწროებინა რკალი და სპეცღონისძიებები უკვე ხეობის სიღრმეში გადაგვეტანა. 15 იანვარს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებით სამართალდამცავთა მუშაობის კოორდინაციის განხორციელება უშიშროების სამინისტროს დაევალა.

დავიწყეთ სიტუაციის დარეგულირებისა და წესრიგის აღსადგენად საჭირო ღონისძიებათა გეგმის მომზადება, რაც ხეობაში შესვლას და ჩვენი ძალების ყველა სოფელში განლაგებას გულისხმობდა.

როგორი იყო ამ დროს ვითარება ერთი საგაზეთო პუბლიკაციის მიხედვითაც შეგიძლიათ წარმოიდგინოთ:

„ვინ იბრძოდა პანკისში ხადონჰესის ხელში ჩასაგდებად?![37]

„ტბათანის მხარეს, ხადონჰესის ტერიტორია სამჯერ ააფეთქეს. ამ ფაქტებზე სისხლის სამართლის საქმეა აღძრული, მაგრამ გამოძიება ჯერ-ჯერობით ეჭვმიტანილებზეც კი არანაირი ინფორმაცია არ გააჩნია. ხადონჰესის მშენებლობა ფირმა „ფერიმ“ 1992 წელს დაიწყო და მასში 25 მილიონიანი ინვესტიცია ჩინელებმა ჩადეს. მაშინ ჩინელებიცა და ქართველებიც თავს არხეინად გრძნობდნენ და ჰესის მშენებლობაც კარგად მიდიოდა, მაგრამ...

ვითარება პანკისის ხეობაში ჩეჩენი ლტოლვილების შეხიზვნის შემდეგ დაიძაბა. კრიმინალურმა დაჯგუფებებმა ჰესის „კრიშობაც“ მოინდომეს და ფირმის ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებებიც დაიწყეს.

ფირმა ორ ცეცხლს შუა აღმოჩნდა – ჩინელებს სიმართლეს უმალავდნენ, რადგან ხელშეკრულების პირველი პუნქტის თანახმად, მათი უსაფრთხოება გარანტირებული უნდა ყოფილიყო და თუკი ეს პირობა დაირღვეოდა, უცხოელი პარტნიორები საქართველოს დატოვებდნენ, რასაც საერთაშორისო სკანდალი მოჰყვებოდა. კრიმინალები კი ფირმის მესვეურებს სულს ხდიდნენ, არა ჩვენ უნდა ვიყოთ „კრიშა“ და არა ჩვენო... ამის გამო მათ შორის ღია მტრობაც დაიწყო და ურთიერთდაპირისპირება იქამდეც კი მივიდა, ერთმანეთს ასწრებდნენ, ვინ ვის გაანადგურებდა... ფირმა იძულებული გახდა, არჩევანი გაეკეთებინა და გააკეთა კიდეც!..

---

[37] თამარ ლომაშვილი. „ვინ იბრძოდა პანკისში ხადონჰესის ხელში ჩასაგდებად?!“. გაზ. „ქრონიკა“. 25 თებერვალი – 3 მარტი. 2002

ფირმა „ფერის“ დამფუძნებელი სოსო მჭედლიშვილია. თუმცა, მისმა მამამ ჰესების მშენებლობას უფრო ადრე ჩაუყარა საფუძველი და მოგვიანებით ეს საქმე შვილს გადაულოცა. ფირმაში 2 ტექნიკურ-მეცნიერებათა დოქტორი და 7 ტექნიკურ-მეცნიერებათა კანდიდატია... „ფერის“ თავის დროზე „ალაზანჰესი“ აღუდგენია, ჰესი ყვარელშიც აუშენებია და საქართველოს სხვა კუთხეებშიც.

ფირმამ პანკისში ხადონჰესის მშენებლობის პროგრამაზე მუშაობას 6 წელი მოანდომა. ჩინელები პროგრამას სამი წელი სწავლობდნენ და ქართულ მხარეს ინვესტიციის ჩადებაზე მხოლოდ ამის შემდეგ დათანხმდნენ. ოფიციალური ინფორმაციით, ინვესტირებული 25 მილიონიდან გარკვეული რაოდენობა ჩინეთშივე რჩება, რადგან ტექნიკური მოწყობილობა თავად ჩინელებს ჩამოაქვთ. არაოფიციალური ინფორმაციით კი ინვესტიციის 70% კრიმინალებმა ჩაიჯიბეს.

ბოლო 40 წლის განმავლობაში, ასეთი დიდი მასშტაბის სადგური არ აშენებულა. ჰესი 24 მეგავატი სიმძლავრისაა და საგარეჯოს გარდა მთელ კახეთს გაანათებდა. კაშხალი მდინარე ალაზანშია დამალული და ერთი შეხედვით, არ ჩანს. მდინარე ალაზნის ქვეშ ორი, 7 კილომეტრიანი გვირაბია. ფირმის ხელმძღვანელობა გარანტიას იძლეოდა, რომ კახეთის რეგიონში ენერგოკრიზისი 8-10 წლის შემდეგ აღარ იქნებოდა.

ჩინელი ინჟინრების ხელფასი 300-დან 500 დოლარამდე იყო. ჰესის მშენებლობაზე, მათ გარდა, სულ 100-120 კაცი იყო დასაქმებული და ხელფასი 120-150 ლარი ჰქონდათ.

რატომ დაინტერესდნენ ჰესით კრიმინალები? პანკისში გავრცელებული ინფორმაციებით, კრიმინალებს სჯეროდათ, რომ ჩინელები სამშობლოში ყოველთვიურად დეტალურ ხარჯთაღრიცხვას და შესრულებული სამუშაოების ფოტომასალებს კი აგზავნიდნენ, მაგრამ ფული სხვა გზით მაინც გაედინებოდა. კრიმინალებს გაუმართლათ და ჰესის მშენებლობის წილში სწორედ მაშინ ჩასხდნენ, როდესაც მხოლოდ ნახევარი იყო აშენებული, მილიონობით დოლარი იყო დახარჯული და საქართველოს ხელისუფლებას რადაც არ უნდა დასჯდომოდა, იგი უნდა დაესრულებინა. ამიტომაც კრიმინალებთან არაერთ კომპრომისზე წავიდნენ.

პანკისში კრიმინალური დაჯგუფების გარდა, ჰესის „კრიშობა“ ხიზრი ალდამოვსაც მოუნდა, მაგრამ, როგორც ამბობენ, მას გზაზე ავტორიტეტი – შოთა ჭიჭიაშვილი გადაეღობა. ამას კიდევ ჩეჩენი „ბოევიკებიცა“და თავად გელაევიც დაემატა და ჰესი მეწველ ძროხად იქცა.

„გინდა კრიმინალი იყოს, გინდა – ტერორისტი, არავის ვურჩევთ ჩვენს საქმეში ჩაერიოს... თუ თავზეხელაღებული გამოჩნდება, უკან არაფერზე დავიხევთ... არც არავის შევეხებით და არც არავინ შეგვეხოს!“ – ასეთი იყო ფირმის ხელმძღვანელების პოზიცია.

ფირმა „ფერის“ ხელმძღვანელობა რამდენიმე ავტორიტეტსაც შეხვდა. ამ ქაოსში კი მან ერთი ავანტიურული ნაბიჯი გადადგა: როდესაც თბილისი-

დან ოფიციალურ დაცვაზე უარი მიიღო, ჰესის დასაცავად 7 ქისტი აიყვანა – ხანგოშვილი, მარგოშვილი და სხვები. დაცვის წევრებად კი საგანგებოდ შეარჩიეს სხვადასხვა გვარის წარმომადგენლები. პანკისში სულ 17 გვარი ცხოვრობს. შვიდი გვარიდან თითოეულს მშობლები სხვადასხვა გვარისა ჰყავს. ისევ ქისტების ადათ-წესების მიხედვით, ექსტრემალურ სიტუაციაში, ერთმანეთს საქმეს გვარები ურჩევენ. ამ მექანიზმმა კარგად იმუშავა და 7 ქისტი ჰესს „კრიშობას“ უწევდა.

ოფიციალური წყაროს ინფორმაციით, მათი ხელფასი 300 ლარი იყო. პანკისში გავრცელებული ინფორმაციით კი, დაცვის თითოეულ წევრს 1500 დოლარს უხდიდნენ.

კრიმინალურმა ჯგუფებმა ერთმანეთის შანტაჟის მიზნით ჰესის ტერიტორია სამჯერ ააფეთქეს. ამბობენ, რომ ფირმის ხელმძღვანელობამ ამფეთქებლების ვინაობა იცოდა და იმ დროს ჰესის დაცვას მათი ლიკვიდაციაც შეეძლო, მაგრამ რატომღაც ტერორისტები დაინდეს.

რადგან ჰესის აფეთქების ფაქტი რუსულ პრესაში სკანდალურად გაჟღერდა, რუსეთის ელჩი ჩინელ კოლეგას შეხვდა და შეეცადა გაერკვია, მართლა დაიბომბა თუ არა ჰესის ტერიტორია. მაშინ ჩინეთის ელჩმა რუსეთის ელჩს უპასუხა, რომ ჰესის ტერიტორია არ დაბომბილა. რომ არა ჩინელის ეს პასუხი, შეიძლებოდა ჰესის დაცვის საბაბით პანკისში რუსის ჯარიც შესულიყო“.

ფაქტი ფაქტად რჩება, ჩინელები იძულებული არიან, ჰესში ჩადებული 25 მილიონიანი ინვესტიცია ამოიღონ და 10 წლიანი პროგრამა დაასრულონ. საქართველო კი იძულებულია, საერთაშორისო სკანდალის თავიდან ასაცილებლად სიმართლე დამალოს და რადაც არ უნდა დაუჯდეს, ჰესი კრიმინალებისგან დაიცვას“.

ეს ფაქტი კიდევ ერთი დადასტურება იყო ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი მდგომარეობისა. ასეთ ვითარებაში ვიღაცას გაუჩნდა იდეა მაკა ასათიანს პანკისის მისადგომებთან მოდების ჩვენება ჩაეტარებინა და რამდენიმე დღეში ჩატარდა კიდეც. რა იყო ეს და რას ემსახურეოდა თქვენ თვითონ განსაჯეთ!

ჩვენ კი ყოველდღიურად ვაგრძელებდით დაგეგმილ ღონისძიებებს და დღე არ გავიდოდა კრიმინალების დაკავების გარეშე.

შოთა ჭიჭიაშვილის საქმე

29 აპრილს პრაქტიკულად შევედით ხეობის სიღრმეში. ხადორის ჰესზე შევიყვანეთ შინაგანი ჯარი. წინა დღეს კი უშიშროებამ დააკავა და გამოიყვანა სამი არაბი. იყო სროლები. დაიღუპა სპეცოპერაციისას დაჭრილი ვისერგი მარგოშვილი. არაბი ემისრის აბუ ღარიბის ცოლის ძმა.

რუსეთის ინტერპოლის თხოვნით, ფოთში დააკავეს საერთაშორისო ძებ-ნილი ჩეჩენი აბდულხამიტ ალიევი!

დედისფერულში ლიკვიდირებული ძებნილები ქორელაშვილი და მამუკე-ლაშვილი და 2 ავტომატი.

დუისში ძმებმა ახმადოვებმა მოკლეს ქისტი ავთანდილ ქავთარაშვილი.

18 ივნისი – ისევ სკანდალი!

თბილისიდან გაიტაცეს პიტერ შოუ!

15 ივლისს ურეკში უშიშროებამ დააკავა რუსეთის მიერ ვოლგადონსკის აფეთქებებისთვის ძებნილი ყარაჩაელი ტერორისტი დეკკუშევი.

11 აგვისტოს 15 საათსა და 30 წუთზე მინისტრთან შედგა მოსმენა, თუ როგორ მიმდინარეობდა შოთა ჭიჭიაშვილის და მისი ჯგუფის წევრების მიქაძის, ღუზარაულის და შარაბიძის ძებნა. მოსმენას ესწრებოდნენ ზაზა შუბითიძე, ზურაბ ტუშური, ზაზა ფერაძე და სხვა პასუხისმგებელი მუ-შაკები. მოსმენის შემდეგ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ აღნიშნული საკითხი მე პირადად ამეღო კონტროლზე, რის შემდეგაც კონკრეტულად ამ მიზნით შევქმენი ჯგუფი ზაზა შუბითიძის, გივი მღებრიშვილისა და შოთა ლობჟანიძის შემადგენლობით.

17 აგვისტო – დაგროვდა მთელი რიგი რეზონანსული დანაშაულები. რომ-ლებზეც ინტენსიურად ვმუშაობთ მაგრამ წინსვლა არა გვაქვს (პიტერ შოუს გატაცება, კალაძის გატაცება, გოგინაშვილის გატაცება, დურგლიშ-ვილის გატაცება, ლომინაძის მკვლელობა). ამას კარგად იყენებდა ოპოზი-ცია და განსაკუთრებით ჟვანია-სააკაშვილის ფრთა. ხევსურეთის მთებში დაბანაკდა ჩეჩენი მებრძოლების დიდი ჯგუფი.

19 აგვისტოს, ფერიცვალებას, ერთი დღით ბახმაროში ვიმყოფებოდი, როცა შემატყობინეს, რომ თბილისში წარსულში ნასამართლევმა, დევნილმა, ლუხუმი ჯახიამ დააყაჩაღა ოქროს ბირჟაზე მოვაჭრეები. მან პისტოლე-ტით და ხელყუმბარით შეიარაღებულმა იარაღის მუქარით მძევლად აი-ყვანა ოთხი მოქალაქე და მიკროავტობუსის ტიპის ავტომანქანით გაიტაცა ისინი. ოპერაციას პირადად მინისტრი ხელმძღვანელობდა. ჯვრის მონას-ტრის ქვემოთ ცენტრალური ტრასის ხიდზე ბოროტმოქმედი გატაცებული მანქანითა და მძევლებით ბლოკირებული იქნა შუადღისას. მოგვიანებით მეც შემთხვევის ადგილზე ჩავედი. მთელი ღამე ვცდილობდით მასთან მოლაპარაკებას, მაგრამ უშედეგოდ. იმის გამო, რომ რეალური საფრთხე აგვეცილებინა და მძევლების სიცოცხლე გადაგვერჩინა 6 საათსა და 48 წუთზე ბოროტმოქმედი ლიკვიდირებული იქნა სპეცდანიშნულების რაზმის მიერ. მძევლები უვნებლად განთავისუფლდნენ და ნაყაჩაღარი მთლიანად იქნა ამოღებული.

22 აგვისტოს მინისტრთან შედგა ოპერატიული თათბირი პანკისის ხეობაში ფართომასშტაბიანი ღონისძიების ჩატარებასთან დაკავშირებით. გადაწყდა, რომ 25-ში ვიწყებთ დამაგვირგვინებელ ეტაპს და ხეობაში შევდივართ დიდი ძალებით. დილით რუსებმა დაბომბეს მთები თიანეთისა და ახმეტის ტერიტორიაზე, დაიღუპა ორი მშვიდობიანი მოსახლე.

25-ში წვიმიანი ამინდი იყო. შევდივართ ხეობაში. შემოვიარეთ დუისი, ჯოყოლო ხადორი, ყვარელწყალი. შინაგანი ჯარი განლაგდა მთელს ხეობაში.

27-ში ველოდით პრეზიდენტის ჩამოსვლას, ვიზიტმა მშვიდობიანად ჩაიარა, ოპერატიული მუშაკები აგრძელებდნენ კონკრეტულ ღონისძიებებს. დუისში დააკავეს ყაჩაღობისა და გატაცებისთვის ძებნილი დ. მაჩალიკაშვილი, ომალოში პოლიციის მუშაკის მკვლელობისთვის ძებნილი ჩოფანაშვილი, ჯოყოლოში აბულ აჭიშვილი, ჯაფარა გურგაშვილი.

რამდენიმე დღეში თბილისში მძიმე ხასიათზე დავბრუნდი. შევხვდი შს მინისტრს და ვუთხარი, რომ გარკვეული ძალების მხრიდან ჩემ მიმართ მზადდებოდა სერიოზული „პიარპროვოკაცია“. კერძოდ, „ალიას“ ჟურნალისტის თამილა ლომაშვილის მიერ, რომელიც კავშირშია შს სამინისტროს პრესცენტრის უფროსთან პაატა გომელაურთან. ვისი დაკვეთით მოქმედებენ ისინი, ჩემთვის უცნობია, მაგრამ შევეცდები დავადგინო. ამის გამო არავითარი სურვილი არა მაქვს ასეთ პირობებში გავაგრძელო მუშაობა და უნდა წავიდე „სკანდალის“ გარეშე. ვთხოვე, რომ საქმის კურსში ჩაეყენებინა პრეზიდენტი, ვისთანაც დალაპარაკება მინისტრის გვერდის ავლით არ ჩავთვალე მართებულად.

იმავე დღესვე მივიღე ინფორმაცია, რომ მინისტრი სააკაშვილი-ოქრუაშვილი-თარგამაძის მოთხოვნით „თვითონაც“ ამზადებდა ჩემს შეცვლას, მაგრამ ამაზე, წყაროს გაშიფვრის თავიდან ასაცილებლად, არაფერი მითქვამს.

ამ დროს კი პანკისის ხეობა იცლებოდა კრიმინალებისა და ათასი ჯურის შეიარაღებული პირებისგან. ნაწილი ცდილობდა ჩრდილო კავკასიაში, ხოლო ნაწილი თურქეთის ან აზერბაიჯანის მხარეზე გადასვლას. ისეთებს, ვისზეც სათანადო მასალები არ გაგვაჩნდა, საშუალებას ვაძლევდით გასცლოდნენ საქართველოს.

ჩანაწერი დღიურიდან:

2002. 31 აგვისტო „უნდა გადავდგე თანამდებობიდან იმიტომ, რომ ასეთ ატმოსფეროში შეუძლებელია მუშაობის გაგრძელება. ერთი წლის უკან საქმის მიტოვება არ შეიძლებოდა და ვფიქრობდი, რომ რაღაც დადებითი მოხდებოდა, მაგრამ:

1. არაფერი შეიცვალა საკანონმდებლო ბაზაში (დაკავების ვადები, საგამოძიებო იზოლატორები, ოპერატიული მუშაობის ჩაშლა);

2. კადრების დენადობა და არაპროფესიონალიზმი;

3. მატერიალური ბაზა გაჩანაგდა (ტრანსპორტი, სპეცტექნიკა);

4. სოციალური პრობლემების გაღრმავება, დამნაშავეობის ხელშემწყობი პირობა;

5. სასამართლოების ლოიალური დამოკიდებულება და უკონტროლობა;

6. ცალკეული ხელმძღვანელი პირების კავშირები თავისუფლების ინსტიტუტთან და სააკაშვილთან.

7. პიარ კამპანიები, გომელაური, „რუსთავი-2“, „გორბი“, ნარკობარონები, ტერორისტები;

8. საეჭვო ფინანსური ოპერაციები ანტიკრიმინალური ღონისძიების დაფინანსებაში;

9. პირადი შემადგენლობის დეგრადაცია და გახრწნა;

10. პიარ პროვოკაციები, საიდუმლოების გატანა და კიდევ მრავალი სხვა ფაქტორი“

ყველაფერი ისე განვითარდა როგორც ველოდი. გაზეთ „ალიაში“ დაიბეჭდა თამარ ლომიშვილის შეკვეთილი, პროვოკაციული სტატია, რომელშიც ამ უნამუსო ქალბატონმა, ვინც უშიშროების დავალებით წლების მანძილზე ვახტანგ (ლოთი) ქობალიას „აკონტროლებდა“, ახლა ჩემთვისაც მოიცალა და მკვლელობის დამკვეთად მასაღებდა.

სანდო პირებმა მაშინვე მიმანიშნეს, რომ ამ სტატიის „შემკვეთები“ ახლო გარემოცვიდან იყვნენ და სამინისტროდან ჩემს ჩამოშორებაზე აქტიურად მუშაობდნენ. აი პუბლიკაციაც:

„ვეფხია მარგოშვილის აფეთქების სპეცოპერაცია გაიშიფრა ?![38]

რომელ მაღალჩინოსანს დაურეკა ვეფხია მარგოშვილმა სიკვდილამდე ერთი დღით ადრე

ერთი წლის წინათ პანკისელი ავტორიტეტი, ვეფხია მარგოშვილი საკუთარი სახლის ეზოში ააფეთქეს. იგი სოფელ დუისის საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა. ქისტების ადათ-წესის თანახმად, მარგოშვილის ოჯახის წევრებს და მეგობრებს სისხლი უნდა აეღოთ და მკვლელი სიცოცხლეს გამოესალმებინათ. სანამ პანკისელები მკვლელის ვინაობას დაადგენდნენ, მარგოშვილის მკვლელობის დამკვეთსა და შემსრულებელზე არაერთი ვერსია გავრცელდა. ჭორებმა გარდაცვლილის ოჯახის წევრები დააბნია და ვერც მკვლელობის დამკვეთს მიაგნეს და ვერც შემსრულებელს.

---

[38] თამარ ლომაშვილი. „ვეფხია მარგოშვილის სპეცოპერაცია გაიშიფრა?!“. გაზ. „ალია“. 7-9 სექტემბერი. 2002

გამოძიება ფორმალურად ჩაერთო მარგოშვილის მკვლელობის საქმეში (ისევე, როგორც ხეობაში არაერთი მკვლელობის საქმეში) და ეს საქმე დღემდე გაუხსნელია. მარგოშვილის ოჯახმა უნდობლობა გამოუცხადა სამართალდამცველებს და მასალების მოსაკვლევად არც ეზოში (შემთხვევის ადგილზე) შეუშვეს და არც გარდაცვლილზე ექსპერტიზის ჩატარების უფლება მისცეს.

მკვლელობის ერთ-ერთი ვერსია ესპანელების გატაცებასაც დაუკავშირეს, ასევე, ჩეჩნებთან არასასურველ დამოკიდებულებას, მეგობრებში საქმეების გარჩევას, ხადორჰესზე მეწილეობას, გასაიდუმლოებულ კასეტას და ა. შ.

თუმცა ამ ვერსიებიდან ერთ-ერთი გარდაცვლილის ახლობლებისთვის რეალობად იქცა და ისინი თითქმის დარწმუნებულები იყვნენ, რომ მარგოშვილის აფეთქება შინაგან საქმეთა სამინისტროში დაიგეგმა. ამ ვერსიის ფესვები კი ახლახან გამოჩნდა.

ეს ყველაფერი ასე დაიწყო:

მარგოშვილის მეუღლე მოსკოვში შვილთან მიემგზავრებოდა აეროპორტში მას ნიღბიანი შეიარაღებული პირები დაესხნენ და გაიტაცეს. მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ იგი დაპატიმრებული იყო. ამ ფაქტმა მარგოშვილის გაღიზიანება გამოიწვია და იგი საჯაროდ ემუქრებოდა ცოლის გამტაცებელს. მაშინვე გავრცელდა ვერსია, რომ ეს ოპერაცია შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის, ზურაბ ჩხაიძის იდეა იყო. ერთ-ერთი ვერსიით, ჩხაიძე პანკისის კრიმინალურ სამყაროსთან კავშირში იყო და ხშირად მათ წინადადებებსაც ითვალისწინებდა. ამავე ვერსიით, მარგოშვილის გადაწყვეტილება, ისტორიისთვის ჩაებარებინა კრიმინალური წარსული, მაღალჩინოსნებისთვის საფრთხეს წარმოადგენდა. ამიტომაც გახდა საჭირო, მარგოშვილის ფიზიკურად განადგურება. სპეცგეგმა მარგოშვილის პროვოცირებას ისახავდა მიზნად, შემდეგ კი მის ლიკვიდაციას. მარგოშვილის პროვოცირება მისი მეუღლის გატაცება იყო, ამ უკანასკნელის რეაგირება კი ძალოვნებისთვის გახდებოდა საბაბი, კანონის შესაბამისად ემოქმედათ მოკლედ, მარგოშვილმა ეს არ „ჭამა“, მიუხედავად იმისა, რომ მას წამქეზებლები დღე და ღამ არ ასვენებდნენ. ბოლოს და ბოლოს, პანკისელი ავტორიტეტი მიხვდა, რატომ უგებდნენ მახეს და ზურაბ ჩხაიძეს მობილურ ტელეფონზე დაურეკა. მათი საუბარი საქმის გარჩევებით დაიწყო. ბოლოს კი მარგოშვილმა ჩხაიძეს დედა შეაგინა. ამის შემდეგ, ომალოში, ჯიპის ტიპის (N005) ავტომანქანა ადის. იმ დღესვე მარგოშვილის ეზოში ნაღმს მარხავენ. იქვე, პატარა გორაკზე, ჩასაფრებულები მარგოშვილს უთვალთვალებენ. მეორე საღამოს, 17 საათსა და 25 წუთზე ის ააფეთქეს, ასეთია მკვლელობის ერთ-ერთი ვერსია.

ზურაბ ჩხაიძე, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე:

– ამბობენ, რომ მარგოშვილთან პირადი კავშირები გქონდათ...

– ახლა მაგი მაკლია კიდევ. სამწუხაროდ თუ საუბედუროდ, არ ვიცნობდი...

– იმ პერიოდში, როდესაც შსს-მ მისი მეუღლე დააკავა, მარგოშვილმა ტელეფონზე დაგირეკათ?

– არც მისი ზარი ყოფილა, არც მისაუბრია და არც ვინმე დაგვიკავებია.

– არსებობს ვერსია, რომ პანკისელ კრიმინალებთან გქონდათ ურთიერთობები...

– ეგ ყველაფერი ზღაპარია. მომწყინდა მითებზე პასუხის გაცემა, რომელი ალკაპონე მე ვარ? აბსურდულზე პასუხს არ ვცემ...

– ერთ-ერთი ვერსიით, თქვენ დაგეგმეთ მარგოშვილის აფეთქება...

– ტერორისტი ვარ? არავის სჭირდებოდა მკვდარი მარგოშვილი, პირიქით, ცოცხალი გვჭირდებოდა... დიდ ინფორმაციებს ფლობდა...

– ვისზე და რაზე ფლობდა ინფორმაციებს, რას გულისხმობთ?

– სამწუხაროდ, არ მოგვეცა საშუალება, მისგან რამე გაგვეგო. ისე კი, შინაგან საქმეთა სამინისტრო დიდია. აქ უამრავი სამსახური შედის. გარდა ამისა, სამინისტროს არ გაუცია მისი დაპატიმრების სანქცია, სასამართლომ გასცა...

– მაგრამ თქვენ დააკავეთ...

– მე მის დაპატიმრებაში მონაწილეობა არ მიმიღია...

– იქნებ, სწორედ ამ ინფორმაციების გასანადგურებლად ააფეთქეს მარგოშვილი?

– ჩვენ ვერ მოვახერხეთ, გაგვეგო ის, რაც მან იცოდა...

– ამავე ვერსიით, თქვენი მანქანა მარგოშვილის სახლთან მისი აფეთქების წინა დღეს დააფიქსირეს.

– რომელი მანქანა?

– ასე ბევრი მანქანა გყავთ?

– ზღაპარია ეს ყველაფერი...

– ხომ არ ფიქრობთ, რომ ამ ვერსიის გავრცელება ვინმეს სჭირდებოდეს თქვენი დისკრედიტაციისთვის?

– ყველაფერი შეიძლება იფიქრო...

უშიშროების სამსახური უარყოფს მარგოშვილის მკვლელობაში თავის სპეცსამსამხურების მონაწილეობას. შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობა ამ საკითხზე საუბარს თავს არიდებს... მარგოშვილების მეგობრები და ნათესავები კი აცხადებენ, რომ მკვლელობის დამკვეთი ზურაბ ჩხაიძეა. მათი თქმით, მალე დადგინდება მკვლელობის შემსრულებელიც“.

ახლა როცა ამ ქალბატონის შეთითხნილ პუბლიკაციას გაეცანით, დიდი თხოვნა მექნება ჟურნალისტ ანი მიროტაძის პუბლიკაციასაც გადავავლოთ თვალი, რომელიც გაზეთ „ახალ თაობაში“ გამოქვეყნდა და რომელშიც მარგოშვილის მეუღლე ლიდია სალტაევა „ალიას“ ჟურნალისტ თამილა ლომიშვილისკენ იშვერს ხელს და ქმრის მკვლელობასა და აგენტობაში ადანაშაულებს:

„ვეფხია მარგოშვილის მეუღლე ქმართან აგენტად იყო შეგზავნილი?[39]

ანი მიროტაძე

არავინ იცის, როდის გაიხსნება ვეფხია მარგოშვილის მკვლელობა და, საერთოდ, ამ მკვლელობასთან დაკავშირებულ ბურუსით მოცულ საქმეებს ეღირსება თუ არა რეალური გამოძიება, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ მარგოშვილის გვარი პანკისში განვითარებულ კრიმინალურ ისტორიებს აქტიურად უკავშირდებოდა და დღესაც უკავშირდება. სამწუხაროდ, ხელისუფლება ადრე ამ ხეობაში მიმდინარე მოვლენებით არ ინტერესდებოდა და პანკისი კრიმინალთა კერად ისე გადაიქცა, რომ მხოლოდ მას შემდეგ ატეხეს განგაში, რაც მსოფლიომ ტერორისტების მფარველობა და ნარკოტიკების მწარმოებელი ქარხნების პანკისში არსებობა წამოგვაძახა. ამას გიორგი სანაიას მკვლელობასთან დაკავშირებული ჭორ-მართალიც დაუკავშირდა, რასაც მალე ვეფხია მარგოშვილის მკვლელობა მოჰყვა და პანკისი საბოლოოდ გადაიქცა იმ საშიშ ნაღმად, რომელიც, როდის აფეთქდება, არავინ იცის. არადა, ალბათობა იმისა, რომ საქართველოს ამ კუთხეში შეიძლება საშინელი ტრაგედია დატრიალდეს, ძალიან დიდია. შევარდნაძე დღეს ჩეჩენი ლტოლვილების პანკისში შეშვებას ნანობს, მაგრამ ეს მონანიება ვერც შედეგს ამსუბუქებს და ვერც უმართავ მოვლენებს შეაჩერებს. როგორც ეტყობა, პანკისში ვითარება დღითიდღე უმართავი გახდება. სამართალდამცველები ჯერ დუმილს ამჯობინებენ. ყოფილი შს მინისტრი კახა თარგამაძე კი, რომელსაც პანკისთან და იქ განვითარებულ კრიმინალურ ისტორიებთან აქტიურად აკავშირებენ, ამ ხეობის შესახებ ერთ სიტყვასაც არ ამბობს. არადა, ყველამ კარგად იცის, რომ პანკისის შესახებ ყველაზე მეტ ინფორმაციას სწორედ ექსმინისტრი ფლობს. თუმცა შეიძლება მან ერთ დღეს ყველაფერი თქვას, მაგრამ გვიანი იყოს... ისე, ძალიან საინტერესოა იმ ამბების მოსმენა, რაც თარგამაძემ იცის...

ვეფხია მარგოშვილის ირგვლივ ატეხილი სკანდალი კი დღითიდღე აქტიური ხდება. ოდესმე ალბათ ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა და ამ აურზაურში სიმართლე მაინც გაირკვევა, მაგრამ ფაქტი ის არის, რომ მარგოშვილის ახლობელთა წრე ორად გაიყო და ერთმანეთს აგენტობასა და

[39] ანი მიროტაძე. „ვეფხია მარგოშვილის მეუღლე ქმართან აგენტად იყო შეგზავნილი?“ გაზ. „ახალი თაობა“. 23 იანვარი, 2002

ვეფხიას მკვლელობის მონაწილეობაში ადანაშაულებენ. შეიძლება აქაც ვიღაცის ხელი ურევია და მარგოშვილის ირგვლივ ასეთი ხმაური და აზრთა სხვადასხვაობა ვიღაცის ან ვიღაცების გეგმებში აქტიურად ჯდება, თუმცა ახლა ალბათ ვერავინ ხვდება, ამ მომენტმა როგორ შეიძლება იმოქმედოს იმ ტრადიციებზე, რომელიც ჯერ კიდევ ძლიერია პანკისელ ქისტებში ანუ სისხლის აღების ადათი იქ ჯერ კიდევ ძლიერია. ამის შესახებ უკვე აქტიურად ალაპარაკდნენ მარგოშვილის ნათესავები.

ეს ბოლო აურზაური მას შემდეგ გამწვავდა რაც გაზეთ „ახალ ვერსიაში“ მარგოშვილის მეუღლის, ლიდა სალტაევას ინტერვიუ დაიბეჭდა. მალე ამ ინტერვიუს გაზეთ „ალიაში“ საპასუხო მასალა მოჰყვა. „ალია“ როგორღაც მარგოშვილის ახლობლებს დაუკავშირდა. საქმე ის არის, რომ „ალიას“ ნაცნობი მარგოშვილის ახლობლები სალტაევას ქმრის მკვლელობაში მონაწილეობასა და აგენტობაში ადანაშაულებენ, სალტაევა კი ხელს „ალიას“ ჟურნალისტ თამილა ლომიშვილისკენ იშვერს და, საერთოდ, მარგოშვილის მკვლელობაში ჟურნალისტებსაც ადანაშაულებს. როგორც ეტყობა, საქმე ისე ჩაიხლართა და იმხელა ხმაური ატყდა, რომ სკანდალები არც სალტაევას ასცდება და არც „ალიას“, რადგან ორივე მხარე სასამართლოსკენ იყურება. ეს მომენტი კი აწყობთ როგორც მარგოშვილის მკვლელობაში ეჭვმიტანილ სამართალდამცავებს, ისე იმ აგენტებს, რომლებიც შეიძლება მართლა იყვნენ და არიან ხეობაში. სალტაევა, სავარაუდოდ, ამ დღეებში შეიტანს სარჩელს საოლქო სასამართლოში.

მანამდე კი უნდა აღინიშნოს, რომ ის მარგოშვილისა და ჟურნალისტ თამილა ლომიშვილის და-ძმადნაფიცობის რეალურობას ეჭვის ქვეშ აყენებს და გარკვეულ მინიშნებებს აკეთებს. მისი თქმით, ლომიშვილს სხვა გეგმები ჰქონდა ანუ მარგოშვილი ლომიშვილს საკუთარი დაქალისთვის უნდოდა. შესაბამისად, ეს ორი ქალი ერთმანეთს ვერ იტანდა, მაგრამ, როგორც ეტყობა, იმდენი სიბინძურეა ამ სამზარეულოში, რომ ჩვენ ზედმეტად ქექვას აღარ ვაპირებთ. თუმცა ფაქტია, რომ მეუღლეს და დადნაფიცს ერთმანეთის ვერ ატანის გარკვეული მიზეზები ჰქონდათ.

ლიდა სალტაევა:

– თამილა ლომიშვილი ჩვენთან პირველად გასული წლის მაისში მოვიდა და გვითხრა, რომ ჟურნალისტი იყო. თუმცა ჟურნალისტობის დამამტკიცებელი საბუთი არ წარმოუდგენია, მხოლოდ დიქტოფონი მაჩვენა. მერე ის ხშირად ჩამოდიოდა პანკისში და აცხადებდა, რომ ჩემი მეუღლის დადნაფიცი იყო, მაგრამ მისი არასდროს მჯეროდა. მოგვიანებით სხვა ჟურნალისტები და ელენე თევდორაძე ჩამოიყვანა. ეს მოხდა გასული წლის ივლისში, „ღამის კურიერში“ რომ ჩაერთო ვეფხო ტელეფონით, თამილას მითითებით მოხდა. ეს ყველაფერი თამილამ გააკეთა. მან მისცა ჩემს ქმარს „რუსთავი-2-ის“ ტელეფონის ნომერი. უთხრა, დარეკეო და მანაც დარეკა. ივლისში კი, როგორც გითხარით, სხვა ჟურნალისტებთან ერთად იყო ჩამოსული. ასევე ჩვენთან ჩამოვიდა დეპუტატი ელენე თევდორაძე. მანამდე თამილამ დაურეკა ვეფხოს და უთხრა, ჟურნალისტები ჩამომყავსო. მეორე დღეს მართლაც ჩამოვიდნენ ვიღაც დარეჯანი, ვინმე

ლენა და ქეთი მაისურაძე, რომელსაც ვიცნობდი. ჩვენი წესის მიხედვით, ცოლის სუფრასთან ჯდომა მიღებული არ არის და პერიოდულად გავ-დიოდი და შემოვდიოდი ხოლმე. სუფრის თავში ელენე თევდორაძე იჯდა, რომელიც ვეფხოს ელაპარაკებოდა. რომ ვკითხე, რაზე ლაპარაკობდით-მეთქი, მიპასუხა პანკისში შექმნილი მდგომარეობისა და ნარკობიზნესის შესახებ მელაპარაკებოდაო. კარგად მოულხინეს, მაშინ ალდამოვის ვაჟიც იქ იყო, მგონი, რაღაც კასეტას უყურებდნენ. მაგრამ, რა კასეტა იყო, არ ვიცი, რადგან მე იქ არ ვრჩებოდი, პერიოდულად გამოვდიოდი ხოლმე. ამიტომ ვერაფერს გეტყვით, ეს ის კასეტაა თუ არა, რომელზეც მოგვი-ანებით ელენე თევდორაძე და სხვები ლაპარაკობდნენ. თუმცა ელენე თევდორაძე რა კასეტაზე ლაპარაკობს და საერთოდ აქვს თუ არა რაიმე ნანახი, ვერ გეტყვით, ვერაფერი გავიგე. მე ვიცი, რომ გიორგი სანაიას მკვლელობა რაღაც კასეტას დაუკავშირეს, რომელიც პანკისში არსებულ მდგომარეობას ეხებოდა და, როცა გავიგე, რომ ჟურნალისტი გიორგი სანაია მოკლეს, მაშინვე ვკითხე ვეფხოს, ის ახალგაზრდა ჟურნალისტი ხომ არ იყო, ჩვენთან რომ ჩამოიყვანა თამილამ-მეთქი, მაგრამ მითხრა, რომ ის ჩვენთან ნამყოფი არ იყო. მე კი სანაიას სახეზე არ ვიცნობდი, რადგან ჩვენთან „რუსთავი-2-ის“ გადაცემები არ იყო. არ ვიცი იქ რაზე ილაპარაკეს და რა ინფორმაციები წაიღეს. მე ხომ ქართული არ მესმის, მაგრამ ჟურნალისტების ჩვენთან ჩამოსვლა მაშინვე არ მესიამოვნა, მაგ-რამ არაფერი მითქვამს. მეორე დღეს ჟურნალისტები და ელენე თევ-დორაძე წავიდნენ, თამილა კი კიდევ ორი დღე დარჩა და მოგვიანებით წამოვიდა, თან თქვა, მე არ ვიცი, ესენი რას დაწერენ და რას როგორ გააშუქებენ, მე არაფერი დამაბრალოთო. ვერ გეტყვით, რამდენად ენ-დობოდა ვეფხო თამილა ლომიშვილს, მაგრამ მე მასში ეჭვი მეპარებოდა ყოველთვის. თუ არ ვცდები, ის ვეფხომ აგენტის მხრიდან გაიცნო, ამ აგენტის შესახებ ყველამ ყველაფერი იცის, – აცხადებს ლიდა სალტაე-ვა, რომელიც, მას შემდეგ, რაც ციხიდან გაათავისუფლეს, ძირითადად თბილისში ცხოვრობს, მაგრამ ამაზე ოდნავ მოგვიანებით ვისაუბრებთ.

გუშინ ლიდა სალტაევას ჟურნალისტებთან შეხვედრას ესწრებოდნენ პანკი-სიდან სპეციალურად ჩამოსული მარგოშვილის ნათესავებიც – ბიძაშვილი ნოდარ ჩოფიკაშვილი, მამიდა ზაირა ჩოფიკაშვილი, მეზობელი, რომელიც მამიდად ეკუთვნის, ცარო ბექაური და განაცხადეს, რომ „ალიაში“ გამო-ქვეყნებულმა მასალამ ხეობაში დიდი პანიკა გამოიწვია, ანუ, მათი თქმით, ლომიშვილი და მისი ინფორმატორები, რომელთა ვინაობა ჯერჯერობით არ სახელდება, სალტაევას უსაფუძვლო ბრალდებებს უყენებენ და შეგ-ნებულად უწყობენ პროვოკაციებს. ამავე შეხვედრაზე პანკისიდან ვეფხოს ძმამ, ბადრი ჩოფიკაშვილმა დარეკა, მაინც რძლის მხარდასაჭერად, თუმცა კატეგორიულად ვერც იმას ვამტკიცებთ, რომ ის ნამდვილად ბადრი ჩოფი-კაშვილი იყო და ვერც იმას, რამდენად გულწრფელი იყო რძლის დაცვის დროს.

ამდენად, მარგოშვილის სანათესავო ორ ბანაკად გაიყო. ამ ორი ბანაკის წარმომადგენელთა პოზიციებს კი ორი გაზეთი აქტიურად აფიქსირებს – სალტაევასა და მისი მხარდამჭერებისას გაზეთი „ახალი ვერსია“, მეორე მხარისას კი – „ალია“ და მისი დადნაფიცი თამილა ლომიშვილი.

„ახალი თაობა“ კომენტარისთვის თამილა ლომიშვილს დაუკავშირდა, რომელიც აცხადებს, რომ იგი ვეფხოს დას ესაუბრა და ამის აუდიოჩანაწერიც არსებობს. თუმცა, ცარო ბექაურის ინფორმაციით, მარგოშვილის დას ასეთი რამ თამილა ლომიშვილისთვის არ უთქვამს. მათ ეჭვი სხვაზე აქვთ – ე. წ. იქაურ აგენტზე, მაგრამ ამაზეც ოდნავ მოგვიანებით ვისაუბრებთ.

თამილა ლომიშვილი:

– მე მაქვს ჩანაწერი და დავადასტურებ, რომ რაც ამ სტატიაში წერია, მოგონილი არ არის, მას შემდეგ, რაც „ახალ ვერსიაში“ სალტაევას ინტერვიუ დაიბეჭდა, მე დავუკავშირდი ვეფხოს ოჯახის წევრებს და ტელეფონით ვესაუბრე. ისინი აღშფოთებულები იყვნენ, რომ სალტაევამ ვეფხოს დაღუპვის შემდეგ ყველაფერი გაიტანა სახლიდან და გაყიდა. მათივე თქმით, ის ჯაშუში იყო და სხვა რაღაცებით ილაპარაკეს, მაგრამ ახლა ამაზე არაფერს ვიტყვი. მათ ეჭვი აქვთ, რომ ლიდა ჯაშუში იყო და მარგოშვილის მკვლელობაში ისიც მონაწილეობდა. ყველაფერზე ლაპარაკი კი არ შეიძლება, თორემ პანკისში ყველამ ყველაფერი იცის, – აცხადებს თამილა ლომიშვილი, რომელიც „ალიასთან“ერთად თვითონ აპირებს სასამართლოში ჩივილს.

რაც შეეხება იმ ე. წ. ჯაშუშს, რომელზეც სალტაევას და მის მხარდამჭერებს ეჭვი აქვთ, სავარაუდოდ, მედიკო ჰქვია, რომელიც, მათი მტკიცებით, პოლიციის აგენტი უნდა იყოს. მათივე თქმით, ლომიშვილი და მისი დაქალები, სწორედ მასთან ხვდებოდნენ ერთმანეთს. მათ ასევე ეჭვი აქვთ, რომ „ალიაში“ გამოქვეყნებული ინკოგნიტო ინტერვიუც მისი მიცემულია, თუმცა თამილა ლომიშვილი ამის შესახებ არაფერს აცხადებს. როგორც ამბობენ, ეს ვინმე მედიკო ნარკოტიკებით ვაჭრობს, დააკავა კიდეც პოლიციამ, მაგრამ მალევე გაათავისუფლა. მარგოშვილის ახლობლები ეჭვობენ, რომ თავისუფლების სანაცვლოდ მან პოლიციის ჯაშუშობაზე თანხმობა განაცხადა.

ლიდა სალტაევა ციხიდან გასული წლის დეკემბრის თვეში გამოუშვეს და საქმე შეწყდა. საზოგადოებამ მისი დაკავების ისტორია იცის და კონკრეტულად აღარ ვისაუბრებთ. შეგახსენებთ მხოლოდ იმას, რომ ის აეროპორტის გზაზე დააკავეს. სალტაევა მოსკოვში მიფრინავდა ქალიშვილთან. ისე, როგორც მისი ადვოკატის, ლერი ტყეშელაშვილის განცხადებიდან ირკვევა, გატაცებული ხალილოვის საქმეც კარგად შეეტენებოდა მარგოშვილს, რომ არ დაღუპულიყო, რადგან საქმეში სალტაევას დაკავების დღესვე გაჩნდა წერილი, რომელსაც ვითომ მარგოშვილის დაწერილი, მეგობრები სწერდნენ ვილაცას მოსკოვში, სადაც ნახსენები იყო ხალილოვი, ისინი უთითებდნენ საკუთარ ადგილსამყოფელსაც, რომ თითქოს ვეფხოსთან იყვნენ მთაში. პრინციპში საქმე კარგად შეიკერებოდა, მაგრამ საჭირო აღარ იყო და

სალტაევაც გაათავისუფლეს, ბოლოს და ბოლოს, მარგოშვილი დაიღუპა და მათი ერთობლივი ოპერაციაც ჩაიშალა. სალტაევას გათავისუფლების ძირითად მიზეზად სწორედ ეს დასახელდა. ასე იყო თუ ისე, სალტაევა გაათავისუფლეს და ის ახლა საქართველოდან გამგზავრებას აპირებს, მაგრამ ჯერ არა, რადგან ხელისშემშლელი მიზეზები არსებობს. მისი პატიმრობის ისტორიაც საკმაოდ და საინტერესოდ გამოიყურება. ისე, რაც დრო გადის, ამ საქმეში კითხვის ნიშნები უფრო მეტად იმატებს და იხლართება. ფაქტია, რომ მარგოშვილს ბევრი ჩახლართული ისტორია უკავშირდება და ყველაფერი ახლა ნელ-ნელა ირკვევა.

თავის დროზე, როცა სალტაევა დააკავეს, მარგოშვილმა დახმარებისთვის თამილა ლომაშვილს დაურეკა და ადვოკატის აყვანა სთხოვა. მან საქმეში ადვოკატი ოთარ ფანქველაშვილი ჩართო. ფანქველაშვილი ადრე ლომიშვილთან ერთად იყო პანკისში. მარგოშვილმა ამის შესახებ ლიდას შეატყობინა, მაგრამ ფანქველაშვილი მხოლოდ ერთხელ იყო სალტაევასთან და მის დაცვაზე უარი თქვა, რადგან არ გადაუხადეს. სალტაევას ფული და ოქროული კი, რომელიც დაკავების დროს ჰქონდა ლომიშვილის ხელში მოხვდა. ვეფხო მარგოშვილმა პარალელურად დახმარებისთვის ილო ბარაბაძეს მიმართა, მან კი ადვოკატად ლერი ტყეშელაშვილი მიუყვანა. ლიდა სალტაევა ლომიშვილის მიყვანილ ადვოკატს არ ენდობოდა.

როგორც სალტაევა აცხადებს, ლომიშვილი მას არ დახმარებია, როცა ციხეში იჯდა, ლომიშვილი კი სხვა რამეს ამბობს – მისი ციხიდან გამოყვანისთვის ბევრი ნაცნობი მაღალჩინოსანი შეაწუხა. მოკლედ, ასეა თუ ისე, ლიდა სალტაევა და მისი ადვოკატი „ალიას“ წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელის შეტანას ამ დღეებში აპირებენ. „ალია“ კი აქეთ ედავება მას და მის ადვოკატს. ვნახოთ, რა იქნება, ისე, მარგოშვილის ოჯახის ინკოგნიტო წევრებმა, რომლებიც თამილა ლომიშვილს უფრო ენდობიან ანუ მის მხარეს არიან, სალტაევას და მის ადვოკატს ერთი კვირის ვადა მისცა, საქართველო დატოვონ, თორემ იქ ამოაყოფინებენ თავს, სადაც საჭიროა. ეს ვადა დღე-დღეზე გადის, სალტაევა კი წასვლას არ აპირებს.

– ლიდას უნდოდა ქალიშვილთან წასვლა, მაგრამ ასე არ არის საქმე. ჩვენ სხვა წესი და კანონები გვაქვს მთაში. მართალია, ვეფხო მოკვდა, მაგრამ ლიდას ჩვენი ნებართვის გარეშე არ აქვს ჩვენგან წასვლის უფლება, ის ჩვენი ოჯახის წევრია. ეს მიზეზიც რომ არ იყოს, მისი წასვლა პრობლემებთან არის დაკავშირებული. ამჟამად მისი ქალიშვილი მოსკოვიდან ჩეხოსლოვაკიაში გადასახლდა, იქ რომ გაემგზავროს, პასპორტია საჭირო, რომელიც ლიდას არ აქვს. ვერც აღება ხერხდება, რადგან პირადობის დამადასტურებელი მოწმობა მას გროზნოში აქვს აღებული. ამდენად, მისი გამგზავრება პრობლემებთან არის დაკავშირებული, მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნე, მას გამგზავრებას ვერავინ აიძულებს, – აცხადებს მარგოშვილის ბიძაშვილი ნოდარ ჩოფიკაშვილი.

ამდენად, მარგოშვილის სკანდალური ისტორია მისი სიკვდილის შემდეგაც გრძელდება და, როგორც ეტყობა, ბევრი რამ გაირკვევა, თუმცა ჯერ არ ჩანს ის გზა, რომელიც მარგოშვილის მკვლელთან თუ მკვლელობამდე

> მიგვიყვანს. მისი მკვლელობის ისტორია ისევ ბუნდოვანი რჩება. ლიდა სალტაევას სავარაუდო ვერსიაც არ აქვს.
>
> – ის რომ ვიცოდე, ვის ინტერესებში შედიოდა ვეფხოს მოკვლა, ხომ ვიტყოდი. მე ეს ყველაზე მეტად მაინტერესებს, მაგრამ, რა ვქნა, ვერ გავარკვიე, ვის რა უნდოდა და ვის რა სჭირდებოდა. შეიძლება ეჭვი ბევრზე მქონდეს, მაგრამ ეჭვებით ლაპარაკი არ შეიძლება, – აცხადებს ლიდა სალტაევა.
>
> მოკლედ, ვეფხია მარგოშვილის მეუღლე „ალიასა“ და მეუღლის დადნაფიცს სასამართლოში უჩივის, ვნახოთ რას იზამს „ალია“, მას სასამართლოში შეგებებული სარჩელით შესვლა ჯერ ბოლომდე გადაწყვეტილი არ აქვს.
>
> – ასე არ შეიძლება, ჩვენ სხვა ტრადიციები გვაქვს და შეიძლება ასეთ სტატიებს დიდი სისხლისღვრა მოჰყვეს. გამორიცხული არაფერი არ არის ისე. მე ძალიან მეშინია და, მგონია, საფუძველიც მაქვს, რომ ეს დაპირისპირება უკვე დაწყებულია და სისხლისღვრის რეალური საშიშროება არსებობს, – აცხადებს მარგოშვილის მამიდა ზაირა ჩოფიკაშვილი“.

სამწუხაროა, რომ სამართალდამცავ ორგანოებს შექმნილი სიტუაციის გამო ვეფხია მარგოშვილის მკვლელობის საქმეზე ობიექტური გამოძიების ჩატარების საშუალება არ მოგვცეს, რომელიც ჭეშმარიტებამდე მიგვიყვანდა.

●

როგორც ზემოთ აღვნიშნე თანამდებობის დატოვებას და სისტემიდან წასვლას ჯერ კიდევ 2001 წლის ნოემბრის მოვლენების შემდეგ ვფიქრობდი, მაგრამ სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინება მომიხდა. ასეთი პროვოკაციების შემდეგ კი, როცა ხედავ რომ მასში უახლოესი გარემოცვა მონაწილეობს და თან ასეთი უბინძურესი ფორმით, დარჩენა შეუძლებლად მიმაჩნდა. მაგრამ მოგეხსენებათ ყველაფერს თავისი წესი აქვს და არ შემეძლო ერთი ხელის მოსმით ყველაფრის მიტოვება და წყალში გადაყრა. თანაც ქვეყნისთვის ისეთ მნიშვნელოვან მომენტში, როდესაც თითქმის წელიწადნახევარი 24 საათიანი შრომის ფასად უსისხლოდ ვათავისუფლებდით ყველაზე ფეთქებად საშიშ ზონას, „პანკისის ანკლავად“ წოდებულ ხეობას.

ხეობა უკვე დატოვებული ჰქონდა 500-მდე ჩრდილო-კავკასიელ მებრძოლსა და არაბს, დანარჩენები გადადიოდნენ ჯუთას ხეობაში და ინგუშეთში. მცირე ნაწილმა ვერ შეძლო ამ ურთულესი მარშრუტის გავლა და უკან უბრუნდებოდნენ პანკისს. ამ პროცესებს კარგად აკონტროლებდა მცხეთა-მთიანეთის მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელობა, გენერალი ჯემალ ჯიქურაული და პოლკოვნიკი გოჩა სისაური.

რუსეთი თავისი საშუალებებით მშვენივრად ფლობდა სიტუაციას და ხშირად გვაყენებდა ფაქტის წინაშე, რაც იძულებულს გვხდიდა გარკვეულწილად გაგვეთვალისწინებინა მათი თხოვნები, ხშირად სამართლიანიც. ამის აუცილებლობას ისიც განაპირობებდა, რომ ჩვენც ხშირად გვჭირ-

დებოდა მათი დახმარება, განსაკუთრებით ძებნილთა დაკავებისა და გადმოცემის საკითხში.

ამ მიმართულებით კარგი ურთიერთობა ჩამომიყალიბდა ჩემს კოლეგასთან, გენერალ-პოლკოვნიკ რაშიდ გუმარის ძე ნურგალიევთან, რომელიც შემდგომში მინისტრიც გახდა.

მართალია პირადად ერთმანეთი ვერ გავიცანით, მაგრამ სატელეფონო კავშირითაც ვახერხებდით საქმიან ურთიერთობას. ჩვენი ყველა სატელეფონო კავშირის შესახებ, რაღა თქმა უნდა, საქმის კურსში ვაყენებდი მინისტრს. მიღებული გადაწყვეტილებები მასთან იყო შეთანხმებული. კონტროლს ალბათ არც სხვა უწყება გვაკლებდა, განსაკუთრებით რუსებთან ურთიერთობებისას.

12 სექტემბერს სიტუაცია ხეობაში გართულდა, გვიან ღამით შეიარაღებული თავდასხმა განხორციელდა დამბაზე. მინისტრი დუისში იმყოფებოდა. მისი განკარგულებით პირადი შემადგენლობა ყაზარმულ მდგომარეობაზე გადავიყვანე და მზადყოფნაში მოვიყვანეთ 500 კაციანი რეზერვი.

მე ისევ პანკისში გადავინაცვლე. ამ მოვლენების დროს დაიჭრა ხეობის რამდენიმე მკვიდრი, ხოლო ორი ჩეჩენი „ბოევიკი“ ლიკვიდირებულ იქნა ისაბაევის ჯგუფიდან.

ოპერატიული ჯგუფების მიერ წარმატებით გრძელდებოდა ძებნილ-კრიმინალთა დაკავება და იარაღისა და საბრძოლო მასალის ამოღება.

ამ დროისთვის უშიშროების სამინისტრო და ჩვენ პრაქტიკულად მთლიანად ვფლობდით სიტუაციას ხეობაში და შეიძლება ითქვას, რომ მოვლენების განვითარება ჩვენდა სასარგებლოდ მიგვყავდა.

16 ოქტომბრიდან გამოჩნდა შოთა ჭიჭიაშვილის კვალი და რამდენიმეჯერ საეჭვო ზარი განხორციელდა კომუტატორიდან მოსკოვში მცხოვრები მისი მეუღლის საცხოვრებელ ბინაში.

ამას ველოდით კიდეც. იქ უკვე ოპერატიულ ღონისძიებებს ატარებდნენ ჩვენი კოლეგები, რომლებთან მუშაობის კოორდინაციას ჩვენი წარმომადგენელი, გამოცდილი ოპერატიული მუშაკი, გენერალი ამური კვერნაძე წარმართავდა. 4 ნოემბერს ამურიმ მაცნობა, რომ ჭიჭიაშვილის ცოლთან ზარები განხორციელებულია ყაზახეთის ქ. ყარაგანდაში მდებარე მაღაზია „საიუბილეოდან“.

სასწრაფოდ გავაანალიზეთ ჯერ კიდევ ივლისში ზაზა ფერაძის და ზურაბ ტუშურის მიერ მოპოვებული ინფორმაციები და ჩამოყალიბდა მყარი ვერსია: შოთა ჭიჭიაშვილი და მუსლიმ ხანგოშვილი ყარაგანდაში არიან. გადაწყდა ოპერატიული ჯგუფის მომზადება და ყაზახეთში გამგზავრება გენერალ-მაიორ ზაზა შუბითიძის ხელმძღვანელობით.

ასეთი სერიოზული მისიით ჯგუფის გამგზავრებას სათანადო მომზადება სჭირდებოდა. უპირველესად დავუკავშირდი მოსკოვში ამური კვერნაძეს და გავაფრთხილე, რომ ვიწყებდით ახალ ეტაპს და სათანადოდ მომზადებულიყო საჭიროების შემთხვევაში რუსეთის მინისტრთან გრიზლოვთან ან ნურგალიევთან სასაუბროდ.

დავუკავშირდი მეგობარს, ყაზახეთის შს მინისტრს კაირბეკ სულეიმანოვს და გულითადი მოკითხვის შემდეგ დახმარება ვთხოვე. მანაც, რაღა თქმა უნდა, ხელშეწყობა აღმითქვა.

ამურიმ მომასმენინა ჭიჭიაშვილის სატელეფონო საუბარი მეუღლესთან, რომელიც 10-ში შედგა. ახლა ყველაფერი ჩვენს მოქმედებაზე იყო დამოკიდებული.

ოპერატიული ჯგუფი – გენერალი ზაზა შუბითიძე, პოლკოვნიკი შოთა ლობჟანიძე და ვიცე-პოლკოვნიკი ავთანდილ მჭედლიშვილი ბაქოდან ალმა-ატაში გაემგზავრნენ.

> **ამონაწერი ოპერატიული ცნობიდან:** „ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში ჩავედით 24 ნოემბერს, კვირა დღეს, რის გამოც ვერ მოხერხდა შს მინისტრთან შეხვედრა. მეორე დღეს შს მინისტრთან შეხვედრა მოხდა მისივე განკარგულებით მხოლოდ 19 საათზე. შეხვედრას ესწრებოდა ყაზახეთის შს სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებროს მთავარი სამმართველოს უფროსი, პოლიციის პოლკოვნიკი აზიზ სიზდიკის ძე სადუევი. შეხვედრის დროს ისინი გაეცნენ ოპერატიული ჯგუფის მივლინების მიზანს, მათ განემარტათ შოთა ჭიჭიაშვილისა და მისი დანაშაულებრივი ჯგუფის მიერ განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი დანაშაულების სიმძიმე, გაეცნოთ ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციები. კერძოდ ის, რომ ძებნილები თავს აფარებდნენ ქ. ყარაგანდში მცხოვრებ წარმოშობით დუისელ ისიდორე ბორჩაშვილთან, რომელიც ყარაგანდის პოლიციის აკადემიის ხელმძღვანელი გახლდათ და არტურ ბაღაკაშვილთან, რომელიც ყარაგანდის ოლქის შს სამმართველოს თანამშრომელი იყო.
>
> შს მინისტრის პირდაპირი განკარგულებით, რომელიც ტელეფონით პირადად ესაუბრა ყარაგანდის ოლქის შს სამინისტროს მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილეს, კრიმინალური პოლიციის უფროსს, პოლიციის პოდპოლკოვნიკს, მისი ნდობით აღჭურვილ პირს სულტან კუსეტოვს და დაავალა პირადად ეხელმძღვანელა ჩასატარებელი ოპერატიული ღონისძიებებისთვის, შეერჩია პირადი შემადგენლობიდან ისეთი თანამშრომლები, რომლებიც მაქსიმალურად დაიცავდნენ საიდუმლოებას და იმუშავებდნენ სრული კონსპირაციით, რადგან ისიდორე ბორჩაშვილი მუშაობდა ყარაგანდის იურიდიულ ინსტიტუტში კათედრის უფროსის თანამდებობაზე, იყო პროფესორი, ყარაგანდის ოლქის დეპუტატი და მის მიერ შემუშავებული იყო ყაზახეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლისა და საპროცესო კოდექსები, სარგებლობდა დიდი ავტორიტეტით, ხოლო ყარაგანდის თითქმის ყველა შს დანაყოფის ხელმძღვანელი და პროკურატურის

თანამშრომლების უმეტესი ნაწილი იყვნენ მისი აღზრდილები და იგი მათთან სარგებლობდა დიდი ავტორიტეტით. ამდენად იყო საშიშროება, რომ გაჟონილიყო ინფორმაცია. პირადი საუბრისას ა. სადუოვმა აღნიშნა, რომ ქ. ყარაგანდა კრიმინალურად ყველაზე ძალიან იყო დაზიანებული, რასაც ხელს უწყობდა წარსულში იქ განლაგებული ე. წ. „გულაგთა“ კოლონიები. განთავისუფლებული პირები სახლდებოდნენ აღნიშნულ ქალაქში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე, ხოლო შემდგომში კი იქმნებოდა ძლიერი კრიმინალური დაჯგუფებები. ყარაგანდაში ოფიციალურად რეგისტრირებული იყო ორმოცდაათი ათასზე მეტი ჩეჩენი ეროვნების მოქალაქე, იმასთან დაკავშირებით, რომ ყაზახეთში შესვლა არ საჭიროებდა სავიზო რეჟიმს, აღნიშნული რიცხვი სინამდვილეში ბევრად მეტი იყო. ჩეჩენი ეროვნების მოქალაქეებს ჩამოყალიბებული აქვთ ძლიერი კრიმინალური ჯგუფები, რომლებიც ეწევიან ნარკოტიკებით, იარაღით ვაჭრობას, რეკეტს და სხვა დანაშაულებრივ ქმედებებს.

მან ასევე აღნიშნა, რომ ქ. ყარაგანდა წარმოადგენდა საუკეთესო თავშესაფარ ადგილს, სადაც შეიძლებოდა დამნაშავის დამალვა. იმავე დღეს, 25 ნოემბერს ღამით გავემგზავრეთ ქ. ყარაგანდაში, ჯგუფზე მიმაგრებული იქნა ყაზახეთის შს სამინისტროს მთ. სამმართველოს ძებნის სამმართველოს უფროსი პოლიციის კაპიტანი ნურჟან კაკიევი, რომელსაც დაევალა ადგილზე ღონისძიებების ორგანიზება. იმავე დღეს ქ. ყარაგანდაში მოხდა შეხვედრა ქ. ყარაგანდის ოლქის შს მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილესთან, პოლიციის პოდ-პოლკოვნიკ სულთან კუსეტოვთან და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს უფროსთან, პოლიციის პოდპოლკოვნიკ ხადირ ამანბეკოვთან, რომლებმაც საუბრისას დაადასტურეს ქ. ყარაგანდაში რთული ოპერატიული ვითარება და ინფორმაციის გაჟონვის საშიშროება, რადგანაც მთავარი სამმართველოს უფროსი კურბატოვი იყო ისიდორე ბორჩაშვილის ახლო მეგობარი და მისთვის ცნობილი გახდა ოპერატიული ჯგუფის მივლინების მიზანი და არსებული ინფორმაციები. მათი წინადადებით საცხოვრებლად დაქირავებული იქნა თავდაპირველად კონსპირაციული ბინა, რომელიც შემდგომ რამდენჯერმე შევიცვალეთ ჯგუფის წევრების უსაფრთხოების მიზნით, რადგანაც არსებობდა თავდასხმის საშიშროება.

მეორე დღეს ე. ი. 26 ნოემბერს კონსპირაციულ ბინაში მოეწყო საქმიანი შეხვედრა აღნიშნულ თანამშრომლებთან, საუბრისას ს. კუსეტოვმა გადმოგვცა შს მთავარი სამმართველოს უფროსის კურბატოვის წინადადება, მასზედ რომ იგი შეხვდებოდა ი. ბორჩაშვილს და მასთან ექნებოდა საუბარი შ. ჭიჭიაშვილის ჩაბარების შესახებ, მაგრამ აღნიშნული წინადადება ჩვენ მიერ უარყოფილი იქნა. ს. კუსეტოვმა განაცხადა, რომ კურბატოვი აუცილებლად მაინც ეტყოდა ი. ბორჩაშვილს ჩვენ შესახებ. ღონისძიებების ჩასატარებლად შერჩეული იქნა მხოლოდ ნდობით აღჭურვილი თანამშრომლები.

გადმობირებული იქნა მაღაზია „საიუბილეოს“ ოპერატორი ალმაგულ კუნიშბაევა, მცხოვრები ხალიულინას ქ. №39-ში, რომელსაც წარედგინა

შ. ჭიჭიაშვილისა და მისი დანაშაულებრივი ჯგუფის წევრების ფოტოსურათები, მან ამოიცნო შ. ჭიჭიაშვილი და განაცხადა, რომ მისი მორიგეობის დროს რამდენჯერმე იქნა ნანახი შ. ჭიჭიაშვილი, ხოლო ბოლო დროს იგი ნახა 2002 წლის 21 ნოემბერს, შ. ჭიჭიაშვილი რამდენჯერმე იყო შემოსული მაღაზიაში, მას ეცვა შავი ქაშმირის ან ტყავის გრძელი პალტო, თავზე ეხურა ერთხელ შავი ტყავის კეპი, ხოლო მეორედ შავი ნაქსოვი ქუდი, ოპერატორის გადმოცემით შ. ჭიჭიაშვილი იყო მაღალი წელში მოხრილი, შევარდნილი თვალებით, ყურადღებას იქცევდა მისი ფრთხილი მოქმედება, ასევე გაიხსენა მის მიერ შეკვეთილი ტელეფონის საწყისი ორი ნომერი ქ. მოსკოვში 400-15-..., მას თან ახლდა დაბალი, ჯმუხი აღნაგობის პირი, ლაპარაკობდნენ მისთვის გაურკვეველ ენაზე, მაგრამ მეორე პიროვნება მან ფოტოსურათზე ვერ ამოიცნო. 21 ნოემბერს შ. ჭიჭიაშვილი შესული იყო რამდენჯერმე, მაგრამ მან დარეკვა ვერ მოახერხა. ა. კინუშბაევამ განაცხადა, რომ იმ შემთხვევაში, თუ შ. ჭიჭიაშვილი შევიდოდა დასარეკად წინასწარ მიცემულ ტელეფონზე შეგვატყობინებდა, მაგრამ მივლინების ბოლომდე იგი აღარ გამოჩენილა მაღაზია „საიუბილეოში“.

პერიოდული სატელეფონო საუბრები ყარაგანდიდან მოსკოვში გრძელდებოდა, თუმცა მალე შეწყდა. ჩვენდა სამწუხაროდ, მიუხედავად ჩვენი დიდი მონდომებისა, ოპერატიული ჯგუფი ხელცარიელი დაბრუნდა.

ამონაწერი ოპერატიული ცნობიდან: „ადგილობრივი ოპერატიული ხელმძღვანელობის აზრით ინფორმაცია გაჟონილი იყო და ამის შესახებ იცოდა ი. ბორჩაშვილმა, ხოლო ჩვენი იქ ყოფნა ართულებდა ძებნილის ადგილსამყოფლის დადგენას. კოლეგების აზრით, უკეთესი იქნებოდა ჯგუფი დაბრუნებულიყო საქართველოში, რაც გააადვილებდა მათ მიერ დამნაშავეთა ძებნას. შს სამინისტროს ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით 20 დეკემბერს მივლინება შეწყვეტილი იქნა“.

დაგვრჩა იმედი იმისა, რომ მოსკოვის მისამართს ძებნილი ადრე თუ გვიან მაინც მოიკითხავდა. ამიტომ ეს კავშირი მუდმივი ოპერატიული მეთვალყურეობის ქვეშ უნდა ყოფილიყო.

9 დეკემბერს უშიშროებამ ლაგოდეხის რაიონში სპეცოპერაცია ჩაატარა და ხეობიდან გასვლისას ლიკვიდირებული იქნა ქავთარაშვილი, მარგოშვილი, ბაგჩაევი, ტაგირ ხოჯაევი (მეტსახელად „მოჯახედი“). დაკავებული იქნა რუსეთის ძებნილი ყარაჩაელი კრიმშამხალოვი.

მანამდე კი, 6 ნოემბერს, ღამით, ხეობაში განვითარებული ჩვენი წარმატებული ღონისძიებების შედეგად, თავგზააბნეული კრიმინალების ჯგუფის გადაადგილების დროს მომხდარი შეტაკებისას, სრულიად კურიოზულ ვითარებაში დამნაშავეებს ხელიდან დაუსხლტა გატაცებული პიტერ შოუ და სიბნელეში დუისში განლაგებულ შინაგანი ჯარის ბლოკპოსტს მიადგა.

პოსტზე მყოფთაგან ინგლისური არავის ესმოდა და მომხდარის შესახებ ყველაზე ადრე იქ მყოფმა ირაკლი ალასანიამ შეიტყო, რომელმაც ღვთის-

გან ბოძებული „ნანატრი ტროფეი“ მაშინვე გადაიბარა „დოყლაპია გუშაგებიდან“ და თბილისში გამოქანდა.

შემდეგ ყველაფერი პიარის ოსტატების საქმე იყო, რომელიც როგორც ყოველთვის მაღალ დონეზე იქნა შესრულებული. შოუს გამოხსნას „შოუც“ შესაბამისი მიეძღვნა.

2002 წლის დეკემბრიდან ჩვენი ურთიერთობები ნურგალიევთან სისტემატური და ურთიერთსასარგებლო გამოდგა. მინისტრის დავალებით იგი საქართველოშიც კი მოვიწვიე ურთიერთგაცნობისა და საქმიანი ურთიერთობების შემდგომი გაღრმავების მიზნით. თანაც ჭიჭიაშვილის ძებნის გააქტიურებაც ვთხოვე. ჩვენს შორის ამ საკითხზე უკანასკნელი საუბარი 2003 წლის 13 მარტს შედგა. 19-ში კი თანამდებობიდან გადავდექი. როგორ მოხდა ჩემი თანამდებობიდან გადადგომა. ამის შესახებ ამ წიგნის ბოლო თავში ვისაუბრებ.

მოვლენებს გავუსწრებ და აქვე აღვნიშნავ, რომ ჩემი გადადგომიდან სულ რაღაც სამ თვეში, 24 ივნისს ჭიჭიაშვილი ცოლ-შვილთან მაინც ჩავიდა მოსკოვში და რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისა და გენერალ-მაიორ ამური კვერნაძის მიერ იქვე იქნა დაკავებული. მადლობა მათ და რაღა თქმა უნდა, რაშიდ ნურგალიევს.

„სუპერ“ ძებნილის დაკავებით კი, როგორც ხდება ხოლმე, საზოგადოების თვალში მორიგი ქულები სხვამ დაიწერა. უფრო მეტიც, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ „ვარდოსნების“ ხელისუფლებამ ზარ-ზეიმით მოახდინა მისი საქართველოში ეტაპირება იმ იმედით, რომ თარგამაძისა და მისი „გუნდის“ მამხილებელ კომპრომატებს მოიპოვებდნენ, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. რას იპოვნიდნენ რაც ბუნებაში არ არსებობდა. მკითხველს რომ წარმოდგენა შეექმნას, თუ რა დონის კრიმინალთან გვქონდა საქმე, მოდით ინგა ალავიძისა და სოფიკო ჩხაიძის ერთ პუბლიკაციას[40] გავეცნოთ:

„პანკისის ხეობის კრიმინალური პიონერები

გენერალურმა პროკურორმა, ნუგზარ გაბრიჩიძემ ხელი მოაწერა ერთ-ერთი სერიოზული ბანდიტური ჯგუფის საბრალდებო დასკვნას, რომლის 15-ტომიანი საქმეც უახლოეს დღეებში უზენაეს სასამართლოს გადაეცემა განსახილველად.

ჭიჭიაშვილის ბანდა

ჯგუფი, რომლის სამი წევრიც მალე სასამართლოს წინაშე წარდგება, პანკისის ხეობაში იყო დაბანაკებული. დიმიტრი აბრამიშვილი, თამაზ გაბროშვილსა და ალექსანდრე ფარმანიანს გენერალური პროკურორის საგა-

[40] ინგა ალავიძე, სოფიკო ჩხაიძე. „პანკისის ხეობის კრიმინალური პიონერები“. 8 ივლისი, გაზ. „24 საათი“. 2004 წ.

მოძიებო ნაწილმა განზრახ მკვლელობებში, ბანდიტიზმსა და სხვა მძიმე დანაშაულებში დასდო ბრალი. სამართალდამცველებმა ჯერჯერობით ვერ მოახერხეს ჯგუფის ლიდერის, დიდი გავლენის მქონე კრიმინალური ავტორიტეტის, პანკისელი მევლუდ ჭიჭიაშვილის დაკავება. იგი 1997 წლიდან იძებნება. სწორედ მან შექმნა ერთ-ერთი პირველი სერიოზული ბანდიტური დაჯგუფება, რომელიც პანკისის ხეობის უკონტროლობას დანაშაულებრივი საქმიანობისთვის იყენებდა. გენერალურ პროკურატურაში ჭიჭიაშვილის ბანდის მიერ ჩადენილი დანაშაულების გამო აღძრული საქმეები კარგა ხანს გაუხსნელი ეწყო, სანამ პოლიციამ ბანდის ერთ-ერთი წევრი არ დააკავა.

2001 წლის 16 სექტემბერს კახეთის პოლიციამ დიდი რაოდენობით ჰეროინის შექმნა-შენახვა-გადაზიდვის ფაქტზე დააკავა დიმიტრი აბრამიშვილი, თუმცა იმის გამო, რომ დაკავებული სხვა, გაცილებით სერიოზულ დანაშაულებშიც, იმხილებოდა, საქმე გენერალურ პროკურატურას გადაუგზავნეს. ძალიან მალე, 6 ოქტომბერს ქურდობის გამო დააკავეს თამაზ გაბროშვილიც. მან აღიარა, რომ, აბრამიშვილთან და სხვა პირებთან ერთად, არაერთი დანაშაული აქვს ჩადენილი, რომელთა შორისაა: პოლიციელის და სამხედრო პროკურორის მკვლელობები, ფირუზ ხოშაბაევის გატაცება, სხვადასხვა სახის იარაღის შენახვა-გადატანა-ტარება და გასაღება რამდენიმე მანქანის გატაცება. ეს დანაშაულები, რომლებიც ჩადენილია განსაკუთრებული სისასტიკით, ამჟამად პანკისის ხეობაში გამაგრებული კრიმინალური ავტორიტეტის, მევლუდ ჭიჭიაშვილის ბანდას მიეწერება. სწორედ ამ ბანდის წევრები იყვნენ აქამდე სამჯერ ნასამართლევი გაბროშვილი, ცოტა ხნის წინ სასამართლოს მიერ პატიმრობამისჯილი ივანე დობაძიშვილი, დიმიტრი აბრამიშვილი, აწ გარდაცვლილი გაიოზ სეხნიაშვილი.

ჭიჭიაშვილის დაჯგუფების შეიარაღება კარგად უზრუნველყოფილ სამხედრო ქვედანაყოფსაც შეშურდებოდა. გენერალურ პროკურატურაში ამ ჯგუფის თაობაზე შექმნილ 15-ტომიან საქმეს მტკიცებულებად ერთვის დაპატიმრებულ ბანდის წევრთაგან ამოღებული შეიარაღება – ლამის მთელი სამხედრო არსენალი: იაპონური წარმოების პორტატული რადიოგადაცემები, „АКС-ის“, „АКМ“-ის სისტემის ავტომატები; „Макаров-ის“, „ТТ-ს“ სისტემის პისტოლეტები და ასევე „Макаров-ის“ სისტემის მაყუჩიანი პისტოლეტები; „Ф-1-ს“ ტიპის ყუმბარები, „РДГ-2-ის“ ტიპის საიერიშო მოქმედების ხელყუმბარები; „РКБ-3-ის“ მცირეკალიბრიანი ჭურვმტყორცნის სამხედრო ვაზნები; „РГ-42-ის“ ტიპის ხელყუმბარა, რომლის ასაფეთქებლად გამოიყენება ტროტილი; „СКС-ის“ თვითდამმუხტავი კარაბინის ვაზნები და სხვა შეიარაღება. თუმცა, ჩვენს მიერ ჩამოთვლილი და საბრალდებო დასკვნაში 5 გვერდზე ჩამოწერილი შეიარაღების ნუსხა, დაპატიმრებულთა მიერ მათი აღჭურვილობის შესახებ მიცემულ ჩვენებებთან შედარებით,

ფაქტობრივად, ზღვაში წვეთია. მათ დეტალურად აქვთ დაწერილი ჭიჭიაშვილისა და მისი დაჯგუფების მიერ პანკისის ხეობაში მოწყობილი ბაზის სამხედრო შეიარაღება. საქმეში საუბარია იმ სამხედრო მომზადების თაობაზეც, რომელსაც ამ ბაზაში გადიან.

ვინ იტაცებდა „ნივებს“ თბილისიდან.

სწორედ ჭიჭიაშვილის ჯგუფს მიეწერება გარკვეული პერიოდის მანძილზე თბილისში გახშირებული „ნივების“ გატაცება. მათი ერთობლივი დანაშაულებრივი საქმიანობის ჩამონათვალი, 1998 წლიდან, სწორედ მანქანების გატაცებებით იწყება.

გამოძიებისთვის ცნობილია, რომ ჯგუფის წევრებს თბილისიდან ერთმანეთის მიყოლებით გატაცებული ავტომანქანები პანკისის ხეობაში გასაყიდად ჩაჰყავდათ.

1999 წელს ჯგუფმა უფრო სერიოზულ საქმეს მოჰკიდა ხელი. მორიგი გატაცებული „ნივით“ სეხნიაშვილი, ჭიჭიაშვილი, დობაძიშვილი, აბრამიშვილი, გაბროშვილი, პანკისის ხეობაში სტუმრობის შემდეგ, საგარეჯოში, ექიმ ზურაბ პეტრიაშვილის ოჯახზე თავდასასხმელად გაემართნენ. ავტომატებით, პისტოლეტებით, ყუმბარებით შეიარაღებულებს საქმე ცნობისმოყვარე ქალბატონებმა ჩაუშალეს. საგარეჯოს ერთ-ერთ ქუჩაზე უცნობი ხალხით სავსე მანქანის გამოჩენის შესახებ ქალბატონმა პოლიციას აცნობეს. პოლიციის მხრიდან პირადობის დამადასტურებელი საბუთების მოთხოვნას ბოროტმოქმედებმა ცეცხლის გახსნით უპასუხეს. ორმხრივი სროლისას დაიღუპა პოლიციელი ქურხული, დანარჩენი ოთხი პოლიციელი დაიჭრა, დაიჭრა ქალბატონი, რომელმაც პოლიციელებს საეჭვო მანქანის შესახებ აცნობა. პოლიციელთა საპასუხო სროლის შედეგად გარდაიცვალა გაიოზ სეხნიაშვილი, მძიმედ დაიჭრა ივანე დობაძიშვილი და მსუბუქად – თამაზ გაბროშვილი, რომელმაც, სხვებთან ერთად, მიმალვა მოახერხა.

პოლიციელის მკვლელობის შემდეგ, ჭიჭიაშვილმა გაბროშვილი და აბრამიშვილი თავშესაფრით უზრუნველყო და მათ პანკისში ახლობელი ქისტების ოჯახებში მალავდა.

7 მილიონის ნაცვლად – 200.000

1999 წლის ზაფხულში კი ბანდამ ახალი დანაშაული ჩაიდინა. ცნობილი კასპელი ბიზნესმენის, რუსეთში ნავთობის ბიზნესში აქტიურად მომუშავე ნუგზარ წიკლაურის მამა – ფირუზ ხოშაბაევი მოიტაცეს. მოტაცების უზრუნველსაყოფად ჯერ მანქანა (კვლავ „Нива“) გაიტაცეს და დუშეთის რაიონის სოფელ ჩინთში გაემართნენ, სადაც ხოშაბაევს აგარაკი ჰქონდა და ხშირად ჩადიოდა. იქ დამნაშავეებმა ტყეს შეაფარეს თავი, მანამდე, სანამ შეიტყობდნენ, რომ მსხვერპლი, თანმხლებებთან ერთად, მოდიოდა, მაშინ

ისინი ხოშაბაევის სააგარაკო სახლში შევიდნენ და ჩასაფრდნენ. სახლში შესულ ხოშაბაევსა და მასთან ერთად მყოფ სამ პირს თავს დაესხნენ, გაკოჭეს, ხოშაბაევი თან წაიყვანეს, დანარჩენები კი სააბაზანოში ჩაკეტეს. ჯერ მძევლის, მერე გატაცებული მანქანით, ბოლოს კი ფეხით მიაღწიეს პანკისის ხეობამდე, სადაც, გატაცებულთან ერთად, თავიდან სხვადასხვა ოჯახებს, შემდეგ პანკისში, „ბაწარას ნაკრძალში“ – გატაცებულ მძევალთათვის ტყეში სპეციალურად აშენებულ ქოხში აფარებდნენ თავს. ამასთანავე პერიოდულად ტელეფონით უკავშირდებოდნენ გატაცებულის შვილს და გამოსასყიდს – ჯერ 7, მერე კი 5 მილიონ დოლარს სთხოვდნენ. მხოლოდ 3 თვისა და 10 დღის შემდეგ გაათავისუფლეს ხოშაბაევი, როცა მისმა შვილმა გამოსასყიდი -200 ათასი დოლარი გადაიხადა.

„წითელი ჯვრის“ წარმომადგენელთა გახმაურებული საქმე

გენერალური პროკურორის მონაცემებით, სწორედ მევლუდ ჭიჭიაშვილისა და დიმიტრი აბრამიშვილის მიერ იყო ორგანიზებული 2000 წლის აგვისტოში „წითელი ჯვრის“ საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელთა გატაცება.

ჭიჭიაშვილის საქმეში არსებობს პანკისის ხეობის ადგილობრივი ხელისუფლების, უხუცესთა საბჭოსა და მოსახლეობის შუამდგომლობები, სადაც წერია, რომ მათ ჭიჭიაშვილმა და აბრამიშვილმა, გატაცებულთა გათავისუფლების სანაცვლოდ, პრეზიდენტთან და კახეთის რწმუნებულთან შუამდგომლობის გაწევა მოსთხოვეს. საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელთა გამტაცებლები აღმკვეთი ღონისძიების შეცვლას და მათზე გამოცხადებული ძებნის შეწყვეტას ითხოვდნენ. ასეც მოხდა, 2000 წლის 12 აგვისტოს ჭიჭიაშვილსა და აბრამიშვილს მთაწმინდა-კრწანისის სასამართლომ, პანკისის ხეობაში შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, გამოძიების შუამდგომლობით, აღმკვეთი ღონისძიება შეუცვალა. სამაგიეროდ, ჭიჭიაშვილმა კანონდამცველებს გატაცებული უცხოელები გადასცა.

2001 წლის მაისის დასაწყისში ჭიჭიაშვილმა და ციხისთავმა გადაწყვიტეს ებრაელი რაბინის, არიელ ლევინის გატაცება ფულის გამოძალვის მიზნით, ამისთვის მათ მანქანა სჭირდებოდათ, ამიტომაც 7 მაისს ჩავიდნენ თბილისში და კუს ტბაზე „BMW-ს“ მარკის მანქანა შეამჩნიეს. ციხისთავმა, რომელიც პოლიციელის ფორმაში იყო ჩაცმული, მანქანის მძღოლს, საბუთების მოთხოვნით, მანქანის კარები გააღებინა, რის შემდეგაც მძღოლსა და მანქანაში მყოფ ახალგაზრდა გოგონას თავს დაესხნენ ავტომატებითა და ხელყუმბარებით შეიარაღებული ნიღბიანი ბანდიტები. მათი მსხვერპლი პარლამენტარი პეტრე ცისკარიშვილი და მისი მეგობარი ანა სურმავა აღმოჩნდნენ. ბოროტმოქმედებმა იქვე გადაწყვიტეს მათი გატაცება ფულის გამოძალვის მიზნით: მძევლად აყვანილები, გომბორის გზით, პანკისის

ხეობის სოფელ ომალოში გადაიყვანეს, სადაც გატაცებულები ტყვეობაში 12 მაისამდე ჰყავდათ. კანონდამცველების მიერ საქმეში კრიმინალური სამყაროს თავკაცების ჩარევისა და გამტაცებელთათვის ხელშეუხებლობის გარანტიის მიცემის შემდეგ, მძევლად აყვანილი პარლამენტარი და მისი მეგობარი გაათავისუფლეს.

გამოძიების ხელთ არსებული ინფორმაციით, პეტრე ცისკარიშვილი და ანა სურმავა პანკისის ხეობის კრიმინალური ავტორიტეტის, ვეფხია მარგოშვილის სახლში იყვნენ დატყვევებულნი.

2001 წლის 14 თებერვალს მევლუდ ჭიჭიაშვილი და მისი ბანდის წევრები თავს დაესხნენ „საფოსტო ბანკის“ ახმეტის ფილიალის თანამშრომლებს, რომლებსაც პანკისის ხეობის სოფლებში მოსახლეობისთვის პენსიები მიჰქონდათ. ნიღბებით სახედაფარული და ავტომატებითა და ხელყუმბარებით შეიარაღებული ჭიჭიაშვილი, ციხისთავი, ორი ქისტი და ერთიც ჩეჩენი ბოროტმოქმედი ახმეტა-მატანის გზაზე თავს დაესხნენ „საფოსტო ბანკის“ თანამშრომელთა მანქანას და 13 ათასი ლარი და ბანკის თანამშრომელთა ტაბელური პისტოლეტი გაიტაცეს.

პროკურორის მკვლელობა

დანაშაულებრივ ჯგუფს 2000 წლის ზაფხულში შეუერთდა, ადრე მძიმე ბრალდებით ნასამართლები, ალექსანდრე ფარმანიანი. 5 ივნისს ისინი, მანქანის გატაცების მიზნით, ჯვრის მონასტერში ასვლაზე შეთანხმდნენ, რათა მონასტრის მიმდებარე ტერიტორიიდან მანქანა გაეტაცათ. დღის ორი საათიდან საღამოს 9 საათამდე უშედეგო ლოდინის შემდეგ მონასტრის ტერიტორია დატოვეს და საწინააღმდეგო მიმართულებით – ავჭალის გზატკეცილისკენ გაემართნენ. ამ დროს სასაუზმე „ფიჭვებთან“ მათკენ მომავალი მანქანა შენიშნეს, რომელმაც მთავარი გზიდან გადაუხვია. დამნაშავეები დაედევნნენ და გადასახვევიდან 300 მეტრში გაჩერებული „Volkswagen Passat-ი“ დაინახეს და ავტომატითა და მაკაროვის სისტემის პისტოლეტით შეიარაღებულნი თავს დაესხნენ მანქანაში მსხდომთ. როგორც შემდეგ აღმოჩნდა, მანქანაში, სხვებთან ერთად, საქართველოს მთავარი სამხედრო პროკურატურის განყოფილების პროკურორი ზაზა ნაყეურიც იჯდა, რომელმაც ბოროტმოქმედებს საპასუხო ცეცხლი გაუხსნა. ორმხრივი სროლის შედეგად ნაყეური მძიმედ დაიჭრა და, მიუხედავად დროული სამედიცინო დახმარებისა, გარდაიცვალა. დაიჭრა გაბროშვილიც, მაგრამ მისი ჭრილობები არც ამჯერად იყო მძიმე და ორივე დამნაშავე შემთხვევის ადგილიდან ადვილად მიიმალა. ზაზა ნაყეურის მკვლელობისას გამოყენებული პისტოლეტი თამაზ გაბროშვილმა პანკისის ხეობაში, სოფელ დუისში მურად ხანგოშვილს მიჰყიდა.

მოუხელთებელი ბანდიტი ელექტროსადენის ქურდობაზე ჩავარდა

2001 წლის 3 ივლისს გაბროშვილი, თავის ძმასთან ერთად, ავტომატითა და „РГД-5-ის“ ტიპის ხელყუმბარით შეიარაღებული, გარდაცვლილი სეხნიაშვილის მეუღლის, ლია კაზანჯიანცის ბინიდან გამოვიდა. სადარბაზოში, კიბეზე ჩამოსვლისას იგი შემოვლაზე მყოფმა პოლიციელებმა შეამჩნიეს და პირადობის დამადასტურებელი მოწმობები მოსთხოვეს, რასაც გაბროშვილების მხრიდან ცეცხლის გახსნა მოჰყვა. წინააღმდეგობის მიუხედავად, პოლიციამ დააკავა თამაზ გაბროშვილის ძმა, თავად საშიში ბოროტმოქმედი კი გაიქცა.

საინტერესო ის გახლდათ, რომ სასტიკი ყაჩაღობებისა და მკვლელობებისთვის ძებნილი თამაზ გაბროშვილი „ეი-იეს „თელასის“ კუთვნილი 12 ათასი ლარის ღირებულების მაღალი ძაბვის ელექტროსადენის ქურდობისთვის დააპატიმრეს.

თამაზ გაბროშვილის მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედებები უმძიმესი მუხლებით კვალიფიცირდება, თუმცა, თავად გაბროშვილი, მართალია, რიგ დანაშაულებს აღიარებს, მაგრამ ბევრ დეტალში თავს დამნაშავედ არ ცნობს. მაგალითად, ზაზა ნაყეურის მკვლელობას თავდაცვად მიიჩნევს და ამბობს, რომ მართალია ის ფარმანიანთან ერთად, თავს დაესხა მანქანაში მსხდომთ, მაგრამ ცეცხლი პირველმა ნაყეურმა გახსნა. გაბროშვილი ასევე უარყოფს ბანდიტური დაჯგუფების წევრობასა და, მით უმეტეს, ამ დაჯგუფების ხელმძღვანელობას.

ივანე დობიძაშვილი სამართალდამცველებმა საგარეჯოში პოლიციელებზე მომხდარი თავდასხმის დღესვე დააკავეს. იგი თავდასხმის ადგილას დაჭრილი, უგონო მდგომარეობაში მიწაზე ეგდო.

თბილისელი, ოქროსუბნელი, კრიმინალური სამყაროს წარმომადგენელი ივანე დობიძაშვილი უზენაესმა სასამართლომ გაასამართლა და 20 წლით პატიმრობა მიუსაჯა.

მოგვიანებით დააპატიმრეს კახა ციხისთავიც. მისი სასამართლო პროცესი სულ ცოტა ხნის წინ დასრულდა – მისთვის 12-წლიანი პატიმრობის მისჯით.

დიმიტრი აბრამიშვილი, თამაზ გაბროშვილი და ალექსანდრე ფარმანიანი ამჟამად ორთაჭალის ციხის პატიმრები არიან.

რაც შეეხება მევლუდ ჭიჭიაშვილს, იგი კვლავ ძებნილია. კანონდამცველთა ინფორმაციით, პანკისელი ავტორიტეტი ხეობაში იმყოფება. ჭიჭიაშვილის გარდა, გენერალური პროკურატურა ჯგუფის კიდევ სამ წევრს ეძებს, რომელთა ვინაობაც ჯერჯერობით არ სახელდება. არსებული მონაცემებით, სამივე კრიმინალიც პანკისის ხეობაში, ჭიჭიაშვილთან იმყოფება“.

შოთა ჭიჭიაშვილს სასამართლომ 22 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, თუმცა 10 წლის შემდეგ 2013 წლის 3 ივნისს ამნისტიით განთავისუ-

ფლდა და ქვეყნიდან გაემგზავრა. 2019 წლის 1 ოქტომბერს კიევის მახლობლად სოფ. ხოტიონოვკაში ჩატარებული სპეცოპერაციის დროს ორმხრივი სროლისას მოკლული იქნა მოქალაქე, რომელსაც 23 სექტემბერს კიევის ობოლონის რაიონში პოლიციელებზე თავდასხმისა და ორი სპეცრაზმელის დაჭრისთვის ეძებდნენ. იგი საქართველოში ნომერ პირველ ტერორისტად შერაცხილი შოთა ჭიჭიაშვილი აღმოჩნდა!

რა განზრახვითა და მიზნით იმყოფებოდა იგი უკრაინაში ვერაფერს გეტყვით. მართალია დასრულდა ესე ამბავი, მაგრამ როგორც უფალი გვეუბნება „არარაი არს დაფარული, რომელი არა გაცხადდეს, და დამალული, რომელი არა საცნაურ იყოს“.

პანკისის ანკლავი – ეს იყო საქართველოს უახლოეს ისტორიაში ხელოვნურად (გარედან) შექმნილი ნაღმი, რომელიც სამართალდამცავების სწორი და მიზანმიმართული მუშაობით, აფეთქებას გადაურჩა.

გადადგომა

ზემოთ ვთქვი, რომ კახა თარგამაძის გადადგომის შემდეგ თანამდებობაზე დარჩენის და მუშაობის გაგრძელების არანაირი სურვილი აღარ გამაჩნდა. უკიდურესად გადაღლილი ვიყავი, როგორც ფიზიკურად, ისე მორალურად. მომავალი კი აშკარად ბურუსით იყო მოცული.

ქვეყანაში შექმნილი ურთულესი კრიმინოგენური სიტუაცია, პანკისის ანკლავი, სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაპირისპირებული პოლიტიკური ჯგუფები, ქვეყნის გარედან დაფინანსებული არასამთავრობოებისა და მედიასაშუალებების გამიზნული ქმედებები, საზოგადოებაში რევოლუციური განწყობის გასაღვივებლად, მძიმე პერსპექტივას აჩენდა. პრეზიდენტის მიერ მიღებული საკადრო გადაწყვეტილებები კი აშკარად მოწინააღმდეგე ძალების წისქვილზე ასხამდა წყალს.

ვიფიქრე, დროა გავეცალო ამ უმადურ და სალანძღავ საქმეს მეთქი. კერძო სტრუქტურებში ვაპირებდი საქმიანობის გაგრძელებას. მაგრამ თანამოაზრეთა წრეში ჩემს გადაწყვეტილებას კატეგორიული წინააღმდეგობა მოჰყვა. ისინი თვლიდნენ, რომ ეს პრაქტიკულად ღალატის ტოლფასი და ბრძოლაში მიტოვება იქნებოდა. მინისტრის თანამდებობაზე დანიშნული ჩვენი კოლეგა კობა ნარჩემაშვილიც თანადგომას და მხარდაჭერას ითხოვდა. ჟურნალ „გზაში“ გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში „დატოვებს თუ არა ზურაბ ჩხაიძე თანამდებობას?“[41] მინისტრი ამბობდა:

> „საჯაროდ ვაცხადებ, რომ ზურაბ ჩხაიძე თანამდებობას არ დატოვებს და დროა, პრესაში თუ კულისებში ამის შესახებ დისკუსია შეწყდეს. მე მიუღებლად და არაკორექტულად მეჩვენება ამის შესახებ შეკითხვების დასმაც კი. ბატონი ზურაბი პროფესიონალია. ის იღებს და მშვენივრად ართმევს თავს სერიოზულ დავალებებს და ვერ ვხედავ მიზეზს, რომ მისი თანამდებობიდან წასვლის საკითხი დღის წესრიგში დადგეს. ეს არის სისტემა, რომელშიც ნებისმიერმა მოუზომავად ნათქვამმა სიტყვამ შეიძლება სამინისტროს მუშაობაში დისონანსი შეიტანოს და საკმაოდ მძიმე შედეგებითაც კი დამთავრდეს. თუმცა, ჩემი განცხადება იმას არ ნიშნავს, რომ შს სამინისტროში ზოგადად საკადრო ცვლილებებზე საუბარი შეწყვეტილია. საკადრო ცვლილებები განხორციელდება იმ მოთხოვნების შესაბამისად, რასაც ჩვენს წინაშე ყოველდღიურობა დააყენებს. მაგრამ მხოლოდ ისეთ დროს და ისეთ ვითარებაში, როდესაც ამისი აუცილებლობა იქნება“.

ამ დროისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა პანკისის რეგიონში კრიმინოგენური სიტუაციის სტაბილიზაციის ფართომასშტაბიან ღონისძიებებს, რომელსაც უშიშროების სამინისტროსთან ერთად ვატარებდით და გეგმის პირველი ეტაპი შეიძლება ითქვას წარმატებით იყო დასრულებუ-

[41] ჟურნ. „გზა.“ №13. 23 მარტი. 2002

ლი. საჭირო იყო ბოლო ეტაპის – ხეობის შიგნით შესვლისა და კრიმინალებისგან საბოლოო განთავისუფლების უსისხლოდ დაგვირგვინება. გეგმის პირველი ნაწილის განხორციელებას შინაგან საქმეთა სამინისტროდან კახეთის რეგიონში მე ვკურირებდი, შინაგანი ჯარების სარდალთან, გენერალ გიორგი შერვაშიძესთან და სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსთან ზურაბ ტუშურთან ერთად.

ამ დროს კი ე. წ. „რეფორმატორები“ თანამდებობიდან ჩემს განთავისუფლებას დაჟინებით ითხოვდნენ მინისტრისგან. ინფორმაცია ამის შესახებ, რა თქმა უნდა, მქონდა. არც მინისტრი იყო ამის განსაკუთრებულად წინააღმდეგი და როგორც ვიცი, მანაც რამდენჯერმე დააყენა საკითხი პრეზიდენტთან, მაგრამ შევარდნაძე არ დაეთანხმა. ამიტომაც „რეფორმატორები“ განსაკუთრებული მონდომებით ცდილობდნენ საფუძვლიანი მოტივის პოვნას.

2002 წლის 22 მაისს ქუთაისში მეტად მნიშვნელოვანი საფეხბურთო მატჩი უნდა გამართულიყო. ქუთაისის „ტორპედო“ თბილისის „დინამოსთან“ არკვევდა ჩემპიონის ბედს. მატჩის წინ ძალზე დაძაბული ატმოსფერო შეიქმნა და ორივე გუნდის ფანებისგან სერიოზული არეულობა იყო მოსალოდნელი. მძიმე შედეგების თავიდან ასაცილებლად საჭირო გახდა სტადიონზე შს სამინისტროს დამატებითი ძალების მობილიზება. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებლობა რატომღაც მე დამევალა, მაშინ როდესაც ეს მიმართულება ჩემს სამსახურებრივ მოვალეობას არ წარმოადგენდა და მინისტრის სხვა მოადგილის კომპეტენციას განეკუთვნებოდა. ადვილი მისახვედრი იყო, რომ ამ უცნაური დავალების ჩემთვის გადმობარების იდეა იმ პოლიტიკური ჯგუფიდან მოდიოდა, რომელიც ჩემს დაკავებული თანამდებობიდან განთავისუფლებას დაჟინებით ითხოვდა. საფეხბურთო მატჩის შემდეგ, შესაძლოა დრამატული მოვლენები განვითარებულიყო და უმართავი სიტუაცია შექმნილიყო. ეს კი მე დამბრალდებოდა და თანამდებობიდან გათვისუფლების მოტივიც საძებნელი არ ექნებოდათ.

დამტკიცდა ღონისძიებათა გეგმა და დანიშნულ დროზე ქუთაისში ჩავედით. ტრიბუნებზე სხვადასხვა მხარეს 30 ათასამდე მაყურებელი იყო შეკრებილი, რომლებიც მატჩის პირველივე წუთიდან აგრესიულად იქცეოდნენ.

მატჩი დაძაბულად მიმდინარეობდა და საკმარისი იყო სულ მცირე საბაბიც კი, რომ ტრიბუნებზე უმართავი პროცესები დაწყებულიყო. სიმართლე უნდა ითქვას, რომ ცალკეული პასუხისმგებელი პირებიც კი ისე იქცეოდნენ, თითქოს პროცესების ასეთი განვითარება მათ ხელს აძლევდათ.

მალხაზ ასათიანის ერთადერთი გოლის წყალობით გამარჯვება მასპინძლებს დარჩათ და ზედიზედ მესამედ გახდნენ საქართველოს ჩემპიონები.

საბედნიეროდ, ძალოვანთა სწორი და გააზრებული მოქმედებების შედეგად, სერიოზული გართულებები აცილებულ იქნა.

ქუთაისი ზეიმობდა, ხოლო არეულობასა და ქაოსზე მეოცნებეთა გეგმები ჩაიშალა. ეს დღე სასიკეთო აღმოჩნდა ოზურგეთის საფეხბურთო კლუბ „მერცხალისთვისაც“.

სტადიონიდან გამოსვლისას სრულიად შემთხვევით ოზურგეთის „მერცხალის“ გუნდის უფროსს და ჩემს ძველ მეგობარს ბახვა გიორგაძეს შევხვდი, რომელმაც საფეხბურთო კლუბ „მერცხალის“ პრობლემებზე შემომჩივლა და გულდაწყვეტილმა მითხრა, ცოტა მეტი ყურადღება და ხელშეწყობა თუ იქნება, ოზურგეთის „მერცხალს“ უმაღლეს ლიგაში გადასვლის რეალური შესაძლებლობა გააჩნიაო.

დავპირდი, რომ ამ საკითხზე აუცილებლად ვიფიქრებდი. გამახსენდა წარსულში მართლაც დიდებული მახარაძის „მერცხალი“, რომელიც სსრკ ჩემპიონატის II ლიგის მე-9 ზონაში იმდენად კარგ და სანახაობრივ ფეხბურთს თამაშობდა, რომ 60-იანი წლების თითქმის არც ერთ შეხვედრას არ ვაცდენდით. მახარაძის საფეხბურთო არენა მუდამ გულშემატკივრებით იყო გადაჭედილი.

ქვეყანაში შექმნილი ურთულესი კრიმინოგენური სიტუაციიდან გამომდინარე (მარტო პანკისის პრობლემებიც კი საკმარისია მოსაგონებლად), საქმე თავზე საყრელი მქონდა, მაგრამ იმდენად ძლიერი იყო მოტივაცია, გადავწყვიტე სერიოზულად ამოვდგომოდი გვერდით ბახვას.

სულ რაღაც წელიწადნახევარში ქვეყანაში საპარლამენტო არჩევნები უნდა ჩატარებულიყო. შესაბამისად მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატისა და ხელისუფლებისთვის ნამდვილად კარგი იქნებოდა ოზურგეთის „მერცხალის“ აღორძინება და ამით რამდენიმე ათასი გულშემატკივრის გულის მოგება.

ჩემი მოსაზრებები გავაცანი მხარის გუბერნატორს კარლო გუჯაბიძეს, რაიონის გამგებელს ავთანდილ ღელეყვას, საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის ყოფილ მინისტრს, „გაერთიანებული ქართული ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს ვანო ჩხარტიშვილს და შეიძლება ითქვას, რომ სამოქმედო გეგმა დამტკიცდა. შეიქმნა ოზურგეთის „მერცხალის“ მეგობართა და მხარდამჭერთა სერიოზული გუნდი. შემუშავდა გეგმა გუნდის შემადგენლობის გადახალისების და მატერიალურ-ფინანსური ბაზის უზრუნველსაყოფად. თბილისიდან მთავარ მწვრთნელად მოწვეული იქნა ახალგაზრდა, მაგრამ გამოცდილი სპეციალისტი სერგო გაბელაია და საქმეც დაიძრა.

„მერცხალის“ ახლიდან დაბადება და სწრაფი აღმასვლა უმალ დაეტყო რაიონის ცხოვრებას. იმატა გულშემატკივართა რაოდენობამ, რომლებიც არა მარტო ოზურგეთში არ ტოვებდნენ მატჩებს, არამედ გასვლით თამაშებზეც კი თან ახლდნენ გუნდს.

რეგიონულ ლიგიდან „მერცხალი“ იმავე წელს პირველ ლიგაში გადავიდა და 2003 წლის გაზაფხულზე, გათამაშების დასრულებამდე, სამი ტურით ადრე გაინაღდა ადგილი უმაღლეს ლიგაში. ბახვა გიორგაძის და ოზურგეთელი ფეხბურთის გულშემატკივრების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

გაჩნდა იდეა, რომ ოზურგეთის „მერცხალის“ საფეხბურთო კლუბი ჩამოყალიბებულიყო როგორც სააქციო საზოგადოება, რაც მყარ მატერიალურ ბაზას შექმნიდა მიღწეული წარმატებების შესანარჩუნებლად და ახალი სიმაღლეების დასაპყრობად.

მახსოვს მაშინ, ურეკში ბადრი პატარკაციშვილსაც კი ვესტუმრე თხოვნით, რომ „მერცხალი“ დინამოს ფარმ კლუბად გვექცია.

2003 წლის 26 ივლისს ოზურგეთის ცენტრალურ სტადიონზე საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის პირველ ტურში, თერთმეტწლიანი შესვენების შემდეგ, 5.000 მაყურებლის გულშემატკივრობით, „მერცხალმა“ თბილისის „თბილისს“ უმასპინძლა და დაძაბულ, უკომპრომისო ბრძოლაში ანგარიშით 2:1 გაიმარჯვა. ოზურგეთი დილამდე ზეიმობდა!

აქ მინდა გავიხსენო ის ადამიანები, რომლებმაც მოკლე დროში გუნდის წარმატებაში თავიანთი წვლილი შეიტანეს: გუნდის ტექნიკური დირექტორი ბახვა გიორგაძე; მთავარი მწვრთნელი სერგო გაბელაია; ფეხბურთელები: გოგუა, კობაური, კვირკვია, მჟავანაძე, ილურიძე, ჭინჭარაული, წივწივაძე, ჭაღიაშვილი, კალანდაძე, ბართაია, ხუჭუა და სხვანი.

„მერცხალის“ ყოველდღიურ საქმიანობას გვერდით ედგნენ: გურიის გუბერნატორი კარლო გუჯაბიძე, ოზურგეთის გამგებელი ავთანდილ ღელეყვა, ვანო ჩხარტიშვილი, ანტონ ინგოროყვა, თამაზ ჩხიკვიშვილი, თამაზ გიორგაძე, ზურა ჩხაიძე („ასკანელი ძმები“), კოკი ცეცხლაძე („მარტინ ბაუერი“), გელა არობელიძე, ლევან ტრაპაიძე, მერაბ მელუა, ზვიად შავიშვილი, ავთო ლომაძე, შაკო ჩხარტიშვილი, ნესტორ მიქატაძე, შალვა (კუსა) დოლიძე, რენო ურუშაძე, ამირან ჩხაიძე, ლევან ნაკაიძე, ლევან ურუშაძე დათო იმედაშვილი, გია მამაკაიშვილი, დათო სიხარულიძე, დათო ჟღენტი, ვიქტორ გობრონიძე, მამია კალანდარიშვილი, შოთა მჟავანაძე, ლადი ჟღენტი, ავთო ვაშალომიძე, თამაზ მახარაძე, აკაკი თოიძე, გიგა ხარაბაძე, ამირან მამალაძე, სოსო ჩავლეიშვილი, ოლეგ გობრონიძე, ავთო ღლონტი, საფეხბურთო კლუბი „თბილისის „დინამო“, კომპანია „გულისტანი“, „იბერკომპანი“, შპს „მაჯესტიკი“, შპს „ისიდორე“, პურის ქარხანა „ვასაძე“, „მაგნეტიტი“ და სხვა მრავალი გულისხმიერი ადამიანი და კომპანია. სია ვრცელია და შესაძლოა ვინმე გამომრჩა კიდეც, რის გამოც ბოდიშს ვიხდი. აქვე მინდა გავიხსენო იმჟამად გუნდში დასაქმებული ადმიანებიც: კაკო ათუაშვილი, ბიძინა როინიშვილი, ტარიელ შაქარაშვილი, ლევან გაგუა, ტოგო ბოლქვაძე, მზია შარაშენიძე, იზა კვარაცხელია.

ფეხბურთელები: გიორგი ქორიძე, დავით სევასტოპულო, დათო სიამაშვილი, დათო არჩვაძე, ირაკლი დოლიძე, კახა როხვაძე, რამაზ ასკურავა, ნოდარ კალანდარიშვილი, შოთა მანჯავიძე, დათო მარგალიტაძე, გია ლომაძე.

ასე დაიწყო „მერცხალის“ უმაღლესი ლიგა 2003 წლის 26 ივლისს. შემდეგ კი იყო 2003 წლის 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნები და ე.წ. „ვარდების რევოლუცია“. „მერცხალის“ შემდგომი განვითარების გეგმამ „ჩაილურის წყალი“ დალია. მას შემდეგ ორი ათეული წელი გავიდა და პრაქტიკულად კლუბი სადღაც ჭაობშია, რაც ძალიან მტკენს გულს.

სად არის საშველი და გამოსავალი? ძალა ერთობაშია მხოლოდ და ამ ერთობის შექმნას მონდომება, ერთ მუშტად შეკვრა და დიდი შრომა სჭირდება. იმედია გამოჩნდებიან ასეთი ოზურგეთელები!

იმ პერიოდში ცალკეული ადამიანები გუნდის „მეპატრონედაც“ მომიხსენიებდნენ ხოლმე. მაგრამ როგორც ზემოთ აღვნიშნე, ვიყავი მხოლოდ კლუბის აღორძინებისთვის შექმნილი საორგანიზაციო ჯგუფის ერთ-ერთი ორგანიზატორი და არაფერი სხვა ინტერესი არ მქონდა, გარდა იმისა, რომ „მერცხალს“ წარმატებულად ეასპარეზა.

●

დავუბრუნდეთ ჩემი გადადგომის საკითხს.

როგორც გახსოვთ, 2002 წლის აგვისტოს ბოლოს შინაგანი ჯარების, სამინისტროს ცენტრალური აპარატის, ასევე რეგიონული დანაყოფებიდან მობილიზებული სოლიდური ძალებით, წინასწარ მომზადებული გეგმის შესაბამისად, რომელიც შეთანხმებული იყო უშიშროებისა და თავდაცვის სამინისტროებთან, მთლიანად დავიკავეთ პანკისის ხეობა.

თბილისში დაბრუნების შემდეგ შს მინისტრთან ჩემი თანამდებობიდან წასვლის შესახებ საუბრების და ლომაშვილის პროვოკაციული პუბლიკაციის შესახებ უკვე გიამბეთ და ისიც აღვნიშნე, რომ მიუხედავად ასეთი დაძაბულობისა, მუშაობას ვაგრძელებდი. უკვე დანამდვილებით ვიცოდი, რომ ჩემი სამინისტროდან გაშვების მოთხოვნა „რეფორმატორების“ მხრიდან დღის წესრიგიდან არ იყო მოხსნილი და ვერ ხერხდებოდა მხოლოდ პრეზიდენტის უარის გამო.

2003 წლის 20 იანვარს გამოქვეყნდა პრეზიდენტის განკარგულება „ პანკისის ხეობაში ანტიტერორისტული და ანტიკრიმინალური ღონისძიებების ჩატარებისას გამოვლენილი მამაცობისა და მაღალი პროფესიონალიზმისათვის შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების დაჯილდოებისა და წახალისების შესახებ“. უხვად გაიცა ორდენები, მედლები, წოდებები და მადლობები. ზოგიერთმა, გენერლის წოდებაც მიიღო, წინანდლის სასტუმროში სამჯერ ღამისთევისთვის, ისე, რომ პანკისის ხეობა თვალითაც არ უნახავს.

თქვენი მონა-მორჩილი კი თუნდაც მადლობის სათქმელად არავის გახსენებია. ასეთმა უმადურობამ საშინლად იმოქმედა ჩემზე. აშკარად დავინახე, ვისი ხელიც ერია ამაში.

თქვენც კარგად მიხვდებით, რომ ასეთ გარემოში მუშაობა როგორი ნერვიული დაძაბულობის ფონზე მიწევდა.

2003 წლის მარტში თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ მიხეილ სააკაშვილმა უკიდურესი ფორმით გააკრიტიკა შს სამინისტროს მუშაობა ქვეყანაში და განსაკუთრებით დედაქალაქში შექმნილი კრიმინოგენური სიტუაციის გამო. მან ერთი თვის ვადა მისცა მინისტრსა და დედაქალაქის პოლიციის უფროსს ლევან მაისურაძეს სიტუაციის გამოსასწორებლად და ე. წ. „კანონიერი ქურდების“ ინსტიტუტის გასანეიტრალებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში საყოველთაო დაუმორჩილებლობის მოძრაობით დაიმუქრა.

შს მინისტრმა მაშინვე ოპერატიულ თათბირზე განიხილა პრობლემა და გადაწყვიტა ქვეყანაში ერთი თვის ვადაში „კანონიერი ქურდების“ ინსტიტუტი ამოეძირკვა. ამოცანის განხორციელებაზე პასუხისმგებლობა კი მე დამაკისრა.

ჟურნალისტების, ინგა ალავიძისა და სოფიკო ჩხაიძისთვის მიცემულ ინტერვიუში კობა ნარჩემაშვილი ამბობდა: „დღეს თათბირზე დავსვი ასეთი ამოცანა – მარტის თვის ბოლოს კანონიერი ქურდების პრობლემა საქართველოში არ უნდა იდგეს. ამ ამოცანის განხორციელებას ჩემი მოადგილე ზურაბ ჩხაიძე უხელმძღვანელებს, რომელიც უშუალოდ აგებს პასუხს კრიმინოგენურ სიტუაციაზე... თუ ამის გაკეთებას ვერ შეძლებენ ყველას მოუწევს სამსახურის დატოვება“. სასაცილოა სატირალი რომ არ იყოს! ნათელი იყო, რომ ეს პრაქტიკულად შეუსრულებელი ამოცანა პირდაპირ იყო მიმართული ჩემი დისკრედიტაციისთვის.

აქ მკითხველის ნებართვით ცოტათი მოვლენებს წინ გავუსწრებ და მინდა ერთი პატარა ამონაწერი გაგაცნოთ გაზეთ „კვირის პალიტრაში“ 2003 წლის 31 მარტს გამოქვეყნებული პუბლიკაციიდან, სადაც ჟურნალისტ მარინა მამისაშვილის კითხვას – „როგორ ფიქრობთ, რატომ დათმო ნარჩემაშვილმა ზურაბ ჩხაიძე და რას უკავშირდება მისი შსს-დან წასვლა?“ ანტიკორუფციული საბჭოს წევრმა გივი თარგამაძემ ასეთი პასუხი გასცა:

> „მე არ ვთვლი, რომ ნარჩემაშვილმა ჩხაიძე დათმო. თავიდანვე იყო მინისტრის დიდი სურვილი, რომ ჩხაიძე არ ყოფილიყო მისი მოადგილე, თუმცა იმასაც ამბობდა, რომ ჩხაიძე არის პროფესიონალი. მინისტრი იმასაც არ მალავდა, რომ ერთი წელი მაინც ვერ დათმობდა ჩხაიძეს, მისი პროფესიონალიზმის გამო. ჩხაიძე რომ კახა თარგამაძის კაცი და მარჯვენა ხელი იყო, ამაში მგონი არავის ეპარება ეჭვი. ამიტომ, ბუნებრივია, ნარჩემაშვილისთვის ის არასასურველი მოადგილე იყო, თავისთავად ნარჩემაშვილმა

> თარგამაძის სტილში დაიწყო „თამაში“. მან ჩხაიძეს დაავალა შეუსრულებელი ამოცანის გადაწყვეტა – დაეპატიმრებინა „კანონიერი ქურდები“... ვფიქრობ, ჩხაიძე შეგუებული იყო, რომ მას ადრე თუ გვიან დაატოვებინებდნენ თანამდებობას“.

გასაოცარია, როდის პოულობდა მინისტრი გივი თარგამაძესთან და მის თანაგუნდელებთან თავისი შეხედულებებისა და უახლოესი გეგმების განხილვის დროს, მაგრამ ალბათ გივის დაეჯერება.

დავალების აბსურდულობის მიუხედავად, იმ დღეებში რამდენიმე კრიმინალი დააკავეს, რომელთა ჩამოთვლას აქ არ შევუდგები, თუმცა ეს ზღვაში წვეთი იყო. მოვიწვიე პრესკონფერენცია და შექმნილი მდგომარეობის ნამდვილ მიზეზებზე საქვეყნოდ ვისაუბრე. ამ შეხვედრის სრული ვიდეომასალა ჩემთან ინახება. პრაქტიკულად შემდგომ ყველაფერი ისე მოხდა და განვითარდა, რაზეც ვისაუბრე და ვიწინასწარმეტყველე.

ასეთ სიტუაციაში კიდევ ერთი გახმაურებული დანაშაული მოხდა, რომელმაც პრაქტიკულად წერტილი დაუსვა შს სამინისტროს სისტემაში ჩემს მრავალწლიან მოღვაწეობას.

14 მარტს თბილისში გაიტაცეს სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის ბატონ ბონდო ჯიქიას ვაჟი და მის განთავისუფლებაში დიდძალ თანხას ითხოვდნენ.

როგორც შემდეგ ჩემთვის სრულიად შემთხვევით გახდა ცნობილი, ქალაქის პოლიციას გააჩნდა წინმსწრები ინფორმაცია, რომ უახლოეს დღეებში მზადდებოდა ბონდო ჯიქიას შვილის გატაცება, ფულის გამოძალვის მიზნით. ვინაიდან გამტაცებელთა ჯგუფი კონტროლდებოდა ინფორმატორის მიერ, პოლიციელებმა გადაწყვიტეს არ აღეკვეთათ დანაშაული, არამედ გატაცების საშუალება მიეცათ და შემდეგ „გაეხსნათ“ გატაცება, რეზონანსული დანაშაულის სწრაფად გახსნით კი ქულები ჩაეწერათ საზოგადოების და პრეზიდენტის თვალში.

მოვლენები ასე განვითარდა: მოხდა ჯიქიას გატაცება. ქალაქის პოლიცია და მინისტრი მთლიანად აკონტროლებდნენ დამნაშავეთა მოქმედებებს. როგორც ოპერატიული სამსახურების და ქალაქის კურატორი დანაშაულის გახსნაზე მუშაობას ვაკონტროლებდი მეც და მოწოდებული ინფორმაციების შესაბამისად დარწმუნებული ვიყავი უახლოეს დღეებში დამნაშავეებს დავაკავებდით. დამნაშვეთა აყვანას ვაყოვნებდით იმ მოტივით, რომ მძევლის სიცოცხლე საფრთხეში არ ჩაგვეგდო.

ასეთ ვითარებაში შევარდნაძეს შეხვდა მისი დიდი ხნის მეგობარი, სამეგრელოს გუბერნატორი, გატაცებულის მამა ბატონი ბონდო ჯიქია. შვილის გატაცებით იგი იმდენად დათრგუნული იყო, რომ პრეზიდენტზე უმძიმესი შთაბეჭდილება მოახდინა. აღელვებულმა შევარდნაძემ სასწრაფოდ გამოიძახა შს მინისტრი, რომელმაც პრეზიდენტთან აუდიენციაზე სახელმ-

წიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე იახლა. შეხვედრაზე შევარდნაძემ მინისტრი გააკრიტიკა. კობა ნარჩემაშვილმა პრეზიდენტს ის კი არ უთხრა, რომ დანაშაული ფაქტობრივად გახსნილი იყო, დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებს ართმელაძესა და სხვებს უკვე ვაკონტროლებდით და უახლოეს საათებში მათი აყვანა მოხდებოდა, არამედ, მომხდარზე პასუხისმგებლობა მთლიანად ჩემზე, როგორც ოპერატიული სამსახურების და ქალაქის პოლიციის კურატორზე გადმოიტანა. პრეზიდენტს მინისტრმა ისიც შეახსენა, რომ პირველი მოადგილის გათავისუფლების საკითხზე არაერთხელ მიმართა მას, მაგრამ უშედეგოდ. პრეზიდენტი ჩიხში მოექცა, ასეთ სიტუაციაში სახელმწიფო მინისტრმა ცეცხლზე ნავთი დაასხა და პრეზიდენტს მოახლოებულ არჩევნებში ჩემი „ახალი მემარჯვენეებისადმი“ კეთილგანწყობა შეახსენა. ამ დროს შევარდნაძე „მემარჯვენეებზე“ ისე იყო „აცრილი“, რომ გადაწყვეტილება მყისვე მიიღო. „იმოქმედეთ თქვენი შეხედულებისამებრ“, – ნარჩემაშვილიც ამას ელოდა. კანცელარიიდან დაბრუნებულმა თავისთან მიხმო და უაღრესად შეწუხებული სახით განმიცხადა, რომ ჩემი „მემარჯვენეებისადმი“ მხარდაჭერის გამო მას აღარ შეეძლო შემდგომში პირველი მოადგილის თანამდებობაზე ყოფნის მოთმენა. „მემარჯვენეები“ მას ამ დროს კრიჭაში ედგნენ. მე ვუთხარი რომ ნუ იღელვებდა, რადგან წასვლაში პრობლემას ვერ ვხედავდი და შევახსენე, რომ ადრეც არაერთხელ ვსვამდი ჩემი წასვლის საკითხს. ნარჩემაშვილი სიხარულს ვერ მალავდა, ალბათ არ ეგონა ასე უპრობლემოდ თუ დავთმობდი პოსტს და რამდენიმე ფრიად მშვიდი და საპასუხისმგებლო თანამდებობა შემომთავაზა. მე არჩევანისთვის ერთი დღე ვითხოვე და დავტოვე.

მეორე დღეს, ჩემი მონაწილეობის გარეშე, ბრწყინვალედ ჩატარდა ჯიქიას გამოხსნის ოპერაცია. მე კი მინისტრს გადაგდომის შესახებ პატაკი გავუგზავნე:

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს,

პოლიციის გენერალ-ლეიტენანტს ბატონ **კობა ნარჩემაშვილს**

შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის,

პოლიციის გენერალ-მაიორის **ავთანდილ ჩხაიძის**

პატაკი

ქვეყანაში შექმნილია ძალზე რთული კრიმინოგენური სიტუაცია, რასაც უამრავი სუბიექტური და ობიექტური მიზეზები განაპირობებენ. ამ მიზეზების შესახებ მე არაერთხელ განმიცხადებია. ამაზე გავაკეთე აქცენტები მიმდინარე წლის 6 მარტს ჩატარებულ პრესკონფერენციაზეც, მაგრამ როგორც ჩანს, მდგომარეობის გამოსწორების მიზნით ჩვენ მიერ დაყენებული საკითხები დადებითად არ გადაწყდება, ყოველ შემთხვევაში უახლოეს მომავალში მაინც. ამიტომაც, ასეთ ვითარებაში პასუხისმგებლობის აღება,

ჩემი მხრიდან, მდგომარეობის რადიკალურად გაუმჯობესებაზე, საკუთარი თავის და საზოგადოების მოტყუებისა და შეცდომაში შეყვანის ტოლფასი იქნება. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ დააყენოთ საკითხი ჩემი დაკავებული თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ.

18.03.2003 წ.

მეორე დღეს კი კიდევ ერთი კონკრეტული, და შინაგან საქმეთა სამინისტროში ჩემი უკანასკნელი პატაკი ჩავაბარე:

ბატონო მინისტრო,

1997 წლის 19 ოქტომბრის კანონის „აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის და საქართველოს 1997 წლის 27 ოქტომბრის კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“ 95-ე მუხლის საფუძველზე, გთხოვთ, მიიღოთ ჩემი პატაკი დაკავებული თანამდებობიდან გადადგომის შესახებ.

პოლიციის გენერალ-მაიორი,

ა. ჩხაიძე

19.03.2003 წ.

ასე „გადაურჩა“ ქვეყანა საყოველთაო დაუმორჩილებლობას და „კანონიერმა ქურდებმაც“ შვებით ამოისუნთქეს. ჩემს წასვლას არაერთი გამოხმაურება მოჰყვა.

ჟურნალისტი გიორგი უძილაური გაზეთ „ახალ თაობაში“ წერდა[42]:

„გუშინ ცნობილი გახდა, რომ შს მინისტრის მოადგილე ზურაბ ჩხაიძე გადადგა. მისმა გადადგომამ სიმბოლური წერტილი დაუსვა იუსტიციის სამინისტროს მარადიულ დილემას – ვისი ბრალია, რომ საქართველო განგსტერების სამოთხედ გადაიქცა. ცნობილია, რომ ჩხაიძე შს ექსმინისტრის კახა თარგამაძის თანამებრძოლი და მარჯვენა ხელი იყო. თარგამაძის სკანდალური გადადგომის შემდეგ ჩხაიძე დარჩა მოადგილის თანამდებობაზე, თუმცა ახალი მინისტრის – ნარჩემაშვილის გუნდში წარმოადგენდა უმცირესობას. საკმარისი იყო, შსს-ს წაებორძიკებინა, რომ ახალი მინისტრის თანაგუნდელები ჟურნალისტებთან საუბრისას თვალის ჩაკვრით თავს ჩხაიძისკენ აქნევდნენ – ანუ მისი ბრალიაო. რა კაი იქნება, მათი თვალის პაჭუნი და ეჭვი მართალი აღმოჩნდეს და დღეიდან ნარჩემაშვილის შსს მართლაც სამართალდამცველი და არა სამართალდამქცევი უწყება გახდეს, დღეიდან შეწყდეს ახალ მინისტრს მომყოლი გატაცების, ბანდიტიზმის, მანქანების ქურდობისა და, უბრალოდ, ქურდობის ბიბინი.

ნარჩემაშვილი უფრო გონებაგამჭრიახი რომ ყოფილიყო, თავისი გამზრდელის – თარგამაძის მეგობარს მხოლოდ იმიტომ არ მისცემდა გადადგო-

[42] გიორგი უძილაური. „ზურაბ ჩხაიძე გადადგა“. გაზ. „ახალი თაობა“. 20 მარტი. 2003

მის უფლებას, რომ მომავალი ჩავარდნებიც ჩხაიძისთვის გადაებრალებინა. ჩხაიძემ კი ზედმეტ თავის ტკივილებს თავი აარიდა და ნარჩემაშვილსაც გაერიდა. დღეიდან ნარჩემაშვილმა ყველაფერი საკუთარ კადრებს უნდა გადააბრალოს, რაც ხდება და რაც არ კეთდება.

ზურაბ ჩხაიძის გადადგომამ და შსს-ში შექმნილმა სიტუაციამ კახა თარგამაძეს გაუჩინა ეჭვი, რომ პრეზიდენტი ვერ აკონტროლებს საქართველოში მიმდინარე მოვლენებს, – მე არ ვამბობ, რომ ჩემი ხელმძღვანელობის დროს ყველაფერი იდეალურად იყო აწყობილი სამინისტროში, მაგრამ, რაც დღეს ხდება შსს-ში, ეს ქვეყნის დაღუპვაა, – განუცხადა „ახალ თაობას“ კახა თარგამაძემ – „არანორმალურად გაიზარდა დანაშაულის რიცხვი და საზოგადოებაში დაიკარგა უსაფრთხოების შეგრძნება, შსს ისეთი უწყებაა, რომელსაც უნდა იცნობდე, რომელიც უნდა იცოდე და შეგეძლოს მისი მართვა, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაიშლება უწყებაც, გაქრება დისციპლინაც და წესრიგიც, რაც სახეზეა. მე არასდროს გამიკრიტიკებია პრეზიდენტი არც მინისტრობისას და არც მის შემდეგ, მაგრამ ის, რაც ხდება სამინისტროში და მთელ საქართველოში, მე მაფიქრებინებს, რომ პრეზიდენტი არ არის საქმის კურსში, რეალურად რა ხდება საქართველოში.

რამდენადაც უარყოფითად ეჩვენებოდა საზოგადოებას კახა თარგამაძის მინისტრობა (სიმკაცრე, „რკინისკაცობა“, პოლიტიზება, კორუმპირებულობა და ა. შ.), იგივე საზოგადოება დღეს შენატრის თარგამაძის დროინდელ წესრიგს, რაც შეეხება დანარჩენ უარყოფით თვისებებს, ახალმა მინისტრმა მათ მიამატა სუსტი მმართველობა. ნარჩემაშვილი სუსტ მინისტრად ითვლება თავად სამინისტროს პირადი შემადგენლობის სოლიდურ ნაწილშიც. ჩხაიძის წასვლა კი, თუ მეტად არ დაასუსტებს, ნამდვილად არ გააძლიერებს სამინისტრო შემორღვეულ მინისტრს“.

●

დასრულდა ჩემი თითქმის ოცდაათ წლიანი მოღვაწეობა შინაგან საქმეთა ორგანოებში. ჩემი გადადგომიდან რვა თვეში ქვეყანაში ხელისუფლება შეიცვალა. მოხდა ის, რაზეც ზემოთ გესაუბრეთ.

იყო „ვარდების რევოლუცია“, პრეზიდენტის გადადგომა, სასამართლოს აბსურდული გადაწყვეტილება და ახალი არჩევნები. სააკაშვილის ხელისუფლებამ რეპრესიები და დევნა დაიწყო. ბევრი ჩემი კოლეგა და თანამშრომელი დააკავეს. ეცადნენ რაიმე ხელმოსაკიდი ჩვენება მიეღოთ ჩემზე, თუმცა ვერაფერი ნახეს.

მეც გავერიდე ამ არეულ და საშინელ დროს. შემდეგი წლები ხან სომხეთში, ხან უკრაინაში, რუსეთსა და აზერბაიჯანში გავატარე. ბოლოს ყირიმში დავმკვიდრდი და მეგობრებთან ერთად, უკრაინელი ფერმერის პროცენტიანი ვალებით სამშენებლო ბიზნესი წამოვიწყეთ.

შემდეგ იყო სამშობლოში დაბრუნებისთვის გამოსყიდული ნებართვა, ზოგიერთი „ვაი მეგობრის“ ღალატიც („ვისაც ჩავაცვი, იმან გამხადა“) და

ოჯახური ტრაგედიები – მამის, დედის, მეუღლის გარდაცვალება, უამრავი მეგობრის გაცილება უკანასკნელ გზაზე.

სასიხარულოც იყო, მადლობა უფალს, მრავლად და ცხოვრება გრძელდება...

ის, რისი პირობაც მივეცი ბატონ გურამ გვეტაძეს, შეძლებისდაგვარად აღვასრულე. გიამბეთ ის, რაც ვნახე, რაშიც ვმონაწილეობდი, რაც განვიცადე და რისი გასაჯაროებაც დასაშვებად მივიჩნიე სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე.

ინტერესით დაველოდები ისტორიის გაგრძელებას 2003 წლის შემდეგ განვითარებულ მოვლენებზე მათგან, ვისაც შემდგომ წლებში მოუხდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობაში მუშაობა. ალბათ თქვენც დაგაინტერესებთ.

●

ბევრი ვიფიქრე რით დავასრულო. ისევ გურიას, ოზურგეთს და ბახვს დასტრიალებს ჩემი ფიქრები.

ზუსტად აღარ მახსოვს 2000 თუ 2001 წელს, სად და რა ვითარებაში შევხვდით ერთმანეთს მე და ჩემი თანასოფლელი, უაღრესად განათლებული ადამიანი, პედაგოგი, სოფელ ბახვში ერთ დროს მოქმედი დიდებული ეთნოგრაფიული მუზეუმის ერთ-ერთი დამფუძნებელი და ხელმძღვანელი ქალბატონი ცირა (ციური) ნიკოლაიშვილი. შეხვედრაზე ციურიმ შემომთავაზა იდეა, შექმნილიყო წიგნი სოფელ ბახვსა და ბახველებზე. ვიცოდი რომ ასეთივე სურვილი გააჩნდა ჩვენი სოფლის ნამდვილ მეისტორიეს და მოამაგეს, დამსახურებულ პედაგოგს ბატონ შალვა თავართქილაძეს. მას უკვე გამოცემული ჰქონდა წიგნი „ბახვის საშუალო სკოლა“ და მუზეუმის შექმნის სულისჩამდგმელიც გახლდათ. ცირას ვთხოვე დაკავშირებოდა ბატონ შალვას და ყოველნაირი დახმარება აღვუთქვი.

ბატონი შალვასგან მიღებული კონსულტაციებისა და მის ხელთ არსებული მასალების მიღების შემდეგ ცირა თავდაუზოგავად შეუდგა მუშაობას, ნამდვილად ტიტანური შრომა გასწია და თუ არა ის, ამ იდეას განხორციელება არ ეწერა. პერიოდულად ჩვენ ვხვდებოდით ერთმანეთს და მაცნობდა მომავალი გამოცემის დეტალებს. ორ წელიწადზე მეტი დასჭირდა ამ დიდებული ნაშრომის გასრულებას. საჩუქრად მივიღეთ 850 გვერდისგან შემდგარი, მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული წიგნი „სოფელი ბახვი“.[43] სამწუხაროდ, ბატონი შალვა ვერ მოესწრო მის გამოცემას.

დამეთანხმებით, ალბათ, რომ წიგნი ასეთი მდიდარი ისტორიის მქონე სოფლის შესახებ უნაკლო ვერ იქნება. ცალკეულ პიროვნებათა შესახებ ვერ

[43] ცირა ნიკოლაიშვილი, შალვა თავართქილაძე. „სოფელი ბახვი“ (რედაქტორი ლევან ფრუიძე). თბ. 2003

მოხერხდა სრულყოფილი მასალის მოპოვება, ზოგი უბრალოდ გამოგვრჩა კიდეც. მაგალითისთვის საკმარისია გავიხსენოთ ჩვენი სოფლის ისეთი წარმომადგენელი, როგორიც იყო ბატონი გიორგი ქაიხოსროს ძე ბოლქვაძე, ბრიუსელის მეცნიერებისა და ინდუსტრიული ხელოვნების მსოფლიო აკადემიის, პარიზის სამინათმოქმედო აკადემიის ნამდვილი წევრი, რომელმაც ჯერ კიდევ 1865 წელს ქუთაისში გახსნა ამიერკავკასიაში პირველი ლიქიორ-არყის ქარხანა და ჩამოასხა პირველი ქართული კონიაკი, დავით სარაჯიშვილზე 23 წლით ადრე.

ამ და სხვა დიდებულ ადამიანებზე ვიმედოვნებ ამომწურავად წიგნის შემდგომ გამოცემაში მოიძებნება ღირსეული ადგილი და ამაზე უკვე მომავალი თაობა იზრუნებს.

2003 წლის 19 მარტიდან „უმუშევრად“ და „უსაქმოდ“ დარჩენილს ქალბატონი ცირა ნიკოლაიშვილი დამიკავშირდა და მაცნობა, რომ მისი და შალვა თავართქილაძის ნაშრომი „სოფელი ბახვი“ დასრულებული იყო. გადავწყვიტეთ სქელტანიანი წიგნის გამოსვლა სოფელ ბახვში 19 სექტემბერს, გაბრიელ ეპისკოპოსის წმინდანად შერაცხვის დღეს აღგვენიშნა და „გაბრიელობა“ ჩაგვეტარებინა.

ზეიმი ბახვში მართლაც დიდებული გამოდგა. მოწვეული იყვნენ ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში მცხოვრები ბახველები და მათი შთამომავლები, გურიის და იმერეთის მხარის სახელმწიფო რწმუნებულები კარლო გუჯაბიძე და თემურ შაშიაშვილი, სამღვდელოება, პარლამენტარები. სტუმართა რიცხვმა სამასს გადააჭარბა. ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია და წიგნის პრეზენტაცია, სოფლის კლუბში ხელოვნების ნამდვილი ზეიმი გაიმართა, რომელიც „გიგოს ბაღში“ გაშლილ სუფრასთან გაგრძელდა, სადაც „ცას სწვდებოდა გურულების კრიმანჭული და ხასანბეგურა“.

გადაწყდა, რომ ბახვში ყოველი წლის 19 სექტემბერს ტრადიციად დამკვიდრებულიყო წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსისადმი მიძღვნილი სახალხო დღესასწაულის „გაბრიელობის“ ჩატარება.

თუმცა, „ვარდების რევოლუციამ“ ეს და კიდევ სხვა მრავალი კეთილი იდეა ქარს გაატანა. კარგი იქნება ახლა მაინც, აგერ უკვე ორი ათეული წლის შედეგ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია, საკრებულო და შემოქმედის ეპარქია თუ გაიხსენებს, რომ წმინდა ექვთიმე ღვთისკაცის (თაყაიშვილის) გვერდით, ოზურგეთის მკვიდრია კიდევ ერთი დიდი წმინდანი – გაბრიელ ეპისკოპოსი (ქიქოძე), რომელზეც დიდმა ილიამ ბრძანა: „გაბრიელი სარწმუნოებას ამეცნიერებდა და მეცნიერებას ასარწმუნოებდაო“ და 19 ოქტომბერს სოფელ ბახვში აღადგენს „გაბრიელობას“, როგორც სახალხო დღესასწაულს. „ექვთიმეობასთან“ ერთად, „გაბრიელობა“ ნამდვილად საამაყო დღეები იქნება ოზურგეთისა და სრულიად საქართველოსთვის. მითუმეტეს აღსანიშნავია, რომ 2025 წელი საიუბილეოა – წმინდანის დაბადებიდან 200 წელი სრულდება!

იმედს ვიტოვებ, რომ მომავალი თაობა არასდროს დაივიწყებს საქართველოს ისტორიაში ამ უდიდესი მოღვაწის, სასულიერო პირის, მეცნიერის და პედაგოგის სახელს.

არ დაივიწყებს წმინდა გაბრიელის და სხვა დიდი მოღვაწეების სახელს ჩემი მშობლიური სოფელი ბახვი.

ბახვი ლამაზი სოფელი მხოლოდ მისი ბუნებით კი არ არის, ლამაზი, გონიერი, მშრომელი ადამიანები გამოარჩევს მას. როცა სოფელში ჩავდივარ, აუცილებლად ავდივარ სოფლის ცენტრში, მოვინახულებ გიგოს ბაღს. მიხარია, როცა ისტორიული სკოლისკენ მოდიან მოსწავლეები, ხმაურობს იქაურობა. არაფერი სჯობია მომავალი თაობის ცქერას. მათ მივუძღვენი ეს წიგნი, ამ სოფლის ერთმა რიგითმა მცხოვრებმა, ჩემი ქვეყნის ერთმა რიგითმა ჯარისკაცმა.

მინდა, რომ ახალმა თაობამ, რომელიც ხვალ-ზეგ მოვა ქვეყნის სათავეში, არ გამოსცადოს სამოქალაქო არეულობის, ძმათამკვლელი ომის ტრაგიზმი, შიმშილი და გაჭირვება, უაზრო პოლიტიკური დაპირისპირება და ამით გამოწვეული სიძნელეები.

მომავალი რომ სწორად აშენოს, წარსული კარგად უნდა გაიაზროს ქვეყანამ. თუ ამ გზაზე ჩემი წიგნი ოდნავ მაინც სასარგებლო აღმოჩნდება, ბედნიერი ვიქნები.

ავთანდილ (ზურა) ვახტანგის ძე ჩხაიძე

დაიბადა 1953 წლის 14 თებერვალს მახარაძის (ოზურგეთი) რაიონის სოფელ ბახვში.

1970 წელს დაამთავრა ბახვის საშუალო სკოლა, 1975 წელს – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი და სპეციალობის მიხედვით მუშაობა დაიწყო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში.

1980 წელს გაიარა სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს კაუნასის მილიციის უმაღლესი სკოლის ოპერატიულ მუშაკთა მომზადების სრული კურსი. 2001 წელს დაუსწრებლად დაამთავრა საქართველოს შსს აკადემია სამართალმცოდნეობის სპეციალობით.

1975 წლიდან 1999 წლამდე (საქართველოს პარლამენტში არჩევამდე) მუშაობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში სხვადასხვა თანამდებობაზე ოზურგეთის (მახარაძის) და გარდაბნის რაიონებში, სამინისტროს ცენტრალურ აპარატში. გაიარა გზა რიგითი მუშაკიდან კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის თანამდებობამდე.

1999 წელს ოზურგეთის საარჩევნო ოლქიდან აირჩიეს საქართველოს პარლამენტის წევრად.

2000 წლის 29 ივლისს პრეზიდენტის განკარგულებით დაინიშნა შინაგან საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილედ. საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 19 მარტის №312 განკარგულებით აღნიშნული თანამდებობიდან განთავისუფლდა საკუთარი ინიციატივით.

დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით, სამივე ხარისხის სამკერდე ნიშნით „უმწიკვლო სამსახურისთვის“. მინიჭებული აქვს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დამსახურებული მუშაკის წოდება. არის პოლიციის გენერალ-მაიორი.

2001 წელს გამოიცა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებრო სამსახურის 80 წლის ისტორიის ამსახველი ნაშრომი „ერთგულება, თავდადება, პროფესიონალიზმი“, რომლის მთავარი რედაქტორი და კონსულტანტი გახლდათ. განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ისეთი ნაშრომების გამოცემაში, როგორიცაა: ცირა ნიკოლაიშვილისა და შალვა თავართქილაძის „სოფელი ბახვი“ და ილია თავბერიძის „წმინდა მღვდელმთავარი გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა“.

2014 წელს გამომცემლობა „მერიდიანმა“ გამოსცა მისი წიგნი „ფესვები – ერთი სურათის ისტორია“.

მეუღლე: მარინე გაბრიჩიძე. შვილები: თამარი (1987), ქეთევანი (1992).

სარჩევი

წინათქმა 3
გზის დასაწყისი 7
დამოუკიდებლობის გამოცხადება და სამოქალაქო დაპირისპირება..... 19
ბანდიტური ეპოპეა გურიაში 25
გახმაურებული საქმეები 49
ბრძოლა ხელისუფლებისთვის..... 70
„დინამო“ 94
ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლა..... 109
9 თებერვლის ტერაქტი 115
გალის მოვლენები 124
ელიავას ამბოხი..... 127
შეხვედრები, შთაბეჭდილებები 131
შინაგან საქმეთა სამინისტროდან პარლამენტში..... 145
დაბრუნება შინაგან საქმეთა სამინისტროში..... 178
პანკისის ანკლავი 180
მუხროვანი..... 194
ვითომ აფხაზეთის დასაბრუნებლად – გილაევის რაზმი კოდორში..... 205
ომალოს ოპერაცია 210
„რუსთავი 2-ის“ ამბები და კახა თარგამაძის გადადგომა 229
ისევ პანკისი 247
გადადგომა 274

მესამე რიგში, მარცხნიდან მეოთხე – მღვდელი არტემ შევარდენის ძე ჩხაიძე (ჩემი დიდი ბაბუა) ბიძებთან, ოჯახის წევრებთან და ნათესავებთან ერთად

ბახვის საშუალო სკოლის IV კლასი,
მასწავლებელ მანია ინწკირველთან ერთად. 1964

ბახვის საშუალო სკოლის 1969-70 წწ. გამოშვება

თანაკლასელებთან ერთად „ბახვის მანიფესტის“ მემორიალის ეზოში. 1990

ჯგუფელები საბჭოთა არმიის რიგებში. 1975

მახარაძის მილიციის რაიგანყოფილების პირადი შემადგენლობა. 1982

ქორწინების დღე. 1983

მახარაძის მილიციის რაიგანყოფილების თანამშრომლებთან ერთად. 1983

ოზურგეთელ მეგობრებთან ერთად ბახმაროში

გერმანიაში, „მარტინ ბაუერის“ მიწვევით, დავით დუმბაძესთან და შალვა ცეცხლაძესთან ერთად. 1996

მარტინ ბაუერთან (შუაში) ერთად. გერმანია. 1996

დავით დუმბაძესთან და ადოლფ ვედელთან ერთად. გერმანია. 1996

უკრაინაში საქართველოს საელჩოში.

გზად ათონის მთისკენ ჯიმი მიქელაძესთან ერთად. 1998

საბერძნეთში შავი ზღვის აუზის ქვეყნების შინაგან საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე. ცენტრში: შს მინისტრის პირველი მოადგილე ჯიმი მიქელაძე, რუსეთის შს მინისტრი სერგეი სტეპაშინი, სომხეთის შს მინისტრი (შემდეგში სომხეთის პრეზიდენტი) სერჟ სარქისიანი. 1998

რუსეთის შს მინისტრის ვლადიმერ რუშაილოს შეხვედრა საქართველოს პრეზიდენტთან ედუარდ შევარდნაძესთან და შს მინისტრთან კახა თარგამაძესთან. 1999

ვლადიმერ რუშაილო, კახა თარგამაძე და ზურაბ ჟვანია. 1999

ვლადიმერ რუშაილო, გურამ თამაზაშვილი და
ვაჟა ლორთქიფანიძე. 1999

თურქეთის შს მინისტრის სადეტდინ თანთანის ვიზიტი. 2000

თურქეთის შს მინისტრთან ერთად. 2000

თურქეთის შს მინისტრთან ერთად. 2000

ინტერპოლის პრეზიდენტთან (ესპანეთის შს მინისტრი) გესუს ესპირაგეს მირასა და ვიცე-პრეზიდენტთან ჯონ აბოტისთან ერთად. 2001

ინტერპოლის გენერალური მდივანთან რონალდ ნობელთან ერთად. 2001

კახა თარგამაძესთან ერთად

შს მინისტრის მოადგილე ზურაბ ეროტაძესთან ერთად

კახა თარგამაძე, კონსტანტინე როგავა, სოსო ალავიძე და ზურაბ ჩხაიძე

ვაშინგტონში. აშშ. 2001

შეხვედრაზე აშშ გამოძიების ფედერალური ბიუროს ხელმძღვანელებთან.
ნიუ-იორკი. 2001

ედუარდ გენძეხაძესთან და დავით ღლონტთან ერთად ლონდონში. 2001

უკრაინის შს მინისტრი იური კრავჩენკო და საქართველოს შს მინისტრი კახა თარგამაძე. 1999

რუსეთის შს მინისტრი სერგეი სტეპაშინი და საქართველოს შს მინისტრი კახა თარგამაძე. 1999

დსთ ქვეყნების სამიტი ბიშკეკში. 2000

ВЫПИСКА ИЗ ПРИКАЗА

Министра внутренних дел Кыргызской Республики

№ 301 «18» августа 2000г. г.Бишкек

За большой вклад в дело укрепления сотрудничества между министерствами внутренних дел государств СНГ и личное участие в борьбе с организованной преступностью и международным терроризмом – первый заместитель министра внутренних дел Грузии генерал-майор полиции Чхаидзе Автандил Вахтангович награжден револьвером системы «Наган» № ЮМ - 1074- 44г. калибра 7,62 мм.

Министр внутренних дел
Кыргызской Республики
генерал-лейтенант милиции _____ **О.Кутуев**

Выписка верна:
Ст.инспектор УРЛС МВД КР
подполковник милиции _____ **Н.Шамбетова**

ბატონ **ავთანდილ ჩხაიძეს**

მადლობის წერილი

დიდ მადლობას მოგახსენებთ საქართველოს ისტორიის ამ უმძიმეს და ურთულეს ეტაპზე სამშობლოსა და ერის წინაშე თავდადებისათვის, უმწიკვლო მხედრული სამსახურისა და მამულიშვილური დვაწლისათვის.

დღეს, როდესაც ერს და მამულს, როგორც არასდროს, სჭირდება თავისუფლების, დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობის და სახელმწიფო საზღვრების, მამა-პაპის კურთხეული მიწა-წყლის დაცვა, თქვენ ვაუკაცურად და მამაცურად დგახართ სამშობლოს სადარაჯოზე, თავგანწირვით ემსახურებით მისი სამხედრო ძლიერებისა და უშიშროების განმტკიცებას.

დიდი პატივია იყო საქართველოს ისტორიული, გმირული სამხედრო ტრადიციების ჭეშმარიტი მემკვიდრე და თავდადებული გამგრძელებელი, ახალი, ერთიანი, ეროვნული, დემოკრატიული არმიის საიმედო ჯარისკაცი, სამშობლოს დამცველი ერთგული რაინდი. თქვენ ეს საპატიო მისია დაგაკისრათ სამშობლომ, თქვენ კი საქმით დაამტკიცეთ, რომ ღირსი ხართ ამ დიდი პატივისა და მისიისა.

მე, როგორც საქართველოს სახელმწიფოს მეთაური და შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი, გამოვთქვამ დიდ კმაყოფილებას, რამეთუ თქვენ გაამართლეთ სამშობლოსა და ხალხის ნდობა და მხედრული თავდადების მაგალითს უჩვენებთ თანამედროვეებსა და შთამომავლობას.

სულ მაღლა გეჭიროთ დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული თავისუფლების დროშა, როგორც ჩვენს სახელოვან წინაპრებს ვახტანგ გორგასალისა და დავით აღმაშენებლის დროშა და მახვილი ეჭირათ. დარწმუნებული ვარ, ის ერი და არმია არასოდეს არ დამარცხდება, რომელსაც თქვენისთანა ერთგული, თავდადებული და მამაცი მეომრები ჰყავს.

გისურვებთ პირადად თქვენ და თქვენს ოჯახს ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, ბედნიერებას, საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის გმირულად დაცვას.

პატივისცემით

ედუარდ შევარდნაძე,

საქართველოს სახელმწიფოს მეთაური,
შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი

გენერლის წოდების მინიჭების დროს. 1997

ოპერატიული თათბირი სამეგრელოში, ელგუჯა ჯამბურიას და
თამაზ ალანიას თანამდებობებზე წარდგენა. მარჯვნიდან პირველი –
პრეზიდენტის რწმუნებული სამეგრელოში ბონდო ჯიქია. 2000

წინასაარჩევნო შეხვედრა ოზურგეთში. მარჯვნიდან: ედუარდ შევარდნაძე, ჩოხატაურის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი დავით ჟღენტი, ლანჩხუთის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი თამაზ კუნჭულია. 1999

შეხვედრა გენიჩესკელ მეგობრებთან სოფელ შრომაში. 1999

საქართველოს პარლამენტში. 1999-2000

ვახტანგ ჩხაიძესთან და მაკარ ნიკოლაიშვილთან ერთად სოფელ ვაკიჯვარში, სარწყავი სისტემის მშენებლობაზე

„ოზურგეთის გაზეთის“ პრეზენტაციაზე. მარჯვნიდან: ჯემალ ქკუასელი, ილია თავბერიძე, კარლო გუჯაბიძე, ავთანდილ ღელეყვა. 2001. 14 იანვარი

„ოზურგეთის გაზეთის“ პრეზენტაციაზე. მარჯვნიდან: ზაურ ქობულაძე, ავთანდილ ღელეყვა, ანტონ ინგოროყვა, ეთერ ქადეიშვილი და ილია თავბერიძე 2001. 14 იანვარი

საქართველოს სახელმწიფო მინისტრთან გია არსენიშვილთან ერთად.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან ილია მეორესთან ერთად.

დაზვერვის სამსახურის უფროსთან ავთანდილ იოსელიანთან
ერთად აშშ-ში. 2001

საქართველოს გენერალურ პროკურორთან გია მეფარიშვილთან
და შს მინისტრთან კახა თარგამაძესთან ერთად

დავით თოდუასთან და ვასილ დავითაიასთან ერთად

შს ყოფილ მინისტრთან (1986-1990) შოთა გორგოძესთან ერთად

საფეხბურთო კლუბ „მერცხალის“ შემომწირველების ერთი ჯგუფი

ედუარდ შევარდნაძე ექვთიმე თაყაიშვილის მუზეუმ-ნაკრძალის
გახსნაზე ქ. ოზურგეთში. 1999

ე. თაყაიშვილის ხელწერის ნიმუში. ბარათი ნ. მარისდმი ნინო პოლტორაცკაია-თაყაიშვილის ფილიგრანზე. 1900 წ.

ექვთიმე თაყაიშვილის ფილიგრამა

მარცხნიდან: შინაგანი ჯარების სარდალი გენერალ-ლეიტენანტი
გიორგი შერვაშიძე, გენერალ-მაიორი შოთა ასათიანი, შს მინისტრი,
გენერალ-ლეიტენანტი კობა ნარჩემაშვილი,
გენერალ- მაიორები ზურაბ ჩხაიძე და დავით თოდუა

კახეთის შს სამხარეო სამმართველოს უფროსთან ზურაბ ტუშურთან
ერთად პანკისის ხეობაში

შს მინისტრი კობა ნარჩემაშვილი და აშშ ელჩი საქართველოში
რიჩარდ მაილსი პანკისის ხეობაში

სპეცოპერაციის დროს ომალოში

სპეცოპერაციის დროს ომალოში

აშშ-ს ყოფილი ელჩი საქართველოში რიჩარდ მაილსი და აშშ-ს საელჩოს
რეგიონალური უსაფრთხოების მაშინდელი უფროსი
გრეგ ოლმსტედი ომალოში.

გურიის შს სამმართველოს ხელმძღვანელები და თანამშრომლები
პანკისის ხეობაში

ვანო ჩხარტიშვილი და თეიმურაზ შაშიაშვილი ბახვში,
„გაბრიელობის“ დღესასწაულზე. 2003

ციური ნიკოლაიშვილთან ერთად წიგნის „სოფელი ბახვი“
პრეზენტაციაზე. 2003

შინაგან საქმეთა და თავდაცვის ძალების ვეტერან გენერლებთან ერთად.
სხედან: გია ყარყარაშვილი, ჯემალ ჭუმბურიძე.
დგანან: მამუკა ნაჭყეპია, ზურა ჩხაიძე, ალეკო ბუკია

თემურ მურღულიასთან და ჯონი ფირცხალაიშვილთან ერთად

მეგობრებთან ერთად



ოზურგეთი

თბილისი

მინაგან საქმეთა ორგანოებში თითქმის სამი ათეული წელი ვიმუშავე. ეს პერიოდი ჩვენი ქვეყნის უახლეს ისტორიაში ქარტეხილებით იყო სავსე – დაშოუკიდებლობის გამოცხადება, სამოქალაქო დაპირისპირება, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაკარგვა, შევარდნაძის პერიოდი და მის წინააღმდეგ წამოწყებული ძიდა სამთავრობო ინტრიგები, რომელიც „ვარდების რევოლუციით" და პრეზიდენტის გადადგომით დასრულდა. ამ მოვლენების უმეტესობას ჩემი მონაწილეობის გარეშე არ ჩაუვლია.

ამ წიგნში საუბარია იმაზე, რაც ვნახე და განვიცადე, რა შევძელი და რით გამოვადექი ჩემს ქვეყანას. რასაც წიგნში ვყვები, რეალურ ფაქტებზეა დამყარებული.

შესაძლოა ამ წიგნმა მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ისტორიის კვლევით დაინტერესებულ ადამიანებს მცირედი დახმარება გაუწიოს, განსაკუთრებით კი იმ თაობას, რომელსაც ამ პერიოდის შესახებ ნაკლები ინფორმაცია აქვს.

მომავალი რომ სწორად აშენოს, წარსული კარგად უნდა გაიაზროს ქვეყანამ. თუ ამ გზაზე ჩემი წიგნი ოდნავ მაინც სასარგებლო აღმოჩნდება, ბედნიერი ვიქნები.

9 789941 346477